ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩეზრ
ფეიშვილი

კუდიანი ვარსკვლავი ყაზალეში





ამ წიგნში შევიტანე 1991-1999 წლებში დაწერილი ორი რომანი და რამდენიმე ნოველა, რომლებიც სხვადასხვა დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არასრულად. ესაა ჩემი ბოლოდროინდელი შემოქმედების მთავარი, ძირითადი ნაწილი.

რ. ჭეიშვილი

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩეზრ ფეიშვილი

კუდიანი ვარსკვლავი

ნოველები

ყაჩაღები

თბილისი „მერანი“
1999

894.631-314 894.631-3ბ.ბ

84. Гр — 44
894.631-31
ჯ. 334

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი **ლია შარვაშიძე**
მხატვარი **სპარტაკ ცინცაძე**

ISBN 99928 — 16 — 38 — 4
© რეზო ჯეიშვილი 1999

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუდიანი ვარსკვლავი

რომანი

F-4.941
5

„მე თუ მოვკვდე ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრების...“
რუსთაველი

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლომრეტსუალი
მაშინ ვიღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“
ბარათაშვილი

ვარსკვლავები ციმციმებენ გადაწმენდილ ცაზე. სიბნელით გამოთოფილ სახლებსა და სახლებს შუაც კრთის შუქი. ქოხში არ სძინავთ. დასალიერში ფეთქავენ სინათლეები; ცისა და მიწის ნათელი ერთმთლიანდება ცისკივკივში. წითლად ფართოვდება სამყარო. მიქრიან და უკან დაბრუნების იმედით შორდებიან ერთმანეთს გალაქტიკები. ტრიალებენ ავერცხლილი ტრამალები. მატარებელი მატარებელს ჩაუქროლებს და ფანჯრებიდან ფანჯრებში არეკლილი ფანჯრები გამოჩნდებიან. მარტოსული მგზავრი დგას ერთგან, ორგან... ჩარჩოებში ასვეტილი, მოწყენილი სილუეტები ეფეთებიან და სცილდებიან ერთმანეთს ჭახაჭუხით. მგზავრი მგზავრის გაფართოებულ თვალებში ხედავს თავისსავე თვალებს და მინებზე ასხლეტილი ვარსკვლავები გადიან თვალებიდან.

„... ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოვლისა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან წელთა ხქჲთ, ქორონიკონსა სპვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლ Ჩ აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა. რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდ მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე“...

შენ იყავ კუდიანი ვარსკვლავი, ჰალეა რომ გიწოდეს დასამცირებლად; ხან ერთხელ, ხან ორხელ მობრძანდები გადარკალულ საუკუნეში. ჩანდი და ისევ გამოჩნდები, წითელო ბატონო!

ლიხნის ეკლესიის წარწერის თარიღებში მცირეოდენი უზუსტობანია. ბაგრატ მეოთხეს, გიორგის ძეს, ბედი დაჰყვა და უბედობამ გაუმწარა სვე. ბიზანტიის კეისრის სიძე, ქრისტეს სამსჭუალის მფლობელი, „სიბრძნითა ფილოსოფოსი, ენითა სვიანი, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე, უხვი შემცოდეთა შემნდობელი; არამედ ქუეყანათა ჟამთა ამისსა დაწყნარება აქუნდა“... სელჯუკებმა ორჯერ მოუნიავეს სამკვიდრო და „დიდი თურქობაც“ მოვიდა. ამას მოჰყვა ჟამიანობა, მიწისძვრები, წყალდიდობანი და დაჰკრა კიდეც ელვამ. „წამოიყვანეს ბაგრატ გიორგის ძე სამშვილდედან ქართლს ჰორლეთი“. მომაკვდავმა მეფემ უთხრა დედასა:

„დედაო, მეწყალვი, რამეთუ წარაქციონ ყოველნი ნაშობნი შენნი პირველ შენსა და მერმეღა მოკუდები შენ!..“

მიიცვალა და ორი წლის შემდეგ მობრძანდა კეთილად „ვარსკვლავი კვიმატი ლახურის მსგავსი“, მობრძანდა და სვიანი საუკუნეების (სამ საუკუნეში სამჯერ გამოცხადების) ჩამოდგომა გვაუწყა. გადიოდნენ წლები საუკუნეებიდან, საქართველოს ძლიერებას ველარაფერი შეარყევდა თითქოს, მაგრამ ქრონიკული უბედურება მოახლოებული იყო.

*

სოფელ სამხრეთ ანტორიაში პედაგოგმა ხურციძემ მოიძია ქვის ორმეტრნახევრიანი ფალოსი. ექსპონატი თავდაპირველად რაიონულ მუზეუმში უნდოდათ გამოეფინათ, უფრო სწორად, გამოედოთ, მაგრამ რაიონული მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზის სიპატარავისა და არა ძეგლის სიდიდის გამო, იგი ჯერ ქუთაისს მიავლინეს, შემდეგ დედაქალაქში წაიღეს.

საბარგო მანქანის ძარაზე შედეს ადგილობრივმა, მოხალისე არქეოლოგებმა, რომლებთაც ადრევე მოპოვებული ჰქონდათ ისრის პირები, ბრინჯაოს ცულები და ქვის ნაკლებმნიშვნელოვანი, უტილიტარული დანიშნულების საგნები. დაულოცეს გზა მხცოვან, საქართველოს მუზეუმების მესვეურთათვის ცნობილ პედაგოგ ხურციძეს და კუთვნილ ფალოსს, ვერ იტყოდი — სინანულითო, მაგრამ ეჭვით, სწორად ვიქცევით თუ არაო, გააყოლეს თვალი. პირველსავე ხერგილზე გააჩერა ავტომობილი ავტოინსპექტორმა ბღარაძემ და მძღოლს საბუთები შეუმოწმა.

— რა მიგაქვს?! — იკითხა, ქაღალდებში ხელის მოსაჭიდი რომ ვეღარაფერი აღმოაჩინა.

— კითხე ამ კაცს! — უპასუხა დაღვრემილმა მძღოლმა. ზოლებიანი პერანგი ჰქონდა შარვლიდან ამოჩაჩული და ღიპი მოუჩანდა ჭიპთან.

ავტოინსპექტორმა ბღარაძემ კაბინაში შეიხედა, შლაპიან-სათვალიან გამხდარ მგზავრს დააკვირდა, შემდეგ ბორბალზე შედგა ფეხი, მარდად აიწია, საბუთებიანი ხელით დაებჯინა ძარის ქიმს და მანქანის ტვირთს დახედა.

— რა არი?! — ხასიათი ჰქონდა უკვე გაფუჭებული, თუმც ინტერესი — დარჩენილი.

— ფალოსი, — ჩუმად უპასუხა კაბინიდან გადმოსულმა პედაგოგმა და შლაპა გაისწორა ორივე ხელით.

— რა არი?

— ფალოსი, — უფრო დაუწია ხმას, მიწას დააჩერდა. ჩვევაც ჰქონდა ამნაირი: ხმას, თვალებს, ცხვირს დაუშვებდა, თითქოს მსმენელს არ ელაპარაკებოდა. ოპონენტის წამება რაღაცნაირ კმაყოფილებას ანიჭებდა.

— რა არის ფალოსი?

— ყ-ე.

— ყ-ეე??

— დიახ, დიახ...

— და, — თქვა ავტოინსპექტორმა ბღარაძემ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— წავიღო?

— წაიღე, მშვიდობაში მოგახმაროთ გამჩენმა!

— გმადლობთ...

ჰაერი აღარ ეყო ბესარიონ ერისთავს. გააღეთო ფანჯრები, ვეღარა ვსუნთქავ. ფანჯრები ღიაა, ბატონო ბესარიონ!

კარიც გააღეთო.

ღიაა კარიცაო.

— შენ რომელი ხარ?

— ბუდუ ვარ ქვარიანი, ბესარიონ ბიძია...

ბურუსში იდგა და ხმაზე იცნო.

— შენი იმედი მაქვს, ბიჭო, გააღეთ ჭიშკარიც!

გრძელი, კოინდრიანი ეზო ჰქონდა შემორჩენილი და ღია ჭიშკრით შემოვიდნენ შეტირილზე.

ადამიანები ერთნაირად იბადებიან და სხვადასხვანაირად კვდებიან. მოდიან ტირილით, ჭყავილით, მიდიან შიშით, აუწერელი შიშით, ერთეულები — სხვანაირადაც.

— ბესარიონი?

... ბესარიონი ერთი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ კიხოტიო, სერვანტესმა ბრძანა, ჩემთვის დაიბადა ისე, როგორც მისთვის გავჩნდი მე.

ჩემთვის დაიბადა ბესარიონ ერისთავი, ბუდუ ქვარიანი...

და მათთვის გავჩნდი მეც!

*

„... ჩემი დღე ზეგინდელია... ზოგიერთი ადამიანი სიკვდილის შემდეგ იბადება", — ავადმყოფ ფილოსოფოსს უთქვამს.

ვწერთ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არ ვწეროთ; გვამახსოვრდება და ვიმახსოვრებთ; დავდივართ და ვყვებით გუნებაში; წარსულისა და წელიწდეულის გაცრიატებული სურათები ზრიალებენ მახსოვრობაში.

ერთი ახალგაზრდა შემოქმედი ამტკიცებდა: ჭიანჭველები დამიდიან თავში, თავის ნებაზე მატარებენო.

ბაღის კიდეზე გააჩერა მარკოზიჩმა:

— ყმაწვილო, კიდევ დაგიდიან ბუჭინჭველები თავში?

— დიახ, ბატონო მარკიჩ, დაბუჟუიან გარდიგარდმო, თავის ნებაზე მატარებენ...

— არ გაუწიო, ყმაწვილო, წინააღმდეგობა, გაჰყევი და გამოჰყევი, რა გაქვს სხვა საქმე!

ტოლსტოი ბრძანებდა: „... ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ღვთის ნებას ვასრულებდი და ეგ იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები".

მერე ჩვენ, დაბადებით უნარჩევესს, ვინ გვიბოძა ასეთი წუთები!

ჩამოდიოდა დიდი მზე. მოშრიალებდნენ ლურჯი ჩრდილები, ბინდდებოდნენ მთები... გაილანდა წითელი კაბითა და ცისფერი კოფთით, — ჩალის თმითა. კიბე იყო მიდგმული ვაშლის ხეზე და იდგა კიბეზე წითელ ვაშლებში. ალისფერ-მწვანე ფარდაზე ირხეოდა და იყო სულ ახლო, და მიუწვდომელი, ზმანებასავით გაბრწყინვებული.

შენა ხარ ნაწილი მთელისა, ერთიანისა, დიდისა, შენშია ის და შენა ხარ მასში — მუდმივსა და დაუსრულებელში. ნაწილი ხარ წამისა და მარადისისა. შენი ჭურჭელი ხელმეორედ არ შეივსება. სული აღარ უბრუნდება საკუთარ სხეულს... მხოლოდ ერთხელ, ერთხელ სიზმრისფერებში...

*

კანდამსკდარი, ბებერი ბალი, ბლის ხე. ქვეშ მოლია. ანბანია გაფენილი ჭილოფზე, ფერადი ანბანი საზედაო ასოებით. ტოტზე ჩიტია. ჩიტი გალობს. ბავშვი დასურათხატებულ ანბანს ჩასცქერის... და იზრდება წუთობით, დღეებით, დღეთა და დროთა ბრუნვით. დგება დრო გაჩერებისა, სწავლობს, აღარ იზრდება, ითვისებს, აღარ იზრდება; სისუფთავე სისუფთავეს, სიკეთე სიკეთეს, სიყვარული სიყვარულს აღარ ემატება...

ჩამოდგება მაინც ადრე ხანა სირეგვნისა, სიპირუტყვისა; ჩამოიყრება მალი-მალ წლები და დაიწყება უკუსვლით წინ სიარული, დასასრულიც მოახლოვდება. ყველაფერი იყო და იქნება. იყო ბლის ხე და ბალი შეთვალული. გალობდა ჩიტი დღეუშფოთველში.

არ არსებობს დრო, რომლის ათვლაც ერთნაირად შეიძლებოდეს ყოველი წერტილიდან. დრო მიდის და დაფარფატებს ადამიანი-პეპელა აუთვლელ დროში, უთვალავი ფერით მობოძებულ წუთისოფელში.

ექვსი წლის ასაკში შენელდა ღვთის ძალა და თხუთმეტი წლის შესრულების შემდეგ დაიწყო აზროვნების, სიწმინდის, სიკეთის, ენერგიის შეუმჩნეველი, სამაგიეროდ, პროგრესული დეგრადირება, უკუსვლით, წვრთნითა და იძულებით წინ სეარულ.

სკოლიდან კოლექტიურად (ჩვეულებრივი ღონისძიება იყო) წაგვიყვანეს კინოში. ჩაგვკეტეს დარბაზში და სანამ სეანსი არ დამთავრდა (ვუყურეთ ფილმს თუ არა, არავინ დაინტერესებულა), გამოსასვლელი კარი არ გაგვიღეს. მიძალებული კარგიც არ ვარგა და ცუდი რა იქნება, იყო ყვირილი, სტვენა, ფეხების ბრაგუნი დარბაზში.

მოსაწყენი კინოფილმი „მიჩურინი" ამნაირად დამამახსოვრდა. თავად მიჩურინს კი ცხვირში გვტენიდნენ ვირის პიტნასავით და იგი ისედაც გვძულდა. ვნახეთ. გვაჩვენეს. მორჩილების განსამტკიცებლად სხვა უფრო ეფექტური საშუალებანიც მოეძებოდათ. ტრიალებდა გაპირუტყვებისა და სიძულვილის ბორბალი კარგად დაზეთილი მექანიზმების დახმარებით.

უზარმაზარი სარეკლამო ფარ-აფიშაა აყუდებული სასტუმროს წინ, ბაღის კიდეზე.

მ ი ჩ უ რ ი ნ ი

(დასწრება სავალდებულოა)

და მაშინ, როცა „მიჩურინის" ნახვა სავალდებულო იყო, ვიქნებოდი თხუთმეტიოდე წლისა. სწორედ იმ დროს ფიზკულტურის მასწავლებლად დაგვინიშნეს კალათბურთელი ჯემალ იმნაძე. ბევრგან ასწავლიდა და ჩვენი რვაწლიანი სკოლაც შეითავსა. შემოვიდა ლურჯი, სრული პალტოთი — მაღალი, სახემოცინარი, მუდამ მოგვიანე. ეზოში გამოყრილებს მოგვისწრებდა ხოლმე და გვასწავლიდა, უფრო სწორად გვიყურებდა, როგორ ვთამაშობდით კალათბურთს. ყურებდალურჯებულები დავრბოდით, ცალ კალათს (მეორე არ იყო) ვესროდით და ძლივს ვაწვდენდით ბურთს. ქალაქის სასკოლო პირველობაზე, რეგულარულად რომ ტარდებოდა იმ წლებში, გაგვიყვანა და ჩაგვტოვა. უმცროსი ასაკი, უფროსი ასაკი, საშუალო ასაკი მიჰყვა ერთმანეთს და ზაფხულამდე გაგრძელდა. მოვუგეთ მხოლოდ „რვაწლიანებს", წავაგეთ საშუალო სკოლელებთან, ტექნიკუმელებთან, სადაც მეათე-მეთერთმეტეკლასელები და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების მოწაფეები გამოდიოდნენ. მერვე საშუალო სკოლაში, ჩვენნაირი დაბდურებით რომ იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ერთი ნამდვილი კალათბურთელი, ქალაქის სპორტკლუბის აღზრდილი თუ აღსაზრდელი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი რეზო იობიძე თუ იობაშვილი, გვარი ზუსტად არ მახსოვს, თამაშობდა. ჯემალ მასწავლებელმა გვითხრა: რეზო იობიძე (თუ იობაშვილი) დღეს არ მოვა და ამგენს (მერვე სკოლას) ქეც უნდა მოუგოთო. კინაღამ მოვუგეთ მართლაც მაღლებსა და ფეხებდაბრეცილებს, ბურთი რომ უვარდებოდათ ხელიდან. მათი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, პირწმინდათ თავგადაპარსული კაცი, გრინიოვს რომ ეძახდნენ საკუთარი მოსწავლეები, ტყავის საქაღალდით სცემდა ბოლთას სპორტდარბაზში, მალი-მალ იხედებოდა საათზე, სადაა რეზო იობიძეო, ნერვიულობდა. დამთავრდა პირველი ტაიმი, დაიწყო მეორე და გამოჩნდა რეზო იობიძე (იობაშვილი). იანვრის ნათელი დღეა. სპორტდარბაზის ბადე-ფარდებჩამოფარებული ვეებერთელა ფანჯრებიდან შემოდის მზე. ისმის მცირერიცხოვანი მაყურებლის — მოსწავლეების ჭაჭყანი და მუხის პარკეტზე მძიმე ბურთის ცემის ხმა. გალაჟღაჟებული, წითელ კაშნემოფრიალებული მოდის მეათეკლასელი რეზო იობიძე (იობაშვილი).

მთვრალია!

ხვდება გულშემოყრილი გრინიოვი. გაიხადეო, სთხოვენ რეზოს თავაზიანად.

ტანსაცმელს ვიცვლიდით ქანდარაზე, სადაც ვიწრო შიდა ხის კიბით ავდიოდით ხოლმე. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. „პივის“ დასალევად წასულ დარაჯს გასაღები ჩარჩენოდა ჯიბეში. ხეზე მისაყუდებელი ცალფა კიბე გამოათრიეს საიდანღაც და დარბაზის მხრიდან უსწორეს ქანდარას, მაგრამ მოაჯირის სამხობს ვერ მიწვდა. ზედა ფალანგა ქვევით დარჩა. ავა, ვერ ავა... შეიქნა მარჩიელობა. რეზო ადიოდა, უკან იხედებოდა და იღრიჭებოდა. ავიდა, ხელებით ჩაეჭიდა ბირკვილის სამხობს, აიწია, გაექცა კიბე და ფეხებგაფშეკილი დარჩა ჰაერში. შეშინებული გრინიოვის ყვირილში — ასე ქენი და ისე მოიქეციო — გადაძვრა ქანდარაში და უფრო გამხიარულდა. თამაში გრძელდებოდა და აღარ გადიოდა დრო, ჩვენდა სასარგებლოდ რომ იწელებოდა. რეზოც არ ჩქარობდა, დინჯად, აუღელვებლად იცვლიდა ტანსაცმელს, წაგება-მოგება არ აინტერესებდა. ნანერვიულები გრინიოვი იჯდა მაღალი ფანჯრის რაფის ქვეშ და პრინციპულად აღარ იღებდა ხმას. მიეპარა მეთერთმეტეკლასელი ბუდუ ქვარიანი და ქათმის ფრთა (სად მოძებნა, არ ვიცი) გადაუსვა მოტვლეპილ თავზე. მასწავლებელს ბუზი ეგონა, ხელით აიქშია და რეზო იობიძეს გახედა მალულად: ან ჩამოუსწრებდა თამაშის დამთავრებას ან — ვერა. წითელ კედებს იკრავდა და თასმებს („შნუროკებს“) აზომებდა ერთმანეთს. ქვარიანი კი მასწავლებელს უსვამდა თავზე ქათმის ფრთას და ახლობლებს თვალს უკრავდა. გრინიოვი იგერიებდა არარსებულ ბუზებს (რა უნდოდა იანვარში ბუზს), რეზო იობიძის (იობაშვილის) ჩამოყანყალებასაც (კიბით ჩამოდიოდა უკვე) იმედგადაწურული ადევნებდა თვალს. ბუდუ ქვარიანი კი ცეცხლს ეთამაშებოდა; ომიდან არც მთლად მშვიდობიანად დაბრუნებული, ნაკანტუზიარი, ყოფილი მოკრივე გრინიოვი დაახუილებდა სადაც იყო. სხვები კანკალებდნენ ბუდუს მაგივრად და ბუდუს ამაზედაც ეცინებოდა. რამდენჯერმე, უკვე მექანიკურად, აიქნია კიდევ ხელი გრინიოვმა და რეზო იობიძე (იობაშვილიც) გამოვიდა ასპარეზზე. იგი არც ისეთი მთვრალი აღმოჩნდა, როგორც ეგონათ, ჩაიგდო ბურთი ხელში და მოგვიგო კიდეც დარჩენილ წუთნახევრში.

გათამაშების მეორე წრეში რეზოს უკვე აღარ მიუღია მონაწილეობა. იგი კაუნასში, იმჯერზე უკვე ფხიზელი, წაიყვანეს საწვრთნელ შეკრებაზე და ულიდეროდ გამოსული მიჩაჩულ-მოჩაჩული გუნდის დანახვაზე მოგვეცა დიდი გული. ახლა ამგენს მართლა უნდა მოუგოთო, გვითხრა მწვრთნელმა. შენო, პერსონალური დარიგება მომცა, სულ წინ უნდა იყო, არამც და არამც უკან არ ჩამოხვიდე, ჩვენი ფარის ქვეშ არ დაგინახოო. გამიკვირდა, თუმცა ხმა არ ამომიღია. უნდა გამოვტყდე, ბურთს სხვაზე უკეთესად, როგორ და რანაირად ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვაგდებდი კალათში და დავრჩი წინ, სამწუხაროდ, — მარტო. არ ჩამობრუნდეო, მაფრთხილებდა მწვრთნელი მაინც და მივხვდი, რომ არავინ მიჭერდა.

მართალია ბურთს კი ვაგდებდი (ძირითადი მოვალეობა, თუ არაფერი მეშლება, თავდამსხმელისა), მაგრამ ვაგდებდი წვალებით, ჯახირით, ტანჯვით. მარტოდ დარჩენილმა ვერ ჩავაგდე.

ონჭეიშელს მიაწოდეთ! — მესმოდა მწვრთნელის ბრძანება. მაწოდებდნენ და ვერ ვაგდებდი, არა გამოდიოდა რა. რა პრინციპული ტურნირი ის იყო, რაში დასჭირდა ჯემალ ი-ძეს წინასწარი გარიგება, ჩემი მარტო დატოვება, გაყიდულ თამაშში სხვის ფარზე მიბმა?!

კაცი არ მიჭერდა, კაცი არ მაკავებდა და უსუსურობის, უმწეობის შეგრძნება არ მშორდებოდა.

ხორციელი ადამიანი ნამეტანი რთულადაა აწყობილი; დროებით სახმარი, გადასაყრელი ნაწილებით — შარდის ბუშტით, სწორი ნაწლავით, ნაღველით, ტყი-

რპით, სხვათი და სხვათი არის გატიკნილი. არ შეიძლებოდა უფრო სადად, უფრო მარტივად? იგი ხომ მართლაც ევოლუციის შედეგს ჩამოჰგავს.

მართალია, სამასი მილიონი სპერმატოზოიდი მიქრის საშვილოსნოსაკენ ფინალში, მაგრამ მხოლოდ ერთი მესამას-მემილიონედთაგანი ამკვიდრებს სიცოცხლეს, კოსმოსურ მარათონში გამარჯვებულ ერთ მესამას-მემილიონეს, შემთხვევითობისა და აუცილებლობის სპერმას შეაქვს ნათელ წყვდიადში, შეაქვს კოდი წინაპრისა, სიჯიქე, უნარი, ნიჭი წინარე თაობისა. ქინძისთავზე მომცრო მწერი, სულიერის ყველა პრინციპით აგებული მფრინავი, თითის მარჯვე მოძრაობით მიესრისება ზოოლოგიის სახელმძღვანელოს მწვანე ყდას. იყო და აღარ იყო. ნაწილი გახლდათ მთელისა, გასაგებისა და გაუგებრისა, დიდისა, დაუმთავრებლისა, ერთიანისა; მუდმივარსებული პროცესიისა. კაცობრიობას გავლილზე მეტი გასავლელი აქვს. ადამიანი კიო, ამბობენ, აღმოაჩენს სამყაროს ყველა საიდუმლოს და იგი ისეთი მარტივი, გასაგები და ნათელ იქნება, რომ გაოცდებაო თავად აღმომჩენი.

კაცობრიობა ადამიანია და ჩვენც აქა ვართ: აგერ ბურთი, აგერ კალათი. კაცი არ გიჭერს, კაცი არ გაკავებს. აღარც მიჩურინს გტენიან ცხვირში, აღარც სხვა უფრო პატივსაცემ გვამებს. თავისუფალი ხარ.

მერე რა, რომ ვარ: უფრო ვიბნევი, ხელი მითრთის, მუხლი არ მემორჩილება. მიუშვითო, მესმის ხმა შორეთიდან. მიშვებენ. ვიღაც ვიღაცას გაურიგდა ჩემი სურვილისა და ნებართვის გარეშე. განწმენდილია გზა მიზნისაკენ, ჭეშმარიტების შეცნობის თუ არა — შეგრძნებისაკენ. მაქვს ეს წამები. ფარია, კალათია, ბურთია. წინ არავინ. რას შობი ახლა!

ადრინდელი ჯობდა, ალბათობა მეტი იყო ზედახორაში. თავისუფლება კი წამიერია და ამ ვადებშიც ძნელი სატარებელია. ბნელს ვით გაანათებ, ხელისცეცებით რას მიაგნებ არაფერში არაფრის მქონე.

...ონჭეიშელს მიაწოდეთ! იძახიან. ხმა შორეთიდან მოდის.

მიაწოდეთ!

მიაწოდეთ!

ვერ ვაგდებ, რას მაწოდებთ!

*

ჩემი ბოლოდროინდელი აღმოჩენა:

ჩარლზ დარვინს არ უბრძანებია თურმე: ადამიანი მაიმუნისაგან გაჩნდაო. ბატონი დარვინი ამტკიცებს: ადამიანსა და მაიმუნს ჰყავდათ ერთი წინაპარი. არც ზიარი, ადამიან-მაიმუნის, წინაპრობაა საამაყო, მაგრამ რაღაი პირდაპირ მაიმუნისაგან არ მოვდივართ — ვინ დაეძებს.

შემდეგ:

შრომამ შექმნა ადამიანიო.

ჯობდა: შრომამ გააადამიანა მაიმუნი, ანდა: — მაიმუნისა და ადამიანის საერთო წინაპარი, — ნახევრად მაიმუნი, ნახევრად ადამიანი.

მასწავლიდნენ, მარწმუნებდნენ, მიჩაჩქუნებდნენ: შეუშვი მაგ თავშიო — ასეაო. მასე იყოს. ჩემგან რა გინდათ?! შენი თავის გახეთქვა, რა უნდა გვინდოდეს!

ამის პატიება შეიძლება!

ან თავად რას ეხარბებოდნენ? თუ პირუტყვის, ხვადგის წინაპრობა აუცილებელი იყო, სხვა ცხოველი რატომ არ აირჩიეს. შემდეგ გავიგე, მაიმუნებშიც ვერ შეთანხმებულიყვნენ. ერთნი ამტკიცებდნენ, მრავალი სახეობის მაიმუნებისაგან გავჩნდითო, მეორენი პირდაპირ შიმპანზეს ადებდნენ ხელს.

შიმპანზე და ჩვენ.

გვყავდა ერთი წინაპარი. მიუხედავად იმისა, რომ გარემო პირობების ზემოქმედების წყალობით, რასობრივ ტიპებად ვიყავით დაყოფილნი, პრინციპში, ერთ-ტა-ფაში ვიხრუკებოდით ყველანი. ერთი დედის ძუძუ — შიმპანზესი — გვქონდა ნაღეჭი.

ადამის ძენი არ ვიყავით ისედაც. შეიძლება კაცზე ვერ გამოიდო თავი, მაგრამ ერთი ევასაგან არ ვიშ-ვიშვით ღმერთის წყალობით, — სახიერად მისისა.

*

— შენ გწამს, მამაო?

— იმე!!!

— ღმერთი...

— რავა შეიძლება, ჩემო კეთილო, რამე არ იყოს, ვინმე არ იყოს, აპა, უპატრონოდ ვიქნებით მიტოვებული ამოდენა სამყაროში?!

— ხალხს სწამს?

— ხალხს ჩემი ფეხები სწამს... რასაც ხედავს, ის სწამს...

— შენ, თუ ძმა ხარ, ის კაცი არა ხარ, ძაღლებს რომ ხოცავდი? — ჰკითხა ბუდუ ქვარიანმა და მე გადმომხედა.

მამაო — რავა გეკადრებათ, ბატონო!

ბუდუ — ერთად არ გაგვიშვეს აღმასკომიდან ძაღლებზე სანადიროდ? მე თოფი არ მქონდა...

მამაო — (ქსიტინებს) დამავალეს და რა მექნა, ანაფორა კი არ მეცვა მაშინ!

ბუდუ — მასე გეთქვა მერე, რა ცივ ატკაზზე გახვედი, მეც არ ვიფიქრე, მოლანდებები ხომ არ დამეწყო-თქვა, შემეშინდა (ეცინება), მოგეცა მშვიდობა, რო ჩაუჩოქებდა, შუბლში აწებებდა ტყვიას პირდაპირ... მთელი ქალაქის ძაღლები ამან დახოცა... დილის ექვს საათზე გავდიოდით და იყო წკავწკავი და გნიასი, მე თოფი არ მქონდა მაშინ...

მამაო — ანაფორა კი არ მეცვა...

ბუდუ — რა გეცვა, არ მახსოვს, ძაღლი რომ არ გაგეშვებოდა ვიცი, ირლანდიური სეტერი რომ მოუკალი კორნელი ჭაჭიაშვილს...კინაღამ გადაჰყვა ის კაცი ძაღლის დარდს...

მამაო — დამავალეს. ჩემი ძაღლი რომ დაინახო, ესროლეო, პირველმა მდივანმა მიბრძანა...

ბუდუ — სად ყავდა პირველს ძაღლი?!

მამაო — ყავდა, არ ყავდა, ასე კი მითხრა!

ბუდუ — შენ დაგიდგა კაი კვირა, ძლივს არ ვიცანი, ღმერთმა გაგიმარჯოს!.. — იცინოდა და არ უნდოდა, დადინჯებას ვერ ახერხებდა, — ჩაუჩოქებდა, გაჩიჩმავდა... ზაუერი ჰქონდა, არ ამოხოცა მთელი ძაღლები, შენ დაგიდგა კაი კვირა, კაცური კაცი!

*

ზაფხულია. სუფრაა გაშლილი ბებერი მსხლის ქვეშ, მთვარიანში. ვარსკვლავებითაა მოჭიქული ცა. ფანდურელის ჩხრიალი და ღამის ფრინველების ჭვრინვა ისმის შორიდან.

— ბატონო მიტუშა, ყველაფერი ბრუნავს, კარგად მოგეხსენებათ, ყველაფერი უბრუნდება საბრუნველს...

— არაფერი არ ბრუნავს, ბიძია, ტყუილია მაგი. მაღაზიის ყარაული ვიყავი მე, შვიდი წელი გარეთ მეძინა... — ენა ეჩლიქება, წ-სა და ტ-ს ერთ ბგერად ამთლიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთვარე ჩადის და მზე ამოდის და ესაა... ასე იყო სულ...

— ჩვენ რომ ვარ დედამიწაზე?

— მერე?!

— დედამიწა რაზეა?

— წყალზე.

— წყალი?

— რა წყალი?

— წყალი რაზე დგას?

— არ ჩამჭრა, ბიჭო?! არ დამიწყოთ ახლა: კვერცხი ადრე გაჩნდა თუ წიწილა... რა ვიცი მე, რომელი უწინ გაჩნდა კვერცხი თუ წიწილა...

წიწილას ვერ გამოთქვამს. უჭირს.

— წტინწტილა... დალიე, ბიძია, მაგი, ტყუილა რო გიჭირავს ხელში, სასმური, წასულების სადღეგრძელოა, სადაც იყვნენ, იქ გაუმარჯოთ!..

— სული გწამთ?

— სული არ ვიცი მე, სულიც აქ დაგრჩება და გულიც, ფეხებიც, რაცხა იმისი არ იყოს... ეხ, მიტუშა, მიტუშა შენი ბოხოხი მომცა და ჩემი თავი, არ მინდა მეტი არაფერი!

*

მოუვლელი სასაფლაო ძელქვიანში. ძეძვნარი, ჯაგრცხილები. კვრინჩხა. კუნელი (კურკანტელა). ზედა მხარე, შედარებითია ყველაფერი, მდიდრული და, ცხადია, უგემოვნო. საფლავ-სახლები, საფლავ-გალიები. ერთი სამარის გისოსებთან შედგა ფოსტალიონი (მეგონა, გზას იმოკლებდა) შეჰყო ხელი გისოსებში და შეყარა სიგრძივ გაკეცილი გაზეთები სამარე-გალიაში; ბეტონის მოზაიკიან მაგიდაზე გაადენინა ტყაპანი ფოსტას.

— რა ქენი, თუ კაცი ხარ, მითხარი?!

დაღლილ-დასიცხული ფოსტალიონია, აღარსად ეჩქარება, უტყობა, მაინცდამაინც.

— გაზეთები მივუტანე, ბატონო.

— ვის, კაცო, მკვდარს?

— გამოწერილი აქვს და რა ვუყო?

— ვის, კაცო, მკვდარს?!

— მკვდარი უძახე შენ... მოვიტანე „კომუნისტი", „სავეტსკი სპორტი", „ლელო" და „კომსომოლსკაია პრავდა"...

— ამოვლენ ჭირისუფლები და წაიღებენ?..

— არა, ბატონო, ოჯახში ცალკე აქვთ გამოწერილი... ეს ამისია, მიშა ერქვა ცხონებულს, მიხეილი...

— გაუმარჯოს მიშას, მიხეილს, სადაცაა იქ გაუმარჯოს!

— სადაცაა იქ გაუმარჯოს!

— ის ძეძვნარი გაგეწალდათ მაინც, კაცი ვერ გაივლის...

— არ არსებობს, ბატონო, ალაგი, სადაც ადამიანისშვილი ვერ გეიარს... მაიმუნისაგან არ ვართ წარმომდგარი?!

მაიმუნობა ღმერთსაც უარყოფდა. მარქსისტები ულმერთობას ამკვიდრებდნენ და ადამიანსაც აბითურებდნენ... კიდევ რაღაცაში უნდა ყოფილიყო საქმე... აქ მეტი დაკვირვებაა საჭირო.

ისე, გამაიმუნებული ადამიანიც უნახავთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. დადასტურებულია, რომ ადამიანის შვილი გაუზრდიათ მაიმუნებს მაიმუნურად, მაიმუნის რძითა და საკვებით. ამ რამდენიმე წლის წინ აფრიკაში, უგანდის ჯუნგლებში იპოვეს ბიჭუნა, ექიმების ვარაუდით, შვიდიოდე წლისა, რომელსაც დღემდე ერთი დანაწევრებული სიტყვაც ვერ წარმოათქმევინეს. მგონი, ახლაც საბავშვო სახლში ჰყავთ, წვრთნიან, ზრდიან, არა გამოუდით რა. ულრან ტყეში გაზრდილს, მხეცთაგან ძუძუნაწოვს ტყისკენ გაურბის თვალი და გულისყური. წკმუტუნებს, ტკვერს ნედლ ყლორტებს, სათამაშოებსა და თანატოლებს ზედაც არ უყურებს, ოთხზე დგას, ჭყივის, ხან ქვითინებს. ზედამხედველ-მეცნიერთა განმარტებით და ანალოგიურ შემთხვევათა მოშველიებით, ბავშვს უსაშველო ჭირს, ამქვეყნიური პირი არ უჩანს.

თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანის ჩამოყალიბებას ბარე ორი მილიონი წელი დასჭირდაო, ძნელი ასათვლელია, მაგრამ დაუჯერებელი არაფერია; წამოვედით და მივდივართ, გვჯერა, მარა უკან დაბრუნებას რომ არაფერი უნდა, ასეც ხომ ცხადია. მუნჯის ალაპარაკება რთულია, მოლაპარაკის დამუნჯება — იოლი. კაჟის დანის გაკეთებას თაობები (პირველყოფილი) შეეწირა. ტვინის ჩახვევას მილიონი წელი მოხმარდა, გამოტვინებას — არაფერი. ამის დასტურად ტყეში გაზრდილი ბავშვების, მხეცთაგან ნალოლიავებ ადამიანის-შვილთა „აღზრდის" მრავალი და მრავალი ისტორია გამოდგება. სწორედ ამ ნამდვილი ისტორიების წყალობით და მხატვრული ლიტერატურის („მაუგლი", „საიდუმლო კუნძული" და სხვა) მოშველიებით დავარქვი ადამიანის დეგრადირების, უკუგანვითარების პროცესს აირტონიზმი. ადამიანი ცოდვის ნაყოფია, მისი ვარსკვლავი მრავალჯერ მიიბჟუტება, აინთება, გაკაშკაშდება და თავიდან...

სიცოცხლის „ევოლუციისათვის" დედამიწის ასაკი არ კმარა: ჩამოველით და წავალთ ყოველ მეორედ მოსვლაზე.

სამყარო ადამიანის უჯრედში დევს. იქაა შემოსაზღვრული მისი შესაძლებლობის ფარგლები. კოდი შეიცავს წინაპართა და შთამომავალთა ეფემერიდებს, მუტაციებს (ევოლუციურ ნახტომებს), სხივის საწყისში დაბრუნების ელიფსებს. ადამიანი აზრით და არა სვლაგეზით ასცდა მარტივიდან რთულისაკენ მიმავალ ჭეშმარიტისეულ გზას; რთულიდან რთულისაკენ, ბუნდოვანებიდან ბუნდოვანებაში წავიდა ხელისცეცებით, უკან დაბრუნება (რთულიდან მარტივისაკენ) შვებას მიანიჭებს მას; მიხვდება, რომ სამყარო მარტივად, სადად (აქაა სირთულე ჩადებული), გასაგებად ყოფილა აწყობილი;

და ის თავისი გაჩენის კანონზომიერებაში დარწმუნდება, თუმც აუცილებლობას ვერ გაიგებს.

რეინკარნაცია მტკივნეული იქნება. ხელახლა დაბადების შიში სიკვდილივით შეაწუხებს. კაცობრიობას ისეთი არაფერი შეუქმნია, რის შექმნასაც ხელახლა ვერ შეძლებს. რაც შექმნა, იმას შექმნის.

ტრისმეგისტორი, — უძრავი მოძრაობა. შეგრძნება უძრავი სრბოლისა.

ამ დროს ხარ ყველაფერში ერთდროულად: იდეაში, პერსპექტივაში, ჩანასახში, საშოში, შობის პროცესში, აწმყოში, წარსულში, მომავალსა და ფიქრში. ფიქრი რჩება სულ-ხორცის გაყრის შემდეგ და კვდება სულის უკვდავებასთან ერთად. სულიც მოკვდავია, იგი ემორჩილება გარდაცვალებას.

ჯერ ფიქრში, შიშსა და არა ნეტარებაში. შეცნობა — არ არსებობდი და ხარ — მტკივნეული იქნება. სწორია, ვინც თქვა, სინათლე და აზრი ერთი და იგივეაო.

სინათლე და ფიქრი.

ფიქრი სინათლეზე სწრაფია; უკვდავება სინათლეა; ფიქრი მოიცავს სინათლეს.

სრულყოფა სიცოცხლეში ერთეულთა ხვედრია. კარმა განვლილ ცხოვრებაში ჩადენილ საქციელთა ჯამია. იგი განსაზღვრავს შენი ხელახლა დაბადების ადგილ-ძება-გარდასახვის ხასიათს. ამ პროცესს არ აქვს დასაწყისი, მაგრამ შეიძლება ექნეს ბოლო. ესაა ნირვანა. სხეულიდან გასვლისა და დაბრუნების ცდა, ილუზია, — გარდაცვალება გარდაცვალებამდე.

ვარსკვლავები იბადებიან და კვდებიან. ის, რაც დაიბადა — მოკვდება. ზევარსკვლავი იზრდება, წითლდება, მზევდება, — ეს აგონიაა...

შემდეგ!

შემდეგ რაა?

ულრანი.

ხელისფათურით სანამდე ივლი ბნელის ნათელში.

უკან ნუ ბრუნდებიო, მეძახიან, არ წამოხვიდე უკან, არ წამოხვიდე!

წადი შენც წინ, რა გენაღვლება! კაცი არ გაკავებს.

უარესია.

— ონჭეიშელს მიაწოდეთ!

მარტოა ონჭეიშელი, მიაწოდეთ!

რა გამოვა მერე: ბურთი ცარიელ კალათშიც არ ჩავარდება, ფარს მოხვდება.

ხმას გამოსცემს?

*

მერიმემ ბრძანა: მე ანეკდოტი მიზიდავს, წერას, თხზვას ანეკდოტით ვიწყებო; ანეკდოტში ამბავს, არაკს გულისხმობდა, თორემ ანეკდოტები ნამდვილად არ ეყვარებოდა იმ პირქუშ ტალანტს. ყურად ვიღე მაინც ეს ამბავი და ბევრი ნამდვილი ანეკდოტი (არაკი, ამბავი) მოვიპოვე; ვისმინე, ვიმახსოვრე. მინდოდა დამეწერა **„პოლიტიკური დეკამერონი“**. პოლიტიკა პროსტიტუციაა, ვილაცას უთქვამს, მაგრამ იქამდე, ამ თვალსაზრისით, არ ავმჩატებულვარ, დიდ პოლიტიკას სერიოზულად არ შევთამაშებივარ, არც ჩვენი საუკუნის, ჩვენი იმპერიის ოცდაათიანი მძიმე წლების ათ დღედ დალაგება (გაორმაგება?) მიცდია. თვალითმხილველთა, დაობლებულთა, უსამართლობის წნეხში მოყოლილთა მონათხრობებს, კომუნისტური რეჟიმის სისასტიკეს, აბსურდულობას, დროის გადასახედიდან, იუმორი რომ გაერია, მაშინ დადგა დრო წერისა; ქაღალდზე მინდოდა გადამეტანა ის, რაზეც ფიქრიც არ შეიძლებოდა, თუმცაღა დროის ცვალებადობა იგრძნობოდა, იგი იცვლებოდა კიდეც და იმედი კრთოდა შემოქმედის (ჩემზე არაა ლაპარაკი) თვალთაგან. მე ისევ დროს ველოდი; დრო მოსულიყო და წასვლას აპირებდა. დრომ გამასწრო. ისე კი, დრო მუდმივია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის. მისთვის ის არც მიდის, არც მოდის. ნაქნარი თუ ფასს კარგავს, დროის ცვალებადობის მიხედვით, ის ნაქნარი არაა, დრომ ვერ უნდა მოსპოს, ვერც უნდა გაახუნოს ფოლიანტები...

დრო.

იგი ხომ იყო, ხომ არი, ხომ იქნება...

მატერია გაქრება და...

დრო და სივრცე დარჩებოდა, ეგონათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლოგი

ქალაქი ცივზღვისმხარეთში (კაზუსი)

სანაპიროზე, ბაღში დგას ლენინის მონუმენტი.

რუსეთის მოქალაქე, მამაკაცი 54 წლისა ავიდა მონუმენტზე, გაშვერილ ხელზე ჩამოაბა თოკი, გაუყარა ყულფში თავი, ჩამოეკიდა. თოკი გასხლტა, ჩავარდა, დაეცა გრანიტის ნახნაგოვან ლოდს და მოკვდა.

თვითმკვლელობა,

თუ უბედური შემთხვევა!

ეს მოხდა 1998 წლის 21 სექტემბერს, ოცდამეერთე საუკუნის ჩამოდგომამდე ორი წლით ადრე.

პირველი და სულ იოლი შესაძლებელია, არა უკანასკნელი შემთხვევა ლენინის ძეგლზე თავის ჩამოხრჩობის მცდელობისა.

*

გერმანელმა სტუმარმა თბილისში, ლენინის დიდი ძეგლი როცა ნახა ლენინისავე მოედანზე, იკითხა: რატომ აცვია ამსისქე პალტო ამ სიცხეშიო.

— ზამთარში აქაც ცივა.

— ვიცი, — სათვალე გაისწორა გერმანელმა, როცა თარჯიმანმა სერიოზულად გადაუთარგმნა ჩვენი კომენტარი.

— ვიცი და მაინც... ამ სამხრეთულ ქალაქში?..

უცნაურია თუ უცნოური — არა.

ამნაირი კითხვა გუნებაშიც კი არ დაებადებოდა აქაურ კაცს.

შეიძლებოდა შილიფად: თეთრი ან რუხი ფრენჩით თბილისში, ზღვაზე, ქობულეთში — საბანაო კოსტიუმით, აბანოში უკოსტიუმოდ და სხვა. სეზონურ დიფერენციაციაზეც შეიძლებოდა ფიქრი ურემის გადაბრუნების შემდეგ.

არადა, მართლა: რატომ ეცვა პალტო სიცხეში, მზეში. ისე რა იმ გერმანელი სტუმრის საქმე იყო, რატომ ეცვა სიცხეში, ანდა ჩვენ ვინ გვკითხა, რა ჩავაცვათო, როცა ჩააცვეს.

და იყო სიცხე. აგვისტო. იდგა პალტოთი მოედანზე ჯიუტად, წარბშეუხრელად. მოდიოდნენ წითელყელსახვევიანი პიონერები, მკერდათქვირული პიონერთხელმძღვანელები დაბადებისა და გარდაცვალების დღეებზე; მოდიოდნენ დაფდაფებით, საყვირებით, ყვავილებით; მოდიოდნენ კომკავშირელები „ვენოკებით", ლურჯ კოსტიუმზე მიღუებული წითელი სამკერდე ნიშნებით.

და იდგნენ მზეში გამხდრები, ტანადები, წყლისფერი უნდო თვალებით, ორაზროვანი მზერით. მოჰყავდათ უცხოეთის დელეგაციები ცეკას ნამდვილ მდივნებს, საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრებს. ტანსრულნი, მუცელნაპატიებნი თვალს უკრავდნენ დროდადრო ერთმანეთს და მაინც იდგნენ მუცლებით, ქსიტინით, ოფლის დენით, ცხიკვებით.

— გაზრდა!

— გმადლობთ.

— ამის მეორედ მოსვლამდე არაფერი გეტკინა!

ხვატი.

აპარპალებული, აჭრიანტებული ასფალტი. ხორცისფერ კვარცხლბეკზე იდგა თბილი პალტოთი. მოდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ გულგარეთ, გაპარჭყული ხელის ჩრდილს თავშეფარებულნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

ერთ დღეს მიადგა თვითმცლელი, ძარა ააყირავა და ჩამოცალა ფიცრები, და ანეული ძარითვე, ბოლის ფრქვევით დატოვა იქაურობა. რამდენიმე დღის შემდეგ აღიმართა ხარაჩო პრიმიტიული ფიცარწყობით, ხარაჩოზე ავიდა თეთრხალათიანი გამხდარი კაცი საჭრეთლით.

კაცი მუშაობდა აუჩქარებლად ლენინის ზურგს უკან, ლენინის ბეტონის პალტოს ჩეროში. ნაშუადღევს კაცი ისვენებდა, იჯდა ხარიხაზე, მობრუალე, აპარპალებულ მანქანებზე ფეხებგადმოყრილი, შეექცეოდა ბუტერბროდებს, აყოლებდა წყალს ბოთლით. რას აკეთებს, კითხულობდნენ მანქანის სარკმელთან თავგამოყოფილი მგზავრები, გამვლელები. ქალაქის მამებიც დაინტერესდნენ ბოლოს ამ ამბით. ხელისგულივით ჩანდა რატუშის ზედა სართულიდან მოედანი, ძეგლი, კაცი.

— რას ვაკეთებთ? — ქალაქის მამების მამა დაინტერესდა.

— წარმოდგენა არა მაქვს, ანდრეევიჩ! — აღიარა მრავალთაგან ერთ-ერთმა, — ვიცემ.

— გაიგეთ, კაცო!

— კი, ანდრეევიჩ! — ვიცემ უპასუხა.

— რას აკეთებ მანდა?!

— აა!.. — ყურზე ხელი მიიდო ოსტატმა, რატუშიდან წარმოგზავნილთ დააჩერდა.

— რას შობიო, გეკითხებიან! — გადაუთარგმნა ერთმა.

— ვკვეთავ.

— რას?

— სტალინს... — წამოდგა. სახელო გადაუსვა ეპიტაფიას. — წინიდან იქნება ლენინი, უკანიდან — სტალინი.

— ჩამობრძანდით ძირს, თუ შეიძლება.

— უსასყიდლოდ ვმუშაობ, ჩემი ხარჯით, ჭამით...

— ჩამოდი, შენი გამომნათლავის დედა მოვ-ან...

*

ლენინს მე პირადად ვოთხჯერ შევხვდი, უფრო სწორი იქნება, ვერ შევხვდი. რომელი ყრილობა იყო აღარ მახსოვს, ან იყო მეცხრე ან იყო მეათე. ლენინს უნდა წაეკითხა საანგარიშო მოხსენება და ვერ წაიკითხა, გამოაცხადეს რომე, ისო, შეუძლოთააო... ეს იყო ჩვენი, ჩემი პირველი შეხვედრა.

მეორე ამბავი ამნაირად იყო: საბჭოების ყრილობაზე, ყრილობაზე, უკაცრავად, არ მოვიდა, უნდა მოსულიყო, გვითხრეს რომე ვერ მოვაო, სესიაზე მოვაო, სესიაზეც ვერ მოვიდა, ავათააო...

მესამეხელ-ხელ, ხე, ხუ კომინტერნის ყრილობაზე არ მოვიდა, და გული დაგვწყდა ძალიანი...

მევოთხედ ლენინს შევხვდი შემდეგნაირად: ჩატარდა კომკავშირის ყრილობა. ყრილობას ლენინი არ ესწრებოდა. მერმეთ გადაგვარჩიეს აქტიური კომკავშირელები, შენ ხარ ჩემი ბატონი, სხვადასხვა რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანელებიც იყვნენ და წაგვიყვანეს მატარებლით გორკაში. მატარებლიდან ვიარეთ თოვლში ფეხით. სასახლეში, სადაც ლენინი ისვენებდა, რასაკვირველია, არ შეგვიშვეს, შეუძლოდ არისო,

წამოვედით, შენ ხარ ჩემი ბატონი, უკან, ჩავჯექით, უკაცრავად პასუხი, მატარებელში და მოსკოვს რომ მივუახლოვდით, გამოაცხადეს — ლენინი მოკვდაო. ეს მოხდა ათას უკაცრავად, ათასცხრაას ოცდაოთხი წლის, შენ ხარ ჩემი ბატონი, ოცდაერთი იანვარს, რასაკვირველია. მე ამას დავარქვი მეოთხე შეხვედრა ლენინთან.

— ბატონო ლონგინოზ, მკვდარი მაინც თუ ნახე?

— მკვდარი, რასაკვირველია, ვნახე მავზოლეუმში, ძველი ბოლშევიკები შეგვიშვეს ურიგოდ, მაგრამ ქოლგა მომპარეს, ზონდიკი...

*

შენი სიკვდილის ამბავი რადიომ მოგვაწვდინაო... ამნაირი ხალხური (?) ლექსის დასაწყისი ჩარჩა მეხსიერებაში.

იქ კი რადიოც არ ყოფილა. ლენინის სიკვდილი გაყინულ-გათოშილ რაიონულ ცენტრში აიტანა ვინმე ბურდულმა. გაოფლილი ცხენის აღვირი ჩამოაცვა მარგილს, ავიდა აივანზე და მიადგა პირდაპირ რაიონული დაქვემდებარების მილიციის კომისარს, შემდგომში საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს, ყოფილ მეხერხეს ვ. ბ-ძეს: ლენინი მოკვდა, შენი კვნესამეო. რას ამბობ, შენი ასე და ისეო, უყვირა, ამოიხმო წითელრაზმელები და დააპატიმრა ბურდული, როგორც პროვოკატორი და დეზინფორმატორი. ჩააყუდეს სარდაფში თბილისიდან ამომგზავრებული, დაღლილი, ღამენათევი, შინ არმისული ბურდული. შეთენდა და ლენინის გარდაცვალების ცნობაც ამოლლიტეს ტელეგრაფის აპარატს. შემოჰკრეს გლოვის ზარს და შეყარეს მოსახლეობა ახალგათენებულზე რევკომისა და მილიციის მოედანზე; ჩაატარეს სამგლოვიარო-საზეიმო მიტინგი. ცივ სარდაფში გამომწყვდეული ბურდული რკინის გისოსებიდან უყურებდა ფეხებს და ზოგიერთებს ცნობდა კიდეც ფეხებით, გულდათუთქულ ორატორებსაც უსმენდა და თავის წინდაუხედაობას მისტიროდა.

მოვიდნენ გადაშუადღებულს ბურდულთა დიდი ოჯახის თავკაცები, სახლიკაცი მოიკითხეს. რაზე ზისო, დაინტერესდა რაიონული დაქვემდებარების კომისარი ვ. ბ-ძე და ნამტირალევი თვალები მოისრისა. ბელადის გარდაცვალების ამბავი გამცნო, გული კი გატკინა, მარა ლენინი მართლა მომკვდარა და გამოუშვი.

— ვინ გამოვუშვა! — თვალები გადმოკარკლა ვ. ბ-ძემ, საქართველოს მთავრობის მომავალმა თავმჯდომარემ, ყოფილმა მეხერხემ. — რა კარგი ამბავი მაგან ამომიტანა, ჩავალპობ ციხეში!

რადიო ირწმუნეს, მაცნეს არ დაუჯერეს, ფაქტია, მაგრამ მაინც უფრო მარტივად და გასაგებად იტყობინებოდნენ და იჯერებდნენ გარდაცვალების ამბავს მაშინ, ვიდრე ჩემს დროს. მე პირადად სკოლაში შესვლას აღარაფერი მაკლდა, როცა გავიგე, რომ ლენინი მართლა მომკვდარი ყოფილა. მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარაო, მესმოდა და მჯეროდა.

მოვიდა დაეჭვების, მართლა აღდგა თუ არას, ასაკი.

თუკი მოკვდა, როგორ არ მოკვდა?!

და მაინც, ვადაზე ადრე მივხვდი, რომ იგი მართლა მოკვდა; თუმც უარყოფის საკმარისზე მეტი საბუთი მქონდა და დამრჩა.

მოკვდა და არ მოკვდა.

ფორმულაა, რომელიც არც ისე დაშორებულია საგნის, სუბსტანციის არსს.

კარგა ხანი, დაწყებული იქიდან, როცა ლონგინოზს „ზონდიკი" მოპარეს, დღემდე იხეირა იმისმა, არამარტო იმისმა, განსხეულებულმა იდეებმა და იგი მაინც მოკვდა ან არ მოკვდა, ლენინზე აღარაა ლაპარაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I
თეთრი ფურცელი

1.

პედაგოგი კაცი იყო. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ჯერ გიმნაზიაში, შემდეგ თბილისის ერთ პრესტიჟულ სკოლაში; დაწერილი ჰქონდა სახელმძღვანელო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაზე. ცნობილი იურისტის ოჯახში აღზრდილი, განათლებული, სიტყვაძვირი, ავისა და კარგის დამნახავი.

დაიჭირეს დროული კაცი, ოჯახის მამა, პედაგოგი, საკუთარი ღირსება, ცოდნა-გამოცდილება რომ არ დაუმადლებია არავისათვის მისდღეში.

ხალხის მტერი აღმოჩნდაო, განაცხადა მოულოდნელად სკოლის საერთო კრებაზე სკოლის დირექტორმა ა. ვარდოსანიძემ. თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ სხვისი ხმა აღარ ესმოდა, უფრო უარესის მოლოდინის შიში ჩასდგომოდა თვალებში. ისიც მტერი აღმოჩნდა სულ მალე, გააქანეს სად ჯერ იყო, მაგრამ ამჯერზე პედაგოგზე, ვინც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაზე დაწერა სახელმძღვანელო, გვექნება ლაპარაკი და არა დირექტორზე.

დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ აორთქლდა პედაგოგი. იტრიალა ცოლმა სასამართლო-ციხესა და სუკს შუა. სადარბაზოები, კაბინეტები, კარები; რკინის კარი, ხის კარი, კარები. გადასახლებულია მიმოწერის გარეშე, აცნობეს ბოლოს თავრეტდასხმულს. ქმრის ხმა და ბუსუნი კი აღარ მიწვდენია მის ყურთასმენას.

მზიბრუნვაში გავიდა დრო. დაიზარდნენ ხალხის მტრის ვაჟები. უმცროსს ბუნდოვნად, უფროსს სახიერად ახსოვდა მამა; გადამალულ ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ ხანდახან, მამის მშვიდ, ღიმილიან ხატებას დასცქეროდნენ შუბლშეჭმუხნილნი. კრაველის ბოხოხი ეხურა ერთგან, ერთი თითის დადება ულვაში უმშვენებდა მოგრძო სახეს.

დიდი ომი რომ გასრულდა, ქვეყანა რომ ქვეყანას დაემსგავსა რაღაცნაირად, ქალმა ისევ საკუთარი ქმარი მოიკითხა; იმდენი განცხადება და თხოვნა დაწერა, რომ პასუხიც მოუვიდა: თქვენი მეუღლე, მსჯავრდებული ესა და ეს ჟივ, ზდოროვ, რაბოტაეტ (სადო არ ეწერა) პო სვოეი სპეციალნოსტი. ცოცხალი აღმოჩნდა, თან ჯანმრთელი. ასწავლიდა თურმე ქართულ ლიტერატურასა და გრამატიკას სადღაც, სავარაუდოა, ციმბირში, კალიმაზე თუ კალიმაში ან იმ ტერიტორიებში; შეიძლება წიგნიც — ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა — გამოუცეს ქართულად.

ატრიალებდნენ ამ „ცნობას" ოთახში და იმედის ნაპერწკალი უღვიოდათ მაინც ერთხანს. შეტყობინება იყო ნამდვილი, შიგ წერებული არანამდვილი, დაუჯერებელი. უიმედობა ზეიმობდა, ქალი მაინც არ ისვენებდა. ნათესავმა ჩეკისტმა, ადგილობრივ ციხე-კოლონიებს რომ ზედამხედველობდა, საიდუმლოდ დააგზაკვალიანა: ყველა ლაგერში (დაამისამართა თან) გაგზავნე შეკითხვა: ამა და ამ გვარისა და სახელის მქონე მსჯავრდებული იმყოფება თუ არა თქვენდამი რწმუნებულ შრომა-გამოსწორების ლაგერში? მოგივა პასუხები, ესა და ეს მსჯავრდებული ჩვენდამი რწმუნებულ ლაგერში არ ირიცხება, საიდანაც პასუხი არ მოგივა, დაიმახსოვრე, ე, იქაა; ჩემი სახელი არ ახსენო მხოლოდ არც ცხადში, არც ძილში, არც სიზმარში, არ დამლუპოთო. კაი კაცი აღმოჩნდა. დააგზავნეს მართლაც ყველა კოლონიაში, მთელს გულაგში შეკითხვები — არის თუ არ არის ესა და ეს კაცი თქვენთან. მათდა გასაოცებლად და სამწუხაროდ ყველა მისამართიდან დაუბრუნდათ პასუხი — უარი: აქ არ არი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი არსად იყო.

მოკვდა სტალინი. დაიხსნა ციხეთა კარები. დაბრუნდნენ ბევრთაგან ცოტანი და მაინც მრავალნი. პედაგოგის თვითმხილველიც არ გამოჩნდა. დაიწყო ბარეულ-ბილიტაციო პროცესები, უდანაშაულობის დამადასტურებელი ქაღალდების ცემა და სხვა. ბოლო-ბოლო დაიბარეს (რატომღაც სამხედრო პროკურატურაში) პედაგოგის ჭირისუფლებიც. წავიდნენ სამხედრო პროკურატურაში თმაში ჭაღარაგამორეული ბიჭები. გაიგეთო, გააყოლათ სიტყვა დაპატარავებულმა დედამ, რაში დადეს მამათქვენს ბრალი, რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ, სად წაიყვანეს, სად არი...

გავიგებთ აბა, რას ვიზამთ, აბა, რისთვის მივდივართ, დაიქადნეს.

დაბრძანდით. გთხოვთ. თავაზიანად დახვდათ პროკურორი (რუსი). დასხდნენ სიჩუმეში. გადმოიღო პროკურორმა, კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ჯვალოსფერი საქაღალდე, გაიკეთა სათვალე.

საქმე N. გვარი, სახელი, მამის სახელი პედაგოგისა, რუსულად, რასაკვირველია. შტამპი, ბეჭედი და რამდენიმე ნომერი. გახსნა საქაღალდე. თეთრი ფურცელი დევს შიგ, — ერთადერთი თეთრი ფურცელი; გადააბრუნა, თეთრი ფურცელი, გადმოაბრუნა, თეთრი ფურცელი. დაკეცა და თავდაყირა დადო: ფაბრიკა „კრასნი პროლეტარი". საქაღალდეების დამამზადებელი კომბინატი. წაღმა დადო, პედაგოგის გვარი, სახელი, მისამართი, მამის სახელი.

— სწორია? — სათვალე გაისწორა.

— სწორია.

— ძალიან კარგი...

შტამპია, ბეჭედია, ნომრებია, გატარების თარიღია. გახსნა საქაღალდე ხელახლა. შიგ თეთრი ფურცელია ერთადერთი.

გადააბრუნეს, — თეთრი ფურცელი, გადმოაბრუნეს, — თეთრი ფურცელი.

2.

ხვრეტა-დაჭერების დროს ქართული ხელოვნების დეკადა გაიმართა მოსკოვში, — იმპერიის დედაქალაქში; რეპრესიები გრძელდებოდა, დოლ-გარმონის ხმები გამოდიოდა სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზებიდან.

საქართველოს წარგზავნილები ერთ მშვენიერ დღეს სტალინმა საკუთარ აგარაკზე დაპატიჟა მოსკოვგარეთ. გაიმართა პურობა და კონცერტი მოწვეულთა ძალებით. იყო სტალინის, რასაკვირველია, და პატარ-პატარა ბელადების ქება-დიდებაც დასაშვების ფარგლებში. დიდმა ბელადმა ძველი ნაცნობები მოიკითხა, გამოელაპარაკა ლოტბარ-მომღერალს, რომელსაც ყმაწვილკაცობიდან იცნობდა:

— სანდრო, შე ძველო, პაჭკორიამ როგორ გაჯობა?! — ქართულად ეკითხება სასმლისაგან თვალებაპრიალებული.

— მაჯობებდა, მა რა იქნებოდა, — გულღიად პასუხობს სანდრო, — მაგასა, პაჭკორიას ანსამბლსა მეგრელიძის მომღერალთა გუნდი მოუერთეს, მე კი სოლისტები დამიჭირეს მჭედლიშვილები, ჯიღაურები...

— ის თეთრწვერა ბერიკაცი, კახური ქუდით რომ იყო ჩამოსული?

— ისა.

— ვაა! — თქვა სტალინმა თბილისქალაქური ინტონაციით, ულვაშების სწორებით. — მერე არ გაგაფრთხილეს არ თქვაო? — კაი ხასიათზე იყო.

— როგორ არა, ხელიც მომაწერინეს...

— ვინ დაგიჭირა სოლისტები?

— არ ვიცი!

— ეე, ახლა არ მომწონხარ... — ეღიმებოდა. იღლია ჩამოადო სკამის საზურგეს, კიტელის ცალი ლიპა ბეჭი და გარეჯიბე ზევით ავიდა.

— ბერიოვ! — თითით მოიხმო საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ლავრენტი.

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ! — გაფოცხილ ულვაშებს გამოშორდა, წინ გადმოინაცვლა პენსნემ.

— რატომ დაიჭირე ჩვენი სანდროს სოლისტები, მომღერლები?

— დააპატიმრეს კი რამდენიმე მათგანი, ტერორისტულ-შპიონურ მოქმედებაში არიან ეჭვმიტანილნი, ძიება მიმდინარეობს.

— ტერორისტები, შენ ამბობ... — რუსულად ეკითხება.

— ზუსტად ეგრეა... — მანამდეც რუსულად პასუხობდა.

— ამოიღე ბლოკნოტი, — ჩაიწერე გვარები და გამოუშვი!

წავიდა. გაყვნენ. ურიამულმა და აღტაცების შეძახილებმა სხვა კუთხეში გადაინაცვლა.

სანდრო დარჩა ბერიასთან, უბის წიგნაკი და კოხტად წვერწამახული ფანქარი ეჭირა. ლოტბარი შეაშფოთა არა შუშებმიღმა დარჩენილმა შუშისფერმა თვალებმა, არამედ ირონიულმა მზერამ, სტალინს რომ გაჰყვა.

— შემდეგ!

ვერ გაიგო, რა შემდეგ.

— ჩამოთვალე. დაასახელე. გვარი, სახელი... — აგდებულად ეკითხებოდა, ფიქრით სხვაგან იყო, ჩქარობდა.

— ჯიღაურები, მჭედლიშვილები...

— გვარი და სახელები...

ჩამოთვალა. ერთი ვერ გაიხსენა. შავი ფარდა ჩამოეფარა შუბლზე.

— და ისა...

ბერიამ ფურცელი ამოხია და გადასცა შავ კაცს, ულრანი წარბები რომ ჰქონდა და ჰალსტუხიდან მკერდის ბანჯგვლი მოუჩანდა.

— და ისა...

ბერია აღარ იყო.

— გამახსენდა, კაცო, და ისა...

— ნაზად! — ცივად უთხრა ვილაცამ.

— გამახსენდა კაცო, და ისა...

და **ის**, — გენიალური მომღერლის, გენიალური „წინწყაროს" ავტორის ძმა რვა წლის შემდეგ ბედის მადლიერი დაბრუნდა ციმბირიდან.

3.

დაჭერები ქართული ხელოვნების დეკადის დროსაც არ განელებულა. დააპატიმრეს დეკადის მონაწილეთაგან მრავალი, მათ შორის დამსახურებამინიჭებულნი და ორდენოსნები.

„ფრაქციული ბრძოლა" იყო თურმე სიმღერისა და ცეკვის ერთ დიდ ანსამბლში. ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი ებრძოდა მეორე მცირერიცხოვან ჯგუფს. ერთი ხალხური სიმღერის დაბოლოებაში თუ რეფრენში ვერ შეთანხმებულიყვნენ და დაეწყოთ მტრობა, ჩივილი, ბეზღობა, პოლიტიკური ბრალდებების წაყენება.

ერთი ჯგუფი ამტკიცებდა: ჰეი, ჰეით უნდა გასრულდეს ეს სიმღერაო. მეორენი ამბობდნენ: არავითარ შემთხვევაში, ჰოი, ჰოი უნდა იყოსო.

დახვეტეს ყველანი — ჰეი, ჰეის დამცველები და ჰოი, ჰოის მოტრფიალენი — და გადაასახლეს ხალხის მტრების სტატუსით. ანეკდოტს ჰგავს, მაგრამ პოლიტიკური ბრალდებების წაყენება ჰეი, ჰეთი, შეიძლება, ჰოი, ჰოთი დაწყებულა.

გადასახლებაში აუჩვილდათ გული, რა გვქონდა გასაყოფი. ერთმა ჯუფმა შეორე გაამართლა, მეორემ — პირველი, 50-იან წლებში, სტალინის სიკვდილამდე შეუმცირეს ყველას სასჯელი და ცოდვებმონანიებულნი დააბრუნეს სამშობლოში, რაც გასაკვირია, — იმავ ანსამბლში. ირონიული გამომეტყველებით ეფერებოდნენ ერთმანეთს, არ ვიყავით დასაზოგი, სწორად, სამართლიანად დავისაჯეთო. თქვენ იყავით პრინციპში სწორიო. რავა გეკადრებათ, თქვენ იყავითო და ასე და ამდაგვარად.

თურმე ისევ გათიშულიყვნენ: ჰეი, ჰეის დამცველები ჰოი, ჰოიზე გადასულიყვნენ; ჰოი, ჰოის მოტრფიალენი — ჰეი, ჰეიზე. ერთიც სხვისას მიაჭენებდა, მეორეც — სხვისას: ჰეი, ჰეიმ ჰოი, ჰოი დაიჟინა, ჰოი, ჰოიმ — ჰეი, ჰეი და კვლავ ალმაცერად დაუწყეს ერთმანეთს ყურება.

4.

კულაკიას ეძახდნენ. მამა იმისი კაცური კაცი იყო, — ავკარგიანი, მშრომელი; გააკულაკეს, დააქციეს, გაუსკდა გული, გადაბრუნდა და მოკვდა. შვილი დარჩა ვაჟი, მის ბარობაზე. არ ექნა ღმერთს, მარა სულ არაობას, ის ჯობდა. კულაკია შეარქვეს, კულაკის შვილი ხარ ვითომო და — იმიტომ. კანტორაში დასვეს მოანგარიშედ, საბულალტრო ტექნიკუმი თუ რაღაც იმნაირიც ჰქონდა დამთავრებული, თუ არ მეშლება; მერმეთ მეკუჭნავე იყო. მამის ქონება ბოლო-ბოლო, ამაში ვერც ქე გაამტყუნებდი, კოლმეურნეობის საშუალებით დაამღერა. მთავრობა უნდობლად უყურებდა და მაინც ქე წყალობდა. მეზობლები მამის გამო სცემდნენ პატივს და მამის გამოვე მტრობდნენ ზოგჯერ.

მამით იყო. თავისი რაც ჰქონდა, გეტყვით: სავირე ება თურმე, მოახმაროს მის გვარსა და ჯილაგს გამჩენმა, მარა არ მითხრა! ლექსი გამოუთქვეს იმის გამო:

კულაკიას მაუზერი,
თუ ბიჭი ხარ გაუძელი!

მამამისი იტყოდა სიამაყით: მარტო ამით, ესე იგი, — იმით ირჩენს თავს საქმე საქმეზე თუ მიდგაო. არ დადგომია საიმისოდ დროება, თვარა ქე იყო ეს ვარაუდი ჭკუასთან ახლო. ერთი-ორი ნაძრახი ქალი ააკივლა მთვარიან ღამით ორლობეში, სხვა გმირობა საიმისო არაფერი ჩაუდენია, რამდენადაც მახსოვს. საჯიშედ და სასელექციოდ ის არ ვარგოდა, სხვაგან რომ გაეწვიათ და ჩვენთან რა ასპარეზი უნდა ჰქონებოდა მისშესაფერი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ მოიწონებდა ხანდახან თავს სტუმრებთან; რაიკომის მდივანს ან ცეკას განყოფილების გამგეს თუ მიანიშნებდა სუფრაზე, რაღაც მომენტში, რამეს იმაზე... გაგონილი ჰქონდათ იმათაც და თვითონვე კითხულობდნენ ცალყბად ესაო, თვალს უკრავდნენ ერთმანეთს და უყურებდნენ კულაკიას, სველ ღვინის დოქებს რომ მოარბენინებდა მარნიდან.

— და მაინც სწორია, ხმუ!.. — ახველებდა ყანწზე დაყრდნობილი ცეკას წარმომადგენელი, თითქოს მოხსენებას აკეთებდა.

მიგონებენ, პატივცემულო, რამდენიმე სანტიმეტრს მიმატებენო, მორცხვად ხრიდა თავს გალიფეშარვლიანი, ელამი. სუფრის საპატიო მანდილოსანი ღიმილით შეაბრუნებდა თავს ამ დროს, ვითომ სხვა რამეზე ეცინებოდა და არ იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

კულაკიას მაუზერი,

კაი ბიჭი ხარ და გაუძელი...

წამოიწყებდა სიმღერას ამ საუბრით შეთამამებული მასპინძელთაგანი.

ასე იყო ეს საქმე: ერთხელ, ჩემო ბატონო, ჩვენი რაიონის ჩეკას უფროსად ჩამოვ-ამწესეს ვინმე უყურეშლიძე, დახვრიტეს შემდეგ, — სახელი აღარ მახსოვს, მრავალ ხანე კაცის იმიჯით მევიდა გაქანებული კოლექტივიზაციის პერიოდში. ახლა რომ ვუკვირდები, იმ დროისა და იმ თანამდებობის პირობაზე, არ იყო გლახა კაცი.

ერთ მშვენიერ დღეს, — შემოდგომაა, სიმინდი აჩალულია, ვენახები გაკრეფილია, მაჭრობაა, ჩემო ბატონო, — ჩამოვიდა მილიციელი გამორღვეული წულებით და ნაგანით, ქუდზე მწვანე კანტით.

ვისასაა, ვისასაა?! იყო ჩურჩული და გადალაპარაკება; მიადგა, შენ ჩემი ბატონი ხარ, მაინცადამაინც კულაკიას, წამოდი, უყურეშლიძე გიბარებსო. რა უნდაო, გამწვანდა, გალურჯდა.

გეტყვის თვითონ. წამოიღოს რაცა აქვსო.

შეაქუჩა საკუჭნაოს საბუთები, ცნობები, ქონების გასხვისების აქტები. მამამისმა ვითომ საკუთარი სურვილით ჩააბარა სახელმწიფოს უძრავ-მოძრავი და კმაყოფილი გაემგზავრა იმ ქვეყანას.

მოკლედ, წაიყვანეს. წინ კულაკია დავთრებით, ფუთაში გამოკრული თბილი ტანსაცმლით, ყოველი შემთხვევისათვის და უკან ოყურეშელი მილიციელი ნაგანით, გამორღვეული წულებით.

შეუყვანიათ კაბინეტში. უყურებს თურმე უყურეშლიძე და ხმას არ იღებს. მათრახი უდევს მაგიდაზე მაჯის სიმსხო, ჭრელტარიანი. ცხენი ემსახურებოდა და ჰქონდა ის საუცხოო, გლახად მოსახმარებელი მათრახი. შენ ხარ კულაკიაო, ამოღერღა ბოლოს. მე ვარ ბატონოო.

— მერე!..

— წამოვიღე, ბატონო, ყველაფერი, აქაა, ბატონო, ქონების გადაბარების აქტები, სარევიზიო კომისიის ანგარიშები...

რა ანგარიშები, მე შენი საკუთარი დედა მოვ-ყან, აქანე შენ ბუღალტერია ხომ არ გგონია, ამოიღეო იარაღი!

— რა იარაღიო, გადაირია კულაკია, სადა მაქვს იარაღიო.

— ამოიღე იარაღი!

არ მაქვს. კი გაქვს. არ იქნება. კი იქნება. ჩახვალ მაშინ ახლავე სოფელში, ამოიტან მაუზერს და დადებ აქ, ამ მაგიდაზე!

— არ მაქვს, პატივცემულო, მაუზერი, რო წავიდე, რა ამოვიტანო!

— რა არა გაქვს, შე ცხენისგაგდებულო, მთელმა რაიონმა იცის, იარაღით რომ დადიხარ! — უმტყუნა ნერვებმა უყურეშლიძეს და დაცხო მათრახის ტარი კისერში, მაუზერი მოიტანე გინდა თუ არაო.

— ა, ჩემი მაუზერი, ამიზა მკლავ უყურეშლიძევ, ესაა ჩემი მაუზერი!

გაიხსნა თურმე ხვანჯარი, ამოაგდო სავირე და გოუგდო მაგიდაზე: ესაა ჩემი მაუზერი, ამაზე მღერიან მოწინავე კოლმეურნეებიო. ამასობაში გაშალა მათრახი უყურეშლიძემ, შენი დედა კი მოვტ-ან, რავა წამიბილწე აქაურობაო, გადაუშხუილა, მარა ააცილა. მოასწრო უკან შებრუნება თურმე, თვარა წააწყვეტდა უეჭველად.

— შემოვიდეს, ვინაა მაქანე, გაჩხრიკეთ ეს კაცი, კიდევ ექნება (მეტი რაღა უნდა ჰქონებოდა) რაღაც ოხრობა!

ქალი შემოვიდა თურმე სანდომიანი, ავ თვალს არ დაენახვება — ისეთი, ასკდება მკერდი გულსაპირეში.

— გაჩხრიკეთ, შენ არა, გადი შენ!

— სამსონიჩ, თუ არ მენდობოდი, რეიზა დამიძახე! არ მენდობი?

— არა. ამ შემთხვევაში შენი ნდობა არ შეიძლება!

— კაი ბატონო!.. — ტუჩი აიბზუა ქალმა, ნაწყენი (არცთუ უსაფუძვლოდ) გაეცალა გაჩხრიკეს, სხვისი დახმარებით, რაღა თქმა უნდა. ჩხრეკა უშედეგოდ დასრულდა. რას უნახავდნენ იმაზე მეტს, რაც უნახეს.

აყურყუტეს რამდენიმე დღე ის ჩვენი კულაკია ჩეკაში, მერე ქე გამოუშვეს. უყურეშლიძე დაიჭირეს სამაგიეროდ. დახვრიტესო ქე თქვეს, მარა იქნებ არცაა მართალი. კულაკია ხაშურში მუშაობდა ერთხან რკინიგზაზე. გრძელტარიან ჩაქუჩს უკაკუნებდა ვაგონების ბორბლებს, წელში წახრა არ სჭირდებოდა მაინცადამაინც. მერე აღარ ვიცი.

5.

თბილისის ერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ ანრიმ კედლიდან ჩამოხია ეჟოვის პორტრეტი; პროტესტი გამოხატა მამის დაპატიმრების (დახვრეტა არ იცოდა) გამო. დაასმინა მასწავლებელმა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ცოცხალი იყო. ბავშვმა პორტრეტი ჩამოხია მრავალთა თვალწინ და კლასის დამრიგებელმა დაასწრო სხვებს, რათა მომხდარი ფაქტის დამალვა ანდა დამნაშავეზე ხელის დაფარება არ დაბრალებოდა; მე რომ არ გამეცხადებინა, იმართლა თავი, უარესი მოხდებოდაო, იმაზე უარესი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, აღარაფერი მომხდარა, არც შეიძლებოდა მომხდარიყო. დამრიგებელს რომ არ ეთქვა, რიგითი მასწავლებელი იტყოდა, მაგრამ „სასამართლო" დაეყრდნო დამრიგებლის ჩვენებას, თუმცა ჰყავდათ ბრალდების (რამდენიც სჭირდებოდათ — იმდენი) სხვა მოწმეებიც და მაინცო, ოფიციალური საჩივარი რომ არ შემოსულიყო, საქმე ჩვენამდე შეიძლება არც კი მოსულიყოო. ესეც მართალსა ჰგავს, მაგრამ დივიზიის მეთაურის ნაშიერის მოსპობა პროგრამაში იდო, ედოთ, ედო.

ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ თხუთმეტი წლის მოსწავლე ანრის „შეუფარდეს" სასჯელის უმაღლესი ზომა, სულითა და სხეულით მახინჯი ეჟოვის სტამბურად ნაბეჭდი, მასობრივი ტირაჟით გავრცელებული პორტრეტის ხელყოფის გამო.

არ დაუხვრეტიათ. კანონი არ ითვალისწინებსო. ჰქონდათ ადრეულ ასაკში დახვრეტის შემთხვევები, რაიც საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვით იქნებოდა, უეჭველია, გაპირობებული, მაგრამ გაითვალისწინა რა ხელისუფლებამ დერჟავის ჰუმანური სტრუქტურის პრინციპი, 1935 წლის 7 აპრილის დადგენილებით დახვრეტა მიესადაგა მხოლოდ და მხოლოდ თექვსმეტწლისანებს და ზევით და ზევით.

თენდებოდა. ცა მტრედისფრად იყო შეფეთქილი. მოდიოდა სინათლე, მოჰყვებოდა მზე. სივიწროვიდან ზევით ჩანდა ცა, ქვევით მიწა. შეწყალებაზე უთხრეს უარი. სიცოცხლეზეც? ეს ხომ მათ არ მოუციათ. აღარ იქნებოდა, ხვალ, აღარც აღარასოდეს? ჰყავდა დედა, ვინაც შობა იგი. იცოდა ეს დედამ? და ის იქნება ჩემს შემდეგ? ყველაფერი იქნება, ყველა იქნება და მე აღარ. იტყვიან იყო, აღარ ვიქნები. ხომ ვიყავი.

ეს არ იყო სიზმარი, სინამდვილეც არ იყო. დღე იყო. დილა იყო. მზეც ჩანდა. ამოდიოდა.

და დღენათელში თექვსმეტი წლისას, დაბადების დღეს ჩააყოფინეს ვარცლში თავი. ერთმა ერთი ხელი დაუკავა, მეორემ — მეორე. მესამემ ქოჩორზე დააჭირა ბლიკი, თმა ატკინა და კაცი, რომელსაც ახალი გატკიცინებული „გიმნასტიორკა" ეცვა, და ეტყობა, უკან იდგა, გვერდზე გახტა, დედაც ვატირეო, თქვა, ალისფერი სისხლის წინწკლები დააჩნდა მაინც სახელოზე.

6.

თბილისელი კონდიტერი, შთამომავლობითა და ბუნებითაც კონდიტერი ალშვანგი პატიმრებით გატენილ მოზრდილ საკანს ათვალიერებდა ქსიტინინ კვნესას, ოხვრას, გმინვას აყურადებდა; მითითებულ ალაგას ჩაკეცა მუცელი, [illegible] შით, რა ხდებაო, იკითხა ცოტა ხნის შემდეგ. ნაცემი ხალხი ღიღინებსო, აუხსნა მეგვერდულემ, ის კაცი, ჩაის წყალში დასველებულ ნაჭრებს რომ ადებენ ზურგზე, სულ ახლახან დააძვალრბილესო. რათა ცემენო, დაინტერესდა დიდი კონდიტერი ხიხინით. ბრალდების ოქმებზე არ ვაწერთ ხელსაო, რადგანაცო ბრალდება სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებსო. არ უნდა მოაწეროთ, თქვა ალშვანგმა. ეგრე ვშვრებით და ხვალ მეც მიმასიკვდილებენო, შენ რა ამის პასუხია, რას გაბრალებენ ხომ არ იციო. კიო, არ დაუმალია ალშვანგს, შპიონაჟს გერმანიის სასარგებლოდ, ფაშისტურ-ტროცკისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. საკმარისია. შეაწყვეტინა მეზობელმა და ცოტა ხანი ალშვანგსაც აღარ ამოუღია ხმა.

პატიმრები კვნესოდნენ კვლავ, აქა-იქ ჩურჩულებდნენ, ელოდნენ, შუაღამე ილეოდა, არ იძინებდნენ. სუკის ოთხკუთხედ შიდა ეზოში სწორედ ნაშუაღამევს შემოხრიალდებოდა საბარგო ავტომობილი. შეყრიდნენ ბარ-ნიჩბებს, წერაქვებს და გაიყვანდნენ სხვადასხვა საკნიდან. შეურიალებულ საკანს აღარ სტკიოდა, კვნესას არ ავლენდა, საათი, საათ-ნახევრი რიტმულად სუნთქავდა. უკუსვლით შემოდიოდა ოთხკუთხედში კვლავ „ზისი“, ბარ-ნიჩბები ცვიოდა ბეტონზე, ფოლადის წკრიალზე იწყებოდა კვნესა, ოხვრა, ძილი და ბოდვა. საერთო სამარე მოსწორებული, სუკის საწარმოო იარაღები ჩამოყრილი იყო, მეორე შუაღამემდე აღარავის გაიყვანდნენ.

მეო, თქვა მეორე დღეს ალშვანგმა, ძალიან კარგად მიმიღო გამომძიებელმა, რომელმაც საბრალდებო დასკვნა წამიკითხა, იხიხინა და განაგრძო: ამ ხნის მოვიყარე, ცუდად არ მიცხოვრია, ჯერ არავის ვუცემივარ, არც ვეცემინები... ჩემი წილი ერთი სიცოცხლე მე მეკუთვნის, მევე გამოვიყენებო. გაჩუმდა. ცოტა ხანი იქსიტინა და დაუძახეს. მალევე დააბრუნეს საღ-სალამათი, პაპიროსით დასაჩუქრებული. ახალი კოლოფი გახსნა, ღერი ამოიღო, გააბოლა ზერელედ და ყველაფერზე მოვაწერე ხელიო, განაცხადა; ხვალ ან ზეგ გამიყვანენ ალბათ და ამაღამ მშვიდად დავიძინებო. არ ელოდა და მაინც არ დაეძინა. ბუშლატზე თავმიდებული ფიქრობდა და საკუთარი გვარი გაიგონა კარების საკეტების რაჩხარუჩხში, საბარგო სტუმრის ხრიალში; პატიმრები გაჰყავდათ, ბარ-ნიჩბებს ყრიდნენ ძარაში. ალშვანგიო იძახდნენ და სხვა ალშვანგი არ იყო. წამოდგა სულ თეთრი, უწერი ქაღალდისფერი. შეიძლება ისევ ზევით მეძახიან, ხელმოუწერელი ხომ არ დამრჩა რაო. ასე იქნებაო, დაამშვიდეს კრიჭაგახსნილებმა. საკნიდან მხოლოდ ალშვანგს ითხოვდნენ და შიში შორდებოდათ.

— ასე უცბად, — მეგვერდულეს უყურებდა ალშვანგი, სამი კაცი ხომ არ ყოფილა?.. გადაწყვეტილებას სამი, „ტროიკა“, წაყვანას ოთხი სჭირდებოდა ნორმალურ ვითარებაში. ვიწრო სადარბაზოებში უჭირდათ სასახლით ჩამოტანა, ჩამოყვანა, ვარდისფერი კუბო ედებოდა თეთრ კედლებს კიბის უჯრედებში, ვეტზე კი ნიავი ააფოფინებდა წითელ ყვავილებს, აქ მზე იყო, ჰაერი, სიამოვნებით ცვლიდა ოთხი ოთხს...

-... თუ ეზოში ჩამიყვანეს, გასვლისას ხმამაღლა ჩავახველებ და მიხვდებით, დამხვრიტეს... — თქვა ალშვანგმა, ერთი ღერი აიღო და გაშლილი კოლოფი გაუწვდინა სხვებს; რამდენიმემ ამოიღო მაინც პაპიროსი, კოლოფიც წაიღეო ურჩია ვიღაცამ. არაო, რაფაზე შემოდო, თუ ჩამომაბრუნეს, აქ დამხვდება, თუ არადა, მეტი არ დამჭირდებაო. გააბოლა. კვამლი ფილტვებისაკენ არ გაუშვია, ხიხინით გავიდა, გაბუნაგებული საკანი დატოვა. კარი მოუგდეს. საკანი დადუმდა, მძიმე ნაბიჯების ხმა შემოვიდა ცოტა ხნის შე-

მდეგ. ჩალურსმნულ ფეხსაცმელებს მიაფხოკიალებდა მეტლახზე თბილისელი კონდიტერი, სიტყვის კაცად ცნობილი ალშვანგი. მიწიკწიკებდა წამები, დროის ათვლის შეგრძნება იკარგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხმუუუ!

ისე ძლიერ ჩაახველა, რომ ბადრაგის მცველი, რომელიც მოულოდნელს აღარაფერს ელოდა, მუხლებში ჩაიკეცა მეხდაკრულივით. მეხის ექო კი ტალანებში დატრიალდა, ღამისა და დღის გასაყართან ჩაქვავდა, მარადისობის მბჟუტავ ხსოვნაში ჩაიკარგა.

თბილისელი კონდიტერი, კაცური კაცი ალშვანგი, — გავიდა!

7.

ზაფხულში, სწავლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ტყიბულში გაიმართა განათლების მუშაკთა ზონალური შეკრება, თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული განათლების კომისარიატისა და სხვა კომისარიატების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით. იყო მუქარა, ტუქსვა, მარქსისტულ-კომუნისტური სახარებების კითხვა. პარტიული სიფხიზლის მოდუნებაზე, ხალხის მტრების, მავნებლების, დივერსანტების, მსტოვრების გამოვლენაზე უფრო იყო ლაპარაკი, ვიდრე პედაგოგიკაზე. დაგვმოძღვრეს. ცოტა ხანში დამმოძღვრელები მეტი დაიჭირეს, ვიდრე დამოძღვრილები. დაუჭერლებმა თქვეს დაჭერილებზე: ახია მაგათზე, ადრევე უნდა დაეჭირათ ყველანიო. რატომ, რისთვის, არ კითხულობდნენ. პედაგოგთა უმრავლესობა მაინც დაილუპა ომში, ოთხიოდე წლის შემდეგ რომ დაგვატყდა თავს. იმ თავყრილობაზე კი ერთი გაუთვალისწინებელი სცენა გათამაშდა: არასრული სკოლის დირექტორმა ვინმე მინდიაშვილმა, შუყერის თუ ძუყნურის საზოგადოების სახელით რომ გამოვიდა, მოულოდნელად განაცხადა: ყველაფერი მე კი არა, ლენინმა არ იცოდაო. დარბაზი გაილურსა და შუყერელმა თუ ძუყნურელმა მასწავლებელმა, ძირგამოხეული ფეხსაცმელებით რომ ამოვიდა ტყიბულში, შეცდომის გასწორება დააპირა ცალხაზიან რვეულში. გვიანღა იყო. არ იცოდა, პირიდან ამოფრენილი სიტყვის უკან ჩაბრუნება რომ არ შეიძლებოდა:

— მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ლენინმა არაფერი არ იცოდა...

„არ იცოდაო!“

— პირიქით...

„რა პირიქით!“

— იცოდა... — ოფლს იწმენდდა ხალათის სახელოთი. — ყველაფერი არ იცოდა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მართლა არ იცოდა, პირიქით, მაგრამ სოფლის საქმე იცოდა?.. როგორ არ იცოდა, ჩემ სოფელზე მაქვს ლაპარაკი... ხომ შეიძლებოდა, მაგალითისათვის ვამბობ, თოხნა არ ცოდნოდა...

„თოხნაო!“

— ისე ვამბობ, რა ვალდებული იყო ცოდნოდა, ვთქვათ, ვენახის აქიმობა, შენამვლა...

ლენინი. ზურგზე აპარატმოკიდებული. შაბიამნით დასვრილი ფრენჩით...

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა არ იცოდა ანდა, უკაცრავად პასუხია, მარქსიზმი, რა ლაპარაკია, ხუთიანზე იცოდა... — ვერ ჩერდებოდა. უსველდებოდა ლურჯი სატინის ხალათი, ეკვროდა ზურგზე, ხელებს უჭერდა კათედრის სახურავის ძგიდეებს, ხედავდა გაქვავებულ დარბაზს; გრძნობდა, რაც მეტს ფართხალებდა, მეტად იძირებოდა, ეკვროდა სუნთქვა, ნელ-ნელა მიტოპავდა ჩრდილოეთისკენ.

8.

7 ნოემბერს სახელმწიფო უშიშროების ერთმა თანამშრომელმა კოლეგები დაპატიჟა ახალ ბინაში. საცხოვრებელ ბინებს მაშინ იშვიათად აშენებდნენ, ამიტომ გრამ თანამშრომლები სუკისა უბინაოდ (უთავოდ კი) იშვიათად რჩებოდნენ. იკავებდნენ „გამოთავისუფლებულ" ბინებს და გერონტიც, ვინც თანამშრომლები, სინამდვილეში, კოლეგები და უფროსობა დაპატიჟა, შესახლდა ხალხის მტრის, დახვრეტილი ინტელიგენტის ბუნაგში. გასახლებული ოჯახის წევრებმა დატოვეს თურმე, რადგან წასაღებად არ მობრუნებულან, — დატოვეს შეფუთული წიგნები. სტუმრების მობრძანებამდე თავის გამოსაჩენად და სტუმრების თვალში ნაცრის შესაყრელად, ალბათ, დიასახლისმა გამოალაგა მუყაოს ყუთებში ჩაწნეხილი წიგნები და ფერისა და სისქის მიხედვით დაალაგა თაროებზე.

თვალებამოწითლებულმა, ნერვიულმა სტუმრებმა სუფრის გაწყობამდე ნარდით შეიქციეს თავი, ერთმა კი დიასახლისის გულის მოსაგებად მაინცადამაინც წიგნებს დაადგა თვალი და თუ შეიძლება თქვენდამი რწმუნებულ წიგნებს დავათვალიერებო, აიღო ნებართვა.

— კი, თქვენი ჭირიმე! — გაიბადრა სამზარეულოდან შემოსული, სახეანიავებული ტანსრული ქალი.

წიგნის მოყვარულმა სუკის თანამშრომელმა წითელყდიანი წიგნი გადმოიღო თავდაპირველად და „ტროცკი" შერჩა ხელთ. გადმოიღო მეორე — ლენინი, მესამე — ტროცკი. იმ გაყოლებაზე სულ ლენინ-ტროცკი ყოფილიყო დალაგებული.

— ქალბატონო, — მიუბრუნდა დიასახლისს , — ვერც კი იცლით, ალბათ, ოჯახში ამნაირი მშვენიერი წიგნების წასაკითხად?

— მართალი ბრძანდებით, — შეისვენა ქალბატონმა. — ჩემი მეუღლე კითხულობს ძირითადად...

— გერონტიი? — გულწრფელად გაუკვირდა თანამშრომელს, გერონტის წიგნიერების რომ არა სწამდა სავსებით სამართლიანად.

— გერონტი, დიახ, თვალები აქვს ამოღამებული მაგ წიგნების კითხვით... — უხსნიდა სუფრის გაწყობით გართული ქალი.

— ძალიან საინტერესოა... კიდევა გაქვთ, ქალბატონო, ამდაგვარი წიგნები? — „ტროცკი" დაანახა.

— გატენილია სარდაფი...

— ასეთებით?

— ძირითადად მასეთებით, გერონტი ახლაც იქაა, ღვინოს ასხამს.

„კიდევ კარგი, რომ არ თქვა იქაც კითხულობსო", გაიფიქრა თანამშრომელმა და „ტროცკი" შეაბრუნა თაროზე ფრთხილად.

მეორე ღამით, დილით პახმელიაზე გამოსვლა აცალეს, დალუქეს გერონტის ბიბლიოთეკა, გაჩხრიკეს ბინა, წაიყვანეს თავად გერონტი, რომელმაც ძიებაშიც ვერ გაარკვია, რა წიგნებზე, გაკვრით რომ ახსენებდნენ შიგადაშიგ, იყო ლაპარაკი.

9.

ერთი დამსახურებული პედაგოგი კაცი იყო, გვარად გოგიიაშვილი; პენსიაში გავიდა და გადაწყვიტა დაბრუნება ჭიათურაში, სადაც განათლების გან-

ყოფილების მეთოდისტ-კონსულტანტის ადგილსაც დაჰპირდნენ. მივხედავ სახლს მამიჩემისას, ვენახს ავაღორძინებ, ვიმუშავებ, ვიჩხერკედლავებ, ვიმ-სახურებ კიდეცაო. გახარებული იყო. გამგზავრების წინა დღეს დაბარეს ბა-ულოდნელად სუკში; ამა და ამ საათზე უნდა მობრძანდეთ, ამა და ამ ადგილ-საო, თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, საშვი დაგხვდებათ საშაშვეშიო. მივიდა საშაშვეში შეშინებული, დაბნეული. ამა და ამ კაბინეტშიო, სართული და კაბინეტის ნომერი ასწავლეს.

წითურმა, სახეჭორფლიანმა კაცმა მიიღო, ყურებამდე ჰქონდა ლაშები აწეული. ეცნაურა და ვერ მოიახლოვა. დაბრძანდით, როგორ ბრძანდებით, ამხანაგო გოგიიაშვილოო, შინაურულად კითხულობდა წითური. როდის მიბრძანდებით მშობლიურ ჭიათურაშიო. ყველაფერი იცოდა, მიხვდა და მოკლედ დაიწყო პასუხების გაცემა: დიახ, კი ბატონო, ეგრე გახლავთო და სხვა. ჩვენო, წითურმა კაცმა უთხრა, ერთი მიწა-წყლისა ვართო. იცით ალბათ...

აჰა. იცოდა. მიხვდა, ვისაც ელაპარაკებოდა. ელექტრონის შუქზე თავსახეაპრიალებული სხვა ეგონა. მოწერეთელი ვარ მეო, დააგზაკვალიანა საბოლოოდ. ვიცი, ბატონო, კი, ბატონოო. მის მამა-ბიძებსაც იცნობდა. წითელი მოწერეთელი კი ამის გარდა სხვა არც ენახა. ვის ჰგავსო, სხვა დროსაც გაკვირვებია. ჩვენო, დაიწყო მოწერეთელმა, პატივს ვცემთ თქვენს პედაგოგიურ გამოცდილებას, ალღოს, პატიოსნებას, პარტიულობას, რაც მთავარია, 1924 წელიც არ გვავიწყდება, მაგრამ ახლა სხვა დროა და წვრილმანებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ, რაც იყო, იყო, მთავარია, აწი რა იქნება, იმედია, გავუგებთ ერთმანეთსაო და სხვა.

თანამშრომლობას სთავაზობდა, იოლი მისახვედრი იყო. ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდეს ჩვენთან, ქვეყნის ყურთან, თვალთან, უშიშროებასთან; ჩვენთან არის და უნდა იყოს მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, მით უმეტეს დამსახურებული პედაგოგი...

— მე არ შემიძლია, ბატონო, არ გამოვდგები...

— ნუ აჩქარდები, ამხანაგო გოგიიაშვილო, შინ წადი, მოიფიქრე, იფიქრე, აწონ-დაწონე ყველაფერი და პასუხი ხვალ მითხარი.

მეორე დღესაც იგივე გაიმეორა, არ გამოგადგებით, არ შემიძლიაო.

— არ შეგიძლია, ესე იგი... — ფეხები გაწვართა მოწერეთელმა.

— შეძლებაზეც არაა საქმე, არ გამოვდგები...

— ეგ ჩვენ ვიცით, გამოდგები — არ გამოდგები... კიდევ მოიფიქრე, ჩვენ არ აგაჩქარებთ...

...მიუხედავად ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემისა, მაინც...

მესამე შეხვედრაზეც იგივე განმეორდა. იმჯერზე მარტო არ ყოფილან. ორი სხვაც იჯდა კიდის მაგიდებთან. დუმდნენ, თავ-თავიანთ საქმეებში ჩაგულისყურებულნი.

— არ შეგიძლია...

— არ შემიძლია, ბატონო, მე მიყვარს სკოლა, ბავშვები...

— ფეხბურთი თუ გიყვარს?

მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია. თანაც ფეხბურთი არ უყვარდა. იქნებ მოვიგო მოწერეთლის გულიო და ფეხბურთი მიყვარსო უთხრა. აქ კი უღალატა სიმართლის პრინციპს.

— ფეხბურთი ნაყვარება, — სხვების გასაგონად ჩაილაპარაკა, — რა გაეწყობა, — წამოდგა.

ჩემი ადგომის დროცაა, გაიფიქრა გოგიიაშვილმა, წამოინია და რალაცამ დაცეცხლა. გონს რომ მოვიდა, სკამზე იყო დალურსმული. ფეხბურთს თავითაც თამაშობენ, როგორც ვიცი, თავზე დაიდო ხელი და ფერდში მოხვდა ვიცაცის წიხლი. ვირის არ იყო, მაინც არ წყენია. ეტკინა. მომდევნომ სკამიდან გადმოხარა, მუხლმა სკამზე გაასწორა და სიბერე იგრძნო.

მხოლოდ ფეხს ურტყამდნენ. გრძნობდა და არ ესმოდა.

შემოგვაკლა თავიო, მოწერეთლის მაგივრად განაცხადა ჯაგარბეგოვმა სუფთა ქართულით ნაშუადღევის კოლეგიის სხდომაზე.

შემოგვაკლაო...

საბუთებში კი გარდაცვლილი მასწავლებელი, როგორც რიგი და წესი ჰქონდათ, ისე გააფორმეს.

10.

მხატვარ შალვა მელებანეს (ლებანიძეს) სტალინის თაბაშირის ბიუსტი გადმოუვარდა მაგიდიდან. ფეხსაცმელს აკერებდა, გამოუსხლტა საპირედან ლამპის შუქზე გასანთლული ძაფი, გაექცა მარჯვენა, გაკრა იდაყვი ბიუსტს და გადააგდო საკლასო რვეულებთან ერთად; ფეხსაცმელი, ძაფ-მახათ-სადგისი დადო ლამპასთან და დააჩერდა ნამსხვრევებს, რომელთაც კაცი ველარ ააწყობდა ბიუსტად.

ეს რა დამემართა!

გადავყრი. ნახავენ სანაგვეში. მისიაო. მიხვდებიან. წყალში. ჩანთით წავიღებ. მტკვრამდე მისვლა არ გინდა. რა მიგაქვსო. რა გადაყარეო.

მარტოხელა კაცი იყო, ეულად ცხოვრობდა მამის დანატოვარ სახლში. ხატავდა. მუშაობდა მხატვრად, თავს ირჩენდა. სახელოსნო ჰქონდა სხვენში კი არა, სარდაფში. ჩაგისოსებული სარკმლიდან ქალის ფეხები ჩანდა. წვრილი ქუსლების კაკუნზე ანებებდა ხატვას თავს და ამოწმებდა ფეხებს, ფეხებით — ქალს. გარეთ ხალხის მტრებს ეძებდნენ. მაძებრები თვითონ იყვნენ თურმე მტრები და არ იცოდნენ, მტრები რომ იყვნენ. დრო იყო აჭრილი და ჩრდილში ჯობდა. ესკიზები იქაც შრებოდა. რა ფეხზე ადგა ამ დილით მაინც! სამჯერ აებლანდა უცხო კატა ფეხებში. სიზმარიც აუხდა: შინელი ეცვა ვითომ მუშტაიდის ბაღში, სიცხეში.

„წვრილად დავამტვრევ, პატრონიც, ესე იგი, მე, ვერ იცნობს...“

გამოიტანა ჩაქუჩი და დაუწყო მსხვილ ნამსხვრევებს დაქუცმაცება; ჯერ დამღა და სერიის ნომერი დაჩეჩქვა, მიადგა ცხვირს, ყურებს, ულვაშებს...

რას ამტვრევდი წუხელიო, მკითხავენ... რას ვუბათქუნებ მეც. ღამეში მერე ხმა რანაირად გადის. ესეც რა კერკეტი აღმოჩნდა. დამსხვრევით იოლად დაიმსხვრა, ალბათ ნაკერებში გაიხსნა. დილით მოვა მენაგვე ჰასანა, დახედავს, შალვას სტალინია, ნაღდი არიო, იტყვის, ჰასანა უბედური ჰყავს გამჩენს. დაიფერთხავს ულვაშებს სანაგვეზე, სტალინიაო... ასე არ გამოვა ჰასანჯან!..

მოიძია ჭოპოსანი და დაუწყო ცხვირისა და ნიკაპის ნატეხებს ხეხვა. ხეხა. ხეხა. დაიღალა. გადმოიღო დიდი როდინი, ქვიჯა, ჩააგდო ერთი ნატეხი და დაუწყო აპრიალებული ქვასანაყით ნაყვა.

წინ წაველ. ყველაფერს მოფიქრება უნდა. დილით მკითხავენ, რას ნაყავდიო. ვნაყავდი რა, არ შეიძლება ნაყვა? როგორ არ შეიძლება, მარა რა ვუთხრა, რას ვნაყავდი? ყველაფერი აინტერესებთ ამ სახლში, გადაირევი კაცი. მოდი, ხმელ

სუნელს გავურევ, ულვაშები აღარ უშველის ჰასანას, ტარაბუას დავასხამ ხმელი სუნელით...

ჩაყარა სუნელი. შემოახვია დაგლეჯილი ფარდაგი როდინს, ნაყარ დაგუდულად, მუყაითად და შემოათენდა...

— რა გადაყარე?!

კბილატკივებული მეზობელი ეწეოდა პაპიროსს ალიონზე სანაგვესთან და თეთრად მოფიფქულ, სურნელოვან ნაგავს უყურებდა.

— სალამი, ბოდიშს ვიხდი, ვერ შეგამჩნიეთ... თაბაშირი ამიფუვდა... ამ დილით დავხედე, არ მომეწონა, თანაც კატა მყავდა დასაბანი.

— კატა? — გასიებული ლოყის ქვეშ დაიგროვა მეზობელმა თამბაქოს ცხელი ბოლი.

11.

ალექსანდრე კოსარევი იყო საბჭოური იმპერიის კომკავშირის გენერალური მდივანი. პარტიას, კომუნისტურს, ჰყავდა ცვლა — კომკავშირი, კომკავშირს პიონერი, პიონერს ოქტომბრელი. პატარაობიდან გვინერგავდნენ მიწიერი ცხოვრების ბედნიერებას, მორჩილებას, ერთაზროვნებას, ერთი მსოფლმხედველობის კალაპოტში ყოფნას. ოციანი წლების კომკავშირს შეთავსებული ჰქონდა აგიტაცია, მასების გამოთაყვანების თერაპია, შპიონაჟი. დაჰქონდათ, ატარებდნენ ოფიციალურად იარაღს (რუსული „ვინტოვკა", „ნაგანი") და დადიოდნენ, ერეოდნენ ადგილობრივი მმართველობის სამეურნეო და საპოლიტიკო სამსახურების მუშაობაში. მათმა აქტიურობამ ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო; ყურისასაწევმა ადამიანებმა სიკვდილს დაუწყეს თამაში; მოყვნენ კიდეც წმენდაში მასობრივი ტერორის მიწურულს. გამოხშირვის ინექცია მოგვიანებით შეუშხაპუნეს, მოუსპეს ინიციატივა, დაუმსხვრიეს ჯოგური ინსტინქტები და წარმოდგენები.

შემოდგომის ცივ და მთვარიან ღამით აიყვანეს მათი ბელადი, სათამაშო ცეკას — კომკავშირის — მდივანი, რომელსაც თავი გენსეკის მემკვიდრე ეგონა. რა ეგონა და რა არ ეგონა, ახლა არავინ იცის, რაც იყო, ისიც კმაროდა და ამიტომ თავად ლავრენტი ბერია ეახლა დაპატიმრების ორდერით. ბერიას ცეცხლსასროლი იარაღების კოლექციაც აინტერესებდა, მაგრამ გააოცა არა იარაღების ექსპოზიციამ, არამედ წიგნების სიმრავლემ. როდის ან როგორ შეაგროვა ამდენი წიგნი ამ ორკლასდამთავრებულმა სულელმაო, გაუკვირდა. კარგად იცნობდა. მრავალნაირ სიტუაციაში შეხვედროდნენ ერთმანეთს. მისი გზა არ ჰქონდა გავლილი და შურდა კიდეც, თუმც მეტოქეს ვერ ხედავდა გუმანითაც.

მოვალეობა მეგობრობაზე, მით უმეტეს ნაცნობობაზე მეტია და მიუხედავად ამისა, მცირეოდენი უხერხულობა ახლდა ამ ვიზიტს. კოსარევი კი ლავრენტის არა, მაგრამ დაჭერას ნაღდად ელოდა. რამდენიმე დღის წინ (არა ასაკის გამო) დაატოვებინეს კომკავშირი და შინაურ პატიმრობაზე მიუთითეს, არც მთლად ნართაულად; გარიცხეს ისე სწრაფად და ოპერატიულად, როგორც რიცხავდა, ხსნიდა და გაწირავდა ხოლმე მისიანებსაც კი. ელოდა. არ სჯეროდა, თორემ — იცოდა. მოვიდნენ. გაცხადდა, დამშვიდდა თითქოს, თუმც პაპიროსი აღარ გაუგდია ხელიდან იმის შემდეგ. ცოლი — მარია ვიქტოროვნა, გეგონებოდა, ქმარს მორიგ პარტიულ დავალება-გაწვევაზე ისტუ-

მრებდა, საქმიანად ფუსფუსებდა, ულაგებდა საცვლებს, არ გაცივდეო, ეს-ვეწებოდა. მოვუვლით ჩვენ, თქვენ ნუ ნერვიულობთ, დაამშვიდა კარგად ცნობილმა ლავრენტიმ.

ღამის ერთი მორიგი, თუმც მნიშვნელოვანი ოპერაცია კი უხმაურობდ, უექსცესად მთავრდებოდა, დამთავრდა კიდეც და ქუჩაში გამოსულთ ქალის ხმამ გაუხვრიტათ ყურები. მარია ვიქტოროვნას ძვირფასი ბეწვის ქურქი მოესხა საბალმასკარადო, გულმოხსნილ, რძისფერ გრძელ კაბაზე.

Саша, вернись! Простимся!

ზეაწეულმა ბგერებმა დაარღვიეს თეატრალური მოედნის იდუმალება. დიდი სახლის ერთ ბინაში შუქი აინთო, ფანჯრის ფარდები დაშორდნენ ერთმანეთს ერთ ფანჯარაში.

— წამოიყვანეთ მაგიც, მაგის დედა მოვ-ყან! — გადაულაპარაკა ვილაცას ლავრენტიმ ქართულად.

მანქანებში რომ სხდებოდნენ, მარიას ხმა ისმოდა, ჩემგან რაღა გინდათო. ჩასვეს ორდერის გარეშე და როცა მოიცალეს, გამოუწერეს მუხლები: 58 (პრიმა), 8 (ტერორი), 11 (ჯგუფური ანტისაბჭოთა აგიტაცია) და მიუსაჯეს ათი (10) წელი, გაუგრძელეს და ჩვიდმეტი (17) წელი გაატარებინეს ნორილსკის გრილ მხარეში.

ალექსანდრე კოსარევი დახვრიტეს დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ, ოცდათექვსმეტი წლისა, კომკავშირის ასაკს გადაცილებული.

ერთ-ერთი ბრალდება: მორალურად გახრწნილი ახალგაზრდების მფარველობა და საყოფაცხოვრებო მორალური გახრწნა. ეს დაემთხვა ლავრენტი ბერიას ანალოგიურ ბრალდებას, რომელიც ლავრენტი ბერიამ მთლიანად და უმტკივნეულოდ გაიზიარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

კრემლი. პატეფონი

1.

1937 წლის ზაფხულში, დიდი დახვრეტების დროს ქართული ხელოვნების დეკადა გამართეს მოსკოვში. წაგვიყვანეს. გვამღერეს, გვაცეკვეს, გვალაპარაკეს, ტაში გვაკვრევინეს და დამიჭირეს...

დაგვაჯილდოეს. ორდენები. მედლები. საჩუქრები. ზოგს რა შეხვდა, ზოგს — რა. ზოგიერთებს უბოძეს პატეფონი, რომელიც ბელადმა ჩამოარიგა თავად პოლიტბიუროს წევრების თანდასწრებით. კალინინი კითხულობდა დადგენილებას. მდივანი, გვარი აღარ მახსოვს, ორდენებს ანაწილებდა და სტალინი, როგორც გითხარით, არიგებდა პატეფონებს სერიოზული, ირონიაშეფარული გამომეტყველებით. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები დგანან, ელიან. მოქანდაკე ი. ნ-ძეს მხატვარმა მ. თ-ძემ უჩურჩულა — წითელი პატეფონი არ აიღო, მემბრანა არ უვარგა, გადასაგდებიაო. რას ამბობო, ჩაილაპარაკა შეშფოთებულმა მოქანდაკემ და დაინახა, რომ მაინცადამაინც წითელი წამოვიდა მისკენ. თუ შეიძლება მწვანე, ეუბნება ბელადს. ცმუკავს ერთ ადგილზე, არ შეეძლო უსაქმოდ დიდხანს დგომა. ნაძალადევი ღიმილი შეაშრა სტალინს სახეზე. ბერიას სათვალის შუშების ათინათი ათამაშდა მწვანეზე. უხერხულ სიჩუმეში შეყოვნდა, შებრუნდა დინჯად, მოკლე მკლავქვეშ ამოიღლიავებული პატეფონი დადო, ნელა ამოიღლიავა მწვანე და ენაჩავარდნილ მაყურებელთა თვალწინ აუჩქარებლად გადასცა ი. ნ-ძეს.

ჩამოვიდა თბილისში დაჯილდოებული, სახეგანათებული. სახელოსნოში დაგვიყარა თავი რამდენიმე დღის შემდეგ ეიფორიაგამოვლილმა. მოსკოვური ამბების მოყოლა დაიწყო და დარეკეს. გაბმულმა, გაუწყვეტელმა ზარმა მოგვჭრა ყურთასმენა. ბერიასთანო, ცენტრალურ კომიტეტში. გაიქცა. ქუდზე შემობრუნდა. არ ვარგაო, ვუთხარით, მაგრამ უქუდოდ არ წავიდა, მალე დავბრუნდებიო, დაიბარა ამჩატებულმა. კიდევ რაღაცას მაძლევენ ან მანიჭებენო, ფიქრობდა თურმე და არ ამხელდა. დახვდა ბერია თვალებგადმოკარკლული, მე შენი დედა ასე და ისეო დააყარა რუსულ-ქართულად, შე სკლეროტიკო, კრეტინო.

— კრემლი კოპერატივი გეგონა, პატეფონების ცვლა დამიწყე!

გამწვანებული დაბრუნდა. დაჯდა, ხმა აღარ ამოიღო კარგა ხანი. მოსე სად ცხოვრობსო, ამოღერღა, როგორც იქნა.

— რად გინდათ მოსე, ბატონო იაკობ? — შევკადრეთ.

— მოსე თოიძე უნდა მოვკლა!

მოსეს ჯვარი ეწერა და თავად კინაღამ გადაჰყვა შიშს და ჯავრს. სამი თვე ელოდა დაჭერას. დაღამებისა ეშინოდა. მოახლოებული მანქანის ხმაზე უსკდებოდა გული...

2.

ჩემთან იჯდნენ მამა და შვილი იემენიძეები, მეორთქლმავლეები, — პოლიტიკურზე, დიახ; ყველანი პოლიტიკურზე ვიჯექით, კი არ ვისხედით, ვეყარენით თევზებივით ერთმანეთზე მიწყობილნი. საკანში, სად იყო საკანი, თავლაში სიცხე საშინელი, სუნი აუტანელი. სტაროსტის, მამასახლისის ბრძანებით ერთდროულად უნდა გადავბრუნებულიყავით ძილში ყველანი. თავის ნებაზე რომ დაგვეწყო გვერდის ცვლა და კოტრიალი, ზედახორა, სრესვა გაიმართებოდა. ციმბირს ვნატრობდით. იემენიძეებს

ბრალდებოდათ დივერსია რკინიგზაზე: ნახჭევანიდან თავრიზში, თუ გეოგრაფია არ მეშლება, გადაიყვანეს საბჭოთა ორთქლმავალი და მიჰყიდეს უცხოელებსო. საბჭოთა ორთქლმავალი. უცხოეთი... ეკონომიკური დივერსიაა და არა ქურდობა. სამშობლოს ღალატი ერქვა იმათ ენაზე. სტანდარტული, იმ დროისათვის ჩვეულებრივი ბრალდებაა. დახვრეტასაც ითვალისწინებს... ბრალდებულებმა ეს არ იციან, არ სჯერათ. სავსებით უდანაშაულონი ვართაო, ვილაც ყურაბელიძემ ჩაგვყარა, მარა სიმართლეს ვინ წაუვაო. სხვაზე უკეთესად შეეგუენ იქაურობას, იმედიანად არიან. შეხედავ, ძმები გეგონება, მამა-შვილი კი არა. მოკლედ, არ გაჭრა სიმართლემ, უდანაშაულობის პრეზუმფციამ. სახლს ეშურებოდნენ, ციმბირი ირგუნეს. ათ-ათი წელი — შვილს მგონი ნაკლები — ცხრა თუ რვა მიაკერეს. გაასახლეს. მოგვეჩვენა, რომ იოლად გადარჩნენ. დაფეთებული თვალებით, ამოიღლიავებული ტყაპუჭებით გადიოდნენ, სად მივდივართო, ჩვენ გვეკითხებოდნენ უხმოდ. ამის შემდეგ ჩვენც მიგვყარ-მოგვყარეს. ბევრი ციმბირში გაგვიშვეს, ბევრი მშობლიურ მიწაში ჩატოვეს და ისინიც გაციმბირებულად გამოაცხადეს. იემენიძეების აღარაფერი მსმენია, მას შემდეგ: საინტერესო სხვა მოხდა: გაირკვა, რომ საზღვარზე — ჯულფაში, საიდანაც იემენიძეებმა ლოკომოტივი აორთქლეს, არ ყოფილა რკინიგზა და ეს არ სცოდნია არა მარტო ძიებას, არამედ მამასა და შვილსაც, რომლებიც ხაშურ-ზესტაფონის გადასარბენზე დაატარებდნენ საბარგო შემადგენლობებს. ეს არაფერი: არ ვიცი, რა გზებით, ვისი დახმარებით ან მითითებით და გადაისინჯა მეორთქლმავლეების საქმე. ჩემი ვარაუდით, გადასახლებაში ვილაც ღვთისნიერმა დაუწერათ განცხადება-საჩივარი, სადაც უეჭველია, იმ კურიოზზე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული; საჩივარი გადააგზავნეს, ცხადია, მოსკოვში უმაღლეს ინსტანციაში. ეგრე იქნებოდა. მოსკოვის მითითებით, ეს ის დროა, როცა ეჟოვი ბერიამ შეცვალა, გამოთხოვილ იქნა იემენიძეების საქმე და თავად გამომძიებელი ან გამომძიებლები, მასალების ფალსიფიცირებისათვის, გადასცეს ძიებას. ხდებოდა მაშინ ამნაირი გამოთხოვები და გადასინჯვები. განწირულ ადამიანთა რაღაც მიზერული პროცენტი, ათასიდან ერთი, გაათავისუფლეს კიდეც, რათა ახალი დანიშნული სახკომის საწყისი პოზიციები აემაღლებინათ და მოეპოვებინათ, იოლი მისახვედრია, ნდობა. ხალხის გაბითურებას რა უნდა! შინსახკომის ბევრი თანამშრომელი განირეს მაშინ ამ მიზნით. ჯერ ეჟოვმა მიასუფთავა იქაურობა, შემდეგ ბერიამ, ბერიას ნასამსახურალიც გაგავეს და მიახვრიტეს თვალით მხილველები, მოწმეები. სტალინის დირექტივას და სტატიას — „თავბრუსხვევები თუ თავის ბრუალი წარმატებებისაგან!" — მოჰყვა ეგ და გამომძიებელი ოგანესიანიც გადაჰყვა ორთქლმავალს. განწირულთა სიაში მოჰყვა და ძიებაშივე რომ გაეთვალისწინებინა რკინიგზის არარსებობა, ორთქლმავალი დაშალეს, ნაწილ-ნაწილ, ბორბალ-ბორბალ გადაიტანეს სპარსეთშიო, მე მგონი, მაინც აღარაფერი უშველიდა.

3.

ერთი ფრაერით მეტი გახდა ეს საბოზეთი, აღნიშნეს ჩემს გამოცხადებაზე ფარდულში, სადაც ორასორმოცდაათიოდე პატიმარი ჰყავდათ შემორეკილი. თბილოდა. ხრჩოლავდა ჭრაქები. გარეთ ქარბუქი ღმუოდა. რკინის გვერდშეწითლებულ კასრში ენთო ცეცხლი. ბორიაყის სუნი და გარეცხილი წინდებ-საცვლების ოხშივარი იდგა.

სადაც მიმითითეს, იქ მივედი. ქვედა ნარზე დავდე ფუთა, ჯუბა ბამბისა და ქუდი. ბნელი ტიპები, მომჩერებიან, ვგრძნობ.

— პისარ, ბლიად! — ჩაილაპარაკა ვილაცამ ჩემი ნახევრად გამელოტებული თავის დანახვაზე. ზუსტად ვერა, მაგრამ მაინც მიახლოებით გამოიცნო კიდეც პროფესია; ვის მიმამსგავსებდნენ აბა, ნაკორექტორალ-ნარედაქტორალ რედაქციიდან გა-

გდებულ ლიტერატორს! ოცდაჩვიდმეტი წელია, მაგრამ ოცდაჩვიდმეტის კი არა, გარ მთლად, კომკავშირული გაზეთის რედაქტორის პირველ მოადგილეობამდე ამაღლებული, კომკავშირის ცეკას ნომენკლატურული კადრის ნარჩენი.

— ტროცკისტი ხარ?! — წითელი თმაძენძი და წითელი თავი ჩამოეკიდა ბედნიერს.

— არა! — ვიუარე და დავუმატე საკანონმდებლო სტატიის ნომერი და პარაგრაფი, რის საფუძველზეც გადმომაგზავნეს აგვისტოს ხვატიდან სიგრილეში საკურორტო სეზონის ჩამთავრების შემდეგ. მოვდივარ გასაგრილებლად გაზეპირებული კანონის პარაგრაფების მარაგით, მცირეოდენი ბარგით.

— ტროცკისტ, ბლიად! — დაასკვნა მაინც წითელმა თავმა და შეიმალა. პასუხმა შეაფიქრიანა, თუმცა არ გააღიზიანა. რაღაც-რაღაცები მეც ავითვისე, თვენახევრიანი მოგზაურობისა და უფასო კონსულტაციების ხარჯზე.

— თფუი! — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ გაანერწყვა წითელმა, როგორც მივხვდი, ჩემი მისამართით.

„ტროცკისტ, ტაკ, ტროცკისტ!"

თავად თურმე ბავშვი ჰყავს მოკლული. მთელი ოჯახი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი, ამოუწყვეტია ბინის ძარცვის დროს ორიოლში. ახლა აქ კაცად ზის, ორ მკვლელთან ერთად, 25 წლით. თანმხლებ პირებს ნაკლები აქვთ მისჯილი და ბავშვის სისხლში არა აქვთ ხელები გასვრილი... ორი „უდანაშაულო" უკანონობას უჩივის და არც პირველს ქენჯნის სინდისი.

„ტროცკისტ, ტაკ, ტროცკისტ!", ვფიქრობ მეც ამ სასიამოვნო კომპანიის გაცნობის შემდეგ. მოკლედ, იქა ვარ. მგლების გალიაში შეგდებულ ბეღურას ვგავარ, ჩიტი ბდღვნად არ ღირსო, ნათქვამია, და ეს თუ მიშველის, სხვა არაფერი. მიშველის! ამ საგარანტიო ნიშნით იწყება ჩემი ბრძოლა თავის გადარჩენისათვის, არსებობისათვის იმ დღიდან.

შემატყვეს განსწავლულობა, ცოდნა მათი ენისა, კილოსი, მართლწერისა და პუნქტუაციის... მომაყარეს საჩივრები, განცხადებები. ზოგს თავიდან ვუწერ, ზოგიერთს ვუსწორებ. რიგი დადგა. ის ჩემი მკვლელები მიგერიებენ მთხოვნელებს და არეგულირებენ პროცესს. პატივს მცემენ უკვე, მაგრამ წითურის, ბავშვი რომ ჰყავს მოკლული, გული ვერა და ვერ მოვიგე. არც თხოვნას წერს, არც საჩივარს (რა აქვს დასაწერი), ის ჩემი ცოდვით სავსე, წამკრავს აქოთებულ ფეხს ნარიდან გადმოსვლისას და დილის ლოცვასავით მიაყოლებს:

— ტროცკისტ, ბლიად!

ამანათი მომივიდა მალე. დედის ბარათი იდო მშრალ საჭმელთან და წინდებთან ერთად. საჭმელს არ დავხარბებივარ, წერილს მივაცივდი.

— რა ენაზე კითხულობ, ბლიად, ტროცკისტ! — მეკითხება ზემოდან ბავშვის მკვლელი და აქანებს შიშველ ფეხებს ჩემს ცხვირპირთან.

— დედის წერილია, — ვეუბნები, — დედა მყავს მარტო საქართველოში, მე მისი ერთადერთი შვილი ვარ.

— და!.. — თქვა მან მოულოდნელად. ცოტა ხანი იყუჩა და ფრთხილად ჩამოვიდა.

— აი აქ, ღორის ქონია, საკმაზია, დახვეული ლავაშია, პატისონი... ბოლში გამოყვანილი ძეხვი, სულგუნი შებოლილი... დაჭერი, გაყავი ოთხად და ვისადილოთ. მე თუ გინდათ ცოტა მარგუნეთ, პატარა კაცი ვარ.

ეს არ მოეწონა. არ შეიძლებაო, დამტუქსა, თანაბრად უნდა გაიყოსო.

გაყვეს მართლაც თანაბრად, ზუსტად. მე მაინც მოვირჩინე ულუფა. ჩემი იჯრაც თქვენი იყოს-მეთქი. არ ქნეს. რაც შენია, შენია (ვითომ დანარჩენი იმათი იყო), ჩვენ არ მოვკიდებთ ხელსო.

ამის შემდეგ, სანამ ომი არ დაიწყო, რეგულარულად მომდიოდა ამანათი. მე უკვე აღარაფერს მეკითხებოდნენ, თავადვე ხსნიდნენ, ყოფდნენ, აწყობდნენ ტრაპეზს. ბავშვის მკვლელიც შეიცვალა, მაგრამ რაღაც თუ ვიღაც იდგა ჩვენს შორის, ვერ მერჩოდა და ვერ მიტანდა, ვხვდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ვერ მიტანდა და რატომ?

ცოდვიანს ტროცკისტობა ეგონა მთავარი ცოდვა და ჩემმა კაი კაცობამ გული გაუტეხა.

ტროცკისტი ადამიანი ყოფილა, ადამიანად ითვლება თურმე. სახელმწიფო, მართალია, მის (მკვლელის) მხარეზეა, მკვლელებს ინახავს, ტროცკისტებს სპობს, მაგრამ რაღაცაშია კიდევ საქმე. ჩვენ ხომ ხალხის მტრები ვართ, ის არის მკვლელი ერთისა, ერთი ოჯახისა და არა ხალხისა. მე ვარ მტერი ხალხისა... რა მიგავს ხალხის მტერს! ჩემმა პერსონამ, ჩემმა არსებობამ მისი წარმოდგენები გადააყირავა. იგი უფრო გულჩათხრობილი გახდა. ძილში შფოთვა დაიწყო, ხანდახან ყვიროდა. წამოაბოდებდა ო, ო, ო-ს ძახილით, ფხიზლდებოდა, გადმოწევდა თავს, დამაჩერდებოდა; აქ არი თუ არაო.

— რაღაცას მომწევს! — ვფიქრობდი ძილგატეხილი.

შუაღამეა. ჩურჩული მესმის. სიზმარი მგონია, ვიღაც-ვიღაცები მადგანან თავზე. ვფხიზლდები. „ჩემიანები" მიმჯდარან კუთხეში, ჩემზე აქვთ ლაპარაკი აშკარად, ოღონდ აქეთ არ იხედებიან.

გავაღვიძოთ თუ არა?! მესმის ხმა.

— ონ ჟე, ფრაერ! — რიგითი მკვლელია.

თავის წილს რომ გვიყოფს, მაშინ არ არი ფრაერი, ბავშვის მკვლელი იგინება, გააღვიძეთო, ბრძანებს. თავს ვიმძინარებ, ვითომ ბაიბურში არა ვარ. ისე მართლაც არ ვიცი, რა ხდება.

რა ხდება და...

ერთი ლიტრი არაყი (სამაგონ) აქვთ თურმე შეხვილიფებული და არყის განაწილებაზე დაობენ: მეკუთვნის, არ მეკუთვნის. მოხსნეს ბოთლს თავი. სუნმა კინაღამ წამაქცია. ორასორმოცდაათი შენიაო, მომაძახა იმან, რომელიც წვეთსაც არ იმეტებდა ცოტა ხნის წინ.

მე ვეუბნები: დამანებეთ თავი, მეძინება, არაყი არ მინდა. ჩემი წილიც თქვენ დალიეთ.

— ოი, ბლიად!

გაუკვირდათ, გაეხარდათ? მე მგონი, ვერ დაიჯერეს. დაისხეს ალუმინის „კრუჟკებში". დაწოლილები სვამენ. ჩემთვის გულისამრევმა სუნმა მძინარე ფარდული ააშრიალა. აბრეშუმის ჭიასავით დაიწყო შვარშვალი 250 კაცმა.

გვერდი იცვალეს ოხვრით, კვნესით...

სუნი გაქრა მკვლელების ტუჩების წმენდისთანავე და ფარდულმა ღრმა ძილს მისცა თავი.

4.

ჩათავდა სისხლიანი 37.

შენელდა ტერორი, შიში და უნდობლობა გაიზარდა. დახვრეტებზე, ოფიციალურად და არაოფიციალურად, შეწყვიტეს ლაპარაკი. არც ვიცოდით, თუ ხვრეტდნენ და თანაც აქვე, — თბილისში, თბილისთან. 24 წლის აჯანყებამდე, ფსევდოაჯანყების შემდეგაც ხვრეტდნენ და არც მალავდნენ; დახვრეტილ-დასახვრეტთა სიებსაც კი აქვეყნებდნენ გაზეთებში.

ეს იყო ადრე. გამარჯვებული სოციალიზმის მხარეში, ყველაზე პროგრესული, ყველაზე ჰუმანური წყობის ქვეყანაში მასობრივ რეპრესიებს ხომ აღარ ექნებოდა ადგილი. დიდი დედამიწის მეექვსედის წითელი ხომალდის საჭესთან ადგა ბედნიერი ხალხის ბელადი. იგი არ დაუშვებდა უკანონობას. ეს არ მოხდებოდა. ჰქონდა, რა თქმა უნდა, ადგილი გადახრებს, ცალკეულ ამხანაგთა შეცდომებს, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი იყო. ვიცოდით. გვწამდა და არ გვჯეროდა. მაინც იჭერდნენ და აქრობდნენ ჩვენს თვალწინ. ეგრე იყო, ცხადია, საჭირო. პარტიამ იცოდა, რას სჩადიოდა. ბელადი განასახიერებდა პარტიას, მაგრამ ეს პარტია ვინ იყო კონკრეტულად? ხანდახან უპატიოსნესი, უპარტიოსესი (პარტიის გარეთ მდგარი) კაციც გაქრებოდა. რა მოხდა? საკუთარ თავს ვეკითხებოდით. ჩაითრიეს ალბათ რომელიღაც ფარულ, უამრავთაგან ერთ-ერთ ძირგამომთხრელ-დივერსიულ ორგანიზაციაში. შეუძლებელია.. რატომაა შეუძლებელი. იმ დღეს ხომ პოლიტიკური ანეკდოტი გაიხსენა. შემთხვევით? შეიძლება, მაგრამ ენა რატომ ვერ გააჩერა? აბა, ის რატომ არ დაიჭირეს, მე რატომ არ მიჭერენ!.. არ მიჭერენ?..

ეჭვი. ფიქრი. უძილობა.

აპრილის ბოლო დღეა. ოპერისა და ბალეტის თეატრში წინასაპირველმაისო სხდომა დამთავრდა და იწყება კონცერტი. ჩამთავრდა ანტრაქტი. ფარდას ვერ ვხსნით. პაჭკორია-მეგრელიძის გაერთიანებული გუნდი ვერ დალაგდა სცენაზე. ერთი სიმღერა აქვთ სულ — დიდება პარტიას. დიდება პარტიას. ტექსტი არაა. დიდებაა მარტო მრავალჟამიერივით. ერთი ძონძროხა მომღერალი ქალი იყო, გვარს ვერ გეტყვით, ავიდა დეკორაციაზე, სადაც არაფერი ესაქმებოდა, ჩაუტყდა თუ ჩაუცურდა ადამკიბის ზედა საფეხური. დაშავდა ის ოჯახდაქცეული, მაგრამ სერიოზული არაფერი დამართნია. გადარჩა, ერთი სიტყვით. გული ქე წაუვიდა და იყო გალურსული, მაგრამ სხვებმა შექმნეს წიოკი. დარბაზი აჩოჩქოლდა. მოხსენება-მუქარით თავგასიებულებმა სიცილი და ტაშის უადგილოდ დაკვრა დაიწყეს.

გალიმებული კაცი მომადგა. რაღაცას მთხოვდა, მეგონა. წამობრძანდით, გეძახიანო. ვინ მეძახის. ვეკითხები უკმეხად. ვინ არის, ვფიქრობ, ჩემი გაჭირვება არ მეყოფა! ადმინისტრატორს ვაგინე მანამდე. ოფლს ვიწმენდ თავ-კისერზე, თმა არც მაშინ მქონდა.

წამოხვალ თუ წაგიყვანოთო, ხმა შეიცვალა, თუმცა ღიმილი არ მოშორებია სახიდან. მივხვდი, ვინც იყო.

სამთავრობო ლოჟის კარში ვარ ორ ფარდას შუა გახიდული. ცალი ფეხი შიგა მაქვს, ცალი გარეთ. ვერც შევდივარ, ვერც გამოვდივარ.

— თქვენა ხართ მორიგე-პასუხისმგებელი?! — მეკითხება დაბალი, შუბლბრტყელი კაცი. მე ვარ-მეთქი. რა გვარი ბრძანდებითო. მშვენივრად იცის რა გვარისაც ვარ, არც მე მეშლება მისი ვინაობა. ვპასუხობ.

— აგვიხსენი რა ხდება?!

კონცერტის დაგვიანების, უფრო ხმაურისა და უადგილო ტაშ-ხორხოცის მიზეზი აინტერესებთ. ვუხსნი არეულ-დარეულად. პენსნესაკენ მაქვს ყურადღება, არა მარტო მე. თავს აქნევს ზანტად პენსნე ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ, წავიდესო, თურმე ამას ნიშნავს.

წავდივარ.

ნადო ევო პროვერიტ! — მეწევა პენსნეს ხმა.

დანარჩენი მშვიდობიანად, მშვიდობა აღარ ერქვა ჩემს ყოფას უკვე, ჩამთავრდა იმ დღეს.

ნადო ევო პროვერიტ!

რუსთაველის პროსპექტზე მივსეირნობთ (რა მესეირნება) კონცერტის შემდეგ მე და სიკო შინდაგორელი. იყო ასეთი კაცი ხელოვნების საქმეთა სამმართველოში. ჩემი მოადგილეც — ერთხანს. ვმეგობრობდით, მივსეირნობდით. სიკოს უძილობა ჭირს, მაგრამ მე რა მჭირს, ღმერთმა არ იცის. გაზაფხულის თბილი ღამეა, დავდივართ ზერე-ქვერე, ვლაპარაკობთ ამ მთისას, იმ ბარისას.

— ძმაო, კაკო, — მომიბრუნდა მოულოდნელად შინდაგორელი, — მგონი, უდანაშაულო ხალხს იჭერენ!

რას ამბობ, მე ვეუბნები, სუ!..

— ისე ვთქვი, აბა, უდანაშაულოს ვინ დაიჭერს! — არანორმალურად იცინის.

„მცდის?"

„რა ვთქვი ეს?!"

ძმებივით ვიყავით, მარა შიშმა ძმობა აღარ იცის თურმე.

„გავაცხადებ, დავასწრებ და გადავრჩები!"

ჩემი არ იყო ის ხმა, მაგრამ იმ არაჩემმა ხმამ ხომ ჩემს თავის ქალაში, ბოლო-ბოლო ჩემს ტვინში გაიარა.

შუაღამით მიველ შინ. ცოლი მღვიძარი დამიხვდა და ამან სულ ამშალა. წავთვლიმე დამჯდარმა და ფარსაგი სიზმარი ვნახეო. სულელური სიზმრები იცოდა, შიშს ჰყავდა ატანილი და აღარ მოვაყოლე. ჩემი კაბინეტის ღია კარიდან ტახტზე, ჩემს ტახტზე საბანწახურული კაცის ფეხები დავინახე (აბა, აქ იწყება დეტექტივი).

— სანდრიკოა. გიცადა, გიცადა... მოკვდა მურაბიანი ჩაის სმით და დაიძინა.

ჩემი ძმა სანდრიკო. მე დავამთავრებინე პარტიული სკოლა თბილისში, სამსახურშიც წავუბიძგე. ფოთში მუშაობდა, ქალაქკომის საორგანიზაციო სექტორის გამგედ. მივლინებით ჩამოსულიყო.გამიხარდა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა თითქოს.

ვეწევი. ვაბოლებ. რატომ არ იძინებო, არ მეშვება ცოლი. ველოდები-მეთქი, რაღა მქონდა დასაფარავი. შეიძლება ამაღამვე ამიყვანონ, მაგრამ არ შეგეშინდეთ. მართალ კაცს ვერაფერს მომწევენ. არ შეცდეთ და სოფელში არ გადაბარგდეთ, თუნდაც დროებით. ბავშვებს მიმიხედე. აქ დაგტოვებთ, აქ დამიხვდით. ზაფხულში დაჭერილი ადამიანების ცოლ-შვილს, აგარაკებიდან და სოფლებიდან დაბრუნებულთ, ბინები დალუქული დაუხვდათ. ისინი ქუჩაში დაყარეს და ჩემი გაფრთხილება, ბინის არდატოვების თაობაზე, რეალობას არ იყო მოკლებული.

გახურებულ ხელ-პირს ვიბან. ცოლის ცრემლი და წყალი ერთად დამდის კისერზე. გავგრილდი, გავმხნევდი, ცხელმა, მაგარმა ჩაიმაც გამომაკეთა; ვიფიქრე, ბოლო-ბოლო რა მოხდა, ერთხელ დავბადებულვარ, ერთხელ მოვკვდები, რაც არის, ეგ არი. ცოლი გავამხნევე: შეიძლება არც არაფერი არ მოხდეს-მეთქი და მომეჩვენა, რომ ჩემს კაბინეტში აღარავინ იწვა.

ქალო, თავგზააბნეულ ცოლს ვეკითხები, იმ ტახტზე მართლა იწვა ჩემი ძმა თუ ჰალუცინაციები დამეწყო?..

— რანაირი ლაპარაკი იცი შენც, მართლა იწვა... უი, წასულა!..

როდის გავიდა, ისე უხმაუროდ კარი როგორ ჩაკეტა, ვერ გავიგეთ.

თურმე არ ეძინა. შეიძლება ამაღამვე ამიყვანონო რომ ვთქვი, გაუგონია.

გადასახლებიდან რომ დავბრუნდი, პირველი ეს ვკითხე:

— ბიჭო, შენ იმ ღამით რანაირად დაიკარგე მატარებლის განავალივით!..

საქმე მქონდა გადაუდებელი, რომ არ მივსულიყავი ერთ ადგილას (ღამის ოთხ საათზე) არაფრით არ შეიძლებოდაო.

სადგურში გაუთევია ღამე, გავიგეთ.

5.

გადასახლება სოჭის სამთავრობო სანატორიუმში გაგზავნას უდრიდა. სიკვდილი თან დაჰყვება ადამიანს; ხან უახლოვდება, ხან შორდება და კაცი ხშირად დასასრულს, მშვიდად ვერ იტყვი, მაგრამ, ასე თუ ისე, შეგუებული ხვდება. დახვრეტის მოლოდინი სხვაა. ამ განცდის აღწერა შეუძლებელი მგონია.

დახვრეტა შემეცვალა გადასახლებით, რა ხნით, რა ვადით, აღარ ჰქონდა მნიშვნელობა: სიხარულის ელდამ თუ არ დაგცა, დანარჩენებს, გგონია, გაუძლებ. ცოცხალი ხარ და იქნები ცოცხალი, სხეული, რომელიც შენი აღარ იყო, ისევ შენია, იგი საჭიროა, კარგა ხანს გამოგადგება კიდევ... ხელი მაქვს, ფეხი მაქვს, თავი მაქვს... ბოლოს ამ უცნაურობასაც ეჩვევი, ზევიდან მიწაზე ჩამოდიხარ კვლავ. ფიქრობ: რას მერჩოდნენ, რატომ მართმევდნენ სიცოცხლეს, — იმას, რაც მათ არ უბოძებიათ. შემდეგ ეჭვები გტანჯავს: ხომ არ მატყუებენ, იოლად მიჰქონდათ და იოლად დათმეს? ვისთან გაქვს საქმე! ნათქვამს ვერ გადავლენ, მე შენ გეტყვი და შეწყალების ქაღალდს ვერ ჩამოგახევენ თავზე თუ დასჭირდათ?! ეს მეორე წრეა, მესამე გადასახლების ადგილისკენ ქროლვა, ცინიკურ-ირონიული მგზავრობაა სალხინებლისაკენ.

მივყავართ მატარებლით, საბარგო, საქონლის ვაგონებით: ცხელა, ვიწვებით, სულისხუთვაა, მაგრამ ვინ ჩივის...

გადის დღეები, ღამეები... მივდივართ, მივგორავთ, მივქრით. დედამიწას არა აქვს ბოლო, ციმბირი უკიდეგანოა, იგი მხოლოდ რუკებში, რუკებზე მთავრდება, იწყება და მთავრდება. გაჩნდა დიზენტერია, ბევრმა გზაში დალია სული. სიკვდილშეწყალებულებს ავადმყოფობა არ ეკარებათ. მოკვდა ჩემს გვერდით, მაგრამ ჩემგან შორს. ვიცი, რომ ჩავალ ადგილზე. ეს მიწერია, დანარჩენს მომავალი დაგვანახებს. გზაშივე გავიგეთ, რომ მივდივართ სადღაც, ბაიკალის ტბისკენ, უსტ-კუტიდან ჩრდილოეთით, საითაც აღარც რკინიგზაა, აღარც ჩვეულებრივი და აღარც მისამართიანი დასახლება, რომლის ადგილმდებარეობის გაცხადება გზაში კი არა, ადგილზეც არ შეიძლება თურმე.

მესამე კვირას დედის დარდმა მიწია. საითა ვარ, რომელ მხარეს, არ იცის, მკვდარი ვარ, ცოცხალი — არ უწყის, რა გავაგებინო და — როგორ. სადგურ-გაჩერებებზე, სადაც დღეები ვდგავართ ხანდახან, ვაგონიდან ფეხის ჩამოდგმის უფლებას ვინ მოგვცემს! დაელაპარაკები ვინმეს და შენი აჯობებს! დავწერე წერილი ქაღალდის ნახევზე დალეული ფანქრით და ჩავდე ასანთის კოლოფში. დაველოდე გათენებას და ყველას რომ ეძინა, მივადექი გისოსებიან სარკმელს; რელს-ბორბლების ჯახაჯუხზე ვიგრძენი, რომ დასახლებულ პუნქტში შევდიოდით. მართლაც, მიმოფანტული სახლებისა და ქოხმახების კონტურები გავარჩიე ბინდბუნდში. გადავიარეთ ხიდი ჯახაჯუხით. კაცი დგას მიწაყრილზე რელსებს ზევით, პაპიროსს ეწევა, წელში მოხრილი. ვუახლოვდები. წარბშეჭმუხნილია, ასე მეჩვენება, თითქოს კუჭის ტკივილით შეწუხებული უყურებს უცნაურ ეშელონს... გამხდარია, სახედაღარული. ვესროლე ასანთის კოლოფი მთელი ძალით და დავინახე გაფართოებული თვალები. მზერით შევეფეთეთ ერთმანეთს წამიერად. ჩვენ-ჩვენ თვალებში ლანდარეკლილები გავშორდით. ჩემი სამზერიდან მეტი აღარაფერი გამოჩნდა.

დოროგოი დრუგ, — ასე ვიწყებდი გარეწერილს, ძირითადს რომ ჰქონდა შემოხვეული, ბუდ ჩელოვეკომ, გამიგზავნე ეს ბარათი საქართველოში. მე ერთი უბედური პოლიტპატიმარი ვარ, რა მელის არ ვიცი, და დედას, რომელსაც ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს, მივაწვდინო იქნებ ხმა... კმაყოფილი დავრჩი და შემდეგ შიშმა ამიტანა: მდუღარეში ხომ არ ვტუცო ფეხი-მეთქი, გავიფიქრე. ან ეს გულახდილო-

ბა, ჩემი პოლიტპატიმრობის ხსენება რაღა საჭირო იყო, ვერ გავიგე. იქნებ იმ კაცმა მიიტანა კიდეც წერილი სადაც ჯერ არს. ზღვას გადარჩენილს წვეთი დამაბრჩობდა ამის გამო. შედეგს ადგილზე გავიგებდი, მეგონა; ვდარდობდი და ერთი რამ მასულდგმულებდა: წერილს არ აიღებდა ის კაცი. სახეში დავუმიზნებ-იქნებ ფეხებთან დავუგდო-მეთქი, მაგრამ მატარებლის ქარმა ისევ ჩემკენ წამოიღო, ტამბურში შემოაგდო მგონი; მაინც მეშინოდა, ჩემი წინდაუხედაობა უკან მომყვებოდა. გულის ხეთქვით გავიარე რამდენიმე რეგისტრაცია საკონცენტრაციო საგზურების ჩითვისას.

წლები გავიდა. დრო დატრიალდა. დავბრუნდი ერთ მშვენიერ დღეს ცარიელ ბინაში. როცა დედის სამარეში არჩატნეულ კაბებს ვათვალიერებდი, დედის მარადიულ სურნელს ვისუნთქავდი, მუყაოს გაცვეთილი ყუთი ამემჩატა ხელში. გავხსენი. ჩემი წერილები იდო. ციმბირიდან გამოგზავნილი ყველა წერილი შეენახა, წლების მიხედვით დაელაგებინა და რეზინით გაეკრა. შიგ გარდერობის ღია კარში, კაბებში დავჯექი და წერილების თვალიერებას შევუდექი. ერთი ლურჯი დიდი, დაზღვეული კონვერტი არ მეცნაურა. ციმბირიდან იყო გამოგზავნილი: „კრასნოიარსკი კრაი, სტანიცა უდელნაია". კრასნოიარსკის მხარეში არ ვიყავი ნამყოფი. სტანიცა უდელნაია, საერთოდ, არ გამეგონა. გავხსენი, კონვერტში კონვერტია, შიგ ჩემი სამკუთხა წერილი არ დევს! წერილი, ცხრა წლის წინ სახეში რომ ვესროლე უცნობს. თავში რომ დამკრა, რაღაცამ ფეხის გულებში გაიარა. დავინახე თვალები, წამიერად რომ შეეფეთნენ ჩემს თვალებს. თანადგომის მზერა იყო ის და არა შიშისა და გაოცების.

— კაცო, აქა ვარ, წადი შენ, ჩვენ ვიცით!

გამიჭირდება, გამახსენდება ის კაცი. სულ იქა დგას ლურჯი საწვიმარით, აბოლებული „ბელომორკანალით".

6.

უპარტიო კაცი ვარ, პოლიტიკაში არ ვერევი, მაინც გულდამძიმებული დავდივარ: თბილისიდან ამოდის ნამეტანი გლახა ამბები: დაიჭირეს, წაიყვანეს, გააქრეს; ხალხის მტერი აღმოჩნდა, ტროცკისტი აღმოჩნდა... რა ხდება, ვფიქრობ. ვსვამ პაპიროსს და ახალს ვუკიდებ. დღეს ის, ხვალ ეს, მერე მე გავხდები ხალხის მტერი, გამხდიან. კი მაგრამ, ჩემთან რა უნდათ? ჩემისთანა მართალ კაცთან რა ესაქმებათ? თავის მოტყუებაა, ისინიც — წაყვანილ-აყვანილებიც — ასე ანგარიშობდნენ ალბათ; საკუთარ უდანაშაულობას უმტკიცებდნენ საკუთარ თავს.

ამ ფიქრებში ვარ, ვერ ვიძინებ, რა დამაძინებს, პაპიროსს ვსვამ-მეთქი ქე გითხარით და გამოგვხედეო, ხმა მესმის ეზოდან. გული ამიფართქალდა. გვიანია, მარა ხო შეიძლება მეზობელმა, ახლობელმა ამოგძახოს, ვის რა უჭირს, რას გაიგებ. სწორად ვმსჯელობ თითქოს მარა, გული სხვას მიჩივა: გლახა საქმეზე მეძახიან, ვგრძნობ. არ თქვა, წინათგრძნობა არ არსებობსო.

რომელი ხარ?! ხმა არ მემორჩილება. მე ვარო, რაიკომის თანამშრომელი ვიცანი მთვარიანში. ვალერიანოვიჩი გეძახის, უნდა წამოხვიდეო. შეწუხებულია თვითონ, რაღაცას მიმალავს.

— რა უნდა ვალერიანოვიჩს (რაიკომის პირველი მდივანია)?

— გეტყვის თვითონ, არ გვალოდინო, თუ კაცი ხარ, მანქანითა ვარ!

პირველი მდივნის „ემადინი" გავარჩიე მესერს იქით, შუკაში. ის იყო, ვიცანი. რა ცნობა უნდოდა, მეტს სხვას არც ჰყავდა იმნაირი, არც სხვანაირი, ავტომობილი ჩვენს რაიონში.

წავედი. რა დავიბარე სახლში, არაა საინტერესო. მივედი. თეატრის დირექტორი ზის მოსაცდელში, მოტვლეპილ თავზე ისვამს ნერვიულად თითებს, შლაპა გვერდზე უდევს. რა უნდათ, თუ იცი? მეკითხება ხმადაბლა, თითქოს ხვალ ელაპარაკება... როგორც თვითონ იცის, ისე ვიცი მეც. მანქანით მომბრძანებს, სამაზე დიდი პატივი საცოდავ მამაჩემს არ უცია ჩემთვის, რა ვიცი, რა უნდათ!

— დაბრძანდით! — მესამე მდივანი გვეპატიჟება დიპლომატიური ეტიკეტით. ვალერიანოვიჩი ბოლთას სცემს კაბინეტში, გადის და გამოდის, არც გვიყურებს. ვსხდებით.

— რისი პრემიერა გაქვთ ხვალ? — მესამე იწყებს.

— „ღალატის".

— ნახეს დრო! — სახე ემანჭება ვალერიანოვიჩს, ბოლთას განაგრძობს. მესამე მდივანი უყურებს კითხვის ნიშნით, აცალოს თუ თვითონ ილაპარაკოს, აღარ იცის.

— ტახტი გაქვთ სცენაზე? — რამდენიმე შეკითხვის უფლება აქვს კიდევ, ხვდება.

— ტახტი კი, — დირექტორი პასუხობს და ჩემკენ იხედება.

— რა ტახტია? — მე მეკითხება.

— ტახტი, შაჰის, სოლეიმანის, სპარსი დამპყრობლის... — აღარ ვნერვიულობ, ტახტი ტახტია. შაჰი არ უნდა მეხსენებინა, მარა რა უშავს...

— ფაშისტური ტახტი გააკეთეთ?! — ვალერიანოვიჩია. აღარ დადის.

„ვილუპები!" დამცეცხლა. თავში ჩამწყდა რაღაცა და ფეხებისაკენ წავიდა.

— თქვენი დახატული ესკიზებითაა? — თეატრის ცოდნასაც ამჟღავნებს.

— დიახ.

— მერე?! — ყვირის, — მოვიდა აქ სიგნალი, ფაშისტურ ტახტებს აკეთებთ?!..

— არა, ბატონო, ფაშისტური ტახტი როგორია არც ვიცი.

— არ იცის! — თითებს აკაკუნებს მაგიდაზე მესამე, პირველისაკენ აპარებს მზერას.

— ამიტომ მომცეს ლენინის ორდენი, რომ ყურადღება მოვადუნო?!.. თქვენს ნებაზე ვერ მიგიშვებთ!

— ჰმ!.. — მესამეა.

— წავიდეთ, ვნახოთ! — მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს ვალერიანოვიჩი.

მიდიან. მივყვებით. დირექტორი დარაჯისა და გამნათებლის მოსაყვანად მიცუხცუხებს ასახვევში მოკლე ფეხებით. კოლონადასთან ვიცდით: რაიკომის პირველი, ლენინის ორდენოსანი ვალერიანოვიჩი, მესამე მდივანი, ჩაის ფაბრიკიდან რომ გადმოიყვანეს რამდენიმე თვის წინ იდეოლოგიური'დარგის კურატორად და კაცი საქაღალდით, რომელიც აქამდე არ დამინახავს. როდის მოვიდა, როდის შემოგვიერთდა, ვერ ვიხსენებ. თეატრის დირექტორი და ფეხგაშეშებული დარაჯი გამოვიდნენ ჩიხიდან არენაზე. მელოტ თავზე ისვამს დირექტორი ისევ თითებს, შლაპა მეორე ხელში უჭირავს. გამნათებელიც გამოჩნდა.

„ვაითუ ფაშისტურია მართლაც... ესკიზები იქა მაქვს, თუ არ მთხოვეს, არ გამოვაჩენ. ამათ ტახტი აინტერესებთ. რა გადააკრეს ბოლოს აღარც მახსოვს, რა აზრი ჩადეს შიგ, როგორ ვენდე დურგალს, საეჭვოდ არ იღებდა იმ დღეს ხმას! ტვინი მიდუღს. რა მომიწყვეს, რა ვიცი.

გაჩახჩახებულია თეატრი. სცენაზე დგას ის ჩემი ცოდვით სავსე ტახტი. დაჩერებიან, აშკარად ფაშისტურია, ფერი რანაირი ადევს... ფაშისტურია, რაღა ლაპარაკი უნდა... არადა, წარმოდგენა არა მაქვს, არსებობს თუ არა ფაშისტური ტახტები.

— გადააბრუნეთ! — ვალერიანოვიჩის ბრძანებაა.

„შეიძლება უკანაა ძაღლის თავი!“

ძონძებია გაურანდავი ფიცრებიდან ამოჩრილი. მიფინაჩებულია შიგნიდან, ასეც ვიცოდი.

— გადმოაბრუნეთ!

ერთმანეთს უყურებენ.

— გადააბრუნეთ!

„რას ჰგავს უკნიდან, ცალპირად ნაქსოვი კაცის ნახელავია, არ რცხვენიათ!“

— გადმოაბრუნეთ!.. საკმარისია. რას იტყვით?!

ჩვენ გვეკითხება. ჩვენ ვერაფერს ვპასუხობთ.

— რა ეშმაკის ორღობედ გინდოდათ ეს „ღალატი“, თქვე კაი ადამიანებო, ღალატის დროა ახლა?.. — გუნებაგამოკეთებულს ჰგავს, თითქოს ეღიმება კიდეც, მგონი, მგონი კი არა, — გადავრჩით.

— თანამედროვე თემებზე უნდა იმუშაოთ! — მესამე მდივანი გვარიგებს.

— დადგით „კოლმეურნის ქორწინება“ ან „პლატონ კრეჩეტი“! — ამბობს კაცი საქაღალდით, რომელსაც აქამდე არ დაუძრავს კრინტი.

კომისია მიდის. მთვარე ჩადის. უფრო ბნელდება. ივნისის ალმურია მაინც. ჭრიჭინობელები ჭრიჭინებენ. ქალაქს სძინავს. შუკაშიც აღარავინაა.

„ვინ იყო, ნეტავ ის კაცი, „პლატონ კრეჩეტი“ რომ შემოგვთავაზა?“

7.

აქტიური კომკავშირელი ვიყავი, ვაქტიურობდი. ერთხელ ნამეტანი გავაქტიურდი.

დამიბარეს კომკავშირის ცეკაში.

რა გჭირს შენ, რა ამბავში ხარ, რეიზე აქტიურობო, ენას რატომ ვერ აჩერებო, მეკითხებიან.

ჩემს საკუთარ აზრებს გამოვთქვამ, მე ვეუბნები.

ა, შენ საკუთარი აზრებიც გაქვსო, დაინტერესდა ერთი გამხდარი კაცი; თუთუნის ბოლით ჩაჟანგული ხმა ჰქონდა; ხელზე, გადაშვებული ბლუზის სამაჯეზე, დიდი, „კიროვის“ საათი ეკეთა.

დამაწერინეს ახსნა-განმარტება.

ამის შემდეგ ერთხელ კიდევ დამიბარეს და ერთ მშვენიერ ღამეს ამიძღოლეს, წამოდიო და წავყევი.

ანტისაბჭოური პროპაგანდისათვის მრეკეს რვა წელი და გადამასახლეს. გამიყვანეს ტაიგაში სამუშაოდ, — ყინვაში თვრამეტი წლისა.

ბრიგადირად დანინაურებულმა ზეკმა მომცა ბირდაბირი ხერხი, მიმაყენა ცადაწვდილ კედართან; ეს ხე უნდა გადახერხოო, მითხრა; ამას წააქცევ და მეტი დღეს არა გევალება რაო. მადლობელი ვარ, მე ვეუბნები. რა გაქვს სამადლობელიო, მიდის. ე, ისა, იმანო, უფროსო, ვეძახი, რანაირად იქნება ეს ამბავი, ბირდაბირს ვინ გამიწევს, მეორე კაცი სადაა? მეორე აღარა გვყავს, სამწუხაროდო, ცრემლი მოიწმინდა ბრიგადირმა, მგლებმა შეგვიჭამეს წინა ოთხშაბათს. არაუშავს, გულთან ნუ მიიტან ამ ამბავს, დღეს მარტო იმუშავე, ხვალ მოგიძებნი ვილაცას... ეს მოჭერი, სხვა ხეს არ ახლო ხელი!

კი უფროსო, მარა ხერხი როგორ მივწიო?.. გამოწევით გამოვწევ, შენა ხარ ჩემი უფროსი, მაგრამ წინ რაფრად მივწიო, რანაირად?!

მისწევ და გამოსწევ, არაფერი არაა მაგი, ხერხი აქაა, ხე აქაა, შენ აქ რჩები, მოჭრი, წამოხვალ თუ არადა შენი აჯობებს!

პრიალებს ხვრიში თოვლის არილზე ნახმარი ბირდაბირი, აწევ — იდრიკები, ილვერება. ბრიგადირი აღარა ჩანს. რაღა ვქნა, ვფიქრობ, ეს ხე თუ არ წავაქციე, დამტოვებენ აქ და მგლები გამომტკვერენ, მგელს თუ გადავურჩი, ყინვა მომკლავს, ცალი და ნაწევარი არ დარჩება ჩემი.

ბიბლიოთეკა

საქმეს, საქმეს მიხედე, შევუძახე თავს. გავაჩერე რაღაცნაირად ხერხი კედრის ქერქში, გამოვწიე, დავტოვე მოღვერილი ხერხი; შემოვუარე ხეს, გავწიე, საქმე გავაიოლე; გავწიე, შემოვბრუნდი, მივწიე, შემოვუარე ხეს, მოვწიე; წავალ, გავწევ, წამოვალ, გამოვწევ. ვიტრიალე წინ და უკან დღის ბოლომდე... მეშინია, არ დამაღამდეს. თურმე არ ღამდება, ექვსი თვე დღეა იმ უპატრონო ქვეყანაში. ვიწვალე, ვიჯახირე, ჩემი ვქენი.

ბუზებივით იხოცებოდნენ, მაგრამ ბევრმა გაძლო; ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ყველაფერს ეგუება, ბირდაბირის ცალპირად ხმარებასაც კი; სხვა საშველი რომ აღარ დაგრჩება, იქითაც მისწევ, აქეთაც გამოსწევ მარტოკანა.

გავათრიე რვა წელი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დამიმატეს ათი, ახალგაზრდა ხარ, რა გეჩქარება, სად გარბიხარო. წლები არ ეზოგებოდათ, რაც მართალი მართალია, ამას ვერ დავუკარგავ.

მომახდევინეს 18 თვრამეტ დღესავით.

ჩამოვბრუნდი, დედ-მამა დახოცილი, სახლი წაქცეული დამიხვდა. რაღაზე ჩამოვედი, ვფიქრობდი გაშტერებული. დავგლახდი ერთი დაგლახება. მოვერიე თავს მაინც, ოცდათექვსმეტი წლის ვიყავი, მეტის არა. გამამხნევეს, აგერა ვართო, ნამეხმარნენ, მეც ხელი გამოვიღე. ოჯახი შევქმენი, ცხოვრება მოვიყვანე.

ხანდახან ძილში, ფიქრში ციმბირს ვხედავ; გამხელა მეშინია, მაგრამ მომენატრება ხოლმე ტაიგა, სადაც ჩემი სიცოცხლის საუკეთესო, დაუბრუნებელი წლები ჩაიყინა.

8.

სხვათა შორის, მეც ადრე გამომიშვეს.

მე ჩამოვედი, ჩემო ბატონო, ომის დაწყების წინ, 1941 წლის 1 ივნისს.

გულაგის მთავარ სამმართველოში გადასინჯეს საჩივრები, თხოვნები, სამედიცინო დასკვნები და გაათავისუფლეს საგულაგეთის ტუსაღთა საერთო რაოდენობის 000 რაღაც პროცენტი. კაგებეს ათეულობით გამომძიებელიც მიახვრიტეს, ვითომ ძიების ფალსიფიცირებისათვის. ეს ყველაფერი გათვლილი და დაანგარიშებული იყო წინასწარ; იცოდნენ: რამდენი უნდა გამოეშვათ (ადამიანთა მიზერული რაოდენობა), რამდენისათვის უნდა შეემცირებინათ, რამდენისათვის უნდა გადაევადებინათ, რამდენისათვის უნდა გაეზარდათ სასჯელი, რამდენი უნდა მიეხვრიტათ არასწორი დახვრეტებისათვის და სხვა.

ასე იყო თუ ისე, შემიწყალეს, გამომიშვეს, ბედის სამდურავის „ვახ, სოფელო რაშიგან ხარ", უფლება წამართვეს; განთავისუფლების ქაღალდში ჩამიწერეს გარკვევით: არა აქვსო მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, მათ შორის თბილისში ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრებში, სამრეწველო ობიექტებთან ახლო ცხოვრებისა და მუშაობის უფლებაო (თბილისი ხაზგასმით და რამდენადმე უადგილოდ იყო მოხსენიებული). ცოლ-შვილი თბილისის სადგურში დამიხვდა, მატარებლიდან მატარებელში გადავჯექი, ქუჩაზე ფეხის დაკარება ვერ გავბედე.

ვეწვიე ქუთაისს, შემდეგ ფოთს, გორს. ძველი ნაცნობები, ნასტუდენტარ-ნათანამშრომლები მოვიკითხე. არავინ გამიკარა. მესმოდა მათი. სულმოკლეობას გამართლება არა აქვს, მაგრამ მათი საქციელის ახსნაც შემიძლია. ქუთაისის ქალაქ-

კომის პირველმა მდივანმა ამხ. ნ-იამ კაბინეტში კი შემიშვა, მაგრამ სახეზე აფარებული გაშლილი გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ არ გაუშვია ხელიდან.

— გამარჯობა შენი! — როდის-როდის დასწია შუაწელით გაზეთი, სკამი ჩემამ თავაზა. ხმა მეცნო, თორემ სახეზე, ქუჩაში ველარც კი ვიცნობდი. შვიდი-რვა წლის წინ კურიერად მივიღე ხელოვნებათა სამმართველოს აპარატში. საქმე არ ეზარებოდა, ლიმონათზეც ბევრჯერ მყავდა გაგზავნილი.

— ახლა საქმე ის არის, პრიამო ნადო გავარიტ, სამუშაო ადილის ერთეული არა მაქვს, ფიზიკურად არა მაქვს... — საჯდომი არ ააცილა სკამს.

მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

ბოლო-ბოლო მარნეულის სკოლის რუსული ენის მასწავლებლად დამნიშნა (დირექტორიც გავხდი, მაგრამ ეს გვიან მოხდა) განათლების სისტემის იქაურმა გამგემ არაქართველმა, რომელიც საერთოდ არ დაინტერესებულა ჩემი თავბრუდამხვევი კრიმინალურ-პოლიტიკური კარიერით (საბრალდებო დასკვნაში ტერორისტად ვიყავი მონათლული და სამგზავრო მატარებლებზე თავდასხმაშიც მედებოდა ბრალი).

სკოლის საკლასო ოთახში ფეხის შედგმა ვერ მოვასწარი, დაიწყო ომი, — დიდი სამამულო ომი, როგორც ბოლშევიკებმა მონათლეს იგი. რამდენიმე დღის შემდეგ ჯარში დამიძახეს. მომივიდა უწყება, სადაც ჩემი ნაწილის დროებითი დისლოკაციის ადგილი იყო მითითებული.

წავიღე ჩემი გულაგეთის დამღა და მივედი კომისარიატში. ვაჩვენე კომისარს ქაღალდი, არც დახედა. რაშია საქმეო. ენას უკიდებს, ყბა აქვს მოქცეული.

არა მაქვს ჯარში, მით უმეტეს ომში, ყოფნის უფლება-მეთქი. ამის გაგონებაზე ავარდა, კინაღამ ჭერს მიარტყა თავი. რისი უფლება არა გაქვსო, სულ დაება ენა, მტერი კავკასიონს მოადგება უკვე, ფეხი გაკლია, ხელი გაკლია?!..

— არაფერი არ მაკლია, — მინდა დავაწყნარო პირველსავე დღეებში ავია-დაბომბვაში მოხვედრილი კონტუზირებული კაცი. პატარა თავი და თხელი თმა აქვს. რატომღაც რომელიღაც სპორტულ (თავდაცვა-ავიაქიმი?) ორდენს ვადარებ ბარიერს მიმდგარი. ყვირის ისევ და იგრიხება, დორბლიც მოსდის. ვფიქრობ, არ შემომაკვდეს ხელში და არ მინდა ამისგან არაფერი.

— ამხანაგო! — ავუწიე მეც ხმას, ამ დროს იქით უნდა შეუტიო.

ამხანაგობაზე შეჩუმდა.

— მე ტროცკისტი ვარ! — ყურთან მივუტანე პირი.

— რა ხარ?!

— ტროცკისტი...

იმნაირად შეშინებული კაცი არ მენახა ჩემს დღეში.

— რა უნდა ამას აქ?! — თანამშრომლებისაკენ იხედება, — რა უნდა გამაგებინეთ?! მიხედოს თავის სკოლას... მიეცით თეთრი ბილეთი, მგლის ბილეთი მიეცით, მე თავი დამანებეთ, კადრის ოფიცერი ვარ მე... რა მინდა აქ გარნიზონის ვირთაგვებთან... ფრონტზე, ყველანი ფრონტზე!..

შენ გელპარაკა ჩემი დამაწყევარი, ვფიქრობ ჩემთვის. ძლივს გაპმოვასწარი. ჩემკენ არ გამოუხედავს იმ დღის შემდეგ, თუმც არც თვითონ შერჩენია დიდხანს იქაურობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი
(სოიუზ ნე რუშიმი)

1.

თვრამეტი წელი გაატარა პოლიტპატიმრად ციმბირის ბანაკებში. 1955 წელს დაბრუნდა მოსკოვს, მალევე გარდაიცვალა.

სიმამრი იყო ჩემი. ირას მამა. სიმამრზე ხომ შეიძლება? მოკვდა სიმამრი ვასილი პანტელეიჩი. სადიპლომო სპექტაკლს ვამთავრებ, იქითა მაქვს ყურადღება, მაგრამ მოკვდა კაცი ნაციხარი, ნახიშტარი. ახლა რა ვქნათ, ვიკითხე. ირა მეუბნება — არ ვიცი. უნდა გაასვენოთო, თამაზი გვასწავლის. სწორია, გასვენება აუცილებელია. ახალგაზრდები ვართ, გამოუცდელნი. მე შენ გეტყვი, გადაგვყვებოდა სანათესაო, სამეზობლო. უფროსი ქალიშვილი პირველი ცოლისაგან ყაზახეთში თუ ყირგიზეთში ჰყავს გათხოვილი. გამოგზავნა ტელეგრამა: დავტირი საყვარელ პაპოჩკას, ჩამოსვლას ვერ ვახერხებ, დაკრძალეთ უჩემოდო. არც ჰყავდა ნანახი, თუ ერთხელ ნახა გადასახლებიდან დაბრუნებული, არ ვიცი. დატრიალდნენ ისევ ძმაკაცები და დავკრძალეთ ქრისტიანულად, მოსკოვურ-ქართულად. ღმერთი არ სწამდა, მაგრამ მღვდელიც მივუყვანე. მღვდელი მაშინ, ორმოცდაათიანი წლებია, რაღაცას ნიშნავდა, ან პარტიიდან გაგრიცხავდნენ იმის გამო ან კომკავშირიდან... განსაკუთრებული პატივი მივაგეთ, ამით იმის თქმა მინდა; მოვიყვანე, პარაკლისია თუ რაც არის, სასაფლაოზეც მოვიდა, ვაგანკოვოზე ვმარხავთ. დაწვა, კრემაცია... არავითარი. ირას სურვილიც ეს იყო, რასაკვირველია. პურმარილი გამზადებულია. ჩვენა ვართ რა, იქაური ქართველები... ირას დაქალებიც მოვიდნენ, ყვავილები, რამე... მოკლედ, გავაცილე ახლა ეს მღვდელი, ჩავსვი მანქანაში... ფული აიღო? არა ბიჭო, არ აიღო! მადლობა რამე, ტაქსის ფულიც მე გადავუხადე, სხვა დროსაც დაგჭირვებოდე ამნაირ საქმეშიო, დამლოცა და საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმა მესმის. რადიო მგონია. მივბრუნდი, რას ვხედავ:

მოუყვანიათ მილიციის სასულე ორკესტრი, თამაზ მელაძის მოწყობილი ამბავია, რად გინდა ლაპარაკი, დგანან ფორმიანი მილიციელები, წითელ თუ მწვანეკანტიანი შარვალ-ქუდებით და მთელი მონდომებით უბერავენ საბჭოთა კავშირის ჰიმნს: სოიუზ, ნე რუშიმი... როგორც არი. ბიჭები თვალს უკრავენ ერთმანეთს. რაღას იზამ, დავდექი მეც, ირას ცრემლები ახრჩობს ამ ჰანგზე. დიდ პატივისცემად თვლის ამ პროცესს. ასე იყო... ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ატენიდნენო, ამასაც ვერ ვიტყვი. რწმენით და გულით კომუნისტი ნამეტანი კომუნისტობისათვის დაიჭირეს... მერე კი შეაძულეს კომუნიზმიც, ღმერთიც, ყველაფერი... კომუნისტ-ქრისტიანულად დაიმარხა.

ბედია.

იმ წყობილების მოძულეს ჰიმნი დაუკრეს მილიციის თანხლებით. თვრამეტი წელი ყინვა-სივიწროვე-სიბინძურეში ესმოდა ეს ხმა და იტანდა, გული ერეოდა? არც ეს ვიცი. ცხოვრებაში უბედო, სიკვდილშიც უბედური აღმოჩნდა... შეიძლება პირიქით...

ქელეხი კი, მაგარი.

ანდერძი ვნახეთ, რაც მთავარია, გასვენების დღეს საწერ მაგიდაზე, მარმარილოს საწერელქვეშ დაეტოვებინა; ერთი თვის პენსია და გადასახადების ქვითრები. დამწვითო, ეწერა, რაღა დროის... ამ ფულით არაყი იყიდეთ — „ზუბროვკა", ჩემი მოგონების დალიეთო...სამასი ლიტრი ტიბაანი გვაქვს ამ დროს გურჯაანიდან ჩამოტანილი...

2.

ვიქნებოდი, დიდი, დიდი, ექვსი წლისა, მამაჩემი რომ დააპატიმრეს. სოფლის სკოლის დირექტორი იყო რაიონში და პატეფონს გადააყოლა თავი, ჩემო ბატონო.

ამოიტანა ერთ დღეს სოფელში სასოებით, ამოაყოლა ფირფიტები ქართული ბალხური სიმღერებითა და XVII ყრილობაზე წარმოთქმული სტალინის სიტყვითა. დაატრიალებდა საღამოს ქართულ სიმღერებს, დააყოლებდა სტალინის სიტყვას და ჩაკეტავდა პატეფონს გასაღებით. გადავიდოდა მზე, ბინდი დაეფინებოდა სოფელს, ვივახშმებდით და გახსნიდა: სტალინი იწყებდა ლაპარაკს სამარიდან. რიგრიგობით უნაცვლებდა გარმონივით დაკეცილ, მრავალგანყოფილებიან ქარქაშში ჩალაგებულ ფირფიტებს ერთმანეთს. მესმოდა სუსტი ხმა, დახშული ლაპარაკი პატეფონში ჩამძვრალი კაცისა. ერთი ფირფიტა ტაშისა იყო: იწყებოდა ტაშით და მთავრდებოდა ტაშით. გადააბრუნებდი ტაში, გადმოაბრუნებდი ტაში. აი ახლა ამოიღებს ვილაც ხმას, აი ახლაო, თქვენ არ მომიკვდეთ; ტაში. ტაში. ტაში.

ამასობაში მოახლოვდა საკავშირო არჩევნები და დაიწყო თურმე წინასაარჩევნო კამპანია. კომკავშირლებმა სკოლის შენობაში გამოაწყვეს აგიტპუნქტი, გამოკიდეს ნითელი დროშები, გააკრეს პლაკატები და მოთხოვეს მამას პატეფონი. გვათხოვე, ამხანაგო მიხაკო, და დაგიბრუნებთო. არ ქნა, გამიფუჭებთო. რავა გეკადრება, საკუთარივით მოვიხმართო. მაგას კი იზამთო, მამაჩემს ეთქვა, სხვის ქონებაზე მაგრები ხართო, ჩემსაზე რომ გიჭირავთ თვალი, ქვეყნის ამშენებლები ვართო, რო იძახითო, პატეფონი მაინც იქონიეთ საკუთარიო. კაიო. გავითვალისწინებთო.

დაიბარეს რამდენიმე დღის შემდეგ რაიონში, ფეხით ამოსულიყო წვერგაუპარსავი კაცი, საქმე აქვენ რაღაც გადაუდებელი, უშენოდ არ გადაწყდება თურმე ის საკითხი და წამოიო. წავიდა და აღარ დაბრუნებულა. სხვებმა ამოგვაკითხეს სამაგიეროდ. გაგვჩხრიკეს, წაიღეს მხოლოდ და მხოლოდ პატეფონი; სხვა რა იყო წასაღები და წავიდნენ. მამას კი, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, დააბრალეს არჩევნების ჩაშლის მცდელობა, დაასახელებინეს თანამზრახველები და წამოიწყეს ოპერაცია კოდური სახელწოდებით — პატეფონი. ბევრი გააყოლეს მამაჩემს და იმ ოპერაციისას, იმ რაიონში, განათლების სისტემის მრავალი წარმომადგენელი გააქრეს.

აგვხრიგლა ერთ დღეს დედამ შვილები და ჩაგვასხა თბილისში. მივადექით მამის ბიძაშვილს — სახელმწიფოს ცნობილ მუშაკს, აცხონოს ღმერთმა, აღარაა ცოცხალი და აღარ მოვისახელგვარებ. ასეა და ისე ჩვენი საქმეო, უყვება დედა ტირილით: დავიღუპეთ, დარჩნენ ბაღნები უპატრონოთაო. მოიცა ქალო, ნუ ფლიქვინებ, მართლა ჩალით კი არ არის ეს ქვეყანა დახურული, გავარკვევთ ყველაფერს და თუ უდანაშაულოა, რაც ერთგვარად მეეჭვება, გავათავისუფლებთ. ახლა დალაგებით მომითხრე ყველაფერიო. ამოიწმინდა დედამ თვალები, დაიწყო და პატეფონის ხსენებაზე შეხტა გველნაკბენივით ჩვენი მწყალობელი.

— პატეფონზეა ჩავარდნილი?! — გადმოკარკლა თვალები. აქ რამ მოგიყვანა, ქალო, თუ ასე იყოო. მაგ საქმე ლავრენტი პავლოვიჩს ჰყავს აყვანილი კონტროლზე და არ ახსენოთ პატეფონი, მით უმეტეს ჩემი სახელი, გინდაც არ ყოფილხართ, ისე წადითო, გაგვიღო სხვა კარი და ბნელი სადარბაზოთი გაგვიშვა. სადგურში შევითენეთ და რომელიღაც მატარებლით ვიმგზავრეთ უბილეთოდ გასასვლელთან მიჭუჭყულებმა.

ის დღე და ის დღე, პირში წყალი ჩაიგუბა დედამ, აღარც ქმარი უხსენებია, აღარც პატეფონი. დაგვზარდა, სკოლა დაგვამთავრებინა, ომი და სტალინის სიკვდილი გადაგვატანინა და ერთ მშვენიერ დღეს არ გამოგვეცხადა მამა ჩვენი. გუმანით ვი-

ცანით, ის იყო. მოგვეხალისა უცხოსავით და პატეფონი სადაარ იკითხა. ამის ხსენებაზე დედას გული გაუხდა ცუდად. ჩემმა უფროსმა ძმამ აუხსნა, პატეფონის ხსენება ჩვენს ოჯახში აკრძალულიაო. არ გაჭრა. იჩივლა, დამიბრუნეთო, წერა და წერა განცხადებები. ჯერ ქე გვეშინოდა, მერე შევეჩვიეთ. პატეფონის წამლები კი ერთ მნახველი ვერ მოიძია წერაში. ამასობაში ტელევიზორი შემოვიდა და მამაც გარდაიცვალა. ისე მოკვდა, სტალინის აუგი არ უთქვამს. ტაშის ფირფიტას მისტიროდა და არა „კუჩხი ბედინერს". ერთხელ ქორწილიდან დაბრუნებული ჩემი უფროსი ძმა შეიქნა გლახად, ღვინომ და სანოვაგემ აწყინა. ტაშტიო იყვირა ზალიდან. ტაში გავიგონეთ. ჩემი რძალი დასაწყლული ჰყავდა, მთვრალის ეშინოდა ნამეტნავად და შეყარა ბავშვებიც, ტაში დავუკრათო. ძმას გული ერევა თურმე და ტაშტს ითხოვს, რა ეტაშება. არადა, ტაშიო.

3.

გიორგი წაიყვანეს 1941 წლის ზაფხულში, წინა წლებს გადაურჩა, რა ჭირდა გადასარჩენი და ორმოცდაერთში წაიმტვრია ფეხი. ისე ახლაც მიკვირს, იმ გაგანია ომის დროს ვინ მოიცალა ჯიბეგაფხეკილი ბიოლოგისათვის, მამაჩემის პორტფელით რომ დაჰქონდა სადისერტაციო მასალები; არ ვიცი, მაგრამ დააშავა ალბათ. ჩემი სულელი და და იგი ქე პრუტუნებდნენ დაუმთავრებლად რაღაცას. გერმანელები შემოდიანო, მესმოდა. ბავშვი ვიყავი, ყურადღებას არ ვაქცევდი ამას. მერე კი ვიფიქრე, არ ვიცი...

ცოლად რატომ გაჰყვაო, ამაზე ჰქონდათ ერთი ამბავი ჯერ... მიყვარსო, ჩემი და ამბობდა. საყვარელი კაცი კი იყო, ხათრიანი, რად გინდა, შინ არაფრის შემომტანი, არც გამტანი, სხვათა შორის...

მოვიდნენ შუაღამით. ყველანი შინა ვართ. ხმაურია. გაბჟღვიალებულია სახლი. გამეღვიძა, ვფიქრობ, რა ხდება. დედა ცრემლებს იწმენდს მალულად, ჩემი და პაპიროსს ეწევა ამ შუაღამისას. გიორგი იცვამს. უცნობები გავლანდე. ფარსაგი ვიგრძენი, გადავიცვი ხალათი, თმადაუვარცხნელი, თვალებგადმოკუსული გავედი. თქვენ ვინა ხართო, ერთი მეკითხება. ჩემი უმცროსი ქალიშვილია, დედა უხსნის. სკოლა არა მაქვს დამთავრებული. ეგრე იყო კი...

როცა მივხვდი, გიორგი მიჰყავდათ და ჩემი და და დედა რჩებოდნენ, გამიხარდა. გიორგის წაყვანა კი არ გამხარებია, ჩვენების დარჩენა მომეწონა. ასეა, რა ვქნა. სიმართლეში რას მაძლევთ, ტყუილში რას მომცემთ. კაი კაცი იყო გიორგი, კარგი ადამიანი, რაზეა ლაპარაკი. ცალ-ცალი, სხვადასხვა ფეხსაცმელი ჩაეცვა დაბნეულობისაგან საწყალს. სასამართლოზე გამოვაცვლევინეთ თხოვნით და ხელწერილით, მახსოვს. ხელკავით ჩაჰყავდათ კიბეზე. მოიხსნიდა სათვალეს, განმენდდა ცხვირსახოცით, გაიკეთებდა; მოიხსნიდა, მოირგებდა, თავდახრილი მიაფხოკიალებდა ფეხსაცმელებს.

ჩვენთან ჩხრეკაა, აღწერა, გაყადაღება არაა დამთავრებული. გადაუბურჯალებიათ იქაურობა. ახალგაზრდა უფროსი ხელმძღვანელობს ჩხრეკას. გამხდარი, სახეალესილი კაცია, დინჯად, თითქო დაკვირვებულად ლაპარაკობს საშინელი აქცენტით. გაგვიშინაურდა ცოტა ხანში, ჩემსკენ ჰქონდა ყურადღება მოპყრობილი მანამდეც. შეიძლება, დიახ. მოვეწონე, შეიძლება, არ უარვყოფ. არაფერი არაა ეგ, ქალბატონო, დედაჩემს ეუბნება ჩემს გასაგონად, ძველი დრო აღარ არის, ის დრო წავიდა... რომელი დრო წავიდა, ვერ ვხვდები, ჩემი დის დარდი მაქვს, წასულა ის დრო-მეთქი, მინდა გავაგებინო, ვერ ვახერხებ. გადი-გამოდის ბოლებით, დავილუპეო იმეორებს.

— მზად ჰქონდა დისერტაცია, — უხსნის დედა ჩხრეკის უფროსს, უცნაური აქცენტი რომ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიორგის? — ახლობელივით კითხულობს.

— გიორგის.

— პატარა ამბავი არ არი მაგ, ვინ მოჰკიდებს ხელს გიორგის...

ხელი მოჰკიდეს სწორედ და წაიყვანეს სანთლისფერდადებული, ეხაჩავრდნილი, წაიყვანეს ცალ-ცალი ფეხსაცმლის ფხოკიალით, ხელმოკიდებული. კარგად შევხედე, მაგრამ ამ კაცის ლაპარაკი მაინც მალამოდ გვედება ჭრილობაზე. არადა, არ ტოვებს ბინაში არაფერს აუწერელს, აღუნუსხავს, ყადაღადაუდებელს; დავთარში შეაქვს ავეჯი, სურათები, ხალიჩები, გერმანული ლექსიკონები, სხვა წიგნები არ აინტერესებს, ვხვდები. გამოვფხიზლდით, როგორც იქნა; დედამ გამოიდო თავი და მეც ავყევი. აქ რასაც ხედავ, ჩემო ბატონო, ჩემი და ჩემი განსვენებული მეუღლის აკადემიკოს ივანე გარსევანიშვილის საკუთრებაა.

— გიორგი ჩამოსიძებულია, გენაცვალე!

— მერე მაგას, ეჭვმიტანილ გიორგის, არაფერი მოჰყოლია? — წკურავს ისედაც პატარა თვალებს. დაგვცინის მგონი. — რაც ეცვა, იმითი მოვიდა ფაქტობრივად?

— კი ბატონო, ეგრე იყო ფაქტობრივად, პორტსიგარი რომ პორტსიგარია, ინიციალები ნახეთ, ჩემი განსვენებული მეუღლის, აკადემიკოს გარსევანიშვილის საკუთრებაა, ჩემი სიძე ღერა-ღერა ყიდულობდა პაპიროსებს და ნახმარ კოლოფებში აწყობდა.

— ასე ჩავწერო, ფაქტობრივად?

— რაზე ბრძანებთ, პაპიროსებზე?

— არა, ჩასიძებული იყო და მაგას არაფერი არ მოჰყოლია! — ჰ-ს გამოყოფს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ეტყობა, ამ ბგერას. — რაც ეცვა იმით მოვიდა.

კიო, უდასტურებს დედა და აკადემიკოს მეუღლეზე ამახვილებს მაინც ყურადღებას, თითქოს ქმარი რომ აკადემიკოსია, ესაა მთავარი და არა ამღამინდელი აქტი.

ეს ჩემია, ეს იმისია, ეს უფროსი ქალიშვილისაა, ეს უმცროსის.

— ეს? — მამიჩემისეულ დიდ, ტყავის პორტფელს ჩითავს დიდი გულისყურით, — ესეც არ არის ხომ იმისი?..

— ეს კი ბატონო, ჩემი სიძისაა, — შერცხვა დედას; პორტფელი დასთმო და ჩვენც არ ამოგვიღია ხმა, თუმცა სწორედ ეს ტყავის პორტფელი შემოაცვდა მამას ხელში.

წაიღეს გერმანული ლექსიკონები პატრონის ვინაობის უკითხავად, დატოვეს ენა გერმანული (ყველამ ვიცოდით მეტ-ნაკლებად), რომლის ცოდნამაც დაღუპა გიორგი და მამაჩემის პორტფელი.

დავრჩით ქალები ანგრეულ ბინაში. მთავარი შემდეგ იყო. ჩემმა უბედურმა დამ რა დღეები გადაიტანა, ენა იოლად იტყვის. სიკვდილის განაჩენი რომ გამოუტანეს, გიორგი იქვე გათეთრდა თურმე, ჩემ დას უყურებდა უაზროდ გაღიმებული, სველ ტუჩებს ერთმანეთზე ვერ აჩერებდა, რაღაცის თქმა უნოდა, ვერ ამბობდაო. მაინც პირზე ხელაფარებული გაიყვანეს თურმე. ჩემმა დამ მიაძახა: გიორგი, არ შეშინდე, შენი სიმართლე დაგიფარავს, იცოდე, ყველაფერს გავაკეთებ მე შენ გადასარჩენადო.

ყველაფერი გააკეთა. მგონი ფეხით იარა მოსკოვამდე იმ ომის დროს. ქმარი დაიბრუნა...

— პორტფელი?

— პორტფელი? იგი იქვე დაეგდო იმ კაცს სადარბაზოში, რა დაუწუნა, არ ვიცი. მეზობლის ბავშვებმა ამოიტანეს დილით.

4.

ბაბუაჩემი ევსევი ცნობილი პედაგოგი, ერთხნობით სკოლის დირექტორიც გახლდათ; ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას, ზოოლოგიას, გეოგრაფიას; ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა საინტერესო, ხანდახან სენსაციურ წერილებს გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, უცნობ ტბებსა და მდინარეებზე, ჯუნგლებსა და უდაბნოების აბორიგენებზე, ცხოველებზე, იგონებდა რებუსებსაც და ბეჭდავდა ხელმოუწერლად.

ფედერალური პარტიის წევრი ყოფილა. გასაბჭოებამდე დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა იმა წლის აჯანყებაში და აჯანყების მზადებაში მონაწილეობა არ მიუღიაო. პოლიტიკიდან გაკიდეგანებულს მაინც საქონდაქრეზე დაადებინეს თავი. გადაარჩინა თურმე მისმა თანასოფლელმა და თანაკლასელმა, ბოლშევიკური პარტიის მაშინდელმა (ერთ-ერთმა) ლიდერმა, რომლის ნაჩუქარ, სამახსოვროწარწერიან ფოტოსურათს სათუთად ინახავდა მადლიერების ნიშნად.

ტანსრული კაცი იყო — მაღალი; გადაშვებულ, დიდჯიბეებიან ხალათს იცვამდა; გაკეცილი ჟურნალ-გაზეთები ედო ხოლმე გარეჯიბეებში, სასაათეში საათს ინახავდა, გულისჯიბეში რქისჩარჩოიანი სათვალე ედო მუდამ. მრგვალ, დიდ საათს გრძელი და სქელი ვერცხლის ძეწკვი ება; დააჭერდი თითს და ტკაპ! აიხდებოდა ინკრუსტირებული ხუფი... ტრილიაჟზე დატოვა საცოდავმა. იქვე იდო მამაჩემის გარდაცვალებამდე, შემდეგ გაქრა. ხელს გააყოლა ვინმემ თუ მამიდებმა გაყიდეს, — არ ვიცი. ის მაინც დამრჩენოდა სამახსოვროდ! მიყვარდა ევსევი. იმას მე ვუყვარდი ნამეტანი...

დაიჭირეს ჩემი ევსევი. წაუყვანიათ შუაღამისას. მე არა გამიგია რა. გავიღვიძე, სახლი არეულ-დარეული, უჯრები ამობრუნებული, დედა ნამტირალევია, ჩურჩულით ლაპარაკობს, მამა ხმას არ იღებს. ვერც მხედავს. ვფიქრობ, რა ხდება?! საბავშვო ბაღში არ მივყავარ არავის, მამაც შინაა. ბაბუა არაა. უქმე დღე არ უნდა იყოს. წუხელ დედა გამიჯავრდა: დაიძინე დროზე, თორემ დილით ვერ გაიღვიძებ, ბაღში დაგაგვიანდებაო. ახლა მეუბნება: ჩადი, ითამაშეო. ჩავედი. ჩიხია ჩვენი ეზო, ჩვენი პარკი და სტადიონი... დიდი ქუჩის ხმაური მოდის და არ მოდის ჩვენამდე. სილა ყრია ტროტუარზე, ჩვენი რკინის აივნის ქვეშ.

ვხედავ, მამაჩემის დები მოდიან ამ დილაადრიან ერთნაირი რედიკულებით; შემხედეს, ყურადღება არ მომაპყრეს. წინამ არ მოიხედა, უკანამ თითქოს რაღაცის კითხვა დააპირა და გადაიფიქრა. სადარბაზოს კიბეზე კისერი მოეღრიცა ორივეს. აივანზე წვერგაუპარსავი მამა იდგა და ჯიბეში ხელებჩაწყობილი მოღუშული ჩაჰყურებდა დებს.

პირველ სართულზე ქურთები ცხოვრობდნენ. ჰამო ჩემი თანაკლასელი იყო, წლოვანება არ იცოდა თავისი, ერთად ვთამაშობდით, თუმც სათამაშოდ არ ეცალა. ნავთი მიჰქონდა პატარა, მისთვის დიდი, ძველი ბიდონით ცალბეჭჩამოგდებულს. ხან მიჰქონდა, ხან მოჰქონდა ნავთი ბიდონით. ასე მახსოვს. ვთამაშობთ ახლა მე და ჰამო. გრილ სილაში გაგვყავს გვირაბები. გამოიტანა მამამ პატეფონი აივანზე, დადო მაგიდაზე, დაქოქა, დაუკრა. დაჯდა. ამოიღო პაპიროსი, ჩამოადო ცალი ხელი მოაჯირს. უკრავს პატეფონი. მამა პაპიროსს აბოლებს. ჩამოთავდება მუსიკა, გადააბრუნებს ფირფიტას, დაქოქავს ცისფერ ყუთს, დაუკრავს. ჩაუქრება პაპიროსი, გაკრავს ასანთს, მოუკიდებს ხელახლა. მეზობლები იხედებიან ფანჯრებიდან და იმალებიან. მწვანე, სიფრიფანა ფარდებს მიღმა ილანდებიან ზოგიერთები.

— შენი პაპა ტროცკისტია? — მეკითხება ჰამო. იდაყვებამდე აქვს შეყოფილი სილის გვირაბებში ორთავ მკლავი.

„რა არი?“ — ფიქრით ვეკითხები.

— ტ რ ო ც კ ი ს ტ ი ! — ხმამაღლა მპასუხობს და თავაწეული, დაოთხილი მო-
მჩერებია.

„ტროცკისტი... რა არის ტროცკისტი?“

და ვეცი თმაში სილიანი ხელებით. გავგორდით სილაში.

— ახლავე ამოდი, ამოდი! — რკინის მოაჯირიდან თავგადმოწეული მამაა.

ქუსლით ვანგრევ გვირაბებს ასვლამდე.

ნამტირალევი მამიდები სხედან ოთახში მუხლებზე დადებული რედიკულებით, თვალებდასიებულნი მიყურებენ. ერთს ჩულქები აქვს ჩაწეული მუხლს ქვემოთ.

— ბაბუა წაიყვანეს, რას ჰგავს ეს ბავშვი! — სილას მაშორებს დედა — მოისპე შენ!

— ჰამომ წამაქცია!

— ეეჰ! — მრავალმნიშვნელოვნად ოხრავს მამიდა, ჩულქები რომ აქვს ჩაწეული.

— ამან უნდა დამიტიროსო, — ამბობდა საწყალი.

მეორე მამიდა მიყურებს ღიმილით, რას ფიქრობს, რას გაიგებ. მამა აივანზეა კვლავ და უკრავს იმ პატეფონს. დედა მბანს. ბაბუა წაუყვანიათ. მერე რა, ხომ მოვა. ყველანი აქ არიან. პატეფონია, ბაბუაც დამიბრუნდება.

ბაბუა არ დაბრუნდა.

დარჩა ყავისფერი ფოტოსურათები მაღალი, მოღიმარი, თავგადაპარსული ტანსრული კაცისა. დარჩა საათი, პატეფონი და ხსოვნა ბუნდოვანი.

გვიან მივხვდი, თუ რატომ უკრავდა მამა პატეფონს სილისფერ დღეს...

5

შუაღამით მოვიდნენ, წამოაგდეს დედა, მეც გამეღვიძა, ჩემ პატარა და-ძმას არ გაუგია არაფერი.

— სად არის ოჯახის უფროსი?!

— არ გახლავთ, ბატონო, სახლში!

— ეს ძაღლი გააჩერე და ლამპა მოგვინათე! — გვერდზე გასწია დედა ვიღაც ავმა კაცმა. შემოვიდნენ.

— სად არის, ქალო, ვარდენი ამ დროს? — სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო.

— არ არი, ერმილე, სახლში...

— გადაირევი კაცი!.. — გვარიანად დაბნეული და შეშინებული ჩანდა თავადაც, ნაქეიფარზე წამოგდებული, უდროოდ გამოფხიზლებული და თავგამორეკილი სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ერმილე წინარეხელი.

თვალებდაწითლებული, თითქოს აპათიაშეყრილი რაიონის ჩეკას უფროსი ამთქნარებდა დროდადრო, ვაჰ, აყოლებდა მთქნარებას, ეს რა მომდისო, საკუთარ თავს უხდიდა ბოდიშს.

— არ არი, ბაღნებია მარტო! — რიგითი ჩეკისტები შემოვიდნენ სხვადასხვა კარებიდან.

— სად არი, ქალო? — ერმილე ჩურჩულებდა.

— ბარავს, ერმილე!

— რას ამბობს?! — დაწითლებული თვალები მოისრისა რაიონის ჩეკას თუ ენკავედეს (შემდეგში კაგებეს) უფროსმა.

— ბარავსო.

რიგითი ჩეკისტებიც გამოცოცხლდნენ.

— თქვი, ქალო, სად არის, ამათ სად დაემალება, მიწიდან ამოიღებენ, თავს ნუ გაიაბდლებ და სხვასაც ნუ გაასულელებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გითხარი, ერმილე, და რა ვქნა! — ტირილის დაწყებას აპირებდა, მივხვდი. ცოტა გაწყდა, მეც კინაღამ მოვაღე პირი.

— წამოდი, გვაჩვენე!

— კი, ბატონო.

დედამ ჩემი მძინარე და-ძმა აიტაცა, ერთი ერთ ხელში დაიჭირა, მეორე — მეორეში, კაბაზე მე გამოვები და წავედით.

მივდივართ. წინ ჩვენ, უკან ისინი. კაბაზე ვარ მოპორჭყებული, ხელს არ ვუშვებ. გადავადექით სერს ეზობოლოში; მამა ღარტაფში, გაუკვირტავ ვენახშია ჩამდგარი და ჩვენგან ზურგშექცევით ბარავს მთვარიანში; ხარდნებზე გადამტყდარი ჩრდილი კაცისა მოდის ჩვენკენ ზურგით, მძიმედ, ნელა.

მდუმარედ უყურებენ ამ სურათს. ნიავი არ იძვრის, ჩქამი არ გაუდის ბუნებას მთვარის ბლონდში.

— კაცი რომ ამ დროს ვენახს ბარავს, მე იმ კაცს ვერ დავიჭერ! — თქვა რაიონის ჩეკას უფროსმა. — მაგათი დედა კი ვატირე! — ნერვიულად შეტრიალდა და წავიდა; წაყვნენ, წავყევით.

— რატომ არ გძინავთ?! — იკითხა არიჟრაჟებულზე მობრუნებულმა, დაღლილმა, გაოფლილმა და ჩვენი სიფხიზლით გულგადაქანებულმა მამამ.

ასე იყო და ასე მოხდაო, ჩურჩულით ჩაუკაკლა დედამ. სანთლისფერი დაედო საწყალ მამას.

(გაგრძელება სხვა დროს)

6.

მამა დააპატიმრეს გვიან, ომის დამთავრების შემდეგ, ანტისაბჭოთა აგიტაციის გამო. არ უყვარდა გრძელი ლაპარაკი, მით უმეტეს — აგიტაცია, მაგრამ ბევრი რამ არ გვიყვარს ჩვენც...

ის წყობა, ის რეჟიმი გულზე არ ეხატებოდა, თუმც არ ამჟღავნებდა, ძვირს არ ამბობდა, გინებაზე ზედმეტია ლაპარაკი. დაასმინა, რაღა დასმენაა, ცილი დასწამა ბიძაშვილმა: აგინებდაო პარტიას, ხელისუფლებას. პირადად ამხანაგ სტალინსო. იქნებ მართლაც კი წამოსცდა რაღაც იმდაგვარი, მაგრამ შეიძლებოდა კაცის სიტყვაზე გამოჭერა? სიტყვაზეც იჭერდნენ... სათანადო მუხლიც ჰქონდათ შეტანილი საამისოდ კანონმდებლობაში, თორემ მამა არ იყო ის პირი, რომლის მოცილება ვინმესათვის, აუცილებელი კი არა, საჭირო ყოფილიყო.

დასმენის გარეშე იჭერდნენ, სპობდნენ ადამიანები ადამიანებს, მაგრამ დოკუმენტები, ცრუმოწმეთა ჩვენებები ფორმდებოდა მაინც და ერთეულები მართლაც ამნაირ კერძო შემთხვევებს ეწირებოდნენ, მოხალისენი, არცთუ ცოტანი, იყვნენ, არსებობდნენ; აქტივისტებს, უპარტიო ბოლშევიკებს ეძახდნენ მათ, გამოიყენებდნენ და მოისროლიდნენ ხოლმე. გამგზავნელს გაგზავნილის გზას გაუყენებდნენ. ბევრი შეეწირა საკუთარ სულმოკლეობას, ბევრს შერჩა ავკაცობა. როგორ მოახერხეს ბიძაშვილის ბიძაშვილის წინააღმდეგ ამხედრება, რატომ ჩაიდინა კაცმა საკუთარი ინიციატივით საშინელი საქციელი, რთული ასახსნელია, დრო და სიტუაცია გამოავლენს დაფარულს, ჩაუდენელს ჩაგადენინებს. ცოდვის აღაიარებაა ძნელი, თორემ მონანიება იოლია. სიგლახესაც აქვს მიზეზი და ფილოსოფიაც: სიგლახის ფილოსოფია! არის ალბათ ასეთი, თუ არ არის, უნდა იყოს, მცნება მორალური კატეგორიაა, რაც გინდათ ის დავარქვათ... თავის მართლება ძნელია, განსჯაც არაა ადვილი.

ამ შთაგონებით, მართალი თუ გნებავთ, მაშინ არ გვიხელმძღვანელებია, თუმცა მოღალატე ჩვენიანისათვის პასუხი არ მოგვითხოვია და რადგანაც, ალბათ, გულის სიღრმეში, არც კი გვჯერა ყოველივე, არ გაგვიხმაურებია ეს ამბავი, საზოგადოებაც ყველაფრის კურსში რომ არის ხოლმე, მაინცდამაინც არ დაინტერესებულა ამ შემთხვევით და ფაქტსაც ბიძაჩემის კაიკაცობაზე, ასე იცნობდნენ რაიონში, არ მოუხდენია გავლენა.

მამა სტალინის სიკვდილისთანავე, გამართლებაზე არ უზრუნიათ, გამოუშვეს ავადმყოფობის გამო; ჩამოვიდა უკურნებელსენმორეული, მოიკეთა ერთი მოკეთება და შემდეგ უკან-უკან წავიდა; გულჩათხრობილი, უფრო სიტყვაძუნწი, ნაღვლიანი გახდა. აღარ უხაროდა, თუმცა დაკარგულ დღეებს არ მისტიროდა. მის უბედობაში ბრალს არავის სდებდა, არავის ადანაშაულებდა. ვისი გამოისობით მოხვდა საწამებელში რა იცოდა? (გვეგონა) ჩვენ არ გვითქვამს (როგორ ვეტყოდით) და სხვა ვინ გაუბედავდა!

მოდიოდნენ სანახავად, მოსაკითხი მოჰქონდათ მეზობლებს, ნათესავებს, ახლობლებს; სხვა რომ წუხდებოდა, ისიც აწუხებდა, ყველაფერთან ერთად. გამაყუჩებლებით გაბრუებული, მუთაქა-ყურთბალიშებზე მიწოლილი წამოდგებოდა, ხალათს გადაიცვამდა ხოლმე, იყავი ბატონო, ბრძანდებოდე, ჩემთან რაი გაქვს მოსარიდალი, იძახდა შეცბუნებული, უფრო მძიმე სურათის მომლოდინე მნახველი...

მოვიდა ბიძაშვილიც. დააგვიანა, მაგრამ მაინც მოვიდა ბოდიშებით. უდანაშაულობის დამტკიცება სურდა ალბათ, ჩვენი, განსაკუთრებით დედაჩემის, რეაქციაც აინტერესებდა... მოუსვლელობა რომ არ იქნებოდა, რაღა ლაპარაკი უნდა. ახლა დაგვიანების გამართლება იყო საჭირო და ამართლებდა კიდეც. ხმამაღალი ბოდიშებით, მიზეზების დასახელებით, გადაჭარბებულად აქტიურობდა და მღელვარეებას ვერ ფარავდა. მამას ესმოდა მისი ხმა და მიკვირდა, რატომ არ დგებოდა. ნუთუ ისე ცუდად იყო უკვე, რომ აღარ უხაროდა...

შემოვიდა. გაჩერდა.

— რავა ხარ, ბიჭო?!

ორთავ თვალი გადმოსწია მამამ თავმუთაქიდან. იმ გამოხედვამ შემზარა. დიდი, სიცხიანი თვალები ეწყო სანთლისფერ შუბლზე, ძვალზე გადაკრულ ტყავზე. შეხედა. დასწია თვალები, ხმისამოუღებლად შეტრიალდა, პირი კედლისკენ ქნა. სიყრმის ბიძაშვილს ზურგი შეაქცია.

ეს იყო მოულოდნელი, მამისაგან წარმოუდგენელი, გასაშტერებელი საქციელი.

7.

მამა ქართული დივიზიის პოლკის მეთაური იყო, — სრულიად ახალგაზრდა. მაშინ ქუთაისში ვიდექით და დავრჩით კიდეც საბოლოოდ მე და დედა. მამამაც ასე დაიბარა: აქ იყავითო, ბავშვს მიმიხედეო, მეო მალე მოვალო. ახლაც მოდის. ვერ მოაღწია ჩვენამდე. დედა წავიდა შესახვედრად... ჩემი ჯერიც დგება.

მამა დახვრიტეს თურმე, ჩვენ გადასახლებული გვეგონა. მაშინ მალავდნენ, ახლა ყველაფერს ვეუბნებით ხალხსო, აგვიხსნეს, თქვენი მეუღლე, ქალბატონო და თქვენი მამა (ესე იგი — ჩემი) უდანაშაულოდ იქნა რეპრესირებული, უკანონოდ დახვრეტილი. მოგვცეს ბოდიშის (რეაბილიტაციის) ქაღალდი და გამოგვიშვეს.

ის შუაღამე მახსოვს.

განათებულია დიდი ოთახი. მამა იცვამს, მხნედ უნდა ეჩვენოს დედას, უაზროდ, ანგარიშმიუცემლად რომ ამგზავრებს ქმარს მოუსვლელში; ხელიდან უვარდება სასაპნე, პირსახოცი ეფოფიალება იატაკს. არ არის საჭირო ესენი, ჭიქები გამო-

მიღე უცბადო. მამა ეუბნება და ჩექმის ყელს ქაჩავს, ჭიმავს ტყავს სახეზე ნამოჭარხლებული.

შენ გღვიძავს, ადექი, ჩაიცვი, არაუშავს, გამაცილებ, მე მეუბნება.

ხშირად გადიოდა შინიდან უდროო დროს, ხშირად ქალაქიდანაც გადაიკარგებოდა მუდამ მხიარული, ხმამაღალი მოლაპარაკე. ახლა სხვა რაღაც ხდება. სტუმრებიც მოღუშულნი დგანან, მამა ქამარს იკრავს სამხრეებიან ხალათზე, ისინი უფრო და უფრო იქუფრებიან, მეც ვეზედმეტები აშკარად.

იარაღი ჩაგვაბარე! — ამბობს ერთი. ბუდითა და ქამრით დებს მაუზერს მაგიდაზე. ხმალიც მიაქვთ, ეტყობა, ნაჩუქარი, სამახსოვრონწარწერიანი ხმალი და, თვალებს არ ვუჯერებ, ჩემი ხანჯალი დევს მაგიდაზე ქაღალდებთან ერთად. დედამ ბროლის სათითურა ჭიქები გამოიტანა რაც შეეძლო თავაზიანი, ოდნავ, კი არ უნდა ვამბობდე, ფარისევლური ღიმილით. მამამ კონიაკის ბოთლი მიირტყა ჩექმის ძროზე და გააგდებინა ტკაცანით საცობი. დაასხა, პირველად ხართ ჩემს ოჯახში და დალიეთო, დაილოცეთო, არ უთქვამს, დალიეთო... მერე მივაქციე ამას ყურადღება. გადაკრა. სტუმრებმა დახედეს ჭიქებს და ხელი არ დააკარეს. მამამ ტუჩი მოიწმინდა დ მაშინღა შეხედა ჩემი ჩოხის, ვცეკვავდი უკვე ბავშვთა ანსამბლში, ხანჯალს.

ესეც მიგაქვთ?! — წამოიძახა, კიდევ უფრო წამოენთო სახეზე წონასწორობადაკარგული. ჩვეულმა სიფიცხემ მოუარა...

— ბავშვის ხანჯალია, ხალხი ხართ თქვენ?!

სტაცა ხელი, ამოიღო ქარქაშიდან, გაღუნა და მაგიდაზე დააგდო ვერცხლისკოპეშიან ქამარ-ქარქაშთან ერთად.

— შენ აქ მოაწერე ხელი და ჩაიკითხე ოქმი, ყველაფერი აქ წერია, რაც მიგვაქვს, — ხმადაბლა უთხრა ერთმა, ალბათ იმ ორი კაცის უფროსმა. — ნუ გვაგვიანებ, გარეთაც გველოდებიან, — ადგილზეც!

მუქარას ჰგავდა მისი ნათქვამის ტონი, თუმც მამამ ქაღალდს არც ხელი მოაწერა, არც ჩაიხედა შიგ. ოქმის შემდგენელმა ხანჯლის გასწორება დაიწყო უხმოდ. სანამ მამა წასასვლელად, იმჯერზე უკვე საფუძვლიანად, ემზადებოდა, ის კაცი იმ ჩემს ხანჯალს ასწორებდა უშედეგოდ, დედალ-მამალზე ტენიდა ქარქაშში. აღარც უფროსი იღებდა ხმას. მამა დედას უბარებდა — ბიჭს მიმიხედეო. „სტუმრებიც" წასასვლელად ემზადებოდნენ, ოქმის მწერალი ისევ ხანჯალს ასწორებდა და არგებდა ქარქაშს, თითქოს ამის გამო იყო შემოსული ნაშუაღამევს.მამა წავიდა და წავიდა. დარჩა კონიაკის ბოთლი, მას შედმეგ დევს მაგრად თავდაცობილი. მაინც აკლდება. პირველ წლებში აქამდე იყო... ახლა სადაა ჩასული! თავისთავად აკლდება. მიდის ფსკერისაკენ!...

დევს ბოთლი ზედ მიხატული სამი დიდი ვარსკვლავით... მიდის დრო. ახალგაზრდა პოლკოვნიკს აღარავინ ელის. ერთადერთი შვილი ბერდება, სამდიდვარსკვლავიან ბოთლში ჩასხმული დამჭკნარი ვარდისფურცლისფერი სითხე იშრიტება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

ალჟირი

1

რას ნიშნავს ალჟირი — Алжир — პოლიტპატიმარი ქალისათვის, ჩემთვის, ჩვენთვის, რის ასოციაციას იწვევს? საიდან გეცოდინება! აფრიკისას — არა! საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკი გვახსენდება ცოცხლად გადარჩენილთ, ალჟირი კი — Алжир — ჩვენს მიერ შედგენილი აბრევიატურაა, ეგრეთ წოდებული, საბჭოთა შრომა-გასწორების ბანაკისა: Акмолинский лагерь жен изменников Родины.

მოგონება.

თარგმნაც შეიძლება.

პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით გადმოღებას ვაპირებდით კიდეც. არ ვიქნებოდით სწორი და არც ვქენით! ნუ დავაგდებთ გზას ძველს ჩვენს მიერ გატკეპნილს.

მოგონება.

რუსი ინტელიგენტი ქალისა:

... იმ ბანაკში — სამარის ყინულოვან უდაბნოში — აკმოლინსკის ალჟირში რვაათასამდე ცოლი, ფაქტობრივად, ბავშვებდაობლებული ქვრივი ვცხოვრობდით. დღისით დასაქმებულთ, მუშაობით გართულთ არა გვიშავდა რა; ბარაკში შედენილთ მწუხრის დაწყებისას დაძინებამდე ურვა გვერეოდა, თითქმის ერთდროულად ხმით, უხმოდ, ცრემლით, უცრემლოდ ვიწყებდით ზუზუნს; მიტოვებული პატარების დარდი კლავდა უმრავლესობას: როგორ, რანაირად დაიზრდებოდნენ უპატრონოდ, უდედმამოდ, მოუფერებლად. ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო, ეჩვევა, მაგრამ დედაჩვილწართმეულს ძუძუ უშრებოდა, ცრემლი კი არა.

საქართველოდან გადმოსახლებულ ქალებს — პარტიული პირების, კულტურის მუშაკების, მწერლების ცოლებს, მათ შორის ბორის პილნიაკის მეუღლეს — განსაკუთრებით უჭირდათ, ცივ სამყაროში სუნთქვა უძნელდებოდათ. მდუმარედ ისხდნენ ცივბინდმომდგარ სარკმლებსიქით თმა-ნაწნავებჩამოშლილნი. მზეზე იბზიალებდნენ ზაფხულში წაბლისფერ, წელამდე დაყრილ დალალებს; ივარცხნიდნენ, თმაში ასრიალებდნენ სავარცხლებს მზის ჩასვენებისას და ჩუმად იცრემლებოდნენ. ერთი ქართველი ქალის ნაწნავები ზედა ნარიდან ქვედამდე, თითქმის ბეტონის იატაკამდე იყო ჩამოსული. მიდიოდნენ ბარაკის შორეული კუთხიდანაც და ბუნების საოცრებას ათვალიერებდნენ, ხელით ეხებოდნენ, სინათლეში ლანდავდნენ თმას. ქართველი ქალი ლურჯ ცრემლნარევ თვალებს გადმოსწევდა და სუსტი ღიმილი ნიავივით გადაუვლიდა სახეზე.

ერთ დღეს გრძელი თმის შეკვეცის ბრძანება გამოაცხადეს და გამოაკრეს. სანიტარული მოსაზრებით და შინაგანაწესის უგულებელყოფის მომიზეზებით ნაწნავების ტარება იკრძალებოდა მთელ კოლონიაში, მთელ კოლონიაში ხაზგასმული იყო და რადგანაც ნაწნავებს ქართველები ატარებდნენ, უნაწნავოთა ყურადღებაც მათკენ იყო მიპყრობილი ცოტა ხნით. ნებით არ შეიჭრით, ძალით მოგკვეცავთო, განაცხადეს და წამზომი ჩართეს. საპროტესტო ბუზღუნისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და საპატიმროსაც მიავიწყდა ბრძანება იმ დღის გადაგორებისთანავე.

და ერთ საღამოს, განკარგულების აღსრულებამდე ერთი დღით ადრე, როცა ბარაკი დასაწოლად ემზადებოდა, პატიმარ ქალთა ყურთასმენას გლოვის ხმა მიწვდა. ქართველი ქალები ერთად შეყრილიყვნენ და შემაღონებლად მოთქვამდნენ. უზარმაზარი გალია ისტერიკაში ჩავარდა და ჩვენ ყველანი ავტირდით: გაგვახსე-

ნდა უპატრონოდ დატოვებული შვილები, დაღუპული ქმრები, მშობლები, ახლობლები, უსიხარულოდ გაფრენილი ახალგაზრდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ელისაბედი დაიჭირეს სიბერეში, ოთხმოცს რომ აღარაფერი უკლდა, — მაძინ. დაამწყვდიეს სოფლსაბჭოს გომურში. დაპატიმრების ბრძანება გასცა საბჭოს თავმჯდომარემ მიტუშა (მიტუა) შოთიძემ, მეტსახელად დედასლავაშამ.

დიდედა, თქვენ რო იტყვით, — ბებია, ბალახებისაგან ამზადებდა საყმაწვილე წამალსა... ავი ზნისას არა... საზარდული, ტრიკი თუ რაც არი, რო ჩამოეზრდებოდა პატარას, შეასმევდა ამ წამალსა და მორჩა, ჩასვამდა საკვერცხეებს თავის ალაგში. სიბერემდისა აღარა ჩამოგეზრდებოდა რა. მკურნალობდა დიდედა. რიგი იდგა ხანდახან ჭიშკართან. თავად თესდა ბოსტანში იმ ბალახსა, რომლისგანაც ამზადებდა წამალსა. პატარა კუთხე ჰქონდა გამოყოფილი სანაკილოზე. იზრდებოდა ის მცენარე, ყვაოდა ყვითლად შაშკვლავივითა. ახმობდა, ფშვნიდა დიდედაი, თაფლსა და ღვინოში ლესავდა. ღვინო საფერავი... დანით ვერ გაჭრიდი იმნაირი სქელი დგებოდა ჩემ დროსაც კი. ეგ იყო სულ დიდედას, ბებიაშენი იყოს თუ გინდა, საკმაზ-სანელებელი. რო რამე ყოფილიყო მეც დავამზადებდი, მაგრამ ი ბალახი აღარ ვიცი, აღარ მახსოვს. ის კი არა, ბებიაჩემის საფლავი დამავიწყდა. ბებია ვთქვი? ვერ დავიმახსოვრე, საფლავი კი არა — ყვავილი... სადმე იქნებ აქვე სახლიყურშიაცა ყვავის, მაგრამ რომელი? ღვინო არი, თაფლი არი... რა ღვინო იყო ის საფერავი, სქელი თათარასავითა. ბალახი აღარაა საწამლე, იქნებ არი, ვიცი რო?! ათიოდე წლის კი ვიყავ, ჭკუაც მომეკითხებოდა, მაგრამ ჩემს იმედზე ახლა აღარავინ რჩება და მაშინ ვინ უნდა დარჩენილიყო. მე კი არა, ჩემმა გვარმა დაკარგა გვარის მონაპოვარი, საწყენია...

დაამწყვდიეს, მოკლედ, დიდედა. შემოთვალა, პაპიროსები გამომიგზავნეთაო. ვუგზავნიდით. იჯდა, არა სჭამდა, ეწეოდა, არ ყოფნიდა. რაიონიდან ამოგვქონდა ღერა-ღერად. ეგ არაფერი. გავიდა დრო, რაიონის ჩეკაში უკითხავთ, რამდენი წლისააო. წლებს არ უჩივის, ხანი არ აკლია, მაგრამ ბნელ აზრებს უნერგავს მშრომელ გლეხობას, ყოფილ თავადაზნაურთა და მენშევიკთა სასარგებლოდ ლაპარაკობსო, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ახსენებსო. ბნელეთის მოციქულია, თანაც აქიმბაში, აკრძალულ წამლებს ამზადებსო. რამდენი წლის არიო, წელი აინტერესებდათ და არა საქმიანობა. დედაბერი არ ჩამოიყვანოთ აქაო, სასაცილოდ თავი აიგდეთო, თქვენი გადასათრევი თქვენვე გადაათრიეთო. სოფლის გადაწყვეტილებით ისარგებლეთ და იმოქმედეთ: გინდა ჩაქოლეთ, გინდა დაწვით, მხოლოდ კანონი არ გახაროთო.

— რა ვქნა მე ამი დედაი კი ვატირე! — ქუდი დაახეთქა კანტორის აივანზე დედასლავაშამ. — არ გამიხდა ეს ელისაბედი ჭრელი პეპელა, რა ვქნათ?!

— ჩამოვართვათ ხელწერილი და გავუშვათ! — განაცხადა გამგეობისა და პარტიის წევრმა 1921 წლიდან იოანე ჩუმლაყელაშვილმა. — დაწეროს: აღარ დავამზადებ, აღარ ვუწამლებ, აღარ მოვარჩენ...

პარტიული სტაჟი მაინც პარტიული სტაჟია, რაღაცას ნიშნავს... გაიფიქრა ჩუმლაყელაშვილის ლოგიკით გაოცებულმა დედასლავაშამ.

გაათავისუფლეს ხელწერილითა და მონანიებით. აღარ ვიზამო და აღარ ქნა... შეეშვა წამლობასა, აღარც თესდა, აღარც აყვავილებდა, აღარც ახმობდა, აღარა ლესავდა თაფლითა და ღვინითა ქვაბუნაში. მოვისვენეო, თქვა, მაგრამ ჯავრობდა ვხვდებოდით. იჯდა, ეწეოდა, ხმებოდა მინდვრი ყვავილივითა. გავიდა ერთი წელი, შეიძლება მეტიცა და ვხედავთ: შემოიძურწა ეზოში დედასლავაშა, მიტუაი. მოდის მუხ-

ლებჩატეხილი, საჯდომგამომწვარივით, ცხენი მოჰყავს ავშარითა. ელიზაბეტა ივანოვნაა, ეუბნება, ბალლი მყავ ავადაო, ტრიკი ჩამოუვიდა, ექიმებმა შენთან მომასწავლეს, უნდა მიშველო, პატივისცემა ჩემზე იქნება, ხბოიან ძროხას მოგიყვანო. უყურა დიდედამა, უყურა, უყურა ბოლს იქით, დადო ნამწვი პაპიროსისა, ადგა, შევიდა მარანშია და გამოიტანა კვარტიანი ბოთლი. გაწმინდა, მოაშორა აბლაბუდა, ესლა შემომრჩაო, უთხრა და მისცა, მე აღარ დამჭირდება გასაგები მიზეზის გამო და შენ გქონდესო, პატარასათვის ბევრია, დიდს ან ეყოფა ან არაო, წაიღე, მოიხმარე, ბოლო ხარო. ჩემს შემდეგ ბოლშევიკები უმკურნალებენ პატარებს, დიდებს, გამოწელილს ვერ შეტენიან თვარა, შეტენილს გამოწელიან, ნახავთ მალეო. წაიღო, ოცობოცოდ წავიდა, ცხენი წაიყვანა ავშარითა. შემოდგომაზე შემოთთხარიკდა ძაღლის ყეფის ტუშზედა. ძროხა გამიბერწდა, ცხვარი მოგიყვანე ჭედილაო, ძაღლის ეშინია, მარგილს გამოვაბი ეზოგადაღმაო, თქვა და წარაფის კაი ოხშივარიც ამოუშვა. დიდედა ჯორკოზე იჯდა, ფოფიალა კაბიდან არც ჯორკო ჩანდა, არც ფეხები; იჯდა, ეწეოდა, უყურებდა სტუმარს და არა ძღვენს (ჭედილა არც ჩვენ დაგვინახავს).

— მოგიხდა?

— პატარა მიტუასა?

— დიდსა ვირს, სახედარს...

— ერთი და იგივეა ელიზაბეტა ივანოვნა... — ვირისა და სახედრის იდენტურობა დააფიქსირა, — მე უნდა მამხდენოდა? — ამღვრეული თვალები გაექცა სხვადასხვა მხარეს.

— შენ, შე ღვთისაგან გლახაკო, მათხოვარო, ცხენზე რომ ვეღარა ჯდებოდი აღარ მახსოვს, ვერ მივხვდი, გეგონა?!

— კუდიანი ხარ, ელისაბედ, — მოიწყინა და კუნძზე დაჯდა. — ნერვიულობაზე ჩამოვიდა. დროა უბედური, გაუგებარი, სხვის ნება-სურვილზე დავიარებით, თორე ერთმანეთისა კი არა გვჭირს რა... ჯარში დამიძახეს, ელისაბედ, სამეთაურო კურსებზედა, ომის სუნი დგას, მაგრამ ამათ ცქერას წასვლა მირჩევნია... პატარას ჯავრი მიმყვება და არ დამიწყევლო, არც მე გამთვალო, გული მიგრძნობს, მაინც ვერ დავბრუნდები და რაღა შენ უნდა აიკიდო ჩემი ცოდვა...

დალოცა. არ უშველა. ომი მართლაც დაიწყო და დედასლავაშა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

გაიზარდა პატარა მიტუა დიდის სამაგიეროდ. დიდი თავი და კეხიანი ცხვირი გამოჰყვა. საქმე რომ ვეღარ იშოვა, ეროვნული რევანშის პარტიაში ჩაეწერა.

3.

რაღაც მაწუხებს. სქელი ჰაერი თუ ღრუბელი მაწვება ძილქუშად. ელექტრონის შუქი მჭრის ნახევრად გახელილ თვალებს. რა ხდება, სიზმარია თუ ცხადი? უცხო ადამიანების ხმები ისმის. დედის საწოლი აშლილია. ამდგარა. გათენდა? ვინ დადის ასე მოურიდებულად ოთახში? ან ერთი ვინაა, ან — მეორე? რა უნდათ? რაღაცას ეძებენ. რა დროა ნატავი?

— ბავშვებს რა ვუყო!! — დედის ხმაა. აქ ყოფილა, — ბავშვები ვის დავუტოვო?!

ჩვენზეა ლაპარაკი. ჩემს პატარა დას სძინავს მშვიდად, ჩემს გვერდით, ვარდისფერ ბალიშის პირზე აწითლებია ლოყა, ლოყის ქვეშ ამოდებული თბილი ხელი.

— ბავშვებს მეზობლებს ჩავაბარებთ! — მამაკაცია უცხო.

„მეზობლები?!"

ვცივდები. საყინულეში ჩავწექი თითქოს გახურებული. ოფლი მისველებს შუბლს და სახეს.

ნათლად ვამჩნევ უკვე ყველაფერს. გარეთ უკუნი ღამე უნდა იყოს, ვხვდები. ყველას სძინავს. მეზობლებს გააღვიძებენ? მამაც არაა. იგი სამხედროა. ოფიცერი. წელში გამართული დადის, ხმამაღლა ლაპარაკობს. ამ ბოლოს დროს აღარა ჩანს. დააკავესო, ვიღაცას წამოსცდა. დედამ თითი ტუჩზე მიიფარა იმწამსვე: ვიცი, რაც ანიშნა ქსენიას. დააკავეს, გააჩერეს? მალე დაბრუნდებაო, მითხრა შეფიქრიანებულმა დედამ. რატომ არ დაბრუნდა? ამაზე აქამდე არ მიდარდია.

სახეზე აფორაჯებული, თითქოს სამგზავროდ გამონყობილი დედა ჩემკენ მოდის. ლურჯი ჟაკეტი აცვია. წელს, აქამდე ეგ თბილი არ ჩაუცვამს. თვალებს ვხუჭავ, თავს ვიმძინარებ. იქნებ მართლა დამეძინოს. გაღვიძებული მოვუყვები ცუდ სიზმარს, სიზმარს...

დამჩერებია.

— არ გძინავს, დედა? — ჩურჩულებს. მკოცნის. ჯიუტად ყრის წარბებს ბოლოს, ცრემლს კი არ იწმენდს, ხელისგულით ტკეპნის ღაწვებზე, მოკლედ შეჭრილ თმას არხევს, სახე უშეშდება, — არ შეგეშინდეს, არ იტირო, მე მალე მოვალ. შენ უნდა მიხედო ანასაც, შენ დიდი ხარ!

ორი წლით უფროსი ვარ ანაზე. დიდი ვარ. არ უნდა ვიტირო. ცრემლები მომდის ღვარად. ცრემლებს ვერ ვაჩერებ. არ მინდა დედას გული ვატკინო, არ მინდა ვიტირო. დაიძინეო მეხვეწება. მაძინებს. ცრემლები მაინც მომდის. ცრემლები ასველებს ბალიშს.

მცხელა, მწყურია. ნერწყვს ძლივს ვყლაპავ. წყალი მინდა. გათენებულა. გაუთხოვარი დეიდა მიზის სასთუმალთან. ხელი საბანში აქვს, ლოყას ვადებ ხელზე.

— დედა მალე მოვა... — ხმა აქვს გამოცვლილი, ლაპარაკი უჭირს თითქოს, — შენ დიდი გოგო ხარ, ადექი, დაიბანე, სკოლაში წადი, ა, შენი წიგნები, დედაენა...

არეულ-დარეულია ოთახი. ფოტოსურათები ყრია იატაკზე. უაზროდ ათვალიერებს დეიდა იქაურობას, ველარც მე მხედავს, მგონი. დედაჩემის ფეხსაცმელებია ამობრუნებული, ქუსლებით ზევით. ვასწორებ. შავ, პრიალა ტყავს ვუსვამ ხელს. რა წვრილი ქუსლები აქვს. იშვიათად იცვამდა. მაღლდებოდა, ოდნავ ტყდებოდა მუხლებში პირმცინარი.

მარმარილოს პირსაბანთან ვიბან პირს ცერებზე შემდგარი, ცრემლებს ვერ ვაჩერებ, გრილ პირსაბანში ვმალავ სახეს. ცრემლებს ვატან წყალს. პირს ვიბან, წყალი და ცრემლები ჩამომდის სახიდან.

— ...ტირი, გოგო, რატომ ტირი? რა გაქვს სატირალი, რა სულელი ხარ... ტირი დეიდა? დედა მალე დაბრუნდება...

და დაბრუნდა დედა

ოცი წლის შემდეგ.

გულაძგერებული ველოდი მატარებელს მარტის წვიმიან დღეს, ლამპიონებით გუბეებაბრჭყვიალებულ ბაქანზე. შალმოფუთნული, „ტელეგრეიკიანი" ქალი მოდის ჩემკენ მხნედ, გაღიმებული, წელში გამართული, დაბალი. მაზუთიან განძელებს ცვლიდნენ სადგურს იქით ამნაირად ჩაცმული რუსის ქალები ომის დროს სიცივეში, თოვლ-ჭყაპში.

და ის ჩამოვიდა.

სად იყო ის დედა, რომელმაც დამტოვა სამუდამოდ!

4.

აგრონომი ქალი იყო ნათლიაჩემი. როდის მომნათლა (მომნათლა კი) არ მახსოვს. აბა, ჩემო იმანო!

... დამიჭირეს, რავაც მერე მივხვდი, ჩემი ძმის თაობაზე. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, დაპატიმრებულია თურმე ისიც, მე რა ვიცი, მამია ორახელაშვილს ხომ იცნობო, პირველად ეს მკითხეს; არ ვიცნობ, მე ვუთხარი; დაფიქრდი კარგადო... შენ გაინტერესებს ეს ამბები? დეიმახსოვრე აბა. მე ქე გავდები, აღარ მიდგას სული, ხომ მატყობ... საქმე ყოფილა ამნაირად. ის შუშა მომანოდე, წამალია, უნდა ჩავისუნთქო, მაგი მშველის, სად გავჩერდი? გამომართვი ჯერ ეს, დადევი, მადლობთ. მწერლები და არტისტები, სხვები დააჯილდოეს და ჩემს ძმას არაფერი არ მიანიჭეს. სტუმრად არიან თურმე ს. შ-სთან ჩემი ძმაა, ბესოა... ვინ იყო კიდო აღარ მახსოვს, ადრე ქე ვიცოდი. ერთს ეკითხა, შენ, კოლია, რატომ არაფერი გიბოძესო, რატომ არ გადაჯილდოვა ბერიამო. ერთი ბერიას დედაცო, შეუგინებია. ნასვამი ყოფილა. მერე ქე ინანა ალბათ, მარა რაღა დროს... დაასმინეს დილითვე. მასპინძელმა ყველას დაასწრო, თქვა თვითონ, არ დაუმალავს. ასე რომ არ მექნაო, დამასწრებდნენ და პასუხს მე მომთხოვდნენ, გამაფუჭებდნენ, ციმბირს უკან დამატოვებინებდნენო. რას ეტყვი. ქე გადეირჩინა თავი, ჩემი ძმა გააქრეს, მიაყოლეს ცოლი მისი, ის ქე დაბრუნდა, თუ არ მომკვდარა, ცოცხალი იქნება. პატარები დაიზარდნენ, კარგად არიან, კარგად ამყოფოთ გამჩენმა. გადავვარდი თბილისში ამ ამბის გაგებაზე, დედაშენი რავაა, ბიჭო, ხოა კარგად, ვერ მოვედი ერთი... ჩავედი თბილისში და წამიყვანეს. ჩემთან რაღა უნდათ, მე ვიფიქრე. მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო, საქართველოს მთავრობის ყოფილ თავმჯდომარესო. არა, მე ვეუბნები. ხატი. რჯული. დაწერე მაშინ, რომ იცნობდიო. გამიშალეს ქაღალდი წინ, დამიდეს მელანი, საწერ-კალამი... დაწერე მამია ორახელაშვილის შესახებო. ა, რა დავწერო, არ ვიცნობ, რა ვქნა, რა წყალს მივცე თავი. შენს ძმას ხო იცნობო, გაახსენდათ რავარცხა იყო. შენი ძმა საფრანგეთიდან რომ დაბრუნდა, პირველად მამია ორახელაშვილს ესტუმრა, ხომ გახსოვსო. არ მახსოვს, მარა ესტუმრა ალბათ-თქვა. ჰოდა, ეს დაგვიწერეო, არ აჩქარდე, არ აღელდე, ყველაფერი გულახდილად მოგვითხრეო. ვიფიქრე, რა ღვთისნიერი კაცი ჩანს, დავწერ, გაიგებს. ვწერ. როგორაა საქმეო, დამხედა ცოტა ხნის შემდეგ, ჩაიკითხა ჩემი დაწერილი და მოექცა ყბა; ქალო, შენ ფაცია ხარ თუ ვილაცა ხარ, რას წერ, რას მიედ-მოედები; ვის პატიოსნებაზე გაქვს ყურადღება გამახვილებულიო. შენი ძმა მავნებელი, ტერორისტი, ტროცკისტების თანამზრახველი იყო, ბელადების მოკვლას აპირებდაო.

მათხოვე მაგ ქაღალდი!..

გამომართვა და დამახია თავზე. მომცა მეორე. ბეჭედ-გერბიანს გაძლევ და არ გამიფუჭო თვარა, ტყავს გაგაძრობთ ცოცხლადო. არ დავწერ, მე ვუთხარი, ჩემს ძმას ქათამი არ დაუკლავს მის სიცოცხლეში და სტალინისა და ვოროშილოვის მოკვლას რაფრად დააპირებდა, რაღაცა გეშლებათ თქვენ-თქვა... შემოვიდეს შუშანა, ამასთანო ლაპარაკის თავი არა მაქვსო, განერვიულდა ის კაცი, მათხოვე მაგ შუშა, იმაზე გამახსენდა, დედაშენი ხოა კარგად, გამომართვი. მოვიდა შუშანა, დამავლო თმაში ხელი, დამითრია, გამახოხიალა ზურგით დერეფანში. ჩამაგდეს სადღაც ჯურღმულში. მომაკითხეს მეორე თუ მესამე დღეს, გამიყვანეს. დღე მეგონა, შუაღამე ყოფილა. შევედი. სხვა დამიხვდა. დაბრძანდითო, სკამი გამომიწოდა. მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო. არ ვიცნობდი. ავყევი ნერვებს, ამივარდა კანკალი, ვიყვირე, ვიწივლე, დაუძახეს შუშანას, დამავლო თმაში ხელი, გამათრია პოლზე თავის ხათქახუთქით. ჩემს იმაში სხვა ქალი დამიხვდა, მომიარა, დაწერე თუ არა, არაფერი გეშველებაო, მირჩია. არ დავწერე. ნაცემს და ნაჩოჩიალებს დამეძინა, თვალი როცა გავახილე, ქალი ველარ ვნახე. დავრჩი მარტო, დავრჩი კი არა, ჩავრჩი. ჩამტოვეს. დამეწყო შიშები. ვკივი, ვწი-

ვი. რას უძლებს ეს ქალიო, ვიღაცის ლაპარაკი მესმის გარედან, კვნესის, ტირილს, ბავშვის ჩხავილის ხმები ჩამოდის, მე რო გავჩერდები. გველი შემოყოფს თავს ხვრელიდან. გველი, უნასი, ასვარსვალებს ორკაპ ენას, უიმე დედა, წამივ[illegible] ვგრძნობ, მისობს ენას... არ გჯერა შენ? შეიძლება ხელოვნური გველ[illegible] ნის... ხმაური რო დაიწყებოდა, კლიტეების რაჩხარუჩხს რო გევიგონებდი, მაშინ მივეგდებოდი, მარა აღარ ვჩანდი თურმე, ისე დავილიე. ზედამხედველს თურმე ძონძი ვეგონე, სად წავიდა ეს კვტარძაღლიო, ხმა გავიგონე. აღარ ვიყავი და რაღას დამინახავდა. დროის ანგარიში, დღე და ღამის სათვალავი ამერია. გავახილე თვალი, ძმა მადგას თავზე, მიყურებს. მოაწერე ხელი ყველაფერზე და დამთავრდება შენი წამებაო. გამხდარი იყო, ბიჭო, გაუცინარი, ახლაც ცრემლი მომდის. ძმის სული იყო. სული გამომეცხადა ლილისფრად. მივხვდი მოკლეს და გავქვავდი. მერე აღარ მახსოვს. მომეცით ქაღალდები, ყველა ქაღალდი, ხელი უნდა მოვაწერო-თქვა. ვაწერ. მხოლოდ ცხადში ხდება, თუ სიზმარში, ვერ ვხვდები. უცებ სხვა ოთახში ვარ. რას აწერ ხელს თუ იციო, ვიღაც მეკითხება. სულერთია, მე ვეუბნები, რასაც გინდათ იმას მოვაწერ. კაიო, მითხრა, ენა გამოსწიე მაინც, დაგხედავო. მერე იყო და დამაბანინეს, მაჭამეს. დედაშენი ხოა კარგად, კი ხო? გამიყვანეს. ერთ დიდ გაბჟღვრიალებულ დარბაზში შემიშვეს. მუსიკის ხმა მოდის. კარგადა ვარ. მთელი უფროსობა იქაა, გენერალი კი მეკითხება, წითელი შარვალი აცვია და მივხვდი, გენერალია: მამია ორახელაშვილს ხომ იცნობდიო. მე ვეუბნები, შე კაი დედმამიშვილო, მამია ორახელაშვილს თქვენზე უკეთესად ვინ იცნობდა, დღე და ღამე უკან დაყვებოდით, მე ერთხელ ვნახე პარადზე. შეიქნა ჩოჩქოლი, გადახედეს ერთმანეთს. ერთი სათვალიანი კაცი წამოვიდა წინ, თურმე ექიმია. ესო, დანარჩენებს ეუბნება, მართლა აფრენს, კი არ იგონებსო. მაშინ შემდეგიო, გენერალმა დაიძახა. მღვდელთან რომ მივდიოდი, საკურთხი რომ მიმქონდა, შენ რო გთხოვე, შემყევი-თქვა, რომ არ შემომყევი არ გახსოვს?

კი მახსოვდა.

მღვდელი ცხოვრობდა მართლაც უბანში, ღობეშემორღვეულ ეზოში. სამი-ოთხი სახლი იდგა ერთ ალაგზე. მღვდელი აივნიან ბინას აფარებდა თავს. გარეთ არ გამოდიოდა. შავად გაილანდებოდა დროდადრო აივნის სვეტებსა და ბირკვილებს იქით. მზეს ემალებოდა თუ ხალხს, არ გამირკვევია, მღვდელიც აღარ დამინახავს მეორე ზაფხულს. ეკლესიის ბოქლომს კი აბლაბუდა ედო. მღვდელი ჰაერს ყნოსავდა ფართო ნესტოების ბერვით, საყდრის გასაღები დრო არ მოდიოდა, ლოცვის კარზე აღარავინ ედგა, მაგრამ მოსაკითხი მოჰქონდათ ხანდახან კურთხევის სამაგიეროდ შავოსან დედაკაცებს.

თავზე დამადო ხელი ვიღაცამ. ავიხედე ფაციაა. კიბის ქვაზე დაფხაჭნილ დიაგრამაზე „სამკუთხედს" ვთამაშობთ კენჭებით, შეშის ნატეხებით. მიყურებს, მიცინის, ხელში ნაჭრის ტომსიკა უჭირავს.

— რავაა, ბიჭო, ვერიჩქა, ერთი ვერ გამოვიარე, ახლა მღვდელთან შემაქვს საკურთხი. შენ რავა ხარ, ხო ხართ კარგათ?..

— კი. — სვლაზე ვფიქრობ. — მღვდელი იქ ცხოვრობს იმ ეზოში...

— შემყევი მერე, რა იქნება!..

რა შეყოლა უნდა, უჩემოდ ვერ მიაგნებს ვითომ.

— მღვდელი ეგერ ცხოვრობს, პირველი, მეორე, მესამე სახლში, ქალბატონო, — აუხსნა ღობეს მომდგარმა მოსახლემ, რომელიც ჩვენს ლაპარკს უგდებდა თურმე ყურს.

— ვიცი, ბატონო, სადაც ცხოვრობს... — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ ფაციამ და წავიდა.

— გახსოვს?

მახსოვდა. იმ დანაშაულს მაინც ველარ გამოვისყიდი და ნუ გამახსენებ, შეკი ქალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე გარდაიცვალა. სოფელში დამარხესო, მითხრეს.

იშვიათი ფორმის, სიდიდის, უხნესი ცაცხვის ასაზომად აველით ჯვარისაში. თავსაფრით თავპირწაკრული ქალი საფლავებს ასუფთავებდა ცაცხვებქვეშ, ყვითელ ნეშოს აგროვებდა შარიშურით.

— ქალბატონო, ფაციას იცნობდით?

— როგორ არ ვიცნობდი, კი ვიცნობდი. — წელში გაიმართა და მომაჩერდა იელის ნაჭამი თხის თვალებით. ღიმილი შეაშრა სახეზე იმწამსვე. წამიძღვა და გაოცებულმა მომიხედა რამდენჯერმე, ვის ელოდა, ვერ გავიგე.

— ფაცია მარხია აქანე, ან აქანე, ან იქინე... — უპატრონო საფლავებს დააჩერდა ტუჩზე თითმიდებული. — მამამისი მჭედელი იყო, ძმა ჰყავდა თავარი კაცი, განათლებული... აგერ მამამისის ძვალი, ეტყობა, მინამ ამოაგდო საფლავიდან...

ძაღლის გამოხრული ძვალი აიღო და რბილ, ნოტიო მიწაში ჩატენა.

5.

... დედა ფეხმძიმედ დარჩენილა ჩემზედა და მოვევლინე კიდეც ამ ბედნიერ ქვეყანას მამის დაპატიმრებიდან, უფრო სწორად — დალუპვიდან, აქვე დაუხვრეტიათ, ორი კვირის თავზე; დედაჩემსაც იჭერდნენ თურმე, მაგრამ მოსალოგინებელი ქალი ველარ წაუყვანიათ. განერვიულებული ჩეკისტი სადღაც რეკავდა, რა ვქნაო, უთხარი მაგას, მე ბებიაქალი კი არა ვარო, სამშობიაროსაც ახსენებდა და ვიღაცას, უეჭველია, ხელქვეითს, ვიღაცის მისამართით, სარკასტულ შენიშვნებს უგზავნიდა. ამის შემდეგ მარტოდ დარჩენილ, გამობენტერებულ დედას მოაწერინა ხელი ქაღალდზე თბილისიდან არგასვლის თაობაზე და წავიდა. წაიყვანა. დატოვა. მშობიარემ მშვა. ვიყავი. ვარ. ვაზროვნებ. ვიხსენებ ამბავს დედის ჩემისას:

იმ დღის შემდეგ, როგორც ვიცი, აღარავის მოუკითხავს; მამა გააქრეს, დედა დაავიწყდათ და დატრიალდა დრო დროთა ბრუნვითა. დედა გათხოვდა. ვერ გაუძლო უმამაჩემობას და მომიყვანა მამინაცვალი ნაცვალეიშვილი დიმიტრი. არ აღმოჩნდა გლახა ყაზახი, მარა გადაყვა ჭამა-სმას, მუცლის ამოყორვას და დამიტოვა ნახევარძმა, ნახევარდა და მეორეხელ დაქვრივებული დედა. დავიზარდენით ღვთის წყალობით, უუფროსოდ, უმამაკაცოდ. დედა, ალბათ ჩემი გულის მოსაგებად, პირველს — მამაჩემს უფრო მისტიროდა, ვიდრე მეორეს. მამაჩემის დაბრუნების (მამინაცვალს სამარიდან ვერ ამომიყვანდა) იმედი უფრო ჰქონდა, მაგრამ სააქაოს კი არა, საიქიოსაც ველარ გაუსწორებდა, ჩემი მოკლე ჭკუით, თვალს: ფეხმძიმედ ერთზე დაგტოვე და სამი, სხვადასხვა ზომისა და ასაკის საიდან დამახვედრეო, უსაყვედურებდა, თუმც ვერც გაამტყუნებდა. დრო იყო მიზეზი ადამიანთა მიმოფანტვისა, დრო — ხელახალი აბოჭვისა.

გავიზარდე. დავამთავრე სკოლა, უმაღლესიცა. მოვიდა მკვდრების ალაპარაკების ჟამი, მაგრამ ცოცხლებსაც გაუჭირდათ ხმის ამოღება, არათუ — მკვდრებს. ვინც დასაბრუნებელი იყო, დაბრუნდა, ვინც დასარჩენი იყო მიწისზეით და მიწისქვეშ, დარჩა; ზოგმა სიკეთეს ვერ გაუძლო, ზოგმა უბედურებას. მამა დაიკარგა. არც მისი თვალით მხილველი გამოჩნდა, არც ყურმოკრული ამბის ჩამომტანი. რას იზამო, ამოიოხრებდა დედა დროდადრო, ამოოხვრაზე ოხვრა ამოჰქონდა და არა — გული. ერთის სამარე ჰყოფნიდა სატირლადა, მეორე რაღაც თავსატეხს გაუჩენდა უთუოდ. მოლოდინის დატოვების უფლება ჯობდა მისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემთვისაც. როგორც მე არ მინახავს ის კაცი, ისე იმას — იმ კაცს არ ვუნახივარ მე და მაინც მამიანობა ჯობდა სულ

უმამობას: გვარი დამიტოვა და ცოცხლად თუ ჩამომაკითხავდა, მერჩია, არარსებულის გამოტირება კი არ მინდოდა. მოკლედ, ეგრე იყო. მგონი, ვერ ვთქვი კარგად.

ერთ დღეს მოგვიანებით და მოულოდნელად, როცა სასიკეთოს აღარაფერს ველოდით რეაბილიტაციაზე დაგვიძახეს სამხედრო პროკურატურაში, ავლელდი. ავწრიალდი.

...ნეტაი შენ, მითხრა დედამ, თუ გგონია (არაფერი არ მეგონა) რამე გამოვა (რა უნდა გამოსულიყო), მაგათგან სიკეთეს არ ველი (არც — მე), წადი მაინც, გაიგე: როდის დაიღუპა, სად დამარხეს, თუ ცოცხალია — სად არის.

რა უნდოდა ამის გაგებას! ცოტა „სად არიმ" შემაეჭვა, მტერი ყოფილიყო, ის რომ იქნებოდა, მაგრამ მაინც, ვინ იცის, იქნებ... კაცი თავისაკენ იჭრის, ითვლის და ანგარიშობს. იქნებ. იქნებ და წავიყოლე და წაველი. დავალება მქონდა ნათელი, სადა. მივედი. შევედი. დაბრძანდი. გმადლობთ. ეტყობოდა გამომძიებელი ჩემს შესვლამდე რაღაცას ჭამდა, რადგან ტუჩებს და მაგიდას ასუფთავებდა ერთდროულად.

— და... — თქვა გამომძიებელმა და გაშალა საქმე №... უყურა. უყურა, უყურა თავთაბახს და მითხრა: თქვენი მშობლები დახვრეტილ არიანო, სამწუხაროთაო; დაპატიმრებიდან ერთი კვირის თავზე გაასამართლა „ტროიკამ", მიუსაჯა და დახვრიტეს იმავ, უფრო სწორია, მეორე დილას გათენებამდე, რის გამოც ძალიან ვწუხვარო და გადაწმინდა მაგიდა, რომელზედაც, ჩემი დაკვირვებით, აღარაფერი იყო დარჩენილი.

მშობლები რას ნიშნავს-მეთქი, ვეკითხები ბურანში. გაოცებული მიყურებს: მშობლები ნიშნავს, მიხსნის, დედას და მამას...

— შენ ცუდად ხომ არა ხარ?

— არა.

წყალი დაასხა და მოსვა.

— ...ისე აქ ყველაფერი არცაა დაფიქსირებული, პროტოკოლები, მარტო ეს კი არა სხვაც, ნაჩქარევადაა შედგენილი... — სველ ტუჩებზე მოისვა თითები. — შედეგი მაინც ნათელია, ზუსტიც... ჩვენ მოგცემთ რეაბილიტაციის ცნობას მამითქვენისას და დედითქვენისას და ერთდროულ ფულად დახმარებას, თანხა არაა დიდი, მაგრამ სულ არაობას ჯობია, ას ორმოცდაათ მანეთამდე, ორივეზეა გამოწერილი, შეგხვდებათ, რატომ უნდა დაიკარგოს.

გმადლობთ. ნახვამდის. შემოგვიარეთ. აუცილებლად.

მივდივარ მარტო. ნაცნობებს თავს ვარიდებ. შინ მისვლაც არ მინდა. ვფიქრობ: აღარ ყოფილა ის კაცი, რომელსაც ჩემს გაჩენაში ედო წილი. მათ უნდოდათ და არ შემეძლო, არ გავჩენილიყავ. გავიზარდე იმიტომ, რომ არ უნდოდათ ჩემი ზრდის შეჩერება. შემდეგ გზა ჩემი კანონის ყველა პარამეტრის მიხედვით წავიდა დასასრულისაკენ მცირეოდენი გადახვევის გათვალისწინებით: ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ვერ მნახა, ვინც ვერ ვნახე.

იგი დახვრიტეს. მისი ნებისა და ჩვენი სურვილების წინააღმდეგ გამოასალმეს სიცოცხლეს. ეს არაფერი. დედაც დახვრეტილი მყოლია. ერთი ობლობა არ მეყოფოდა, მეორე დამემატა. ბურანში ვარ ისევ. თავზე თუჯის მძიმე უთო მადევს, ცივი უთო.

უგზო-უკვლოდ დაიკარგაოოო...

ამ სიტყვამ უფრო ააფორიაქა.

ალბათ სიმართლის თქმა ჯობდა, დედა შევიცოდე თუ ჩემი თავი აღარ შევიწუხე, არ ვიცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.

შვილის წერილი დედას:

ამის მომტანს ასი მანეთი (ცხადია, ფეხის ქირა) მიეცით, იტყობინებოდა.

1942 წლის 17 ოქტომბერი იყო.

ქალალდის ნახევი დედას უცნობმა, ბეჭებში აწურულმა, წვერგაუპარსავმა კაცმა გადასცა. აი, რა ეწერა:

დედა, მე დახვრეტა მომისაჯეს.

თუ რამეს მოახერხებთ, კარგია.

დეპეშა გაგზავნეთ მოსკოვში (სტალინთან, კალინინთან).

მე კარგად ვარ.

ნუ იდარდებ.

შეწყალების უფლება მაქვს.

ამის მომტანს ასი მანეთი გამოვართვი და მიეცით. გკოცნით ყველას.

დედამ გამოიტანა ასი მანეთი და მისცა. კაცმა გამოართვა ასი მანეთი და წავიდა. ამის შემდეგ წაუვიდა დედას გული.

ტირილი და შეცხადება არ შეიძლებოდა; შეწყალების თხოვნის და არა შეწყალების უფლება ჰქონდათ, დრო იცვლებოდა და ტელეგრამების გაგზავნაზეც ხუჭავდნენ თვალს. ან მიდიოდა ადრესატამდე ის ტელეგრამა, ან — არა. არადა, ვის ეცალა. თავისი არ ეზოგებოდათ, სხვისი კი არა.

დაუხვრიტეს 27 წლის ვაჟი ზურაბი, თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი. მასთან ერთად გამოასალმეს სიცოცხლეს თანაკურსელები, ასპირანტები, მოაზროვნე ახალგაზრდობა, მომავალი საქართველოს იმედი.

წავიდნენ. დარჩნენ დედები. დარჩა შვილმკვდარი, ქმარგადასახლებული ქვრივი. იგი ცოცხლობდა. მუშაობდა. არ ტიროდა. შვილის ტანსაცმელთან ერთად იძინებდა, ქალაქს რომ დაეძინებოდა.

დედა, მე დამხვრიტეს!

სიცარიელიდან მოდიოდა ხმა, შვილი ეძახდა თუ მისივე წამოკივლება აღვიძებდა, ვერ არკვევდა. ცივი, გლუვი მთვარე ჩანდა გაბზარული შუშის იქით. ქარი ადამიანის ხმით ჩამოდიოდა. ჩაილუნებოდა უფოთლო ტოტები, რჩებოდა ცივი სინათლე და არაფერი.

თითქოს ვიცოდით, თითქოს გვინდოდა გვცოდნოდა. ყურმოკრულად: ქმარიცო, შვილიცო. მოღალატეებად არ ამბობდნენ, მაგრამ... ეს მაგრამ სტიქიურ, ბუნების უმადურობას ჰგავდა. დააშავეს, ეს ქალი კი ამას არ იმსახურებდა; ქმარმაც უმტრო, — შვილმაც, ქმარი კიდევ ჰო, შვილს არ უნდა ექნა, ისე, რას გაიგებ, რა იცი... მასწავლებლები მეტზე არ მიდიოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქალს ერგო ამნაირი ხვედრი და არა მათ. სამძიმარი, თანაგრძნობა, ჭირის განაწილება არ იყო საჭირო, დედასაც არ უნდოდა.

უფალმა ასე ინებაო, იტყოდა ღვთისნაირი, ყუმი, უბირი, ბნელი. იმ საზოგადოებას კი უზენაესი არ სწამდა, არამატერიალური, არასაგნობრივი, ხელშეუხებელი იარა არ არსებობდა.

მკაცრი გამომეტყველება და ნაოჭები ლამაზ სახეს ვერ უხუნებდა. ასეთი თვალტანადი ქალი არ გამოსულა წმინდა ნინოს სასწავლებლიდან. მართალს ბრძანებთ, ულამაზესი ქალი იყო. სიბერეში სილამაზეს არ ამადლიდნენ, ერთგვარი სიამაყითაც აფიქსირებდნენ ამ ჭეშმარიტებას იქაურები. ასე იყო, თუმცა ჩემთვის, გინდაც ჩვენთვის, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა! ის იყო კუშტი, მკაცრი, სიტყვაძვირი მასწავლებელი.

რატომ მომჩერებოდა ზოგჯერ, რატომ უშტერდებოდა ხანდახან ჩემზე თვალები?.. დავალებას არ მიმოწმებდი, იცოდი, არ მქონდა, უცოდინარობა ჩემი სინანულის შეუმჩნეველ ღიმილს გგვრიდა, ჩემი უსაქციელობა არ გაშფოთებდა, ბასუხს არ მთხოვდი; რამდენჯერ დაგემალე, როცა ჩემი საყოფაცხოვრებო საქმეთა ბარობების გასაგებად მოხვედი...

ვინ იყო ის ქალი?

დამრიგებელი, რუსულის მასწავლებელი...

უდარდელ, თავხედურ პოზას ვიღებდი, ვახალისებდი გაღრეჭილ ამხანაგებს სამეზობლოდან. რაღაც მაწუხებდა შემდეგ მზის ჩასვენებისას, მწუხრის დაწყების წინ.

ჩვენ სინანულის უფლება გვაქვს და არა შეწყალების.

7.

1937 წლის ქართული ხელოვნების დეკადა წარმატებით დასრულდა და სტალინმა დეკადის მონაწილენი მიგვიწვია კრემლში. მე მაშინ ხალხურ ხელოვნებას ვხელმძღვანელობდი და როგორც ხელოვნების სახლის დირექტორს, შემოწმებულ კომუნისტს (დეკადის შემდეგ პოლიტპატიმარს) ხალხური ხელოვნების მუშაკთა თვალყურის დევნება და პატრონობა მევალებოდა. აკადემიურ ჯგუფებს, ოპერას, რუსთაველის თეატრს სხვა ხელმძღვანელობდა და ასე შემდეგ. ცოლები, რომლებიც ხელმძღვანელობას თან გვახლდა, კრემლში არ მიუპატიჟებიათ. ისინი სასტუმროში დარჩნენ და ჩვენს მოლოდინში (კინაღამ დილამდე) სასტუმრო „მოსკოვის" ვესტიბიულში ჭორაობით შეუქცევიათ თავი. ქალებს, მით უმეტეს ცოლებს, ქალი ქალია, პირს ვერ აუკრავ, ძალიანაც რომ მოინდომო; ცოლი კიდევ ცოლია და იგი ქმრის საქმიანობითაცაა ,დაკავებული, ზოგიერთი ქმრის საკუთარ ხუშტურზე მატარებელია, რაიც მაშინ ნამეტანი თვალში საცემი და საძრახისი ქმედება გახლდათ. ჩვენ რომ კრემლში სადღეგრძელოებს ვახურებთ, ვუყურებთ კონცერტს, ვაკვირდებით შეზარხოშებულ ბელადებს -პოლიტბიუროს წევრებს, რადიო თურმე ჩვენი გმირობის ამბებს გადმოსცემს; დიქტორი ორდენ-მედლებისა და წოდებების მინიჭების ბრძანებულებებს კითხულობს. არც ამ გადაცემის შესახებ გავუფრთხილებივართ, არც დაჯილდოება მოუხარებიათ წინასწარ. ცოლები სჯიან ჩვენს მაგივრად: ზოგიერთი სიხარულს ვერ ფარავს, ზოგიერთი უკმაყოფილებასა და წყენას: იმას ეკუთვნოდა, იმას არ ეკუთვნოდა, იმას თუ მისცეს, ამას რატომ არ მისცეს, ჩემი ქმარი სულელია, ჩემი ქმარი უპატრონოა და სხვა. ერიკ, ერნესტ ბედიას ცოლმა ნინა ჩიჩუამ ხმამაღლა განაცხადა: ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია ჩემი ქმრის, ერიკის დაწერილია და საერთოდ, ყველაფერი, რაზედაც ბერიას ხელი აქვს მოწერილი, საგაზეთო სტატიაა, ნარკვევია თუ მოხსენებაა ერიკისაა და არა ბერიასიო. ამ საბედისწერო განწმატებას დუმილი მოჰყვა; ცოტა ხანში ცოლებმა გრძელი ხალათების ფოფიალით და ნაძალადევი მთქნარებით მიაშურეს თურმე თავ-თავიანთ ნომრებს. ამასობაში ჩვენც მივედით და როგორც გაგვაფრთხილეს, შევიკრიბენით ვესტიბიულში. ბერიაც მალე მობრძანდა, მოგვილოცა ჯილდოები და დეკადის წარმატებით დასრულება. ასეთივე წარმატებით, შეურცხვენლად, მაღაზიებში სირბილს დაანებეთ თავი და ორგანიზებულად გავემგზავროთ თბილისშიო. ყველა ჯგუფის ხელმძღვანელმა მივაწოდეთ მოკლე და საქმიანი ინფორმაცია ჩვენი გამგზავრების გრაფიკზე. პარტიული ჯგუფის ადმინისტრატორმა აცნობა, რომ ერიკ ბედია და ნინა ჩიჩუა გაეგმზავრებიან ზეგ ბაქო-მოსკოვის ღამის მატარებლით.

— ერიკ ბედია და ნინა ჩიჩუა, — ჩაილაპარაკა ბერიამ, — რომელია ამ ორთაგან ქმარი, რომელია ცოლი?

მოგვაჩერდა უცნაური ღიმილით, ყველამ თვალი მოარიდა. ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაიბნა, ხმა ვერ ამოიღო, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომელი იყო ქმარი და რომელი ცოლი; შეკითხვა კი პასუხს არ საჭიროებდა აშკარად.

— რა თქვა? — უკანა პოზიციაზე ჩურჩულებდა ერთი, რომელსაც ის-იხ იყო ჩასძინებოდა.

... ცოლი რომელია და ქმარი რომელიო...

... ვინო?..

თბილისში გამოჩენისთანავე დაიჭირეს ერიკ ბედია და ნინა ჩიჩუა. ქმრისა და ცოლის იდენტურობისა თუ სხვადასხვაობის გამორკვევამდე დამიჭირეს მე, სხვაც და მიგვამატეს ჩვენამდე დაჭერილთ. დახვრიტეს ერნესტ (ერიკ) ბედია — ახალგაზრდა მარქსისტი, უდავოდ ნიჭიერი კაცი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიის ისტორია დაწერა ჩემმა ქმარმა ერნესტ (ერიკ) ბედიამ! — ვერც მუქარით, ვერც შთაგონებით, ვერც ცემა-ტყეპით ვერ გადაათქმევინეს ერთხელ ნათქვამი. ქალი შეშლილს დაემსგავსა, ჩამოხმა, ჩამოილია, წივანა ხმა არ დაკარგა.

— ვინ დაწერა?

— ერიკმა.

— ვინ აწვალებდა ამ ქალს, რას დამსგავსებია, აზროვნების უნარი აღარ აქვს, დამშვიდდი, დაფიქრდი, ნინა!

— შენს ცოლსაც ნინა ჰქვია!.. — თვალში სინათლე აღარ ჰქონდა, ყურთასმენა არ აკლდა.

— მიცანი, ნინა?

— გიცანი, შე გველო!

— ვინ დაწერა, ნინა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია?

— ერიკმა. ერიკმა. ერიკმა!

„ვალტერის" გასროლამ გადაფარა ქალის კაკანი. ტალანებმა ჩაიხვიეს ტყვიის სროლის ექო, იგი იქვე დატრიალდა და ჩაქვავდა.

ოქმები

სასამართლო გეკითხებათ: მიითვისეთ თუ არა ავტორობა წიგნისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“?

ბერია — წიგნის შედგენაში რამდენიმე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. იმ მასალების მიხედვით საქართველოს პარტიულ აქტივზე 1935 წლის 21 ივლისს წავიკითხე მოხსენება — ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხები. ანალოგიური სათაურით გამოვიდა წიგნი ჩემი ავტორობით, რაც არასწორი იყო.

სასამართლო ვარაუდობს: 1937 წლის შემოდგომაზე ეგრეთ წოდებულმა „ტროიკამ“ გოგლიძის თავმჯდომარეობით და თქვენი მითითებით, რათა ზემოთ ნახსენები წიგნის ნამდვილი ავტორის ვინაობა დაგეფარათ, დაიხვრიტა ერნესტ, ერიკ ბედია.

ბერია — ერიკ ბედია არ ყოფილა ამ წიგნის ერთადერთი ავტორი, მისი დახვრეტა წიგნს არ უკავშირდება.

სასამართლო — საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ ერნესტ, ერიკ ბედია აპირებდა ტერორისტული აქტის მოწყობას თქვენს წინააღმდეგ.

ბერია — ერიკ ბედიას დახვრეტის დროს საქართველოში არ ვიმყოფებოდი, ბედია დაკავშირებული იყო ლომინაძესთან...

სასამართლო — თქვენი მითითებით დაიხვრიტა თუ არა?!

ბერია — არა.

სასამართლო — მაშინ წაგიკითხავთ დეკანოზოვის ჩვენებას...

(კითხულობენ. ბერია ყურს არ უგდებს, ბეცი თვალებით მისჩერებია ერთ წერტილს. სხვა რამეზე ფიქრობს).

ბერია — გასაგებია.

სასამართლო — ეთანხმებით დეკანოზოვის ჩვენებას?!

ბერია — დაახლოებით...

სასამართლო — თქვენი მითითებით დახვრიტეს თუ არა ერიკ ბედია?!

ბერია — არსებობდა სხვა მითითებანიც...

სასამართლო — კერძოდ?

ბერია — ზემოდან.....

სასამართლო — დააკონკრეტეთ!

ბერია — კონკრეტული მითითებანი არ ყოფილა, არსებობდა აზრი, სურვილი, განწყობილება... ხალხი...

სასამართლო — ხალხს დაანებეთ თავი!

ბერია — საზოგადოების მხარდაჭერაც იყო, რაც ალბათ ჩემი მოხსენების შედეგიცაა...

სასამართლო — თქვენ მითითებები ახსენეთ და არა მხარდაჭერა, ვისი მითითებები მოგდიოდათ, ვინ გითითებდათ?

ბერია — იყო ინსტანციები, იყვნენ ჩემს ზევით... კონკრეტულად, გითხარით, — არავინ...

სასამართლო — ხომ არ აყენებს თქვენი უაპელაციო განცხადებანი ხალხთა ბელადის, სტალინის სახელს ჩრდილს?!

ბერია — არა, ასეთი განზრახვა არ მქონია, არ მიფიქრია... რაც შეეხება იმ ყბადაღებულ წიგნს, არც იმ წიგნის ავტორი გავმხდარვარ ჩემი სურვილით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო — ბრალდებულო, ძალიან ბევრს იღებთ თქვენს თავზე!

ბერია — მე მგონი, პირიქით.

*

თავმჯდომარე — ბრალდებულო გოგლიძევ, თქვენ იყავით სამეულის თავმჯდომარე საქართველოს НКВД-ში?

გოგლიძე — ვიყავი. ჩვენ საბჭოთა კავშირის НКВД -დან ვიღებდით დირექტივებს, უნდა განგვეხორციელებინა მასობრივი ოპერაციები ანტისაბჭოთა ელემენტების აღმოსაფხვრელად... უფრო მეტი, მე უნდა განვუცხადო სასამართლოს, რომ საქართველოს НКВД -მ ეჟოვისაგან მიიღო დამატებითი ლიმიტი 1500 კაცის დახვრეტაზე...

თავმჯდომარე — სასამართლოს წევრი ვინმე ზეიდინის თხოვნით აქვეყნებს სამეულისა და არ სამაიის ან სამების მდივნის ვინმე მოროზოვის ჩვენებას:

1937-38 წლებში საგანგებო სამეულს (ტროიკას) პირველ თვეებში საქართველოში, ვიდრე ლიკვიდაციამდე თავმჯდომარეობდნენ მინისტრის მოადგილე ჭიჭიკო რაფავა და თავად შინაგანი სამინისტროს მინისტრი გოგლიძე. ამ ხნის განმავლობაში „პირველ თვეებში" „გაარჩიეს" სამი ათასამდე საქმე და გადაწყვიტეს სამი ათასი ადამიანის ბედი, აქედან მესამედი, დაახლოებით ათასი (1000) კაცი დახვრიტეს.

გოგლიძე — ეგ ეგრე იყო, მაგრამ რამდენად შეესაბამება ციფრები სინამდვილეს — არ ვიცი, აღრიცხვას არ ვაწარმოებდით...

თავმჯდომარე (პათეტიკურად) — და თქვენ გულგრილად ანადგურებდით საბჭოთა ადამიანებს საქართველოში?!

გოგლიძე — დუმს.

სამაგიეროდ ადასტურებს, რომ ბერიას ბრძანებით პატიმრებს ცემდნენ (?) დახვრეტის წინ.

მოწმე ვასილიევის ჩვენება:

მე შევედი გამომძიებელ სერებრიაკოვის კაბინეტში. დამნაშავე უზის სკამზე საგამომძიებლო მაგიდასთან. ვეკითხები: როგორ არის საქმე, ამხანაგო სერებრიაკოვ?

... განვაგრძობ პატიმარ-ა-ძეს დამუშავებას. ახლა იგი დუმს და ჩემს შეკითხვაზე პასუხებს არ იძლევა. სამწუხაროდ, პატიმარმა ა-ძემ არც მე გამცა ხმა. მოვკიდე ხელი და სახელმწიფო დანაშაულში ეჭვმიტანილი ა-ძე გადავარდა სკამიდან. იგი მკვდარი აღმოჩნდა. ვეკითხები სერებრიაკოვს, რა მოუვიდა? წარმოდგენა არა მაქვს, ამხანაგო ვასილიევ! კაცო, რა უქენი?! მხრები აიჩეჩა და მაჩვენა თითისსიმსხო მავთულისაგან დაწნული მათრახი. ეგრეთ წოდებული მავთულწნული. მე მგონიო, დაუმატა, გულმა უმტყუნა.

გოგლიძე — იყო მაგდაგვარი შემთხვევები, არამარტო ჩვენთან...

თავმჯდომარე — ადასტურებთ თუ არა, რომ საქართველოს კომკავშირის მდივანი ასლამაზოვი დაკითხვის დროს გადმოხტა ფანჯრიდან?

გოგლიძე — ვადასტურებ. გადმოხტა და დაიშალა სასიკვდილოდ. გამომძიებელმა კოვალჩუკმა აიძულა; გადმოგდებით არ გადმოუგდია, რადგან კოვალჩუკს საყვედური არ შეხვედრია. იყო ასეთი შემთხვევები, არამარტო ჩვენთან. ეჟოვის მოსვლისთანავე დაიწყო პატიმრების ცვენა ფანჯრებიდან, არამარტო ჩვენთან...

თავმჯდომარე — დაანებეთ ამ თქვენთან და ჩვენთანს თავი, გეკრძალებათ!

საჩვენებელი სასამართლო პროცესების მონაწილეთა გვარ-სახელები დაბატიმრებამდე ყოფილა ცნობილი; ყველას რანგისა და ცენზის მიხედვით შეჩენილი ჰქონდა კუთვნილი ადგილები სასამართლოში. ეჟოვის მიერ შედგენილ სტენებს კორექტირებას უკეთებდა ვიღაც და არგაცხადებული ბრალდებული ერთი გრიფიდან მეორეში გადადიოდა და პირიქით. სიების ამოარქივების შემდეგ ზემოთ ნახსენებმა შატუნოვსკაიამ სტალინის კალიგრაფია ამოიცნო, რაიც კრიმინალური განყოფილების ექსპერტმაც დაადასტურაო.

ჩვენი წარმოდგენით სტალინი, დინჯი, აუჩქარებელი, აუღელვებელი პიროვნება გახლდათ; ცხრაჯერ ზომავდა და ერთხელ ჭრიდა იგი. სხვათა თვალსაზრისით ნელა, დუნედ აზროვნებდა, რაიც მოაზროვნის ტვინთმძიმობას მიანიშნებდა. ხელწერის მიხედვით კი არც ერთი დასტურდება და არც მეორე: სტალინის კალიგრაფია სწრაფი და ნერვიულია, მისი ხელნაწერები აბრევიატურებით, ქარაგმებით, შემოკლებული სიტყვებითა და მრავალწერტილებით არის გავსებული და შეუძლებელია, იგი ეჟოვის მიკროსკოპულ ასოებში არეოდა ვისმეს.

*

ადამიანებს ტყუილი უყვართ, ნამდვილ მართალს, ნამდვილი ტყუილი ურჩევნიათ; მოგონილზე ღვრიან ცრემლს, ნამდვილზე... ნამდვილი ხომ ისედაც მართალია, თანაც წასული...

დახვრიტეს, მოკლეს, ჩამოახრჩეს — არაფერს ეუბნება მასას, ბრბოს. აღუზრდელს წარმოსახვის უნარი აქვს დაჩლუნგებული, სხვისი ჭირის გულთან მიტანა არ შეუძლია, არც სურს. სხვისი სახელი იმდენად არ სჭირდება, რამდენადაც ხიბლავს, აოცებს, ატყვევებს, აჯადოებს. მოკლა. დახვრიტა. გაანადგურა. გააუბედურა. მერე რა მოხდა! მეტი უნდა მოეკლა, დაეხვრიტა... ამ სიტყვების იქით სიცარიელეა და თუ მას არ კლავენ, მის ნაშიერს არ ართმევენ სიცოცხლეს, ბუნების საწინააღმდეგო აქტი არ აწუხებს, პირიქით, რაღაც ფიზიოლოგიურ სიამოვნებასაც კი ანიჭებს მასობრივი მკვლელობა, მკვლელობის განზოგადოება, მკვლელობის უფლების მისი ფსიქიური ინტერესებისადმი დაქვემდებარება.

გამოქვეყნებულია ასეთი ცნობა: 1938 წლის პირველი იანვრიდან 1941 წლის ოცდაორ ივნისამდე საბჭოთა კავშირში დაიჭირეს 19 მილიონ 890 ათასი „ხალხის მტერი"; შვიდი მილიონი დახვრიტეს. „ლაგერებში" რამდენი დაიღუპა — ცნობაში დაფიქსირებული არ არის.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ს. მ. კიროვის მკვლელობისა და პოლიტიკური სასამართლო პროცესების უკანონობათა დამდგენ პარტიულ კომისიას გადაუგზავნა ეს მასალები. კომისიის წევრის, ვინმე შატუნოვსკაიას განმარტებით ნიკიტა ხრუშჩოვმა, როცა იგი კომისიის უზარმაზარ დასკვნა-გამოკვლევას გაეცნო, რამდენჯერმე ცრემლების ღვარღვალით გაიმეორა, ეს რა ჩაგვიდენიაო, დოკუმენტები კი, ამ მოტივით — Нас сейчас не поймут — 15 წლით პარტიულ არქივში ჩაასაიდუმლოვა. გამოხდა ხანი, ნიკიტაც დასამარდა და მასალათა ნაწილი აორთქლდაო, ზოგიერთი დოკუმენტი გადაკეთდა გადამკეთებელ-გადამსწორებელთა მსოფლმხედველობისა და გემოვნების მიხედვით. ახლა თუ არა, სულ მალე აღარც იმ დოკუმენტაციის მომხრენი იქნებიან, აღარც ფალსიფიკატორები; სიმართლე არ დაიკარგება, ემოციური აღქმა განელდება, კერძო ზოგადში — იყოში — აითქვიფება; ისტორია მეცნიერებაა, — გვაოცებს და არ გვაღელვებს.

თუ დროის ამ მონაკვეთში — კიროვის სიკვდილიდან ომის დაწყებამდე — შვიდი მილიონი დახვრიტეს და მეტი არა, შვიდი, სულ ცოტა, შვიდზე უნდა გადავამრავლოთ ინსპირატორთა, გამომძიებელთა, ბრალმდებელთა, მოსამართლეთა, ციხე-კოლონიათა ზედამხედველ-მოსამსახურეთა, ჯალათთა ხარჯზე. დავუმატოთ: მსტოვარი, ინფორმატორი, ანონიმი დამსმენი; რეპრესიათა მეაუცილებელნი, მეტაშენი, ცრუმეისტორიენი, პავლიკ მოროზოვის აღმზრდელები და მივხვდებით, რომ სახელმწიფოს თითქმის მთელი ზრდასრული მოსახლეობა ტოტალურად მონაწილეობდა მკვლელობაში, მანიაკის, მანიაკალური იდეების ცოდვის ტრიალში.

როგორი კმაყოფილებით შეხვდა ხალხი საქართველოში, კერძოდ, თბილისში სამართლიანობის აღდგენის ილუზიას, მკვლელთა გამოვლენის უჩვეულო პროცესს, სასიქადულო პიროვნებათა (მწერალთა, ხელოვანთა) რეაბილიტაციას. საზოგადოებამ თითქო ხელისუფლების, ძალადობის, ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაგმო წარსული, თავისუფლების პრიმატი აღიარა და თითქოს ამოუშვა მონური სული.

არ აღსრულდა. საუკუნეებით ნაგროვები მონობის ნიკოტინი სხეულიდან არ ამოვიდა.

როცა ტალღა საწყის პოზიციას დაუბრუნდა, აღტაცება განელდა, სამართლიანობის ყველა სხივი ჩაქრა და ბოროტების ელექტროთვალში ჩაბრუნდა.

ასეთნაირად, ძმებო, ჩვენ ღმერთთანაც მივდგებით. ღმერთი განსხეულებული კაცია. ღმერთკაცს არ განიკითხავენ. მან ყველაფერი იცოდა. ის ყველაფერი იყო. და რაც იყო, საჭირო იყო.

კიდევ მოვა ეგ საჭიროება. ტირანი ნეხვზე აღზევდება და ამღზევებელნი სუნს იკრავენ ყველაზე ადრე; მეხოტბენი დაისჯებიან უპირველესად.

თუ გჭირდებოდათ, კიდევ დაგჭირდებათ!

და ისიც არ დააყოვნებს!

კვლავ გამოგეცხადებათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V
მარქსიზმი. ჟოზეფინა. მალაქია

ორი სიხარული ელის ამაზონიის ჯუნგლებში ადამიანსო: სიხარული შეხვლისა, სიხარული გამოსვლისა. დიდი დედომდინარეა ამაზონი ჯუნგლებისა; ორი დიდი სიხარულის — შეხვედრისა და გამოთხოვების — ყვითელი წყლები მოაქვს გაზაფხულზე, მოდის, მოაქვს...

ამაზონიის სიმფონია დაარქვეს მოცარტის „ბანგს“: ბურუსში, მთვლემარებაში გაატანა მუსიკამ, ტყის შრიალს, ფრინველთა ჭვრინვას, წყლის სველ სუნთქვას შეერია. მზერა გაუშტერდათ დედაშობილთ ტყის სულის ბგე-რებ-ზე...

წვიმს. შრება დედამიწა. ისევ წვიმს. ნეშოთი, დუმფარებით დაფარულ ამაზონიის კაპილარებში გადის რუები. გვერდებმოღნიოშებულ ქოხთან, პალმის ფოთლებით გადმოხურულ ლაფაროში ანთია ცეცხლი. სხედან შიშვლენი, უბალნონი, თვინიერად თვალგაშტერებულნი, ერთ მხარეს მზირალნი. დგანან და სხედან ბოლში, ბურში დედამიწის აბორიგენები. იყურებიან ცისფერი, აბოლებული თვალებით. დედას შიშველს უჭირავს ყრმა. დგას ახლად აღნაგი დედა ყრმით.

აჭრილია მსოფლიო. წამლის კვამლი ასდის მრავალსართულიან სახლებს, ქუჩებს, სკვერებს, შეშინებულ, სასოებაგადაწურულ ადამიანებს, ბავშვებს. თვითმფრინავების ზუილი, ზარბაზანთა ქუხილი ისმის ყოველი მხრიდან.

არ მოისვენებს ჩამოსული ხალხი და „... აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ“.

წითელი წვიმების დროა ჩამომდგარი. ჩვენ ვიხოცებით. ივერიის დროშას აფარებენ გრძელ კუბოს. ქარს მოაქვს მუსიკა და ისვრიან ქარში. დროშაგადაფარებულ მებრძოლს უშვებენ სამარეში და აყრიან კლდის ნატეხებს.

წითელი წვიმების დროსაც ვწერთ. როცა ყუმბარები ბუგავენ მიწას, დაღლილ მეომრებს მაშინ ეძინებათ. საეჭვო ფაჩუნზე აღებენ თვალებს და რაკეტების გრიალზე სძინავთ, ზოგიერთი დიდი სტრესისა და ნერვიულობის დროს ჭამს. ჩვენ ვწერთ წითელი წვიმების დროსაც.

რუსთაველის პროსპექტის ომში, ახალი წლის დილას, კანტიკუნტი, სიაბანდი სროლების დროს მარქსიზმ-ლენინიზმის სარკოფაგის კედელს აფარებული რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის ქართველი მეომარი წითელ ღვინოს სვამდა სადღეგრძელოებით „სიბიენის“ კინოკამერის წინ. სვამდნენ და გადამწვარი სახლების ფონზე სამ ხმაშიც მშვენივრად მღეროდნენ:

შაური შენ, შაური მე, შაური მამაშენს...
ორ შაურად სულ გიყიდით შენ და მამაშენს...

— უკან ნუ ბრუნდები, უკან ნუ იხედები, არ ჩამოხვიდე უკან! — მეძახიან. კარნახი, ჭკუის სწავლებაცა, იოლია.

— წადი წინ, კაცი არ გაკავებს!

— სად წავიდე, კაცო, სროლაა!

*

50 მილიარდი წლის შემდეგ სამყარო ხელახლა დაიწყებს შეკუმშვას; ხელახალ აფეთქებას კიდევ 50 მილიარდი წელი დასჭირდება. ინდოელი მეცნიერები — რამდენიმე პატივცემული გვამი — და არა მარტო ინდოელები სიცოცხლის ხელახალ დაწყებას კოსმოსურ ვირუსებს, კოსმოსურ გენებს უკავშირებენ. ზოგიერთი, უფრო განვითარებული სახელმწიფოების სწავლულებიც იზიარებენ ამ ვარაუდს. ჩვენ, რასაკვირვე-

ლია, ასე შორს არასოდეს წავსულვართ, აირტონიზმით (გაველურებითა და ხელახალი გაპიჟონებით) შემოვიფარგლეთ. მანამდე (ზედაპირულად) შევისწავლეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარვინიზმი (საფუძვლები).
მარქსიზმი (ზედმეტი ღირებულების ლოგარითმები).
ენგელსიზმი (არ არსებობს ამნაირი მეცნიერება).
ლენინიზმი (მაშინდელი იზმების იზმი).
სტალინიზმი (ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა).
ტროცკიზმი (ხალხის მტრების იდეოლოგია).
მიჩურინიზმ-კოზლოვიზმი და ზოგადი კოზლოვიზმი.
პოლიტეკონომია (იზმი არა აქვს).
საზოგადოებრივი მეცნიერება (ბოლოს მოიგონეს).

მარქსიზმი ვნახე დამწვარი, თქვა ბუდუმ, არ მიყვარდა მაგი... ჟოზეფინა თუ შენი მეზობელი იყო კი არ ვიცოდი, საიდან უნდა მცოდნოდა!.. მე რომ შევედი უმაღლესში, მაგი ამთავრებდა, ჟოზეფინა, ჟოზეფინა!..

გული წაუვიდა თურმე მარქსიზმის ლექციაზე დიდი ომის დამთავრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. თავბრუსხვევას ვგრძნობდი დილითვე, ჩაის დალევაც კი ვერ მოვასწარიო, ყვებოდა ჩვენსა.

გული წაუვიდა საერთო უჭმელობით, სისხნაკლულს, გამხდარს, მარქსიზმ-ლენინიზმის ჩათვლაზე ნანერვიულებს. ესეც მე დამბრალდებაო, ფერი დაკარგა ლექტორმა შურა ფხალაძემ, დემობილიზაციით ნაადრევად დაბრუნებულმა. ჟოზეფინა აუდიტორიაშივე მოსულიერდა, შურა ფხალაძეს საყვედურიც არ შეხვედრია, იგი საშემოდგომო სესიაზე დაიჭირეს ქრთამის აღების მცდელობისათვის, ნაფრონტალ კაცს დანომრილი ფულით შელებილი ხელისგულები ამოუტრიალეს კათედრაზე, რაც იშვიათად ხდებოდა. რაც იშოვა, ძიებაშივე გამოაჭამეს, სასამართლოში გააყიდვინეს ნაანდერძევი სახლი და გამოუშვეს.

არ მესმის ეს მარქსიზმიო (ვითომ ფხალაძეს ესმოდა), წუხდა ჟოზეფინა, მარქსის „კაპიტალს" ვერაფრისდიდებით ვერ წავიკითხავ (ვინ აძალებდა, არ ვიცი) ვერც მე და ვერც სხვაო. ვერავინ ვერ კითხულობსო. იმ კაცმა დაწერა და თქვენ წაკითხვა გიჭირთო, უკვირდა დედაჩემს.

— რა გაუგებარია იცი, ნადეჟდა დეიდა, არ შეიძლება იმისი წაკითხვა!

— ბევრი უნდა ჭამო (სად ჰქონდა ბევრი საჭმელი), წაიკითხე და გაიგებ კიდევაც... — ურჩევდა დედა მეზობლის ჟოზეფინას, დაფოთლილი, ლიპაბეჭებიანი, ტანზე ჩამომწლეული კაბა რომ ეცვა. საკვებნაკლულს თაყვანისმცემლებიც არ ჰყავდა. რომ გათხოვდა, მერე მოებრიცათ თვალები, მაგრამ გვიანღა იყო.

წყალი გადაივლო იასამნის ბუჩქებით შემობურდულ კორდში შიშველ ტანზე, ეგონა, ვერავინ დაინახავდა უკაცრიელ ალაგში. აღარც სიგამხდრე ეტყობოდა, არც უჭმელობა. რბილ, თეთრ მკერდსა და თეძოებს უნათებდა იასამნის ყვავილებს იქით ჩამავალი ნითელი მზე.

არ ესმოდა მარქსიზმი, კაპიტალის კითხვას გულს ვერ უდებდა.

თავად მარქსმა ერთ თაყვანისმცემელ მანდილოსანს ურჩია: ჩემი „კაპიტალის" კითხვა მეოთხე თუ მეხუთე (კარგად აღარ მახსოვს) თავიდან დაიწყე, წამოდი ქვევით პირველისაკენ, იოლად გაიგებო. იმ დალოცვილს პირდაპირ მეხუთე თავიდან დაეწყო: პირველი გადაეტანა უკან, მეხუთე წინ, — ჟოზეფინაც გაიგებდა და მეც, ის ქალიც.

დაწერა იმ კაცმა და თქვენ ვერ კითხულობთ?!

ვერ ვკითხულობ... ჩალისფერ თმას ისწორებდა, მწვანე კრიალა თვალებით ჩასჩერებოდა მრგვალ სარკეს.

მართლა და მართლა, რა დაწერა ბაბუა მარქსმა იმნაირი უბედური, კაცი ნამკითხველი რომ ვერ აღმოვაჩინე. წიგნიც ასეთი უნდა. დაწერა და თუ კაი ბიჭი ხარ, წაიკითხე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავყურებდი სქელტანიან, აგურისფერ, აგურივით მძიმე წიგნს. თარგმანი მალაქია ტოროშელიძისა. მალაქია ტოროშელიძე იისფერი მელნით იყო გადაღებილი, თუმცა გვარიც ილანდებოდა და სახელიც სხვენში კრამიტების ღრიჭოებიდან ჩამოღვრილ მზის სხივებში. ცხელოდა და ჩახლართული წინადადებების ლაბირინთებში ვთვლემდი, ვფხიზლდებოდი, თავიდან ვიწყებდი; წინადადებას, აზრს ვინ ჩიოდა, წინადადებას ვერ ვუკავშირებდი. სიტყვები მოდიოდნენ ორ მწკრივად, ერთიანდებოდნენ და იშლებოდნენ ფოკუსში მატარებლის ბორბლების რახარუხზე. სიჩუმე წვებოდა, სულის ხუთვას ვგრძნობდი. უდაბნოში ვეძებდი წყალს, ცხადია, და არა — სილას. ყვითელი ქვიშის დიუნებს იქით ვხედავდი ოაზისებს, პალმებს, შადრევნებს და ვკითხულობდი... რას? არ ვიცოდი, აღარ მახსოვდა. სიტყვები, სიტყვები მარცვალ-მარცვალ ცვიოდნენ ქვიშაში, შემდორებული, ლურჯი მდინარის ხუანხის სანაპიროში, ჩინგის ხანის დაკარგული სამარის საყორლანეთში.

დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია, საერთოდ, ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა, წერია კომუნისტური პარტიის მანიფესტში. სხვა ბრძოლა, სხვა ბრძოლის ისტორია, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობსო. ეს კი მარქსის ყველაზე დიდი და გენიალური აღმოჩენა ყოფილა ზედმეტი ღირებულების კანონთან ერთად.

კომუნისტებს ჩვენი შეხედულებებისა და სურვილების დამალვა სირცხვილი გვგონიაო. ამიტომ საჯაროდ ვაცხადებთ: ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ძალადობით, არსებული საზოგადოებრივი წყობის დამხობით იქნება მიღწეული. დაე, მმართველი კლასი შეძაგძაგდეს კომუნისტური რევოლუციით!

ბოლოს: პროლეტარიატი არაფერს კარგავს ბორკილების მეტს! სამაგიეროდ, დაეუფლება მთელ მსოფლიოს.

ყველაფრი შიგა წერია.

განახორციელეს მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედზე. იმას იქით რომ გაუშვეს საცეცები, სხვა სახელმწიფოების დალაგება-გადალაგებას რომ მიჰყვეს ხელი, საკუთარი დაემთხვლათ. ადამიანთა ისტორია კლასთა ბრძოლამდე დაიყვანეს და გენიალური უწოდეს. გვასწავლეს: თანასწორობა ცარიელი ფრაზები იქნება, თუ თანასწორობაში კლასების მოსპობას არ ვიგულისხმებთო.

ქვევით: კლასები უნდა მოვსპოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ თანასწორობის მხარეზე ვიქნებით!

იყო თუ არა პროლეტარიატი კლასი? იყო ან არ იყო. რომ ყოფილიყო, მოსპობდნენ, თუ მოსპეს კიდეც? ამდენი აღარ ვიცით.

მოსპობაში სტალინი განადგურებას გულისხმობდა, თუმცა ამ ორ ცნებას შორის პრინციპულ განსხვავებას ვერც კი ვხედავთ. როცა მან (სტალინმა) მთელი ძალაუფლება იგდო ხელთ, კლასები, მათეული გაგებით, გაცამტვერებული იყო. ამიტომ მესაკუთრე გლეხებს მიდგა და დაიწყო კულაკობის განადგურება „როგორც კლასის". შემდეგ, მანამდეც, იზმებს — ტროცკიზმი, იმპერიალიზმი, ნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი (სიონიზმის ერთსახეობა), ფუტურიზმი, მენშევიზმი — გადეკიდა და იყო იზმი დადებითი და უარყოფითი:

მარქსიზმი.

ლენინიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩურინიზმი.

კოზლოვიზმი.

მაინც მარქსიზმი.

ლენინი და ტროცკი კლასთა ბრძოლას და პროლეტართა (გაღლეტილთა) ფანატონებას გლობალურად, სიონისტური თვალთახედვით, ეროვნებათა ლიკვიდაციის თვალსაზრისით უყურებდნენ; მათ მოგონილ სოციალიზმს მთელ დედამიწაზე ავრცელებდნენ ეგონათ. სტალინს უფრო უტილიტარული — დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს — მიზნები ამოძრავებდა: ერთ ქვეყანაშიც მშვენივრად გაიმარჯვებს სოციალიზმიო, ამტკიცებდა, აჯერებდა; კლასთა, კლასის წევრების ფიზიკურად მოსპობის ნაცად ხერხებს იყენებდა.

კლასი კლასის წინააღმდეგ იბრძოდა, კიდევ იბრძოლებს!

რევოლუცია შურისძიებაა, ნგრევას ბევრი სისხლი ახლავს, რესტავრაციას — ნაკლები.

რაც იყო, ისევ იქნება.

ყბადაღებული წიგნი კი — ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის, რომელიც ბელადის განდიდებისათვის შეიქმნა, დაწერა არა ბერიამ, არა ბედიამ, არამედ სწორედ მალაქია ტოროშელიძემ, რომელმაც მარქსის „კაპიტალი" თარგმნა. ზემოთ და მრავალგზის ნახსენები წიგნის იდეა ბერიას მერკუროვმა ჩააგონაო. ბერიამ შეასახელა მამია ორახელაშვილი, რომელმაც მოუცლელობა მოიმიზეზა. იმ წიგნს ბევრი გადაჰყვა, თუმცა ორახელაშვილი მხოლოდ მოუცლელობისათვის არ დაღუპულა. ამის შემდეგ გაჩნდნენ ბედია, ტოროშელიძე (ინსპირატორი მაინც ბერია აღმოჩნდა) და ბერია.

სტალინმა იცოდა, წიგნი რომ იწერებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაზე, — ფაქტობრივად, მასზე და მისი თანხმობის გარეშე წიგნი არ დასრულდებოდა, რომ დასრულებულიყო, დღის სინათლე არ ეღირსებოდა მის სიცოცხლეში.

ჩათავდა კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული პირველი სისხლიანი აქცია (იგი დასაწყისი იყო სისხლის ნთხევისა) და გამოითხოვა წიგნი მან მის შესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ აგარაკზე დაიბარა ავტორი. ესაუბრა, დააგზაკვალიანა და გადასცა საკუთარი ხელით ნასწორები, ზეაღმატებულ ეპითეტებწამატებული, შენიშვნებით აჭრელებული ეგზემპლარი. ყველა შენიშვნა მიღებულ-გათვალისწინებულ იქნა და ავტორი რამდენიმე დღე დარჩა სტალინთან. ცალ-ცალკე მუშაობდნენ და ხვდებოდნენ ერთმანეთს, იმ დროს მასლაათობდნენ, რევოლუციურ ამბებს იხსენებდნენ, სადილობდნენ, სვამდნენ ჩხავერს და მამაპაპური წესის მიხედვით იძინებდნენ გადაშუადღებულს. სტალინს ღამითაც არ ეძინა. სტუმარსაც არ უნდოდა დასძინებოდა წესით მის სიახლოვეს, თუმცა ძველი ურთიერთობა, ძმობაც (სტუმარი ასე ფიქრობდა) ძილისა და მოსვენების გარანტიას იძლეოდა.

...ეს ტოროშელიძე ტორიჩელის სიცარიელეს მაგონებს, ფიქრობდა მასპინძელი, — ვის სჭირდება ტორიჩელი, სიცარიელის გარდა...ტორ...ტოროლა...ბედიას არა უშავს...ბედი — ბედია, ერნესტ, სახელი კარგია, რნსტ ცავატანე...საერთოდ, ვინ ჩემი ფეხებია ეს ბედია, საიდან ჩაეჩხირა ამ შემადგენლობაში... ბერია ბორიას ჰგავს, წავა, რუსები იოლად მიითავისებენ, წავა, მოვა ბორია...

— მალაქია, გაიღვიძე, შე კაი კაცო, სამხრობის დრო მოვიდა, გიყურებ, კაცო, გხედავ, არ იღვიძებ... შენი შიშით და რიდით ჩიბუხი ვერ გამიბოლებია... რა მინდოდა კიდევ მეთქვა, მგონი გამოვიდა, არა, შენ რას იტყვი... — აბოლებდა უკვე და

რბილად დადიოდა ბილიარდის მაგიდის წინ. მალაქია თვალებს იფშვნეტდა და ფეხის გასარგველ ფლოსტებს ეძებდა ტახტქვეშ. — მალაქია, შენ გინდა ამ წიგნის ავტორობა?..

„... მინდა? რატომ არ უნდა მინდოდეს, ან რატომ უნდა მინდოდეს? ... ტვინიკი ჩამექცა ამის წერაში... რას ნიშნავს გინდა-არმინდა...“ გაბურბუსალებული იყო — არა ძილისაგან.

— ამოდენა მარქსისტი ხარ, მალაქია, „კაპიტალის“ მთარგმნელი, ხანდახან შენი დაწერილი მგონია, ისე კარგად ჟღერს ქართულად და რა გახდა ეს ამიერკავკასია, იყოს ბერია, მოწონებიათ იმისი მოხსენება იმ სიცხეში... სიცხე მაინც სიცხეა, ბევრს ეძინა თურმე სხდომაზე... რატომ ეძინათ, როგორ ფიქრობ, მალაქია, არ აინტერესებთ ბოლშევიკების, ჩვენი, ჩემი ისტორია?

— ცხელოდა საშინლად და ამის ბრალი იქნებოდა...

— აი მაგაში მართალი ხარ... სიცხე, ივლისი, თბილისი, კოჯორი სხვაა... ტაშიც ბევრი იყო თურმე...

— იყო კი.

— ტაშით აფხიზლებდნენ თურმე ერთმანეთს, ხუთი საათი გაუძლეს, როგორც ჩანს, საინტერესოდ წაიკითხა, ხომ არაფერი მეშლება, მალაქია?

— არა შე კაცო, მოხსენება კარგი გამოვიდა, კარგადაც კითხულობდა, პარენ ონ ტალკოვი...

— ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ბერია უნდა იყოს ავტორი?

— რასაკვირველია...

— ბერია ლავრენტი, პერსპექტიული კაცია, იყოს მაშინ ბერია.

„იყოს, მალაქიას ვირის თავფეხი...“

არ აკმარეს. როგორც გამოუსწორებელი ტერორისტი, მიახვრიტეს სულ მალე, ჩააყუდეს ცოლი იმისი მინადორა ორჯონიკიძე — სერგოს ალალი ბიძაშვილი, ჩახოცეს მრავალი, უთვალავი, უშქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI
ესეც ისტორიაა

გლიცინიები ყვაოდნენ; უსურვაზის ყვავილმტევნებით იყო გადაწითლებული ქალაქი. ვარდობისთვე იდგა. მწვანედ გადაღაღანებულ ბაღში ნიავი გადიოდა შრიალით. მთვლემარებიდან ახალი გამოსული ბუზი ბზუოდა ყურისძირში. ენგელსის თავი ჩამოჰქონდათ სვეტიდან; ფრთხილად აშორებდა ხარაჩოზე გასული ორი მუშა ბიუსტს პოსტამენტს. ზედამხედველი იძლეოდა ბრძანებას: ღარში დააცურეთო ფრთხილად. ჩამოიარა მგზავრმა:

— გადმოაგდეთ პირდაპირ, რას წვალობთ?.. რბილი მიწაა ცხვირით ჩაესობა შიგ!

ლურჯმაკინტოშიანმა ზედამხედველმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა — ხომ არავინ გვისმენსო.

— წადი, ბიძია, საქმე ნახე!

მგზავრი წავიდა ღრეჯვით.

— რბილი მიწაა... მაგარი იყოს თუ გინდა, მაგარი მოგხვდა, ვიღაცა ხარ! ბალიშებს დავუგებდი ძირს, გადმოგდება რომ შეიძლებოდეს!..

წაღება ხომ შეიძლებოდა, გადმოგდება თუ არა. ენგელსის თავი იქ აღარავის უნახავს იმ დღის შემდეგ, პოსტამენტიც აიღეს.

*

რაიონული დაქვემდებარების ქალაქში საშვიდნოემბრო პარადი დაიწყო.

შემოდგომის მზე ბრწყინვალებდა და იყო პარადი, სოცრევოლუციის რომელიღაც უმრგვალთარიღოვანი წლისთავი. იმპერიის დედაქალაქის მსგავსად მეტროპოლიას დაქვემდებარებულ პატარ-პატარა დედაქალაქებში, რაიონულ ცენტრებში იმართებოდა დიდი პარადების მოდელ-წარმოდგენების მიხედვით აწყობილი პატარა პარადები.

რაიკომის პირველს დედაქალაქიდან სამეთვალყურეოდ მოვლინებული წვრილ-წვრილი პარტინსტრუქტორები ჰყავდა სტუმრად.

და იდგნენ პატარა ტრიბუნაზე რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკის ქალაქის მორჩილ-მორჩილი ხელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები და სტუმრები — მომავალი პარტმეაპარატეები. იდგნენ ცალხელაწეულნი და დასცქეროდნენ აძრულ, მოზიმზიმე, დეფორმირებულ მოედანს.

წამოვიდნენ: ტრანსპარანტები, პლაკატები, ფერადი ყვავილების გვირგვინები, პორტრეტები: მარქსი, ლენინი, სტალინი. ტაში. ურიამული. აღტაცება.

მარქსი. ლენინი. სტალინი.

და ბიქტორიჩი.

სახეს იჩრდილავს ქალაქკომის მდივანი, თვალს არ უჯერის ჩხარელიძე ამანგელდი ბიქტორის ძე:

მარქსი.

ლენინი.

სტალინი

და თვითონ.

სპორტულ პიჟამაში (ადიდასებში) გამონყობილ ორ მუტრუკს მოაქვს გაურანდავ ფანერბე გადაჭიმული მისი ფერწერული პორტრეტი.

მარქსი.

ლენინი.

სტალინი

— და ბიქტორიჩი, — ჩურჩულებენ ზურგს უკან.

— სორე ენგელსი?! — ყვირის თავზარდაცემული ჩხარელიძე.

სხვა ვერაფერი მოიფიქრა და სადაა ენგელსიო, გადაირია. ენგელსი მოსაცლელ-სა.

არადა, მართლაც

— სორე, ენგელსი?!

*

ისედაც უცოლშვილოდ გადაეგო, უშვილძიროდ წავიდა. მარქსის ოჯახში დაბინავდა სიჭარმაგეში.

ბატონი მარქსი საგულდაგულოდ (უმეტესწილად მატერიალური თვალსაზრისით) არჩევდა სიძეებს და ენგელსი (ხელმოკლეობას ვერც იმას დასწამებდი) რა მოვალეობას ასრულებდა ოფიციალურად მონოგამიურ ოჯახში, როგორც მამაკაცი, ბოლომდე არ უნდა იყოს გარკვეული.

სიძემ სოციალისტმა ლაფარგმა, რომელსაც ბატონი სიმამრი კრეოლად იხსენიებს და ლაურამ (შუათანა ქალიშვილმა) სწორედ ენგელსის დანატოვარი ფულით შეიძინეს სასახლე და მამული, თუმცა სიცოცხლე მაინც თვითმკვლელობით დაასრულეს. ციხეჩამოვარდნილმა სიმდიდრემ, სიმამრნაცვალის სარეცელმოზიარობამ თუ სოციალისტური იდეების კრახმა გადააწყვეტინათ თვითლიკვიდაცია, არ იციან; ჯოგური ცხოვრების იდეოლოგებმა მიწიერ ცხოვრებაშიც ვერ ნახეს სიამე, თუმც მათ მიერ გამართული გრანდიოზული იდეა-ბუტაფორიის გაცამტვერებამდე კარგა ხანი იყო დარჩენილი.

მარქსის მოძღვრებას, ზედმეტი ღირებულების აღმოჩენას ლენინმა გენიალური უწოდა და თავადვე, ამავე მოძღვრების საფუძველზე, გამოიტანა გენიალური დასკვნა: ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ერთობლიობა ქმნის კაპიტალიზმსო. ბურჟუაზია მშენებელია, პროლეტარიატი მესაფლავე. თეორია ბუნდოვანი, წინასწარმეტყველება (ვინ ვისი მესაფლავეა, კაცმა არ იცის) მცდარია, თუმცა მარჯვედ კი არის ნათქვამი.

სხვათა შორის, მარქსს დიდ ეკონომისტს, კომუნიზმის ლანდ-მოჩვენების (აჩრდილის) მადევარს, ზედმეტი ღირებულების კანონის აღმომჩენს, მოწინააღმდეგე კლასების მოსპობა-განადგურების მებაირახტრეს ფურუნკულები (ძირმაგარები) გამოდიოდა ზედ საჯდომზე; მუდმივმჯდომარეს, კაპიტალის შემთხზველს მაინცადამაინც საჯდომზე დააყრიდა ძირმაგარები. ახლობელ-მეგობრებისადმი, თანამზრახველებისადმი მიწერილ საქმიან წერილებში შიგადაშიგ ამ სატკივარზე იყო ყურადღება გამახვილებული. რომელიღაც შანსიან (სხვა სიტყვას ვერ მიუსადაგებ) გამომცემელს საფურუნკულო ნუნუნ-საჩივრები ამოუკრეფია, შეუკონავს და ცალკე ტომად გამოუცია პარიზში, არა გვგონია, სამედიცინო-პროფილაქტიკური მიზნით. იგი ბესტსელერად არ ქცეულა, მაგრამ გახმაურდა და კომუნისტების ერთ-ერთ სამაგიდო წიგნადაც იქნა აღიარებული. კომუნიზმის იდეების მქადაგებლის, ზედმეტი ღირებულების გენიალური აღმომჩენის ფურუნკულიანი საჯდომი (ტრაკი იყოს თუნდაც, ოჯახიშვილები ვართ) რა საამკარაოზე გამოსატანი, რა ზედმეტი კაპიტალის შემომტანი (საჰონორარო შემოსავალს ვგულისმობ) საგანი უნდა ყოფილიყო.

ლონდონში მეგზურად ბუდუ ქვარიანი მყავდა. თანაქალაქელს ყურადღება არ დაუკლია და ცოდნით, რითაც ნამდვილად ვერ დაიტრაბახებდა, თავი არ მოუბეზრებია, თუმც ინგლისში იმ ჯგუფიდან ბარე ორი არ იყო მისდენჯერ ნამყოფი. მენ-

ტორობისაკენ ჰქონდა მიდრეკილება, ვიცოდი, მაგრამ არც ამით გამოუჩენია თავი. ბუდუ ბუდუ იყო მაინც და იმან გამიქარვა სამშობლოს ნოსტალგია, ორკვირიან მოგზაურობაში რომ მიჰყვება ხოლმე ქართველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდუ, საბჭოეთი არ მოგენატრა? განგებ ვკითხე წამოსვლისას.

— ვნახე დამწვარი, — აქეთ-იქით გააპარ-გამოაპარა მზერა და ხმადაბლა დაუმატა, — დავრჩებოდი მარა, იატაპით დამაბრუნებენ, ფიშტოალემ ამ ქალაქში უშველა თავს, მისი ჭკუით; მოცეკვავეებს ჩამორჩა, ცვითა სადღაც თავი, ეძებეს, ვერ ნახეს და დატოვეს, თვის ბოლოს გარდერობის კონტეინერით ჩამოიყვანეს, ყარდა ნაფტალინის სუნით, კიდევ კარგი, არ ამოიხრჩო ჩოხებში...

მიგვიყვანეს მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში, სადაც თურმე ლენინი (წინასწარ უნდა ვთქვა, ბიბლიოთეკა დაკეტილი აღმოჩნდა) კითხულობდა წიგნებს, მათ შორის მარქსისა და, რასაკვირველია, ენგელისის შრომებსაც. დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახეშეკუმშულმა მოსკოველმა რუსმა, წყალგაუმტარი, შავი ლაბადა რომ ეცვა მზეში, გაგვიცხადა: მარქსის ბიბლიოთეკა, სამწუხაროდ, დაკეტილიაო; ასე პირდაპირ არ უნდა მოეხალებინა, შენიშნა ბუდუმ წარბშეუხრელად. არ გაგვიმართლა პარიზშიც მარი როზეს თუ მარი როზის ქუჩაზე, სადაც ერთ დროს ლენინსა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ბინა ჰქონდათ დაქირავებული. სახლის ახალმა მეპატრონემ (გვარზე უკაცრავად), რომელსაც თურმე ლენინი, მით უმეტეს კრუპსკაია, ფეხებზე ეკიდა, ბინაში არ შეგვიშვა.

სამაგიეროდ ღია იყო, იგი საერთოდ არ იკეტება, ჰაიგეტის ცნობილი სასაფლაო ლონდონთან ახლოს. გავჩერდით მარქსის სამარესთან იმ მშვენიერი სასაფლაოსათვის არაფრით არგამორჩეულ ალაგას. დაბლარად შემოყორილი ორი საფლავი მოშაბიამნისფრო, ალბათ ხელოვნური, ხვინჭით იყო მოპირთავებული. წინ ასვეტილიყო ერთიანი ქვის წვრილი კვარცხლბეკი ზედ შემოდებული მარქსის მასიური, ფაფრიანი თავით. ადრევე გაგვეგონა, ვანდალები მარქსის საფლავს (თურმე თავს) პილწავენო, არ გვჯეროდაო, ვერ ვიტყვი, თუმც ვერ წარმომედგინა. იმ დღესაც თავი და არა სამარე, სადაც მეუღლეც განისვენებს, წაპილწული დაგვიხვდა: თავზე გადაესხათ (ზედ ვერავინ გავიდოდა) რაღაც ადამიანური სიმყრალე. ნათქვამი კი ჰქონია ცხონებულს — არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო, მაგრამ ის ფაქტი ყოველგვარ ადამიანურს (არაადამიანი იმას ვერ ჩაიდენდა) ცილდებოდა. საერთაშორისო კომუნისტურმა ორგანიზაციამ გამოყო საყარაულო ხარჯები და თავად კომუნისტი მუშები უთევენ ღამესო, აგვიხსნეს; სწორედ ამიტომ დღისით-მზისით დაიწყეს ვანდალებმა (ასე ეძახიან „წამპილწველებს") პროლეტარიატის ბელადის სამუდამო განსასვენებლის (?) შეურაცხყოფაო, რაიც წაპილწვაში გამოიხატებოდა, როგორც შევხედეთ. ამიტომო იძულებული ვართ დღედაღამე გავაერთიანოთ, ეს კი დამატებით ხარჯებთან (ჩვენი იმედი არ გექნეთო, ბუდუმ შენიშნა) არის დაკავშირებულიო. სახეშეკუმშულმა შავლაბადიანმა ხელმძღვანელმა დელეგაციის სახელით გამოთქვა სამძიმარი და წამოვედით დამწუხრებულნი. ბუდუ ქვარიანმა გვერდზე გამიყვანა,

— არ მინდა მაგათ გასაგონად გელაპარაკო, ვიღაცას უეჭველად ეცოდინება ქართული, — უფრო დაუწია ხმას და მითხრა:

თურმე თვითონ მუშებიგადიან ზედ და, უკაცრავად პასუხია, აპილწავენ მარქსს თავზე, რათა საყარაულო შტატები არ გაუქმდეს და სამსახური არ დაკარგონო...

რა ხარ ბუდუ!

რას არ გაიგებდი ხანდახან, შე ღმერთგაყიდულო!

აღარ გავახსენე, მეზობელი კინაღამ რომ ამაცალა თვალდახელშუა...

მოჩვენებასავით გამოჩნდნენ ბაღიკიდეზე ერთხელ. ჟოზეფინას გრძელი,

მოყავისფრო იუბკა და კარაქისფერი საყელოდამაქმანებული ჯოფთა ეცვა; თბილისელი სტუდენტი და ქუთაისელი პურისმჭამელი ბუდუ ლურჯ შარვალში ჩატნეულ ღირკილოებით საყელოჩაირიბებულ შავ, ქართულ ბლუზას ატარებდა.

ბორჯომის წყლების მაღაზიიდან დაეშვნენ, ჩაიარეს ბაღიკიდე, „კომუნასთან“ მობრუნდნენ და რამდენჯერმე გადაზომეს ის მარშრუტი. ჟოზეფინა ლაპარაკობდა, ბუდუ ღიმილით, სერიოზულად ესალმებოდა ნაცნობებს. მაგ ქალი ბუდუსთან დადიოდა, თქვეს შემდეგ. მართალი იყო. ბუდუც დადიოდა მასთან, მაგრამ ჟოზეფინას დაერქვა მხოლოდ ნასიარულევის სახელი. სამიოდე დღე დადიოდნენ ბეჭი-ბეჭ მიუდებლად. ერთი გამხდარი კაცი გაეტეოდა მათ შორის გვერდულად.

აღმოსავლეთი მაინც აღმოსავლეთია, დასავლეთი დასავლეთიაო, ბრძენს უთქვამს. რუსეთი მაინც რუსეთია, რუსი მაინც რუსია, თუ ასეა! ებრაელმა თქვა: პარახოდი რომ პარახოდია, იმასაც ჰყამვს კაპიტანიო. ჰყავდა რუსულ კრეისერსაც ნახევარრუსი თუ სულ რუსი პეტრე პირველი. პეტრემ მიახრჩობინა ტახტის მემკვიდრე, საკუთარი ძე ალექსი. ჯერ კიდევ ჯანზე იყო და იფიქრა: მამის ურჩი გინდაც არ მყოლია, მეორე მეზრდება, სხვაც მეყოლებაო; ეყოლა, მაგრამ არ შერჩა, გასაზრდელი არ გაეზარდა, ცოდვიანს ძე არ დაემკვიდრა; შვილის მკვლელი მამაც მალე გამოეთხოვა წუთისოფელს. სულის ამოხდომის წინ გალიგვებული ხელით დაწერა: გადაეცით ყოველივეო. მეტი ვეღარ შეძლო და ვერც ვერავის გააგებინა, ვინ უნდა გამხდარიყო ყოველთა ყოველი, ამაოებათა ამაოების მორიგი მსხვერპლი. თანამეცხედრეს მდაბიო მარტა სკავრონსკაიას (ეკატერინე პირველს) შეაბეს ეჟვანი და ორი წლის შემდეგ, უწლოვან პეტრეს ალექსის ძეს დაადგეს თვალი; რიურიკების შემწეობით აღაზევეს, კორონაციის დროს დაეღუპათ, მანამდე ხანმოკლე საუფლისწულო გზაც განვლო. ადრე ასამგზავრებელი, ადრე მომწიფდა. რიურიკთა ძე-ნაშიერს, მასავით გათახსირებულს, დაუძმაკაცდა და გვერდიდან აღარ მოიშორა. ერთად იყვნენ, ერთად იღამ-ითენებდნენ, ერთ ოთახში, ერთ საწოლში ეძინათ და რომელი რომლის როლს ასრულებდა, აქტივ-პასივის თვალსაზრისით, დღეისათვის აღარც კი უნდა იყოს საინტერესო. მამამისის შვილს მეტი არც მოეთხოვებოდა, ზნეობა ვირის ხურმააო, მაგრამ უსწავლელი მუტრუკი მართვა-გამგებლობის უნარსაც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული; არ დასცალდა, თორემ სხვაზე ნაკლებ უბედურებას არც ის დაატრიალებდა. ლენინზე თითქმის ორი საუკუნით ადრე დაუბრუნა სადედაქალაქო ტახტი მოსკოვს, ამოანთხია ზიზღი დიდი პაპის მიმართ და მამის სამაგიეროს გადახდა ვერ მოასწრო. ჭირშეყრილი, სახეამოკენკილი, დაბრმავებული, პაპის ათაშანგის ჩხირებით კანგაცინცხული, საცოდავად დაეთხოვა ამ ქვეყანას, დაიმარხა პეტრე მეორედ, დიდი პეტრეს მეორე პეტრედ თხუთმეტი წლისა და გადაჭრა კიდეც რომანოვების კაცური გენეალოგიის დაავადებული სათესლე ძარღვი.

პირველი ძე ეზარალა, სასკორავში შეატყო უხარობა. არც წყალი ხარ, არც ღვინოო, სინანულით დაჰყურებდა სანთელივით ფერმიხდილს, მისი სისხლის წყალ-ღვინოს. ნერვიულ, სანთლის ალივით აპარპალებულ, ასკეტური აღზრდისა და კარჩაკეტილობის გამო მორალსა და ზნეობას ნაკლებდაშორებულს უფლისწულ ალექსის.

ხარის გამხმარ სასქესო ძარღვს ურტყამდა დორბლმორეული მამა; განაჩენი გამოტანილი და სამედიცინო უკაზიც — აპოპლექსიური დარტყმა — წინასწარვე იყო გამზადებული.

სულთმობრძავს აქლემის ბალნის ბალიში დააჭირეს სახეზე.თავდაცვის თანდაყოლილმა ინსტინქტმა გრძელი, ძვალტყავა ხელი ააწევინა. სამჯერ ამოიხრიალა: ვარრხრ...ვარრხრ...ვარრხრ... და გაჩუმდა დაბადებიდან ოცდარვა წლისა. წმინდანად შთარაცხეს მოგვიანებით, მაგრამ ამან არ მოასვენა: დიდხანს კვნესოდა კატა-

კომბაში სული დაღუპული სხეულისა; მწუხარე ლანდი ეცხადებოდათ დროდადრო მონასტრებში გამომწყვდეულ ადამიანებს.

სრულიად რუსეთის შემდეგმა თვითმპყრობელმა „ელიზავეტა პეტროვნამ“ პეტრეს ნაშიერთაგან ბოლო მონარქმა, ვერ გაბედა მრავალი საყვარლისაგან გაჩენილ და დიდ-დგვაროვანთა ოჯახებში სამუდამოდ გაძიძავებულ შვილებთაგან ერთ-ერთის გამეფება და საკუთარი საუფლებო პოზიციების გასამყარებლად გამოიწვია დისწული, შვედეთის მეფის კარლ XII შვილიშვილი, ჰოლშტაინ-გოშტორპის უწლოვანი პრინცი კარლ — პეტრე ულრიხი და რუსეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღიარა. კარლ ულრიხი, შემდგომში პეტრე მესამედ სახელდებული, დეგენერატი აღმოჩნდა, თუმცა ზრდაში მაღალი გვარისათვის დამახასიათებელი ბევრი მანკიერი თვისებაც გამოავლინა. ქალებისა და ღვინის მოტრფიალე სიმებიანი საკრავების ცოდნას ჩემულობდა, თავი არტისტიც ეგონა. თოთხმეტი წლისამ სიტყვა არ იცოდა რუსული, ვერ ისწავლა, არ ისწავლა; სურვილი არ გასჩენია ეწერ-ეკითხა იმ ენაზე, რომლითაც უნდა ეხელმწიფა. აღმერთებდა ყველაფერს პრუსიულს, შვედურს; რუსეთს „პროკლიატაია სტრანას“ ეძახდა, რაც მისი დეგენერატობის დამადასტურებელ ნიშნად არც კი გამოდგებოდა. დედოფალი ელისაბედი გულწრფელად ნანობდა არჩევანს, „პროკლიატი ულოდის“ დანახვა არ უნდოდა და მოშორებაც (იმაზე უარესს სადღა იშოვიდა) ემძიმებოდა. დიდკაცებმა იძალეს და გენის, ჯიშის, გასაუმჯობესებლად ჩამოუყვანეს საცოლე ანჰალტ-ცერბსტის ცქრიალა პრინცესა სოფია ფრედერიკა ავგუსტა, შემდგომში სრულიად რუსეთის გონიერი თვითმპყრობელი. დაიწყო შეუთავსებელი წყვილის გაუკულმართებული ცოლქმრობა. მემკვიდრე პრინცი ლოთობდა, აწრიპინებდა, დასდევდა ვირთხებს და სხვის შეუხედავ ცოლებს. სად პოულობს ამნაირ მახინჯებსო, გიჟდებოდა კანონიერი მეუღლე, საკუთარი დარდი, — უნაყოფობა რომ აწუხებდა. დაიბარა დედოფალმა ელისაბედმა და სხვა კაცის ყოლა ურჩია. დაუსახელა გრაფი სალტიკოვი. ეკატერინემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგრამ დედოფალმა თხოვნა ბრძანებით შეცვალა და პატარძალმა სახელმწიფო ინტერესები ანაცვალა პირადულს. შედგა აქტი — არა გონივრული და წერილობითი.

და გაჩნდა პავლე.

გლეხის ქალის ჩეგლოკოვის ყრმა შეუგორეს ლოგინშიო თქვეს, მაგრამ პავლე შობა ეკატერინემ და იგი დაემსგავსა არა სალტიკოვს, არა ჩეგლოკოვების ნაბუშარს, არამედ დეგენერატ პეტრე მესამეს.

პავლემ დაიწყო ზრდა.

რვა წლისას, ელისაბედ დედოფლის გარდაცვალებისთანავე, მოუკლეს მამა მომავალმა მამობილებმა; ისე უხეიროდ წაუჭირეს ბეწვიანი საბელი, რომ ყურები კინაღამ დააძრეს და სუნთქვა ვერ ჩაუხშეს. საბელჩამარყუეებული მესტუმრე უფლისწული ისე საშინლად ჭყაოდა, რომ საგანგებოდ მოყვანილ ჯალათს, მე მაცალეთო, რომ იხვეწებოდა, გული კინაღამ შეუღონდა.

მიდიოდა დრო. პავლე ზრდას გასაგრძობდა. მამის ხატება არ შორდებოდა. სძულდა რუსული, პრუსიულად აზროვნებდა. დედის გასახარად ნაადრევად მწიფდებოდა და დედის ფრეილინებსა და სეფექალებზე ხელოვნდებოდა დედის სურვილით. იცლებოდა და ბოღმით იტიკნებოდა ბარძაყებიდან ამომძვრალი მამლაყინწა. შემდეგ თავის წილ ძალაუფლებას ელოდა მოთმინებით. მამობილები კი დედის პურ-მარილზე და მამის ძვლებზე ქეიფობდნენ კვლავინდებურად. სექსოპათოლოგიურად დამაშვრალ დედას წერილი მიჰქონდა, მისი — პავლეს — დიდების მზე თენდებოდა.

გათენდა და აღსასრულის საათმაც მალე ჩამორეკა.

შეითქვნენ რუსები პრუსიელის წინააღმდეგ. ძმები ზუბოვების სასახლეში დადეს ფიცი. დალიეს კარგად და 1801 წლის 25 მარტს გაზაფხულის ბუნიობისას, ჩამომდგარ XX საუკუნისას 120 შეზარხოშებული რაინდი ძმები ზუბოვებისა და გენერალ ბენიგსონის მეთაურობით თავს დაესხნენ მიხაილოვის ცივ და ნესტიან, საკუთარ ცოდვამად აშენებულ სასახლე-ციხეში თავშემყუდროებულ პავლეს და ხელი ავლეს მისსავე ხაფანგში გაკვეხებულს. თვალებჩასისხლიანებულმა ზუბოვებმა თავშალი შემოახვიეს. პავლემ ხელი აიფარა ყელ-ღოყაზე და სასუნთქავი დაიტოვა. უჭერდნენ და ვერ ახრჩობდნენ ხელაფარებულს.

ვოზდუხ! ვოზდუხ! ვოზდუხ!

ყვიროდა საიდანღაც ჭკუაშერყეული, ჰაერის უკმარისობა მაქვსო. პავლეს ხელიო, პავლეს ხელიო, ხელი ჩაიტსიაო, მიხვდა უამრავთაგან ერთი. მე მაცალე. შენ გაიწი. მე მიმიშვი! ხელი მიაჭრეს იდაყვთან და სისხლისაგან დაცლილს ხრიალით ამოუვიდა მთავარი სული.

*

სტალინისეულ კაბინეტში იჯდა გაპეყილი მალენკოვი და მძიმედ სუნთქავდა. მდუმარედ ისხდნენ დანარჩენები, ისმენდნენ თუ ესმოდათ. ლაპარაკობდა ნიკიტა ხრუშჩოვი და ჰაერი არც იმას ჰყოფნიდა. გალიაში შემოტყუებული ლავრენტი ბერია დიდ თეთრ ფურცელზე გრძელი, სიმეტრიული ასოებით წითლად წერდა:

Тревога! Тревога! Тревога!

შეთქმულნი ჯერ მხოლოდ კარიერიზმში, არაკომუნისტობაში, მორალურ აღვირახსნილობაში სდებდნენ ბრალს. ჯერ არ დაეზუსტებინათ, რამდენი ქალი ჰყავდა უკანონოდ ნახმარი, რამდენი არასრულწლოვანი კანონის სახელით გაუპატიურებული. ეს ყველაფერი კი სამოქალაქო ძიებას და პარტიულ სასჯელებს ექვემდებარებოდა, მაგრამ თუ ბერიას არა, სხვას ვის უნდა სცოდნოდა, რას ნიშნავდა ეს!

Тревога! Тревога! Тревога!

პავლემ: ამოაყრევინა საგვარეულო საძვალიდან მამის ძვლები, შეატანინა სამეფო დარბაზში და აკურთხებინა მეფედ პატრიარქს — უწმინდესსა და უნეტარესს; დედის უპირველეს ვაზირთუხუცესს დაადგმევინა მამის თავის ქალაზე საიმპერატორო გვირგვინი. შემოაყენინა მამობილები და აიძულა ყველანი, მუხლი მოეყარათ ტახტის მემკვიდრის კი არა, არშემდგარი ტახტის საჭეთმპყრობლის, სრულიად რუსეთის მეფე-იმპერატორის პეტრე მესამის წინაშე. ამის შემდეგ დაიდგა გვირგვინი თავადვე და იმის უკეთესი, იმის შემდეგ, მისდა სამწუხაროდ, აღარაფერი ჩაუდენია.

დამნაშავენი დამნაშავეს ადანაშაულებდნენ, ბრალს სდებდნენ იმაში, რაშიც თვითონ იყვნენ გახვეულნი; რატომ გააკეთეო, კიცხავდნენ იმისათვის, რაც თავად ჰქონდათ გაკეთებული, — ცოტა აქეთ, ცოტა იქით და საქმე მაინც რთულად იყო, ვიდრე ჩანდა. ხროვა გაერთიანდა. სისხლის სუნი იკრეს და შეიკრნენ. ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევდა, ერთი ჯიშისანი რომ ყოფილიყვნენ. არ იყვნენ და სიცოცხლის შენარჩუნებაზე შეიძლებოდა მხოლოდ ფიქრი:

Тревога! Тревога! Тревога!

ქაღალდისფერმა მალენკოვმა საიდუმლო ღილაკს დააჭირა თითი. მისაღებში პირობითი სიგნალები აინთო, წყვეტილი ზარის ხმაც გაისმა.

— ... სწორი იყო ბერიას დაჭერა? — მკითხა მოულოდნელად ბუდუ ქვარიანმა უნივერსიტეტის ეზოში, მელიქიშვილის ბიუსტთან. — რას ამბობენ თქვენები?

ვინ ჩვენები, ვფიქრობ, უაზროდ ვიღიმები.

— სტუდენტები!

თანაკურსელები, ესე იგი, მივხდი. ბუდუს დამთავრებული აქვს, დაუმთავრებელთა აზრი აინტერესებს. ბერიას მაკომპრომეტირებელ დახურულ წერილებს კითხულობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენიც დაიწყეს გადავიდნენ დაწესებულებებში და უმუშევარი ბუდუ, როგორც საუბრის ბოლოს აღნიშნა, ოფსაიდში დატოვეს. ბუდუს ვიცნობ, ვიცი, ვინ არი, ბუდუმ იცის, რომ ვიცნობ და არ უნდა იცოდეს, — ვინა ვარ. მაშინ ეგრე იყო. ხვდება, უხერხულობაში ჩამაგდო.

— ერთის მხრივ, სწორი ჰქნეს, რომ დაიჭირეს!

ერთის მხრივ, კი... თანახმა ვარ.

— შენ ჩემიანი ხარ, შეიძლება ადამიანს იმდენი საყვარელი ჰყოლოდა? მაგი ხომ ტყუილია!

— გაზვიადებულია, ყოველ შემთხვევაში... — შევუთამამდი. საბრალდებულო წერილის შინაარსი იცის, აშკარაა...

— ქალი ჩერჩეტია, ეს უნდა იცოდე... შეხედე, როგორ დადიან ბატებივით!..

ბერიასთან რა კავშირი აქვთ, ეს კაცი მართლა მოგზავნილი ხომ არაა, გამრიცხავენ ძლივს ჩარიცხულს, თუ გარიცხვა დამაჯერეს!

ჟოზეფინა გათხოვდა თურმე. ნაჰყოლია ზუსტი ზომა-წონის ხელსაწყოების ლაბორატორიის გამგეს ვინმე იოველ ღვალაძეს, და არა საკუთარ ლექტორს, როგორც ზოგიერთი, მათ შორის დედაჩემი (იგი ბუდუს არ იცნობდა) ვარაუდობდა; შურა ფხალაძეს, ქრთამზე რომ წაიჭირეს. არდადეგებზე, როცა ის ამბავი შევიტყე, გაოფლილი ბატონი იოველი ჟანგიან სასწორებს დააჩხარფხოკიალებდა ქუთაისის მწვანე ბაზრის დახლებშუა ფეხის დაუზეთავი პროთეზის ჭრიალით.

სასამართლო მოკვლევა მაინც ქალებით დაიწყო. ბერიამ მთლიანად გაიზიარა კომუნისტური პარტიის წევრისათვის შეუფერებელი საქციელის — ქალებთან სექსუალური ურთიერთობის — ბრალდება, კატეგორიულად უარყო: სამშობლოს ღალატი, შპიონაჟი უცხოეთის დაზვერვის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის აღდგენის მცდელობა, — დახვრეტის მუხლები.

გენერალ კუტაისოვს (ქუთაისოვს) სუფრაზე აცნობეს: ხელმწიფე-იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება, შეთქმულნი შეიძლება ხვალ დილითვე დაესხან თავს მეფე პავლეს სასახლეშიო. დილამდე მთელი ღამეა, თქვა ბრძნულად კუტაისოვმა, რომელსაც ქართველობის, მით უმეტეს, ქუთაისლობის არაფერი ეცხო, მაგრამ გენის ბაწარმა სუფრას გამოაბა და ხვალემ იკითხოს ხვალისაო, ესეც არ გახსენებია. დილაუთენია აისხა იარაღი, მაგრამ ჩვენი პავლე აღარ იყო. რას იქმოდა: მკვდარს ველარ გააცოცხლებდა, თუმცა საქმეს აწი დაიწყებდა, აწი უფრო შეიძლებოდა თავის გამოჩენა მომავალი ხელმწიფის, მამის მკვლელის ალექსანდრე პირველის საამებლად.

პახმელიაზე გამოსვლამდე დაიჭირეს მკვლელები და გადაასახლეს მოგვიანებით ყველანი, მათ შორის ვინმე იაშვილი (იაშვილოვ), რომლის დაწერილი შეწყალების თხოვნის ქაღალდი სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩადენილი დანაშაულის სტანდარტული ახსნით ისტორიამ შემოინახა სხვა ანალოგიურ ქაღალდებთან ერთად... მეისტორიებმა კი ისტორიის ღირსად ძლივს ცნეს იაშვილოვი, მისი წარმოშობისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

პავლე პირველის დაღუპვის შემდეგ ჩამოყალიბდა, (პირობითი სახელწოდება), პავლოვიჩების დინასტია; თავად პავლე აღარ განმეორებულა და, პავლე მეორის მოსვლამდე აღარაფერი ეტკინოს ზოგიერთს. დინასტიამ, არც მეტი, არც ნაკლე-

ბი, ას თექვსმეტი წელი იარსება. რევოლუციებმა ჩაწყვიტეს ლიანი რომანოვებად გაფორმებული აკიდოსი, ჩაწყვიტეს ბოლო და არა უკანასკნელი ყლორტი საკუთარი ჯიშისა. დაიღუპა ავადმყოფი ბავშვი უფლისწული ალექსი. დამტვრეულმა იმპერიის სათავეში მოვიდა პოზიორი კერენსკი, შემდეგ — ლენინი..

*

ძალაუფლება ხელთ იგდო რუსის, შვედის, გერმანელის, ებრაელისა და ყალმუხის სისხლაჭრილმა ავადმყოფმა ულიანოვმა (ლენინმა). მოვიდა, მოჰყვა: სისხლი. ნგრევა. ანარქია. ტერორი. პეტროგრადიდან გადავიდა მოსკოვში, შეხაბაკდა კრემლში, მოიმარჯვა საცეცები დაგლეჯილის შესანარჩუნებლად, ყოფილი იმპერიის ნარჩენების შემოსამტკიცებლად, სარესტავრაციოდ; კომუნიზმის ბაცილის მსოფლიოში გასავრცელებლად. კაბინეტში დაიკიდა მხოლოდ მარქსის, მხოლოდ ტერორისტ ხალტურინის პორტრეტები. ვერ გაბედა, თორემ ექნებოდა მოსეს ან აბრაამის და არა აბრამის სურათი; ხატება აბრაამისა, რომელმაც ღმერთი ერთი და საყოველთაო უარყო; აღიარა ღმერთი თავისი — რჩეულთათვის. რჩეული ერის გაუცხადებელი უნარჩევესი მესიანიზმური ფარული იდეებითაც შეპყრობილი ულიანოვი, როგორც ჩანს, ორგანიზებულად, მაგრამ სუსტად იმართებოდა, მიჰყავდათ და მიზნამდე მისვლა არ ეწერა. არც მისულა. პირველი წრე კი გაიარა წარმატებითაც. იქამდე კი — პავლოვიჩების დინასტიის აღმავლობიდან დაცემამდე — კინაღამ საუკუნე იყო დარჩენილი.

*

1871 წელს, ენკენისთვის მიწურულს ხელმწიფე-იმპერატორი კავკასიის გუბერნიებში ჩაბრძანდა, ქუთაისს ეწვია; თან ახლდნენ ვაჟები: ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე და დიდი თავადი ვლადიმირი. ახალაგებულ ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაესწრო წირვას და თავად აბაშიძის საგანგებოდ გამოწყობილ სახლში წაბრძანდა მოსასვენებლად. დილით ეზოში შეკრებილ დეპუტაციას მიმართა სამადლო სიტყვით, გააცნო ტახტის მემკვიდრე, ეს იქნება თქვენი მომავალი ხელმწიფე, მე შეიძლება ამის შემდეგ (ათი წელი კიდევ ედო წინ) ველარც კი განახოთო. გულისამაჩუყებელ სიტყვებს უხერხული ტაში და მრავალჟამიერი მოჰყვა. ის დღეც მშვიდად, შეთანხმებულისა და პროტოკოლის მიხედვით მთავრდებოდა, გაუთვალისწინებელი თითქოს აღარაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნავახშმევს ხელმწიფეს კბილი ასტკივდა და ამან ერთგვარად გაანელა უზენაესი სიხარული.

მეორედ მოსვლა (ქუთაისში) დიდ ალექსანდრეს მართლაც აღარ ღირსებია და ის იყო ერთ-ერთი ნატვრათაგანი, რომელსაც არ შეუწუხებია. მოგონება კი იქაური პურისჭამისა, აღნაგ ქვეშევრდომთა გაუგებარი სადღეგრძელოები, დაგრეხილ სასმურთა სუფრის ერთი თავიდან მეორეში შხუილი აღუდგებოდა ხოლმე მეხსიერების წამიერ გამონათებაში.

ალექსანდრე მესამემ მამის სანაცვლოდ ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ მოინახულა გუბერნია და ქუთაისი. ახლა სხვაგან იდგნენ რანგისა და ცენზის (არა სიმაღლის) მიხედვით, სიტყვები იმავეს, ადრინდელს ჰგავდა, გარემოც ეცნაურა. მოხარული ვარ, რომ ხელმეორედ შეგხვდით, თქვა გარკვევით და კაი ხნით გაჩუმდა. ზემოდან დაჰყურებდა სარგადაყლაპულებივით გაშტიმულთ და ფიქრობდა: მართლა ისინი არიან თუ არაო. ამის შემდეგ ტაძარში წავიდა, განრიგითაც იქ უწევდა.

თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა; მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე პოლონეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ხერსონისა, მეფე საქართველოისა!

გალობა შეწყდა. ნაბიჯების ხმა და დეზების წკარუნი ჩაიხვიეს კამარებმა. შეჩვეულმა ხმიანობამ მოჰკვეთა მაინც ყური და გაახსენდა, რომ მღვდელმთავარი, თუკი ასეთი იყო ამ ტაძარში, კარიბჭეში არ შეგებებია. ცერემონიალის დარღვევა ამალეჯიბმა დააფიქსირა და მანაც საერთო მღელვარებასა და ფაციფუცს ბოლო ერა ეს ამბავი.

სარკმელებიდან საკმეველის ბურუსში შემოჭვირვებულმა მზის შუქმა სანთლისფერი კაცი გაანათა.

— შედექ, ხელმწიფეო! — გაბრიელ ეპისკოპოსის ხმა იყო.

შედგა. შეჩერდნენ. ბრძანებას არ ჰგავდა. თხოვნაზე და ბრძანებაზეც მეტი იყო.

— საქართველო ერთი უპატიოსნესი და გამორჩეული თვალია შენს გვირგვინში, მეფეო, აქ სხვა ხალხია, იგი თქვენს სხვანაირ, მოწყალე ყურადღებას იმსახურებს.

წარბშეკრულმა მოისმინა ქადაგება, მისასალმებელ სიტყვას რომ მოჰყვა, გუნებანაქცევი დაბრუნდა საგანგებოდ მოწყობილ სადგომში, ღამის წვეულებაზეც არ გახსნია შუბლი. ქადაგებამ ადამიანის არარაობა აგრძნობინა და არ დაუნახავს ხელისუფლებისადმი პროტესტი, როგორც ადგილობრივ საზოგადოებას მოეჩვენა.

კმაყოფილი მივდივარ ამ ქალაქიდანო, განაცხადა სასწავლებლებისა და ქსენონების შემოვლის შემდეგ მეორე დღეს; ღამე გაათია სამეფო ვაგონში, სადგურ რიონში. მატარებელი გამთენიის ხანს აიძრა და ფოთამდე აღარ გაჩერებულა; ბაყაყების მრავალჟამიერით ჩაჯდა გემში და ყირიმისკენ მოუსვა. მატარებლით განაგრძეს კვლავ გზა და გადავარდნენ მიწაყრილიდან. ამ სარკინიგზო კატასტროფამ მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, მეფე არ დაშავებულა: გადარჩა და ბევრიც გადაარჩინა არცთუ შორს ლივადიისაგან, სადაც მოულოდნელად აღესრულა რამდენიმე წლის შემდეგ. კატასტროფა მოხდა 1888 წელს, შემოდგომაზე, ქუთაისიდან გამგზავრების კვირის თავზე. გლახად დაჰყვებოდათ ჩამარყუჟებული რვიანები რუსეთის არარუს რუსთხელმწიფეებს, თუმცა იდგა ქრისტესშობიდან ათასრვაასი და რვიანი ქრონოლოგიით ერგოთ და არა ღვთით; 1718-დან 1918-მდე კი — ალექსიდან ალექსიმდე, დასასრულის დასაწყისიდან დასასრულამდე — ზუსტად ორი საუკუნე იდო.

ქუთაისს ახსოვდა. მეფე აღარ იყო იქ და იცოდა, რომ იყო. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ლაცკანებიან კოსტიუმებში, გრძელ ჩოხებში გამოწყობილნი; იხსენებდნენ, ეცინებოდათ. ყურძენი შემოჰქონდათ ჩოჩიალა ურმებით. მოწნულ ძარებს ტკბილით მოსველებოდათ ძრო, ფუტკარი მიტანებოდა ბადაგს. მაჭრის სურნელი იდგა შემოდგომის მზით გათანგულ ქალაქში. კიბულა, კიბულა! ყვიროდა სველდოქიანი მეწყლე ბაღში. კურტნიანი, ჩაყუნცული მუშა თვლემდა ბაზართან. პირველი სალოცავის გადაღმა პატარა ექვსკუთხა ეზოში ხახამი მისდევდა ყელგამოჭრილ ყვინჩილას. ჯაჭვის ხიდის რკალქვეშ ჯორკიდებულს ამოწმებდა მებაჟე. წითელკრამიტება სახლებშუა გუმბათამოსულ მთავარანგელოზების საყდრის ზარები რეკდნენ წირვისას. ყველა ეკლესიის სამრეკლოს ზარები ჟღრიალებდნენ ლილისფერი ცის ქვეშ.

არქიელის გორაზე იმერეთის ეპისკოპოსის რეზიდენციასთან მთხოვნელები იდგნენ. ბესარიონ გორფხელიძე ნერვიულად გადი-გამოდიოდა გალავანთან, დანგრეული საკრებულო ტაძრის სამრეკლოს ჩრდილში. გაბრიელ ეპისკოპოსი წმინდა გიორგის ეკლესიაში ქადაგებდა და წუთი წუთზე ელოდნენ.

— რაზე დამიბარა, თუ იცი? — მერამდენედ ეკითხებოდა საიქიოში ნამყოფი ბესარიონ გორფხელიძე წითურ დიაკონს.

— გეტყვის თვითონ. მე რა ვიცი, რაზე დაგიბარა, როდის იყო, მეუფე ანგარიშს მაბარებდა, ან მე ან სხვას... რაზე დაგიბარა... საიქიოს ამბებს გამოგკითხავს ალბათ და მოუყევი წვრილად.

— მერე მე ჟონეთიდან ჩამოვედი, საიქიოდან კი არ წამოვსულვარ... — ჩაიბურტყუნა ბესარიონ გორფხელიძემ თარსი დიაკონის ირონიას კარგად მიხვედრილმა. — შენ რას გეტყვი იცი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარაფრის თქმა არ უნდოდა. ჭიშკრისაკენ გარბოდა ანაფორის ფრიალით. კიბემდე გადაუჭრა გზა ჯორზე ამხედრებულ ეპისკოპოსს, ავშარა ჩამოართვა, უზანგი დაუჭირა. მსუბუქად ჩამოხდა გრძელწვერიანი, კაფანდარა კაცი, მრევლს გადაავლო თვალი, ბესარიონ გორფხელიძე იცნო გუმანით. წინადღით კი ვერაფრით მახსოვრობაში ვერ აღიდგინა, თუმცა თვალსაჩინოდ აღუწერეს თვალტანადობა მისი. იცნო და მოსაკითხით გატენილი ხურჯინის ცალ თვალს მიამსგავსა.

კარგა ხანი მოუწია მაინც ლოდინი ბესარიონ გორფხელიძეს; რომ აღარ ელოდა, მაშინ დაუძახეს და ხელახლა აფორიაქდა. გაბრიელი მარტო იყო ხატებში. სამკარედიანი ფანჯრიდან გალავანი, ლეღვის ხე და ნახევარი ქალაქი ჩანდა რიონგაღმა.

... დაჯექი და დალაგებით მოჰყევი, როგორ მოხვდი საიქიოში: ვინ ნახე, როგორ იყო, ვით იყო?..

საკარცხულში მიესვენა, თვალები მილულა.

— ნიგვზის ხიდან გადმოვვარდი, მეუფეო, ნიგოზს ვხალავდი და ხალი დამიმძიმდა, შავქუში დამაწვა, დამნთქა, დამიტანა. ჩამოვვარდნილვარ, გამცხებია სული, რავარც მერე მივხვდი. უცხო მხარეში ვარ. მწვანედ, ცისფრად ღაღანებს ყველაფერი.ხმა არ ისმის არანაირი, მარა ნეტარების სიჩუმეა აუწერელი... წმინდა წყლები დიან სიმწვანეში. ჩვენებური გლეხი მოდის ფურცვანიძე. სადა ვარ-თქვა, უნდა ვკითხო და გამახსენდა, მკვდარია. საზიარო წისქვილის რუს გადაგდების თაობაზე გოუროფეს თავი წინა წელს, მარიამობის თვეს. დამესხა ტარაბუა ამის გაფიქრებაზე. რავა არიან ჩემებიო, მეკითხება. ხმა კი არ ისმის იმისი, მარა მეყურება ყოველიფერი. კარგად დავტოვეთყენ, ვეუბნები. ბესარიონო, მამაჩემი ვერ ყოფილა კარქათ და უთხარი, არ წამოვიდეს ჯერ, ბოვშვებს მიმიხედოსო. მოვეგე გონს ამის მერე. კვტარი ვყოფილვარ თურმე ორი დღე. მალე მოვიკეთე, ღვთის მადლით, იმის სახელის ჭირიმე, მევედი ფერ-ხორცზე და სხვანაირად დავუწყე ყურება სამყაროს...

— რას? — ცალი თვალი გაახილა გაბრიელმა.

— სამყაროს... — ხმას დაუწია გორფხელიძემ. გაბრიელმა ცალი თვალით უყურა და თავი დაუქნია, ცოტა ხნის შემდეგ, განაგრძეო.

— მითხრეს რომე ფურცვანიძე, წისქვილის წყლის დავაში რომ მოკლეს, იმისი მამა, კვდებაო. წამიყვანეთ, მე ვუთხარი და გაჩვენებთ კვდება თუ არა-თქვა. წამიყვანეს. გოვუშვი ყველა გარეთ და ვეუბნები ახლა ამ ფურცვანიძეს, მომაკვდავს: წამოდექი, არაა შენი წასვლის დრო მოსული-თქვა, წამოვაყენე ძალისძალათი, გეიარე-თქვა. გეიარა და ქეა ახლაც ცოცხალი. მკვდარი გამოაბრუნა, აღადგინაო, დემესია ხალხი მასკვან...

— მამაღმერთი გინახავს თითქოს...

— ვნახე.

— ნახე? — საკარცხულში გასწორდა ორივე თვალგახელილი.

— შენ გგავდა, უწმინდესო, თვალები ჰქონდა წითელი, ოღონდაც შენსავით დაჰფენოდა ქათქათა წვერი მკერდსა...

ცალი თვალი უფრო დიდად დამრგვალებოდა, სახის ნერვი უფეთქავდა ყვრიმალის ნერვებგასაყართან. ბესარიონ გორფხელიძე აღარ ჩერდებოდა:

... ჩოუვარდი ფეხებში, დოვუჩოქე. ვსტავაი ბესარიონ კალისტრატოვიჩ, ატკუდა იავილსიაო...

— ქართული არ იცოდა, შე გათახსირებულო?! — უმტყუნა ნერვებმა ბერიკაცს და უხეთქა არგანი თავსა ზედა, გაუპო იგი და დასცა.

ყვირილზე შემოცვივდნენ. იქით უწმინდესი გააკავეს, აქეთ ბესარიონ ... ლი წამოაყენეს, გაუკრეს თავი და გააქანეს თოფურიას კლინიკაში წყალგადმ...

*

მეფე ლივადიაში კვდებოდა. სარეცელთან მომავალი მეფე იდგა, — პატარა, თხელი და სუსტი; ჯარისკაცური, ფიზიკური წვრთნა არ აკლდა და მაინც სუსტი და უფერული ჩანდა მუნდირში.

მიეცი მეფობა, მამა, მიხეილს!

მეფობა ეძლევათ ღვთისკურთხევით; შენა ხარ კანონიერი მემკვიდრე, კანონი უზენაესია მეფეთა. ვერ დავარღვევთ...

სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა მამა.

მიეცი მიხეილს, მე არ შემიძლია!

უნდა შეძლო. გადაეცი მიხეილს შენ, თუკი ამის აუცილებლობა დადგება; ნაადრევი წყალობა არ გაიღო, არც დააგვიანო, ერთიც და მეორეც საბედისწერო იქნება. შენ იქნები მეფე. დამილოცნიხარ,

С богом!

ამის შემდეგ შემოიყვანეს ინგლისის დედოფლის, ვიქტორიას შვილიშვილი პრინცესა ალისა ჰესენს-დარმშტადტელი, რუსეთის მომავალი დედოფალი, შემდგომში — ალექსანდრა ფეოდოროვნა.

თეთრ-ოქროსფერ საფარებელქვეშ გაჭიმული გრძელი კაცი უხმოდ, დაჟინებით, მაგრამ არაფრისმთქმელი თვალებით მიაჩერდა ქალს, რაღაცის თქმას აპირებდა, თითქოს შეეძლო და არ თქვა. უცერემონიოდ შეაბრუნა თავი და ვიზიტიც დამთავრებული აღმოჩნდა.

აგონიაში მყოფს წამოადგა კვლავ თავს და ყბების აკვრამდე აღარ მოსცილებია. სამგლოვიარო პროცესიას წამოჰყვა ყირიმიდან, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში რუსხელმწიფეთა ძვალთშესალაგში შეჰყვა, ნოემბრის თოვლ-ჭყაპში ფეხით გაიარა გზა სადგურიდან ციხესიმაგრემდე. ბრბო ჭამდა თვალებით ქალს, სითბო და ვარდის სურნელი რომ მოჰყვებოდა სიცივეში. უბედური იქნებაო, ამბობდნენ პირჯვრისწერისას ჭუჭყიან ტროტუარებზე მისრესილი დედაკაცები.

უბედური იქნებოდა, არამარტო ის, რუსეთის იმპერიის ავის მფერხავი; რღვევის, სისხლის მაცნე, კაციჭამიების ლუკმა გახდებოდა ბოლოს.

ორმოცის გასვლამდე დაქორწინდნენ. თოთხმეტ მაისს დაინიშნა მეფედ კურთხევა. ხოდინის მინდორზე ახალი მეფის მოწყალების მომლოდინე ბრბო ატორტმანდა, აიდღვლიმფა, ჭყლეტა-სრესა შეიქნა, ორი ათასზე მეტი ადამიანი გაიჯგლითა. ძვირად დაუჯდა სატახტო ქალაქს დედოფლის ჭირისუფლად მოვლინება; 14 მაისი, 9 იანვარი, ცუსიმა და ავის მომასწავებელი სხვა ნიშანი ფეხდაფეხ დაყვებოდა იმ ქალს.

1904 წლის 12 აგვისტოს რუსეთ-იაპონიის სამარცხვინო (რუსეთისათვის სამარცხვინო) ომის დროს დაიბადა ტახტის მემკვიდრე ცესარევიჩი — ალექსი. ოთხი ქალიშვილის პატრონს, ხელმწიფეს, ვაჟი შეეძინა; რუსეთს ნანატრი ძე ეშვა.

Боже, Царья храни!

სიხარული ნაადრევი გამოდგა: მემკვიდრე საშინელი სენით — ჰემოფილიით — აღმოჩნდა დაავადებული. ალექსანდრა ფეოდოროვნამ კარგად უწყოდა, რას ნიშნავდა ეს სამეფო დაავადება, რომლის ბაცილის მატარებელი (მამაკაცებზე ქალე-

ბიდან გადადის) თავად გახლდა; ძმა, ბიძა და ბიძაშვილები ამ სენით ჰყავდა დაღუპული. საშო მისი აღმოჩნდა დაავადებული, ნაყოფი უბედური.

Боже, Царя храни!

გრიგორ (გრიშკა) რასპუტინმა თითქოს დაიქადნა: დედა (დედოფალი) მომნყინდა, ქალიშვილებზე გადავედიო. უმრწემესის, ანასტასიას ჩათვლით, ყველანი მომნიფებულნი იყვნენ იმ დროს, მაგრამ ალბათ უფროსზე — ოლგაზე ჰქონდა ორიენტირი დაყენებული. ასაკის ან სიმაღლის მიხედვით თუ იწყებდა, კარგა ხანი მოუნდებოდა ბოლოში გასვლას, რადგან სიფრთხილესაც, რომლის უნარსაც არ იყო მოკლებული, თავი არ სტკიოდა. ფაქტი დედასა და ქალიშვილებთან თანაინტიმცხოვრებაზე მაინც მოგონილს ჰგავს. რასპუტინი სასახლეში მოიყვანა არა იმან, რითაც თავი მოჰქონდა და რაზედაც გარკვეული თვალსაზრისია დღესაც შემუშავებული, არამედ ღვთისკაცობამ. ამ „პოსტზე" მან ნახევრად აფერისტი, ნახევრად ტელეპატი ფრანგი „ღვთისკაცი" ფილიპი შეცვალა, ადგილი სასახლეში კი (დაავადებულ უფლისწულს სისხლის დენასაც უჩერებდა) ჰიპნოზის უნარმა შეუნარჩუნა; სასახლემ განადიდა და გაუჩინა უამრავი მტერი დიდკაცობაში. პეტერბურგის საზოგადოებას ნათელმკურნალად მოევლინა, თუმცა ქალების მკურნალობის მისეული, არამარტო ორიგინალური, არამედ არნახული მეთოდი სწორედ იმას ითვალისწინებდა, რასაც ხალხი, მასა, აბრალებდა ან რასაც, საჭიროების შემთხვევაში, თავად იბრალებდა. საკუთარი ასოთი ისტერიის ნამდვილი და ცრუსიმპტომებით შეპყრობილი ქალების სხეულიდან, უფრო სწორია, საშოდან გამოჰყავდა სატანა. ამ მეთოდს ბევრი სკეპტიკურადაც უყურებდა, მაგრამ თავად ნამკურნალები და სამკურნალონი გრძნობდნენ, რა ძალა იმალებოდა ამ თერაპიაში.

უამრავი ხალხი — ღრმადმორწმუნე დედაკაცები, დიდგვაროვანთა ცოლები, თაღლითები, საერთაშორისო მასშტაბის ავანტიურისტები, სექსოპათოლოგები, ფსიქოპათოლოგები, ჰომოსექსუალისტები, ისტორიული თუ ისტერიული პირები — იყრიდნენ თავს მის ბინაში სანკტ-პეტერბურგში; მის ორბიტაზე ტრიალებდნენ, კავკასიელებად სახელდებული, ქართველები, — დიდგვაროვანნი და აღზევებულნი მდაბიონი: ორბელიანი, დადეშქელიანი, დადიანი, თარხნიშვილი, გელოვანი, ანდრონიკაშვილი, ნიუარაძე, დუმბაძე თუ ფხაკაძე.

რასპუტინი ხსნიდა თუ ნიშნავდა მინისტრებს, სახელმწიფო მოხელეებს, წარმართავდა, ასე ეგონათ, რუსულ პოლიტიკას, — მართლმადიდებლურ იდეოლოგიას, მფარველობდა ებრაელებს და იმართებოდა სიონიზმით, აღმერთებდა რუსულ მონარქიას და ანგრევდა ბრმად იმას, რასაც ამყარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VII

მამა გრიგორი

1915 წელს მოსკოვგარე რესტორან „იართან" მომღერალ ქალებთან ქეიფის დროს გაიხსნა ხვანჯარი და ამოიღო სარცხვინელი. თანამეინახენი არ გაწითლებულან, მაგრამ აღშფოთდნენ სხვა მანდილოსნები, როცა მათი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდა, მუსიკოსებმა კი კატეგორიულად განაცხადეს: ჩვენ აღარ დავუკრავთო.

... რა, რა იყო, ამაზე დიდი არ გინახავთ?! — ყვიროდა რასპუტინი.

უფრო დიდი საშინელების წარმოდგენაც შეიძლებოდა, თუმც საზოგადოებაზე ფაქტმა მოახდინა უარყოფითი შთაბეჭდილება და არა სიდიდემ. მეორე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა დჟუ-ნკოვსკიმ ვრცელი რაპორტი წარუდგინა მეფე-იმპერატორს მომხდარის შესახებ.

ეტო უჟ სლიშკომ, სლიშკომ... იმეორებდა ნიკოლოზ მეორე აუღელვებლად. Слишком!

რაპორტმა გაჭრა. გახარებულ დჟუ-ნკოვსკის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება დახვდა საკუთარ კაბინეტში მეორე დღეს.

— აი, რას გადამაყოლეს! — ხელი იდაყვში მოღუნა და წყრთა აჩვენა თანამშრომლებს.

ორმოციან წლებში, ალბათ ადრეც და შეიძლება შემდეგაც, აჩვენებდნენ რუსულ, რევოლუციამდელ ასიგნაციას, რაზეც მეფე-იმპერატორის პორტრეტთან ერთად თითქოს რასპუტინის ფალოსიც იყო გამოსახული. მარტივი მანიპულაციის — გადაკეცვა-გადმოკეცვის — შემდეგ მართლაც შეიძლებოდა აღმოგეჩინა ფალოსი, რომელიც პირველაღმომჩენის ფანტაზიას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფალოსს. რასპუტინის ღირსება, ზეპირსიტყვიერების მიხედვით, მისივე ასოს სიდიდის (სხვადასხვა პირთა მიერ მითითებული ზომები ერთმანეთს არ ემთხვეოდა) პირდაპირ პროპორციული იყო. ეს განზომილება კი რუსეთის იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური წყობის დინამიკას განაპირობებდა.

ფსიქოპათები ეროტიკული შეტევების შედეგად ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო საზოგადოების ზედა ფენების ეთიკურ-მორალურ ნორმებზე, არამედ პოლიტიკურ კატაკლიზმებზეც. ეს პირები ფსიქოგადახრების პერიოდებში ბოდვითი წარმოსახვების საშუალებებითაც კოლოსალურ ენერგიას ავითარებენ და ხშირად წარმოდგენა არა აქვთ საბაზისო ფენომენზე. ბავშვობაში დამაბრუნებელი სიზმრებით ფარავენ მეხსიერების ფიჭაში გადანახულ სირცხვილს; უფროსების როდისდროინდელ დაცინვას; დათრგუნულნი, გულის ბაგაბუგით იღვიძებენ, ერკვევიან, მშვიდდებიან და უფრო და უფრო შიშვლდებიან ავხორცობის რეალობაში ჩაშაქრულნი, შემაკავებელი ფაქტორებისაგან განთავისუფლებულნი.

მაღალი წრის ქალთა საზოგადოების სექს-წმინდანი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ანდრონიკოვის რეკომენდაციით არონ სიმანოვიჩის შთაგონებით მიაღწია იმას, რომ შუა ომის დროს მთავარსარდლობიდან გადააყენებინა დიდი მთავარი, გარებიძა მეფისა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და საკუთარ თავსაც გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი; თხარა, თხარა და ბოლო-ბოლო გამოთხარა კატა, თანაც რამდენიმე, თუმც მისი განადგურების იდეა იქამდისაც მომწიფებული იყო. რასპუტინის დღეები უნდა დათვლილიყო, თორემ დიდი

ეროვნული

რუსეთის დღეები გახდებოდა დასათვლელი. ასე ეგონათ. კართაგენი ინგრეოდა, კი არ ინგრეოდა და ერთი მუგუზლის გამოზვრა სიტუაციას ვით შეცვლიდა.

სხვანაირად სჯიდნენ.

რუსეთი მხოლოდ ამ კაცით ეგონათ, არც მთლად უსაფუძვლოდ, ბოგირებებს დაავადებული. მოსაგლეჯი უნდა მოეგლიჯათ, მაგრამ მოსაბდღვნელად რომ ჰქონდათ საქმე, ვერ ხვდებოდნენ. რასპუტინი აბრეშუმის აბლაბუდაში ეხვეოდა, თუმცა ნეტარებას ვერ გრძნობდა.

მისი მოწინააღმდეგენი:

სასახლის კარი. სინოდი. დუმა. დედოფლის და, თვით დიდი დედოფალი, ნიკოლოზ მეორის დედა, დანიელთა ასული დაგმარა, სხვები.

ეუბნებოდნენ. თხოვდნენ, არწმუნებდნენ მეფეს.

მეფე-დედოფალს, განსაკუთრებით დედოფალს, არ აშინებდა რასპუტინის მაკომპრომეტირებელი საბუთი, რაც არ უნდა მსხვილი და ხელშესახები უნდა ყოფილიყო იგი.

სხვა გზა აღარ ჩანდა, უნდა ემოქმედათ.

შეითქვნენ: დიდი მთავარი დიმიტრი, მეფის გარესიძე თავადი იუსუპოვი, სახელმწიფო დუმის წევრი თავადი პერიშკევიჩი, შტაბსკაპიტანი სუხოტინი, ცნობილი ადვოკატი, კადეტი მაკლაკოვი.მხარს უჭერდნენ შინაურები, გარეულები, დიდი და პატარა, მათ შორის იალტის „გრადონაჩალნიკი", შავრაზმელად ცნობილი გენერალი დუმბაძე. გენერალმა ნ. ა. მაკლაკოვს, არა იმ მაკლაკოვს, რომელმაც შეთქმულებაში მიიღო უშუალო მონაწილეობა, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს გაუგზავნა შიფროტელეგრამა და რასპუტინის გასაღების გეგმაწერილი. დუმბაძეს რამდენიმე, მათ შორის, ერთი მთავარი და რეალურთან მიახლოებული, ვერსია ჰქონდა დამუშავებული, რაც რასპუტინის იალტის დიდი კლდიდან გადმოგდებას ითვალისწინებდა.საპატიო სტუმარს გადაიპატიჟებდნენ „რკინის ციხე-სიმაგრეში" და რაღაც მომენტში ღია ტერასიდან გადაუძახებდნენ ქვევით. ხელის კვრას, ალბათ ძალიც შესწევდა ქადილისა, კისრულობდა თავად გენერალი დუმბაძე. აღარაფერი ეცხო ქართველისა, მაგრამ სისხლის ყივილი თავისას შვრებოდა. შეიძლება, არაა გამორიცხული, იცოდა კიდეც, როგორ გადაადგა მოღალატე ყორღანაშვილი საჩინო ბარათაშვილმა გელიყარის კლდიდან ორსაუკუნე-ნახევრის წინათ.

მინისტრმა მაკლაკოვმა პასუხი არ აღირსა და ქარაფიდან გადმოფრენის ვარიანტი ჩაიშალა; ამ უარით ვერც თავს უშველა, ვერც სხვას და მაინც რასპუტინის სიძულვილს, მონარქიის შენარჩუნების მცდელობას შეეწირა: ბოლშევიკებმა მიახვრიტეს მომდევნო ათასცხრაას თვრამეტში ორ შაურად. ძმა ვასილიმ კი — დროებითი მთავრობის ელჩმა საფრანგეთში, მაქსიმ გორკის „კლიმ სამგინის" ერთ-ერთი გმირის პროტოტიპმა საზღვარგარეთ გაასწრო, გადარჩა და ომის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკებთან შემორიგებაც მოახერხა და თქვენი მონა-მორჩილი რომ უნივერსიტეტში სწავლობდა, ის თურმე რეფერატებს უწერდა პარტიულ მუშაკებს აგრარულ საკითხებზე პარტიის ცეკაში. შეთქმულებაში რა მონაწილეობა მიიღო ქვემოთ მოგახსენებთ, დუმბაძის მოღვაწეობაზე კი აღარ შევჩერდებით. კლდიდან კაცის გადმოგდების ტრადიციულ ვერსიას აღორძინება არ ეწერა და ისტორიამ, სხვა ცოდვებიც თავზე გადაგვდიოდა, უშუალო მონაწილეობა აღარ მიგვაღებინა საუკუნის პოლიტიკურ ტერორში, რომელიც სივერაგის, სიმხდალის, სისასტიკისა და უგუნურების ყველა პარამეტრის მიხედვით განხორციელდა.

მთავარმა შეთქმულმა, მეფის დისწულის ქმარმა ფელიქს იუსუპოვმა დიდი მოგების იმედით, ფსონში ჩადო სახლი „მოიკაზე", არისტოკრატის რეპუტაცია და, რაც მთავა-

რია, ცოლის, ოცდასამი წლის მშვენიერი ირინას პრესტიჟი. ქმარმა გამოიყენა სატყუარად, რომელზედაც უნდა წამოგებულიყო ქვირითით გატიკნილი ღლავი. დეკემბრის ერთ ყინვიან საღამოს ცოლის თუ საკუთარი თავის სამკურნალოდ შემოიტყუა ბინაში და დასვა მარანში, სადაც მოწამლული სუფრა იყო გაწყობილი. „მალენკის" თუ „მილენკის" გავამოქნეული იუსუპოვის მომლოდინე რასპუტინმა მთქნარება დაიწყო, სავარძელში ღრმად ჩაეფლო და ჭამა-სმაზე უარი განაცხადა, რამაც სიტუაცია გაართულა. იჯდა, ამთქნარებდა, უიმედოდ უშვილო დიასახლისს ელოდა. ზემოდან გრამოფონისა და მამაკაცების ხმა ჩამოდიოდა. შეთქმულნი სვამდნენ, ჭამდნენ, ყაყანებდნენ ყასიდად და ნერვიულად ეწეოდნენ. ქალი კი, დიასახლისზე აღარაა ლაპარაკი, საერთოდ არ ჭაჭანებდა იმ ბარობაზე. მამასახლისს მოსამსახურეებიც დათხოვნილნი ჰყავდა. სტუმრები მალე წავლენ, ქალბატონიც გეახლებათო, ამშვიდებდა რასპუტინს, რომელსაც ეს სიტუაცია არ მოსწონდა; ავს გრძნობდა და ვერ აცნობიერებდა, საფრთხეს ვერ აკონკრეტებდა. მაინც რა ჯანდაბად მოისურვილა მეფის იმ სულელმა დისწულმა მისი გაცნობა, თუ სამკურნალო იყო, ლოთებთან რაღას ქეიფობდა. აღარავის მკურნალობა აღარ სურდა, ამ უცნაური სუფრის დანახვაც ურევდა რაღაცნაირად გულს. ნუ წახვალო, გააფრთხილეს, არ დაიჯერა და გამოიპარა, ფხაკაძეს გადავურჩი, მეუკანალე იუსუპოვი და სიფილიტიკი პურიშკევიჩი რას დამაკლებენო. არადა, სწორედ პურიშკევიჩის მკურნალმა ვენეროლოგმა სალვარსანმა გასცა ისინი. რასპუტინის პირადი მდივანი შინაგან საქმეთა მინისტრს აღვიძებდა სამთავრობო ტელეფონის გაბმული ზარით.

მოკლავენ!

რა იცი შენ?! ამთქნარებდა პროტოტოპოვი.

ექიმმა ლიზოვერტმა (ჰიპოკრატეს ფიცი არ გახსენებია) მაკლაკოვის გამოგზავნილი საწამლავით გააწყო პურ-მარილი, სასმელი შხამით შეაზავა და „მკურნალის" საყვარელ ტკბილეულს ისე სქლად შეაზილა ციანიდკალიუმი, რომ ერთი ნამცხვარი აფრიკულ სპილოს წააქცევდა ერთ ჭამაზე. ორიოდე საათი გავიდა ამ ყოფაში. რასპუტინს ლოდინიც მოწყინდა, მთქნარებაც და მასპინძლის გიტარის სიმთა ჟღერაც: ბოლოს და ბოლოს გასინჯა ნამცხვარი. მოეწონა და რამდენიმეს გადაუძახა პირში ერთმანეთის მიყოლებით.

— ჭამე შენც, რას მიყურებ, პირველად მხედავ, დალიე, თუ არ ჭამ!

რამდენიმე, ფეხიან და უფეხო ჭიქას წაატანა ხელი, ერთი მასპინძელსაც მიუჩოჩა, გინდა თუ არა შესვიო, იუსუპოვმა ალავერდი მიიღო, დალია და მიხვდა, რომ ბოკლები აირია, ციკმა ოფლმა დაასხა. სტუმარ-მასპინძლის ყოფნა-არყოფნის შანსები გათანაბრდა. იუსუპოვის ჯანმრთელობის აქციებმა დაიწია, თუმც არც ერთს ეტყობოდა, ჯერჯერობით, რაიმე და არც მეორეს. მოულოდნელად რასპუტინმა შესვა და დაცალა ყველაფერი, რაც ხელთ მოჰყვა — შხამიანი და უშხამო. ამის შემდეგ თვლემა მოერია. ტუჩებზე დუჟი დააჩნდა. დროდადრო ახელდა თვალს და იისფერ სივრცეში გიტარის აკორდებს ხედავდა; მასპინძელი ქრებოდა, ჩნდებოდა... თუთუნის ბოლს ჩამოყვებოდა დახვეული კიბით, ნათხოვარ იარაღს თუ მალავდა ზურგს უკან, ვერ ხვდებოდა. მარმარილოთი გაწყობილმა მარანმა ჩაიხვია ტყვიის ექო და ვერ დაფარა ღმუილი კაცისა, თეთრი დათვის თეთრად გახუნებულ ტყავზე რომ დავარდა. ჩამოცვივდნენ. ერთი წამოედო ელექტრონის გამომრთველს და დარბაზი ჩაბნელდა. ცანცარა პერიშკევიჩმა გვამს დაადგა ფეხი და წაიქცა. კედელს ეძებდა და რასპუტინს აწვებოდა, შუქიც მოსულიყო. გამოერკვნენ და ვერ დაწყნარდნენ. განმეორებით სროლაზე იუსუპოვმა, გულის წასვლას რომ აღარაფერი უკლდა, უარი თქვა: ზედმეტი სისხლი და ხმაური ზედმეტს დაზაფრავდა, ზედმეტ სამხილს დატოვებდა; გვამი ასწიეს და სხვადასხვა მხარეს დაუწყეს ქაჩვა.

ბუხართან, ბუხართან, ბუხართან!

მიაგნეს. დადეს. დაიფერთხეს ხელები. ჩააქრეს შუქი და გავიდნენ. დიდი თავადი, კაპიტანი სუხოტინი და ექიმი ლიზოვერტი ავტომობილით წინასწარ შემუშავებული საალიბო პროცედურების დასამთავრებლად წავიდნენ. გალავანგადალმა რამდენიმე მეეზოვეს გაეგონა სროლის ხმა, ავტომობილის უჩვეულო ღმუილსაც მიაქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ სინამდვილეს იმ ეტაპზე ვერ დაყნოსავდნენ; პეტერბურგს კი ზამთრის ძილით ეძინა. პეტერბურგელები დილით გაიგებდნენ გასაშტერებელ ამბავს, დეკემბრის გრძელ და ცივ ღამეებს შეიმოკლებდნენ იმის შემდეგ ჭორ-მართლით, საბედისწერო ნიშნების ერთმანეთთან შეჯერებით.

ხელებს იორთქლავდნენ ტერორისტები ალაყაფთან უკან მოსაბრუნებელი, გამორგებული ავტომობილის მოლოდინში. იმ მომენტშიო, იუსუპოვი იხსენებს, შემიპყრო გვამის ხელახლა ნახვის აუწერელმა სურვილმაო.

იგი თბილი ეჩვენა. ამან კი ძალიან შეაფიქრიანა. რომელიღაც ნერვიც ფეთქავდა შიგ შიგანში; სხვისი იყო თუ თავისი? დაიხარა და იქ მოხდა მოსახდენი. რასპუტინი მოულოდნელად ამოიგრიხა, იუსუპოვს ეცა და დაუწყო ჭინჭებიანად ფხრეწა. რამდენ ხანს გაგრძელდა მკვდრისა და ცოცხლის ომი ვერ დაიმახსოვრა, მაგრამ სიკვდილის როკვა ჩაუბუდდა სხეულში კოშმარად კარგა ხნით.

როგორც კი მიცვალებულს დავებდღვენი, გავშეშდი, დამაინტერესა, რას ჩაიდენდა ამის შემდეგ. რასპუტინმა კი გამოაღო ის კარი, რომელიც, ყველა ვარაუდით, გარედან უნდა ყოფილიყო გადაკეტილი.

თოვლით განათებულ ეზოში გარბოდა და მისდევდნენ. სახელმწიფო დუმის წევრი, სანიტარული მატარებლის უფროსი ბელორუსი პურიშკევიჩი მოჩვენებას ესროდა და თავს იმხნევებდა:

Гад! Гад! Гад!

მიხვეტილ თოვლზე ეგდო გვერდულად ბერკაცი. იუსუპოვი ურტყამდა ტყვიის ჯოხს, რომელიც მაკლაკოვმა უსახსოვრა საწამლავთან ერთად. ერთი ხომ გამოადგა, მეორე აამოქმედა.

ვენერიული სნეულებით ხელდარეული პურიშკევიჩი, რომელმაც დაკეტილი ჭიშკარი დაკეტა ხელმეორედ, ეძახოდა: არ ვარგა მაგის მოკვლაო. ვარგოდა, არ ვარგოდა, სწორედ იმისი ერთი (ოთხიდან ერთი) ტყვიით იყო ბერკაცი მკვდარი. ნევის ყინულბზარში ჩაგდებულიც სუნთქავდა თურმეო. მკვდრისა და ცოცხლის შეხების სუნთქვა იქნებოდა. ყინულმა დაიორთქლა და არა მიცვალებულმა.

დილით დარეკეს ყველა ტელეფონიდან, რომელიც რეკავდა. ვიცით, რომ მოკალით და მკვდარი სადა გყავთ, ის მაინც გაგვიმხილეთო, იხვეწებოდა ქალი ნაცნობი ხმით და ინტონაციით. მკვდარი კი დილით იქვე ნახეს, სადაც ჩააგდეს, — მეორე ამონაბზარში თავამოყოფილი. წყალმა არ მიიღო ბერკაცი — რასპუტინი გრიგორი (გრიშკა) დაბადებიდან ორმოცდაცამეტი წლისა. საბედისწერო 1917-ის ჩამოდგომამდე კი დარჩენილი იყო თოთხმეტი დღე.

დროებითი აღმასრულებელი ხელისუფლების დადგენილებით მეფის ოჯახი ახლო ციმბირში გაასახლეს, გაამგზავრეს დაცვით, მხლებლებით, ორი მომცრო ეშელონით. იაპონური მისიის დროშა ფრიალებდა ორთქლმავალზე და ეშელონი დაუბრკოლებლივ (სადგურებში არ აჩერებდნენ), ხვნეშითა და შავი ბოლის ფრქვევით მისერავდა რუსეთის ტრამალებს. ტიუმენიდან გემზე აბარგდნენ. ტობოლსკის ნავსადგურში აფორიაქებული ხალხი დაუხვდათ. მასა მეფეს კი არა, სპირტს ელოდა ალკოჰოლიანი სასმელის სახით, უხვად რომ გადმოეტვირთათ ეშელონებიდან გემბანზე.

— ვინ შეატყობინათ? — კითხულობდა შეფიქრიანებული ხელმწიფე.

— ესენი არ დაიშლებიან, შეიძლება ცუდად დამთავრდეს ყოველივე... — უხსნიდა დამხვდური გუბერნატორი.

— დაურიგეთ სამკურნალო დაწესებულებებს, საავადმყოფოებს, უპატრონობა ვშვთა თავშესაფრებს!

სპირტი (არაყი, ღვინო და სხვა) ავადმყოფებს, ბავშვებს რუსეთში!

— დაარბევენ საავადმყოფოებს, ბავშვთა თავშესაფრებს.

— მაშინ მაგათ დაურიგეთ, გაანაწილეთ!

არ ეყოფათ, გამნაწილებლებსაც ვერ ვიპოვით, ერთმანეთს ჩახოცავენ. ცოცხლად გადარჩენილები ისევ თქვენს უმაღლესობას მოადგებიან.

რაც უნდოდათ, რაც იცოდნენ, ის ექნათ!

ირტიშის ცივ და კამკამა წყალში გადაასხეს ბრბოს თვალწინ სასმელი. ტუჩებისა და ცხვირის ნესტოების ბერვით (ნიავს სპირტის სუნიც მოჰქონდა სანაპიროსაკენ) უყურებდნენ ამ საშინელებას. გინების თავი და ხალისიც აღარ ჰქონდათ; გულდაწყვეტილნი, დეპრესიაშეყრილნი ტოვებდნენ პორტს.

ტობოლსკამდე სოფლებს ჩაუარეს.

— აი, პაკროვსკი, ხელმწიფეო! — იყვირა ბოცმანმა.

გათენებაში გაცრიატებული ციმბირული სოფელი გამოჩნდა.

პაკროვსკი. რასპუტინის სოფელი. ძილგატეხილ, თავატკიებულ დედოფალს ესმოდა ეს ხმა.

სანამ ცოცხალი ვიქნები, თქვენც იქნებით, მოვკვდები, მომკლავენ და მშველელი არ დაგრჩებათ.

ის თუ მოკლეს, ჩვენც მოგვკლავენ! უფლისწულს აღარა ჰყავდა მფარველი ანგელოზი.

ან რატომ გაჩნდა, ან რატომ წავიდა?!

მეფე კაიუტაში შებრუნდა.

შეშას ხერხავდა და ჩეხავდა ყოფილი იმპერატორი ტობოლსკის გენერალ-გუბერნატორის ციხესიმაგრის (რეზიდენციის) ეზოში. ბედს ურიგდებოდა, დასასრულის შეგრძნება ნელდებოდა. კაციჭამიები ჯერ არ ჩანდნენ.

დედოფალს ნაადრევი ალები აწუხებდა. რასპუტინის სიკვდილი იოლად გადაიტანა თავდაპირველად: Нашли в воде. Мысли, молитвы вместе.

Аликс.

ფრონტზე წერილი გაუგზავნა ქმარს და მათთვის ომიც დასრულდა ყველაფერთან ერთად. შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი დიდი მთავარი დიმიტრი გაგზავნეს ფრონტში გენერალ ბარათოვის განკარგულებაში; იუსუპოვი და პურიშკევიჩი საკუთარ მამულებში გადაასახლეს. პეტერბურგიდან აორთქლდა „ზნამენიტი“ (შპიონი და მამათმავალი) ანდრონიკოვი, რასპუტინის ოჯახის ახლობელ გენერალ დუმბაძეს ხახვივით შერჩა რასპუტინის ლივადიის კლდიდან გადმოგდების უნიკალური გეგმა, კორნეტმა ფხაკაძემ თვითმკვლელობის ინსცენირების თუ მცდელობის შემდეგ ქუთაისს მიაშურა და სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას შესთავაზა სამსახური; ქუთაისშივე ჩამოაყალიბა ცხენოსანთა „ოსობი ოტრიადი“, რომელიც ნოე ჟორდანიას ხელმოწერილი ბრძანებით ძლივს დაშალეს... მიმოიფანტნენ დანარჩენებიც: ძმები ერისთავები, ორბელიანი, დადიანი, გელოვანი, დადეშქელიანი, თარხნიშვილი, ნიჟარაძე, დუმბაძე და სხვები... ასპარეზზე გამოდიოდნენ სხვა ქართველები, რუსეთის შავბნელი ისტორიის მამელუქები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VIII

ბაბუა ჩემი

სოფელი მაღლარი.

ბაბუაჩემის დედულეთი. მამაჩემის გამზრდელი ბებიის ანა ჟორჟოლიანის სამშობლეთი.

მაღლარი.

წესით და კანონით, დაბლარი უნდა ერქვას; იმაზე დაბალი და ვაკე ბევრი არ იპოვება, მაგრამ მთიანეთის მაღლარიდან ჩამოფეხითსულ ჩემს წინაპრებს, სხვა რამესთან ერთად, ამაზე ქვემოთ, სახელიც თან წამოულიათ; ვაკეში, კოლხეთის სამკუთხედის წვერში დასახლებულებს სამკვიდროს დაბლარად გადაკეთება არ უნებებიათ და დარჩენილან დაბლარში მაღლარად. მთიდან ნაყოფიერების სიმბოლოდ თან ჩამოუტანიათ ადრეკილაის გამოსახულება. ორმეტრნახევრიან ქვის ფალოსს ბეჭზეგადებულს ვერ წამოიღებდნენ, მაგრამ რაღაი ეს ფაქტი გადმოცემამ დააფიქსირა, აშკარად იმიანად წამოსულან.

ბაბუა ვლადიმირის უჯრედში ჩადებულმა წინაპრის კოდმა შეინახა ნაყოფიერების სიმბოლო, რამაც თავისებური კვალი დააჩინა მის ფსიქოლოგიას; მან აღიარა უმაღლესობა კუ-ლ-ტისა, არა მარტო ხვავისა და ბარაქის სანაცვლოდ.

პირველი მსოფლიო ომის ტალღებმა, მოგვიანებით რომ ჩამოაღწიეს პერიფერიებში ანუ როგორც მეფის ხელისუფალნი და კომუნისტები იტყოდნენ — რუსეთის განაპირა მხარეებში, ბევრი ჩაითრია ღურღუმში, ბევრი მიქცევას ნებით გაჰყვა ბაბუაჩემივით და რევოლუციების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ცოლშვილმიტოვებული, ბედის საძებნელად წასული ჯერ იმპერიის დედაქალაქში მოხვდა, შემდეგ მოსკოვქალაქს დამკვიდრდა. მაღლარელი კაცი მიტოვებული ცოლ-შვილის ნოსტალგიამ ახალი (უკვე რუსული) ოჯახის შექმნის იდეამდე მიიყვანა. არამყარ, მეჩხერ რუსულ საცოლშვილეთში სიხარული არ უნახავს, თუმც სოფელ მაღლარის დარდსაც, ამას აქვე ვნახავთ, არ გადაჰყოლია; ქაოსსა და ნგრევაში თავის გადარჩენის იმუნიტეტს არ უღალატია, ერთხელ ფეხშეშლილს სწორზე აღარ გაუვლია, მაგრამ თავიც არ წაუგია მრავალ მისნაირთა მსგავსად. პეტროგრადიდან მოსკოვში გადმობარგებულ ბოლშევიკებს აბელ ენუქიძის ხელისწაკვრით კრემლში შეჰყვა, რამდენიმე, შეიძლება სულაც ორიოდე წელი იმუშავა სათბობმომარაგების უფროსად; სიტუაციების მიხედვით რამდენჯერმე, უფრო სწორია, ორჯერ-სამჯერ, გამოვიდა და შებრუნდა კრემლის საინტენდატო უწყებაში და ბოლოს ოციან წლებშივე, იმავ აბელ ენუქიძის თხოვნით თუ ბრძანებით, სამუდამოდ გამოეცალა იქაურობას, გადაირჩინა თავი, თუმცა კრემლი უჭკუობამ დაატოვებინა და არა ჭკუამ, რადგანაც, რაც სავსებით ბუნებრივია, წარმოდგენაც არ შეეძლო იმ სისხლიანი ბაკქანალიისა, ჯერ იმ ციტადელში, შემდეგ მთელ იმპერიაში რომ დატრიალდა.

პირველად, ენერგეტიკული კრიზისის გაუთვალისწინებლად, თავად მიუტოვებია სათბობმომარაგების სამსახური; სპირტისა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის აშვებასთან დაკავშირებით გასულა საშოვარზე. უშოვია, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ბაირამობა. ეს საქმიანობაც აკრძალეს და ვინც დროზე არ უშველა თავს, ჩეხვაში მოჰყვა. ვლადიმირი, — ბაბუა ჩემი, — კრემლს დაუბრუნდა, მიაკითხა კვლავ აბელ ენუქიძეს ხატივით. იმჯერზე დამნიშნა კვების ობიექტების ზედამხედველადაო, ჩამაბარა მთავარი სასადილო და წვრილ-წვრილი ფარდულები კრე-

მლის ტერიტორიაზე, კრემლგარეთ კედლებ-გალავნების გაყოლებით წითელი მოედნის მხარეს. ერთხელ თურმე საშვი პირადობის მოწმობითურთ, ათხოვა ქუთაისელ კუნო ქელბაქიანს (შეიძლება გვარი მეშლება) რამდენიმე საათით. იმ ქელბაქიანს გაბმული ქეიფი გაუწევია სასტუმრო „ნაციონალის" რესტორანში, უქნია ჩხუბი და მიულეწია კიდეც იქაურობა. ცხვირწინ უტრიალა დედ-მამის სული და ბაბუაჩემის კრემლის წიგნაკი ჩეკისტებს; ვერც წაართვეს, ვერც გააჩერეს, მაგრამ საშვის ნომერი დაიმახსოვრეს თურმე. მეორე თუ მესამე დღესაო, ვლადიმირი გვიყვება, გამომიძახა ენუქიძემ: შენო, მითხრა, რესტორნებში ჩხუბობ და ამტვრევ პროლეტარიატის ქონებასო?! საძველბიჭოდ თუ ხარ ჩამოსული, ჩემო ძმაო, კრემლში რა გინდაო. დამცეცხლა თავში, მივხვდი, რაც იქნებოდა მომხდარი, მარა რაღას ვიზამდი. ვინავათი ვარ-თქვა, ვუთხარი. არ გამოვა მასე, ჩემო ძმაო, თვარა აგერა ვარ მე და აგერ, უფრო სწორია, იგერ იქნები შენო. გასაგები იყო. იმ ნეხევრად შეშლილ კუნო ქელბაქიანის გამო დავწერე განცხადება და წამოვედი. არ გასულა დიდი ხანი, ეს კი აღარ უნდა მექნა, მივაკითხე კვლავ ენუქიძეს. კარგად შემხვდა, სხვათა შორის. სად ხარ შენ, კაცო, სად დაიკარგეო. მოვედი, მე ვუთხარი და დვორნიკად დამნიშნე თუ გინდა-თქვა, ეზოს დავხვეტავ არ ვიუკადრისებ-თქვა... რას ჰქვია იუკადრისებო, შეეცვალა პოვედენიე, შენო, მითხრა, მეეზოვეს ადამიანად არ თვლიო?.. სოციალისტურმა ხელისუფლებამ მეეზოვე და მინისტრი არ იცის, ჩვენ ერთი ვართ სუყველა, შენო აქო, ჩემო ძმაოო, გამოწყობილხარ შერემეტიევის კამერგერივით, თუ ძმა ხარ შენო, არ დაგინახო ამნაირად მოსულიო.

სიასამურის ქურქი ეცვა, ყარყუმის ქუდი ეხურა სამარყანდიდან ჩამოტანილი, თურმე.

... სხვებსაც გლახად შევეჩხირე თვალში და მივხვდი, ჩემი ადგილი აღარ იყო იქ. ქუთაისში არ ჩამომესვლებოდა, დამიჭერდნენ და მაღლარში, მაგი ვნახე დამწვარი, ხომ არ ჩავბრუნდებოდი, ჩავრჩი ასე.

ჩარჩა.

ესალმებოდა და იცნობდა: ლენინს, სტალინს, ტროცკის (ისინი ცნობდნენ თუ არა, ვერ გეტყვით), ორჯონიკიძეს, ვოროშილოვს, კალინინს, ბუდიონს, აბელ ენუქიძეს, თავისთავად ცხადია, და სხვებს; კრემლის დიდ სასადილოში, რომლის ზედამხედველიც თავად გახლდა, ხედავდა ხშირად მათ.

... ლენინი იქ არ მინახავს, რაც მართალია მართალია, სულ ავად იყო ის ცოდვაგაწელილი. სტალინი და ტროცკი იშვიათად, დანარჩენები ცოლშვილიანად შემოდიოდნენ. სამხედროებისათვის ცალკე მქონდა ბუხრიანი ოთახი გადაკეტილი. წვადი უყვარდათ. უზბეკი მყავდა ერთი, წვადს წვავდა, არ მითხრა! ვოროშილოვმა იცოდა მისი გემო. შემოიყვანდა გამარნიკს, ტუხაჩევსკის, კიდევ რა ვიცი — ვის, ყველას კი ვერ ვცნობდი. ჭამდნენ, გადახუხავდნენ მწარეს გაპიპინებული ჩაის ჭიქით და მამა აბრამის ბატკნებივით გადიოდნენ, შეეტყობოდათ რამე თუ?!.. რესტორანშიც მაკითხავდნენ იმის შემდეგ, — ქართველების რესტორანში: იონა იაკირი, პრიმაკოვი, ქორქი... მოგიკითხავდნენ ოჯახით, ქუჩაში ზედ არ შემოგხედავდნენ. კარგები იყვნენ და კარგადაც წაუვიდათ საქმე. იმათსას ენა ხომ ვერ იტყვის!

ენა ყველაფერს ამბობს, ქალალდი ბევრს ვერ იტევს.

სიბერეში, უკვე ციხემოლეული (პოლიტიკურზე არ მჯდარა) ზაფხულის ერთ თვეს ჩვენთან, სამშობლოში ატარებდა; აგინებდა ლენინს და სტალინს, ზაფრავდა პარტიულ შვილებს. ხრუშჩოვის ხანა იწყებოდა (არც ნიკიტას აკლებდა ხელს), მაგრამ შიშის სინდრომი არ იყო განელებული; ხანდახან ყვებოდა კრემლის ბინადართა შინაურ, პიკანტურ, ბელადების ცხოვრების წესისა და ნირის ამსახველ არას-

ტერეოტიპულ ამბებს. ყურს უგდებდნენ და ტუქსავდნენ, ეკითხებოდნენ, პასუხის ეშინოდათ.

... თქვენა ხართ კერპთაყვანისმცემლები, სახარებაში წერია, კერპს არ სცემთ თაყვანიო, არ შექმნათ კერპი თქვენიო. ჩვეულებრივ ადამიანს პატივს კი, მაგრამ თაყვანს ვერ ვცემ. ორი ფეხი ჰქონდათ იმათაც, ორი ხელი და ერთი თავი... ორი თავი რომ ჰქონოდა რომელიმეს, მაშინ კი, თავს დავუკრავდი... არ გიყვარსო, მიყვარს არ მიყვარს... რატომ უნდა მიყვარდეს, ან რატომ არ უნდა მიყვარდეს, ვინ იყო ამიხსენით, ბელადი? ბელადები ყავთ ველურებს, აქამდე ასე ვიცოდი. მოკვდა და გასვენებაში მივედი, სხვა რა უნდა მექნა! მივედი. ცოცხალს ხომ ვიცნობდი და მკვდარი როგორი იქნება-თქვა დამაინტერესა, მამაჩემის დიმიტრი ონჭეიშელის დასაფლავებას ვერ ჩამოვუსწარი, იქ კი გამოვცხადდი დაბარებულივით, მავზოლეუმში ვერ მივუწექი, ვინ შეგიშვა თვარა — კი...

ცოტა, შეიძლება გვარიანი, ცინიკოსიც გახლდათ, თუმც მის მსჯელობას, ირონიაზე არაფერს ვამბობ, დამაჯერებლობა არ აკლდა.

... იმ სიფილიტიკს, უკაცრავად პასუხია, ლენინს, საყვარლები ჰყავდა, მათ შორის ქართველიც — კვიტაიშვილის ქალი, შეიძლება არცაა მართალი, მაგრამ ასე იყო თქმულება. მისმა დამ თბილისიდან პაკეტი გამატანა დიდი ყოყმანის შემდეგ, ჩემს დას გადაეცი და დანარჩენი იმან იცისო. ჩავიტანე, ჩავაბარე ლენინის სამდივნოში, ზინაიდა არ დამიხვდა, ესა და ეს კაცი ვარ-თქვა, დავიბარე და ნამოვედი. სახლმმართველი გვყავდა ერთი გაფუჭებული კაცი, ზღვაზე ნამსახური ლოთი; დამდევდა, მიჩიოდა: ქალები დაჰყავს კომუნალკაში, ღამღამობით ყომარი აქვთო. მივაცეცხლებდი ხან რას, ხან რას, გაჩერდებოდა, გაუთავდებოდა ჩემი მიცემული არაყი, დამიწყებდა ისევე ჩხიკინს. ვარიდებდი თავს, ხანდახან ვემალებოდი კიდეც, მართალი გითხრათ. მეორე დღეს შორიდან მეძახის ვლადიმირ დიმიტრიევიჩ, დარაგოი, დამელოდე თუ გიყვარდეო. მოაფხოკიალებს გამხმარ ფეხს და ქუდმოხდილი მიახლოვდება. ვფიქრობ, რა ხდება, ხომ არ გადაბრუნდა ხელმეორედ ქვეყანა. ქაღალდი უჭირავს კრემლის გერბ-მისამართიანი. დავხედე, ლენინის სამდივნოში ვარ დაძახებული, ამას ჰგონებია, ამ ჩემი ცოდვით სავსეს, ლენინი იბარებსო და ის დღე და ის დღე, ჩემი ფასი აღარ ჰყავდა აღარავინ. მივედი სამდივნოში... ზინაიდა კვიტაიშვილი ვერც მაშინ ვნახე, დამემალა თუ არ მაჩვენეს, არ ვიცი. ვილაც სათვალიანმა კაცმა გამომკითხა აქეთურ-იქითური: ვინ გამოგატანა, როგორ ჩამოიტანე, რა გზით ჩამოდიო. ვუთხარი, წვრილად მოვუყევი, პაკეტი ხომ არავის გაუხსნიაო. გერბი ქე ადევს ზედთქვა, ედვა ყოველ შემთხვევაში, მე ვუთხარი. კიო, მართალი ბათმანი ხარ და მაინცო. შენ ხო არ გაგიჩითიაო, ამის ცნობისწადილი წვავს. ღველფნაცარში ხომ არ ვტუცე ხელახლა ფეხი-თქვა, ვიფიქრე, მარა გადავრჩი. თურმე ჟორდანიას საიდუმლო წერილია შიგ, ულიანოვსო, შიდა კონვერტზე ნაწერალა.

— სიმონიკა ფხაკაძე დახვრიტეს?

— გადაასახლეს ვოლოგდაში იყო ერთხანს, მასუკან მისი ალი-კვალი დაიკარგა, შემოირიგეს, შემოიძმაკაცეს და გააქრეს მაინც, რა კაცი!

— რისთვის?

— თვალტანადობისათვის, შესახედაობისათვის...

შესახედაობისათვის ვილას იჭერდნენ — ან მაშინ. ასე დაუფიქრებლად გადაგიჭრიდა გადასაჭრელს. ნარდსაც ბლიცით თამაშობდა. კოტრიალს არ აცლიდა, მუჭში ჰქონდა უკვე ტყუპი კამათელი.

— რა იყო? — ეკითხებოდა მძიმედ მოაზროვნე პარტნიორი, — ბეშ-ოთხი?

— დუბეში. — ორ ხუთიანს მიანათებდა.

— დუბეში?! — იბნეოდა მოწინააღმდეგე და თავად ბაბუა თამაშობდა მის მაგივრად; უკეთებდა სწორ და ერთადერთ სვლას და საბოლოოდ აშტერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი, ასე იყოს.

— თუ არ მოგწონს, სხვა ითამაშე, თუ გინდა ხელახლა გააგორე!

— კარგი, იყოს რაც არი.

— მაშინ დავი.

— დავი?.. ამერია ტვინი. — ფიქრობდა და ქსიტინებდა, წავყვე თუ არაო.

— შესახედაობისათვის... რას ნიშნავს? — ნარდი სულ არ მაინტერესებდა.

— მაცალე თამაში, რას ნიშნავს და იმას ნიშნავს, გინახავს შენ სიმონიკა ფხაკაძე (სად უნდა მენახა), მაშინ რაღას მელაპარაკები!.. მკვდარი გყავს ოჯახში, ამას ვეუბნები, შეგიძლია არ წამომყვე, არ იცის თამაში!

— მე არ ვიცი?! — გულზე ხელს იდებდა გაოცებული მენარდე.

— მართლა კლავდა რასპუტინს?

— არ ვიცი, არ ვიცი, ისე, ისპალნიტელი იყო, ვოლკ! დიდი ვაჟკაცი! საერთოდ, შეუხედავ ქართველს ვერ ნახავდი იქ!

... გინდაც ენუქიძე, გინდაც შალვა ელიავა... ეს წაგებულია, თავიდან... — ახალ ნარდს აწყობდა, გაცვეთილ ქვებს სრიალით უშვებდა საწინააღმდეგო მხარეს ზუსტი მისამართით. — ამან თამაში არ იცის, შენ არაფერი არ იცი, რა ხალხი ხართ ვერ გავიგე!.. — ყვიროდა გულგარეთ, კამათლებს ახაჭუნებდა.

— თუ არ მითხარი, არც მეცოდინება.

— გეუბნები და არ გჯერა! ხალხი იყვნენ, ხალხს ჰგავდნენ, იმ მათხოვრებთან სახსენებელნიც არ არიან. იქით იყო კვლავ. მათხოვრებში ზედა ეშელონი არ იგულისხმებოდა, თუმცა დათიკია მამაგეიშვილს, კუწო ქელბაქიანს, ბუდუ ქვარიანსა და ლენინ-სტალინს შორის მაინცადამაინც დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა.

— სტალინი როგორი კაცი იყო?

— პატარა, ჩვეულებრივი, რა გინდა, რას მეკითხები, პროვოკაციულ შეკითხვებს რატომ მაძლევ... იყო რა, მე და დათიკია მამაგეიშვილს ლოთებს გვეძახოდა, ხანდახან — ყომარბაზებს. გამოკითხა მამაგეიშვილს, შვილი თუ ნაშვილები რომ მიუყვანია, ვისას ხარ ჩამომხტარიო, უთქვამს ამასთან, ამასთან, იმასთან... შეგიყრიათ აბა ლოთებს თავი, თქვენია ეს ქვეყანაო. დაგვეხმარა ერთი დახმარება, დასახვრეტი კაცი გამოგვიგდო, მაშინ კონტროლს და რაღაც ინსპექციასაც უფროსობდა, სხვა დროს სალაპარაკო ამბავია. ქალები იმასაც უყვარდა, ნუ გეშინია, ტანად პატარა იყო, მაგრამ ის ჰქონდა გრძელი — თითები, დააკვირდი თუ გინდა თითებზე, სანამდე არ გამოუგდიათ მავზოლეუმიდან.

დავხედე. იწვა გულმოსული, ამოკენკილი სახით, მოწითალო თმით, პაპიჩემის დანაბარები არ გამხსენებია, მაგრამ გულზე დამწყვდეული სანთლისფერი ხელებიც აიყვანა მეხსიერებამ.

სადიაკვნე, პირჯვრის საწერი თითები ჰქონდა. ქალის თმა, კაცის თითებიო. ქალი და კაცი ატრიალებს დედამიწას. სამყარო კი მამაკაცის სიმბოლურ ასოზე დგას.

ვლადიმირი — ბაბუა ჩემი — არაცნობიერად იზიარებდა ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებას, თუმცა არც ფროიდს იცნობდა, არც იმის ფსიქოანალიზებს; იგი ბოლომდე არ გახსნილა, მაგრამ საკუთარი კონცეფცია — ასოზე სამყაროს ტრიალისა — ბოლომდე არ უარუყვია.

ცნობილმა ფსიქიატრმა ჟანემ ლონდონში ფსიქიატრთა და პარაფსიქოლოგთა ყრილობაზე აღელვებულმა განაცხადა: რაც ფროიდის მოძღვრებაში ფასეულია, ჩემია, ჩემგან აქვს წაღებულიო და რაც ფროიდისაა, მტკნარი სისულელეაო. იგივე

შეიძლებოდა ეთქვა, ოღონდ შებრუნებით, ბაბუაჩემს: რაც ფასეულია, ჩემი არ ყოფილა და რაც სისულელეა, ჩემიაო. ნივთიერ მტკიცებად მაღალი მთის სოფელ მაღლარში — დედულეთში ქვის ფალოსის წამოღების ფაქტიც გამოადგებოდა. მაინც ვისი იყო, რასაც ფასი ედო: შოპენჰაუერის, იუნგის, შარკოს, ჟანეს, სხვებისა და არა ფროიდისა და ბაბუა ჩემის. მოდაში მაინც ჰომოსექსუალი და ნარკომანი ფროიდი ზეობდა. საბჭოთა НКВД-ს ნარკომანები და პედარასტები არ უკვირდა და მაინც ფროიდი მოსწონდა. იყენებდა თუ არა იმ გასამრჯელოს საფასურად, რომელსაც იხდიდა, აღარ იციან. თავად ფროიდი კი ხელს ითბობდა კაგებეს ინტელექტუალურ უკანალზე.

რასპუტინს პაპა პირადად არ იცნობდა. სამაგიეროდ ნერწყვს ყლაპავდა რასპუტინის ქალიშვილ მარიაზე. იგი სპორტსმენი ყოფილა, ცირკსა და საკონცერტო დარბაზებში გამოდიოდა შავი ტრუსითა და ფოჩებიანი ცისფერი ლიფით, კატასავით სწრაფი, მოქნილი, ელასტიკური. რამდენად სერიოზულად მოსწონდა მარია, არ ვიცი, მაგრამ სიბერეშიაც ვერ იხსენებდა გულგრილად. თვალები ჰქონდაო ლურჯცისფერი, ზღვასავით რბილი. გამოხდა ხანი და ციმბირის ქალ-კატა თვალტანადმა, ავანტიურისტმა, წმინდა გიორგის ჯვრების კავალერმა, ჩვენგან მრავალგზის ნახსენებმა, სიმონიკა ფხაკაძემ აიყვანა. ჰყავდა და არ შეირჩინა, თუ არ შეარჩინეს. სიმამრის თუ სიმამრნაცვლის დალუპვის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მიატოვა მარია და პეტერბურგიცა. გულმოკლული მარია კი ცოლად გაჰყვა საერთაშორისო აფე-ო-რისტ სოლოვიოვს. სოლოვიოვი მარიას საშუალებით დაუკავშირდა ვირუბოვას ქალს, ვირუბოვასაგან მეფის ოჯახს — ტობოლსკში. დაიწყო ფულის შეგროვება მეფის გადასარჩენად. გაავრცელა ხმა, რომ ფინეთში შემოსული იყო დიდი ბრიტანეთის წყალქვეშა გემი, რომელიც ჩაყვინული ელოდა სამეფო კარს. ის რომ ფულებს იხვილიფებდა, გადასახლებულთა პირობები უარესდებოდა. მარია რასპუტინა და სოლოვიოვის დრო დგებოდა; ბოლო-ბოლო აითესნენ, გავიდნენ საზღვარგარეთ წყალქვეშა ტრანსპორტის გარეშე, დატოვეს პირში ჩალაგამოვლებული ვირუბოვა, ავარიაში მოყოლილი ყავარჯნებიანი სეფექალი. მეფე ნიკოლოზ მეორის ოფიციალურ საყვარლად ითვლებოდა და გარკვეულწილ მოკრძალებასა და პატივისცემას იმსახურებდა ამის გამო ბოლშევიკების მოსვლის შემდეგაც. გარდაცვალების უმალ სექსოპათოლოგიურმა ექსპერტმა გადაამოწმა და იგი ქალიშვილი აღმოჩნდა. მეფეს პირი გამოუწმინდეს თუ ქმრის, ფლოტის ოფიცრის, ვირუბოვის, თავად ტანეევა გახლდათ, იმპოტენტობა დაამტკიცეს, არ ვიცით. მაინც რაში დასჭირდათ ოთხმოცი წლის მიცვალებულის საქალწულე აპკის გადამოწმება და საექიმო ექსპერტიზის ოფიციალური ცნობის გამოქვეყნება?

ამის შემდეგ ბოლშევიკებმა აიღეს ძალაუფლება, ცოტა ხანში გადმობარგდნენ მოსკოვში რუსხელმწიფეთა ტრადიციულ და მყარ ციტადელში — კრემლში, სადაც დაიდეს ბინა. სანკტ-პეტერბურგი, პატრიოტული მოსაზრებით თუ კომპენსაციის მიზნით, გადანათლეს (მარტი. 1917) სლავურ პეტროგრადად და დაუკარგეს სადედაქალაქო-სატახტო სტატუსი.

ამასობაში ტურუხანის მხრის გადასახლებიდან მოსკოვს დაბრუნდა ვლადიმირის ქუთაისელი ძმაკაცი მამაგეიშვილი დათიკო ეპიფანეს ძე, თან ჩამოიყვანა წითელთმიანი (რიჟა) ბაღანა, ათი-თერთმეტი წლისა. იგი იოსებ ჯუღაშვილთან იხდიდა სასჯელს და თქვა: იმისი შვილია თუ ნაშვილებია, მაგიო, ჯუღაშვილი, დიდი კაცი გამხდარა და შვილს თუ ნაშვილებს აწი თვითონ მოუაროს, შენც იქინე მუშაობ თურმე და იოსებასთან მიმიძეხიო. მისულან. მიუყვანიათ. სად წავიდა შემდგომ ის წითელჭორფლიანი ბიჭუნა, ვის გვარზე და ვის ბარობაზე დაეწერა, ბაბუაჩემს, მით უმეტეს მე, აღარ გვახსოვდა. საერთოდ, რამდენი შვილი, ბუში და ნაშვილები ჰყა-

ვდა, სამი კანონიერის გარდა სტალინს — კიდევ დასადგენია. ტროცკი ვარაუდობს, რომ რომელიღაც ცოლისაგან, კერძოდ რომლისაგან არ იცის, ეყოლა გოგონა. იგი ცოლად გაჰყვაო ჩეხ კომუნისტ შმერალს. სიძე არ ეშლება და პატარძლის ქალობაში — (Кажется дочь) ეპარება ეჭვი. ბოლომდე არაა დარწმუნებული ასევე, რომ სტალინმა რაღაც მომენტში, დროის რომელიღაც მონაკვეთში ცოლად მოიყვანა (სხვებიც ადასტურებენ) ლაზარ კაგანოვიჩის და როზა. ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის კაგანოვიჩი დედას იფიცებოდა: დაი და, მით უმეტეს, როზა, არ მყოლიაო. ჩემს ძმას მიშას რომ თავი მოაკვლევინა, და რა მაგის პასუხია, მიშა ტომსკის რომ ტყვია აგლეჯინა საფეთქელში კარგად მახსოვს, მაგრამ როზას ვერ ვიხსენებო.

სტალინი ტურუხანის მხარის უხტო-პეჩორის აუზში თავისუფალი გადაადგილების უფლებით, სოფლებში თუ დასახლებებში სოლვიჩეგოდსკში, ზიმოვეიკაში, კურეიკაში, მონასტირსკოეში იხდიდა სასჯელს. ერთხანს ბინად იდგა კუზაკოვას ქალთან, რომლის ნაბოლარა, მეექვსე შვილი ყვავს დაემსგავსა. ყვავი — შემდგომში კონსტანტინ სტეპანოვიჩ კუზაკოვი ცეკასა და ტელედეპარტამენტის პასუხისმგებელი მუშაკი, თავადვე ირწმუნებოდა — სტალინის შვილი ვარო. ერთხელ კრემლის სხდომათა დარბაზში პირისპირ შეეჩეხა მამილოს. სხვებისაგან საგანგებოდ გამომარჩია, მომაჩერდა და რამდენიმე წამის შემდეგ (ეს წამები კონსტანტინე სტეპანოვიჩისათვის საუკუნეებად გადაქცეულა) თვალი ამარიდა, ამოვისუნთქე, მანამდე, ცოტაც განყდა, მუხლებში კინაღამ ჩავუვარდი ყვირილით — მამა! სტალინი იმ დროს ყველას მამა იყო და შეიძლებოდა ეს გამოხტომა თუ დახტომა არც კი გაკვირვებოდა, თუმცაღა მისი დაჟინებული მზერა არ დარჩენიათ დანარჩენებს შეუნიშნავი:

— როგორა ჰგავს, ეს შობელძაღლი, სურენ სპანდარიანს!

საინტერესოა ბუდიონის ცნობა იოსებ ჯუღაშვილის ინტიმური ბიოგრაფიის შესახებ, მამაგეიშვილის მოგონებას რომ უახლოვდება. იოსებ ჯუღაშვილიო მასწავლებელ ქალს შეუსახლდა სოფელ ზიმოვეიკაში. გაცნობისთანავე მასწავლებელს უთქვამს: აქამდე ჩვენთან ცხოვრობდა სხვა ქართველი სახელად დავითი (დავიდ). სწორედ იმ დავითმა გამომაგზავნა და იმის შემდეგ მე ვიცხოვრებ აქ, აუხსნა სტუმარმა და დაითინხმა ქალი, რომელიც ამ რეკომენდაციის გარეშეც არ ამბობდა უარს. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ის დავითი (დავიდ) იყო მამაგეიშვილი დათიკო, ციმბირში გადაკარგული ბალახვნელი კაცი, წითელთმიანი (რიჟა) ბიჭუნა რომ ჩამოიყვანა ბაბუაჩემთან. იგი ჯუღაშვილის, სურენ სპანდარიანისა და მამაგეიშვილის ერთობლივი მეცადინეობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო და ერთი თუ მამაობას აღიარებდა, დანარჩენი ორი მამობილობას უნდა დაჯერებულიყო. ბიჭი წითელი თმით რამდენჯერმე გაკრთა პრესაში და გაქრა, არა გვგონია, საბოლოოდ.

სტალინი ადრე ოფიციალურად, რასაკვირველია, ყოველგვარი პირადი ყურადღების გარეშე მცირე ხნით ზრდიდა ბოლშევიკ, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარ (იშვიათი შემთხვევა) რევოლუციონერის არტიომის პირმშოს. ლენინი და ქალბატონი კრუპსკაია ლენინის ძმისშვილს უვლიდნენ და პოლიტბიუროს ყველა წევრს წამხედურობითა და შიშით, მრავალთა სანაცვლოდ თითო და ზოგიერთს ორიც, უპატრონო ბავშვი ჰყავდა შეფარებული.

ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს

მათე

რევოლუციის სახელით მიიღებდნენ ხოლმე ერთს ისეთს უთვალავის სამაგიეროდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციითა და ღმრთით.

რევოლუციებით და არა ობლობით, არა სიყვარულით.

რა ისწავლა სასულიერო სასწავლებელსა და სასულიერო სემინარიაში იეზუიტებისაგან, დომინიკელი ბერებისაგან.

ისინი ეძებდნენ, ისიც ეძებდა ერესს, მწვალებლებს. კოცონზე წვავდნენ რეფორმატორებს, დოგმებთა უარმყოფლებს; ადამიანებს წვავდნენ საზეიმოდ, მისტერიულად. მას სად ჰქონდა ამდენი დრო? ისინი ორ კურდღელს მისდევდნენ. ჩვენიც ორს იჭერდა: ფიზიკურად ანადგურებდნენ აზრს, რომელიც არ სჭირდებოდათ, თესავდნენ შიშსა და ძრწოლას. მომავლის აბსტრაქციით, შიშით შეჰქონდათ შიშის სიყვარული და იგი მთელ ქვეყანას უყვარდა; ხომ არ შეეძლო მასაც — სიბნელეში, სივიწროვეში, სიცივეში გაზრდილს — სამაგიეროდ, სანუფქოდ მთელი ქვეყანა ჰყვარებოდა; ანდა, ერთი ჰყვარებოდა, მეორე — არა, თავისი ჰყვარებოდა, სხვისი — არა, ამიტომ არავინ უყვარდა!

იგი მარტო იყო.

მარტო მოკვდა.

მთელ ქვეყანას მოუკვდა და არავის მოუკვდა.

1937 წლის 4 ივნისს, უხერხულ დროს, გარდაეცვალა დედა, რომელიც თითქმის მთელი ორი წელი არ ენახა. დაკრძალვაზე ვერ ჩავიდა, ვერც ვერავინ შეაწუხა მშობლის გარდაცვალების უსიამო ცნობით. თბილისში უიმისოდ დაიტირეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს. ნეკროლოგს, ბერიას ჩათვლით, ხელი მოაწერა ოცდაერთმა პარტიულმა კაცმა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ბერიას ჩათვლით, დახვრიტეს.

დიდი ადამიანობა დიდი და უკურნებელი დაავადებაა. პატარა ერს პიროვნების სახელი თრგუნავს, დიდი ძრწოლვისმგვრელი ავადმყოფობა ეამაყება, სიდიდე სიდიდეა, თუკი მისია.

არადა, მომაკვდინებელ სენს სახადი გვირჩევნია; პირველი გვამუნჯებს, მეორე გვაღიღინებს: მოუოხეთ ბატონებო...

წითელა ბატონებს ვეფერებით. იგი წითლად, წითელი ყვინჩილით, გიტარის აკომპანემენტით მობრძანდება.

მოუოხეთ ბატონებსა...

სამი შვილიდან ერთი შერჩა დედას. მიხეილი და გიორგი პატარები მიიბარა უფალმა.

იას გიკრეფთ, ვარდს გიკონავთ, ბატონებო...

წითელი საბანია გადმოფენილი კორტოხზე მდგარი კრამიტიანი ოდის აივანზე. წევს ბიჭუნა ოთახში გახურებული შუბლით, დიდი, პრიალა თვალებით წითელი შალითის ქვეშ. მოუოხეთ, ბატონებო, სიცხიან ბიჭუნას. მოზუზუნე ფუტკრის ქრთილზეც დავანდება მისი სუფთა სული; მის ერთ ცრემლად, ერთ ამოოხვრად არ ღირს პოლიტიკა მსოფლიოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX

ულიანოვები და იპატიევის სასახლე

ლენინის დედამ მარია ბლანკმა ხუთი შვილი შეირჩინა, ზოგიერთების ვარაუდით, ხუთი მამაკაცისაგან და მაინცადამაინც, ვალოდია, შემდგომში ვლადიმერი, ეყოლა კანონიერი და ავადმყოფი ქმრის ილიასაგან. უფროსი ტერორისტ კარაკოზოვს დაემგვანა, მომდევნო — დიმიტრი კარის ექიმ (ფოტოები შეჯერებულია) პაკროვსკის. კარაკოზოვის სახეიერი დედას გორაკიდან საბავშვო ეტლით მდინარისაკენ დაუგორდა თუ დააგორა, გადარჩა, მაგრამ დაუკუზიანდა; უხიაგი გაიზარდა და სახრჩობელაზე დაამთავრა კიდეც სიცოცხლე, რამაც თითქოს განაპირობა ვალოდიას (ვლადიმერის) გარევოლუციონერება, რუსეთის, რუსული წეს-წყობის სიძულვილი.

სტალინს სამუშაო მაგიდაზე ბინაში და არა კაბინეტში ედო დოქტორ სიგალის წიგნი „სიფილისი". იმ დროს მოურჩენელ და ფრიად გავრცელებული ავადმყოფობის ისტორია-პროფილაქტიკა, სხვას რომ თავი დავანებოთ, თავისთავად იწვევდა ინტერესს, ვენეროლოგიური მინიმალური ცოდნის შეთვისების სურვილს, მაგრამ მარტო ამისათვის არ ჰქონია სტალინს სიგალის წიგნი გვერდზე გადადებული. ლევ ტროცკიმ სტალინის პირადი მდივნის, ამბის გამტან-გამომტანის, ბაჟანოვის პირით გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ახსნა იმ ფაქტისა სხვისაგან არ უსესხებია. სტალინს აინტერესებდაო, რა სახის, რა ფორმის სიფილისი ჰქონდათ ულიანოვებს, მამას ილიას, შვილს ვალოდიას და რა გავლენის მოხდენა შეეძლო ადამიანის, კერძოდ, პოლიტიკური ლიდერის ფსიქიკაზე ამ სენს. საიდუმლო ანდერძი, რომელიც ავტორის, — ლენინის სიკვდილის შემდეგ უნდა გახსნილიყო, ლენინის სიცოცხლეშივე გახდა რამდენიმე ადამიანისათვის, მათ შორის სტალინისათვის, ცნობილი. სტალინის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა სიფილისის ნარჩენი მოვლენების ნაყოფად შეიძლებოდა ჩათვლილიყო და სწორედ ამიტომაც 1923 წელს XII ყრილობის შემდეგ, უხუცესთა საბჭოს დახურულ სხდომაზე სტალინმა პირდაპირ განაცხადა: პოლიტიკური ანდერძი მძიმე ავადმყოფობის, სიფილისი არ უხსენებია, ზეგავლენით, დაწერილი დოკუმენტიაო.

ამ ფაქტმა, ანდერძმა და არა სიფილისმა, ბევრჯერ შეახსენა სტალინს თავი, თუმც შედეგი მეანდერძემ უფრო იწვნია, ვიდრე ადრესატმა.

არ შეიძლება ლოდინი. შეიძლება დაიკარგოს ყველაფერი, ისტორია არ გვაპატიებს დაყოვნებას!

ასე იწყებოდა ბარათი, რომელიც ლენინმა გაუგზავნა ამბოხებულ ბოლშევიკებს მარგარიტა ფეოფანოვას ბინიდან, თავად წერილს გაასწრო და ჯერ ფეხით, შემდეგ ტრამვაით მიაღწია სმოლნამდე. ყბაახვეული, ჭუჭყიანი კეპითა და სათვალით ქანაობდა ვაგონში ვითომ მთვრალი და კბილატკივებული. დიდი კონსპირატორი ამნაირადაც ეცნაურათ სმოლნის შენობის დერეფანში სხვა პარტიათა წარმომადგენლებთ. უზნალი მერზავცი, გადაულაპარაკა ტროცკის, რომელმაც მოგვიანებით დაწერა: ცნობით მეც ვიცანი, თუმცა შორიდან ჩუჩელა მეგონაო.

და აი, ის ჩუჩელა ყბაახვეული შევიდა მსოფლიოს ახალ ისტორიაში.

ღამის ორ საათზე ტროცკიმ საათი ამოიღო ჟილეტის ჯიბიდან.

— დაიწყო!

ლენინმა პირჯვარი (?) გადაიწერა.

დაიწყო და აღსრულდა. გაიმარჯვა უმცირესობამ, გამოხატა რა აბსოლუტური უმრავლესობის, მასის სიძულვილი, აღტკინება ნგრევისა, შურისძიებისა!

აღდგომის ორშაბათს მიცვალებულთა ხსენების დღეს „ექს-ტერიტორიული", „დაპლომბილი" ვაგონით, გერმანელ ოფიცერთა დაცვით, კაიზერის ფულით და ნაკურორტალ ბოლშევიკთა ამალით გადმოიარა გერმანია, გადმოატარეს შვეციას და გაცვეთილი პალტოთი, ქოლგით და კალოშებით ფინეთის ვოგზლით მოადგა იმპერიის დედაქალაქს სანკტ-პეტერბურგს.

უგულოდ უსმინა დეპუტაციის წარმომადგენელს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს. მისცეს სიტყვა იმის შემდეგ. სკამზე შედგა, არ გამოჩნდა და ჯავშნოსანზე აიყვანეს. საყურადღებო ვერაფერი თქვა. მადლობა გადაუხადა ხაზგასმულად მეზღვაურებს და არა კარლო ჩხეიძეს, რომელმაც საამებელი სიტყვა უთხრა. დააბინავეს მეფის ყოფილი საყვარლის, ქშესინსკაიას ბინაში, რომლის სახლის აივნიდანაც დასვენებულმა, გამოძინებულმა მოითხოვა სამამულო, ვისთვის — სამამულო, ომის შეწყვეტა და წამოაყენა ანტიეროვნული, ინტერნაციონალური — იმპერიალისტური ომის სამოქალაქოდ გადაქცევის — კოშმარული, მარქსისტული იდეა-პროგრამა, მისიანებმაც რომ ვერ გაითავისეს ბოლომდე. თქვა და არ გადათქვა. დასახული გზიდან არ გადაუხვია. გაიმარჯვა არა მარტო ამიტომ: გაიმარჯვა, რადგან თვალში სინათლედაკარგულ, ატრუებულ ფარას წინ დაუდგა და წავიდა იქით, საითაც ფარა მიბღაოდა. ჩაიბარა ჯოგი თავისიანებისა, აიღო ძალაუფლება და ჯერ მარტო შევიდა კრემლში. გავიდა კრემლის კედელზე, დიდი, ნაზამთრალი შავი ბუზივით გაცოცდა გალავანზე, ქონგურქვეშ გაჩერდა. 1918 წლის ბოლშევიკური გაზაფხული მოდიოდა. მიწა თბებოდა. თეთრად გაპენტილ ღრუბლის ფთილებს შორის ღია ლურჯი ცა ჩანდა. იქით იყო რუსეთი, ქვემოთ — იმპერიის ყოფილი და ნეოიმპერიის მომავალი დედაქალაქი. იქვე წითელი მოედანი — საქონდაქრე ალაგი და ჩანდა გალავნის ძირი, სადაც სატანის ტახტი — ლურჯი მავზოლეუმი ამოიზრდებოდა მისივე სარკოფაგით.

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს...

ძალიან მომწონს ეს სტრიქონი.

მიკიტანს და მიგიტანს გარითმა პოეტმა და მისდაუნებურად უკვდავება მიანიჭა. მოგიტანსო კი არა — მიგიტანს. შენ აქა ხარ და ხედავ: ღვინო აღარავის მიაქვს შენს სამარეზე სველი ხელადით.

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს...

ძალაუფლების დამყარება გაუჭირდათ. მოსკოვი სანქტ-პეტერბურგი არ აღმოჩნდა, შვიდი დღე და ღამე სროლა არ შეწყვეტილა.

კუწო ქელბაქიანი ჩამოიძახებდა დროდადრო: ქორწილი გამიგია, მარა ამნაირი გაუთავებელი არაო. სავა მოროზოვის დიდ სარდაფს თავშეფარებული რამდენიმე ქართველი, მათ შორის ბაბუა ჩემი, კუწო ქელბაქიანი და სხვები ქეიფობდნენ. იქვე ეძინათ. იღვიძებდნენ და იწყებდნენ. სვამდნენ. ამბობდნენ არარსებული ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოებს, კანონადის ქვეშ, ქუჩაში ხოცავდნენ ერთმანეთს; ძმა ძმას ესროდა, ბიძაშვილი — მამიდაშვილს. ექვსი დღე ისხდნენ უქმის გარეშე, მეშვიდე მეექვსეს მიაყოლეს და ზევითაც ჩაწყნარდნენ.

იმავ წლის ათ ნოემბერს ნიკოლსკისა და სპასკის ჭიშკრებშუა, სანამ ჯერ ხისა და შემდეგ ქვიტკირ-ქვის მავზოლეუმი აშენდებოდა, სანამ გაიჭიმებოდა მუმიის სანახავად მოსულ მშრომელთა ცალფა სერპანტინი, გაჭრეს საძმო საფლავი და გადმოასვენეს იმ შვიდდღიან უუქმო ომში დაღუპული 240 ადამიანი.

ჭექდა, დაღუპულ გმირთა სხეულის და არა სულის საოხად, რევოლუციური ორკესტრი და იმ დღის თვალით მხილველის ჯონ რიდის გადმოცემით, ფრიალებდნენ წითელი და შავი დროშები სისხლისა და ანარქიის სიმბოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Спите, любимые братья!"

ნლისთავზე კონენკოვის პროექტის მიხედვით ააგეს მემორიალი, მიამატეს ადრე დაკრძალულებს თავად ჯონ რიდი, სხვები და შეასრულეს გმირთა სადიდებელი კანტატა, რომლის ზემოთმოყვანილი სტრიქონისა და ტექსტის ერთ-ერთი ავტორი სერგეი ესენინი გახლდათ. მემორიალი გახსნა ლენინმა და საფუძველი ჩაუყარა საკუთარ საძვალეს, — მავზოლეუმის სამგლოვიარო-სადღესასწაულო ფეხის ადგილს პარტიისა და ხალხის ბელადებისას. იმ დღიდან იქაურობა იქცა სასაფლაოდ, კომუნისტური ამაოების ბაზრად.

ვიცი შენი საქმენი. იქ ცხოვრობ, სადაც სატანის ტახტია.

1921 წელს დაკრძალეს „ჰაეროვაგონის" კონსტრუქტორი, ვინმე ვალერიან აბაკოვსკი და მასთან ერთად გაწყვეტილი პირველი კონგრესის დელეგატები. ვაგონთვითმფრინავი, რომელსაც მხოლოდ რელსებზე უნდა ეფრინა პროპელერითა და ავიოძრავით, საჩვენებლ-სააგიტაციო გაფრენისას დელეგატებითურთ მოსწყდა ლიანდაგს და თქვენი ჭირი წაიღო სულიერმა და უსულომ.

იქ დამარხეს ინესა არმანდი, ლენინის ოფიციალური მარქსისტი მეგობარი, არაოფიციალური საყვარელი, თავისუფალი დროის (იგი თითქმის არ ჰქონდა) ზრუნვის ობიექტი.

აგრეთვე:

ნარკომი ვადიმ არდბელსკი, რომელიც ერთ-ერთ მორიგ შაბათობაზე ჟანგიან ლურსმანს წამოედო, მოიწმინდა სისხლი, შეიხვია ფეხი ცხვირსახოცით სხვის დაუხმარებლად და მუშაობა განაგრძო. მედპუნქტშიო, ეუბნებოდნენ, არ შვრებოდა, არაფერი არააო, ამტკიცებდა. ნი — უია, ნი — უია, ნი — უია! იძახა. მოიწამლა და მოკვდა.

იქვე: ანდერძითა და უცნაური პირობით — ნახევარი აქ დამტოვეთ, ნახევარი სამშობლოში წამიღეთო! — დაკრძალეს „დიდი ბილი", ამერიკის მუშათა მოძრაობის ლიდერი ვილიამ ჰეივუდი. როგორ გაიყვეს გვამი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა რუსეთმა (ალბათ თანაბრად), დაფიქსირებული არაა.

და ასე შემდეგ.

„Спите, любимые братья!"

დანარჩენები ნელ-ნელა, რანგის, ცენზის, იღბლისა და სიტუაციის მიხედვით შელაგდნენ. რიგი დაწვეს, რიგი დამარხეს. ფერფლი ურნით კედელში შეჭედეს. სტალინი მავზოლეუმიდან გამოასვენეს, სხვა, თუ არაფერი მეშლება, აღარავინ შეუშფოთებიათ. ნიკიტა ხრუშჩოვს, ვინაც ორასოცდაათი წლის შემდეგ საკუთარი ძალისხმევით არარუსთა მაგივრად ირუსიხელმწიფა, ბაბუაჩემის არ იყოს, არ აღირსეს კრემლის კედელი, არც მიწა კრემლის კედლისძირს.

ბაბუა ჩემი ვლადიმირი, როგორც ვიცით, სავა მოროზოვის სარდაფ-მარანში ჩარჩა, სანამ არ გადაიკარა, მზის სინათლე არ ნახა. არ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში, კლასი კლასის წინააღმდეგ როცა წავიდა; გამკავებელი არ ჰყავდა, წამქეზებელიც არ აღმოაჩნდა, თორემ სულ იოლად მიიზომავდა ადგილს კრემლის კედელთან საძმოში. მან ხელიდან გაუშვა უკვდავების ისტორიული შანსი. მის შთამომავალს, განსაკუთრებით, თავად ბაბუას, ბრეჟნევის ხანამდე რომ მოაღწია, ზეაღმატებული პრეტენზიები არ ჰქონია, კრემლის კედლის ნატვრას არ შეუწუხებია, დაიკრძალა ქვიტირში საგვარეულო სამარხის გალავანმიღმა, რადგან 60 წლის წინ მიტოვებულმა მეუღლემ, ჩვენმა ბებიამ, ბაბუაჩემთან მიწაში წოლაც არ ისურვა.

*

შუაღამის მაუწყებელი კურანტები რეკავენ ჩაბნელებულ ეკატერინებურგში.

იპატიევის სახლის ტალანების დაბზარულ კედლებზე ლანდები მოცურავენ. ლანდებს პატრონები მოჰყვებიან. წვერულვაშიან, ტანმორჩილ კაცს ჯერ არ გამოფხიზლებული ბიჭი მოჰყავს ატატებული. მუნდირზე გამორჩეულობის აღარავითარი ნიშანი აღარა აქვს. რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორია. ბიჭი — უფლისწული, ტახტის მემკვიდრე ცესარევიჩი — ალექსი.

მათი არასრული ტიტულატურა:

იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა; მოსკოვისა. კიევისა. ვლადიმირისა. ნოვგოროდისა; მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე პოლონეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ხერსონისა, მეფე საქართველოისა; მფლობელი ფსკოვისა; დიდი თავადი სმოლენსკისა, ლიტვისა, ვოლინსკისა, ჰერცოგი შლეზვინგ-გოლშტინიისა.

ნახევრადსარდაფის ცარიელ ოთახში დგანან.

— აქ სკამები არაა? — კითხულობს გაოცებული დედოფალი.

— შემოიტანეთ სკამები! — სახლის კომენდანტის, უძილობით თვალებდაწითლებული იაკობ (იაშკა) იუროვსკის ბრძანებაა.

შემოაქვთ მხოლოდ ორი სკამი.

... თეთრგვარდიელები და ჩეხური დივიზია მოადგნენ ქალაქს, უსაფრთხოობის მიზნით ჩამოგიყვანეთ აქ! — არ ბოდიშობს, მაგრამ ნერვიულობს. ერთ სკამზე დედოფალი ზის, მეორეზე მეფე. მეფეს მუხლებზე უზის ავადმყოფი ვაჟი ალექსი, სამეფო დინასტიის პირდაპირი და ბოლო სისხლის წვეთი.

იმათ გარდა:

ქალიშვილები: ოლღა, ტატიანა, მარია, ანასტასია. ექიმი ბოტკინი, მოახლე დემიდოვა, მზარეული ხარიტონოვი, ლაქია ტრუპი (Трупп) და გადია დაქარგულპირიანი პატარა ბალიშებით ხელში. ცხვირაბზუებული ათვალიერებს ხის კედლებს, ოთხ ცარიელ კუნჭულს, მისი წინათგრძნობა ტყავისკურტაკიანი, თვალდაწითლებული კომენდანტის მორიგი უტაქტობისა და უზრდელობის მოსალოდნელ გამწვავებას არ სცილდება.

ბრახაბრუხით შემოდიან: კომენდანტის მოადგილე ნიკულინი, ორი უგვარუჯიშო ჩეკისტი და შვიდი ლატვიელი (Сем латышей), მათი სახელ-გვარებით ისტორია არ დაინტერესებულა.

ალექსანდრე III ახოვანი კაცი იყო. იგი მოულოდნელად წაიქცა ლივადიაში.

სასტიკი იყო და კეთილი მამა.

სასიკვდილო სარეცელზე იწვა.

— უფალო მეფეო, მე არ მინდა მეფობა, მიეცი იგი მიხეილს, გემუდარები!..

— ვერ დავარღვევ ოდით დაკანონებულ წესს და ადათს... — სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, — შენ უმეფებ თვალუწვდენელ, უთავ-ბოლო რუსეთს, კანონიერო მემკვიდრეო, ჩემო უფროსო ძეო...

— არ მინდა, მამა, მეფობა!

— ისინი კვლავ გვიტევენ... — იაშკა ლაპარაკობდა მეფის მაგივრად, — უფრო ხმამაღლა და უფრო მკიცედ, ვიდრე ადრე. — გვიტევენ ევროპიდან, თქვენი განთავისუფლება სურთ, ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. თქვენ დაიხვრიტებით. განაჩენი გამოტანილია ურალის აღმასრულებელი საბჭოების კომიტეტის მიერ! — ჯიბეშივე შეყენებული მაუზერი ამოიღო.

ხელმწიფე ბავშვიანად წამოდგა, შეტრიალდა, აეფარა შვილს და სამჯერ დაიძახა:

რა?! რა?! რა?!

— ბედნიერი მამა, თავისი სიკვდილით მოკვდა, მე დამტოვა, შეუნდე!

პირჯვრის გადაწერა ვერ მოასწრო, ტყვიებს გრძნობდა ზურგში და მემკვიდრის წილი მიჰქონდა ეგონა. პირველი აღესრულა და ეს იყო შვება. ქალიშვილები ტყვიების ნათებ-ბწკიალში ეხვეოდნენ ერთმანეთს. შემდეგ იყო სიჩუმე. თენდებოდა, სხივისფრად მოდიოდა სისხლი კედლებიდან ჩექმებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ფარფიცრები ჩამოხსნეს კედელზე ნახეს წარწერა:

იმ ღამით ბალთაზარი მოკლეს ქვეშევრდომებმა.

წარწერას მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იგი არ შეუტანიათ საჯილდოოდ აღწერილ განცხადებებში. სამნი — ერმაკოვი, მედვედევი, იუროვსკი — იჩემებდნენ პირველობას: ჩემი ხელითო, მეფესა და მემკვიდრეზე მიჰქონდათ იერიში. მათი შთამომავალნი, შვილები, შვილიშვილები, ვინ იცის მერამდენედ აბარებენ ლენინის მუზეუმს მამის, პაპის დანატოვარ იარაღებს: აი ამით, აი ამითო.

მათ მოკლეს მათი მეფე.

მე მითხრეს:

На твою долю выпало счастье — расстрелять и схоронить так, чтобы никто и никогда их трупы не нашел...

და მე:

... Я с честью выполнил перед народом и страной свой долг, принял участие в расстреле всей царствующей семьи...

სიცოცხლე მოსპეს. ხორცი დაწვეს. ძვალი ვერ გაანადგურეს. ცოდვა არ იტვირთეს.

გავიდა ოთხმოცი წელი, ძვლები საგვარეულო ძვალთშესალაგში დააბრუნეს. გადასვენების უღიმღამო, გაუბედავ ცერემონიალზე მონაწილეობა მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. ჯორივით გაერია ჯიშიან ცხენთა გაქუცულ ნაშიერთა რემაში. პირჯვრისსაწერ ყველათითიან ხელს ართმევდა რომანოვებს და პირჯვარსაც იწერდა გაუგებარი გამომეტყველებით.

და მაინც იმ კაცს არგუნა ბედმა ის ისტორიული, ანაქრონიზმული მისია. დაიბადა სტანიცა ბუტკაში, არცთუ შორს ეკატერინებურგიდან, სადაც მეოცე საუკუნის ერთი ყველაზე პირქუში ტრაგედია გათამაშდა.

დედაც ქრისტიანულად, ეკლესიიდან გამოასვენა. აღზრდითა და ბუნებით ურწმუნო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ვერ გახდებოდა, მბეუტავი სიკეთეც არ აუალდებოდა ჯერ, თუმცა მრავალჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში. ერთხელ საყვარლის საყვარელმა თუ საყვარლებმა ხიდიდან წყალში გადააგდეს, ნიფხავ-პერანგით შევიდა რეზიდენციაში, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის თამაშთან ეს ეპიზოდი კურიოზად გამოჩნდებოდა, სათვალავში ჩასაგდებად არ გამოდგებოდა. იმპულსებით მოქმედი პარანოიკული შეტევების ფონზე აქტიურდება, თვალღია მძინარე წიხლის დაჭერაზე ფხიზლდება. ამიტომაც ვერ მოკლეს გულის ოპერაციის დროს, რისი დიდი იმედიც ჰქონდათ კომუნისტებს, სხვადასხვა ნეოკომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს. ძნელი ასახსნელი არ არის, საიდან მოხვდა (არატიპიური შემთხვევაა, ვერ იტყვით) სტანიციდან კრემლში, მშენებლობიდან პარტაპარატში, პარტიიდან არაპარტიაში. დროს მიჰყვება, მაგრამ უმალ სამარეში წავა (ჯვარი წერია), ვიდრე ბუტკაში დაბრუნდება. კრემლს კი ამ წიგნის გამოსვლამდე დაემშვიდობება, არც მთლად უმტკივნეულოდ, ნარნარად. რუსეთის „განთავისუფლების" აუცილებლობის ქარტიას მოაწერა ხელი და სხვა ხალხების განთავისუფლების საქმეს დაუდო სათავე. დამოუკიდებლობა მიანიჭა რუსეთს (ზოგს ჰგონია, რომ ჰქონდა) და ნაწილობრივ ჩვენც, მეფისა და მეფის ოჯახის წევრების ძვლები დააბინავა, შვიდი ნოემბრის მაგივრად პუშკინის დაბადება იზეიმა, ლენინს შეუყენა წყალი წყალგაუმტარ სარკოფაგში. ერთ კაცს, იმაზე გონიერსაც კი, მეტი არ მოეთხოვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი X

ბრონშტეინი

ერმაკოვი და მისი თანამებრძოლები შესუფთავებულ გვამებს წვავდნენ ტყის გამონაკაფში, გაუქმებული შახტების თავზე ზაფხულის სუსხში, ჯერ არგათენებულში. ხელებსაც ზედ ითბობდნენ, აცხიკვებდნენ ცრემლწირპლმორეულნი.

Что за х-овый запах!

წვივის ძვალს ჩურთავდა ერთი სოლიარით აფუებულ ღველფში. სველი ხორცი შიშხინებდა, კანი ტკაცუნებდა, ნაღვერდალი ფეთქავდა ალ-ალ და წითლად ანათებდა ბუსნოს, ჭვარტლის ბოლი იგრაგნებოდა, იწვართებოდა და იფშვნებოდა.

მეფის, მეფის ოჯახის ლიკვიდაციის ცნობა უკვე კრემლში იდო, აპარატის გრძელი ლენტი სვერდლოვის საწერი მაგიდის ფეხებამდე იყო ჩაშვებული.

სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, სადაც იხილავდნენ ჯანმრთელობის დაცვის „სახალხო კანონებს“ დაგვიანებით შემოსულმა სვერდლოვმა იაშა მიხაილის ძემ ხმადაბლა, სხდომის მსვლელობას ხელი რომ არ შეშლოდა, განაცხადა:

— უნდა მოგახსენოთ, ეკატერინებურგიდან მივიღეთ ცნობა-ტელეგრამა ადგილობრივი საბჭოების დადგენილების შესახებ... ნიკოლოზ მეორეს შეუფარდეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, განაჩენი აღსრულებულია, ხელს აწერს ბოლშევიკი ბელობოროდოვი... მეფე აპირებდა გაქცევას და ჩვენ — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი — დავეთანხმეთ მათ გადაწყვეტილებას.

— განვაგრძოთ კანონპროექტის კითხვა პუნქტ-პუნქტად! — თქვა ლენინმა წუთიერი დუმილის შემდეგ და შეაბრუნა მარმარილოს თავი.

შესვენებაზე დერეფანში გააჩერა სვერდლოვი ტროცკიმ.

— ოჯახი... შვილები, დედოფალი?

— ყველანი...

მან ვერ ამოიკითხა ჩემს სახეზე ვერაფერი მისთვის საინტერესო, სიამაყით გაიხსენა მოგვიანებით; გამეხარდა, მეწყინა — სვერდლოვმა ვერ გაარკვია.

— ვინ მიიღო გადაწყვეტილება?

— ჩვენ.

— კერძოდ?

— ილიჩმა გვითხრა: მეფეს დროშად ვერ დავუტოვებთ თეთრგვარდიელთ.

ამის შემდეგ:

... მე და ილიჩი მეფის გადასახლების წინააღმდეგი ვიყავით, მისი პეტროგრადში დატოვება გვინდოდა...

დაწერა და დაიმოწმა ამ საკითხში სრულიად არაკომპეტენტური პირი ვინმე ბესედოვსკი.

აი რა უთქვამს ბესედოვსკის ტროცკის გადმოცემით: „Цареубийства было делом Сталина. Ленин и Троцкий стояли за то, чтобы держать царскую семью в Петербурге“.

პეტროგრადშიც არ გაუჭირდებოდათ იმავეს ჩადენა, რაც ჩაიდინეს, მაგრამ საქმე შემდეგნაირად განვითარებულა: Сталин сговорился со Свердловым...“ შე-

ითქვნენ და ვინმე, ვიღაც გოლოშჩეკინის საშუალებით ბელობოროდოვს გააცნეს თავიანთი განზრახვა. ეს მომხდარა თხუთმეტ ივლისს საბედისწერო ღამის წინა დღით, როცა თეთრგვარდიელები მოადგნენო ეკატერინობურგს. ლენინმა თქვა: „Царь ни коим образом не должен быть выдан белогвардейцам...“ ეს თილშობილური განზრახვაა: მტერს არ მისცენ ხელთ თავიანთი ნადავლი. სწორია, მაგრამ დასკვნაა სრულიად მოულოდნელი: „Эти слова были равносильны смертельному приговору...“

საუკუნის დანაშაულის სიმძაფრე იზრდებოდა და არ ნელდებოდა ამ ხნის მანძილზე და სისხლიანი ხელების სხვა რჯულზე ჩამოწმენდა ავტორს აუცილებელი ეგონა, არამარტო პირადი მტრობისა და ანგარიშსწორების გამო.

1922 წლის მარტში რუსეთის სამღვდელოების განადგურების სტრატეგიული, გასაიდუმლოებული გეგმა დირექტივა გრიფით — Строго секретно — ლენინმა პოლიტბიუროს წევრებს (კამენევი, ზინოვიევი, ლენინი, სტალინი, ტროცკი) პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოლოტოვის ხელით გააცნო; თანხმობა, უარი და შენიშვნები ზედვე დაანერეთო, ბრძანა.

თანახმა ვარ! ხელმოწერით დაადასტურა მხოლოდ მოლოტოვმა, ლენინმა რომ უკადრისი სახელი — უკანალი უწოდა. დანარჩენებმა, როგორც ჩანს, სიტყვიერი თანხმობა გასცეს და უარის თუ თანხმობის ხელწერა ისტორიას საბუთად არ შემოუნახეს.

სწორედ ახლაო, წერდა ლენინი (ულიანოვი) გვმართებს პარტიული სიმტკიცე, საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, დაუნდობელი ბრძოლა შავ სამღვდელოებასთან... ისე უნდა დავკრათ და გავაცამტვეროთ, რომ რამდენიმე ათეულ წელსაც (ასეც მოხდა) არ დაავიწყდეთ ჩვენი ხელიო; შუეს სამონასტრო ლავრიდან ფასეულობათა ამოღების, სალაროთა დაცლის პროცედურას უნდა მოჰყვეს ხვრეტები. ...და რაც სწრაფად და მეტს დავხვრეტთ, მეტს მოვიგებთ...

აქტები (აქტი ბარბაროსული და არა გონიერი) სხვაგან და სხვაგან, უნდა განხორციელებულიყო სწრაფად; დამნაშავეებად (სახალხო ქონების დამტაცებლებად) უნდა გამოეცხადებინათ დაზარალებულები (დახვრეტილები); კამპანია უნდა გასრულებულიყო სააგიტაციო გამოსვლებით (ბოლშევიკური მეთოდებით) და ანტირელიგიური პროპაგანდით.

მხოლოდო: Никогда и ни в каком случае не должен выступать ни в печати, ни иным образом перед публикой тов. Троцкий“.

მივაქციოთ მაინც ამ დირექტივასაც ყურადღება.

*

სავსე მთვარობის ღამე იდგა. ხეობის ბოლოში და ზევით ცის წითელი კიდე ჩანდა. წყალწითელას თეთრი, დაკლაკნილი კალაპოტიდან წყალი გამოკრთოდა მორევ-მორევ. ხუთი მწვანე გორა-ყორღანი ილანდებოდა ხელმარჯვნივ, წყალგაღმა. ბილიკ-ბილიკ, საფლავებსა და საფლავებს შორის მოდიოდნენ, გადმოვიდნენ მინდორში და ნედლ მიწაყრილთან გაჩერდნენ. შავწვეროსანი კაცები იყვნენ. ერთს ეცვა ანაფორა და ჯვარიც ეკიდა. დანარჩენების წოდებრიობას ამხელდა წვერი, მოკლე, მოზომილი ნაბიჯები და აქეთ-იქით თავის ყანყალი, რაიც შემოზღუდული არის მხედველობაში შემოფარგვლის ჩვევით იქნებოდა გამტკიცებული. მოსდევდათ და წინ უსწრებდა დიდი ძაღლი შავ-თეთრი დრუნჩით. ყნოსავდა და უსისტემოდ აფსამდა ბუჩქ-გალავანს იქაურობის დამკვიდრების მიზნით, იღრინებოდა და ყეფდა კიდეც, რათა მისი არსებობის აუცილე-

ბლობა არ დავიწყებოდათ. ყურადღებას არავინ აქცევდა და მაინც ჩანდა, რომ პირველად არ მოაცილებდა ამნაირ პროცესიას.

სამი შეიარაღებული კაცი მოჰყვებოდა მღვდლებს. ერთი მეფეული ტანისა და-ბალი ტანისა იყო. დაბლებს რუსული, უხიშტო ვინტოვკები ეცვათ და წელზე ბზე დახვეული გალიფეს ტოტებში ჩატნეული ტოლაღებით, სრული, გაურკვეველი ფორმისა და ყაიდის ფეხსაცმელებით მოაბიჯებდნენ. ერთი მრგვალთავიანი, ქერა თმა-წვერღინღლიანი ყმაწვილი ჩანდა, მეორეც, კუნძიდან გამოჩორკნილს რომ უგავდა თავ-პირი, არ უნდა ყოფილიყო ხნიერი. მაღალს ერთი თითის სიფართე ულვაში უჩანდა ნესტოებს ქვემოთ, გადაშვებული ხაკის ხალათის ყურთმაჯაზე დიდი საათი ეკეთა. უკან იყო და მოდენიდა დანარჩენებს, თუმც არც ქვას ისროდა, ხელშიც არაფერი ეჭირა. უფროსობასთან სხვა ხელობაც ექნებოდა შეთავსებული, ხმასა და სიარულშიც ეტყობოდა.

— ამ ვირის ჩოილარების იმედზე რომ გამოგიშვებენ, არ იციან ვითომ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი რომ იქნება, დედაც კი მოვ-ყან!..

ახალ ამოყრილ, ამოხორავებულ ნედლ, წითელ მიწასთან იდგნენ. ძაღლმა თხრილში ჩაიხედა, მიწა დასუნა და ისევ წინ და უკან დაიწყო სირბილი; საფლავის გალავნებისა და ბუჩქის ძირების დამკვიდრება.

მთვარეს ღრუბელი გადაეფარა, ადამიანები გაბუნდოვანდნენ, ცხელმა ნიავმა კი მათი დანაწევრებული ხმები წამოიღო. სიტყვებს ისროდნენ და არ ლაპარაკობდნენ. მთვარე როცა რძისფერი ღრუბლებიდან გამოვიდა, ბელტებზე შემდგარი ძაღლი გამოჩნდა, ცალი ყბა და ყურიც შავად აჯდა თეთრზე. ანაფორიან, ზურგზე ხელებდამწყვდეულ მღვდელს ჯირკთავა მიდგომოდა, ხელებს უკრავდა ან ხელხვანჯის ნარჩენს აშორებდა, ჩქარობდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

— რას შობი, მე შენი დედა მოვ-ყან?! — აგინებდა მაღალი.

— გავხსენი.

— გამოდი მერე აქეთ, გამოიწიე, შენ დედის საფლავს და-ვი!

ისევ შეიმალნენ რძისფერში.

— რა დროს ლოცვაა, — ისევ მაღალის ხმა იყო. — ლოცვის მეტს რას მიკეთებდით იქინე, თქვენ გგონიათ მე სხვა საქმე არაფერი მაქვს!..

ლოცვა არ ისმოდა. მთვარე ანათებდა ისევ. განაპირას მდგარი მღვდელი ცახცახებდა, შეიძლება ტიროდა. მაღალი საათს დაჰყურებდა, საათის თეთრი კორპუსი ირეკლავდა მთვარის სხივებს. ძაღლმა მოულონელად ატეხა ყეფა და მაინცადამაინც ატირებულ კაცს ეცა ფეხებში, არ კბენდა, შარვლით ქაჩავდა და კაცი არ იშორებდა, უკანაც არ უხედავდა. ლითონი ელავდა ბეჭზევით. თურმე ნაგანის ლულა მიდიოდა კეფისკენ. ხმა სროლისა ყრუდ და სხვა მხრიდან მოვიდა. ანაფორიანი თითქოს წინ გახტა, შემდეგ ნელა ჩაიკეცა და ჩაეხუტა ნედლ ბელტებს. ძაღლი აწკავწკავდა, რასაც მაღალის ჩახვეული გინება მოჰყვა. წიხლმიზელილი ძაღლი გარბოდა, ისევ უკან ბრუნდებოდა, შორიახლო სუნსულებდა და ახლო აღარ მიდიოდა.

თავი უვარდებოდათ მოწყვეტით წინ, ერთმანეთის მიყოლებით წვებოდნენ წაფერდებულ წითელ მიწაზე.

ხუთჯერ მოვიდა ყრუ ხმა სხვა მხრიდან.

— ჯვარი არ მოხსნათ, თქვენი დედა მოვ-ყან, ხომ გვთხოვა ჯვარი ჩამაყოლეთო, ამათი ნდობა რავა შეიძლება, პატრონი არა ჰყავს ამ ქვეყანას, წულამესტებია მარტო თქვენი, ჯიბეებში არაფერი აქვთ, სხვა რამე არ გააძროთ, თქ-

ვენი დედა მოვ-ყან მაინცადამაინც!.. საათზე იხედებოდა, იასამნის ბუჩქებში მიშლიგინებდა. თავდახრილი მიჰყვებოდა ნაცემი ძაღლი.

აგვისტოს ავანტურაში მონაწილეობისათვის, სახალხო ქონების, საეკლესიო ფასეულობათა ხელყოფისა და გადამალვისათვის მიუსადაგეს სასჯელი უმაღლესი ზომა მიტროპოლიტ ნაზარს — ნ. ლეჟავას, დეკანოზ იეროთეოზ ნიკოლაძეს, მღვდელ სიმონ მჭედლიძეს, პროტოდიაკონ ბესარიონ კუხიანიძეს, დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძეს.

ისინი დახვრიტეს 1924 წელს ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, წყალწითელას ხეობის გადასახედში, ღამით, როცა გათენებას აღარაფერი უკლდა; დახვრიტეს მაშინ, როდესაც რუსეთში ლენინის ინსტრუქციით დაწყებული სამღვდელოების ფიზიკურად განადგურების პროცესი დამთავრებულად, ნახევრად ჩაშლილად ითვლებოდა და თავად ლენინიც აღარ გვყავდა ამქვეყნად.

*

პირველი სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკი, ვინც ხვრეტებში დაადანაშაულეს, გახლდათ ტროცკი. 1918 წლის დეკემბერში პარტიის ცენტრალურ გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა სტატია „Расстрел лучших товарищей без суда". შიგო, ტროცკი ჩიოდა: ჩემი გვარი არ იყო მოხსენიებული, მაგრამ ფაქტი — კომისარ პანტელეევისა და სხვების დახვრეტის თაობაზე — ჩემთანაა დაკავშირებულიო. წერილს ხელს აწერდა ვინმე კამინსკი. „პრავდის" რედაქტორი იყო ბუხარინი, მაგრამ ტროცკიმ უჩივლა არა კამინსკისა და ბუხარინს, არამედ სტალინს, რომელიც „ცილისმწამებლური" წერილის „ინსპირატორად" მიიჩნია, თუმცა გვარი „დამნაშავისა" წერილში (საჯაროდ) არც მას უხსენებია. ტროცკი ბოლშევიკი კომისრების დახვრეტის ფაქტს არ უარყოფდა და საბუთად იშველიებდა საბრძოლო სიტუაციას, დეზერტირობას. დანაშაულს, მით უმეტეს, სინდისის ქენჯნას ვერ გრძნობდა: ბოლოს და ბოლოს, რას გადამაყოლეთ ამ პანტელეევსო, უკვირდა, სხვების შემხედვარეს, გულწრფელად.

უთანხმოება ტროცკისა და სტალინს შორის გახლეჩს პარტიასო, იწინასწარმეტყველა ლენინმა, თუმც იმ მომენტში მარტო პარტიის დაშლა-გაყოფა არ უკლავდა გულს. კომუნისტების პარტია არ ინგრეოდა, მაგრამ სტალინი და ტროცკი ერთ ქარქაშში (ცარიცინი. კრემლი) მაინც ვერ თავსდებოდნენ, კავალერის კორპუსში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და მხოლოდ კომისართა საბჭოსა და პოლიტბიუროს სხდომებზე არ ხვდებოდნენ ერთმანეთს; მათი უთანხმოება კი ძალაუფლებისაკენ ლტოლვით იყო გაპირობებული და არა პარტიულ მსოფლმხედველობათა სხვაობით, ან დაფარული (ქრისტიანულ-იუდეური) სარწმუნეობათა დაპირისპირებით. ბრძოლა იყო პირადული, თუმცა ზემოთ ნახსენები ორი ფაქტორის გამორიცხვაც, არ შეიძლებოდა. ლენინსო აჯანყების დაწყება უნდოდა არა პეტერბურგში, სადაც უსისხლოდ და უმტკივნეულოდ ჩავიგდეთ ხელისუფლება, არამედ მოსკოვში, სადაც ბაბუა ჩემი ვლადიმირ ონჭეიშელი, კუნო ქელბაქიანი, დათიკო მამაგეიშვილი და სხვა ქართველები ტყვიების წვიმის გადაღებას, ტყვიის ცის გადაკარებას სადღეგრძელოებითა და ალავერდებით ელოდებოდნენ.

მართლაც დიდი დანაკარგითა და სისხლის ღვრით აიღეს ბოლშევიკებმა კრემლი, მოსკოვის ცენტრი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. განზრახული ძლივს გადავათქმევინე, თორემ ლენინს პირდაპირ მოსკოვში, ბარიკადებზე მივყავდითო. პეტერბურგი განზე დარჩებოდა, მოსკოვსაც დავკარგავდითაო. თუ მარ-

თალია, ეგრე მოხდებოდა და თავად ლენინს შეიძლება პირდაპირ სავა მორო-ზოვის სპირტის საწყობ-მარანში ამოეყო თავი ბაბუაჩემთან, ადრე დასახელე-ბულ პირებთან ერთად და შვიდდღიანი სროლა-მაყრულისათვის მიეგდო ყური.

ალმა-ატაში ჭირი, მალარია და ცოფიანი ძაღლები მძვინვარებდნენ. იდგა გა-ზაფხული და თოვლიანი, სპეტაკი მთები ჩანდნენ ღია ცისფერში. ბარში ვაშლის ბაღები ყვაოდნენ თეთრ-ვარდისფრად. იდგა ვაშლის ყვავილობა ფუტკრის მი-ერ დარხეული ბუტკოების ბუსუსთა და პეპლის ფრთისფერი ფურცლების ცვე-ნით მზით გაკაშკაშებული ტიან-შანის ქვეშ.

დათქმულ დროს ბინიდან ძლივს გამოასახლეს. ოთახში ჩაიკეტა და მოით-ხოვა რესპუბლიკის პროკურორი, ადვოკატი და პარტიის ცენტრალური კომი-ტეტის გენერალური მდივანი სტალინი, რომელიც შეიძლება მის მაგივრადაც, ციმბირში იმყოფებოდა; სათავეში ედგა პურის დამზადება-ჩაბარების სადამს-ჯელო პარტიულ ექსპედიციას. კაკუნმა და სიტყვამ რომ არ გასჭრა, შეუმტვ-რიეს კარი, ხელში აყვანილი ჩაარონინეს კიბე და ავტომანქანაში შეტენეს. სად-გურში ციმციმ, განძელ-განძელ მატარებელსა და მატარებელს შუა მიარბენი-ნებდნენ ფეხების ფხარკალით. უკაცრიელი, ქვისფრად განათებული ბაქანი დუ-მდა და მაინც მეორე მხრიდან შეიყვანეს პერსონალურ ვაგონში.

ტიან-შანი ღრუბლებით დაიბურა.

და მოვიდა ზამთარი. ალმა-ატა დაითოვლა, ვაშლის ხეებიცა...

იდგა 1929 წელი.

ლევ დავითის ძე ტროცკი (ბრონშტეინი) ტოვებდა საბჭოთა კავშირს, რომლის შექმნა-ჩამოყალიბებაში თავადვე ედო დიდი წილი.

და მე ვიბრძოლებ, უხსნიდა ბულანოვს გემბანზე, შენ და შენს პატრონს ყე-ლზე კატაჩამომხრჩვალ იაგოდას უბრძოლველად მოგიღებენ ბოლოს, გაფარ-თხალებას ვერ გაბედავთ, ისე მიგაყენებენ კედელთან!..

მართალი აღმოჩნდა: წინ უსწრეს ტროცკის, ტროცკის სიცოცხლეშივე დაი-ღუპნენ არამარტო ისინი, არამარტო იმათნაირნი.დამნაშავედ გამოაცხადეს ყვე-ლანი. ჩახოცეს ტროცკისტები და ისინიც, რომელთაც ტროცკიზმი იმპრესიო-ნიზმი თუ რაღაც გაუგებარი იზმი ეგონათ.

ტროცკი კი ცოლით, შვილით, არქივით, პირადი ბიბლიოთეკით, მხლებლე-ბით, გემი „ილიჩით“ შედიოდა ისტამბულში.

თურქეთი. ნორვეგია. პარიზი.

პარიზშივე გაიცნო და ვერ იცნო, ისე როგორც ვერ ცნობდა, ვინაც უნდა ეცნო, საკუთარი მსტოვრები, — საბჭოეთის აგენტების აგენტები, დედა და შვი-ლი მარკადერები: კარიდად (დედა) და რამონ ხაიმე, იგივე ჟაკ მორნარ, შემდე-გში ფრენკ ჯეკსონ მერკადერი (შვილი) — ესპანელი ტერორისტი და „დენდი“, რომელმაც პარიზშივე გაიცნო დები აგელოფ-მასლოვები (წარმოშობით რუსე-ბი) და შეიყვარა მანცადამაინც ერთ-ერთი, შეუხედავი სილვია ტროცკის პირა-დი მდივანი.

შემდეგ იყო მექსიკა.

გემმა ღუზა ჩაუშვა პორტ ტამპიკოში. წინდახედული და ფრთხილი გემიდან არ გადმოდიოდა, ხმელეთზე, მექსიკის მიწაზე ფეხის დადგმა მთვარის ზედაპი-რზე შეხება ეგონა; რა იცოდა თუ პორტში მექსიკის პრეზიდენტის ლასარო (ლა-ზარე) კარდენას ცისფერი ექსპრესი ელოდა. დახვდნენ ადგილობრივი ტროც-კისტები და მომავალი მასპინძლები, ცოლი და ქმარი, მხატვრები; ფერმწერი დიეგო რივიერა და ფერმწერი ფრიდა კალო. რივიერამ საკუთარი ვილა დაუ-

თმო მეხიკოს გარეუბან კოიაკანში, დაუტოვა თანამშრომლად საკუთარი ცოლი, ვნებიანი ხეიბარი, 28 წლის ფრიდა. სიყვარულმა ასაკი არ იცის და როგორც იქ გაირკვა, — არც ტანმრთელობა; სამოცი წლის ტროცკიმ თვალი დაადგა სნორედ ინვალიდ ფრიდა კალოს და არა საკუთარ მდივან სილვიას (ფრიდასგან შეუხედავი არ ითქმოდა), რომელიც აგენტ ესპანელ ლამაზოს, ჟაკ მორნარს (რამონ მერკადერს) შეუყვარდა რატომღაც.

კაგებეში (სუკში) ტროცკის, ისე როგორც ლენინს პარტიული ამხანაგები, სტარიკს ეძახდნენ. თუ ეს მეტსახელი ლენინთან „შე ძველოს" ელემენტსაც შეიცავდა, ტროცკისთან ასაკსაც განსაზღვრავდა და სწორედ ამ „სტარიკმა" შეიყვარა მასპინძლის 28 წლის ხეიბარი ცოლი ფრიდა კალო, ნახევრად სარეცელს მიჯაჭვული სექსამორძალი. ბავშვობაში პოლიომელიტგადატანილი თანდაყოლილი სიჯიუტითა და შეუპოვრობით ებრძოდა და ამარცხებდა მოურჩენელ სენს, სანამ ავარიაში არ მოჰყვა და თითქმის ყველა ძვალი, ხერხემლის ჩათვლით, ნაწევარად არ ექცა. ბრძოლა საკუთარ სხეულთან არც იმის შემდეგ შეუწყვეტია და ქალობაც, რამდენიმე მამაკაცთან რომ გადაამოწმა, არ დაუკარგავს. ექსტრავაგანტური გემოვნების, ნიჭიერმა მხატვარმა, მსოფლმხედველობით კომუნისტმა ცამეტი წლის ასაკიდანვე დაიწყო სექსპრაქტიკა. ზვინივით დიეგო რივიერამ, ასი კილოგრამით მეტს რომ იწონიდა, გაანელა და ვერ ჩააცხრო იმისი ტემპერამენტი. საკუთარი საყვარლებიც ყოფნიდა მოსავლელად და ნახევრად კანონიერ ცოლს დროდადრო სხვის ანაბარად ტოვებდა.

მორიგ ცვლაში ტროცკი გავიდა. ნატალია სედოვამ ფაქტზე დაიჭირა ადამ და ევა და ტროცკი გაერიდა იქაურობას; დროებით გადასახლდა სხვა შტატში, რათა როგორმე შვილდაღუპული ცოლის წუხილი შეემსუბუქებინა. მეზობელი შტატიდან საყვარელ ნატალოჩკას ყოველდღიურად უგზავნიდა სამგანყოფილებიან (დილა. შუადღე. საღამო) გულისამრევ სასიყვარულო დღიურ-წერილებს. ქალი ცივად აგროვებდა დიდი ადამიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას და პასუხს არ იძლეოდა. ქმარს მოსწყინდა ცალმხრივი თამაში, ცოლს გადაუგზავნა საკუთარი ხელით გადათეთრებული სია ნატალოჩკას საყვარლებისა, პირველ ქმართან ერთად, პარალელურად რომ გაიჩინა, ტროცკისთან შეყრამდე. სია არაზუსტი იყო და არასრულიც, მაგრამ ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედა მათ ურთიერთობაზე, ტროცკი დაბრუნდა კაიოკანში — სიკვდილის ადგილას — და მათი ცხოვრებაც მყარი და მიწიერი გახდა; ფრიდა კალოც გავიდა დრამის სცენიდან და შემდგომმა მოვლენებმა, დიდი პოლიტიკისათვის, უინტერესო პერიპეტიები გადაფარა.

განაჩენი გამოტანილი იყო, მშვილდი მოზიდული.

ცისფერი სახლის გარშემო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუთფუთებდა სამი ტერჯგუფი, — ორი ძირითადი და ერთი სარეზერვო. პირველს ხელმძღვანელობლდა მხატვარი-მონუმენტალისტი, კომუნისტი დავით ალფერო სიკეიროსი, მეტსახელად ცხენი (Конь). გაიმეგობრეს დაცვის ერთ-ერთი წევრი ვინმე შელდონ ხარტი და განთიადისას მოიერიშე ჯგუფის ერთმა წევრმა უხმო მეგობარს:

— ხარტ, ხარტიუშიკ!

— ვინ არის?!

— ჩვენა ვართ, ხარიტონ!..

გამოაღო შელტონ ხარტმა ალაყაფის რკინის ჭიშკარი და იყვირა მხატვარმა-მონუმენტალისტმა ალფერო სიკეიროსმა — ჰკა მაგასო და შეცვივდნენ რუსუ-

ლი ვინტოვკებით მეშახტეები სასახლეში; დაცხრილეს ქვედა და ზედა სართული, ჩამოიღეს საძინებელი ოთახის კედლები და საწლოქვეშ ნიფხავ-პერანგი-სამარა შემძვრალ ობიექტს ტყვია ვერ გაარტყეს. მუშები იდეურად ფეხრეულნენ შემზადებულნი, ვიდრე მხედრულად და შეთქმულება ჩაიშალა. [illegible] ქსიკა-პარიზ-მოსკოვისა. შეშფოთებული რხევების თავში, შუაში, ბოლოსა და სათავეში იდგნენ: კოტოვი, იგივე ნაომ ეიტინგონი — ძმა ზიგმუნდ ფროიდის შემბმელ-მეკავშირისა, სუდოპლატოვი, ბერია და სტალინი.

პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. მომენტალურად ჩაერთო მეორე ეშელონი დედა-შვილ რამონ და კარიდად მერკადერებისა. დედა მერკადერი ესპანეთში იბრძოდა გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ. ბომბის ნამსხვრევებით მუცელგამოფლეთილი გადმოიყვანეს საფრანგეთს და გადაარჩინეს. უფროსმა შვილმა კი (იგი ბრძოლას განაგრძობდა) შემოიხვია დედიმისს გადარ-მორჩენილი ბომბები ტანზე და შეუვარდა მტრის ტანკს, ააფეთქა და დასაბამი მისცა ტანკქვეშ ვარდნის ბომბურ-ფალასკურ შემდგომ საბჭოურ პერიოდს. დედამ მოიკეთა ამასობაში და გადავიდა კოტოვის (ნაომ ეიტინგონის) განკარგულებაში. დაინიშნა მორიგი თავდასხმა, მაგრამ შვილმა რამონმა თავდაპირველ გეგმაზე უარი განაცხადა, — მარტოდ მოვუვლი მაგ საქმესაო. დათქვა. დახაზა. მოუწონეს. დაცვასთან გაშინაურებულ ცისფერი სახლის სასიძოს შიგ შესვლა-გამოსვლა არ უჭირდა და თანხმობა მიიღო. სანამდე ამ ნდობას მოიპოვებდა, ქუჩაში, ჭიშკართან ელოდა ყოველ საღამოს სატრფო სილვიას, ტროცკის პირად მდივან-მემანქანეს. იდგა. იდგა. იდგა.

— უხერხულია, შემოვიდეს... — შეწუხდა, როგორც იქნა ტროცკი.

შეუშვეს. შევიდა და აღარ გავიდა. გაშინაურდა. წერილების გამოქვეყნებაც დაიწყო ტროცკისტულ თემებზე ადგილობრივ და საგარეუბნო გაზეთებში. ტროცკის მხარდაჭერა იგრძნო და წერას უმატა. ერთ მშვენიერ დღეს ჩაიდო ჯიბეში პატარა წერაყინი, ბებუთი, პისტოლეტი და ბიძია დავითს (ტროცკის) მიაკითხა ხელზე გადაფენილი საწვიმრით. რატომა ხარ ამ ხვატში ასე თბილად გამოწყობილიო, შენიშნა ნატალია სედოვამ. რა ვიციო, დაიმორცხვა სიძემ, სილვიას „საქმრომ". დავით ბიძიას თუ სცალიაო. გელოდებაო. ელოდა. ააკითხა. მიართვა წერილი მასზედ. ჩაუგულისყურდა საგაზეთო წერილს ტროცკი და რეკა ყინულმჭრელი წერაყინი თავზე წამომდგარმა რამონმა. ამ დარტყმას კამეჩი ვერ უძლებდა და ტროცკი წესით აღარ უნდა წამომდგარიყო. მკვლელი კი უხმაუროდ დატოვებდა იქაურობას, ღიმილით დაემშვიდობებოდა ქვემოთმყოფებს, ხელკავით გადაიყვანდა სილვიას ჭიშკარგადაღმა, ჩასხდებოდნენ შავ ლიმუზინში, სადაც კოტოვი (ნაომ ეიტინგონი) და დედა ელოდებოდნენ და რბილად დაიძრებოდნენ გზახსნილისაკენ.

თავდაყირა დადგა ყველაფერი. თავგაროფილი ტროცკი წამოხტა და ისეთი ყვირილით გაიქცა, რომ გამოცდილ ტერორისტს ელეთმელეთი მოუვიდა. სულ ბოლო მომენტში, ჩემდა ჭირად, ბიძიამ თავი გაარხია, რკინა ყიფლიბანდს ასცდა და საქმე სხვანაირად შეტრიალდაო, აღნიშნა. მოულოდნელმა ჩხავილმა ისე დამაბნია, რომ დანის, რომელსაც მშვენივრად ვხმარობდი ესპანეთში ღამის გუშაგების გამოსაფუშად, ამოღება ვერ მოვახერხე, პისტოლეტის არსებობაც გადამავიწყდაო.

ხმაურზე, გნიასზე, სროლაზე შავი ლიმუზინი შარაგზის მტვერსა და საკუთარ ბოლში გაეხვია და გაქრა. დედამ დატოვა შვილი, ოპერაცია „უტკაც" ჩაიშალა. ხაზზე დადგა მესამე ოპერჯგუფი გრიგულევიჩის მეთაურობით, მაგრამ

ტროცკი მეორე დღეს გარდაიცვალა და გრიგულევიჩის ესკადრილიის გამოყენება აღარ გახდა საჭირო.

რამონ მერკადერი დაიჭირეს ფრენკ ჯეკსონად. სილვია მასლოვას, რომელ-ხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ისტერიკა შეეყარა და ადგილობრივი ლაზარეთის ნერვიულ განყოფილებაში ამოჰყო თავი. ღამით კომუნისტ-მოჩვენებები ელანდებ-ეცხადებოდნენ და კიოდა. საპოლიციო დაცვა კი ნამდვილს დარაჯობდა და არა მოჩვენებითს. ქალი სტრესული შოკიდან გამოვიდა და ძიებასაც წაადგა. შილტონ ხარტიკი, რომელმაც პირველ ექსპედიციას რკინის კარი გაუღო, გაასაღეს და საბჭოთა აგენტებმა, ინსტრუქციის მიხედვით, მიაშურეს კანადას, შეერთებულ შტატებს და საფრანგეთს — კომუნისტური იდეებით გაჟღენთილ ნოყიერ ქვეყანას.

ლევ (ლეიბა) დავითის ძე ტროცკის (ბრონშტეინს) დაუმთავრებელი დარჩა ეპოპეა „სტალინი" — მეორე ტომი (პირველი დასაბეჭდად იყო გამზადებული ინგლისურ ენაზე).

და მოხდა გაუგონარი ამბავი: წიგნის მთავარმა გმირმა (იქამდე ავტორები ხოცავდნენ გმირებს) თავი გაუჩეჩქვა ავტორს და ტრაგედია ამით არ დასრულებულა, მრავალთაგან მრავალმა წინ უსწრო, მრავალი მიჰყვა, თუმცაღა ტროცკისტობაც გადადიოდა პოლიტიკური მოდიდან.ეჭვიანობის ნიადაგზე მოვკალი, საცოლე სილვიას მუშტრის თვალით უყურებდაო, უტრიალებდა ამ ვერსიას მერკადერი და მექსიკის პოლიციას ისევე სჯეროდა ამ ვერსიის, როგორც მისი გვარ-სახელისა (ფრენკ ჯეკსონისა). ტუსაღი უფანჯრო ოთახში ჰყავდათ გამომწყვდეული, დღეში ორჯერ გაჰყავდათ დაკითხვაზე და ორჯერ სცემდნენ. ექვსი წელი ურტყეს და ვერ გატეხეს. მსოფლიო ომი დაიწყო, დამთავრდა და ტროცკის მკვლელობის საქმე არ დაიხურა. კაცის რტყმა კი არა, შესაბამისად, სხვა რამე მოსწყინდება ადამიანს ამ ხნის მანძილზე და ძიებაც მინავლდა, იგი ჩიხში შედგა და საბჭოთა მთავრობამაც მოიცალა მათდა სასიკეთოდ. გმირი ესპანელის განთავისუფლების ჟამი დადგა, მაგრამ დედამ, ყველა ინსტანცია რომ ააქოთა საბჭოთა კავშირში, წინდაუხედაობით „ჩაუშვა" შვილი და რამონ მერკადერმაც, სხვა გზა აღარ იყო, აღიარა ვინაობა და აჰკიდეს ოცი წელი, თუმცა საბჭოეთის აგენტობაზე ხელი ვერ მოაწერინეს. ზედმეტი თოთხმეტი დედის აქტივობას დაბრალდა და შვილსაც საყვედურები და გინება არ დაულია დედისათვის. ერთ-ერთი წერილი ასეთნაირად იწყება თურმე (ქართულად ამნაირად ულერს): დედა, შენი დედა მოვ-ყან!..

აგვისტოში დაჭერილი, ოცი წლის ჩაგდებით, აგვისტოშივე გამოუშვეს; ხრუშჩოვის ეპოქაში ისაევის გვარით მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი. გარდაიცვალა კუბაში ფიდელ კასტროსთან. საიდუმლოდ ჩამოასვენეს მოსკოვში, დამარხეს კუნცევოს სასაფლაოზე და დააწერეს რამონ ივანეს ძე ლოპეს — საბჭოთა კავშირის გმირი.

ერთ კერძო საუბარში, მოსკოვში, ლიტერატორთა სახლში სუფრასთან უთქვამს: თავიდან რომ შეიძლებოდეს ცხოვრების დაწყება, ისევ ისე ვიცხოვრებდი, როგორც ვიცხოვრეო.

ეჰ, ლოპეს, ლოპეს, ლოპეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XI

ილიჩი

კომუნიზმი — არის სოციალიზმი პლუს ელექტროფიკაცია. ამ აღმოჩენით თავატკივებული გამოვიდა კაბინეტიდან და საძინებელი ოთახებისაკენ გამავალ დერეფანში წაიქცა. გონება არ დაუკარგავს. დამ მარიამ და ცოლმა ნადეჟდამ წამოაყენეს; ეგონათ, მოიწამლა თევზით, სადილად რომ მიირთვა. გულდასმით გასინჯა ცნობილმა თერაპევტმა ობუხმა. მოწამვლა არ დადასტურდა. საქმე უფრო რთულად იყო, თუმცა ავადმყოფობა, მოწამვლისაგან განსხვავებით, სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას არ ითვალისწინებდა. ანამნეზისა და ანალიზების შეჯერების შემდეგ ხანგრძლივი მკურნალობა გახდებოდა ალბათ საჭირო. გათვალისწინებული იქნებოდა მემკვიდრეობა. უნდა გაშიფრულიყო ბიოლოგიური კოდი წინაპრისა, რომელიც სასიკეთოს არაფერს ჰპირდებოდათ. საერთოდო, თქვა ექიმმა, ამისი ტვინი ვერ გაუძლებს იმ კოლოსალურ დატვირთვას, რასაც ტვინის პატრონი საკუთარ ტვინს აყენებსო. გამოდიოდა, ტვინსაც ჰყავდა უფროსი. აბა, ტვინი ტვინს ტკივილს ვით მიაყენებდა?!.

შეიძლება ამას მოჰყვეს დამბლა. საჭიროა დასვენება, განტვირთვა, საქმე-სამსახურისაგან დროებით გათიშვა.

ავადმყოფი დამბლასთან გაჩერდა, სხვა აღარ ესმოდა.

— დამბლა ხომ ლოთის, გარყვნილი კაცის ხვედრია?!

— არა მარტო... — დააიმედა ობუხმა.

ლენინს გაახსენდებოდა მამა ილია, რომელიც ამ ასაკში მიიბარა უფალმა, — ზუსტად ტვინში სისხლის ჩაქცევით.

ილია ულიანოვი — გააზნაურებული მდაბიო, ოლქის განათლების ინსპექტორიც, ბევრს მუშაობდა, შვილების ჩასახვაში სხვებიც ეხმარებოდნენ, თუმცაღა „მორალნო-ბიტოვოე რაზლოჟენიე"-ც არ ყოფილა უცხო მისი ნატურისათვის.

— არსებობს მემკვიდრეობითი დამბლა?

— მემკვიდრეობითი მიდრეკილება.

ავადმყოფი მიხვდა, რომ მიდრეკილი იყო და არა მოდრეკილი.

„...მამაჩემი ილია, მე იმისი შვილი ვარ!"

იწვა მარტო, გაახსენდა: ერთხელ ტყეში კურდღელს სდია უშედეგოდ; დაღლილი იჯდა ფიჭვის ცენდერზე, ორლულიანი ლაჯებშუა ჰქონდა გამომწყვდეული. ნახევრად გატყიურებული ტყის მცველი და ეგერი კონდრაშოვი არ აცილებდა თვალს.

— რას მომშტერებიხარ, ძმობილო, — თვალები წაჭუტა მონადირემ.

შენო, უთხრა ეგერმა, აუცილებლად კონდრაშკით მოკვდებიო.

რატომო, გადაირია ლენინი.

... მოკლე კისერი გაქვს!

სხვა რა ჰქონდა გრძელი, პარტიის ისტორიისათვის ცნობილი არაა და ტყის კაცმა მაინცადამაინც კისერს დაადგა თვალი. გაიცინა და დაღონდა ლენინი, როცა მარტო დარჩა.

იმ დღეს კი კონდრაშკის (წვეთის დაცემის) აშკარად გამოხატული ნიშნები (კისრის სიმოკლე არ მიულიათ მხედველობაში) არ აღმოუჩენიათ, თუმცა ეგერი კონდრაშოვიც, დიაგნოზს რომ კისრით სვამდა, სადღაც ახლო ტრიალებდა.

ნამლებით გაბრუებული, მთვლემარე, გაორმაგებულ კონდრაშკას ხედავდა, რას მეტყვისო, ელოდა, ფხიზლდებოდა და ძილს ვერ ერეოდა მაინც. მწუხრზე ღრმად ჩაეძინა. ნორმალურად დაიწყო სუნთქვა. მოჩვენებანი ჩამოეხსნენ.

1922 წლის 27 მაისი იწურებოდა. ვლადიმერ ულიანოვს სიკვდილის ასაკამდე დ საკუთარ კონდრაშკამდე წელი და რვა თვე (ცოტა მეტიც) ჰქონდა დარჩენილი.

მეორე დღეს ენას უკიდებდა შეუმჩნევლად და შესამჩნევადაც, ტუალეტისაკენ მიათრევდა ცალ ფეხს, დაკუტებას არ უჩიოდა. მოვიდა კონსილიუმი: კრამერი, კოჟევნიკოვი, კლემპერერი და მედპერსონალის ჯოგი. აუღეს სისხლის, შარდის, განავლის ანალიზები და ტვინის ფუნქცია: ხომ არ არისო ავადმყოფობა მემკვიდრეობითი სიფილისით გამოწვეული. ზურგის ტვინში სიფილისური დაავადების ნარჩენები არ აღმოჩნდა და მთავარი ყურადღება გამახვილდა სისხლძარღვების შევიწროებისა და სპაზმური მოვლენების ლიკვიდაციაზე. დასვეს დიაგნოზი და დაუნიშნეს წამლობა იმდროინდელი სამედიცინო შესაძლებლობების გათვალისწინებით; მთავარიაო სიმშვიდე.

აბურდულ-დაულაგებელი სახელმწიფოს მმართველს სიმშვიდეს ვინ მიანიჭებდა, წმინდა წყლის პოლიტიკოსს პოლიტიკას ვინ ჩამოაშორებდა; თანაც უიმისოდ ვერ იმღერებდნენ, ეგონა.

შესაღამოვდა. მაღალ ხეთა კენწეროთა ჩრდილები მოწვა ტერასამდე და ზარების ხმა შემოესმა; სადღაც შორიდან ყრუ და გაბმული ჟღრიალი მოვიდა. ისევ რეკდნენ, მაინც ანთებდნენ სანთლებს, აკმევდნენ საკმეველს.

Вот история, будет кондрашка!

თქვა მან გაურკვევლად. მიაყურეს, ვერ გაიგეს რა ჩაილაპარაკა.

მეორე დღეს მეკურდღლეობაზე დაიწყო მსჯელობა; რატომ დაინტერესდა ამ საკითხით, ვერ დაადგინეს, მაგრამ მისი რაიმეთი დასაქმების აუცილებლობა დაინახეს; ჯერ მაინც ავადმყოფის გონებრივი დიაპაზონი უნდა განსაზღვრულიყო. თორმეტის შვიდზე გამრავლება გაუჭირდა ცივი კომპრესით თავწაკრულს. თორმეტს მიუმატა თორმეტი, უმატა, უმატა და როგორც იქნა, გავიდა ბოლოში. დაღამებამდე მიიღო სწორი პასუხი და თავგასიებულმა ველარ დაიძინა. ჯიუტი ციფრები, იოლად რომ ემორჩილებოდნენ აქამდე, ველარ მოიცილა, გაყოფა-გამრავლების სურვილმა ალარ მოასვენა. გონებაში ყოფდა, ამრავლებდა კვლავ და მერე და მერე ეს ახირებაც მიებეჟუტა. გერმანიიდან ჩამოტანილი საგანგებოდ დამზადებული საანგარიშო „ჩოთქიც“ მიაგდო. ჭადრაკის მოყვარულს შაშის თამაში ურჩიეს. პარტნიორად დაუნიშნეს ადგილობრივი ცეცხლფარეში ნიკიტა, რომელმაც უკან კვლა არ იცოდა. ამათ გამოკრეტინებული ვგონივარ! — ჯავრობდა ლენინი, უიმედო პოზიციაზე ღრმად ჩაფიქრებულ, სახეწამოჭარხლებულ ნიკიტას მისჩერებოდა.

კალათების დაწვნა ურჩიეს. ბაღის მუშამ ანგელინა პოტელინამ ერთი იღლია ძეწნის რტო, რძისა და ნედლი ბალახის სუნი ამოიტანა. პირმრგვალ, თეძომკერდსრულ ქალს პირს ნათელი გადასდიოდა, შეკითხვებზე ყოვნდებოდა, უაზროდ იღიმებოდა, თითქოს მას არ ელაპარაკებოდნენ; თავის მოვალეობაში დაურწმუნებელი უფრო ყეყეჩდებოდა, ახალი მოთიბული ბალახისა და რძის სურნელება კი ხან ქრებოდა, ხან თითქოს ნიავის ამობერვაზე მძაფრდებოდა და ლენინი მსუბუქ, წამიერ, არაავადმყოფურ თავბრუხვევას გრძნობდა. იოლად მიხვლანჯა ერთი კალათა, მეორე წამოიწყო, მაგრამ პოტელინას უნდობლობა (ქალი ამ თამაშის აუცილებლობაში ვერ დარწმუნდა) გადაედო და მეკალათეობაზეც აიღო ხელი.

მოიკეთა. რამდენჯერმე შეუდგა კიდეც უზარმაზარი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ მსახვრელ სენს ვერ აჯობა და საბოლოოდ ჩარჩა გორკაში. მხოლოდ

ერთხელ, ეს მოხდა 1923 წლის 19 ოქტომბერს, ჩაიყვანეს მოსკოვში. უკანასკნელად შევიდა თავის კაბინეტში და ფანჯარასთან გაჩერდა: იდგა, უყურებდა მოსკოვს ბინდში. ახსენდებოდა, ქონგურზე რომ გავიდა და თვალუწვდენელი დაბლავის ნამდვილ, მყარ დედაქალაქს რომ დახედა. იმპერიის ხელახალი აღორძინების, მისი იდეების განსხეულების დრო იდგა. ახლა დრო რჩებოდა, მისი აუცილებლობის დრო ჩადიოდა, ჩამავალ მზის სხივებს მიჰყვებოდა, ტოვებდა მოძრაობას, მატერიას, აზრს...

აიღო ჰეგელის წიგნი „ფენომენოლოგია სულისა" (იგი ისე სჭირდებოდა, როგორც ვირს ნოტები) და ერთ საათში გარდაცვალების ადგილში იყო.

ერთ თბილ დღეს, წლის იმ დროისა და იმ ადგილისათვის უჩვეულო ამინდში, როცა „ჩრდილო ფლიგელის" მორკალულ გალერეაში მთვარემ შემოიხედა, ლენინმა თავზე დადებული ცივი „სათბური" მოისროლა და ყმუილი დაიწყო. თოვლში დაფარულ, თბილი მთვარით განათებულ მინდორს ყმუილი ნამოეპარა. მთვარე არ ჩადიოდა, გულის გამაწვრილებელი ყმუილი არ წყდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ „ჩრდილო ფლიგელიდან", უკვე ყმუილის გაუთვალისწინებლად, საკაცით, ჩათბილული გადაიყვანეს „დიდ სახლში", სადაც მისმა კანონიერმა პატრონმა, რუსეთის მანუფაქტურის გაბითურებულმა მეფემ, ბაბუაჩემის მეგობარმა სავა მოროზოვმა თავი ჩამოიხრჩო. ავადმყოფმა საკაციდან გადმოსვლა დააპირა, არ დაანებეს და წამოჯდა საბანმოხურული, წელქვევით შიშველს საბნიდან მოუჩანდა დიდჯიბეებიანი ფრენჩი, მიცორიალობდა სითეთრეში, ესალმებოდა დაღვრემილ შინამოსამსახურეთ, მოღუნული ხელისგული მიჰქონდა საფეთქელთან. ეხურა სამუზეუმო კეპი, თუჯისა და ბეტონის ძეგლებს რომ ჩამოამხობდნენ თავზე სულ მალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XII

ლენინი და სტალინი

მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე, რასაკვირველია, — მკვდარი. სარკოფაგში ჩანდა პატარა, წყალში გახსნილი, წამლისფერი. გვერდით ეწვა მემკვიდრე — მტერი და მოყვარე — იოსებ სტალინი. ლენინი ვარ დღესო, ირწმუნებოდა ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მავზოლეუმში მათი ერთად ყოფნის აუცილებლობა, უხერხულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით, არა და არ იგრძნობოდა.

ერთმანეთი გაიცნეს 1906 წლის დეკემბერს ტამერფორსში, სადაც ჩატარდა (მონაწილეთა სიმცირის გამო ყრილობა არ შედგა) ბოლშევიკების კონფერენცია. ამიერკავკასიიდან ჩავიდნენ მუშა ბოლშევიკი ვინმე თელია და იოსებ ჯუღაშვილი, ივანოვიჩის გვარითა და მანდატით.ლენინი მთის არწივად წარმომესახებოდაო, გაიხსენა „წითელ იუნკრებთან" შეხვედრაზე კრემლში სტალინმა 28 იანვარს „მთის არწივის" გარდაცვალების კვირის თავზე. იგი ტანითაც გოლიათი მეგონა და როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა ჩვეულებრივი, საშუალოზე დაბალი ადამიანი ვიხილეო. მთის არწივის ზომა-წონის მიხედვით თუ მსჯელობდა და იმ სახეობის არწივებზე თუ სწორი წარმოდგენისა იყო, ლენინის აღნაგობას სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა მისი ფანტაზია, მაგრამ მომავალი ბელადის ინტელექტმაც, სიტყვა-პასუხმაც ვერ დატოვა, როგორც ჩანს, სასურველი შთაბეჭდილება, თუმცა ამაზე არ მიუნიშნებია. ლენინი ისე ჰგავდა არწივს, როგორც სტალინი კოლხიდელს. ცოტა ხნის შემდეგ დაანათლეს ერთმანეთს არაფრისმთქმელი, სიაბანდი სახელები, პარტიის ისტორიამ რომ შემოუნახა შთამომავლობას. ხოლო როცა სტალინმა ჯერ კრაკოვში, შემდეგ ვენაში მარქსიზმსა და ნაციონალურ საკითხებზე დაიწყო მუშაობა, ლენინმა გორკისადმი გაგზავნილ წერილში, იმჯერზე უკვე ყოველგვარი პათეტიკურობის გარეშე, ჩაწერა: ჩვენთან ერთად მშვენიერი ქართველია დაბინავებული, იგი ნაციონალურ საკითხებზე მუშაობსო. ლევ ტროცკის, რომელსაც სტალინის არც მგზნებარება სწამდა და არც — მშვენიერება, ლენინისაგან გაუკვირდა:

ერთადერთი შემთხვევა, როცა ლენინმა რევოლუციონერი ეროვნული ნიშნის მიხედვით შეაფასაო. ეს უკვე მარქსისტული მსოფლმხედველობის უგულებელყოფის ნიშანი და ტროცკის გაოცების საბაბი იყო.

ტამერფორსის კონფერენციაზე მათი შეხვედრის სადაგი აღარაფერი მომხდარა, თუმცაღა ლენინს, ვინმე დმიტრიევსკის ცნობით, მომდევნო დღეებშიაც ერთგვარი გაოცებითა და მთქნარებით უთვალიერებია გამხდარი, ლოყებშევარდნილი, ნაყვავილარსახიანი კავკასიელის კრიმინალური სიფათი. შესვენებაზეო, სხდომიდან სხდომამდე, დელეგატები ვარჯიშობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში ცეცხლსასროლი იარაღებიდან (კოლტი, მაუზერი და სხვა). რა შედეგები აჩვენეს კავკასიელებმა, კერძოდ სტალინმა, ცნობილი არ არის.

იმავე წლის აპრილში, უკვე სტოკჰოლმში, ჩატარდა მენშევიკ-ბოლშევიკთა გაერთიანებული ყრილობა. თბილისიდან ამიერკავკასიის სახელით თერთმეტი დელეგატი გამოცხადდა. აქედან მხოლოდ ერთი (1) ივანოვიჩი (ჯუღაშვილი) იყო ბოლშევიკი, დანარჩენი მენშევიკი. ისინი იმ ყრილობაზე, როგორც ვიცით, ფორმალურად გაერთიანდნენ, თუმცა ბევრმა დღესაც არ იცის, რა ჰქონდათ გასაყოფი.

მეხუთე ყრილობა. 1907 წელი. ლონდონი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და კომუნისტებისათვის უფრო ლირსსახსოვარი თარიღის — სახაზინო ფოსტის გაძარცვის წელია.

დაცემა (ფოსტისა) და ქართველთა ყრილობის შემდეგ მოხდა ლენინ-სტალინის გაცნობა და დაახლოება, რომელსაც ეპოქალური მნიშვნელობა მიენიჭა შემდგომში, არ გაუგია არავის.

ყრილობის დამთავრების შემდეგ აირჩიეს საიდუმლო ბოლშევიკური ცენტრი (ბ ც), რომლის აბრევიატურა ძალიანა ჰგავს ბაცილას, თუმცაღა ცენტრს ბაცილასთან და ბაცილას ცენტრთან, გინდაც ძარცვა-ექსპროპრიაციასთან, იმ ყრილობის შემდეგ რომ გახშირდა, საერთო არა უნდა ჰქონდეს რა.

იმავე წლის ივნისში ლონდონის ყრილობის დამთავრებიდან თვე-ნახევრის შემდეგ, თბილისში პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე გაძარცვეს სახელმწიფო ფოსტა. ეს იყო XX საუკუნის ერთი პირველი და მსხვილი პოლიტიკური ყაჩაღობა. თავდასხმა სენსაციური, შედეგები სავალალო აღმოჩნდა. 341000 რუბლი, დღევანდელი თვალყურზომით, არც მთლად ასტრონომიული თანხა, 500 რუბლიანი კუპიურებით საზღვარგარეთ იქნა გადაგზავნილი და ევროპის ბანკების მიერ ყადაღადადებული. მსხვილმა ბანკნოტებმა, რომელთა დახურდავება არასგზით არ მოხერხდა, რამდენიმე ცნობილ სოციალისტს ამოაყოფინა ციხეში თავი და რაც მთავარია, მარქსისტული ბანდიტიზმის სისხლიანი აქცია ევროპაში გახმაურდა, იგი დაგმეს არა მარტო თავისუფალმა საზოგადოებამ, არამედ წვრილმა პარტიებმაც, რომელთაც წილი არ ერგოთ ნაყაჩაღარისა. ლენინმა პოლიტიკური ექსპროპრიაცია (ბანდიტიზმის თავაზიანი ფორმა) უარყო, თუმცა ხმა არ მისცა რეზოლუციას ამდაგვარი აქციების აკრძალვის თაობაზე.

მონაწილეობდა თუ არა იოსებ ჯუღაშვილი იმ თავდასხმაში? ან კი, ან — არა. თავად არც უარყოფდა, არც ადასტურებდა, არც ამცრობდა, არც აზვიადებდა მის როლს ყაჩაღობაში.

ტროცკის ცნობით, გერმანელმა მწერალმა ემილ ლუდვიგმა პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა: რა მონაწილეობა გაქვთ მიღებული ცნობილ თბილისურ აქციაში ფულის გატაცებასთან დაკავშირებითო? საპასუხოდ სტალინმა გადასცა ბროშურა, სადაც მისი (სტალინის) ბიოგრაფია იყო მოთავსებული.

— აქ ყველაფერი წერია!

იქ და არც სხვაგან, არ ეწერა ყველაფერი. მისი ბიოგრაფიის შემდეგდროინდელ ვრცელ და თითქოს სრულყოფილ გამოცემებში ექსპროპრიაცია ნახსენები არაა. ლევ ტროცკიმ გარემონაწილედ ჩათვალა; დაადანაშაულა და ჩამოაცალა „გმირობის“ საბურველი იყო და არა იყოს პრინციპით. ბევრმა ტროცკისოდენიც არ გაიმეტა, უფრო ბევრმა მებომბედ და დამცემად წარმოაჩინა. მენშევიკთა ერთმა ლიდერმა მარტოვმა ფოსტა არ აკმარა და თბომავალ „ნიკოლაი I“-ს მეკობრედ, მუშა ჟარინოვის მკვლელად მოიხსენია. ამ საქმიანობისათვისო, დაწერა, იგი გარიცხული იყო პარტიული (ბოლშევიკური) ორგანიზაციიდანო. ამას კი სტალინმა პროვოკაცია და „გნუსნაია კლევეტა“ უწოდა და უჩივლა კიდეც. სასამართლო შედგა, რაც ახალდამყარებული ხელისუფლებისათვისაც კი იშვიათი შემთხვევა იყო. მარტოვმა მოწმეებად დაასახელა: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი და შაუმიანი. 1918 წლის მარტი იდგა. ბოლშევიკური ხელისუფლების მეხუთე მძიმე თვე იწურებოდა და მოწმეებს სასამართლოსთვის, სასამართლოს მოწმეობისათვის არ სცხელოდათ. სტალინმა ისიდორეს გარეშეც დაამტკიცა, რომ პარტიიდან არასოდეს ყოფილა გარიცხული, რადგანაც ესეთებისათვის პარტიიდან არც

რიცხავდნენ და პირიქით, ამიტომ ალიბისა და სააღრიცხვო-სამადლობელო ბარათის წარმოდგენაც არ გაუჭირდებოდა. ასე იყო თუ ისე, არც მარტოვს დასტყდომია პარტიის რისხვა იმჯერზე. საზოგადოებრივი გაკიცხვა აკმარეს და საქმე არქივს გადააბარეს. ოპერაციას კი, რომელიც ზუსტად იყო გათვლილი და დაგარიშებული, ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო უნდა დადებოდა საფუძვლად. მზად იყვნენ: ელოდნენ ფოსტას და ბრძანებას. ლონდონიდან დაბრუნებულ დელეგატს ივანოვიჩ-ჯუღაშვილს შეეძლო ჩამოეტანა იგი.

დასტურია!

უფრო გვიან: „დასტურია, ქალაქი აიღე!" ბევრს ეცნაურება ხელწერა.

ამბობენ, ამ ფაქტმა, არმად და ცეცხლად ნაშოვნმა სისხლიანმა ფულმა დააახლოვა ისინი — ლენინი და სტალინი. ასეც იყო. ულიანოვს ივანოვიჩ-ჯუღაშვილის თავგადასავლები (ციხე-გადასახლებანი, კრიმინალურ სუბიექტებთან სიახლოვე და სხვა.) ხიბლავდა; მაგათთან (შავი სამყაროს წარმომადგენლებთან) ლაპარაკი მაგან უფრო იცისო, იტყოდა ხოლმე:

Сталин умеет разговаривать с башибузуками!

1912 წლის 5 იანვარს პრაღაში აირჩიეს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი (ცეკა) და დაიწყო ახალი ერა მათ ორგანიზაციულ მუშაობაში. კომიტეტის წევრად, ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, კოოპტაციის წესით შეიყვანეს გადასახლებული იოსებ ჯუღაშვილიც. პარტკონფერენციის დამთავრების შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ ვოლოგდაში ჩააკითხა სტალინს და აღიარება ახარა. მდუმარედ მოისმინა და მზერა გაეყინა თურმე. იგი გახდა სრულუფლებიანი წევრი ბოლშევიკური ცეკასი, რომლის სათავეშიც აღმოჩნდებოდა ათიოდე წლის შემდეგ და იმპერიის მართვის სადავეებს იგდებდა ხელთ.

გენერალურ მდივნად დაასახელა ზინოვიევმა და წინააღმდეგი აღარავინ წასულა. 1921 წლის მარტში კი XI ყრილობაზე, როცა ვიწრო წრეში მისი კანდიდატურა იხილებოდა და ზინოვიევი და კამენევი „თავიანთი კაცის" დანიშვნით ტროცკის საწინააღმდეგო ალიანსის წამოწყებას აპირებდნენ, ლენინი დუმდა, კარგად ხვდებოდა, რა მიზნებს ისახავდნენ ცრუშორსმჭვრეტელნი. არ გირჩევთ, თქვა მან, ეს ის მზარეულია, რომელიც მხოლოდ ცხარე კერძებს ჩაგაცეცხლებთო.

ციმბირიდან გამოქცეული სტალინი ბოლშევიკთა პერიოდულ ორგანოს და იმედს გაზეთ „პრავდას" ჩაუყენეს სათავეში. გაზეთს, როგორც იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი, ლენინი მეთვალყურეობდა კრაკოვიდან, სტალინს აქებდა და ერთ მშვენიერ დღეს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მთელი მისი ნარედაქტორალი. სტალინს ნადეჟდა კრუპსკაიას ხელწერა ეცნაურა. რას ერჩოდა ის დედაკაცი, გასარკვევი იყო. იგი კრაკოვში გაემგზავრა. მასპინძლებმა ამ ვიზიტით ისარგებლეს და მისდა დაუკითხავად იაშა სვერდლოვი გაარედაქტორეს.

ლენინის ავადმყოფობის დროს გორკაში ჩავიდა პროფკავშირების წარმომადგენელი ვინმე მიშერიაკოვი. ბელადთან არ შეუშვეს და კარგა ხანი, დაახლოებით ერთი საათი შეყოვნდა კრუპსკაიასთან. წამლებით გაბურბუსალებულმა ლენინმა ძილ-ბურანს თავი წაართვა და მიშერიაკოვი მოიკითხა. იცადა და უკანვე წავიდაო, აუწყა მარიამ. ჩაი თუ დაალევინეთო, დაინტერესდა. არაო. რატომო. გული მოიყვანა ლენინმა, ნამგზავრი უპატივცემულოდ როგორ გაუშვითო, შემოიხია პერანგი.

... ნადეჟდას სტუმარს ნადეჟდა მასპინძლობს და არა სხვა!

— და... — დაფიქრდა ლენინი. — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ცნობილი ბოზია... — ჩაილაპარაკა თავმდგურების თანდასწრებითაც და ჭერს მიაპყრო თვალები. იმ დღეს მეტი აღარაფერი უთქვამს. ტვინის დარბილების შეუქცევადი პროცესის გამო ბევრი

მისი სწორი მოსაზრება და წინასწარმეტყველება გააბითურეს, თუმცა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის ბოზობით სერიოზულად, მგონი ბაბუაჩემის გარდა, არც არავინ დაინტერესებულა. ქალი დაძმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ლენინს, [illegible] ებთან და სტალინს ვერ იტანდა. ქალური შურისძიების ნიშანსვეტები [illegible] ამ სიძულვილში. ამას ისიც ადასტურებს, რომ მარია, რომელსაც რძალთან, ნადეჟდასთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა, მხოლოდ სტალინს თვლიდა ლენინის ერთგულად და უახლოესად. ბუნებრივია, მახსენდება ბაბუაჩემის, არც მთლად დასაბუთებული, სამკუთხედის — ლენინ-ნადეჟდა-სტალინის — ამბავი. ჯერ კი და მერე არაო, ამტკიცებდა. გამოვიდა, რომ მან უარყო, როგორც ქალი და ქალმა, რაც სავსებით ბუნებრივია, ვერ გადაიტანა ეს დარტყმა. სტალინი კრაკოვში არ გაჩერდა, ლენინის თხოვნა-მუდარის მიუხედავად — აქ იყავიო — ვენაში გაემგზავრა სამუშაოდ და სამეცადინოდ. გაიქცა. ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციამ შეაწუხა, მამაკაცურმა სირაინდემ თუ ზიზღმა არ ვიცით. ფაქტია: წავიდა და დაწერა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხები". კრუპსკაიასათვის მიეხედა და ის არ დაეწერაო, ამასაც ვერ იტყვი, რადგან სპეციალისტების აზრით, ის არის ერთი სერიოზული ნაშრომი მარქსიზმის ცრუთეორიაში. ქალი კი შეცდომებს არ გპატიობს ხოლმე, მაგრამ აქ უკვე ქალზეა ლაპარაკი.

1913 წლის მარტში (რიცხვიც და თვეც თარსია) პეტერბურგში ციმბირიდან კიდევ გამოქცეული სტალინი ბოლშევიკების საქველმოქმედო საღამო-კონცერტზე აღმოჩნდა. დაასმინა იმან, ვინაც გამოაგზავნა. ეს იყო ლენინის რჩეული, ბოლშევიკი და რუსეთის ჟანდარმერიის ოფიციალური აგენტი მალინოვსკი. ბალ-მასკარადი დაწყებული იყო და ძებნილი გარდერობში გადამალეს. ქალის კაბის გადაცმასა და წვერულვაშის ჩამოპარსვაზე არ დათანხმდა და პოლიციას ჩაბარდა. დაიჭირეს და იმჯერზე ნამდვილ გადასახლებაში ამოაყოფინეს თავი.

გადასახლება-ჩასახლების ადმინისტრაციის დახასიათებიდან: ჯუღაშვილი იოსები. კავკასიელი ქართველი. პროფესიონალი პოლიტიკური რეციდივისტი. უხეში. ვერ იტანს და აბუჩად იგდებს ზედამხედველებს, ადმინისტრაციას. მიდრეკილია კრიმინალური სამყაროსაკენ...

ტროცკი: (დამატებით):

მეგობრობდა ქურდთან, მეტსახელად ჩაიკა, დაახლოებული იყო ოს პოლიციელთან, გვარად კიბიროვთან (შეიძლება ჩიბიროვთან). ერთხელ დედას აგინებდა (ლომის ხახაში აგდებს) ქართულად ებრაელებსო და იმოწმებს ვინმე ვერეშჩაკს და იქვე ახსენდება მაინცადამაინც ოსი, თანაც პოლიციელი.

დრო ნელა გადიოდა, ან საერთოდ არ გადიოდა საციმბიროში, სითეთრეში, ყინვასა და პოლარულ ციალში. სტალინი ნადირობდა მახეთი და ხაფანგებით, თევზაობდა ადგილობრივი და საკუთარი წარმოების სანადირო-სათევზაო მოწყობილობებით. ხანდახან დეპრესია იპყრობდა, აღარც ნადირობდა, აღარც გველაპარაკებოდაო. ამასობაში ევროპის საკურორტო ადგილებში ჩალაგებულ ბოლშევიკებსაც, პირადად ამხანაგ ლენინს გაახსენდა იგი. ეს მომხდარა 1915 წლის შემდგომაზე.

ლენინმა მიწერა ვინმე ემიგრანტ კარპინსკის: Большая просьба: узнаите фамилию „Кобы" (Иосиф Дж...??) мы забыли — очень важно!!"

ორი ძახილის ნიშნით (შეიძლებოდა მეტითაც) ხაზგასმულია მნიშვნელობა ცნობისწადილისა და შეიძლება ამიტომაც კარპინსკის მოკლე და ლაკონურმა შეტყობინებამაც არ დააყოვნა: „ Иосиф Джугашвили. Карпинский."

პასუხი გაცემული იყო, თუმცა „ჩუდესნი გრუზინის" გვარი სხვა დროსაც დააავიწყდა: ავადმყოფობისას, როცა სტალინისაგან ციანიდკალიუმის სასურველ დოზას ელოდა, ენის მოკიდებით იმეორებდა: ჯუ, ჯუ, ჯუ... კობა...

კობა ახსოვდა, ჯუღაშვილი — არა, თანაც ტვინსამტვრევი გვარი ენის გასატეხად სჭირდებოდა გამრავლების ტაბულასავით. იხსენებდა, შუბლის ნაოჭებიც ტკიოდა: დჟუ, დჟუ, დჟუ...

ლენინს კი არა პატრონს გაუჭირვა საქმე; რა ხერხს არ მიმართა და ჯუღაშვილი სიკვდილამდე ჯვარდაწერილივით ატარა: დჟუ, დჟუ, დჟუ... არ უშველა ივანოვიჩმა, ბესოშვილმა, კობამ და თვით სტალინმაც; როგორც მეჯღანუაშვილმა გვარიდან ჯღანი, ისე კობა-სტალინმა — დჟუ, დჟუ, დჟუ — ვერ ამოიგდო.

ტურუხანის მთვლემარე, სიზმრისეულ სიცივეში ბოლშევიკური ცეკას ოთხმა წევრმა — ჯუღაშვილმა, სვერდლოვმა, თბილისელმა სურენ სპანდარიანმა და თბილისელმა რეზენფელდმა (კამენევმა) — ერთ სოფელში, მათი იდეოლოგიური მრწამსისათვის არც მთლად შესაფერ სახელწოდებიან — მონასტირსკოეში, მოიყარა თავი; პოლიციას განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა ოთხივენი, მაგრამ ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ოთხი (ვთქვათ — სამი) ღვთისაგან წყეული — სოსო, ბორის, იაშკა — რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა, ხელმწიფე-იმპერატორს — ღვთითკურთხეულს შეცვლიდა ერთ-ერთი.

*

... ვინ ხარ ახლა შენ? — ჰკითხა დედამ.

— მე ახლა ხელმწიფის ადგილში ვარ, ნიკოლოზი ხომ გახსოვს... მთელ ქვეყანას ვმართავ...

ვერ გაიგო და სხვა უპასუხა.

ჩემი შვილი თუ ხარო, ეკითხებოდა.

... შენ მღვდელი გინდოდა გამოვსულიყავ...

— მინდოდა... მერჩია, მღვდელი ყოფილიყავ...

სერგი ქავთარაძის მეტი არ შეჰყოლია დედასთან. უხერხულობის მოწმედ ფანტაზიორი, კობას გმირობის იძულებით მეზღაპრე ქავთარაძე ირჩია.

ჩიხტიკოპიანი ქალი ტახტზე იჯდა და დუმდა.

შვილია მისი, თბილისქალაქი ამან ააფორიაქა?.. ის სადღაა, ვინც ვაით შობა და ვუით ზარდა.

ბელადის დედის მეგობრებს, ცეკას დანიშნულ მეგობრებს, უაზროდ უხაროდათ და აღარ იცოდნენ, როგორ უნდა გამოეხატათ ეს სიხარული. დედა ვერ ხვდებოდა, რა იქნებოდა შემდეგ, — აღარაფერი? ეს მათი ბოლო შეხვედრა ხომ არ იყო?

გაფერმკრთალდებოდა, გათეთრდებოდა და ჩაქრებოდა პატრუქი შვილის უნახავად ორი წლის შემდეგ.

ჭრაქის შუქზე იწვა სიცხიანი, სახეზე ალმურადენილი, გახურებულ შუბლზე კანაფხალდადებული. ჭრაქის ალი პარპალებდა, ნესტიანი კედლის ბათქაშზე ლანდები ბორგავდნენ.

ავადმყოფობამ ნაბოლარა სახადს გადარჩენილი შვილიც წაართვა, გაჭირვებამ გაუხელმწიფა და აღარ დაუბრუნა. ვაით ნაშობი და ვუით გაზრდილი, სიცხიანი, სახეშავად აყვავილებული და ერთადერთი...

სადა ხარ შენ?!..

... მე ახლა ხელმწიფის ადგილში ვარ, ნიკოლოზი ხომ გახსოვს, მთელ ქვეყანას ვმართავ...

არ თენდებოდა. საწოლიდან საწოლზე, ტახტიდან ტახტზე გადადიოდა, საბანში ეხვეოდა, იკუნტებოდა, თვლემდა და არ ეძინებოდა საგარეუბნო სასახლეში გამოკეტილ მარტოსულს. ღამე არაა ძილისა... ღამე უნდა იფხიზლო... ღამე ღა-

ლატის, ლანდებისა და მოჩვენებებისაა, მათი როკვისა და ზეიმის დროა... არ უნდა დაიძინო, არ უნდა დააძინო... მკვდრებისა და ჩონჩხების ქვეყანას ღამე უნდა უთიო... მე ახლა ნიკოლოზის ადგილში ვარ, ძნელია ამოდენა ქვეყნის მართვა, ყურადღება არ უნდა მოადუნო, არ უნდა დაგეძინოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

... შვილო, ის კაცი არ დახვრიტო შენ!

„რომელი მიხსენა?!" — ღამეს გაულო თვალები ზმანებიდან არგამოსულმა.

„არ მოკლა ის!"

„ვინ ის? მე ვკლავ ხალხს, ადამიანებს? მაინც ვინ, ვის მთხოვს?.. ახ, ახ... სერიოჟა, სერგო..."

ფეშიშველმა გადაიარა ცივი იატაკი ერთ-ერთი ტახტიდან პულტამდე. კანკალებდა, ფანჯრებსა და სქელ ფარდებს იქით მაინც ღამე იყო, არა და არ თენდებოდა; კავშირის მეორე მხარეს დაფეთდნენ; ხმაური და დედის გინებაც ისმოდა სუსტად. ღრმა ძილიდან გამოზრულმა უპასუხა:

— ხრუუმხმრრრ...

— სად არის ქავთარაძე?!

იქაც რეკდნენ. სხვა აპარატებს ახრიალებდნენ.

— კარგი... — გათიშა.

„...ცოცხალი ყოფილა!" მოეშვა. შეფხიზლდა. გახევდა მაგარი სკამის სახელურებზე ხელებჩაჭიდებული.

— ცოლი?!

— ისიც!

უკვე ზუსტ ინფორმატორამდე მისულიყვნენ.

— შვილები?

— გოგონა!

ორი ვაჟი გაბნეოდათ უკიდეგანო და ცივ საბავშვეთში. აღარ იყვნენ. მიხეილი და გიორგიც ხომ მიიბარა უფალმა!.. ისინიც ხომ წაართვეს დედას... სახრჩობელებით ხომ აავსეს მიწა, ჩემს თავს ზემოთაც ქანაობდა ყულფი... ესე ბრუნავს და არ ჩერდება... ჩვენ ვინ გვეკითხება!

ჩამოვიდეს. ჯერ აქ! ჰკითხეთ, რას ჭამდა, როგორ ექცეოდნენ...

— ჯერ აქ, შემდეგ მოუსვლელში, თუ არ ივარგებს! მიცვალებულის ნაცვალია... ბავშვობასავით გრძელია უძილობა, სიცოცხლე დღესავით ხანმოკლეა...

*

პირველ წლებში ერთად იყვნენ. სტალინი სმოლნში ლენინის კაბინეტიდან არ გამოდიოდაო. თანაშემწეს ლენინისას ვინმე ს. პესტკოვსკის უკვირდა, რას თათბირობენ გაუთავებლადო. ერთ გამოძახებაზე შესულა და ასეთ სურათ გადაწყდომია: სკამებზე შემდგარიყვნენ და რუსეთის იმპერიის უზარმაზარ რუკას შესწვდენოდნენო; ისე იყვნენ რუკით შეპყრობილნი, რომ პესტკოვსკის არც შესვლა გაუგიათ, არც გასვლა. ლენინი მსოფლიოს მოკლე თითებით კუმშავდა და აფართოებდა, ერთ წერტილს მიჭიჭინებული სტალინი ყალიონის კვამლს უგერიებდა მარცხენა ხელით.

1920 წლის 23 აპრილს, ლენინი რომ ორმოცდაათის გასრულდა, სტალინმა გამოაქვეყნა სტატია „ლენინი — როგორც ორგანიზატორი და ბელადი", სადაც ლენინის შეცდომებზეც, რითაც ყველა გააოცა, იყო ყურადღება გამახვილებული.ქება-დიდებასთან ერთად ეწერა, რა ისწავლა მისგან — ლენინისაგან (ამას მოგვიანებით მიაქცევენ ყურადღებას) ისეთი, რაიც მის ზეაღმასვლაზე მოახდენდა შემდ-

გომში გავლენას. ბევრი ისწავლა, ბევრი — არა, ბევრი შეკონა, ბევრი გადაახურდავა და მაინც რა ისწავლა: ყველაფერი — ხეზე ასვლის გარდა. ხეზე ასვლა ლენინმაც არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ფარული და საზღვარგარეთ თავგაღწეული ოპონენტები აღნიშნავდნენ, სტალინი ყალიბდებოდა და საფუძველს იმაგრებდა როგორც აპარატის (Апаратчик) მუშაკი და მისი წარმატების საწინდარი ერთი, თუ ერთადერთი არა, თვისება კონცენტრირებული პატივმოყვარეობა ყოფილა: Всякая особенность характера достигнув известной силы напряжения превращается при известных условиях в преимущество.

არქიმედისეული (სითხეში ჩაშვებულ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც უდრის განდევნილი სხეულის წონას) ფორმულაა და ტროცკი ავტორი იმ, და არა მხოლოდ იმ ფორმულისა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, თორემ ფორმულებისა და მაქსიმების ჩამოყალიბება არ უჭირს.

1925 წლიდან უკვე დიქტატორი იყოო, ამტკიცებს, რაც საეჭვოა, თუმცა სტალინის დიქტატორობა უფრო ადრე, ლენინის გარდაცვალებისთანავე იწინასწარმეტყველა:

ისტორიის დიალექტიკამ უკვე ამოსდო კავი და დაუწყო აწევა. იგი წავა ზევით და ზევით... საამისოდ ეყოფა ძალა, გამბედაობა, ეშმაკობა და სიერაგე...

ლენინი, როცა ტროცკისა და სტალინის გარდაუვალ განხეთქილებაზე ლაპარაკობდა, მათ მომავალსაც წინასწარმეტყველებდა, იმ განსხვავებით, რომ იგი ფაქტამდე წერდა და აფიქსირებდა თავისას, ტროცკი კი პირიქით, ფაქტის, მომხდარის შემდეგ იწყებდა მარჩიელობას, თუმცა ხშირად არ ცდებოდა.

გორკაში ჩასულმა სტალინმა მიუძღურებული მასწავლებლის სახეზე მოახლოებული სიკვდილის მომასწავებელი ნიშნები ამოიკითხა და გაუკვირდა, როცა ერთი თვის შემდეგ საიქიოდან მობრუნებული იხილა. ეს დროებითი რემისია იყო. ლენინი ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეებს ეპოტინებოდა კვლავ, თუმც კი გრძნობდა, რომ უკან-უკან მიდიოდა. 13 დეკემბერს კრემლის კაბინეტის ლიკვიდაცია, ქვეყნის სამართავი ბერკეტების დაკონსერვება დაიწყო, მაგრამ პოლიტმეთვალყურეობა გორკადანაც არ შეუწყვეტია. იმ დღეებში, სწორედ სტალინის კაბინეტში, პოლიტბიუროზე საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის ლენინური გეგმა დამტკიცდა. ლენინის გეგმა-ინსტრუქციას ხმა მისცა სხდომის წევრთა (პოლიტბიურო, სახალხო კომისართა საბჭო) აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის სტალინმა, რომელიც ადრე იმ გეგმის წინააღმდეგ გამოდიოდა, მეორე დღესვე ლენინის სამადლობელი წერილი მოვიდა. ბელადი მხოლოდ ტროცკის (აქაც კრუპსკაიას ხელწერა და კალიგრაფია იცნობოდა) უცხადებდა მადლობას და არა სხვას, თუნდაც სტალინის სამდივნოს, რომელმაც საკითხი ლენინის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიტანა. დაურეკა ქალბატონ ნადეჟდას და ბელადის შეწუხება, ცეკას დადგენილების უგულებელყოფა და პარტიული დისციპლინის დარღვევა დააბრალა, რაც სხვას დააკლო, იმას შეუსრულა; თავის მართლება არ აცალა, შეუკურთხა და აპარატის ყურმილი მიუკიდა. თავატკივებულმა კრუპსკაიამ კამენევს მისწერა წერილი და შველა სთხოვა, დამიხსენიო...

მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლებოდა ინციდენტი ამოწურულად ჩათვლილიყო, ქართველი ბოლშევიკების ვიზიტი რომ არ მოჰყოლოდა ამ ამბავს. ქართველმა ბოლშევიკებმა, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს დამოუკიდებლობას რომ ეძებდნენ და სტალინის ყბადაღებულ ავტონომიზაციას ებრძოდნენ, ლენინის ყურადღება და მხარდაჭერა ჰპოვეს და ამით გათამამებულებს საქართველოს ნაწილობრივი დამოუკიდებლობის საქმე გადაწყვეტილი ეგონათ.

სტალინმა ლენინს ჩააკითხა, რათა პირადად მასთან, ერთი ერთზე გაერკვია ის საკითხი და, საქართველოს „დამოუკიდებლობის" მცდელობის დამლუპველ შედეგზე ელაპარაკა. ქალბატონმა კრუპსკაიამ არ დართო ავადმყოფთან შესვლის ნება და მიიღო კვლავ თავისი: დედ-მამა აგინა და „შლიუხა" უძახა სტუმარმა სხვების თანდასწრებით, პარტიული კონტროლის კომისიით დაემუქრა და წავიდა. ბაზედოვის ავადმყოფობის ნიშნებით გაჯერებულმა, ნევრასთენიით შეპყრობილმა ნადეჟდამ იატაკზე დაიწყო ფართხალი და თმის წეწვა-გლეჯვა. პოსტკრიპტუმმაც არ დააყოვნა.

P. S.

... ლენინი უკვე სტალინის გადაყენებას მოითხოვდა, თუმცა ანდერძი ანდერძად ინახებოდა, რადგან აღსრულება აღმსარებლის სიკვდილსაც — გაიხსნას ჩემი გარდაცვალების შემდეგ — ითვალისწინებდა და სხვა საშუალებებით, მისსავე სიცოცხლეშივე, დააპირა დჟუ, დჟუ, დჟუ-ღაშვილის განადგურება. აგონიის მოახლოებისთანავე გაეხსნა მეორე სუნთქვა და ენერგიულად დაიწყო შეტევა. ჯერ სტალინის უწყება მუშ-გლეხინი (Рабкрин) გააცამტვერა: იმაზე სუსტი, იმაზე არაფრის გამკეთებელი სახელმწიფო დაწესებულება რუსეთში არ მოიპოვებაო; ქართველ ბოლშევიკებს, — ანტისტალინელთ, მხარში დგომა აღუთქვა და ბოლო-ბოლო ცოლის შეურაცხყოფისათვის ბოდიში მოითხოვა მუქარანარევი ტონით. გეგმაზომიერად, ერთი მიმართულებით უშვებდა ისრებს და ყველს სროლაზე თავში სისხლი ექცეოდა წვეთ-წვეთად.

ამხ. ამხ. მდივანს. მახარაძეს და სხვებს (ასლი ამხ. ამხ. ტროცკისა და კამენევს!)

პატივსაცემო ამხანაგებო! მთელი არსებით თვალს ვადევნებ თქვენს საქმიანობას. აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის სირეგვნით, სტალინისა და ძერჟინსკის წამქეზებლობით. ვამზადებ თქვენთვის ჩანაწერებს და სიტყვას.

პატივისცემით ლენინი.

ამხ. ამხ. ამხ-ებს!..

ეს მისი უკანასკნელი წერილი აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

ლენინის ჩრდილში და ძეგლების მსხვრევა

... რამდენიმე პარტიული ამხანაგი, მათი გვარ-სახელები და პარტსტაჟი, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით, წინააღმდეგია ლენინის კრემაციისა. — განაცხადა სტალინმა პოლიტბიუროს სხდომაზე. — მე პირადად, მხარს ვუჭერ ამხანაგ ლუნაჩარსკის წინადადებას ლენინის დაბალზამების შესახებ...

სხდომაზე ერთსულოვნება არ ყოფილა: ტროცკი, კამენევი და ბუხარინი წინააღმდეგნი წავიდნენ, თუმც არც კრემაციას დაუჭირეს მხარი. ლაპარაკი იყო, ცხადია, სასაფლაოზე დამარხვაზე, მაგრამ არც ეს მიიჩნიეს მიზანშეწონილად და რადგანაც ხეზე ვერ ჩამოკიდებდნენ, ბოლოს მაინც დაბალზამებას დაუჭირეს მხარი.

აღნიშნავენ: დაბალზამების ძველეგვიპტური წეს-ჩვეევის იდეა წინა წელს ლუქორში ჰოუვარდ კარტერის მიერ ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის აღმოჩენამ გამოიწვიაო. ეგრე იქნებოდა, რადგან მთელი მსოფლიო იმ დროს იმ სენსაციური აღმოჩენის შესახებ ლაპარაკობდა და დაბალზამების საკითხი ბუნებრივად დადგა პოლიტბიუროს დღის წესრიგში, თუმცა ლენინი იმ დღეს ცოცხალი იყო.

იანვარში, გარდაცვალების მესამე დღეს, მასობრივი გლოვის დაწყებამდე, ისევ განიხილეს ის საკითხი და კრუპსკაიას წინააღმდეგობისა და გარდაცვლილის თანხმობის გარეშე, იგივე დაადგინეს. დამკრძალავ კომისიას „ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფი კომისია" უწოდეს და დამწუხრებულ მოსახლეობას 25 მარტს, გარდაცვალებიდან ორი თვისა და ორიოდე დღის შემდეგ, აცნობეს: გვამის სამუდამოდ და სახიერად შესანახავად მეცნიერების ყველა მიღწევა (იგი ჩვენ ხელთაა) გამოყენებული იქნება და ბელადი შეენახება კაცობრიობას, მადლიერ შთამომავლობასო.

თქვეს და აღასრულეს: 1924 წლის პირველ აგვისტოს ააგეს ხის დროებითი და 1930 წელს ქვა-გრანიტის სამუდამო მავზოლეუმი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების საპარადო-სადღესასწაულო ფეხის ადგილი.

ვიცი საქმენი შენი, და რომ იქ მკვიდრობ, სადაც სატანის ტახტია...

გერმანელ მწერალს ლუდვიგთან საუბრისას თქვა: რაც შემეხება მე, — მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ და ჩემი მიზანია, ვიყო მისი ღირსეული მოწაფე.

სად მე და სად ლენინიო დაითავმდაბლა თავი და სულ მალე ლენინის მოწაფე მასწავლებლის ტოლი და სწორი გახდა; წინ წასვლა სიცოცხლის ბოლო წლებამდე, როცა სიფხიზლე დაკარგა და დაიღუპა კიდეც, არ უცდია.

ს ტ ა ლ ი ნ ი — ეს ლ ე ნ ი ნ ი ა დ ღ ე ს.

დაასკვნა არამკითხე ანრი ბარბიუსმა.

მონა-თანამებრძოლმა მოლოტოვმა (სკრიაბინმა) დაუმატა:

... უფრო მეტიც (სულ არ გამოვიდა — მეტი), ამხანაგი სტალინი არის ლენინის საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელი.

მიქოიანმა ხელახლა აღმოაჩინა ანრი ბარბიუსის ფორმულა და ახალი სული ჩაბერა მას:

და (ეს დაამატა), ს ტ ა ლ ი ნ ი ლ ე ნ ი ნ ი ა დ ღ ე ს!

თავად სტალინმა საკუთარ ბიოგრაფიაში საკუთარი ხელით, ლურჯი ფანქრით (ავტოგრაფი დაცულია) ჩაამატა:

... სტალინი — ლენინის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. ანდა, როგორც ჩვენ პარტიაში ამბობენ, — ს ტ ა ლ ი ნ ი ეს ლ ე ნ ი ნ ი ა დ ღ ე ს!

რაც მაღალი იქნებოდა პირამიდა, სვეტი, სტელა, ძეგლი კაცისა, მით უფრო გრძლად გაწვებოდა ჩრდილი და მით უფრო მშვიდად იქნებოდა კაცი ჩრდილში. სიშიშვლეს მისას ვერ იხილავდნენ, თავისას სხვას დააბრალებდა, სხვისას თავისად გაასაღებდა და უცხო თესლზე — სხვის ჩრდილს თავშეფარებულ — იბატონებდა.

ამიტომ წარმოიშობა იდეა კოლოსისა. იგი ზოგჯერ დამდგმელს განადიდებს და არა იდეას, არა სუბიექტს — ვისი სახელიც დაერქმევა მას.

ვისთვის აღმართეს თუ ვინ აღმართა?

დიადი აღმშენებლობის დროს დამტკიცდა და პრესაში გამოქვეყნდა ლენინის გიგანტური მონუმენტის პროექტი. არნახული სიდიდის მემორიალ-ძეგლის შიგანში უნდა განთავსებულიყო აპარტამენტები (მუზეუმები პარტიულ-რევოლუციური დიდებისა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, ლენინური უნივერსიტეტი) გაბზეკილ თითში (წარმოვიდგინოთ მასშტაბი) განთავსდებოდა ლენინის ბიბლიოთეკის ფილიალი სამი სამკითხველო დარბაზით, წიგნთსაცავითა და კაბინეტებით; თავის ქალაში პოლიტბიუროს სხდომებისა და ცეკას პლენუმების გამართვის ვარიანტებზეც იქნებოდა მსჯელობა, მაგრამ ხელთქმნილი ძეგლის აღმართვას არ ეწერა საშველი.

ბევრი ვეცადე შენთვისო და ძლივს გამოვიდა ჩემთვისო, და მართლაც, უნდა ითქვას, გაცილებით სადად და მოკრძალებულად აღიმართა მონუმენტი სტალინისა ვოლგა-დონის არხზე. თითი ცოცხალი ბელადისა მხოლოდ და მხოლოდ მეტრს და თორმეტ-ცამეტ სანტიმეტრს მიუახლოვდა. სტალინს თითის გაბზეკა არ უყვარდა, ხელსაც არ იშვერდა, თორემ შეიძლებოდა ყალიონში ცეცხლის (Вечный огонь) გაჩაღება სამამულო ომში, ციხე-საპატიმროებში დაღუპულ მილიონთა საპატივცემულოდ.

ჰელიოსის ქანდაკებამ, მსოფლიოს შვიდთაგან ერთმა საოცრებამ, დროს ვერ გაუძლო, გაქრა, მაგრამ ადამიანთა მოდგმის, წინაპართა შემოქმედებითი ნიჭის, ფანტაზიის, გენიის გამოვლენის მახსოვრობად შემორჩა შთამომავლობას. სტალინის მონუმენტი დრომ შექმნა, დრომ დაშალა და ფიდონის შედევრს დაედარა ზომით და არა სიდიადით.

ჰელიოსის ბრინჯაოს კოლოსი დღევანდელი მეტრზომით ორმოცდახუთი მეტრის სიმაღლისა ყოფილა; სტალინისა (ძეგლი 24 მეტ. პოსტამენტი 20 მეტ.), მიწაყრილს სათვალავში არ ვაგდებთ, იმავ ზომის (45 მეტ.) გამოვიდა და მართალია, მზის ქანდაკთან არავითარი საერთო არ ჰქონია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ისიც დრომ მოსპო, თუმცა ვინც ააგო, იმან დაშალა და წააქცია ადამიანმა და არა მიწისძვრამ.

მზის სადიდებელი მიწის რყევამ დასცა და ვეღარავინ წამოაყენა. ყვითელ ქვიშაში იყო იგი გაშხვართული და მზეზე ბრწყინავდა. გადადიოდნენ ქვიშაზე საუკუნენი, მზე ამოდიოდა, ჩადიოდა, მზის შვილს ქვიშა იხუტებდა და ინახავდა.

ბოლოს იგი ებრაელმა იყიდა (მავანს მოგონილი ეგონება), დაჭრა და ცხრაასი აქლემით წაიღო.

ყვითელ, ცხელ დიუნებში და დიუნებზე ზანზალაკების წკარუნით მიირწეოდა ქარავანი, პალმების ჩრდილებისაკენ, ოაზისების მირაჟებისაკენ მიიწვართებოდა.

სტალინის მონუმენტი, აღმართვიდან ცხრა წლის შემდეგ, 1961 წლის ნოემბერში, ღამით, ცივ ტაროსში, პროჟექტორების შუქსა და თეთრი ფანტელების ციალში დასცეს. ასოცდაათტონიანმა ბრინჯაომ მოადინა ზღართანი თოვლში, ავარდა ბუქი და პროჟექტორების შუქში შედედდა.

სტალინი პროფესიონალი რევოლუციონერი იყო. სამოსი მისი (უნიფორმა) პროფესიას, სოციალურ წარმოშობას, მძიმე და საინტერესო ბიოგრაფიას შეეფარდე-

ბოდა, სანამ გენერალისიმუსის თეატრალური გარდერობის ტანსაცმელი არ მოარგეს, როლი და ფორმა ერთმანეთს არ დაცილებია. შემდეგ იგი დაემსგავსა ბუტაფორიულ გმირს კინოფილმებისას. დგამდნენ, ქმნიდნენ ახალ სახოტბო, უსახურ ჟანრს და იგი ხედავდა საკუთარ თავს ეკრანში, სცენაზე, ჩარჩოში, სხვაში, ყვავილაფერში, მხოლოდ არა სარკეში...

ჯინჯილებსა და ორდენ-მედლებს არ დახარბებია; ჰქონდა, შეეძლო და არ იღებდა, თუმცაღა ორიგინალობითაც ვერ დაიკვეხნიდა. უბრალოებით ამაღლება გამორჩეულობის ნიშანი, დიქტატორთა პოზა იყო და არა თავმდაბლობის გამოხატულება.

ომის ძლევამოსილად გასრულების შემდეგ, გამარჯვების პარადისა და საზეიმო ბანკეტებისათვის პოლიტბიურომ (ამბობენ, ბერიას თაოსნობით) მოუმზადა სიურპრიზი: მიანიჭა რა მეორე მედალი გმირისა ლენინის ორდენთან ერთად. სტალინი დასაბმელი შექმნილა. დაუმატეს ერთი, თითქოს ხუთს ვერ დაიკიდებდა, ეს რომ მისთვის აუცილებელი, თუნდაც საჭირო ყოფილიყო. რისხვა დაატყდა ბევრს, უმეტესი — ბერიას. ფაქტი კი ბერიას მარტო მლიქვნელობის კი არა, დაუფიქრებლობის, რამდენადმე, უჭკუობის შედეგი იყო.

მისცეს და ვერ გადასცეს. გამოქვეყნდა. გადაიცა. გაიგეს. პატრონმა არ მიიღო. მიმნიჭებელმა ვერ დაიბრუნა. მიუტან — ვაია, არ მიუტან — ვუია. იფიქრეს, იფიქრეს და კარგა ხნის შემდეგ ეჟვანი შეაბეს დაცვის სამსახურის ერთ-ერთ უფროსს, კომენდანტის მოადგილეს, სტალინთან შეთამამებულ კაცს, ვინმე ორლოვს.

— რას მალავ, ორლოვ, ზურგსუკან?!

გაზაფხულია. მზეა. ბელადი ვაშლის ფესვებგამდგარ და ტოტებგაბარჯღულ ნერგებს სხლავს დინჯად.

ტკაპ! ჩამოვარდება ყლორტი ძირს.

ტკაპ!

— ჯილდოა, ამხანაგო სტალინ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მოგენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მეორე მედალი ლენინის ორდენთან ერთად. ნება მომეცით გმირის მეორე...

— ვინ გამოგატანათ, ამხანაგო ორლოვ?! — სეკატორი მარცხენა ხელში გადაიტანა.

— მეორე ოქროს... პოლიტბიუროს...

— პოლიტბიუროს დედა!.. — დახედა. იმჯერზე რუსულად და ორლოვისათვის კიდევ ერთ გაუგებარ ენაზე შეუკურთხა, ჯილდო მოისროლა. ორლოვმა მოწყვეტით ასწია თავი, ქუდი ხელით დაიმაგრა კეფაზე და კოლოფს და მედალს, ცალ-ცალკე რომ ეშვებოდნენ ახალგაფოთლილ კენკროვან ბარდებში, თვალი გააყოლა.

მეორე დღეს, როცა სტალინი კრემლში წავიდა, სასახლის მთელი დაცვა გამოვიდა ჯილდოს საძებნებად; გამოიტანეს ფიწლები, ფოცხები, კოლოფი ნახეს, ოქროს მედალი — ვერა. ამის შემდეგ მაგნიტური ხელსაწყოებით (მაგნიტი ოქროს არ იკარებს) დაიწყეს ბუჩქნარში ბურჯალი. ოქრო ვერ იპოვეს.

ისე მოკვდა, მედალი არ მოუკითხავს. გააპატიოსნეს, საკუბოვედ გამოაწყვეს და სვეტებიან სახლში გადასვენების წინ ვოროშილოვი გმირის მეორე მედლის ბედით დაინტერესდა. სად არისო, კითხულობდა. ერთი გულზე აქვს დაბნეული, ვხედავ, მეორე?!

მეორე არ იცოდნენ. ეძებეთ, შინ იქნებაო. ვეძებეთო, ვერ გაბედეს. იმ ისტორიის მოწმეებიც ცოტანილა იყვნენ დარჩენილნი. ფეხს აღარ იცვლიდნენ, დუმდნენ.

— სად არის?!

— არ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის, არ არის. ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე, უდარა ერთმანეთს, ერთი შეაუკეთესა, თავისი ჭკუით და ფრთხილად მიაბნია გულზე განუყრელ პირველთან ახლოს. გმირის ორი ოქროს მედლით გაასვენეს.

მესამის ისტორია ბარე ორმა არ იცის:

... ჩაემხო თუ არა თოვლში ბრინჯაოს კოლოსი, გამოცვივდნენ ელექტროშემ-(იმ მომენტისათვის) ელექტროგამდუღებლები და დაუწყეს ჩრჩილვა-ფლეთა ბრინჯაოს; ნაპერწკლების ცვენაში, თოვლის ბრჭყვიალში, ფანტელების ციალში ჭრიდნენ, შიგნავდნენ. ღამის თერთმეტ საათზე მოჭრეს თავი. გაუყარეს ცხვირში „ტროსი" და გაათრიეს ტრაქტორით აღტაცებული პროლეტარიატისა და სუკის პირქუში აგენტების თვალწინ; მიათრიეს და გვარლი (ტროსი) ველარ გამონიწვეს ცხვირიდან. შეიქნა ქიჩავ-ქიჩავი, ყვირილი, დედ-მამის კუბოს ფიცრებისა და დედის სულის გინებით.

— დერეჟის, ბატია! — იყვირა ვილაცამ.

გამხიარულდნენ და სუკის წარმომადგენლებსაც გადაუარათ ირონიულმა ღიმილმა სახეზე: მოვა კიდევ მაგის (ჩვენი) დრო, ტყუილად გიხარიათო. შორიდან მაყურებელს ეგონა, რომ თავს კბილებით ეჭირა გვარლი და არ უშვებდა. რამდენ ხანს გაუძლებსო, აინტერესებდათ და უხაროდათ. ნგრევასაც აღტაცებით შეეგებნენ, სიჯიუტეც მოეწონათ იმ კაცისა.

სამუშაოთა მწარმოებელმა, წაქცევის მანდატიანმა რწმუნებულმა ვინმე ივანოვმა, რუსმა (?) ელექტრო...გამდუღებლებს ამოაჭრევინა, როგორც თავად ივანოვი ირწმუნება, 65 x 75 ზომის ვარსკვლავი და ყველაფრით კმაყოფილმა ამწეთი თვითმცლელის ძარაზე შემოადებინა მედალი მესამე — ბრინჯაოსი. გულზე ვერ დაიკიდებდა, კომუნალურ ბინაში ვერ შეატევდა და მაინც წაიღო სამახსოვროდ, საკუთარი გმირობის მოსაგონებლად. სამხრეებსა და შტიბლეტებსაც გამოუჩნდებოდნენ მესაკუთრე-კოლექციონერები, გადარჩენილ წმინდა ნაწილებს კი ბრძმედებში შეყრიდნენ გარდაცვალებისათვის.

მეორე დღეს ცივ ნისლში ზეზე წამომდგარი დაინახეს დონის „მეზღვაურებმა" ორჩხომელიდან. ღორღნაყარზე იდგნენ ბრეზენტის სველ სამოსში გახვეულნი და სტალინს ხედავდნენ: იგი ისევ იდგა კვამლისფრად... ჩანდა მაზარით, ქუდით, ულვაშით — პირქუში. ესო, აუხსნეს მეზღვაურებს იქ, სადაც საჭირო იყო, იმ კაცის ჰელიოგრაფიული გამოსახულება იქნებოდაო, საერთოდ, დედა გეტირებოდათ, ადრე, მისსავე სიცოცხლეში, რომ დაგენახათო...

*

ნგრევით დაიწყეს, ნგრევაში ამოუვიდათ მთავარი სული: ჯერ ძეგლებს, შემდეგ ეკლესიებს მიადგნენ:

ქალაქის შუაგულში იდგა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკრებულო ტაძარი, რომელსაც დიდი დღე აღარ ეწერა: ადგილობრივი ბოლშევიკები დანგრევას უპირებდნენ იმიტომ კი არა, რომ რუსთხელმწიფის აშენებული იყო და ალექსანდრე ნეველისა ერქვა ადრე, არა, დავით აღმაშენებლის (სოციალ-დემოკრატების დამსახურება) სახელი უფრო აწუხებდათ და არც ეს იყო მთავარი; მთავარი იყო ნგრევა, ჯვართამაღლება კი არა — ჯვართდანარცხება, ჯვართწაქცევა.

ისტორიული ღირებულებაც არ გააჩნია, დავანგრევთ, ავაშენებთ (სხვა ადგილი არ იყო თითქოს ქალაქში) კულტურის სახლს, თეატრს, აგიტთეატრს, მშრომელთა მასობრივი დასვენება-გართობა-განათლების კერასაო. აგზავნიდნენ თბილისში აღმასკომის გადაწყვეტილებებს ამის თაობაზე. დედაქალაქიდან, რაც ცოტა უცნაურია, პასუხი აგვიანებდა, არც ავს იტყობინებოდნენ, არც — კარგს.

და ამასობაში გარდაიცვალა; მოკვდა და დარჩა. ეკლესიის გარდაცვალების ზარებმაც ჩამორეკეს: ბელადის სახელის უკვდავსაყოფად დავდგამთო ლენინის (ბელადის) ძეგლს, — მონუმენტს; გააშანშალეს ახალი დადგენილება და თანხმობაც, რაღა უნდა დადგომოდა წინ, აღარ დააგვიანა: დაანგრიეთ, დადგეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაანგრიეს. ჯერ ჩამოაგდეს ჯვარი, ჩამოაქციეს გუმბათი, ჩამოაშვავეს კედლები, ლითონის ცივად და იშვიათად ნაჭედი მესერი გააქრეს და დადგეს.

1925 წელს მოწონებულ იაკობ ნიკოლაძის მოდელ-მაკეტის საფუძველზე თავად ნიკოლაძემ გამოძერწა და ჩამოასხმევინა ძეგლი ბეტონად. და დადგა ქალაქის მოედანზე დაქცეული საკრებულო ტაძრის ადგილას.

პოსტამენტ-ტრიბუნაზე დადგნენ საპატიო მოქალაქეებად ეკლესიის დამანგრეველნი, წერა-კითხვის მცირემცოდნე ბოლშევიკები; იდგნენ მზეში, წვიმაში, პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს, „გამარჯვების" ყოველ დღესასწაულზე. მათ წინ და ქვევით ჟიკექუდებიანი, სასულე ინსტრუმენტებმომარჯვებული მუსიკოსები ჩანდნენ. მუსიკის ხმაზე ლენინ-ტრიბუნის წინ წითელი დროშებითა და წითელი ტრანსპარანტებით მოდიოდნენ მშრომელები.

ქალაქში ცხოვრობდა ერთი კოჭლი მჭედელი. სამჭედლო ჰქონდა გამართული წყალწითელას ხიდთან. მხარბეჭიანი, ბრტყლად დაბალი, წელზევით შიშველი, ტანზე ფუშტემალაკრული მუშაობდა ქურასთან ზაფხულში, ზამთარში, სიცხეში, სიცივეში; არჩენდა ოჯახს, ხარკს უხდიდა მთავრობას, მტერ-მოყვარეს უმასპინძლდებოდა მჭედლურად; არ უყურებდა ახალი დროის ცვალებადობას, ახალ-ახალ გადასახადებს კი ვერ ურიგდებოდა. ვინ შემაწერა ამხელა გადასახადიო, იკითხა, მეოთხედ რომ დაბეგრეს. მთავრობამ, ლენინმაო, დაუფიქრებლად უპასუხა წინდაუხედავმა ფინგანის წარმომადგენელმა. ასეაო. ისე იყო. დაუკეტავს სამჭედლო, აუღია ურო, აკვანჭალებულა საფიჩხიაზე და დამთვრალა საფიჩხიის ბაზარში ამაღლების საყდრის ჩრდილში კასრის თავზე. რად გინდა ურო, ჰეფესტო ბიძიაო, უკითხავს ვიღაცას.

მჭირდება!

დაშვებულა ქვევით შვლაპი ღვინისაგან გაბრუებული, ისედაც კრამიტებდაჩოჩებული; მისდგომია ბეტონის ლენინს, იაკობ ნიკოლაძის ნახელავს: არა და არ მანებებ ხომ თავსო, უთქვამს და უხეთქია ურო მკლავზე. მიატეხა ცალი მკლავი იდაყვში, ესეც ასეო და კმაყოფილი გაუდგა გზას სახლისაკენ, შემდგომში ციმბირისაკენ, სადაც გრძელი, ცივი და მოსაწყენი ათი წელი ჰქონდა გასატარებელი. აკმარეს ათი წელი ჭკუანაღრძობს, ჭკუა დალაგებულებს ერჩოდნენ უფრორე და არ დახვრიტეს. დაბრუნდა თუ არა და — როდის, ვერაფერს მოგახსენებთ. ჰეფესტო ბიძიას შემდეგდროინდელი ცხოვრება ჩვენთვის უცნობია.

ლენინის ტორსს კი მიაბეს მკლავი, გადანამსხვრევი უდარეს გადანამსხვრევს, გადანაკერი ნაიარევს დაუმსგავსეს და ფეხუცა ჰეფესტოს გარეშე გაგრძელდა ცხოვრება ქალაქში. მკლავნატკენი ბელადი დარჩა მოედანზე გატრიბუნებულ კვარლცხბეკზე, ეკლესიის ალაგზე. 7 ნოემბერს და 1 მაისს, 9 მაისს ტრიბუნაზე დგებოდნენ ძველი ბოლშევიკები: ბურძგალაძე, ბირკავაძე, ფარცხნალაძე, ეძგვერაშვილი, ხიწვნარაშვილი, ბურდალაშვილი, ხოვნელიძე, შვიდობაძე, ნარშავაძე, ედისაბერიძე, გედენძერიძე...

და მოდიოდნენ მოედანზე მშრომელები წითელი დროშებით, კომკავშირლები თეთრი პერანგებითა და კოფთებით, ქალთა სკოლების მოსწავლეები ქათქათა თეთრი წინსაფრებით, პიონერები წითელი ყელსახვევებით. ლენინი კი იდგა ნატკენი და წინგაშვერილი ხელით; იდგა მტკიცედ, გაურყევლად და ცვიოდნენ კალენდრე-

ბიდან წლები დამამახსოვრებელი წყვეტილებით: 1931-ით, 1934-ით, 1937-ით, 1941-ით, 1945-ით. და მაინც, დრონი მეფობდნენ და არა მეფენი. იაკობ ნიკოლაძის ძეგლის აღმართვიდან ოცი წლისთავზე, მოედნის რეკონსტრუქციის მიზეზებით, ლენინი სტალინით შეცვალეს და ეს იყო გაუგონარი შემთხვევა სტალინის გაღმერთკაცების ეპოქისთვისაც კი.

ლენინს, ჩვეულებრივ, სასაფლაოზე, ჯვარი ეწერა, დედამისის გვერდით სურდა დამარხვაო. რომ სცოდნოდაო, იტყვიან ახლა, ანდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მავზოლეუმზე უარს იტყოდაო, უარს იტყოდა ძეგლზეც — სიკვდილის შემდეგაც; ძეგლზე, რომლის თითში ბიბლიოთეკა და თავის ქალაში ცეკას იდეოლოგიური განყოფილება იქნებოდა განთავსებულიო, ალბათ. შეიძლება. შეიძლება კი არა, ეგრე იქნებოდა, მაგრამ როგორ მოიქცეოდა, თუნდაც 40-იან წლებამდე რომ მოელწია, კაცმა არ იცის. რევოლუციის პირველ წლებში კი თავადვე ანგრევდა რუსეთის იმპერატორთა, დიდ მთავართა, მთავარმართებელთა ძეგლებს. ერთ-ერთი დიდი მთავრის ძეგლის გადმომხობაში პირადად მიიღო მონაწილეობა. დაქიჩმაჩებული, ჭიანჭველის მონდომებით და ერთგულებით ქაჩავდა დიდი მთავრის ყელზე გამონასკულ ბაწარს სვერდლოვთან, დღეს ნაკლებად ცნობილ რევოლუციონერებთან ერთად. სანაგვეზეა მაგათი ადგილიო, წამოიძახა, ძეგლი რომ ამოყირავდა, ხელები დაიფერთხა და საქვეყნოდ განაცხადა: ... მთელი ეს ხარახურა (ე. ი. სხვა ძეგლებიც) უნდა გაიხვეტოსო.

გამოხდა ხანი და იმპერია დაიფარა ლენინის სახარახურე ძეგლებით, სახლ-მუზეუმებით, მემორიალებით, მუზეუმების ფილიალებით, ლენინის ოთახებით და მავზოლეუმით, აქამდე რომ მიწისსაზედაო ეგონათ ყოველნაირი გაგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIV

ყვავები. მკვდრები არ ლაპარაკობენ. ქვაყვავილი

ნაადრევად ჩამოთოვა მოსკოვში. ნაძვის ხეები დაზნიქა სველმა თოვლმა. შეციებულმა ყვავებმა ყრანტალს უმატეს და ფრენას უკლეს. ზანტად, მძიმედ ჩაშავხაზავდნენ ხოლმე სითეთრეს კრემლის წილ ცის ქვეშ და ყვითელი, პირქუში შენობების ფრიზებში, ლავგარდანებსა და გამოციებული სამრეკლოების თაღედებში ბრუნდებოდნენ; ისხდნენ ბოლისფერშალმოხურულნი, იხედებოდნენ ქვევით ყვავურად: ყვა, ყვა, ყვა!..

დედის დახრჩობა!

სტალინს ყვავები არ უყვარდა -

იმაზე მეტი ჭკუა ჰქონდათ, ვიდრე სჭირდებოდათ. ზუბალოვოში ხოცავდა შაშხანით. იდგა ეზოში გრძელყურებიანი თბილი ქუდით და ელოდა, შავად ჩანდა თოვლზე ქუდისყურებ წელამდე ჩამოკონწიალებული.

თუ იცოდა, რომ ყვავთა ხოცვა რუსხელმწიფეთა საყვარელი საქმიანობა იყო. მოვკალი ყვავი! ატყობინებდა დროდადრო ნიკი (ნიკოლოზ I) ალიკსს (ალექსანდრა ფეოდოროვნას). სამასი წლის განმავლობაში ხოცავდნენ და არ ამხელდნენ. ყვავების მოდგმა კი არ სუსტდებოდა — ძლიერდებოდა. მრავლდებოდნენ ყვავები და უფრო და უფრო ანახშირებდნენ თეთრ გუმბათებს ზამთარში — ბურში, ნისლში. ესროდნენ მეფენი გათოშილი ხელებით და არ ნერვიულობდნენ იმათ დანახვაზე, არც ნამეტან ჭკუიერებად მიაჩნდათ. ყვავი ყვავი იყო კრემლშიც კი.

ყვავის ყრანტალზე ეცვლებოდა გუნება გენსეკს. პირადი მდივნები, თანაშემწეები, დამლაგებლები კრემლის მთავარი კომენდანტის მეთაურობით (ქვემოდან იძლეოდა მითითებებს) „პოლისჯოხებით" მიდენიდნენ ყვავებს, ერთი ფანჯრიდან მეორე ფანჯრისაკენ მიერეკებოდნენ. ისხდნენ ყვავები მოშორებით და გვერდულად იხედებოდნენ.

იმ დღეს ორი ყვავი დაჯდა პირადი სამსახურის ავტომანქანაზე. მძღოლი პირიდან ორთქლისფრქვევით გადი-გამოდიოდა მოყინულზე და ყვავებს ვერ ხედავდა:

... თავზე რომ დააჯდეს, ხელს არ აიქნევს ეგ შობელძაღლი!

გაზაფხულზე კუნცევოში ჩაფრინდნენ. რთული ელექტროსისტემებით დაცულ აგარაკში ერთმანეთის მიყოლებით ჩალაგდნენ. სახურავებზე, ლობე-ყორეებზე, ვერანდებზე დასხდნენ, ახლად გადაბარულ საბოსტნე ადგილებს დაუწყეს თვალიერება.

— ესენი ვინ მოიწვია აქ?!

დაცვის ქვეგანყოფილების უფროსი გენერალი მიხაილოვი გამორბოდა კოლბოხებზე კოლბოხ-ბოლხოდ.

— აგვიკლეს ყვავებმა, ამხანაგო სტალინ!

— მერე თქვენ რას მიკეთებთ?!

— საფრთხობელები დავდგით...

— მე მაშინებთ, რატომ არ ესვრით?!

— თქვენი შეწუხება არ გვინდა...

— მე არ ვწუხდები, ესროლეთ, მე მაგათი დედა ვატირე!

დააჩქარა თუ არა ლენინის სიკვდილი სტალინმა? ვფიქრობ, არამარტო მე, რომ დააჩქარა, — მარჩიელობს ლევ ტროცკი.

ლენინის გამოჯანმრთელება სტალინის პოლიტიკურ ლიკვიდაციას ნიშნავდაო. სტალინისადმი გაგზავნილი, ნაკარნახევი ბოლო კერძო წერილიც (1923 წ. მარტი) ამის ნათელი დადასტურებაა. თავის გადარჩენისათვის სტალინს ბელადი ან შეურაცხადად უნდა გამოეცხადებინა (ამას აკეთებდა კიდეც) ან და ან...

ლენინს სხვა წერილი (რაც ჰქონდა, თან წაიღო) აღარ დაუწერია და ეპისტოლარული ხერხებით ბრძოლაც დამთავრდა. ტროცკიმ კი ჟურნალ „ლაიფში" მიიტანა სტატია „მოწამლა თუ არა ლენინი სტალინმა?".

მოწამლა!

ეს მაფიქრებინა იმ ფაქტმაო, რომ სტალინმა ადრევე განუცხადა პოლტბიუროს: ლენინმა ციანიდკალიუმი მთხოვა, რომელსაც ალბათ საჭიროების შემთხვევაში (ე. ი. მოახლოებული სიკვდილის წინ) გამოიყენებსო. ამ ფაქტისათვის თავის დროზე ყურადღება არ მიმიქცევია (ლენინის გადაწყვეტილებასაც არ მოუწვია გული, როგორც ჩანს), მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ იცრუა, საციანიდკალიუმური ვერსია საალიბოდ შეთხზა, რათა განზრახულის ასრულების შემდეგ ლენინის აკვიატებული თავის მოწამვლის იდეა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინაო. სურვილი ერთია, აღსრულება — მეორე და თანაც სიკვდილის მოჩქარების სხვა, თუნდაც გაუთვალისწინებელი — კრუპსკაიასთან კონფლიქტი, „ქართული საქმე" — მეთოდებიც არსებობდა და ტროცკის ასე შორს წასვლა არც კი უნდა გასჭირვებოდა. აქვე უნდა ვთქვათ: ტროცკის სტატია სენსაციური სათაურით „ლაიფმა" არ გამოაქვეყნა და სრულიად მოულოდნელად იგი დაიბეჭდა ხერსონის ადგილობრივი მნიშვნელობის გაზეთში, როგორც ვარაუდობენ, სტალინის საიდუმლო განკარგულებით; რატომ და რა მიზნით ახლა ძნელი გასარკვევია.

იდგა თუ არა სტალინი ალტერნატივის წინაშე — ან ის, ან მე? მოასწავებდა თუ არა ლენინის გამოჯანმრთელება, როგორც ზოგიერთებს ეგონათ, სტალინის პოლიტიკური კარიერის დასასრულს? ან კი, ან არა. ესეც მარჩიელობის საგანია.

მოწამლა თუ არა ბერიამ სტალინი? ან კი, ან არა, უფრო — არა, მაგრამ დამბლადაცემულს რომ გამობრუნების შანსი და ხალისი დაუკარგა, დღესავით ნათელია. ბერიას დღეები დათვლილი, „მეგრელთა საქმე" აგორებული იყო და ფინალი ტექნიკას ექვემდებარებოდა მხოლოდ.

კონდრაშკა მოვიდა მშველელად. გაუმარჯოს კონდრაშკას! ბერია გადარჩა, არა მარტო ღვთის განგებით. წინ ახალი საუფლებო ასპარეზი გადაეშალა, მაგრამ ზღვას გარიდებული წვეთმა დაახრჩო. ოთხიოდე თვეც ვერ გაძლო მახრჩობელა პატრონის გარეშე.

სტალინმა სიცოცხლის ბოლო წლებში მიიახლოვა, იმპერიისა და მსოფლიო კომუნისტური საჭილყვავეთის მართვა-გამგებლობის სათავეში ამოაპორნიალა ოთხი მოღალატე: მალენკოვი, ბერია, ხრუშჩოვი, ბულგანინი და გარიყა ძაღლივით ერთგული თანამებრძოლები: მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი და სხვები. ესეც მისი ბრძენკაცობის ერთი დამადასტურებელი მაგალითთაგანია. ოთხი რეალური და პოტენციური შეთქმული ადგა თავს სი-

კვდილამდე. აქედან ორი — ხრუშჩოვი, ბერია — აქტიური, ორი — მალენკოვი-ბულგანინი — პასიური მონაწილე იყო შეთქმულებისა. მალენკოვს ბერია ამუშავებდა, ბულგანინს — ხრუშჩოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ბულგანინი, როდესაც სტალინის აგარაკ-რეზიდენციაში შევდიოდით ავტომანქანაში ერთმანეთს ვემშვიდობებოდითო, ცოცხალი გამოვიდოდით თუ არა იქიდან, არ ვიცოდით, თქვა ნიკიტა ხრუშჩოვმა საჯაროდ და რამდენჯერმე იგივე გაიმეორა. რა ისეთი ცხოველური შიში დაეუფლათ მშვიდობიანობაში ოცდაათიან წლებს და დიდ ომს გადარჩენილებთ, მაშინ როცა ხვრეტები ჩამთავრებული იყო და წირვა-პარაკლისის ღრუბლები მხოლოდ ბერიას თავზე იყო შეგრაგნილი.

ღამის ოთხ საათზე დატოვეს სტალინის სადგომი და ყურძნის წვენით (სხვა არაფერი შეუსვამთო) მუცელამოტრიალებულები გაუდგნენ გზას. დილით, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, სტალინი არ გამოჩენილა. აშუადღდა და შუშებს იქითაც არ გასილუეტდა. პირველი მარტის ტაროსმა შებურა მიდამო და საღამოს ექვს საათზე აინთო შუქი მცირე სასადილოში. მწუხრი ჩამოდგა, ყვავები თავთავიანთ ბუდეებისაკენ წაყრანტალდნენ და კუნცევოს სახლის მარტოსული ვერ გალანდეს. არავითარი ნიშანი შიგნიდან, არავითარი ჩამიჩუმი.

ოთხი საათი მსჯელობდნენ გარეთ მყოფნი — შევიდეთ, არ შევიდეთ, გავიგოთ რა ხდება, თუ არ გავიგოთ. ერთთვალსინათლიანი უსიცოცხლო სახლი ავისმომასწავებლად დუმდა. ღამის ათ (22) საათზე ტელეგრამის მიღების მომიზეზებით შეუშვეს, უფრო სწორად, შეაგდეს მცველი სტაროსტინი, რომელმაც დიდი პატრონი ცივ იატაკზე დაგდებული და მოხროტინე იხილა. მაგიდაზე იდო თავახდილი, ნაკლული „ბორჯომის" ბოთლი. მკერდზე ეფარა მაგიდიდანვე გადმოცურებული გაშლილი გაზეთი „პრავდა".

დარჩა დაცვა და მომაკვდავი.მხოლოდ ღამის სამ საათზე გამოცხადდნენ ბერია, მალენკოვი და მათი მხელბლები და არა ექიმები, რომლებსაც მოუთმენლად ელოდნენ. შემობრახუნდაო თვალებაწითლებული ბერია, დახედა პატრონს და დაცვის წევრებს შეუღრინა, სძინავს ნუ აწუხებთ, რას დასდგომიხართ თავზე, ვინ გაგამწესათ თქვენ დაცვაში!

მეტის თქმა და საქმიანი განკარგულების გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა, მცირე ხნით მიაშტერდა წინდებისამარა მდგარ, შტიბლეტებამოღლიავებულ, თვალებგადმოყვლეპილ მალენკოვს და გავიდა. დილის ცხრის ნახევარზე მოვიდნენ ექიმები. ხელებაცახცახებულებმა ავადმყოფს მაჯა ვერ უნახეს...

სულ ცოტა 12-13 საათი იყო იგი უპატრონოდ, პირველადი დახმარების გარეშე.

გამოჩენილი, ტიტულოვანი მეცნიერები მოიყვანეს. ბერია მაგიდაზე აკაკუნებდა ბლიკს და ყველას სათითაოდ ეკითხებოდა:

... კისრულობ შენ ბელადის გადარჩენას?!

თავის გადარჩენის შანსი არ რჩებოდა, ბელადის გადარჩენის პასუხისმგებლობას ვინ იკისრებდა!

მოვიდა სვეტლანა. გაპობილი მთვრალი ვასიაც შემოქანდა:

Оотца убили, отца убили, отца убили!

ტერორქვეშაც ამუშავდა დამფრთხალი საექიმო ბრიგადა და ბერია განერვიულდა, სტალინს სააქაო პირი არ უჩანდა, მაგრამ აგონიაც გაიწელა.

ბოლო-ბოლო აღსრულდა.

დარჩნენ ოთხნი: ორი მთავარი, ორი პირველ ორს მიბმული.

ბერია საპატიმროდან ფანქრით ნაწერ ბარათებს უგზავნიდა მალენკოვს:

...ჟორჟ, რატომ დუმხარ?!

ხომ იცოდა ჟორჟმა, რაც ხდებოდა. იცოდა. ჟორჟი დუმდა. დაჭერილს დაუ-ჭერელი ერჩივნა.

გაიმარჯვა ნიკიტამ. მოენე დამუნჯებული, მოკავშირე ჩაქვავებული იყო.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სიტყვა ითხოვა ლავრენტი ბერიამ. გეყო, რაც ილაპარაკეო, დაუძახა რუდენკომ. პირსახოცი ჩაუტენეს პირში და გაიყვანეს.

სამხედრო ნაწილის მიწურ-ბუნკერში ფარფიცარზე მიაბეს იმავე დღეს. ცალი თვალი წაჭუტა და გადმოკარკლული მეორეთი ჩააცქერდა შუბლში დამიზნებულ გენერალ ბატიცკის რევოლვერის ლულის შავ ღრმულს.

*

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ბაღში სტალინის ძეგლის პედესტალი წითელ-ყვითელი ყვავილების საკატაფალკე გვირგვინებით შეიმოსა. სანახაობა იყო უცნაური და არა ტრაგიკული. თბილი მარტი მოდგა და უბედურების მაუწყებელი სიო არ იძროდა. მხიარული სახეებით იწყეს მოქალაქეებმა ქვაყვავილის ყურება. მოდიოდნენ და კმაყოფილნი მიდიოდნენ, ახლები ცვლიდნენ ძველებს.

ჟოზეფინას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ხენდროსფერი, დიდსაყელოიანი საზაფხულო პალტო ეცვა. ტროლეიბუსიდან დავინახე რამდენიმე დღის წინ „გოსკინპრომთან". მგონი, თავადაც შემამჩნია. რა უნდა აქ-მეთქი, გამიკვირდა. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში (ამდაგვარი ინსტიტუტიც თუ არსებობდა — არ ვიცოდი) ყოფილა ორთვიან კურსებზე ჩამოსული.

... სტალინის ამაგს ვინ დაივიწყებს, — დაიწყო შუიდან.- იმოდენა ადამიანი საუკუნეში ერთი იბადება, ან არ იბადება. შენ რას შვრები, დადიხარ ხომ აქ, აბა სად წახვალ... ღორებს უნდათ ლაფში ამოსვარონ ამისი წმინდა სახელი...

გამხდარი იყო ძველებურად, ბეჭებში ოდნავ წახრილი, პალტოდან მწვანედ დაფოთლილი, ეტყობა, სრული, ისევ ბეჭებთან აქაჩული კაბა ეცვა.

... ამთავრებ ხომ შენ, ქუთაისში არ ჩადიხარ? რა ლამაზია ეს ძეგლი, ჩვენკენ კი არაა ამნაირი ამბავი. ჭიათურაში რომ ვასწავლი იცი? იქ გადავედით, ოველიც იქ მუშაობს...

— ვიცი.

ღია ვარდისფერი პომადა ეცხო ტუჩებზე, მუქი თაფლისფერი, დიდი თვალები, ორად ჩამოშლილი, შეუღებავი წაბლისფერი თმა. ჭკნობისაკენ ნაადრევად წასული ვარდის სურნელიც ახლდა. აყვავებულ იასამნების ბუჩქებში ხომ გადაიბანა ტანი, სპილენძის, დიდ, მრგვალ ტაშტში ჩამდგარმა. მზე ჩადიოდა, გვერდიდან უნათებდა თეთრ წელ-მკერდს ჩამავალი სხივები.

... პროტესტის ნიშნად დავტოვეთ დღეს ლექციები. ერთი სული მაქვს, როდის წავალ სახლში, თან სულ ამის ყურება მინდა. გუშინ ლექტორი პაპიძე გავაგდეთ ლექციიდან... შეცდომები ვის არ ჰქონია, მაგრამ ქართველი კაცი რომ სტალინის აუგს იტყვის, ის კაცი გასაგდებია, აბა რა არის... ისე განათლებული ლექტორია, მაღალი, წითური, თეთრი თმა უხდება, იცი?.. გადასახლებული ყოფილა... სიმონ ყაუხჩიშვილმა თქვა, ყაუხჩიშვილიც გვიკითხავდა ლექციებს, ეს ამბავი ცუდის ნიშანიაო. ჩადიხარ ქუთასიში?

— კი.

— ერთი სული მაქვს, როდის წავალ და არც მინდა წასვლა...

მეორე დღეს უნივერსიტეტის შიგა ეზოში აღმოვაჩინე, ჯგლეთაში ნასწავლებლებს და ალბათ უნივერსიტეტის თანამშრომლებსაც, მამაკაცის უცხოურ პერანგებს და ქალის საცვლებს ურიგებდნენ ტალონებით. წეწვა-გლეჯაში მოყოლილ ჟოზეფინას პალტო კინაღამ გააძრეს, კრეპჟორჟეტის კაბა შემოახიეს ლამის. ლექცია ცდებოდა და ფანჯრებიდან დავცქეროდით ზედახორას. სახეზე ფერისმჭამელებმოდებული მუტრუკები და უფერ-უხორცო ამრევები, რიგი დაიცავითო რომ იძახოდნენ სიაბანდად, გარეულიყვნენ საქალეთში; უტალონოდ შემოსული ქალის უკანალი და ჯიბე-საფულე აინტერესებდათ.

— ე,უ,ეე! — ჩვენი სათვალთვალოდან იყო ეს ხმები. არც მყიდველს, არც გამყიდველს, არც მიმწოლს ეს ხმები არ ესმოდათ. თანაკურსელმა ნახმარი საქალალდეები გადაუშვა ფრიალით. ერთი აწითლებულ, გაოფლილ ჟოზეფინამდე ჩაფარფატდა და დაეცა მიმწოლს, რომელსაც დაცემა არ უგრძვნია.

იმ ქალს შვილი არ ჰყავს, გავიფიქრე და არ მითქვამს.

მაგის დედა ვატირე! თქვა ბუდუმ მეორე დღეს: აქ არი, ზნაჩიტ, ჟოზეფინა!.. ადრე სხვანაირი იყო, ახლა, რაღაცნაირია, გრეთ ხენ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XV

სასჯელი ირმის მოკვლისათვის

1956 წლის 7 მარტს ერევნიდან თბილისში ჩამოფრინდა მარშალი ჯუ დე. საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრო მის პატივსაცემად გამართულ ხელოვნების ოსტატთა კონცერტს. მეორე დილით კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გააღვიძა შაშვის ჭახჭახმა.

ჯუ დემ იცოდა, რომ ქალაქში იმართებოდა მშვიდობიანი მანიფესტაციები ახალგაზრდებისა და მუშების (აქცენტი მუშებზე კეთდებოდა) მონაწილეობით; დემონსტრაციები მხოლოდ და მხოლოდ სტალინის, ასე აუხსნეს, ხსოვნის პატივსაცემად ტარდებოდა, მშობელი ხალხი ყვავილებით ამკობდა მის ძეგლებს მთელ საქართველოში. „მშობელი ხალხი", „ქართველი" უკვე ჭრიდა ყურს, მაგრამ ჯუ დეს უსიცოცხლო სახის შემხედვარენი ვერ გებულობდნენ, იცოდა თუ არა, რა რჯულის იყო სტალინი და რა კავშირი ჰქონდა იმ ქვეყანასთან, სადაც იგი ოფიციალური, დაგეგმილი ვიზიტით იყო ჩამობრძანებული. აყვავილებული ძეგლ-მონუმენტის ფერადი ფოტოს დანახვაზეც არ დასტყობია აღფრთოვანება, თუმცა ფოტო წალმა-უკულმა ატრიალა. როგორც გამოირკვა, დააინტერესა ფოტომასალამ, ტექნოლოგიამ ფოტოგრაფიისამ.

მარტის ცვალებად ტაროსს სუსხი ახლდა, მაგრამ განათებული ფერდობები ნაადრევი გაზაფხულის მოსვლას იუწყებოდნენ; მორიდებულად აყვავილებული დაბალი ხეები და მწირი მიწა მისი პროვინციის მშობლიურ კუთხეს ჰგავდა; არაფრის მაუწყებელი სიჩუმე კი რაღაც უცნაური მოლოდინის შეგრძნებას ბადებდა, თუმცა რაც იმ დღეს, ნასადილევს იქ მოხდა, არავინ ელოდა. დრამის ამფითეატრი ქვევით, კრწანისიდან შორს, იდგა.

— ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!..

ხელიხელჩაჭიდებულნი, მორკალულად მოდიოდნენ ჭიშკარ-საყარაულოსკენ. არადაცვას მათი გაკავება არ შეეძლო; თანამოძმეების გვამებს გადმოაბიჯებდნენ და არ შედგებოდნენ.

შემოსასვლელთან რეკვიზირებული ტრანსპორტი ბოლავდა. გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ საბარგო მანქანებიდან და ავტობუსებიდან. მოჰქონდათ ტრანსპარანტები, დროშები, ლენინისა და სტალინის სურათები. შავ-ყვითელი პირისახის ელამი კაცი, ეგზალტირებული ქალების დანახვაზე რომ ილრიჯებოდა, ორგანიზებულ შემოსვლას მოითხოვდა; ხომ ხედავთ, არავინ გაკავებთო, იმეორებდა და გამკავებელიც აღარ ჰყავდა.

დიდ ეზოში გაიფანტნენ და საამბოხე განწყობილება უმრავლესობისა რუბიკონის გადალახვის აღტაცებამ, გართობის პერსპექტივამაც შეცვალა.

მეწინავეთა ჯგუფი, წარმომადგენლობითი ფუნქცია რომ ჰქონდა ნაკისრი, განცალკევებას ცდილობდა. ულვაშშეღერებული ახალგაზრდა, ბოლომდე ჩახსნილი ტყავის კურტაკი და წითელი პერანგი რომ ეცვა, უკუსვლით მიდიოდა, მომყოლთ ხელებით ანიშნებდა: დისტანცია დაიცავითო.

— ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!

მექანიკური ხმაგამაძლიერებლები, მანქანის საყვირები ჭიშკარგადაღმიდან უერთდებოდნენ გნიასს. მასა მიგორავდა ზავთით.

მთავარი კორპუსის წინმდებარე მოედანი, ნაჭერ-ნაჭერ ერთმანეთზე მიბმული ბაღები ხალხით გაივსო, ახალგაზრდები ხეებზე გავიდნენ, ხმაურიც მინელდა. ადმინის-

ტრაციული კორპუსი გაცოცხლდა, რამდენიმე კარი გაიღო და დაიხურა ერთდროულად. უსამხრეთო, ხაკისხალათიანი პუტკუნა კაცი გამოვიდა მალე არენაზე. აგურის მოაჯირთან დადგა, არეულ-დარეულ ლაპარაკსა და წამოძახილს მიუგდო ჯერ ყური, იდგა, იცდიდა, თითქო რაღაცას ღეჭავდა კიდეც შეუმჩნევლად; სიჩუმე როცა დაიზ-ლთა, წინ წამოიწია და აგურებს მიადო ახალმოშვებული ღიპი:

— ამხანაგებო, ამხანაგი ჯუ დე შეუძლოდაა, ვერ გამოვა!

ამ სიტყვებს ტაში, სიცილი და სტვენა მოჰყვა. მიზანთან მოსულიყვნენ და პროცესის მშვიდობიანი გაგრძელებაც შეიძლებოდა. აქ ყოფილაო, ერთმანეთს აგებინებდნენ და აღარ ჩქარობდნენ. დანარჩენი დროის საქმე იყო, თუმც ეს დროც არ იყო უსასრულო. კაციც, რომელმაც ჯუ დეს უქეიფობა გამოაცხადა, აღარ ჩანდა.

— ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!...

სტვენა-ყვირილი გაძლიერდა, გნიასი მატულობდა და არ ნელდებოდა, არც განელდებოდა, ადვილი მისახვედრი იყო. ფანჯრები გაიღო ზედა სართულზე, მთავარ კარში სინათლე ჩადგა, სილრმეში სხვა ეზო გაილანდა. ლოყამსუქანი კაცი გამოვიდა ისევ მისგან დაუჯერებელი სისწრაფით.

— ამხანაგებო, ჯუ დემ შემოთვალა, ვერ ვარ კარგადო, ისე თქვენთან ვარო...

— ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!..

— ჩვენო, ასე ამბობს და პირადად მეო... — უკეთესი ინფორმაციის მიწოდებას აპირებდა, მაგრამ აღარავინ უსმენდა.

ამასობაში წინა რიგი უცხო ადამიანებით, როგორც გაირკვა, ადგილობრივი „პერსონალით“ შეივსო. ისინი გააქტიურდნენ. ტაშით მივეგებოთ, ტაშითო, იძახდა ერთი, რომელსაც მწვანე შლაპა ეხურა. იგრძნეს, რაღაც ხალხის სასარგებლოდ იცვლებოდა, მასა რომ მართვადი უნდა გამხდარიყო, ვერ მიხვდნენ.

— ტაში, ოვაციები, ტაში!..

ეს ტაშიც რაღაცას ნიშნავდა აშკარად და მწვანეშლაპიანი მამაკაცის ვინაობით აღარავინ დაინტერესებულა.

ტაში!

მეტლახზე ნაბიჯების პაკუნს მოჰყვებოდნენ.

რამდენიმე ადამიანის — გარეულისა და შინაურის — თანხლებით მოდიოდა, იზრდებოდა და პატარავდებოდა; შედგა და გამოიკვეთა: პატარა, კვამლისფერი, ბოლში გამოყვანილი.

მარშალი ჯუ დე.

შიშის — მასის კი არა, — სიტუაციის და საკუთარი პერსონის ღირსების შეგრძნება ერთდროულად ეწერა სახეზე. გაუნძრევლად იდგა სვეტთან მომენტის შეფასების ნიშანწყალდაკარგული.

ბიჭებით დახუნძლული ყველაზე დიდი, აყვავებული ჭერამი გაიპო. ათიოდე ახალგაზრდა წამოჰყვა ნახევარ ხეს, რამდენიმე ხის მეორე ნახევარს შერჩა. გამოპობილი ნაწილი მგზავრებიანად დაეშვა და დაჯდა საკუთარ რტოებზე. ერთმა იმარჯვა, ადრევე გადმოხტა და ფეხიც ილრძო. დანარჩენები გახარებულნი მიმოიფანტნენ. ხემ წამოდგომა დააპირა, აიწია, ვარდისფერი ყვავილები მიმოამტვერა და გვერდზე მიწვა.

ჯუ დე ლაპარაკობდა. ხმა არ ისმოდა, მისი ჩინური არ ატკბობდა ყურთასმენას.

რა თქვა, რაიო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ.

რას ლაპარაკობს?

— ... საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გაუმარჯოს, საბჭოთა ხალხი, მისი კომუნისტური პარტია და ჩინეთის კომუნისტური პარტია იბრ-

ძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის... — თარგმნიდა წელში წახრილი კაცი, განგებ რომ იპატარავებდა თავს, რათა საპატიო სტუმარი სიდიდით არ დაეჩაგრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიო, რა თქვა?!

რაც თქვა, გულს არ გაეკარა.

— მოისმინეთ და გაიგებთ... — ჩუმად, მაგრამ გასაგებ ენაზე ჩაილაპარაკა თარჯიმანმა; მე გამიგებთ თუ ჯუ დესო, არ დაუზუსტებია, შესწორდა და არ გამართულა, მოაჯირს დაადო ცალი ხელი. ჯუ დე შეტრიალდა და პაკაპუკით წავიდა. მომყოლები გაჰყვნენ იმავ რიტმში და ტემპში, წელკავგამჯდარი თარჯიმანიც გაუჩინარდა.

მასე არ გამოვა!

მოსვლა მისი ნება იყო, წასვლა — სხვისი.

— ჯუ დე! ჯუ დე! ჯუ დე!

ბუდუ ქვარიანი ასწიეს ბიჭებმა. მხრებზე შეისვა ერთმა, ორმა გვერდებიდან გაეკავა, მუხლებამდე ვერ შესწვდნენ ხელისგულებით, მაგრამ მანძილი ეყოთ. ჩანდა, პირველად არ ასრულებდნენ ამ ილეთს. ლურჯი, გრძელი, ყველა ღილზე გახსნილი პალტო ეცვა ბუდუს, წითელი პერანგი მოუჩანდა სხვებსავით პალტოდან; ლექსს ამბობდა. ხმაჩახლეჩილი და ხელგაშლილი; თავს არ ზოგავდა, მაგრამ ყელი აღარ ემორჩილებოდა. ხმალ-ხანჯალ-აბჯარს ახსენებდა; ქართულ ხმალზე ბასრი და მჭრელი არა არის რაო. ვიღაცას ემუქრებოდა აშკარად.

ბიჭი, რომელიც ბოძად იდგა და ბუდუს ფეხსაცმელებით ბეჭები ჰქონდა დასვრილი, ამაყად იხედებოდა აქეთ-იქით. ლექსი მაგისიაო, შენიშნეს.

— ეტყობა! — თქვა ვიღაცამ.

ამ სიტყვაზე ბუდუ აყანყალდა. პოეტმა კოჭებზე მოხვია ხელები, მაგრამ მხრებზე ვეღარ დაიმაგრა. მსმენელთა თხოვნას, ხელახლა გაიმეორეთ ყველაფერი, მიხვდეს ჯუ დე რა ხალხიც ვართო, შედეგი არ მოჰყოლია. ლექსისათვის, რამდენიმე წამქეზებლის გარდა, აღარავის ეცალა.

გამოსვლა მეორე. იგინივენი და ჯუ დე.

ბგერებად კი არა, მარცვალ-მარცვალ ესმოდათ აღმოსავლური საკრავების ხმა;

ძინ. ძინ. ძინ. პინ. პო.. პინ...

— რაო, რა თქვა, რა თქვა?!

— გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, ლენინს და სტალინს გაუმარჯოსო... — სტალინი გაწელა წელში წახრილმა, მაგრამ ამან არ გაჭრა.

თანმხლებ, პუტკუნა თარჯიმანს უყურებდა უკვე გვარიანად დაბნეული მარშალი. სხვადასხვა ენაზე და ხელებით უხსნიდა. მარშალი ახველებდა, ხმას იწმენდდა და თავს აქნევდა, მივხვდიო. ხელი ასწია:

— პინ, პი, პო...

რამდენჯერმე მოხვდა კიდევ სპილენძის წკირი ბრინჯაოს:

... პინ. პონ. პინ. სტი. ლინ. პინ!.. — დადუმდა. ხალხი გაისუსა.

გაუმარჯოს დიდ სტალინსო, გამოაცხადა სახეგაბადრულმა თარჯიმანმა და წელში გაიმართა მოულოდნელად; აღტაცებული და არა აღტკინებული მასა გაიშალა და გაიწვართა.

ჯუ დე ჩვენია!

ეს საქმე მოლეული იყო.

სასიხარულო ამბავმა მალე ჩააღწია ქალაქში და სტუდენტთა წრეებში გავრცელდა ლექსი:

გაუმარჯოს მაო ძედუნს, გაუმარჯოს ჯუ დეს,

გაუმარჯოს საქართველოს არწივების ბუდეს!

მარშალი ჯუ დე კი მეორე დღესვე გადააფრინეს როსტოვში — პოლიტიკური პრობლემებით სისხლნაკლულ ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ საბედისწერო დღეს, ცხრა მარტს გაზეთიდან გამოანათა ლენინ-სტალინის გადაბდღვიალებულმა ფოტოსურთმა გადაღებულმა გორკაში. ფოტო სტალინური მეთოდით იყო ადრევე დამონტაჟებული; ამოგდებული იყო ერთი არც მთლად ამოსაგდებ-ამოგდებული პიროვნება. ასე იყო თუ ისე, ეს იყო მაქსიმუმი, რაც საქართველოს ცეკამ და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გაბედა; პლუს: გადადგა უგნური ორგანიზაციული ნაბიჯი კატასტროფის ასაცილებლად. აღინიშნოსო სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი 1955 წლის 9 მარტსო. დაკრძალვის დღე იყო და არა გარდაცვალების, მაგრამ გარდაცვალებისა დაერქვა გასაგები (დამარხვის ვერ თქვეს) მიზეზის გამო, მოეწყოსო სამგლოვიარო (რატომ, გაუგებარია) მიტინგები ქარხნებში, საწარმოო-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და სხვაგან დღის პირველ საათზე. ხალხმრავლობის ცენტრიდან პერიფერიებში გადატანა-დანაწევრება იყო ჩაფიქრებული და ცუდად დაანგარიშებული. დღის პირველ საათზე შეკრებილ ადამიანებს სანამდე უპირებდნენ შეყოლიებას. ისინი ხომ მიტინგების (თუკი ასეთი შედგებოდა) დამთავრების შემდეგ ისევ ეპიცენტრისაკენ დაიძრებოდნენ (ასეც მოხდა) უფრო ორგანიზებულად, უფრო მიზანმიმართულად. ანკეესს რომ წამოგებოდნენ, გაზაფხულის დღეს ხომ ვერ დაამოკლებდნენ.

ბოლო-ბოლო გათენდა ცხრა მარტი, სისხლიანი პარასკევი.

ნათელი დღე იდგა. თეთრი, ცივი ღრუბლები ფთილებად დაეწყო ცაზე. ნაშუადღევს დათბა. ღრუბლებიც წავიდნენ. ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდა ხალხი სანაპიროსკენ. ცარიელდებოდნენ უბნები, ქარხნები, საწარმო-დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები. ეშვებოდნენ რუსთაველის პროსპექტიდან, ქაშუეთის ეკლესიიდან, თეატრალური ჩამოსახვევიდან; გაღმელები ხიდებით გამოდიოდნენ. მოჰქონდათ გვირგვინები, სამგლოვიარო „ვენოკები". ქალაქის მეყვავილეებს, მათ ფანტაზიაზე არ ყოფილა ლაპარაკი, ხავსი და „სავენოკე" ჯოხები გაუთავდათ.

მზემ დააცხუნა.

ახლად გადაბიბინებულ ბორცვებზე, ამოსისხინებულ ბალახში მილიციელები ისხდნენ; მოთენთილნი, ფუნქციადაკარგული გამომეტყველებით უყურებდნენ თავაშვებულ ხალხს; რაღაც უსიამოს მომლოდინეთ აპათია დაუფლებოდათ. ერთს ფეხზე ჰქონდა გახდილი, ცალ ჩექმაში ხელჩაყოფილი მევიოლინის სიფრთხილით ეძებდა ლურსმანს.

სანაპირო მაგისტრალსა და ძეგლს შორის გამავალი წყნარი ქუჩა ტაფობში ჩავარდნილ სტალინის ძეგლის მოედანს დაჰყურებდა და ზემოდან დგომის (არა მარტო გეოგრაფიულად) საშუალებას იძლეოდა.

პანორამა ფერდობზე ადიოდა, გადაღმა ბაღი, მშრალი ხიდი, „სველი" ხიდი და ხალხი, უამრავი ხალხი ეტეოდა გუგებში. სიტუაციას მასა აკონტროლებდა, არა მარტო — იქ. მასას კი რუსის ჯარი მეთვალყურეობდა. ქალაქგარეთ და შიგ ქალაქშიც, კედელზე მიკიდებული თოფებივით, იდგნენ სახლების ყრუ კედლებს ამოფარებული ტანკები, საბრძოლო მანქანები. იცოდნენ, იყვნენ და უნდა ყოფილიყვნენ. ხალხს თავისი აწუხებდა, იმათ — თავისი. ურუსისჯაროდ (ამას საუკუნის გასრულება სჭირდებოდა) ვერ წარმოედგინათ. მსტოვრებს, ამბის გამტანთ უფრო ერჩოდნენ, მაგრამ ისინი მასისაგან არ გამოირჩეოდნენ და მათი ამოცნობა ვიღაცის ხუშტურზე, პროვოკაციაზეც კი იყო დამოკიდებული. კაბინეტებიდან გამორეკილ შინაგანი საქმეთა სამინისტროების აგენტებსა და განსაკუთრებით სუკის თანამშრომლებს შლაპით (ძი-

რითადად — მწვანეთი) და გადამეტებული თავაზიანობით, გამოარჩევდით, თუმცა არც ამ ნიშნით ეძებდა მათ ვინმე; ძეგლის რადიოფიცირებული ტრიბუნიდან კი, სადაც ორატორები ცვლიდნენ ერთმანეთს და თავკაცები რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ, მაინც ისმოდა გამაფრთხილებელი მოწოდებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვავლინოთ კაგებეს აგენტები!

შესაღამოვდა. აცივდა. ხალხმა იმატა. ემოციური გამოსვლები დაიწყო რადიკალ-კატეგორიული მოთხოვნებით, მაღალი რანგის ადრესატების დასახელებით, მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებების აშკარა კრიტიკით.

დიდთავა, მელოტ, გაბუნჩულებულ, მაგრამ ძვალმსხვილ და როგორც გამოირკვა, ჯანიან კაცს ვიღაცამ ხელი ჰკრა და ფერდობზე დაუშვა. მელოტი ბუჩქებს პუტავდა მოკლე გზაზე და თავს ვერ იკავებდა; დაოთხილი შევარდა პირდაპირ ხალხში. ეს არისო, დაიძახა ვიღაცამ შორიდან და მისცხეს წიხლები, წამოაყენეს ერთი წამოყენება და შემდეგ ველარ წააქციეს, რადგან წასაქცევი ადგილი აღარ იყო. ქუდდაკარგული, რატინის პალტოსაყელომორღვეული მაინც სიცარიელისაკენ მიიწევდა; პრიალა, დიდი თავი ხან ერთ კუთხეში გამოანათებდა, ხან — მეორეში.

— მაგი პრარაბია, არაა აგენტი! — თქვა დაღვრემილმა ბუდუ ქვარიანმა იმ ალაგას, საიდანაც კაცი გადააგდეს.

— შენ, ბიჭო, ქვარიანი არა ხარ? — ჰკითხა მაღალმა, ცისფერთვალება კაცმა.

— კი ვარ, საშა ბიძია.

მაღალ კაცს ღიმილი შეაშრა, მცნობს თურმეო.

— მერე?

— მერე და, მამაჩემი იუსტინე ბიგვაძემ დააჭერინა ოცდაჩვიდმეტში, სტალინი რა შუაშია... ყველაფერი იცოდა სტალინმა?..

— არა, რასაკვირველია... — ცისფერთვალება კაცს გრძელი მაკინტოში ეცვა, ისევ ილიმებოდა, მხოლოდ არ დასცინოდა.

— ის პრარაბი შეკრული კი არაა... ხელფასს უჭამს მუშებს, სხვას არაფერს აშავებს, ახლა ვინცხამ უმტრო. თუ არ მოკლეს, გადარჩება, ისე მაგარია...

ხმადამჯდარი, ღამენათევი ქვარიანი გარედან მაყურებელს ჰგავდა უკვე. კრწანისიდან დაბრუნებულმა წაიქეიფა და დაძინებამდე ნაქირვებ ბინაში მოაკითხა სახეგაბადრულმა ორმა უცნობმა. რავა ხარო, კითხულობდა ერთი, მეორე ჟურნალებს ათვალიერებდა. რესტორანში ეპატიჟებოდნენ ეგონა და „პობედა" იუცხოა. გაბდღვიალებულ სუკში ამოაყოფინეს თავი, გამოციებულ რესტორნებს როცა ჩაუარა. ამგენს თურმე არ სძინავთ, გაიფიქრა ნახევრად გამოფხიზლებულმა. დილამდე აწერინებდნენ ახსნა-განმარტებებს სხვადასხვა კაბინეტში ხალისიანი(ბუდუს შემხედვარეს თუ ეცინებოდათ) გამომძიებლები. მეტს აღარ ვიზამ, ასეთი იყო მისი წერითი გამოცდის რეზიუმე. მეტს აღარ ვიზამ-ში, ცხადია, მარტო გიმნასტიკა, ბეჭებზე ფეხებით შედგომა არ იგულისხმებოდა. დილა-ალიონზე გამოუშვეს უხაშოდ. ალექსანდრეს ბაღიდან გამოდგმულ ჯიხურს მიადგა, ორი კათხა ლუდი დალია პირგამომშრალმა და მაშინღა შეამჩნია ორი (ხედავდა და ვერ აღიქვამდა) მამაკაცი.

— გამოგიშვეს, ბიჭო? — ჰკითხა ერთმა, კილის შალის მოკლე ჯუბა რომ ეცვა და ჯიხურის დახლის ფიცარს რომ იყო ცალი იდაყვით ჩამოყრდნობილი.

ბუდუმ ხურდა ფულს დაუწყო პალტოს ჯიბეში ძებნა, ვუპასუხო თუ არაო, ფიქრობდა.

— ასეა! — თქვა ვინც თავსატეხი შეკითხვა დაუსვა.

— გადახდილია, — უთხრა მეორემ. იგი ტანმორჩილი იყო, ბუდუს ცოტა აგდებულად უყურებდა.

— ასეა!

„ვერ გავიგე, ყველგან ეგენი არიან?“ ფიქრობდა ბუდუ. მისი ტვინი უკვე გამალებით მუშაობდა, მძაღე ლუდმა მაინც დაატყო ხელი.

— ერთი ეს მითხარი... — „ასეა“ ეკითხებოდა. — ეს ეგნატეა თუ ფილიპე მაბარაძე?

იაკობ ნიკოლაძის ცნობილ ბიუსტზე იყო ლაპარაკი.

— უფრო ეგნატე, ისე მე აქაური არა ვარ, ქუთაისელი ვარ.

— ასეა...

შინ წავიდა, ვერ დაიძინა. იწრიალა და ისევ სტალინის ძეგლს გამოაკითხა სხვა მხრიდან და იქ გაჩერდა, სადაც დავტოვეთ. ვორონცოვის ხიდიდან კრინიგზელები შემოვიდნენ. წუხანდელი გამომძიებელი იცნო, იგი რკინიგზელთა ერთ ჯგუფს მიუძღოდა. გამომძიებელმა ბუდუს გაუღიმა. თავხედობაც იყო ამ ღიმილში, — შიში და გარიგების მცდელობაც. ახალგაზრდა, სპორტული აღნაგობის ღამეებნათევი გამომძიებელი პრარაბის ნახევარს ვერ გაუძლებდა. ბუდუს შეეცოდა გამომძიებელი და პრარაბი გაახსენდა. ცოცხალიაო, უთხრა ნაცნობმა, მარა რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რაც იმას მოხვდაო, დაუმატა.

ამასობაში დაღამდა, პროჟექტორებით გაანათეს თეთრ-წითელი გვირგვინ-ვენოკებით ოთხივ კუთხით გაწყობილი ძეგლის პოსტამენტი და ტრიბუნა ძეგლთან. მოწიფული ჩექმებ-კიტელიანი სტალინიც, არტემიდეს ქანდაკების ცუდი ასლიც, გვირგვინებითა და მზის გირლიანდებით იყო მორთული.

ჟოზეფინა იდგა ჩვენს ქვევით, დიდი ჩანთა ეჭირა. ჩანთაში, იოლი მისახვედრი იყო, პოლონური ჭადრაკული პერანგი (იოველისათვის) და ქალის ჩეხური საცვლები ჰქონდა ჩაკეცილი.

— გლახა ამბავი მოხდება აქ დღეს... — თქვა ბუდუმ.

სხვას უყურებდა და ჩემს გასაგონად ამბობდა. აშკარად ჟოზეფინასათვის დაედგა თვალი. ქალი იოლი გამოსარჩევი იყო სხვისაგან ხენდროსფერი, დიდსაყელოიანი პალტოთი.

— რა უნდა მოხდეს? — დავინტერესდი. გული მეც ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ ხასიათწამხდარი, გუნებადაქვეითებულ ბუდუს სიტყვას წონა ჰქონდა.

— ვიცი მე... — თქვა. გაჩუმდა, ისევ ჟოზეფინასკენ გაექცა თვალი. რატომ არ იღებდა ამ მისტერიაში მონაწილეობას და რატომ მისჩერებოდა ჟოზეფინას, გასაგები იყო.

— იცნობ?

— ჟოზეფინას?

— ჰო!.. — შიშნარევი მზერა დავუჭირე.

—როგორ არ ვიცნობ... ხომ გეუბნებოდი, ბერიას იმდენი საყვარელი არ ეყოლებოდათქვა...— მომაჩერდა, მცნობდა და ვერ მიხსენებდა ხოლმე იმხანებში.

— გათხოვდა ხო მაგი?

— გათხოვდა.

— ჭიათურელია მაგის ქმარი?

— ჭიათურაში მუშაობენ...

— მუშაობენ?

თავი დავუქნიე და სიტყვა არ ვთქვი ჩემი ინფორმაციული უპირატესობით გაამაყებულმა.

— ქალი სულელია, მით უმეტეს — მაგი! — წყალი გადამასხა ბუდუმ.

— ამხანაგებო, — წამყვანი აცხადებდა. ახლა უფრო გარკვევით ისმოდა მისი ხმა რადიოფიცირებულ ბაღში. — ჩვენი წარმომადგენლობითი დელეგაცია გუშინ ესტუმრა მარშალ ჯუ დეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაში. ოვაცია.

— ... მარშალი ჯუ დე, დიახ, მარშალი ჯუ დე დღეს მიემგზავრება ჩინეთში, იგი მაო ძედუნს, მაო ძედუნს ჩაუტანს, ჩაუტანს ჩვენს ამბავს...

ტაში. ოვაცია.

— მარშალი ჯუ დე ჩვენთანაა!

— ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!

ხალხი რატომღაც მარჯვნივ მიიღრიცა სკანდირების დროს. ბევრს ეგონა, ჯუ დე მოჰყავთ ხელში აყვანილიო.

ჯუ დე როსტოვიდან ლენინგრადში გაფრინდა და უკვე ოც მარტს მოსკოვში საჯაროდ განაცხადა: ყველგან (ჩამოთვლილი იყო მის მიერ მოსტუმრებული ქალაქები) გულთბილად მხვდებოდნენ, ხალხი აღფრთოვანებული იყო მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებით, ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ურთიერთობითო.

— ამხანაგებო, — კვლავ ქალი ლაპარაკობდა. — ჯუ დემ გულთან მიიტანა ჩვენი ტკივილი, მე თქვენთან ვარო, თქვენთან ვარო, თქვენზე არანაკლებ, თქვენზე არანაკლებ მიყვარს საქართველო, საქართველო და სტალინიო, — ტაშის მინავლებას დაელოდა. — დღესვე ეცოდინება მაო ძედუნს ყველაფერი, ყველაფერი, გაუმარჯოს მაო ძედუნს!

ამის შემდეგ ხალხური მუსიკის მოყვარულები გამოვიდნენ სალამურით, ფანდურით და დიპლიპიტოთი, შემდეგ ხალხურ მელექსეებს დაუთმეს მიკროფონი. ეს უკვე წუთშესვენებას ჰგავდა. სამიტინგაო პროცესი კი რადიკალურად იცვლებოდა. საინიციატივო ჯგუფმა, არც მეტი, არც ნაკლები, ნიკიტა ხრუშჩოვის გამოცვლა მოითხოვა, რასაც ერთსულოვნად, ერთგვარი სიამოვნებითაც დაუჭირეს მხარი. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე როცა აკაკი მგელაძის კანდიდატურა წამოაყენეს, გარედან მაყურებლებს იუმორის ხასიათი გაუფუჭდათ. ისინი სტიქიურად ორგანიზებულ მოძრაობაში ეროვნული ენერგიის გამოვლენას, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ელემენტებს ხედავდნენ, არცთუ უსაფუძვლოდ და ახლა ვითარება რთულდებოდა მათ თვალწინ, თუმცა თავის შესაქცევი დრო კიდევ რჩებოდა.

გადმოისროლეს ლოზუნგი: მთელი ძალაუფლება მოლოტოვს!

დღეს მისი დაბადების დღეაო, ბარათი ამოგზავნა ვიღაცამ. დაბადების დღის აღსანიშნავად ერთგულ სტალინელს ვიაჩესლავ მოლოტოვს (სკრიაბინს) გავუგზავნოთო მისალოცი დეპეშა. გამოიყო სწავლულთა ჯგუფი და იქვე შეადგინეს ტელეგრამის ტექსტი; კავშირგაბმულობის სახლში, სადაც რუსის გაძლიერებული სპეცნაწილი იდგა, გაუშვეს ახალგაზრდათა დელეგაცია. თავჩაქუჩა თევზების რომელიღაც ქვესახეობის წარმომადგენელმა კომუნისტმა მოლოტოვმა დაბადების დღე თბილისში ქვაფენილზე დაღვრილი ალისფერი სისხლით აღნიშნა; თექვსმეტი წლის მოსწავლის სიცოცხლე შეიწირა იმ კაცმა, ვინც ორჯერ თექვსმეტი წელი იცოცხლა კიდევ იმ დღიდან ცივი სისხლით.

სტალინის ძეგლთან სროლის ხმა შორიდან და რაც უცნაურია, სულ სხვა მხრიდან მოვიდა. კავშირგაბმულობის სახლთან სროლა იყო, მსხვერპლიაო, მოისმინეს და ყურად არ იღეს, ყოველ შემთხვევაში, ამას მიტინგის მსვლელობისათვის ხელი არ შეუშლია.

— პროვოკაციებსა და ჭორებს ნუ ავყვებით, ამხანაგებო! — ქალის ხმა იყო. გამოსაჩენ მიკროფონთან მამაკაცი იდგა, მაგრამ, ეტყობოდა, სხვა ხაზიც ჩაერთო იქვე ან ცოტა ქვევით მოფარებულში. გაბმულმა სროლის ხმამ გადასერა ცალკეული სობაში, ტყვიების ტკაცატკუცი ელექტრომავთულების შეხლას (მოკლე ჩართვას) ჰგავდა. „ხალასტოი" ტყვიებიაო, განაცხადეს და სროლაც შეწყდა. დანიშვნები გაგრძელდა: გადააყენეს ბულგანინი — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ბულგანინის ადგილში დაინიშნოსო ვასილი სტალინი.

გულისჩამწველი, მაგრამ შემაფიქრიანებელი გადაწყვეტილება იყო და ოვაციებსაც სიმხურვალე და თავდაჯერება აკლდა. გავუგზავნოთო ვასილი სტალინს მილოცვის ტელეგრამაო, ქვემოდან იძახოდნენ. მოლოტოვს ხომ მიულოცეს დაბადების დღე, ვასილი სტალინს რას ულოცავდნენ და — სად? გამოირკვა, რომ მისი ადგილსამყოფელიც არავინ იცოდა.

სტუდენტი ბიჭი მოვიდა და ჩემი ამხანაგი მოკლესო, ბუდუ ქვარიანს უთხრა.

— სად?

— სასტუმროსთან, ბაღის მხარეს, ლენინის სურათი ეჭირა ხელში, ტყვიამ გახვრიტა სურათი და შუბლში მოხვდა...

ბიჭი უცნაურად ატრიალებდა თვალებს, თუმცა დალაგებულად ყვებოდა თითქო ოდინდელ ამბებს. რამდენიმე ადამიანმა მიაქცია ამ ცნობას ყურადღება, სხვებს არაფერი გაუგონიათ.

— ვის ესროლეს? — სხვა კაცი მოვიდა დაბნეულ ბუდუსთან, ბუდუმ სტუდენტისაკენ გასწია ნიკაპი.

— ჩემს ამხანაგს ესროლეს, ყველას ესროლეს და იმას მოხვდა, ლენინის სურათი გაიხვრიტა, ჩემი ამხანაგი წაიყვანეს, წაიღეს, შუბლში...

თუ მართალს ამბობდა, სადღაც შორს, სხვაგან უნდა მომხდარიყო ეგ ამბავი. ვერ დაიჯერეს, იმიტომ, რომ თავად ამბის მომტანს არ სჯეროდა რაც ნახა, რასაც ამბობდა. იგი სადღაც დაიკარგა, მაგრამ მისი ნათქვამი სხვამაც დაადასტურა, თქვესო; მთქმელი და უშუალო ამბის მომტანი კი იმ ახლომახლო მეტი აღარ გამოჩენილა.

— ამხანაგებო, — ისევ ქალი ლაპარაკობდა, — ჩვენთან არის ვასილი სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, მაიორი არტურე დარაბეგიანი, ვთხოვთ მას ჩვენ!

მიკროფონი გადასცეს მაიორ არტურე (ასე მოიხსენია წამყვანმა) დარაბეგიანს, — სამხედროს, ამუნიციითა და სხვა აქსესუარების მიხედვით — ტანკისტს.

— მე და ვასია სტალინი, ჯულაშვილი, ერთ ნაწილში ვმსახურობდით!.. — ბრძანებებსა და ტანკის ხმაურს შეჩვეული ადამიანის ხმით დაიწყო დარაბეგიანმა. სატანკო ნაწილის მაიორი და ავიაციის გენერალი ერთ ოლქში შეიძლებოდა, მაგრამ ერთ ნაწილში როგორ იმსახურებდნენ? ასაკში უმნიშვნელო, ჩინში დიდი განსხვავება, გასაგები მიზეზის გამო, დასაშვები იყო და თუკი რომელიმე დაწყებითი სამხედრო სასწავლებელი (ესეც ძნელი დასაჯერებელი იყო) ერთად ჰქონდათ დამთავრებული, არტურეს დარი კაცი არ ეყოლებოდათ იმ ბარობაზე.

— თქვენ გაინტერესებთ სადაა ამჟამად ვასია სტალინი, — განაგრძობდა თამამად, თბილისური აქცენტით. — მე ვიცი სადაა ვასია სტალინი. ვასია სტალინი... მაო ძედუნთანაა... კიტაიაში!

ახლოს ერჩიათ, თუმც შორს სჯობდა. ჩინეთი, იგივე კიტაია, სტალინური იდეის განსხეულება, დაობლებული ერის რეალური მირაჟი იყო. სომეხი ტანკისტი კი, ავიაციაში რომ მსახურობდა ვასილი სტალინთან ერთად, აღარ ჩანდა. დასალევად წაიყვანესო, თქვეს. წაიყვანეს თუ წავიდა, არავის დაუნახავს, იმ ახლომახლოც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილა იმ გამოსვლის შემდეგ. მიკროფონი ხელში ჩაიგდო სახალხო მთქმელმა, რომელსაც დაწყებული ლექსი არ ჰქონია დამთავრებული.

— ეს კიდევ აქ არის? — კითხულობდა ვიღაც ნერვიულად.

— მა! — სახალხო მთქმელის ხმაც ისმოდა.

პროჟექტორების შუქში გახვეული ბუტაფორიული ჯავშნოსანი გამოჩნდა, გემივით გამოარღვია ხალხი და გაჩერდა ქუჩაში, სადაც ბუდუ ქვარიანი იდგა, საიდანაც პრარაბი გადააგდეს. წითელი დროშებით გაწყობილ ჯავშანოზე ლენინი და სტალინი იდგნენ. არც მძღოლი ჩანდა, არც დამდგმელი, არც გამომძახებელი; ეფექტი დიდი იყო, მსგავსება არცთუ იდეალური, გამოცხადება კი — გაუგებარი. ფინალი მოახლოებულიყო. აცივდა.

მოულოდნელად მახინა შეტოკდა, ლენინი მიასკდა უკანა ბორტს და დროშის ტარით შეიკავა თავი; სცენა დაბრუნდა, უფრო გამოსაჩენ ალაგას შედგა. ლენინმა სტალინს ჩამოართვა ხელი.

— მთის არწივი.

— დიახ, მგზნებარე კოლხიდელი.

რამდენჯერმე გაიმეორეს ეს სცენა, სტალინმა დიახ არ გამოტოვა, შემდეგ ჩიბუხის ტარით დაიწყო აბრეშუმის ულვაშების სწორება.

— ლენინმა აკოცოს სტალინს!

ხელგაშლილნი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ლენინმა აკოცოს სტალინს! — განმეორდა ბრძანება.

ჯერ ლენინმა გადაკოცნა, შემდეგ სტალინმა.

— ლენინმა აკოცოს სტალინს! — ახრიალდა მიკროფონი.

მიეახლნენ ერთმანეთს. ლენინმა აკოცა.

— ლენინმა აკოცოს სტალინს! — თანდათან უფრო მკაცრი და კატეგორიული ხდებოდა მოთხოვნა ტრიბუნიდან. იმეორებდნენ, ლენინმა სტალინს აკოცოსო, სადო, არ ამბობდნენ.

— სტალინი დარჩეს ადგილზე, ლენინი მივიდეს და აკოცოს!

მექანიკურად, მსახიობური მორჩილებით შეასრულეს ნაკარნახევი. ხალხი აღტაცებული დარჩა, მაგრამ თავად ლენინი შეიქნა ნაწყენი, შეურაცხყოფილიც ერთგვარად. ხელის მტევანი გაარხია უკმაყოფილოდ, დაუპატიჟებელი სტუმრის უხერხულობა იგრძნო და ტყვიამფრქვევის კაკანმა გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან.

— სმოლნიდან ისვრიან, ნუ გეშინია! — დაამშვიდა ბუდუ ქვარიანმა.

— შეწყვეტილი ლექსი დიდ ბელადზე! — ლენინი ამ ხმამ კიდევ უფრო დააფრთხო. სახალხო მთქმელი სათვალეს ირგებდა, უწესრიგოდ დალაგებული თაბახის ფურცლების არეულ ნუმერაციას ამოწმებდა. ტანკების გამაყრუებელი გრუხუნი მოდიოდა. სროლა ძლიერდებოდა, ლაწალუწით ცვიოდა ალვის ხის ნედლი ტოტები. დასამხრობი იყო უკვე, საიდანაც ისროდნენ, კოლექტიური ინტუიცია აგნებდა გასაქცევს, რომელიც განგებ იყო გახსნილი.

— არ დაიშალოთ, ზევით ისვრიან! — ისევ ის ქალი იყო, ჩავარდნილი ძეგლის ტრიბუნაზე ჩანდა. სქელი პალტო ეცვა.

ტანკების ბდღვინვით არეკილი ხალხი მშრალ ხიდზე გამორბოდა, ქარიც უკნიდან უბერავდა და ბოლი და გრუხუნი მოაცილებდა. ძეგლის ხალხმა იხუვლა და ზემოდან დევნილთ შეასწრო კიდეც ვორონცოვის ხიდზე. პრარაბი გარბოდა მოაჯირთან ახლო თეთრი თავის ფრიალით.

„ცოცხალი ყოფილა!“ — გაეხარდა ბუდუს.

— ფეხი აურიეთ, ფეხი აურიეთ! — ყვიროდა ვიღაც, უეჭველია, ჯარში, შეიძლება, ომში ნამყოფიც. ფეხი აურიეთ, ვითომ ხიდი არ ჩაინგრეს სამწყობრო სვლითაო. ხალხი დაიბნა, ზოგმა ტემპიც კი დაკარგა და უკანამან წინას გადაუარა. ორივ-გორ უნდა აერიათ ფეხი ამაზე მეტად თავგზააბნეულთ, ფეხაბნეულთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაურობა გამეჩხერდა, წინასწარ გამზადებული სასწრაფო დახმარების მანქანები შემოვიდნენ ფრთხილად. რუსის სალდათები ხიშტებით წმენდდნენ განთავისუფლებულ ტერიტორიას. ხელიხელჩაჭიდებულნი იდგნენ შიშისა და რეალობის შეგრძნებადაკარგული ქალები ძეგლზე. ზღმურტლიანი სერჟანტი, მეოთხე წელი ონანიზმით რომ გაჰქონდა თავი, ქვემოდან შეჰყურებდა ქალებს. ყველაზე ტანადს, რომელმაც სახეში შეაფურთხა, ხიშტი დაუმიზნა და გაუყარა შიგ ბოქვენში.

დედა ეძებდა შვილს შემზარავი ხმით:

— ზაურ, ზაურ, ზაურ!

— დაწექი, ქალო, დაწექი! — ეძახდნენ სიბნელიდან. პროფილაქტიკური სროლები დაიწყო და თავზევით აწივლდნენ ტყვიები. დედა მართლა გაწვა, იმიტომ კი არა, რომ შეეშინდა, ეს გრძნობა აღარ ჰქონდა, იმიტომ, რომ შვილი უნდა ენახა ან ცოცხალი ან მკვდარი. როცა იქაურობა ჩადუმდა, დედის ხმა უფრო შორიდან მოისმა:

— ზაურ, შვილო, ზაურ!

დაჭრილებს მიარბენინებდნენ ტყვიებს მოფარებულ ქუჩებში. იღლიებში ენაცვლებოდნენ სისხლით მოსვრილ ამხანაგს და გარბოდნენ. ბინებიდან გამოცვენილი მშობლები ასკდებოდნენ განათებულ, საოპერაციოდ გამზადებულ საავადმყოფოებს, მორგებს.

მიცვალებულთა დღე გათენდა, 10 მარტი. ქალაქში ცივი სიჩუმე იწვა. ვენოკებშემოცლილი ყავისფერი მონუმენტი იდგა ცივ სინათლეში. რადიორეპროდუქტორები კვლავ მეოცე ყრილობის დირექტივებს გადმოსცემდნენ. გაზეთებიც ყრილობას აშუქებდნენ, მშრომელთა დასვენების დღეების გახანგრძლივებას იუწყებოდნენ; წინა დღე, 9 მარტი ამოხეული იყო კალენდრიდან. იგი უკვალოდ გამქრალიყო დროებით დროთა ბრუნვიდან.

ტყეში ირემი მოეკლათ ლიცენზიის გარეშე. მონადირენი გაესამართლებინათ. ექვსი თვის იძულებითი მუშაობა მიესაჯათ უშუალო მკვლელისათვის. სენსაციური ქრონიკა მსხვილი სათაურით იყო აწყობილი:

ს ა ს ჯ ე ლ ი ირმის მ ო კ ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს

წლები მიდის. დედის ტირილი არ წყდება. ძეგლი აღარაა. სისხლი არ აჩნია მიწას. მახსოვრობა იმპულსურია. მწუხარება მთლიანი, გაუნელებელი. ყოველ ცხრა მარტს, ყოჩივარდობისას, დედა ეძებს სკოლიდან მიტინგზე გაპარულ შვილს. ყველას კი არ ესმის დედის ხმა.

*

ბუდუ ქვარიანი გამოვიდა სასტუმროდან. წელში გამართული, ცალ ჯიბეში ხელჩაყოფილი ირწეოდა, თითქო სხვაგან იხედებოდა, თუმც ჩემკენ რომ მოდიოდა, ვხვდებოდი. მკლავზე ხელი მომკიდა, გამარჯობა არ უთქვამს:

— რესტორნის ფანჯრიდან დაგინახე და გამოვედი, სოსოიამ, მაგას გავკარი მაინცადამაინც, გამიხურა: ბერია არ დაუხვრეტიათ, ცოცხალიაო, სულელია და რა უნდა ველაპარაკო. ხომ არ შემოხვალ? ისე, ვერც გეძალები, მთვრალები არიან, თანაც ვხედავ, გელოდებიან; რამდენი სალაპარაკო მაქვს შენთან, რომ იცოდე, აქ აზრი არ ჭიატობს. სოსოია სტალინის სადღეგრძელოს სვამს, თორმეტი თუ თვრამეტი სული გაასაღა ჩემი ახლობელ-ნათესავებისაო, მაგი რატომ გადარჩა, მაგ არგასაზრდე-

ლი... ამოგვჟუჟა და მაინც მიყვარს, იმიტომ, რომ დიდი კაცი იყოო, ამაში მართალია, რას ერჩი ახლა სოსოიას... ხომ იყო დიდი კაცი, ჩათლახი, მარა დიდი. ლენინი უფრო დიდი იყო, ვთქვათ, ისტორიისათვის თუ სტალინი, ორივეს გადაუშენდა პატრონი, მყვარებელი, სტალინი — მაინც ხომ?! ბაბუაშენი იყო ვლადიმირი კაი კაცი, რა ბატონი მცა რომ იცოდე, მოსკოვში. შენო, სოსოია, მეუბნება, სტალინის გამო ნაჯდომი ხარ და რა გალაპარაკებსო, მართალია, ერთი ღამე გავათიე სულ, ლენინმა მეტი მახეხია... შენც იყავი დაჭერილი ერთი დღით...

— ორით...

— ორით? — ხმამაღლა იცინოდა, ხელს არ მიშვებდა და გამვლელ-გამომვლელთანაც ახერხებდა გამოლაპარაკებას.

— მთვრალები არიან, არ ღირს შესვლა, სოსოია, მაგას დაუდგა კაი კვირა, მთვრალია, ცალკე მინდა შენთან დავჯდე ერთი-ერთში, რამდენი სალაპარაკო მაქვს, რომ იცოდე... კოლია გამარჯობა, ამ კაცს ერთხელ ხომ მივესალმე... რუსთაველი უფრო დიდია თუ შექსპირი? — ცალი წარბი ჰქონდა იმ დროს აქაჩული.

— ჩვენთვის რუსთაველი.

— სხვისთვის?!. სოსოიას დაუდგა კაის წელიწადი!..

— დანარჩენი მსოფლიოსათვის შექსპირი, ობიექტური დასკვნის გაკეთება კი, სხვადასხვა გარემოების გამო, შეუძლებელია!

— შემომყარე გულს... პრინციპში, ამნაირად საკითხის დაყენება მაინც არ შეიძლება, ხომ მართალი ვარ?!

— ნაღდად.

— გამოიხვრიტეს ტვინი: ერთი იძახის — ისაა დიდი, მეორე ესაააო, არ გაჩერდნენ და გამოვედი, თანაც შენ დაგინახე... ხომ აქა ხარ ეს დღეები, მინდა გელაპარაკო. მიხაკო შველიძე ამოვდევით მიწის ქვეშ და ქელეხიდან აქეთ წამოვედით... მიხაკო კაი კაცი, კაი ქუთაისელი, აჩიკოს მამა, იცი, რავა არ იცი. მერე დამიწყო სოსოიამ რუსთაველი უფრო დიდია თუ შექსპირიო, მე ვეუბნები: საკითხის ასე დაყენება არაა სწორი-თქვა, ვინ გისმენს. ისე, ამ ქალაქში სხვა რა უნდა აკეთო... სულისხუთვის ქალაქია. მოკლედ ასეა: მკვდრებს ვმარხავთ, ცოცხლებს ვხოცავთ, კი არ ვხოცავთ, ვეფერებით, აბა, რა უნდა ვქნათ, რამდენი პარასკევი დარჩენია ადამიანს ამ ცის ქვეშ, არავინ არ იცის, ამოვდევი ეგერ მიხაკო და წავაყარეთ მიწა, იყო — აღარ არი... წავალ ახლა მე, გავუყვები ჩემს გზას და სოსოიამ არკვიოს — ჩემბერლენი უფრო დიდი იყო თუ კალისტრატე ჩიკვაიძე... გახსოვს ჟოზეფინა? რატომ არ თქვი მაშინ, შენი მეზობელი თუ იყო!.. რა ხანი გავიდა მას შემდეგ, ოცდაათი წელი...

— მეტი.

— მეტი ხომ? სოსოიას დაუდგა კაი კვირა!

ჟოზეფინა, ჟოზეფინა, ჟოზეფინა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVI

ძეგლების ხელახალი მსხვრევა

დაიწყო ძეგლების ხელახალი მსხვრევა.

თანმიმდევრულად, შიშითა და მოკრძალებით აალაგეს სტალინის ძეგლები, საქართველოში საპანაშვიდე განწყობილება დაამკვიდრეს.

და მაინც ამის აუცილებლობაში ვერავინ დააჯერეს. დამონებულმა, დაგლახავებულმა, ყოველნაირ უსამართლობას შეგუებულმა ხალხმა დრტვინვა დაიწყო.

ააფეთქეს ლენინის ძეგლი ზესტაფონში. დაიჭირეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ზესტაფონში სტუმრად ჩასული ბუდუ ქვარიანი, საეჭვოდ რომ ტრიალებდა თურმე წინა საღამოს ბაღის გარშემო, სადაც ლენინის შოკოლადისფერი ძეგლი იდგა.

შეწრიალდნენ და არ დაიმჩნიეს, ფაქტი ვერ გაახმაურეს, ყურს და თვალს არ დაუჯერეს. საგონებელს მისცემოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, პირში წყალჩაგუბებულებივით იდგნენ, თითქოს მიცვალებული ესვენათ; ბრალდების კი არა, მომხდარის გამხელა არ სურდათ. ძიებაც ჭიანურდებოდა. ეჭვმიტანილები არ ტყდებოდნენ, დრო გადიოდა. საკავშირო ცეკას ინსტრუქციებისა და შეკითხვების მრავალმნიშვნელობის ტონიც ნელდებოდა; სუკსაც გეგმაზომიერად გადაჰქონდა საქმე პოლიტიკურიდან სამოქალაქოში. ბუდუ ქვარიანი ერთი პირველთაგანი გადაგზავნეს ორთაჭალის ციხეში. მალე გაუშინაურდა საერთო საკნის ბინადართ, ციხის ზედამხედველთ; მათიანი გახდა. გაიხსენა მხატვრობა — ძველი ხელობა, საყვავილეებში რომ აითვისა ბაღნობაში. დაუვიწყარ ამას და იმას რომ აწერდა სავენოკე ფირფიტებს... ერთგულიან, ორგულიან გვირგვინებში ამაგრებდნენ ბუდუს ავტოგრაფებს საპანაშვიდედ: დაუვიწყარ ამბროსის...

ციხეში ცოცხალი ადამიანების მოსვირინგება დაიწყო, ლენინ-სტალინს ახატავდა ბეჭებსა და მუხლისთავებზე მოხალისე პატიმრებს.

დამახატეო, ეხვეწებოდა ტოლია ლევი, ლენინი და სტალინი ბეჭებზეო. გაფუჭებული ქურდი იყო, თორემ ფრაერების ამოსვირინგების უფლებას ვერ მისცემდა საკუთარ პერსონას.

მაინცადამაინც ბეჭებზე.

აბა, წინ ადგილი აღარა მაქვს და რა ჩემს იმაზე მივიხატო ან ერთი ან მეორეო.

ბეჭებზე.

ლენინი მარცხნივ, სტალინი მარჯვნივ. პატივისცემა ჩემზე იქნება, მხოლოდ ლენინი მარცხნივ, სტალინი მარჯვნივ.

მთავარია მოვიცალო და შენ არ განერვიულო, თვარა მარჯვენა და მარცხენა რა სალაპარაკოა, ამშვიდებდა ბუდუ და რა მარჯვენა და მარცხენა აუტყდა ამ ჩემისასო, კითხულობდა ქართულად. ასეთია სურვილი ჩემი, ეპასუხებოდა ტოლია ლევი, ხვდებოდა, რა აინტერესებდა მხატვარს.

ხოში აქვს ასეთი, უხსნიდა ვილაც.

და უ მენია ესტ ტაკოი ხოში! ადასტურებდა ტოლია.

მასე იყო კი... დავახატე ბოლო-ბოლო... ტრაფარეტი მქონდა, შაბლონი უბ-

რალო, არ მართმევდნენ, იყო საშუალება მუშაობის. დავადებდი ზურგზე ამ ტრაფარეტს და ვჩხვლეტდი ნემს-მახათით; სისხლი იმას არ ჰქონდა, რომ გამოდენოდა და არაფერი დაუკარგავს, მარა ვაწვალე, რო არ მოგატყუილო, ერთი-ორი ნახევარი ვაცოდვილე; ითმინა და ბოლოს განერვიულდა მაინც. გაგაგდებენ შენ მალე გარეთ, ვხვდები და დამრჩება ნამუშევარი ზურგზე დაუმთავრებელიო. ოღონდ მე გამაგდონ და მოგტ-ნია დედა ტოლია-თქვა, ნუ გეშინია, შეგირდები მრჩება და მოგხედავენ ჩემს მერეც...

შენ დაიწყე და შენ უნდა დაამთავროო, — ლენინი მარცხნივ, სტალინი მარჯვნივ, როგორცაააო.

მოვრჩი რავარც იქნა, კმაყოფილი დავტოვე. სხვებმაც უქეს ჩემი ხელობა, დაგხატაო, შენს შეხედვას არ ჯობია არაფერი უკნიდანო. მომადგა მეორე დღეს და რა მიქენი ესო, მეკითხება თვალებგადმოქაჩული. რა იყო, მე ვუთხარი. რაღა რა იყო, ლენინი მარჯვნივაა, სტალინი მარცხნივო, ეს გთხოვე, ამაზე მახვენე ამდენი ხანიო. შემომეყარა გულს, მარჯვენა და მარცხენა ამერია დავიჯერო? შევხედე, სწორადაა: ლენინია მარცხნივ, სტალინი მარჯვნივ. სწორია ვეუბნები, ეს ხომაა მარჯვენა ბეჭი, ეს ხომაა მარცხენა ბეჭი, კიო, აბა რა გინდა მეტი, სწორია-თქვა. რანაირადაა სწორი, მაბრმავებ? რა სწორი, რის სწორი! სარკე ჰქონია ამ მკვდარძაღლს პატარა, წამოიღებს ამ მოგრეხილი ხელს ზურგს უკან და იხედება შიგ, რანაირად ახერხებდა არ ვიცი, მაგრამ შებრუნებით უყურებდა გამოსახულებას: მარჯვენა მარცხენად ეჩვენებოდა, მარცხენა — მარჯვენად...

*

იაკობ ნიკოლაძის ლენინი, ჰეფესტო ბიძიამ მკლავი რომ მოატეხა, ბაღში ჩადგეს და მალე კვლავ მოუნაცვლეს ადგილი; ბაღში კი (ბულვარში) უფრო დიდი, უფრო უშნო ქანდაკება ჩატოვეს და ესეც ეცოტავათ: სადგურის მოედანზე, გადასახედში აღმართეს ვეებერთელა ლენინი, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა თურმე.

მორიგი მიტინგის შემდეგ აღგზნებული მომიტინგეები სადგურისაკენ დაიძრნენ. ერთ ჯგუფს ღიპდადებული ბუდუ ქვარიანი მოუძღოდა. თქორავდა და შევერცხლილი სველი, ორად გაყოფილი ქოჩორი აფუშფუშებოდა. გრძელი წარბები, მოგრძო ნიკაპი, კეხიანი თხელი ცხვირი, ნაცნობი სახე და თვალები. აღარა ჰგავდა იმ ბიჭს, მასებს რომ მიუძღვებოდა ერთ დროს კრწანისის ბაღებში ჯუ დესაკენ, მაგრამ ეშხი და ჯავარი არ აკლდა ჯერ კიდევ.

— ის კაი იყო, სტალინის ძეგლები რომ დაანგრიეს?! — უთხრა ვიღაცას გულგარეთ, გამოხატა რა მასის აღტყინების მიზეზი: სისტემას, სისტემის სიმბოლოს კი არ ანგრევდნენ, სამაგიეროს გადახდის სანახაობას ამზადებდნენ; მონობის უღლის გადაგდების ღვთიური მიზანი არ ამოძრავებდათ, რადგან იმ უღლის გარეშე ცხოვრებაც ვერ წარმოედგინათ.

ბუდუ დაღლილი ჩანდა და არა აღელვებული, სეირის მაყურებელს რაც ძნელი ეგონა, ბუდუს და მისიანებს იოლი მოსჩვენებოდათ. ქალაქის პარტიული ხელმძღვანელობის ლოიალიზმი და შეშფოთებაც, ბუდუსთან მოლაპარკებას რომ მოითხოვდნენ, ამას მოასწავებდა.

— ერთი მაგათიც! — თქვა თვით ბუდუმ.

მოტკაცუნდა ტრაქტორი, სახანძრო დაცვის მანქანაც მოაყენეს პედესტალთან. წვიმამ იმატა და შუქიც წავიდა. გამოგვირთესო, აყვირდნენ. მანქანის

ფარებით გაანათეს იქაურობა და დენიც მოვიდა. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა შესრულებულიაო, მოირბინა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, ფაკულტეტის ყოფილმა კომკავშირის მდივანმა. არადა, დენი, სალაპარაკოდ ხდესო, თავად ქალაქის პარტიული ხელმძღვანელობის თავკაცმა გამოითხოვა. ქალაქკომს, აღმასკომს, მილიციას, შინსახკომს (სუკს), იგი არ ჩანდა, აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა, გაირკვა.

— ლენინი და სტალინი არ დაახატე ტოლია ლევის უკანალზე, ბუდუ?!

— ბეჭებზე, პრივეტ!

— სადაა ახლა?

— ტოლია? იმის სულელი დედა მოვ-ყან, რა ვიცი მე სადაა, ვაგანკოვოს სასაფლაოზე...

— მოკლეს?

— კი, მგონი!

ახრიალდა სახანძრო დაცვის ავტომობილის კიბე აღმა. კიბე კიბეს გადააჯდა ამის შემდეგ სამგზის, მაგრამ ძეგლის ფეხსაც ვერ შესწვდა ზედა ფალანგი; ხელი კი უწვდინეს შარვლის „აბშლაგს", თუმცა კიბიდან სველ ლენინზე აცოცება, როგორც გათვალნათელდა, მეხანძრეთა შესაძლებლობებსაც აღემატებოდა. გამოჩნდა ალპინისტი, მეკლდეური მოგორგლილი მწვანე თოკებითურთ.

ფრთებმოგლეჯილი ბუზივით მიცოცავდა მეკლდეური ზევით და ზევით და როგორ და რანაირად აღმოჩნდა ლენინის პალტოს საყელოში (მე პირადად, იმ მომენტში, თვალები მქონდა დახუჭული), არ დამინახავს. ტრაქტორზე მიბმული გვარლი თოკით აზიდა და გადააცვა ლენინს თავზე. იოლად ჩამოცოცდა და სადგურის სველ მოედანზე (აღარა წვიმდა) უცნაური მოლოდინის სიჩუმე დადგა. ტრაქტორი აძაგძაგდა, ბუდუმ ხელების ქნევას მოუმატა; რაღაცას ყვიროდა, მაგრამ მისი ბრძანებები აღარ მოდიოდა სეირის მაყურებლებამდე.მეორე, უფრო სწრაფი და პატარა ტრაქტორი მოვიდა. გაჩერდა, პირველმაც გამორთო ძრავი. მეტრაქტორეები გადმოვიდნენ და ერთმანეთთან გააბეს ლაპარაკი.

— ბუდუია უბედურო, ყველა, ძველი და ახალი მკვდარი, შენი გასასვენებელი რავაა?! — დაიძახა ერთმა ვაგზლის კიბიდან, — იმჟამად ტრიბუნიდან. ამ ხმაზე გამხიარულდნენ და დიდი ტრაქტორიც ახრიალდა, ატკაცუნდა, წინ წასვლა ვერ შეძლო და ერთ ალაგას დაიწყო ასფალტის ტკვერა; ქაჩავდა და ვერ აგდებდა, ძეგლი ვერ ჩამოაყირავა, თუმცაღა ნამეტანი მოინდომა, ერთი-ორჯერ ყალყზეც კი შედგა.

— ბუდუია, კი ნუ ქაჩავს, გაკრას, უთხარი, მაგას გავკარი ილინცურად!

ეგრეც ქმნა. მრჩევლის არც მთლად დელიკატურ რეკომენდაციას დაჰყვა მეტრაქტორე და ძეგლიც შეყანყალდა. რამდენიმე ბიძგისა და ერთ ბოლო და შეიძლება „ილინცურ" ილეთზე გადაიხსნა პედესტალი და ლენინი საკუთარმა სიმძიმემ გადმოყანთრა, გადმოხარა, თავზარდაცემულმა დახედა მიწას, მოწყდა და ზათქით დაენარცხა გრანიტის კიბეს. იძრა მიწაც რიხტერის შკალის მინიმალური სიძლიერით. გრანიტისა და ბრინჯაოს დაჯახების ზრიალი, ხალხის ღრიალი მიწვდა ჩაბურული ქალაქის შორეულ უბნებსაც და წამსვე ყველაფერი მიწყნარდა.

თბილისში ლენინის ძეგლის ჩამხობას არ დავსწრებივარ, მხოლოდ მეორე დღეს მივადექი ხორცისფერ კვარცხლბეკს, რომელზედაც ორი — ერთი გრძელი, მეორე — მოკლე ფეხიღა დავინახე, ორფეხადღა იყო ძეგლი დარჩენილი,

იდგა წვივებჩამჩხვლეული და თავად აღარა ჩანდა, იქ იყო და ვერ ვხედავდი; მომეჩვენა, რომ გახადეს სქელი პალტო, ისე რომ აწუხებდა სიცხეში, ხვატში, პაპანაქებაში.

მალე მიუჩენენ სხვა მოსასვენებელს, გამოკრძალავენ მავზოლეუმიდან და რაცაა დარჩენილი გარსიდან, დაფლავენ სამარადჟამოდ მიწაში, დედის ძვლებთან ახლო; ცოდვილს მიაბარებენ ცოდვილ მიწას და ჩატოვებენ შიგ უკუნითი უკუნისამდე. მავზოლეუმს კი, რომლის ბალავარშიც (ზოგიერთი სარწმუნო ცნობით) პერგამოსის საკურთხევლის ნაწილია ჩაკირული, კარგა ხანი ვერ შეელევიან და მარტო ადამიანთა მეხსიერებაში არ დარჩება იგი ნაძრახ ადგილად, სატანის ტახტის თანაზიარად, იქნება, იქცევა კაცობრიობის ისტორიად, ავი სული კი არ ამოვა ფუნდამენტიდან.

ლენინში და სტალინში გაიარა ჩემი თაობის საუკეთესო წლებმა. ისინი მახსოვრობაა, ტკივილია, სიხარულია, ბავშვობაა, სიჭაბუკეა, დიდობაცაა. მახსოვს და არ მავიწყდება. ვხედავ, ცოცხლდებიან და ქრებიან ძეგლები და ადამიანები... ლენინის ტრიბუნაზე, სტალინის ტრიბუნაზე მდგარი წერა-კითხვის მცირემცოდნე, ღარიბი რევოლუციონერები მახსოვან დაკეცილი ქოლგებით. ისინი ზევით ჰყავდათ. ქვევით იყო ახალგაზრდობა, სინათლე, ყვავილები.

და იყო ბავშვობა მრავალნაირი ფერებითა. წავიდა. მიდის. მიდიან. დღეები მიჰყვებიან დღეებს, აქაური ცხოვრებაც სრულდება. თვალის დახამხამების ერთი გადასარბენი გარბენილია...

ცხრაას აქლემს მიაქვს მზის იდეა. მზე — გავარვარებული სპილენძი — ელავს ყვითელი დიუნების იქით; ეჟვან-ზანზალაკების შორეული ხმაა. ქარავანი კი მირწევა სიცხეში, ალმურადენილი ქვიშის ჩხრიალში. აქლემებს მიაქვთ ჰელიოსი წყლისა და პალმების მირაჟებისაკენ, მზისკენ, ქვიშის ჩახურებულ სიყვითლეში იძირება მზის აზრი. ვითენთები, ვნანევრდები, ვიფანტები სიცხეში, სიცხის აბლაბუდაში. და მაინც წინ — მოჭერილ ცეცხლისფერებში, აქლემების ცხელ თვალებში არეკლილ ოაზისებში, მირაჟებში, არაფერსა და ყველაფერში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVII

კრემლი. ბაბუაჩემი. ენუქიძე.

ენუქიძე ქალების უსტაბაში იყო. იმან გაურიგა ნადია სტალინს; ნათლია იყო ნადიასი, როდის მონათლა, ეშმაკმა იცის. დედა, ოლგა ევგენიევნა, ორივეს სჯობდა — ნადიასაც და ანასაც. ანა ცოტა შერეკილი ჩანდა, არც ნადია იყო დალაგებული. ოლგა ევგენიევნა კი ავ თვალს არ ენახვებოდა და აბელი ნათლიდედას, ნათელმირონობის ხათრით მაინც, ხელიდან არ გაუშვებდა, რაღა ლაპარაკი უნდა. სტალინი პავლეს ცოლს ხმარობდა... პავლე ვინ იყო და ნადიას ძმა, იმის ცოლისძმა, ვისი და სტალინის.

მართალი თუ გინდათ, იქ... — ქუთაისიდან ცერით მხარუკუღმა მიათითებდა და მეგონა, სადღაც ბალახვანში თუ ეგონა უკვე კრემლი. — იქ, ვისი ის ვის იმაში იყო, ვერ გაიგებდი... ასე იყო: ნადია მოლოტოვის ცოლზე პოლინაზე ეჭვიანობდა, სტალინი — ბუხარინზე და ნადიას სიკვდილის მერე ენუქიძეს ველარ იტანდა... ვოროშილოვმა ოდესელი ესერი, ტერორისტკა გოლდა გორბანი მოიყვანა და რაღაც უკურნებელი შეჰყარა კაზაკი ქალებისაგან წამოღებული; გააქრისტიანა და გააბერწა კიდევაც, თუმცა ვოროშილოვამდე ვინ არ გადიოდა ზედ. ბაბუაჩემი, შენი ბაბუის ბაბუა, ბლაღოჩინი მიქელა ნატაციებს მიკითხავდა მორალზე... მისი კანონები იქ (ცერით მხარუკუღმა) არ მოქმედებდა, იქ (ორთავ ხელის მტევნები თითებით დაბლა ორ ლაჯსშუა) ეს იყო მთავარი, იმაზე ტრიალებდა ყველაფერი. რა კუჭზე? კუჭიც, თქმა არ უნდა და მაინც ხურუში და პოლიტიკა... ასე იყო, ხვდები ახლა, ასე იქნება მარად... ლენინი ხომ ქალებმა დაღუპეს... აბა კაპლანის ქალი ვინ იყო? მე ვესროლე თუ ფანი კაპლანმა?! ეჭვიანობის ნიადაგზე ესროლა, ინესა არმანდში რავა გამცვალეო... რატომ გადაუხვიე ჩვენი ლინიიდანო, დაუძახა ყასიდად. მეო? გულზე ხელი დეიდვა ლენინმა. შენო, შენი დედაცო და დააყარა... „ემადინის“ ბორბალთან ფორთხავდა მენდელსონის ქარხნის ჭვარტლსილაში და სისხლში, გადარჩა მაგის დედა მოვ-ყან! სერგია კიროვი გათახსირებული კაცი იყო, ბალერინები ყავდა იმ მათხოვარს დაბმული მოსკოვში და პეტერბურგში. საპატიო სტუმრები სანადიროდ დაყავდა, ნადირზე და ბოზებზე პატიჟებდა. სტალინმა მოაკვლევინა გგონია შენ? სულელმა ნიკიტამ გაავრცელა ეგ ხმა. არც სტალინს მოუკლავს, არც ზინოვიევს, არც კამენევს, ძაღლი მიაკვდა ორივეს, თუ ძალიან გინდა, — სამივეს, ნიკოლაევმა მოკლა. იცი? ცოტა იცი! კიროვი ნიკოლაევის ცოლს მილდა დრაულეს ადებდა... ცოლი საკუთარი როგორ არ ყავდა, იმას ვინ მიეკარებოდა, ქვაზე დახატულ ეშმაკს ჰგავდა, კაცი ყველაფერში კი არ გეიმტყუნება... ცოლი სახლში, საყვარელი სამსახურში, ერთის დედა იქ მოვ-ყან, მეორესი იქ. ის მილდა მაინც ნამეტანი ავხორცი იყო, — სმოლნის ბუფეტის ოფიციანტი. ნიკოლაევი, ქმარი მილდასი, სერგია კიროვზე ეჭვიანობდა, გეგონებოდა კიროვის მეტი არ მიკარებოდა არავინ მის ცოლს. სულელი იყო ნახევრად... ერთხელ პარტიიდან გარიცხეს და თავს იკლავდა, ცოლმა კიროვის იმით აღადგინა პარტიაში და მერე დატრიალდა დასატრიალებელი: სმოლნსა და კრემლშიაც იმ ხანებში პარტიის მანდატით უშვებდნენ, პარტბილეთი იყო საშვი... შევიდა მერე ეს ჩემის ნიკოლაევი სმოლნში, დოუხვდა კაბინეტის კართან და გამოვიდა თუ არა, ესროლა შიგ გულში და გააგორა საახალწლო ბურვაკივით, ძლივს გაულიათ კარი შიგნიდან. ნიკიტას დედა მოვ-ყან, მაგი მასწავლის მე რაფრად იყო მაგ საქმე?!

ბუხარინს? კი, როგორ არა, პარიკმახერს ჰგავდა, სასტუმრო ნაციონალის მთავარ დალაქს. 13 წლის ბოვში ითხოვა, ამხანაგის გოგო. ნადეჟდასაც ეარშიყებოდა ზრდილობის გულობიზა და მდულარეში რომ ჰქონდა თავი ჩაყოფილი, ვერ ხვდებოდა. შვიდი ნოემბრის დღესასწაულზე იყვნენ მაგენი ყველანი ვოროშილოვებთან ვახშამზე... არ მოეშვა ის მეტროპოლის დალაქი, ნაციონალი ვთქვი? არა აქვს მნიშვნელობა, არ მოეშვა ნადიას და გოუბა ლაილაი. ის ჩვენი ულვაშა, გორელი შეთვრა თურმე და დეიწყო მანდარინის კანების სროლა, ხან ერთს ესროულებოდა, ხან მეორეს... ისე არიან ლაპარაკში გართულები არ ესმით, ეო, მერე ცოლს დოუძახა: — ე, შენ!

ვინაა შენი ეო, გიჟი იყო ის ქალი და გადმოაყარა უკან მანდარინის კანები, წამოხტა, გაიქცა, სტალინის შიშით არც გაკიდებია არავინ... ნადიამ იმ ღამით, მე ქე შემეცოდა, იკრა საფეთქელში მისი ძმის პავლეს ნაჩუქარი „ვალტერით" ტყვია საფეთქელში... მოკლაო. არავის არ მოუკლავს, თვითონ მოიკლა თავი. მოსამსახურემ, სტალინის გაღვიძება ვერ გაბედა და ენუქიძე გამოიძახა. პირველი აბელი დაადგა მკვდარს თავს, აბელმა შეაფხიზლა სტალინი, ასეა ბიჭო, შენი ამბავიაო და ქეც გადაჰყვა თვითონ იმ ამბავს. სტალინმა პავლეც გააყოლა ნაჩუქარი პისტოლეტით ცოლს, ნადიას... გაუბედურდა ალილუევების ოჯახი, ერთი ვაჟიც ყავდათ პავლეს გარდა, ის თლა მოთავებული სულელი იყო და გადარჩა...

შინაგანი სექსუალური ენერგია, ლტოლვა მამრისა საპირისპირო სქესისაკენ, სხვადასხვა, დადებითი და უარყოფითი, იმპულსების ჯაჭი აძლევს ბიძგს მოძრაობას და ბიძგებით მიდის სამყარო წინ, წინ, წინ! — დასასრულისაკენ, ხელახალი აფეთქებისა და გაღვიძების მოლოდინისაკენ.

დაახლოებით ამდაგვარ დასკვნას, რასაკვირველია, სხვა სიტყვებით, აკეთებდა ბაბუა ჩემი ყოველივე ზემოთქმულიდან, რაიც იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკურ-მატერიალისტული დიალექტიკის სრულ იგნორირებაზე იყო დაფუძნებული... ნიჭიერი და არც მთლად გონიერი კაცი გახლდათ ბაბუა ჩემი, თავშეკავებაც აკლდა და წინდახედულებაც, მიკვირს, როგორ გადაურჩა იმ წლებს. მისი მონათხრობი ბევრს, მათ შორის მეც, ტყუილი, მოგონილი და რა დასამალია, სისულელე გვეგონა, სანამ ჭკუაში არ ჩავდექი, სანამ თავად კომუნისტებმა არ გამოიტანეს სამზეოზე მათი პიკანტურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დეტალი.

მიუხედავად ამისა, ბაბუავ ჩემო, მარტო შენს იმედზეც ვერ დავრჩები:

სტალინისა და ქალბატონ ნადეჟდა კრუპსკაიას ურთიერთდაპირისპირება, როგორც ჩანს, მხოლოდ ლენინის ავადმყოფობის დროს გორკაში არ დაწყებულა. რამდენად შეილახა ლენინის თანამეცხედრის ქალური თავმოყვარეობა სტალინისაგან კრაკოვში, ძნელი დასადგენი იქნება, მაგრამ ლენინის და მარია, რომ რძლის გულისგასახეთქად სტალინს ემხრობოდა, ფაქტია.

საყვარლები სტალინს არც ისე ცოტა ჰყავდა, როგორც ჰგონიათ და არც ისე ბევრი, როგორადაც, ალბათ, თავად სურდა. დიქტატორობა ხელს უხსნიდა, ხელ-ფეხსაც უბორკავდა. ბევრს ერიდებოდა, ბევრისთვის ვერ იცლიდა და ამიტომაც მისწვდა შინაურს, ცოლისძმის ცოლი დაითრია, ესეც დადასტურებულია. თავად მას აქტიურად ეარშიყებოდა საბჭოთა პარფიუმერიის გამგებელი, მოლოტოვის სურნელოვანი ცოლი პოლინა ჟემჩუჟინა (პერლ კარპოვსკაია), რომელიც დიდი ხნით, არცთუ უსაფუძვლოდ, იქნა სტალინის მიერ გადასახლებული. საბრალდებო დასკვნასთან ერთად მოლოტოვს წარუდგინეს ნოტარიალურად დამოწმებული პოლინას საყვარლების სია, რამაც ქმარზე რამდენადმე უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა.

პატრონის გარდაცვალებისთანავე, პოლიტბიუროს ზოგიერთ წევრთან შეთანხმების შემდეგ პატიმარი ქალი, „ტრაინოი ოდეკოლონის" სუნი რომ ასდიოდა უკვე,

ბერიამ მოსკოვს ჩამოიყვანა და საკუთარ კაბინეტში შეახვედრა ქმარს — ვიაჩესლავ სკრიაბინს (მოლოტოვს).

ჩამომწლეული ცოლის დანახვაზე მკაცრ დიპლომატს ლაბრადორის სახე ეტაბზარა და ატირდა. გულისამაჩუყებელ სცენას გულზეხელებდამწყვდეული, ფეხებგადაკვანტილებული, სამუშაო მაგიდის ძგიდეზე საჯდომშემოდებული ლავრენტი უცრემლოდ შესცქეროდა და როგორც ირკვევა, საყოფაცხოვრებო მელოდრამის დეტალებსაც იმახსოვრებდა. დაიმახსოვრა და გაიტანა საანეკდოტოდ. ალბათ ამიტომ და არა ამიტომ, მოლოტოვმა საკმაოდ მოგვიანებით ბერიას აქოთებული კეტეტილა უწოდა.

პოლიტსექსურთიერთობა ჰქონდაო სტალინს მფრინავ ქართველ ქალთან, ვიღაც რუსუდანთან, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მეძავთან ალექსანდრა კოლონტაისთან, რომელსაც ორმოცდასამი წლისას ნორვეგიაში ელჩად ყოფნისას დაეცა დამბლა, თუმცა საყვარელი საქმიანობა ხელის საგორაო ეტლზე მიბმულსაც არ მიუტოვებია.

მშვიდობიანობის პერიოდში ქალებთან ურთიერთობისათვის, საშუალებაზე არაფერს ვამბობთ, ბელადს დრო მეტი რჩებოდა, მაგრამ მუდმივმა დაძაბულობამ, მოჩვენებებმა და შიშმა სამყაროს წინ გამგდები პოტენციის უნარი დაუქვეითა და გამოკითხულ ქალთა მოსაზრება, მე მგონი მაგას ქალები საერთოდ არ აინტერესებდაო, სინამდვილესთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ბოლომდე შეირჩინა დამლაგებელი და სუფრაჯი ქმრიანი ვალენტინა (ვალეჩკა) ისტომინა, რომელიც მკვდარს დასტიროდა და მომაკვდავთან არ უნახავთ.

კიროვის მკვლელობის პირდაპირი მიზეზი მართლაც ეჭვიანობა იყო, თუმც ამ კერძო დრამაშიც წამქეზებლისა და ხელისშემწყობის ხელი რომ ერია, ესეც დადგენილად უნდა ჩაითვალოს. სმოლნში პარტიის წიგნაკით შედიოდაო, სწორია, თუმცა გაძეძგილი რევოლვერით სიარულის უფლება არავის მიუცია; ერთხელ ჩამოართვეს იარაღი და პასუხი არ მოსთხოვეს, მეორეხელ შეუმოწმებლად გაატარეს. ცოლის საყვარელს კაბინეტის კართან ჩაუსაფრდა, მაგრამ კიროვი შემთხვევით, მით უმეტეს, სასიკვდილოდ არ გამოსულა, იგი განსაკუთრებული დანიშნულების ტელეფონთან იხმეს და დამძახებლის ვინაობა ველარ დაადგინეს.

მილდა დროულე დახვრიტეს, დახვრიტეს მილდას დედაც; არ დატოვეს ცოცხალი მოწმე და ამ ამბის თვითმხილველი, მიაყოლეს ასიათასობით, მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. იმაზე მასობრივი ჟლეტა და რეპრესია კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

ბუხარინს სტალინი ბუხაშკას ეძახდა. აკოცე ცხვირზე ბუხაშკასაო, სწერდა მოლოტოვს სიყვარულით. თავად ბუხაშკა სატრფიალო ბარათებს კოლკას, — შენი კოლკაო — ანერდა, შეიძლება, კობას ასოციაციით. თავად სტალინს, როგორც უახლოესს, კობათი მიმართავდა. ოციანი წლების გასრულებამდე სამი ქალის შერთვა მოასწრო. პირველი — ნადეჟდა მიხაილოვნა ალალი ბიძაშვილი იყო მისი. პირველი და მესამე ცოლი ერთად ცხოვრობდნენ, თუმც ცალ-ცალკე დაიჭირეს ზიარი ქმრის აყვანის შემდეგ. დაპატიმრების წინ ნადეჟდა მიხაილოვნამ თავი მოიწამლა, შეფახაცდნენ, გადაარჩინეს და დახვრიტეს სულ მალე. ესფირია ისაევნა გურევიჩი, პირველსა და მეორეს შუა რომ ამოტივტივდა, ისევე მოულოდნელად აორთქლდა, როგორც გაილანდა. უფროსი მეგობრის მიხეილ ლარინის ცამეტი წლის ქალიშვილი შეაცდინა და შეირთო. ეჭვიანობდა თუ არა სტალინი ცოლზე და მასზე? მსუბუქი ფლირტი იქაც ასკეტობის ნიშანი იყო, მაგრამ კავკასიელს ეს „უხაჟივანიებიც“ არ მოსწონდა. ამის გამო ცოლი აზიელს, ბუხაშკა, მარტო იმის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ჩინგის-ხანს უწოდებდა. ვსეირნობდითო მე და ნადეჟდა, თავად ყვება, ზუბალოვოს აგარაკის ბაღში, წამოგვეპარა სტალინი და გვიყვირა:

მოგკლავ!

ამ უხეირო ხუმრობაზე ნადეჟდა სერგეევნას მკვდრის ფერი დაედო სახე ზე, არც მე გადამკვრია ვარდის სილაჟვარდე, თუმცაღა სტალინი მართლა ხუმრობდაო. ამნაირადვე იხუმრა მოლოტოვისადმი მიწერილი წერილით, როცა ბუხაშკა პროლოგში ცხვირზე კოცნით მოიკითხა: Бухарин — свинья и, пожалуй, хуже свиньи, ибо считает ниже своего достоинства написать две строчки... Уж я ему отомщу!

ბუხარინი დახვრიტა 1938 წელს, 50 წლისა. რეაბილიტაცია აღირსეს ზუსტად 50 წლის შემდეგ 1988 წელს. გაუჯანჯლეს, სამაგიეროდ, იქვე აღადგინეს პარტიაში. საბედისწერო რვიანებმა კი ადრეც მიიქცია, მე მგონი, თქვენი ყურადღება.

ლავრენტი ბერიას ლტოლვა ქალებისადმი ცნობილია. სტალინი ამაზე თვალს ხუჭავდაო, თუმცა ყველაფერს ხედავდა. ხედავდნენ და არ უკვირდათ. კრისტალური წყობისა და სულის კომუნისტებისაგან არ ელოდნენ, თორემ გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო.

იმ საუკუნის დასასრულს, ზუსტად ასი წლის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი სხვის სახლში, სხვის საწოლში 58 წლისა დააკვდა მანდილოსანს. ისე ჩაფრენოდა ორთავ ხელით ქალის თმას, რომ დაცვამ და პოლიციამ ძლივს ააღლიტეს დედაშობილა ქალს. აი პრეზიდენტი!

ასეთი რამ კრემლში არც კი მომხდარა. ბოლშევიკების ციტადელი ამ დარგით, პროვინციად მოეჩვენებოდათ, თუ არ მივიღებდით მხედველობაში ვენერიულ სნეულებათა, კერძოდ სიფილისის, გაფართოების არეალს, რაიც მედიკამენტური წარმოების ჩამორჩენილობით და მკურნალობის დაბალი ეფექტიანობით იქნებოდა გაპირობებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVIII

ცარიელი პედესტალები

თაობა წავა, თაობა მოვა; მოვლენ ღვთისწყრომით, წინაპართა ცოდვებით ფეხებაბორკილნი; გულგრილობით დალეწავენ აყალოს კერპებს და არა ბრძოლით. და როცა ლეღვის ფოთლებს სუსხი დაჭმაქავს, მიხვდებით: ახლო არს ზამთარი. სულიც მოკვდავია, როგორც არსი ყოველი. სიცოცხლე აქ არ დაწყებულა, მაგრამ აქ დამთავრდება და არ შეწყდება. დღევანდელ კაცობრიობას ისეთი არაფერი შეუქმნია, რაიც ხელმეორედ არ შეიქმნება.

სიცოცხლე განსხეულებული იდეაა, — მატერიაა. იგი მოდის აზრიდან სივრცეში და მისი წილი დროც მოჰყვება. დროც ქრება, თუმც არ მთავრდება. იგი ისეთივე მარადიულია, როგორიც მოძრაობა, როგორიც იდეა...ჭეშმარიტება კი ერთია კაცთაგან სრულიად არშესაცნობელი.

თავისუფლება აგულადებს ადამიანს, იგი დაუჯერებელი ხდება, სახელმწიფო ზედმეტი ბარგი ჰგონია; ძალადობა შიშს თესავს, შიში — მონობას, მონობა — სიძულვილს. სიძულვილი მდაბალი, უტილიტარული ფაქტორებისაკენ გვიბიძგებს: ავს გადიდებინებს, კარგის დანახვის უნარს დაგიკარგავს...

ერთმა პოეტმა, რომელსაც არაპოეტური მუცელი, ყბები და მადა ჰქონდა, ინატრა: ნეტავ აქ საჩიჩახვესთან (ყელზე ხელი დაიდო) ნახვრეტი მქონდეს გვამისთავივით, ვჭამ და გავყრი, ვჭამ, ვჭამ, აქვე ჩამოვყრი, სტომაქი არ შემინუხდებაო. ნერწყვის მოსადენი სურვილია: ჭამ, ჭამ, მთელი დღე ჭამ! ჭამა ხომ მთავარია! კომუნისტების დროს ხომ ბევრს (გააჩნია რას) ჭამდით! ახლაც უნდა ჭამოთ, ბევრი უნდა ჭამოთ, თუ გექნათ!

რომის იმპერატორები, ჭამას რომ ვეღარ შეიძლებდნენ, შიგანში რომ ვეღარაფერს ჩაიტენიდნენ, ბატის ფრთით ირევდნენ გულ-მუცელს სუფრაზევე. მათ შორის ერთი, როგორც ჩანს, არამარტო ერთი სასახლის მეზონინზე გადიოდა და ძირს მდგარ, მისი უდიდებულესობის ხილვის მსურველ მოქალაქეებს თავზე არწყევდა, რასაკვირველია, ბატის ფრთით ყიაში წინასწარი ღიტინით.

უსაქმური, ნერვებდალაგებული ბევრს ჭამს, ყბების ხათქახუთქში ხარჯავს ენერგიას და შია, მაგრამ ჭამა მარტო მადაზე კი არა, საშუალებაზეცაა დამოკიდებული და მშიერს რწყევის ხასიათზე, ზედმეტი ღირებულების ლიკვიდაციის მიზნით, ვერ მოიყვან.

აღარ არის ღმერთიო, უთხრეს. არ დაუმტკიცებიათ, რომ აღარ იყო, მაგრამ მიწიერი სამოთხის მოლოდინში, ღმერთის უარმყოფელი საბუთი მათთვის არავის მოუთხოვია. ფსევდოგანათლებულ მასას ღმერთი არ სურდა. ისინი აიყოლიეს, ესენი აყვნენ; მიწიერი ამჯობინეს ზეციურს, არარაობა გაიღმერთეს სამაგიეროდ. მერე იყო და, ტაშისკვრით დაუბლაგვდათ პირჯვრის საწერი თითები. ზურგიდან ჩამოიგდეს საყდარი, რომელიც თან დაჰქონდათ. იქ შედიოდნენ, შველას, ცოდვების მიტევებას სთხოვდნენ ათეული საუკუნეები შემოქმედს. მაინც ცრუ, მიწიერ ფიტულებზე შექმნეს ღავღავი, უიმათოდ რა გვეშველებაო. ზოგადი კონკრეტულით შეცვალეს, იმედი ყოფაზე, ყოველდღიურობაზე დაახურდავეს.

ერთმა თავმოძულებულმა რუსმა მოქანდაკემ უბედური ნიკოლოზ მეორის ძეგლი დადგა საისტორიოდ და არა სამლოცველოდ. აუფეთქეს. აღადგინა სულ ახლახან და კვლავ ააფეთქეს, ისევ აუფეთქებენ. დრო უკან (იგი არ ბრუნდება) არ

დაბრუნდესო. ღმერთის აღორძინების ეშინიათ და კომუნისტებს ნატრობენ; რაღაც იცვლება, ხვდებიან და ფხიზლობენ. ვირთხის ინსტინქტი კი მიწისძვრის მოახლოებას გაგრძნობინებს მხოლოდ, ჭკუას არ შეგმატებს, სიყვარულის უნარს არ მოგანიჭებს. ცარიელი პედესტალები, კვარცხლბეკები, „ბელადების" მახინჯი ძეგლები საქართველოშია გადანახული. ეს კი ერის მარტო ჩამორჩენილობის, უსულიერობის გამოვლენა კი არა, — უპერსპექტივობის სავალალო ნიშანია.

*

გადამტვრეულ, რკინა-ბეტონის პედესტალქვეშ იდგა ბუდუ ქვარიანი. გრანიტის ფილების ხალიჩაზე, ბაზალტის კიბის ბაქნებზე ეყარა სახარაჩოე ხე-ტყე; ფიჭვის ბოძები, თავბოლოაწეული ნედლი ფიცრები.

— ბუდუ, რას აკეთებენ?!

— ჩემს ძეგლს დგამენ.

ამის შემდეგ მოვიკითხეთ ერთმანეთი. ცრიდა. ციოდა. სუსხავდა. ლენინის ყოფილი მონუმენტის წინ დიდ კიბეთა გასაყარ-შესაყართან იდგა უქუდოდ, პალტოდან შავ-წითელშარფბოლოებამოყრილი ძეგლთა მმუსვრელი — ბუდუ.

— არა, მართლა!

— გითხარი, ჩემს ძეგლს დგამენ!.. დგამენ, მაგრამ პოზაზე ვერ შევთანხმდით: ხელი უნდა გქონდეს წინ გაშვერილიო... არ ვშვრები: არა, მე ვეუბნები, ორივე ხელი გაშლილი თითებით ქვევით მექნება ბარძაყებს შუა ჩაშვერილი, აი, ასე! — გრძელი თითები გაშალა და ათივე საკუთარი სარცხვინელისაკენ დაიშვირა, — აი, ასე მაქვს ხოში, ჩემს ძეგლს თუ დგამენ, ასე უნდა დადგან!

ვერ იყო ხასიათზე, მივხვდი.

— სადა ხარ, ბუდუ, რას საქმიანობა ამჟამად?

— ისევ იქ, ავტოქარხნის კლუბში...

აღარ მახსოვდა: დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

— ბავშვები დადიან და ეს მასულდგმულებს. მუსიკა. ცეკვები, დრამწრე, ჭრაკერვა და სხვა... შეიშლები, ისეთი ნიჭიერი ბავშვები მოდიან...

ექსკურსიამძღოლადაც იყო ერთ დროს სათაფლიაზე. როდინდელ ამბავს მეკითხებიო, გაეცინა. ერთი-ერთზე მივამკვლიეთ ღვინის ჭიქები შინაურ სასადილოში, — სახლში, ჩვეულებრივ ბინაში, რომ ჰქონდათ გახსნილი.

— საცხოვრებელი ბინა გადააკეთა სასადილოდ, რა ქნას აბა, ღობე-ყორეს ედებიან ადამიანები, საარსებო რომ იშოვონ... ჟოზეფინა, ჟოზეფინა!.. — ხმამაღლა იცინოდა.

— მოკვდა ხომ იცი!

— ვინ, კაცო?

— ქმარი იმისი, ოველი.

— კაი ხნის იქნებოდა, აცხონოს ღმერთმა!

— რა პატივი აქვს მოსკოვში ჩემთვის ნაცემი, რო იცოდე!

— ოველს?

— ბაბუაშენს, ვლადიმირს, არ მითხრა!

გაიმეორა ადრეც ნათქვამი. აჭარბებდა. იმ დროს, როცა ბუდუ მოსკოვშიც „მოღვაწეობდა", ბაბუა ვლადიმერი ხელმოკლედ გახლდათ და თავად იქნებოდა ბუდუს პატივსაცემი, ეჭვიც არ მეპარება. ბაბუაჩემსაც ახსოვდა და იხსენებდა ხშირად, რატომღაც ყომარბაზი ეგონა. არ თამაშობს-მეთქი ავუხსენი (მართლაც არ თამაშობდა), ვერ დავაჯერე.

— შენ მასწავლი, თამაშობს თუ არა?! — ყვირილი დამიწყო პირდაპირ გორკის გამზირზე ფოსტა-ტელეგრაფის წინ მკლავზე კაკვჯოხჩამოკიდებულმა. — დუშა-შმა იცი რა ქნა? გადაკოტრიალდა და იაგანი შობა... დუქნები მაქვს წაგებული, მო-გებულიც, სადაა მერე!.. ქარის მოტანილი ქარს მიაქვს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ჭკუას მარიგებდაო, ბუდუმ: ნუ თამაშობო, არ ვთამაშობ, მე ვეუბნები. არ და-მიწყო ახლა ქუთაისური, იყვირებდა და აღარ ამომაღებინებდა ხმას! — ბუდუ იცინო-და თავშეკავებულად, მორყეულ კბილსა და ნაკბილარზე იფარებდა ხელისგულს, ვერ გრძნობდა თვალის გუგებში შეპარულ სიყვითლეს, ღვიძლის გადაგვარების საბედის-წერო ნიშნებს.

— ასე მაქვს ხოშიო რომ მითხარი, ჩემს ძეგლს თუ დგამენ, ასე დადგანო, ტო-ლია ლევიმაც ასე არ დაგანამუსა ციხეში?

— ტოლია ლევის გადაუშენდა პატრონ-მყვარებელი!

— უკანალზე დამახატე ლენინი და სტალინიო...

— არა, კაცო, ვიხუმრე ერთხელ და მერე ყაიჩომ გამიგდო ხმა...ბეჭებზე დავა-ხატე კი, დრო არ მქონდა, მე შენ გეტყვი... შეგირდიც მყავდა, ჩხვლეტა, სულ ჩხვ-ლეტა მოსაბეზრებელია, გადავაბარებდი შეგირდს, შტრიხები, ჩრდილები... ეს რთულია, სხვას ვერ ენდობი... ისე რა, შაბლონი მქონდა, დავადებდი, ამოვხაზა-ვდი... ლენინი მარცხნივო, სტალინი მარჯვნივო, რატომო, არ უთქვამს... მოვრჩი თუ არა, მოიღრიცა კისერი და ჩაიხედა რაღაცნაირად სარკეში: რატომაა პირიქი-თაო, — სტალინი რატომაა მარცხნივ და ლენინი მარჯვნივო. გააჩნია საიდან მო-დიხარ-თქვა, მე ვეუბნები. როგორ საიდანო, გადმოქაჩა თვალები. როგორ და თუ მარჯვნიდან წამოხვალ, ლენინი იქნება პირველი და თუ მარცხნიდან წამოხვალ, პირიქით-თქვა. როგორ პირიქითო, ვერ გაიგო, დეგენერატი იყო. შენ, ბლიად, ფრა-ერ, ფრთხილად მელაპარაკეო. შენ გელაპარაკა ტიფა, მე ვუთხარი, სულელი იყო იმის დედა მოვ-ყან. მოკლესო, მაგრამ მართალია თუ არა, არ ვიცი, მოკლავდნენ იმ ჯიშამოსაგდებს!

მამის დაპატიმრება თუ ახსოვდა?

— როგორ არა, ცხრა წლის ვიყავი, შენ ჩემთან შედარებით ბავშვი ხარ, ოცდაა-თიანი...

— არა, კაცო, ოცდაცამეტიანი...

— მით უმეტეს, ერთი წლით ვყოფილვარ შენზე უფროსი, არა მეტით, რისი ერთით... ისე, არ გეტყობა ხანი... წაიყვანეს მამა... ღამე გაჰყავდათ ხოლმე, მამა დღი-სით დაიჭირეს მარტივად. შტაბში უნდა გამოცხადდეო. პოდპოლკოვნიკი იყო უკვე მამა, ახალგაზრდა დაწინაურდა... კვირა იყო თუ რაღაც უქმე... პატეფონის ხმა გა-მოდიოდა მეზობლის სახლის ღია ფანჯრიდან. იქ მივიდნენ, ოჯახის უფროსი გად-მოეყუდა ფანჯარას და ჩვენკენ მოათითა დამპალმა... ჰკითხეს, სად ცხოვრობსო, და მოათითა, რაა გასაკვირი, მაგრამ თითი არ ჩამოუშვია, სანამ კიბეზე არ ამოვი-დნენ, კარგად მახსოვს... მარკიორად იდგა მერე საბილიარდოში, ზევით, პარკში... ერთხელ გამომაგდო... იმიტომ კი არა, — ბავშვია, გაფუჭდებაო, გამომაგდო რა, ძაღლს რომ გადენიან — ისე, ვითომ ვერ მიცნო, ჩათლახი, სიავე არავისათვის დამი-მახსოვრებია, სიკეთე — კი; სამწუხაროდ, სიკეთე ცოტა იყო, სიავე — ბევრი, — სი-გარეტის ბოლი ჩაისუნთქა ღრმად. — ხომ არ გვეთქვა ერთი სადღეგრძელოც?

— კი, ბატონო!

— გრილი, თბილი მზიანი, ფერადი დღე იყო, ასეთნაირად მახსოვს... სტალინის დიდი, თავფეხიანი სურათი მოიტანა მამამ შტაბიდან და კედელზე გააკრა. მოვიდნენ სამნი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მკლავს ეს სიგარეტი, გიბარებენო... საბუთი

აჩვენეს და ეცვალა ფერი; იარაღი რომ ჩამოართვეს და ჩხრეკა დაიწყეს, მიხვდა ყველაფერს, თუმცა არ წამხდარა, ნაძალადევად კი იცინოდა და ხმაც არ ემორჩილებოდა. მალე დავბრუნდებიო, დედას დაუბარა, შედგა, მომაჩერდა, დედას დაუჯერეო, მითხრა ხმაშეცვლით... ის ხმა, ის სახე ჩამრჩა და არ მშორდება... მასუკან მამა არ მინახავს... შავი „ემადინი" იდგა ჭიშკართან. ბავშვები გაეკიდნენ ავტოს ურიამულით. მე ვიდექი. ვგრძნობდი, მიყურებდა ავტომობილის დაბურული შუშიდან...

დედა ოთახს ალაგებდა და ვერ მხედავდა, რომ შევბრუნდი. ორჯერ გაუვარდა ერთი და იგივე თეფში ხელიდან, უცნაურია და არ გატყდა. მე ცარცი გავიტანე გარეთ და კედელზე დავიწყე რაღაც აბდაუბდის ხაზვა, წრეებს ვახვევდი, ვბურდავდი მონდომებით, სერიოზულს ვქმნიდი... არ ვიცი რას ვშვრებოდი... ღამე ცრემლს ვმალავდი საბანქვეშ, თავს ვიმძინარებდი და მართლაც ჩამძინებოდა... გამიშვეს სკოლაში ჩვეულებრივად. ვითომ არაფერი მომხდარიყო... არც იქ უნდა დამტყობოდა რაიმე, არც არაფერი უნდა მეთქვა... ერთი გაკვეთილის შემდეგ ყველაფერი გადამავიწყდა; ჩავერთე თამაშში, კლასის რიარიაში... ვერ ვანებებ ამ სიგარეტს თავს, არადა, მკლავს, — აუტანელი მოსწავლე კი ვიყავი და გაკვეთილზეც ვერ მოვისვენე... თანაც იმ დღეს მათემატიკის ახალ მასწავლებელი შემოვიდა — აკაკი იაშვილი... ბრგე კაცი, ჩამოფოცხილი ულვაშებით. ვერ გამაჩერა და გადი გარეთ შენო, მითხრა, მაგდებს. მშობლის გარეშე არ მოხვიდეო, მხოლოდ დედა არ დავინახო, მამაშენი გამოცხადდესო, მამაშენი მოვიდეს დღესვეო და დამიბნელდა თვალები... წყალი რომ დამასხეს, მაშინ მოვეგე გონს. ჩოჩქოლია, ჩურჩული, ბავშვები გარეთ არიან, ვიღაც იხედება ღია კარში, სკოლის დირექტორია შუბლზე მიტყეპილი სათვალით. მათემატიკის მასწავლებელი გადაირია თურმე: რა ვუთხარი ამნაირი ამ ბავშვსო... ერთიც დავლიოთ.

... მერე იყო და ის აკაკი იაშვილი თავზე დამადებდა ხოლმე ხელს, გაკვეთილს რომ ატარებდა; მერხებსა და მერხებს შუა გამოივლიდა რვეულებით ან ამოცანების კრებულით და აუცილებლად თავზე დამადებდა მარჯვენას. ახლაც ვგრძნობ იმ დიდი ხელის სიმხურვალეს...

ცოდვები არ მოასვენებს საიქიოში აკაკი იაშვილს კი არა — იმას, ჩვენსას, გორელს... ვიცი ვინც იყო და მაინც... შენ იმისი დიდი კაცობისაც არ გჯერა. შეიძლება არ დაგეთანხმო, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება... აბა, მე მართლა სტალინელი კი არა ვარ... არა ვარ და მაინც მეამაყებასავით... შიშში გაზრდილს მეტი არ მოეთხოვება... შიში შეიქმს სიყვარულსა, გადასარევი ნათქვამია...

ააფეთქა თუ არა ძეგლი დე-ლენინისა ზესტაფონში ბოლშევიკების მმართველობის დროს, გაურკვეველია. პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე ფოსტის გაძარცვის არ იყოს, არც უარყოფდა, არც ადასტურებდა, ჯუღაშვილივით, აფეთქებაში მონაწილეობას. ტყუილად არ ვმჯდარვარო, წაიტრაბახა რამდენჯერმე, მაგრამ იმ აქციის მთავარი მონაწილე, მით უმეტეს ხელმძღვანელი, რასაკვირველია, ბუდუ არ ყოფილა. დასახვრეტ საქმეზე წამსვლელ კაცს არ ჰგავდა, თუმც იმ ამბავში რომ მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, ეჭვი არასოდეს შემპარვია.

რეპრესირებულ ოჯახიშვილთა ანალოგიური, ცოტა იქით, ცოტა აქეთ, ბავშვობა ჰქონდა. რამდენჯერმე წამოსძახეს ტროცკისტის შვილობა და ბნედამ კინაღამ დარია ხელი; ისააკ ჭარხალაძეს ნიკაპზე უკბინა. ახლაც აზის ნაკბილარი იმ ალაგას იმ კაცს.

ეკონომიკა ეკოლოგიას უკავშირდებოდა ყოველთვის. სიღარიბე მონობასთან, გაჭირვება უგუნურებასთან (შედეგს ვერ გაითვალისწინებ) გაყრევინებს წილს.

დიდი ომის დროს დღევანდელივით განადგურდა ბუნება ქალაქის შემოგარენში. წყალწითელას ხეობაში ტყე საშეშედ ისე არ აუჩეხიათ, როგორც — საგვირგვინედ. აჭრეს და გამოზიდეს ჟვერა-ჟვერად შიმელები ჭახათისა და მოწამეთის ფე-

რდობებიდან. გუდურებად მოათრევდნენ ფიჩხს საცეცხლედ, ნედლ ჭიგოს — „საკვენოკედ"; ბზის რტოებს და კლდის ხავსს სადღესასწაულოდ — საპირველმაისოდ, საშვიდნოემბროდ. ბზის გირლიანდებით რთავდნენ ტრიბუნებს, სახლებს, ფასადებს ცენტრში და მაინც „ვენოკები" ნთქავდა რაყას, ახალაღნაგ ტყეებს. ... ლიანი, ორგულიანი, სამგულიანი „ვენოკები" გაჰქონდათ საყვავილეებდან. გვირგვინებს (ვენოკებს) ამკობდა სამახსოვრო წარწერები, რომლებთაც დაუვიწყარებს ეძახდნენ. „დაუვიწყარებს" კინო „კომუნასთან" წერდა ალიოშა (ალიო) ფილთაძე, ეხმარებოდა და ხელობასაც სწავლობდა ბუდუ სკოლის (სწავლით არ იკლავდა თავს) გაკვეთილების დამთავრების შემდეგ; საღებავებში მოსვრილი თითებით გამოჰყავდა მუყაოზე შავ-თეთრი ასოები და ღადავშიც იღებდა მონაწილეობას ძირძველ მოქალაქეთა ნაშიერი არქიელის გორიდან ბუდუ ქვარიანი. მზა „ვენოკებიც" მიჰქონდა დროდადრო დამკვეთის ბინამდე. აქააო, იძახდა და აყუდებდა ღობეზე ან სადარბაზოს კარზე. აბა, შინ ხომ არ შეიტანდა! გამოეტიე, ქალო, ყვიროდა ოჯახის უფროსი.

გა-მოვ-დივარ!.. ეხმიანებოდა ცოლი და „ჩულქის" ყელებს იმაგრებდა სქელ ბარძაყებზე. წავედი, იძახდა ბუდუ, თითქოს ვინმე აკავებდა.

მიუძღოდა გასვენების პროცესიას გვირგვინების კავალკადა. გაბაწრულ ბავშვებს მიგვქონდა, ვპუტავდით გზადაგზა, ვაბნევდით გზაზე ყვავილებს, სასაფლაოზე ხის კარკასი და „დაუვიწყარები", ეს აუცილებელი იყო, მიგვქონდა. ბუდუ ქვარიანი ერთხელ წყალსადენის თავახდილ ლუკში ჩავარდა და ორსართულიან „ვენოკს" ხელი არ გაუშვა. პროცესია სვლას განაგრძობდა დროშითა და სასულე ორკესტრით. ბავშვი აღარა ჩანდა. ლუკიდან გამხდარი მაჯები, გაუხრელი სამგლოვიარო გვირგვინი იყო ამოშვერილი. გასვენების კაცი დადგება ამ ბაღნისაგანო, შენიშნა კოწია წულუკიძემ, პენსნე გაისწორა, ვისიაო გაიფიქრა და ლუკიდან გვირგვინიანად ამოქაჩულ ბუდუს გადააბიჯა.

ჩვენებური დაკრძალვა მისტერიულია, წარმოდგენისეულიც და ბუდუს მოღვაწეობის ორი სფერო — გასვენება და თვითშემოქმედება — ერთმანეთს უკავშირდებოდა.

პიონერთა ბანაკში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში რომ იყო დაცემული, ომის დამთავრების წელს, კულტმუშაკად გაამწესეს სრულიად ახალგაზრდა; გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ თავი არ შეურცხვენია, სამხედრო თამაშები ჩაატარა სხვისი ინსტრუქციით ერთ მშვენიერ დღეს ბაგრატის ტაძრის მიდამოებში.

გერმანელებმა გადმოსხეს დესანტი (იაპონიაში ვიყავით შესული უკვე) და გვევალება ოკუპანტებისაგან ტერიტორიის გაწმენდა, განაღმვა, დესანტის განადგურებაო და სხვა. დაგვირიგდა სასწავლო თოფები, ხელყუმბარები, აირწინაღები. თავად ბუდუ მართლა შეიარაღდა. მეორე დილითვე გამოცხადდა სომბრეროთი, სანადირო თოფით და ნაღდი პისტოლეტით, კომისარიატიდან რომ გამოატანეს ხელწერილით.

გაგვყვეს ორად — მომხვდურებად და დამხვდურებად (მე პირადად, ჩემდა სამწუხაროდ, დივერსანტებში აღმოვჩნდი) და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გაიმართა სამხედრო, იმ დროს კიდევ სავალდებულო, თამაში. საბჭოთა არმიას უსარდლა ბუდუ ქვარიანმა, ოკუპანტებს, დიდი ყოყმანის მიუხედავად, უმეთაურა უფროსმა პიონერთხელმძღვანელმა გვარად, სახელი აღარ მახსოვს, კუპრეიშვილმა. დაგასწრებ სროლას, მკვდარი ხარ, დამასწრებ, შენი აჯობებს. სდექ! დაუყვირებ, ტყვედ ჩაგბარდება, დაგიყვირებს — შენ ბარდები, ყველაფერი მოსწრებაზეა, სიმარჯვესა და საზრიანობაზე აღარაფერს ვლაპარაკობო, დაგვარიგა ბუდუმ და მი-

გვიშვა. თქვენ იქით, ჩვენ აქეთაო. წავყევი კუპრეიშვილს უხალისოდ, დავნაღმეთ ბაგრატის ციხის შესასვლელ-გამოსასვლელები და მე და ჟორჟიკაშვილი ჩავგვასაფრეს ფერდობზე ჩირგვებში, საცალფეხო ბილიკის ახლო, სადაც, ჩვენ [illegible] კაციშვილი არ უნდა გამოჩენილიყო. ცოტა ხნის შემდეგ ანწლარში [illegible] და მოხერხებულად გავშალეთ ფეხები ვაკეზე. ვსხედვართ მე და ჟორჟიკაშვილი მწიფე ანწლის მოტკბო-მომწარო სურნელში და ვლაპარაკობთ. ფრონტზე, მოვლენათა ეპიცენტრში, რა ხდება, წარმოდგენა არა გვაქვს. ვხედავ (წავუმუჯლუგუნე ჟორჟიკაშვილს) ბუდუ ქვარიანი მოაბიჯებს სომბრეროთი და იმ იარაღებით, ზემოთ რომ ჩამოვთვალე. ძირდაუხედავად გადააბიჯა ჩვენს დაგებულ ნაღმს, მიადგა კურკანტელის ძეძვს, მიემარჯვა, მიუშვა; ვაცალეთ და ხვანჯარი როცა შეიკრა...

— სდექ!

არ გველოდა, ცოტა დაიბნა კიდეც, მაგრამ სწრაფად გამოერკვა, დაგვიმიზნა „ცენტრალკა“, ხელი არ გაატოკოთო (არც დაგვიპირებია) გვიყვირა, ჩემი ტყვეები ხართო.

— რანაირად, შე კაცო, ჩვენ არ დაგასწარით!

— ლაპარაკი! — აიშვირა ლულა და მართლა ისროლა. დამხმარე ძალაც მოუვიდა სროლაზე. პლენები ავიყვანე და მოუარეთო, ორ კაცს უთხრა, დანარჩენები გაიძღოლა და წავიდა. აგვაწევინეს ხელები და შეგვყარეს ადგილობრივი მოსახლის საქათმეში, სადაც, მათი ჭკუით, ომის დამთავრებამდე უნდა დავრჩენილიყავით.

ორმოცდაათიანი წლების გასრულებისას სამ კაცს — სეითო ბოკერიას, პეტია ხიწვაძეს და უინსტონ ჩერჩილს (სააღლუმო დღეებში) — ეცვათ განსაკუთრებული ხარისხის, ინგლისური მაუდის მოლისფერი მაზარა. ბუდუ ქვარიანი მიადგა სამხედრო კომისარიატში კომისარ პეტია ხიწვაძეს და შინელი უნდა მათხოვოო, უთხრა. რად გინდა შინელი ამ სიცხეშიო, გადაირია პეტია. სტალინის როლს ვთამაშობ კულტურის სახლში, გენერალისიმუსის პაგონები გვაქვს, შინელი გვჭირდებაო. რას თამაშობო, ყურებს არ დაუჯერა პეტიამ. სტალინს „ბერლინის დაცემაში“, ულვაშები, ამბავი, გრიმი, ცოტა წონას მოვიმატებ...

სტალინი არ გეხსენებინა კარგი იყოო, შეფიქრიანდა პეტია ხიწვაძე, რაღაი მიხსენე, წაიღე, მამაჩემს არ მოვახურე ორპირ ქარში, გაოფლილი რომ დაბრუნდა ვირის აბანოდან, შენ გათხოვებო და გამოუტანა ნაფტალინით აქოთებული მოლისფერი მაზარა. წაიღო ბუდუმ და იმავე დღეს გაყიდა სამტრედიაში. დაუყარა თავისიანებს თავი, ეტლით და დამკვრელებით ჩამოიარა ქუთაისის სასაფლაოები, უდროოდ გარდაცვლილი ძმაკაცები გაიხსენა.

ეროვნული ბრძოლა, რომელიც ძირითადად სტალინის აპეკუნობას ითვალისწინებდა, ცხრა მარტის ტრაგედიის შემდეგ ათ მარტს, სუკიდან გამოსვლისთანავე, მიატოვა და ოცდათორმეტი წლის თავზე, ცხრა აპრილამდე, განაახლა. ამ ორ მანძილს შუა ლენინის ძეგლის სახიფათო ლიკვიდაცია და ციხე იდო. იმ „ექსს“ გადაურჩა და მოსკოვიდან ადმინისტრაციული წესით გამოძევებას თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, კრიმინალურში აღარაფერში გარეულა. იგი, როგორც თავად აცხადებდა, ემსახურებოდა კულტურას და ქალაქის საჭირისუფლო საქმეს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, მიხვდა, რომ დასანგრევი და ასაფეთქებელი ძეგლი აღარ იყო საქართველოში და სტალინის რეაბილიტაციის სურვილი გაუნელდა. არაცნობიერად სულში ჩაბუდებული სიძულვილი კომუნისტებისადმი გაუძლიერდა. არსებულის კრიტიკითაც შეიქცია ერთხანს თავი. იმდენი ცოდნაც არ ჰქონდა, ახალ პოლიტიკას მორგებოდა სხვებივით და აუხდა კონია წულუკიძის ნაწინასწარ-ნამეტყველარი — გასვენების კაცი დადგება მაგისაგანო. აფხაზეთის ომმა გული გაუტეხა, პათეტიკური სა-

დღეგრძელოების გემო დაუკარგა. ეს რა ვყოვილვართ, ვინ ვყოფილვართო, აჰყვა ზოგიერთებს, თუმცა შიდაპარტიულ ცრუკინკლაობაში მონაწილეობა არ მიიღო.

მიცვალებული აღარ იმარხებოდა ქალაქში ბოლოს ბუდუ ქვარიანის გარეშე. ის იყო თავკაცი, დაკრძალვის გამრიგე, ეჯიბი. ტარტუში, კინოექსპედიციას გავყვა ადმინისტრატორად, მიუვიდა ბიჭიკო კოლოაშვილის ტელეგრამა: დედა დაუძარხავი დამრჩება, თუ არ ჩამოხველიო.

ჩამოდიოდა. რომელი მხრიდანაც ამოუდგებოდა ჭირისუფალს, იმ მხრიდან ქარი არ დაუბერავდა. გაზომავდა, გათვლიდა, წესი არ გაეხრებოდა. საქელეხოს გაარიგებდა, ხალხს დასხამდა, უკმაყოფილოს არ დატოვებდა მომსვლელ-დამრჩენს, სტუმარსა და ჭირისუფალს. დამფასებლებს რომ გაისტუმრებდნენ, შინაურები რომ მიუსხდებოდნენ საახლობლო სუფრას, მხოლოდ მაშინ მოიკეცავდა ფეხს. ბევრს ველარ სვამდა, მაგრამ სადღეგრძელოს არ დააკლებდა. რამდენიმე ჭიქის შემდეგ ცრემლი ადგებოდა: რა კაცი (კაცი და ქალი ერეოდა ხშირად ერთმანეთში) ამოვდევით მიწის ქვეშო.

ჩამომდნარი და გაშავებული ვნახე ბოლოს ერთ ბანკეტზე. ბეჭები დაწვრილებოდა, მუცელი შებერვოდა შესამჩნევად. ძველ ეშხს სიგამხდრე და უკბილობაც ვერ ფარავდა, თუმცა ლაპარაკიც უჭირდა. კაცობაზე, მეობაზე ამახვილებდა ყურადღებას, მთავარი გაგებაა. ჟოზეფინა გარდაცვლილი იყო.

ოღასკურის სასაფლაოზე, იოველის სამოსახლოში, დაეკრძალათ.

გასვენებაში არ მისულა. მთხოვეს, არ მივედი. დაგვადგი თავიო, უხვეწნიათ, მაინც არ მისულა.

სიკვდილის წინ გარდაცვლილი ძმაკაცები მოისაკლისა თურმე. ძილ-ბურანიდან გამოვიდა და გურამია ბირდაბირი დაინახა. ირწეოდა თავსასთუმალთან, ღვინოს ოხშივარი ასდიოდა. რა გინდა, ბუდუ, მითხარი, რა გინდა, არ დამიმალოო, ჩასძახოდა გულაჩვილებული. არაფერი არ მინდაო, ამოულაპარაკებია ბუდუს, ერთი წამომაყენა და თავი მარეკია შენთვის, მთლად მირჩევნია ყველაფერსო.

როცა ასაფლავებდნენ, ქარი უბერავდა, ხმელ ფოთლებს ფანტავდა. უსახური, უნუგეშო დღე იყო.

ღარიბული, მოუვლელი საფლავი დაურჩა ქვიტირთან მოუხერხებელ ადგილას. შემოურაგვავ ველზე გამხდარი ძროხა იყო შემოსული, სამარესთან ახლო ძოვდა უგულოდ შებურულში...

ლექსი დაუწერა ჩვენმა მეგობარმა პოეტმა, ზუსტად არ დავიმახსოვრე, განგებ გავიჩემებურე:

... ახლა უკვე ზამთარია, მარტოობა ჭირს.

შენს საფლავთან ღამეა და ცივი ქარი ქრის...

ბუდუია ქვარიანო, ვის ასვენებ, ვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIX

დემოკრატია

დიდი გარდაქმნები ნგრევით დაიწყო. სულიერ-მატერიალურ ფასეულობათა გადასინჯვამ ადამიანთა წონასწორობა დაარღვია; სიძულვილმა, რღვევას რომ მოჰყვება ხოლმე, წინ გადმოინაცვლა. არსებულით უკმაყოფილო მასა მოვლენებმა ექსტაზში, შემდეგ აპათიაში ჩააგდო. ენერგია ლიანგისა ერთეულებში გადანაწილდა. მოვლენები ეპიცენტრში დაიმუხტა. ბირთვი აალდა სუსტად და აღტყინებულ მაყურებელთა თვალწინ დაიწყო მოჩვენებითი გიზგიზი. ნგრევის იდეით შეპყრობილი იმპულსური ბრბო მუყაოს ყოჩებს შეაჩერდა. იდგნენ, ელოდნენ. სასიკეთოს — არაფერს. თავატკივებულები ცხოვრობდნენ. დროის დიდ ნაწილს ყოფით პრობლემებს, სხვისი საბუდრების თვალთვალს, თავიანთის ყარაულობას ანდომებდნენ და იშლებოდნენ სეგმენტებად.

მიხეილ გორბაჩოვი რამდენიმე კაცისა და რაისა მაქსიმეს ასულის ზეგავლენით თანდათან უშვებდა მართვის სადავეებს. მოფამფალებული აღვირით ისტორიის სადავეებს ვერ აკავებდა, მოვლენებს ველარ ეწეოდა. შევჩერდეთ, ნუ ვანგრევთო, ყვიროდა, — ხმა პირიდან აღარ ამოდიოდა, თავში კი წყვეტილი სიგნალები ისმოდა. ინთებოდნენ და ქრებოდნენ მეჭეჭები ტვინში. დიდი, მრგვალი, გაოცებული თვალებით ხედავდა სივრცეს გადაფერადებული ჰიპნოზის ქვეშ მდგარი. მელოტ თავზე აჯდა ტყლიპი დედამიწის ერთ-ერთი, შეიძლება ჩაძირული, კონტინენტის გამოსახულება, — წინასწარმეტყველური ნიშანი. სმა აუკრძალა სიცხიან, ალკოჰოლური გენეტიკით განვითარებულ მრევლს. სვამდნენ კვლავ. უფრო სერიოზულად ვიდრე ადრე, მოჭიქული თვალებით იმზირებოდნენ, ყანყალებდნენ.

წითელ-მწვანე ტრამვაის — მიშა და რაისა — ვაგონები რბილი ხათქა-ხვნეშით აჯდებოდნენ ერთმანეთს ლოთების შესახვევებში. უფრო მკაცრად, უფრო თამამად! აფხიზლებდა რაისა. კაცს აკმყოფილებდა რაისას პროცესი და ვაგონების ჯლაყუნზე ინგრეოდა რკინა-ბეტონის ბუტაფორია. ეს იყო გარდაქმნა, — ცრუნინასწარმეტყველთა შემოსვლის დრო.

ხალხი გენადის ითხოვდა.

— გენადი, გენადი, გენადი! — ყვიროდნენ. აღარ იყო გენადი, მაინც ყვიროდნენ.

ვალიკო ქუდიძის ცოლი ნანინა საკრებულოს ქვეკომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს, ვალიკოს რაიონში. თბილისელმა ქალმა სოფელ-სოფელ დაიწყო წანწალი, სახლ-კარი ღვთის ანაბარა დატოვა. უკვე ოფიციალური პირი, რომელიც ადრევე რომელიღაც ხელისუფლებას მისტიროდა, ოფიციალურ ხელისუფლებას ედგა კრიჭაში. ძველის დამხობა და გარდაცვალება არ სჯეროდა: ძირს ფალანგაო, აქეზებდა თანამზრახველთ. ქმარი ქუდიძე მხოლოდ შაბათ-კვირა, საზეიმო უქმე დღეებშიღა ახერხებდა ჩასვლას რაიონში, სადაც სახლი ჰქონდა და ცოლი ჰყავდა თანამდებობაზე გამწესებული. ბინა ცარიელი ხვდებოდა. იცდიდა, მოთმინებით ელოდა თათბირიდან თუ მიტინგიდან დაბრუნებულ ცოლს. ერთ კვირა დილით ალიონზე ზრიალი შემოესმა ეზოდან. ძირს ხუნტა, ძირს ფალაგნისტები, აღდგეს კანონიერი ხელისუფლება. ხვნეშით მიხვდა, მის ეზოში წრიპინებდნენ, — კონცერტის დაწყების წინ აწყობდნენ თითქოს ინსტრუმენტებს. მორჩა. ადგა. წელქვევით შიშველი გავიდა აივანზე და მოაჯირთან გაჩერდა. არ ელოდნენ და გაჩუმდნენ. ქუდიძე დასტანზადს გადაეყუდა, შიშველი ფეხები გადააკვანტილა პოლზე.

— რა გინდათ?

— თავმჯდომარე....

— თავმჯდომარე... — ცალ ყურს იფხანდა, ცალი თვალი ჰქონდა ნაჭუტული ამ დროს.

— გენადი, გენადი, გენადი!.. — ყვიროდნენ გადაღმა ვიღაც სხვები. ეზოდან თავმჯდომარეს ითხოვდნენ.

— თქვენი თავმჯდომარე, — მაგრად მოიფხანა ყური ქუდიძემ, — ახალი ნახმარი მყავს და ვერ დგება!

საქსაფონი ჰობია.

ზოგიერთებისათვის პოლიტიკაა ჰობი.

მზისა და საკუთარი ღერძის ირგვლივ მოტრიალე დედამიწის მოძრაობის მეთვალყურისა და ცრუკოორდინატორის პრეტენზიებით აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაურები ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. ერთი ფეხნაღრძობი, მეორე თავგამორეკილი გამოვიდა. თაბაშირში ჩასმული, გაფშეკილი ფეხით გამოაგორეს და ნაპახმელიარ მეორეს შეახვედრეს. სახელმწიფო დედაკაცი, გასიებულ ბარძაყებზე კაბას რომ ვერ იმაგრებს, კმაყოფილი უცქერდა ამ სცენას. უგულოდ და უიმედოდ იქაჩავდა შემდეგ კაბის კალთას ფეხებ-მუთაქებზე, სხვისი უხერხულობა, გულისრევის შეგრძნებით რომ გამოიხატება, არ აწუხებდა.

ყველას საკუთარი პრობლემები ჰყოფნის.

ჯერ საკუთარი, შემდეგ სახელმწიფოებრივ-თანამდებობრივი, ძალიან შემდეგ — კაცობრიული და მაინც — საკუთარი. რუსეთში ლოთობა ვის უკვირს, სექსოპათოლოგიური გადახრები — რუსეთგარეთ. სადაც უკვირთ, იქ მეტი იციან, მართალზე — მეტიც.

მესაქსაფონემ მომხიბვლელი სტიუარდესა პირდაპირ საპრეზიდენტო ბოინგში, ზღვის დონიდან რვაათას (8000) მეტრ სიმაღლეზე გადააყუდაო, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა ლედიმ ჰილარი კლინტონმა სავარძელში ჩათვლიმა.

მონიკა ლევინსკიმ ადვოკატ, დამოუკიდებელ მსაჯულად წოდებულ, კენეტ სთარისა და მასმედიის წარმომადგენლების თანდასწრებით განაცხადა:

პრეზიდენტმა თეთრი სახლის საპრეზიდენტო კაბინეტში შემიყვანა და ასოზე ხელი დამადებინაო. ამერიკის მოქალაქეებზე განცხადებამ და არა ფაქტმა, ასოზე ხელის დადებამ, გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

დედაენის ასოზე — ია. აი ია — არ ყოფილა, ცხადია, ლაპარაკი. პრეზიდენტი კლინტონი იძულებული გახდა, საჯაროდ უარეყო ასოზე ხელის დადება. ხარიხაზე ახუნძლული მიკროფონებისა და უთვალავი ტელეკამერის წინ, თეთრი სახლის ლაფაროსთან, სვეტებიან თაღედებქვეშ დადგა მაღალი, ფერმკრთალი, ყბაში გაუღეჭავ კევმოქცეული. იდგა. იდგა და ცივად და მოკლედ უთხრა უმადურ ერს: ქალბატონ მონიკა ლევინსკისთვის ხელი ჩემს ასოზე არ დამიდებინებია!

ჯიშიანი, შეუხედავი მონიკა ლევინსკი კი ახალ-ახალ განმარტებებს იძლეოდა. გვერდზე გადგმულტერფებიანი, მაღალ, ლონიერ ფეხებზე შემდგარი, ნაპატიები ძუძუებით აწვებოდა ეკრანს და ურცხვი ქუთუთოებუხამხამებელი თვალებით გვიყურებდა. კენეტ სთარის 445-გვერდიან ნაშრომში დადასტურებულიაო: ცხრაჯერ ჰქონდა ორალური სექსი ჩემთან, რაც მეტი იყოს, იმდენჯერ ამოტეხოს თავში ჩემს ვექილს, მაგრამ მეტის ამოღება, როგორც ჩანს, მართლაც არ ხერხდებაო.

კენეტ სთარს ცხრაც ჰყოფნიდა, თუმცა ერთიც არ დასტურდებოდა. ქალბატონ ჰილარის, ამერიკის პირველ ლედის კი ახალი დარტყმა ელოდა. მონიკა ლევინსკიმ სასამართლო-საექსპერტო დასკვნისათვის წარადგინა საგარეო კაბა, სადაც პრეზიდენტის საჯიშე სპერმის ნარჩენები იყო თითქოს დარჩენილი. ამერიკის შეერთებული შტატების დროშის ქვეშ 1998 წლის აგვისტოში გალანდეს კაბა

წინიდან და უკნიდან, ერთმა მანდილოსანმა ფრჩხილით ჩამოაფხიკა ნანილა კაბი ორ ადგილას და ინტერესით დახედა ბეცი თვალებით. კაბა და ჩამონაფხეკი გადასცეს, როგორც ჩანს, ამნაირი შემთხვევების ნათლისმომფენ ლაბორატორიას. 72 საათის შემდეგ კაბის საეჭვო ლაქისა და კლინტონის საგვარეულო-სანაშენო კოდის იდენტიფიკაცია დაადასტურეს. ფიცი სწამდათ და ბოლომ გააკვირვათ. ქვა ტყდება, პრეზიდენტი კი არა. შევცდიო, აღიარა და მოიწმინდა ცრემლები, სულიერმა, ღირსმა მამამ ფრედ დევისმა შინაური რეპეტიციების შედეგად რომ მოჰგვარა.

შემდეგ: ბოდიში მოუხადა ცოლს და არა დაზარალებულს, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. საქმე აგორდა. ქრონიკულად თავისუფალი, ბედნიერი ამერიკელი ხალხი უპრეზიდენტოდ, უფრო სწორად, უკლინტონოდ რჩებოდა. ხალხი ელოდა. ითმენდა. რას ითმენდა, არ იცოდა, მაგრამ ცნობისწადილის, და არა მოთმინების ძაფი, სადაც იყო განყდებოდა. ყურადღების სხვაგან გადატანის მრავალნაირი მეთოდი არსებობს. დროც იყო, საბაბიც, საშუალებანიცა. გაიცა ბრძანება და ამერიკის ავიაციამ დაბომბა ჯერ სუდანი — საერთაშორისო ტერორისტული საბუდრების სავარაუდო ადგილ-სამყოფელი — შემდეგ ერაყი. დაილუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები ამერიკელი ამომრჩევლების სექსუალური პრობლემების გართულების მიზეზით. იბომბებოდნენ, ინგრეოდნენ, იღუპებოდნენ. დროდადრო სოროდან ამომძვრალი, ავადმყოფი ჰუსეინი გაილანდებოდა ეკრანზე. ჩვენ გავიმარჯვეთო, ამტკიცებდა ყოველი დაბომბვის შემდეგ, მაგანო (კლინტონმა) საკუთარ ასოს მოუაროს, ურჩევნიაო. რუსეთის მუქარას — სხვის საქმეში ხელების (და არა სხვა რამის) ფათურს დაანებეთ თავიო — პასუხი არ მოჰყოლია. რუსეთის ინფანტილიზმი მსოფლიო ხანძრის გაჩაღების საბაბს არ იძლეოდა. მორიგი მშვიდობა დგას, იმიტომაც, რომ ბორის ელცინს, ყოფილი იმპერიის პრეზიდენტს, მეორადი სექსის ნარჩენი მოვლენებიც აღარ აწუხებს.

რატომ მტანჯავ, მე სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია...

Я не буду, чего терзайте!

მომეშვით. მაცალეთ. ჩამამთავრებინეთ. იმეორებს დროდადრო სიტყვების ტკეპნით, სამამულო წარმოების ბულდოზერის სვლით. საავადმყოფო-სანატორიუმებიდან საავადმყოფო-სანატორიუმში, დასასვენებელი სახლებიდან ნერვოლოგიურ კლინიკებში გადაჰყავთ იგი საბედისწერო ჩემოდნით, თერმობირთვული თავდაცვა-თავდასხმის ჩამრთველი მექანიზმებით, რთული შიფრითა და კოდით.

მონიკა ლევინსკის პრეზიდენტის სპერმით მონიშნული კაბა კი საიმედოდ ინახება ვაშინგტონში პრეზიდენტ კენედის სისხლიან პერანგთან და ლუი ჰარვი ოსვალდის აქოთებულ ბოტასებთან ერთად!

და ინგრევა, ფეთქდება... იბომბება, მსოფლიო ომის აალების კერა, მეორედ მოსვლის ეპიცენტრი, ბალკანეთი. დიდი შტატების პრეზიდენტი მშვიდად ნერვიულობს საკუთარი ჰორმონების ხარჯვის ხარჯზე, მეორე პრეზიდენტს კი ბეტონის თავზე ენგრევა კაცთაგან შექმნილი, ნალოლიავები მატერიალური კულტურა.

სიფილისური ჭკუასუსტობით, სექსოპათოლოგიური გადახრებით გამოწვეული ქმედების პროგნოზირება შეიძლება, ლოთის საქციელის მოსალოდნელი გართულების ამოცნობაც არ უნდა იყოს რთული და თქვენ, ბატონებო, ბეწვის ხიდზე დგახართ! ჩვენზე არაა და მაინც, თუ ბონდის, ჩელტის ხიდის, რაზედაც ვდგავართ, მასალათა გამძლეობის შემოწმებას არ დავიწყებთ ზანზარ-ძაგძაგით, ერთიხანობა კიდევ არაფერი გაგვიჭირდება, ალბათ.

ისევ შენითა და არა ჩვენითაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XX

კუდიანი ვარსკვლავი

წესრიგი ყველგან და ყველაფერში: დევიზი, რომელიც მოქმედებდა უკანონობისა და უწესრიგობის ტიპურ სახელმწიფოში, თუმცა ამ ლოზუნგის საფუძველიც არსებობდა.

ოლქობაზე ქუთაისში ჩავიდა აბასთუმნის ობსერვატორიის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, გვარად ჟღენტი. დახვდნენ ძმაკაცები, უმასპინძლეს, როგორც წესი და ჯერი იყო, გადაჰყვა ხელს და მეორე დღეს, ნაბახუსევი, უბილეთოდ ჩავიდა მგზავრებით გაჭედილი ტროლეიბუსის უკანა კარით; დააკავა გაჩერებაზე ჩასაფრებულმა რიგითმა მილიციელმა დოლაბერიძემ და რადგანაც პირადობის დამადასტურებელი საბუთიც არ აღმოაჩნდა, მიაბრძანა მეორე რაიონის მილიციის განყოფილებაში. სამორიგეოში გაჩხრიკეს: ამოუღეს ჯიბიდან ნაძალი ფული, სავარცხელი, უბის წიგნაკი, გასაღები და შეაგდეს საკანში უსაქმურებსა (უმუშევრებს ეძახდნენ) და წვრილმან ხელიგნობაზე დაკავებულ პირებთან. მორიგე ოფიცერმა ვიტალი იშხნელმა, პოსტი რომ გადაიბარა, მთქნარებით ჩაათვალიერა სარეგისტრაციო ჟურნალი, ჩამორთმეული ნივთები ნახა, უბის წიგნაკი გაშალა, ჩაიკითხა და წააწყდა ასეთ ფრაზას: „მაო ძედუნის წინააღმდეგობის შესახებ".

— მდა! — თქვა, მაგიდაზე ბლიკი დააკაკუნა და დოლაბერიძეს მიაჩერდა. — შენ მოიყვანე?

— მე. ტროლეიბუსის უკანა კარიდან ჩამოვიდა.

— ვერ დამართია კაი საქმე! — უბის წიგნაკი ჩაკეცა და ისევ დოლაბერიძეს მიაჩერდა, რამდენადმე — უაზროდ.

ცხელოდა. დოლაბერიძეს მზეში გასვლა ეზარებოდა და უფროსის მზერისა და თავის ყანყალის გაძლებაც არ შეეძლო.

— წავიდე, უფროსო? — იკითხა ძალიან ფრთხილად.

— წადი, რა ჩემ ფეხებს მიკეთებ, შემოიყვანე ჯერ ღლონტი!

— რომელი ღლონტი, ჟღენტი რო არი?!

— ხო, ჟღენტი.

შემოიყვანეს აბასთუმნის ობსერვატორიის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, ტროლეიბუსის უკანა კარიდან ჩამოსვლაზე „გასოხარებული". უყურა იშხნელმა, უყურა:

— რას ეწინააღმდეგები, ბიჭო, შენ მაო ძედუნს?!

ყველაფერს ელოდა, ამას — არა. საჭირო იყო დინჯად, დალაგებულად გაეცა პასუხი და არ აჰყოლოდა, როგორც მას მოეჩვენა, პროვოკაციას თუ პოლიტიკურ შანტაჟს.

— მაო ძედუნის წინააღმდეგობის შესახებ... — ამომარცვლა უბის წიგნაკიდან იშხნელმა.

— მაო ძედუნის კი არა, მაო ძედუნი, ტირე, წინააღმდეგობის შესახებ... პირველი — ს — მანდ არ უნდა იყოს, ჩინეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ბელადის სტატიაა მაგდაგვარი სათაურით, საპლანეტშორისო სივრცეთა გამოკვლევების დროს დამჭირდა, შესავალ ნაწილში, რასაკვირველია...

— დისერტაციას იცავ?

— დიახ.

— ამხანაგ მაო ძედუნზე?

— მცირე ვარსკვლავების ანუ მოხეტიალე ასტეროიდების ინტეგრალურ აღრიცხვაზე...

დოლაბერიძე გამოშტერდა, არც იშხნელს დადგომია კარგი დღე, იგიც ერშად დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე რომ, მაო ძედუნთან არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... — დაასწრო ჟღენტმა ღიმილით.

— გასაგებია. კარგია, რომ არ გაქვს, მაგრამ მაინც ვერ გაგიშვებ იანგულიძის მოსვლამდე!

— იქნებ სულ არ მოვიდა ეს იანგულიძე?!

— ადვილი შესაძლებელია.

— მოვა. — დინჯად თქვა დოლაბერიძემ.

— შენ კიდევ აქა ხარ, შე ჩემის კვიტია!

— მივდივარ, უფროსო... — გავიდა და კიბეზე გაჩერდა, მზით და ჩრდილებით აჭრიანტებულ მოედანს გახედა, გამვლელ-გამომვლელს გააყოლა თვალი, ზეთიანი თვალებით გააშუქა კრეპჟორჟეტის კაბაში გახვეული სქელი ქალის უკანალი.

ბუდუ ქვარიანი მოვარდა მაშინ. ღილკილოებ-გვერდზე-ჩაბნეული, შავი სატინის ხალათი ეცვა ზოლებიანი კოვერკოტის პიჯაკში. იმდაგვარივე ქსოვილის ჟოკე ქუდი, მუჭში რომ მოიმწყვდევდი, სამორიგეოში შესვლისას, ნაბიჯი რომ შეანელა, ჯიბეში ჩაიდო. მაშინ „პატარა კახს" დგამდა კულტურის სახლში. რასაც უფროსებისაგან სუფრაზე სწავლობდა, იმასვე ასწავლიდა მაშინ უმცროსებს, თანატოლებსაც. ტრადიციების პატივისცემა, უფროს-უმცროსობის ნორმების დაცვა, რომელსაც ხანდახან თავადვე არღვევდა, ჩვევა და აუცილებლობა იყო მისთვის; სუფრის ეტიკეტს იცავდა მკაცრად, თუმცა ყინყლშიც გადაერეოდა ხოლმე, ხელჩართულში თავს ხმარობდა, რამდენიმე ყოჩი ჰყავდა კბილებმორყეული; სტალინის სადღეგრძელოსაც სვამდა გულწრფელად – დიდი კაცი იყოო, აქნევდა თავს სერიოზულად, თუმცა ეს იყო თავდაცვის ნახევრად გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული ინსტინქტი. ქუთაისი მისი იყო მაშინ და წინ უსასრულო სივრცის ლურჯი მოჩვენება ლივლივებდა დროის სიგრძის ილუზიის მირაჟად.

რა არი ეს, რა ხდებაო, კითხულობდა შინაურულად ბარიერს გადაწოლილი, თხელი ტანის, მოქნილი ბუდუ ქვარიანი, იქაური ძირძველი მოსახლე და მოქალაქე.

— დაგაკავეს?!

— გამაკავეს! — საძირე ოქროს კბილი გამოუჩნდა ჟღენტს.

— ამას, ბიჭო, ვარსკვლავი აქვს აღმოჩენილი! —მიაფრინდა იშხნელს.

— რომც არ ჰქონდეს, ვერ დავაკავებთ, მაგრამ იანგულიძის მოსვლამდე ვერ გავუშვებ, არა მაქვს უფლება!

— სადაა მერე მიშა ბიძია, მაგ ასიერიელი, კაი კაცი!..

დრო გადიოდა, იანგულიძე არ ჩანდა. მეცნიერი მუშაკი ჟღენტი იჯდა კუთხეში გაცვეთილ სკამზე. ჯერჯერობით ეს იყო, რისი პატივიც ბუდუ ქვარიანის წყალობით დაიმსახურა. ამასობაში დაღამდა.

— ბევრი გყავთ ვარსკვლავების აღმომჩენი?! — ხმამაღლა კითხულობდა ისევ ბუდუ და უკან იხედებოდა, კვერის დამკვრელებს ეძებდა.

— წადი რა, ბუდუ, თავი დაგვანებე!

— არ გინდა, ბუდუ! — შეწუხდა ჟღენტიც, საქმე არ გავირთულოო. იანგულიძის მოსვლის იმედად დარჩენილმა, იშხნელის მოთმინების საზღვარი არ იცოდა და რადგანაც ვარსკვლავიც არ ჰქონდა აღმოჩენილი, სიტუაცია აღარ უნდოდა დაეძაბა. ამას ბუდუც მიხვდა მაშინ და ატმოსფეროს დაწმენდას შეუწყო ხელი. ჟღენტიც გაშინაურდა. მეტეორიტის ეფიმერიდის, იმავე ორბიტის განსაზღვრაზე ვმუშაობო, თქვა. სხვადასხვა ობ-

სერვატორიის მონაცემების შეჯერების შემდეგ, თუ ჩემი ორბიტა სხვისას არ დაემთხვა, მეტეორი, თქვენთვის მცირე ვარსკვლავი, აღმოჩენილი იქნება და დაერქმევა ჩემი სახელი ან გვარი, ჟღენტი იყოს, გინდაც იშხნელი, სიტყვაზე ვლაპარაკობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვარსკვლავს კაცის სახელი?

— ეგრეა. ვარსკვლავი ჯღამაძე, პირობითად, ჩხავირიძე, იანგულიძე, იან, კარგია!

— შვიდი წელია ერთი ვარსკვლავის მომატებას ველოდები, იანგულოვი შენ მოგიმატებს რამეს, არ დაგაკლოს, პირიქით... დაურეკავს, არ გაუშვათო ჟღენტი, გეგონება, რამეს გამოგრჩება ვარსკვლავების მეტს!

გულს შემოეყარათ ბრალდებულს და დამცველს, მაგრამ რაღას იზამდნენ. დამორჩილდნენ ბედს და ნამდვილ ვარსკვლავებზე ილაპარაკეს. დოლაბერიძეც შემობრუნდა დასიცხული დიდი თავით, ფერიმჭამელებიანი ლოყებით. ისმინა, ისმინა და ბუდუს ანიშნა, გარეთ გამოდიო. რაღაც მნიშვნელოვანს მიმხელსო (ასეც იყო), იფიქრა ბუდუმ და გაჰყვა. კიბის თავზე გაჩერდნენ. ხვატი ადიოდა ისევ შავი გუდრონით დაფარულ მოედანს, თუმცა ღამის სიოც უქიქინებდა საიდანღაც. ზევით გაკამკამებული ცა ჩანდა.

— აიხედე ზევით! — სთხოვა დოლაბერიძემ.

ბუდუმ თავი ასწია, თვალები წაჭუტა, გადავარსკვლავებულ ცას დააკვირდა.

— რად უნდა ვარსკვლავს აღმოჩენა, გლახაობთ ხო თქვენ, აღმოჩენილი არაა ყველა!

სავარსკვლავეთქვეშ იდგა მაშინ ბუდუ, იგი ზევიდან არ ჩანდა. სამაგიეროდ აღმოჩენილი იყო ყველა ვარსკვლავი, ვარსკვლავებით გადაჭედილ ცაზე, რომლებსაც ქვევიდან ხედავდა.

— ჟოზეფინა, ჟოზეფინა!

ეს სახელი თუ ჰქვია რომელიმე ვარსკვლავს, ბუდუ?!

ბოლო

კუდიანი ვარსკვლავი საუკუნეში ერთხელ, ყოველი ორი საუკუნის შემდეგ — ორჯერ, სამ საუკუნეში ზედიზედ თითოჯერაც, სამოცდათექვსმეტწლიანი ინტერვალებით წითელა ბატონებივით მოევლინება დედამიწას.

ედმუნდ ჰალეიმ, ვისი სახელიც ეწოდა კომეტას, მხოლოდ ერთხელ — 1682 წელს დაინახა, თუმც 86 წელი იცოცხლა. მისი მეორედ მოსვლა 1758 წლისათვის ივარაუდა და მობრძანდა დათქმულ წელს, წინასწარმეტყველის გარდაცვალების მეთექვსმეტე წლისთავზე.

XVII საუკუნეში ორჯერ გვეახლა, მეოცეშიც ორჯერ (1910-1987) გაგვაბედნიერა, აჭრილი და გაუბედურებული დატოვა მრავალი ქვეყანა. პირველ (1910) გამოჩენას პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები, ნგრევა და სისხლი მოჰყვა, მეორისას — ბოროტების იმპერიის დაშლა. XXI-XXII საუკუნეებში თითოჯერ გამოჩნდება, XXIII — ხელახალი ნგრევა იქნება. წინ უსასრულობაა. უკან მოკლეა და მოხედვაც იოლია. მხოლოდ XII საუკუნე (1150 წ.) გამოდგა ჩვენთვის ფეხბედნიერი. წინა გამობრწყინებებმაც (998-1074) ბევრი სიკეთე მოიტანა: გაერთიანდა საქართველო, აიგო მრავალი ტაძარი, მათ შორის — ტაძარი ბაგრატისა. 1222 წელს ტახტზე ასვეს თამარის ასული, დაი ლაშასი, ცოტა ქართველი რუსუდანი. შერთეს ერზრუმელი თათარი მუღისედინი და 1226 წელსა მოვიდა „ვარსკვლავი კვიმატი ლახვრის მსგავსი". მოჰყვნენ: ხვარაზმელები, მონღოლები და იმის შემდეგ აღარც გაგვიხარია სახელმწიფოებრივ დონეზე.

XVII საუკუნეში „ვარსკვლავი კვიმატის" ორჯერ გამოცხადებისას, გაუბედურდა საქართველო საბოლოოდ და დაიქცა ტაძარი ბაგრატისი.

პირველი საუკუნის საკვიმატო (10-87) ჩვენსას (1910-1987) დაემთხვა. დანარჩენს სხვა შეაჯერებს, თუ ყველა, ყველა ქვეყნისათვის ცალ-ცალკე, შეჯერებული და დაანგარიშებული არაა. ნეტარ იქნებიან XXI-XXII საუკუნეებში, შეეჯერდებიან ოცდამესამეში და ისევ და ისევ ყველაფერი განმეორდება. მზე ამოვა და ჩავა, მთვარე გაანათებს.

დედაჩემს ორჯერ გამოეცხადა კუდიანი ვარსკვლავი, თუმცა იგი ცაზე, მგონი, არც ერთხელ არ დაუნახავს; კვიმატი ვარსკვლავის ორგზის შემსწრეს უბედურება არ სწვევია, მაგრამ დიდი ბედნიერებაც არ ღირსებია; ჩვეულებრივად, დარდით, წუხილით, ცოტა სიხარულით იცხოვრა და მაინც მეწყალვი, დედაო, სიცივისათვის, ზეშთის უსასოობისათვის.

დედამიწიანთა უმრავლესობა კუდიან ვარსკვლავს ვერ შეესწრო. მათი ეფემერიდები (კომეტისა და ადამიანებისა) ერთმანეთისას არ დაემთხვნენ. ერთი ხანმოკლე სიცოცხლე ერთ შემოვლას არ ეყო. კომეტა კი დარჩა. იგი იყო და იქნება; მოდიოდა და კვლავ მოვა: „... აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება“.

„კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოვლისა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან წელთა ხქ3თ, ქორონიკონსა სპვ, მეფობისა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიქტიონსა ლ©ბ აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდ მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობითგან აღვსებადმდე...“

1986 წლის ახალ გაზაფხულზე ნორმანებმა კომეტა ჰალეასაკენ გაუშვეს ხომალდი „ჯოტო“. შეხვდა. სისხლისფერ აბლაბუდაში გაიხლართა ხომალდი, სინარინჯისფერეთში შებრიალდა.

ჯოტო, შენი სახელისა, ჩვენი ბედისა და უბედობის სტუმარს ხომ შეავედრე დაღუპულთა სულები! ჯოტო, მშვიდობიანთ მეესავო, ქვეყნიერებაზე მაინც არ მოიპოვება ისეთი უგუნური, რომ შფოთი ერჩივნოს მშვიდობას. მამები მარხავენ მაშინ შვილებს, შვილებმა უნდა დამარხონ მამები. ახლა ჟამია შვილების გამოტირებისა, მიწისძვრებისა, გაუთავებელი წუხილისა, მოლოდინის წვიმებისა. გადაიკარებს, მშვიდობის, სიყვარულის დრო დადგება. მზის იქით ბრუნავს გლორია, ჩვენი ხიფათიანი საცხოვრისის ტყუპისცალი — იმედისა და სასოებისა.

დრო ყველაფერს აფერადებს, ყოველივეს კურნავს, დრო დროს აბრუნებს, დროსაც აცამტვერებს. წასული ხმების დაბრუნება შეიძლება, სულების გამოხმობაც, რაც მიდის ბრუნდება კიდეც. ჩვენ ისევ შევხვდებით, დავუყვავებთ ერთმანეთს ლურჯ წუხილში, დაღუპულებს მივეფერებით, მტანჯველი სიზმრისაგან გავთავისუფლდებით, მარადიულს — მივუერთდებით.

და გმადლობთ ყველაფრისათვის, მრავალნაირი ფერებისთვის.

იდგა კიბეზე ალისფერკაბიანი წითელი ვაშლებით მოჭიქულ მწვანე კრეტსაბმელთან. იყო ხე ვაშლისა. ჩალისფერი თმა ჰქონდა და იყო შორს... წინარე ყოფისა მერგუნა და გიხილე სამგზის, ერთხელ — ცხადში.

ამისთვის გმადლობ!

— ყველაფრისათვის!

1991-1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოველები

ქ...შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი გიორგი მხოლოდ ერთხელ ვნახე ჩემს ცხოვრებაში. ომის დამთავრების შემდეგ საგანგებოდ მოიწვიეს სკოლებმა თუ სკოლამ და რკინიგზის კლუბში გადაუხადეს ლიტერატურული საღამო. სწავლა შეწყვიტეს და მთელი რკინიგზის სკოლა მიგვიყვანეს შეხვედრაზე დღისით. საღამოს სხვა წარმოდგენა გამართეს, თუ იმ დღეს ერქვა საღამო, ვერ გეტყვით. შეხვედრას ქალაქის განათლების სისტემის წარმომადგენლები, სწავლაგაცდენილი სკოლა თუ სკოლებიც დაასწრეს. რა ოფიციალური დამსახურებისათვის მიაგეს ამოდენა პატივი, არც ეს ვიცი. თმაგადაპარსულ, ფერმკრთალ კი არა, ფერდაკარგულ, ბეჭგანიერ კაცს გადაშვებული, ქამარშემოჭერილი ხალათი ეცვა პიჯაკს შიგნით, თუ არაფერი მეშლება. იგი მალე გარდაიცვალა და პირადად მე, ამნაირი დამამახსოვრდა. დაბადებული ყოფილა კახეთში, სოფელ რუისპირში და არა საჩხეიძეოში, საიდანაც უნდა ყოფილიყვნენ მისი წინაპრები (ჩხეიძეები). გამხსენებელი, ჟამთაღმწერელი, გვარის გამგრძელებელი მრავალი დარჩა. მრავალნი ყოფილიყვნენ, მრავალი ამყოფოს უფალმა; მათ საკარმიდამოში არ გადავალ და თუ სასკოლო შეხვედრის ბუნდოვან სურათებს მოგონებად არ ჩამითვლით, ერთ ნასხვისარ, მეხსიერებაში ჩაწერილ ამბავს მოგიყვებით ტყუილების შეპარების, ამაში დარწმუნებული იყავით, გარეშე; მოგიყვებით ზუსტად და ცოტა, ეს წესიცაა, ჩემებურად.

მაშ ასე:

ლექსების პირველი წიგნი გამოვეცი 1946 წელს. ავიღე ჰონორარი, დავპატიჟე ძმაკაცები და გამომცემლები. ვიქეიფეთ რჯულზეო, რომ იტყვიან (რა ვიცოდი მაშინ ქეიფი!). ღვინომ არ გამომაძინა, ალიონზე წამომაგდო ლოგინიდან. დავიბანე. ჩავიცვი. ლექსების წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი ჩავიდე ხალათის ჯიბეში და გამოვედი სახლიდან. სად მივდივარ, არ ვიცი. აღმოვჩნდი ბაზართან. ბინა იქვე მქონდა ბელინსკის ქუჩაზე დაქირავებული. დავინახე ბატონი გიორგი. წელში გამართული, ბეჭგანიერი, თხელი კაცი შორიდან ვიცანი. ჯიბეებიანი, ნაცრისფერი, შარვალზე გადაშვებული ბლუზა ეცვა კოვერკოტის „ტუჟურკის" ქვეშ. საით გაუწევია ამ სისხამ დილით, გავიფიქრე. მოღიმარი, თითქო თავისთავთან მოლაპარაკე მოდიოდა, ვერ შემამჩნევდა მეგონა და გადავუდექი. მიცნო. მომესალმა. მინდა ვუთხრა, წიგნი გამოვეცი ლექსების, პირველი წიგნის დაბადებით გაბრუებული და გამსუბუქებული შევთამამდი და შევყოყმანდი თან. შენო, დამასწრო, ნიჭიერი ახალგაზრდა ხარო და ქათმის კარგი ყიდვა გეცოდინებაო. დავიბენი. ქათმის არც კარგი ყიდვა ვიცოდი, არც — ავი. მქონდა თუ არა ქათამი ბაზარში ნაყიდი, არც მახსოვდა. მეო, ბატონმა გიორგიმ განაგრძო, დედალზე გამომიშვესო, სიდედრს კუჭი აეშალა და ბულიონი მოიგუნებაო. ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, თანაც მეგრელი, მაყიდინე მეგრული დედალი, მეც გადავრჩები და სიდედრიცაო. ბულიონისთვის წინილი ჯობია-მეთქი, შევბედე. მართალი ხარ სავსებით, მაგრამ დედალი დამაბარეს, ნახარში კუჭაშლილ დედილოს შეერგება, ხოლო ხორცი ჩვენ დაგვრჩება ოჯახის წევრებს და გავკეთდებითო. რალა მეთქმოდა. შევყევი დილის ბაზარში. ვარჩიე, ჩემი ჭკუით, ქათმები და ვაყიდინე (ეყო და არც ეყო ფული) აბაშელი ქალისაგან ჟრუნი დედალი. რამდენჯერმე აუფართქალდა ხელში სიმინდით გაზრდილი, ნახევრად გაფრინველებული დედალი. თავდალმა მაინც არ წამოიყვანა, არაა სწორიო, მითხრა. დავეშვით ვერეს დაღმართზე. დილაა, ნათელია, მაგრამ ჯერ მზე არ დადგომია თბილისს თავზე მზისებრ. მიდის. მივყვები. ვლაპარაკობთ კუჭის აშლის მიზეზებზე, საფაღარათო საშუალებებზე. წიგნსა და ლექსებზე სიტყვა ვერ ჩავაგდე. თითქოს განგებო, არ მომცა ამის საშუალება. შევედით ვერეს ხიდზე. დაკლებულია, მზეზე ლაპლაპებს მტკვარი. ნახევარ ხიდზე

ჩრდილია კიდევ. გავალთ ხიდზე და ერთად ველარ გამოვალთ, ვხვდები, ვნუხვარ. რას ნკმუტუნებ, ბიჭო, შენო, მკითხა მოულოდნელად და შეჩერდა. ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა-მეთქი, ამოვღერღე. შემომხედა, დამაკვირდა, მოაჯირს მიეყრდნო, ქათამი ჩამაბარა, არ გაგიფრინდესო, გამაფრთხილა და წიგნი გამომართვა. ყდა გაუსინჯა, გადაფურცლა, ფორზაცს დახედა, ფასიც შეამოწმა.

— დასველება არ უნდა მერე ამას?

— ვერ გაგიბედეთ, ბატონო გიორგი, თორემ მაგის თქმას ვაპირებდი სწორედ, ჰონორარი მაქვს ჯიბეში... იქნებ ერთი ჭიქით სადმე, დილის მადლზე...

— მომე ჩემი დედალი!

გამომართვა. შებრუნდა, აიქნია ჟრუნი ქათამი, ააფრინა; შეფათქუნდა დედალი ერთი წამით, შემდეგ თითქოს გადავარდაო, ქვასავით დაეშვა, გაშალა ფრთები მალე და გაფრინდა ქათმურად მდინარის თავზე, გაჰყვა წყალს, მზით განათებულ რიყეზე გაფერმკრთალდა ისედაც ქვისფერი.

გიორგი უკან ბრუნდებოდა, ხელში გადაშლილი ლექსების წიგნი ეჭირა. რამდენიმე სტრიქონი ამოიკითხა ხმამაღლა, ჩამარცვლით. თქმით არაფერი უთქვამს, არც კარგი, რასაკვირველია, არც — ავი.

შემდეგ იყო რიყე. დუქანი. ერთი, მეორე. წიგნის დასველება პირდაპირი მნიშვნელობით. დუდუკები. ბატონი გიორგის საძმაკაცო. შემსვლელი, გამომსვლელი, ყარაჩოხელების თუ კინტოების ნარჩენები. კონფლიქტი ვიღაცებთან. გაწევ-გამოწევა ფულის გადახდის დროს (ჰონორარი ხელუხლებელი აღმოვაჩინე შარვლის უკანა ჯიბეში მეორე დღეს) და ვერაფრით ვერ ვიხსენებ, როგორ აღმოვჩნდით მზის ჩასვლისას ვერეს ბაზარში. ქათამი ვერ იყიდე ამდენ ხანსო, მომესმა ქალის ავი ხმა.

— რა გნებავთ, ქალბატონო, თქვენ?! — ვკითხე. ეს ვინღააო, ჩაილაპარაკა და იქიდან იწყება ჩემი მახსოვრობის ხელახალი აღორძინება. ქალბატონი კი, მე რომ ცოტა აგდებულად მივმართე, ბატონი გიორგის მეუღლე აღმოჩნდა. იგი ქათამზე გამოგზავნილი ქმრის საძებნელად წამოსულიყო. შემოვიდა საღამოს ბაზარში და ბაზარშივე აღმოაჩინა ქმარი, რომელიც რვა საათის წინ გამოუშვა სახლიდან. როგორ იფიქრა, რომ ალიონზე ბაზარში წამოსული კაცი ბაზარშივე დაუხვდებოდა დღის ბოლოს, გაუგებარია. არადა, ეგრე მოხდა. ასე იყო თუ ისე, იქ ნახა და იქ მოიძია, სადაც იგი, ყველა წესისა და ვარაუდის მიხედვით, აღარ უნდა ყოფილიყო.

ფინალი ამბისა პროზაულიაო, გამაფრთხილა პოეტმა, ვინც ამბავი გადმომაბარა, პირველი წიგნი რომ გამოსცა და ჰონორარის დახარჯვა რომ ვერ მოახერხა. პროზაულიაო. გვინდა მერე ეგ პროზაული ფინალი?

ჩავთვალოთ მაშინ, რომ აქ წყდება ხელნაწერი.

ჩხეიძე პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ნამდვილი გვარია. ფსევდონიმი კი პროლეტარული მსოფლმხედველობის (სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიც გახლდათ) და სოციალისტური სახელმწიფოს სტრუქტურის შედეგი უნდა იყოს. გალაკტიონს უყვარდა, მეგობრობდაო, დაბეჯითებით ამბობენ. მეტოქედ არ თვლიდა შეიძლება და ესეც ანაღდებდა მათ მეგობრობას. მეტოქედ დიადი ეგოცენტრიკი გალაკტიონი საქართველოში, შეიძლება ცისქვეშეთშიც არავის არ თვლიდა, მაგრამ გიორგი ქუჩიშვილი თანამდებობებით, პარტიული რეგალიებითაც არ თრგუნავდა. მათი სიახლოვე კი მაინც გიორგი ჩხეიძის (ქუჩიშვილის) კარგი კაცობით უნდა ყოფილიყო გაპირობებული.

1991

მეჯე

რედაქციაში თერჯოლის რაიონიდან მოვიდა ამდაგვარი შინაარსის წერილი: ცოცხალიაო კაცი (გვარი, სახელი, მამის სახელი), რომელმაც 1937-ში დახვრიტა ხოდარ დუმბაძის მამა. იგი ცხოვრობს ამა და ამ სოფელში (სოფელს ვერ დავასახელებთ) და სხვა. ავტორი ბარათს ხელს აწერდა და ზუსტად (ეს შემდეგ გაირკვა) უთითებდა საკუთარი საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის მისამართს. ცნობა სენსაციურია და მკითხველი დეტექტივის კითხვის გუნებაზე (ღმერთმა დაგვიფაროს) რომ არ დავაყენოთ, ახლავე ვიტყვით: ინფორმატორი არ აღმოჩნდა მართალი.

წერილის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მივაკითხეთ ბარათის ავტორს ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში და მისივე მეგზურობით გავწიეთ სათერჯოლოსაკენ. გავცდით ზედა საქარას, ავუხვიეთ ხელმარჯვნივ, შევედით სოფელში და სოფლის ბოლოში მივადექით ჟანგიან რკინის ჭიშკარს. მეგზურმა ჭიშკარი უნებართვოდ გააღო და რკინების ჟანგიან ხრჭიალზე შევიდა ეზოში, რამდენჯერმე დაიძახა ერმილეო; ამასობაში ჩვენც შევლაგდით და მასპინძელიც გამოჩნდა ოდა-სახლის (ოდა იყო ალბათ ერთ დროს) ყურედან. წელში წახრილი, დაბალი, ელამი, ჯიუტი (ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება), კუშტად გამომზირალი, ჩვენი ხილვით ერთობ გაოცებული მოხუცი გამოეშურა. თეთრი, წინ ჩამოვარცხნილი მოკლეთმიანი თავით მოდიოდა, ვიწრო შუბლით მოარღვევდა თითქოს ბარდებს.

— ესაა დუმბაძის მამა რომ დახვრიტა, ყურში ცუდად ესმის, — გვითხრა მეგზურმა და ხმას აუწია, — სტუმრები მოგიყვანე, ერმილე!

— რაშია საქმე?

— ესენი რედაქციის მუშაკები არიან, ძველი ამბები აინტერესებთ...

— ძველი ამბები?

ერთხანს უბრად იდგა, ჩვენც აღარ ვიღებდით ხმას.

— დაჯექით!

გარეთ გამოგდებულ რკინის საწოლზე, მორყეულ ყუთზე, გვერდგამომწვარ ჯირკოზე, გადაბრუნებულ ვედროზე ჩამოვსხედით არცთუ მთლად ტოტებგაბურდული ქლიავის ჩრდილში.

— დუმბაძეს ხომ იცნობდი შენ, ერმილე, რაიკომის მდივანს, მწერალი რომ იყო იმის მამას?..

— მერე?!

— რაფრად იყო, ერთხელ რაცხა რომ შეგემთხვათ სასაზღვრო მიწებზე, ქე გაქვს მოყოლილი ჩემი თანდასწრებითაც...

— პალუშია, მე არავინ დამიძახოს სადმე!

— არა, კაცო, ვინ უნდა დაგიძახოს, ამათ ისე აინტერესებთ...

— რა აინტერესებთ ისთე?

— ძველი ამბები: კოლექტივი, კულაკობა, ოცდაჩვიდმეტი. შენ ყველაფერი გახსოვს...

— კომკავშირელი ვიყავი აქტიური... შემდეგ ვმუშაობდი რაიკომში, ჩონოში... იყო ასეთი დაწესებულება... საბოტაჟთან და მავნებლობასთან მებრძოლი განყოფილება. მარა ეს იყო ძალიან ადრე, დიდი ხნის წინ. შენ რა გიჭირავს ხელში?!

— თუ ნებას მოგვცემთ... — დიქტოფონი აჩვენა რედაქციის თანამშრომელმა.

— იწერთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენის ნებართვით... — ნამეტანი გათავაზიანდა ჩამწერი.

— მე არავინ დამიბაროს სადმე, პალუშა, შენ გაფრთხილებ!

— არა, კაცო, ეს მწერალია.

— რისი მწერალი?

— რედაქციის, გაზეთის... აინტერესებს დუმბაძის მამის ამბავი, ბუნებრივია... ლადო ერქვა ხომ? რაიკომის მდივანი ხომ იყო ბაღდათში?

— იყო კი, მერე ეს რა საინტერესოა?

— ამათ ისტორიისათვის სჭირდებათ.

— ისტორიისათვის?

— ნამდვილად. ლადო დუმბაძე ხომ ბაღდათის რაიკომის მდივანი იყო, შენ აქ, ამ რაიონში მოღვაწეობდი, თქვენს შორის ხომ ზესტაფონია? ზესტაფონის მიწებს იყოფდით?

— იყო კი მაგნაირი შემთხვევა, — შეკითხვა ზუსტად ვერ გაიგო, — ნაგანი ეკიდა, დედას გიტირებო, მითხრა, არ გაატოკო ხელი-თქვა მე ვუთხარი, მოვასწარი მაუზერის დაძრობა. გამწვანდა. ვნახავ, თუ შეგრჩებაო. ნახე, მე ვუთხარი. წავიდა გამწვანებული და დაიჭირეს მეორე თუ მესამე დღეს... მეტი არაფერი ვიცი, პალუშა, არავინ დამიბაროს ამ საქმეზე!

— არა, კაცო, ამათ აინტერესებთ როგორ დახვრიტეთ...

— რა ვქენით?!

— როგორ დახვრიტეს, ხომ არაფერი იცი შენ პირადად?..

— პირადად? საიდან უნდა ვიცოდე... ხალხის მტრები მიჰყავდათ ქუთაისში და ხვრეტდნენ, ვინც დასახვრეტი იყო, რასაკვირველია...

— ესე იგი, ამათ უნდოდათ, მე მინდოდა ჯერ მეკითხა, რომ წაიყვანეს ლადო დუმბაძე მეორე თუ მესამე დღეს, როგორც შენ ამბობ, შენც წაყევი?

— მე სად უნდა წავყოლოდი?! — თვალები გვერდზე ჰქონდა შებრუნებული და მაინც პავლეს მიჩერებოდა, როგორც ჩანდა.

— თუ დაესწარი-თქვა შემთხვევით...

— შემთხვევით?.. რას თუ დავესწარი?

— დახვრეტას.

— დახვრეტას? სად?

— საღორიას ტყეში ხვრეტდნენო... — ჩაერთო რედაქციის მუშაკი, დიქტოფონიანი ხელი რომ ჰქონდა გაწვდილი.

— ვინ თქვა?

— ასე მაქვს გაგონილი...

— ხვრეტდნენ კი ხალხის მტრებს...

— რა დროს, ერმილე?

— ყოველთვის, ჩემო პალუშა... ადრეც, გვიანაც... მეფის დროს რევოლუციამდე, თქვენი მენშევიკების დროს, მერეთაც... ოცდაოთხში, ოცდაჩვიდმეტში, ოცდათვრამეტში...

— იცი, ერმილე, შენ ის ადგილი?

— რომელი ადგილი?

— ხალხს სადაც ხვრეტდნენ.

— მერე მე ჭებს ვთხრიდი აქ, იქ, მეზობელ სოფლებში... სულ ჩემი გათხრილია ჭები.

— მეჭე იყო, კი, — დაადასტურა პავლემ.

— რა თქვი შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭებს თხრიდა-თქვა, ამათ ვუთხარი.

— ჭებს ვთხრიდი კი... არაფერზე დამიძახონ, შენთან მექნება მე საქმე!

— ამათ ჭების ამბებიც აინტერესებთ.

— ჭების?.. გამოვალ ახალვე.

თავწახრილი, მოზომილი ნაბიჯებით წავიდა სახლისაკენ, ჭის გამოსატანად რომ არ გასულა, ყველა მიხვდა.

— ამ ახლომახლო სულ მაგის გათხრილია ჭები, მაგარი მეჭე იყო... — აუხსნა პავლემ რედაქციის მუშაკებს.

ოდის გვერდით ჩანდა ჭა, — ჭის გვიმი, ოწინარით. ოდის ნახევრად ღია, ნახევრად დახურულ, ნახევრად შუშაბანდიან აივანს რაღაც სათავსო ჰქონდა კიდევ მიშენებული სხვადასხვა ფერის აგურით. კიბეზე ბალახი იყო ამოსული, კიბის მისასვლელებს ჟალტამი მოსდებოდა. ეზოში ეყარა: რკინები, მავთულები, სინები, ძირგავარდნილი კასრები, დაჟანგული ვარცლი, გამსკდარი როფი. ჟანგიან ჭიშკარს, მავთულებში გაკვეხებული ჟანგიანი თუნუქის ფურცლების ღობე მიჰყვებოდა; სარეველა და ნარშავა მოსდებოდა ეზოს, რომელიც ვენახს ესაზღვრებოდა; გათოხნილ-გამოსუფთავებულ ვენახში სიმინდი იყო ჩათესილი. ნაქსოვ მავთულაბადესაც, ვენახს რომ ეზოსაგან აცალკევებდა, ჟანგი მოდებოდა. ჟანგი და ნარშავა ბატონობდა ვენახამდე.

ჭაჭის არაყი გამოიტანა ერმილემ სამლიტრიანით, ქაღალდდაობებული ორცხობილა და ვაშლის ჩირი გამოაყოლა არყის ქილას, პურისცომიანი თითები რომ აჩნდა. საღვინე ჭიქაც დიდი ხნის წინათ იყო გარეცხილი.

— ... ცოლი რომ მომიკვდა, მერე წავიდა წაუკულმართებულად ჩემი საქმე, თვარა ასე კი არ იყო მიჯალახვეტებული აქაურობა, — ხუფი მოხადა სამლიტრიანს, მორყეულ ყუთზე დადო.

— შვილები სად არიან, ერმილე?

— მოუსვლელში. გახსენი, პალუშა, პიჩენია.

— არ ამოდიან? — დაობებული ქაღალდი მოაშორა პავლემ ორცხობილას.

— არ ამოიყვანათ გამჩენმა... — ჭიქა ჩაყო ქილაში ორი თითით და არაყი ამოიღო. — შვილიშვილმა ამომაკითხა ამას წინეებზე, ძლივს ვიცანი, რავა ხარ, ბაბუა, მომენატრეო. დარჩი, მე ვუთხარი, არ გაჩერდა, ფული ვაჩუქე, ხილი არ წაიღო...

— გოგო იყო ხომ? — დააზუსტებინა ერთხელ გაგონილი ამბავი პავლემ სხვების საყურადღებოდ.

— გოგო... გასათხოვარი. არ გაათხოვა მამაზეციერმა... გაგიმარჯოთ, არაა ძაან მაგარი... ამომიყვანა დაღამებულს სამტრედიელი ჯიბგირები...

— შვილიშვილმა?

— შვილიშვილმა. დამეცენ მძინარეს. გამკოჭეს. ვერ მოვასწარი იმის გადმოღება, გაუთოება დამიპირეს. წამართვეს ფული, რაღაც მქონდა სამარხად გადანახული, უკეთეს საქმეში არ მოხმარებოდეთ... წაიღეს, ვეღარ გავუძელი ცხელ უთოს... დალიე, პალუშა, მიაწოდე სხვებს, არაა მაგარი...

— რა იცი, ერმილე, შვილიშვილმა რომ ამოგიგზავნა, თანაც სამტრედიელი ჯიბგირები?

— სამტრედიაში აგდია... სწავლობს თუ მუშაობს, აბა საიდან ამომიყვანდა!

— იქნებ სხვამ გიხიმანდრა და შვილიშვილი არაფერ შუაშია...

— ვინაა აბა შუაში, ვინ მისობდა ცხელ უთოს!.. დალიეთ, ღვინოცა მაქვს, ჭურებს გაჩვენებთ, ჭას გაჩვენებთ...

ჭა იყო ძალიან ღრმა, რიყის ქვით კოხტად და მრგვალად ამოყვანილი.

— ... ცოდნა უნდა, გათხრას ცოდნა უნდა, თვარა ჩამოგექცევა ჭა... სად უნდა გათხარო, იმას ხომ უნდა და უნდა. სადაც დავიწყებდი თხრას, წყალიც იქ ამოდიოდა. არ შევმცდარვარ. გაჭრის ზოგიერთი, არაა წყალი. დამიძახებენ. აქამდე სად იყავით, მე ვეუბნები. მივიარ-მოვიარ... აქ დაკარით ბარი, მე ვეუბნები. დაკრავენ, გათხრიან, არი წყალი... ამნაირად მიდიოდა ჩემი ცხოვრება...

ჭურები ჰქონდა ჩაყრილი ბიებქვეშ ვენახამდე. ვენახს ეტყობოდა ადამიანის ხელი, ჭურებს ჟანგიანი თუნუქის ფურცლები ჰქონდა წაფარებული, სხვა უსარგებლო ნივთებითაც იყო იქაურობა მიხრიგლული.

— ეს რა არის? — სახელურიან ბორბალს მიათითა ერთმა სტუმართაგანმა, როცა უკან გამობრუნდნენ, წინანდელ ადგილზე როცა დააპირეს დასხდომა.

— ეს ჯარაა. რამდენი მეხვეწა რაჟდენა მომყიდეო. არ მივეცი. ეგდოს აქ, შეჭამოს მიწამ, არ გავცემ... ამით ამოგვქონდა მიწა. ეს იდგმება ჭის თავზე. დაატრიალებ, დაეხვევა ბაწარი, ამოიტანს მიწით სავსე ვედროს, გოდორს... ორ კაცს ვიხმარდი ხოლმე... დაატრიალებდნენ ჯარას, ამოჰქონდათ მიწა ძლივს. ჭაში მხოლოდ მე ჩავდიოდი, თხრით მე ვთხრიდი, ვჭრიდი მიწას, ვყრიდი ასაზიდარში, დაატრიალებდნენ ჯარას, აჰქონდათ მიწიანი ასაზიდარი. მივდიოდი ქვევით და ქვევით. მივადგებოდი ლიპს, წყალია, ესე იგი. ლიპამდე იყო ხრეში, მერე სველი ხვინჭა, მერე ლიპი, წყალი, რა სიხარული იცის იმ დალოცვილმა!..

— ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენ გახსოვთ ის ადგილი, სადაც ხალხს ხვრეტდნენ?

— რა ადგილი?

— დასახვრეტი ადგილი საღორიის ტყეში...

— მერე რა, რომ მახსოვს... სტალინს გაუმარჯოს... ანდროპოვი იყო კაი კაცი, მარა ჯანმრთელობამ უმტყუნა... მერე წავიდა კიდევ ჩვენი საქმე უკან-უკან... დაღუპვის კარამდე მივიდა ქვეყანა, ანი აღარაფერი გვეშველება... პალუშა, არ სვამ?

— კი, როგორ არა!

— წყალი შეიძლება? ჩამწვა ყელი! — პავლესაკენ შეტრიალდა ერთი თანამშრომელთაგანი.

— რა უნდა? — იკითხა მასპინძელმა.

— წყალიო.

— არაა მაგარი, რად უნდა ამას წყალი!

— ამას არ უნდა, ამას უნდა, მე მოვიტან, შენ არ ადგე. ასე ხომ არ ივლი წალმა-უკულმა!

— წალმა-უკულმა არ დავდიოდი მთელი ცხოვრება... იყავი. მე თვითონ გამოვიტან, თუ რამე მექნა გამოსატანი. — არაყდალეულმაც მძიმე და მყარი ნაბიჯებით გაიარა; თავდახრილმა გაარღვია და გამოარღვია თითქოს ჩირგვები და გრაფინით წყალი მოიტანა.

— ცოტა თბილია.

— ჭიდან არ შეიძლებოდა! — პავლეს მიუხედა სტუმარმა, წყალი ვინც ინატრა.

— რა უნდა? — პავლეს მიაჩერდა მასპინძელი ელამი თვალებით.

— ჭიდანო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, წყალი წყალია, ისე შენი თქმის არ იყოს, ცოტა კი შემთბარა, მზეში გედგა?!

— ჭაში მკვდარი კატა ჩამიგდეს ამას წინეებზე. ინდაური მეგონა და მკვდარი კატა აღმოჩნდა. უნდა ამოვაწმენდინო ვიღაცას, მარა აღარაა ამ ბარობაზე მეჭე. დალიეთ სტალინის სადღეგრძელო?

— სტალინის თუ ანდროპოვის?

— ანდროპოვი ვინ ოხერია. ცოლი არ მომკვდომოდა, კარგი იყო. ასე კი არ დაგიხვდებოდით მაშინ. ეს ეზო მაშვინ ასე კი არ იყო მიჯალახვეტებული. ბალუშა, შენ მაინც დალიე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვსვამ. კარგი ქალი იყო ნამეტანი ამისი ცოლი.

— რა თქვი?

— კარგი ქალი იყო-თქვა ანეტა, ამათ ვეუბნები...

— კარგი.

— ძალიან გამრჯე და სტუმრიანი ქალი იყო, შესანდობარი შესვით მაინც, ეწყინება.

— მე არსად დამიბარონ, იცოდე. რაც გინდათ დაწერეთ, ასე თქვა ერმილემ-თქვა, დაუმატეთ, მხოლოდ არსად დამიბარონ... ვინც დასახვრეტი იყო, დახვრიტეს, დახვრეტენ კიდო...

— ამათ ჭების ამბავი უფრო აინტერესებთ...

— ჭების იყოს, თუ გინდათ...

ამის შემდეგ სუფრა აიშალა და სტუმრები, ერმილეს ჯიუტი პროტესტის მიუხედავად, მოსვლა თქვენი საქმე იყო, წასვლა ჩემიაო, მანქანებში ჩასხდნენ და გაემგზავრნენ იქით, საიდანაც მოვიდნენ. თავდაღმართიდან ჟანგიან ჭიშკარში გაჩერებული დაღონებული ბერიკაცის თეთრი თავი გამოჩნდა. ის საძაგელი არაყი რომ არა, შეიძლებოდა გაჩერება მზის გადახრამდე მაინც.

ჭიდან თურმე დღისითაც კი ცაზე ვარსკვლავები ჩანს. ასე გვაქვს გაგონილი და გადამოწმებული — არა.

ერთ-ერთ სტუმართაგანს უნდოდა ეკითხა, ჭიდან დღისით ჩანს თუ არა მოვარსკვლავებული ცაო. სათქმელი ბოლოსათვის მოიტოვა და გადაავიწყდა. ჩაითქვა, საგანგებოდ ამოვბრუნდებიო. ვერ აისრულა. მას შემდეგ დიდი დროც არ გასულა, მაგრამ იმ სოფელს, იმ სახლს უმეგზუროდ მაინც ვერ მიაგნებს ერთხელ იქ ნამყოფი ადამიანი. გადადებული საქმე კი (ქართველობასაც თუ გავითვალისწინებთ) დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს.

ჭიდან კი ვარსკვლავები მართლა ჩანს დღისითაც.

ის კაცი თუ ხედავდა ვარსკვლავებს?

ხედავდა ალბათ. თუკი ჩანდა, შეხედავდა.

1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერენჯი (ბერო) ბუაძეს ერთ დღეს შაქარი აღმოაჩნდა სისხლში. „შაქარი მაქვს!" — გაიფიქრა მან.

თავატკივებული წავიდა სამსახურში და სახეაწითლებული იჯდა შუადღემდე საერთო კაბინეტში. რა გჭირს შენო, ჰკითხა ვილი ასათიანმა ნაშუადღევს: ავადა ვარო, უთხრა:

— ... ასო გამიმიზეზდა თავდაპირველად...

— ნუ ლაპარაკობ!

— რა გაგიმიზეზდა, ბერო გიორგევიჩ? — შორიდან იკითხა ქალმა პირის პროთეზების წკლაპუნით.

— ისეთი არაფერი... — ხმას დაუწია ბერომ.

— რაღაც გამიმიზეზდაო... — პურის ნაფხვენები გადახვეტა ხელისგულით მაგიდიდან ქალმა.

— ზინა, რა გინდა შენ?!

— შენი კარგად ყოფნა, გიორგევიჩ... — მაწვნის ცარიელი ქილა გაიტანა. ვილი ასათიანიც აღარ დაინტერესებულა ბუაძის ანამნეზით. არაფერი არაა მაგიო, უთხრა, პორტფელი აიღო და „ობიექტზე გავიდა".

ცხელოდა. დღე იყო მტვერისფერი. ალვის ხეებს მტვერი ედო ფოთლებზე. სამსახურის შენობის ბეტონის უსახურ კედლებსაც მტვერი ედო. საერთო კაბინეტში ცხელოდა. მაგრილებელი ზუზუნებდა და არ აგრილებდა.

დღის ბოლოს გამოცხადდა მთვრალი კალკულატორი. ალმური ასდიოდა შიგნიდან და გარედან. სიმთვრალეს მალავდა და ნაძალადევი სერიოზულობა ამჟღავნებდა.

— ... მთავარია ყურადღება არ მიაქციო, გიორგევიჩ!

— რას, თენგიზ?! — გამომცდელად მიაჩერდა ბუაძე.

— დიაბეტს... ვილი შემხვდა და ასო გაუმიზეზდა პირველადო... ქვედა ასო ხომ? ასე იცის მაგ ოხერმა, არცაა ეგ ავადმყოფობა, ჩვენში დარჩეს და... არაფერი არაა, გადაუშენდა მომგონი, მაგან მოკლა დედაჩემი, რომ იცოდე... ახალვე მიდი კვინიხიძესთან, მხოლოდ არაფერი არ დაუჯერო...

— აბა რაზე მივიდე?

— სხვა არაა დიაბეტის სპეციალისტი... მაგია მარტო, მაგან გაასალა საწყალი დედაჩემი... მიდი, დაგინიშნავს დიეტას და შენ არ უნდა დაიცვა... დაიცვა დედაჩემმა და გააცხო სული. სიძემ ჩამოუტანა ამერიკული წამალი, უებარი, უმაღლესი, ასპროცენტიანი, მარა რა გინდა, ცოცხალს ველარ ჩამოუსწრო... დამრჩა წამალი, არც დაემართა ახლობლობაში, ჩემდა ჭირად, დიაბეტი არავის... ახლა იმ წამალს მოგცემ შენ... დალიე, მორჩები, მხოლოდ კვინიხიძეს აჩვენე აუცილებლად, ვერ გაუგებს თავს და ბოლოს...

— აბა რაღაზე ვაჩვენო, თენგიზია?!

— ეგაა მაგის მოხელე, სხვა არაა და...

ამერიკული წამლით მიადგა მეორე დღეს ბერენჯი (ბენო) ბუაძე ექიმ კვინიხიძეს.

ინტერესით აჭრა კვინიხიძემ ანალიზების ქაღალდები და ბრჭყვიალა საწამლე კოლოფი ატრიალა ხელში წაღმა-უკულმა. გახსნა, ნარინჯისფერ აბებს დახედა, დაყნოსა; დიდხანს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ურეზულტატოდ იკითხა წამალს თანდართული ინსტრუქცია. მელოტი კაცი იყო, პირმრგვალი. შუბლზე გრძლად და ღრმად დასჩენოდა ღარები, ხან რომ იკვრებოდა, ხან რომ შორდებოდა ერთმანეთს ლიანდაგებივით.

— გაყავი ორად და მიიღე სამჯერ დღეში... — გაუბედავად თქვა.

— ორად თუ გავყავი სამჯერ როგორ მივიღო?

— რამდენიმეს გაყოფ წინასწარ და მერე გინდა სამჯერ მიიღებ, გინდა ხუთჯერ, ეგ არაა პრობლემა, მაგრამ რაღაი გული არ გიშვრება, ორჯერ ჩაყლაპე, მხოლოდ შუაზე გაყავი, ჩემო ბატონო, და ჭამის წინ დალიე აუცილებლად. — ნათვალე მეინახა, ვიზიტი დამთავრებულად ჩათვალა, შუბლის ხაზებიც დაულაგდა.

ბერო ბუაძე შინ წავიდა. საღამოს დააძრო წამალი, ეს რაღა გასაყოფიაო, გაიფიქრა; როგორც ჩანს, კვინიხიძესთანა დაგლახავებულზეა გაანგარიშებულიო დაასკვნა და ჩაყლაპა ორი მთელი აბი ერთდროულად, მაინცდამაინც ჭამის შემდეგ და არა ჭამის წინ; ნახევარ საათში დაკარგა გონება; ჩავარდა კომაში (ამ სიტყვის მნიშვნელობა გვიან დაადგინა), საიდანაც დიდი მეცადინეობის შედეგად გამოიყვანეს ადგილობრივმა რეანიმატორებმა.

— ჭამის წინ დალიე?! — ეკითხებოდა კვინიხიძე საიქიოდან დაბრუნებულს.

— ჭამის შემდეგ, შევცდი, ექიმო!

— არ გაყავი ხომ ორად?!

— არა, დამავიწყდა.

(ორი აბი თუ ჰქონდა ჩაყლაპული, არ ამხელდა).

— მთლიანად ჩაყლაპე?

— დიახ, პატივცემულო...

— მერე რატომ არ მოკვდი!

არადა, გარკვევით უთხრა მართლაც კვინიხიძემ, გაყავი ორად და დალიე ერთი ნახევარი ჭამის წინო. ავადმყოფმა ბუაძემ ორი მთელი აბი გადაყლაპა ჭამის შემდეგ. ინსტრუქციით (მართალია, უცხო ენაზე, მაგრამ გარკვევით ეწერა პერგამენტის ქაღალდზე) ერთი აბი უნდა გაეყო თურმე არა ორად, არამედ ოთხად და ერთი მეოთხედი უნდა ჩაეყლაპა ორ დღეში ერთხელ ჭამის შემდეგ და არა ჭამის წინ.

ასე იყო თუ ისე, სასიკეთოდ ჩამთავრდა ეს ისტორიაც და ამერიკული წამალი დაუბრუნდა პატრონს, დედა რომ მოუკვდა ბუაძის ავადმყოფობით და კვინიხიძეც, ინკასატორის დედას რომ წამლობდა, შეუდგა მამაპაპურად — დიეტით, ინსულინით, სამამულო პრეპარატებით მკურნალობას, თუმცა ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და პირიქით. შემდეგდროინდელი ანალიზები, ექიმობის მიუხედავად, სასიკეთოს არაფერს ამბობდა, ხშირად ერთურთის, კარგისა და ცუდის, გამომრიცხავ შედეგებს აჩვენებდა.

— ტკბილი ხომ არ გიჭამია? — ეკითხებოდა ჭკუაშერყეული კვინიხიძე, ანალიზის ფურცელს დასჩერებოდა შუბლშეჭმუხნილი, შუბლის ხაზებერთმანეთზე დადებული.

— როგორ გეკადრებათ!

— აბა, რატომაა ასე მკვეთრად აწეული შაქარი?! — საგონებელში იყო ჩავარდნილი. — გაიხსენე, იქნებ ჭამე რამე შაქრიანი?!

— არა, პატივცემულო, მე არ ვიცი რა ვჭამე და რა არა?!.. — დიდი წითური თავი ჰქონდა, ოდნავ გვერდზე გადაგდებული.

— რაშია საქმე! — შუბლს ვერ ხსნიდა კვინიხიძე.

„არაფერი არ იცის მაგ უპატრონომ“, ფიქრობდა შინ მიბრუნებული ბუაძე. „აბა რატომ ვერ მიხვდა, ორი კილო ბალი რომ შევჭამე ამ დილით უზმოზე!“

— აი მესმის!.. — კმაყოფილი დასცქეროდა ანალიზის ქაღალდს მომდევნო დღეს, შუბლის ღარები საკლასო რვეულის ხაზებივით ჰქონდა გაშლილი და გაფერმკრთალებული. — მკაცრ დიეტაზე იჯექი ხომ?

— პირიქით!

— რას ნიშნავს პირიქით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღვინოც ქე დავლიე შაქრიანი, სხვაზე აღარაფერს ვლაპარაკობ...
— მერე დაგიწია ანევის მაგივრად?!
— ასე გამოდის...
— აქ ნორმაზეა ყველაფერი და სვი ეს შაქრიანი ღვინო თუ ასე გიხდება!
„უცნაური ორგანიზმი აქვს, რაღაც ანომალიასთან უნდა გვქონდეს საქმე!" — თავს იმტვრევდა კვინიხიძე.

„არაფერი არ იცის, მაგას გადაუშენდა პატრონი, რა ღვინო, რის ღვინო, წვეთი არ ჩამიშვია პირში... ვერ უნდა მიმხვდარიყო, ერთი კვირის ნამარხულევი რომ ვარ!" — ანგარიშობდა ბუაძე.

და მიდიოდა დრო. ექიმს მკურნალობა, პაციენტს თავის მოვლა უჭირდა. მიუჩვეველს ვერ ეჩვეოდა, მიჩვეულს არ თმობდა. სვამდა, ხალხმრავალ სუფრებზეც თამადობდა ხანდახან და ზეზეულად დნებოდა ვეებერთელა კაცი. სახეაწითლებული დადიოდა, წნევა მერყეობდა და ერთ დღეს სისხლი წასკდა ცხვირიდან: ამან გადაგარჩინა, ამან გადაგატანინა კრიზიო, უხსნიდნენ. ბუაძე იწვა, ინსულტის აშკარა ნიშნებით. ძვირფას სპორტულ პიჟამაში გამოწყობილი წამოწოლილი წამლობდა, კითხულობდა სამედიცინო წიგნებს, სწავლობდა: ნევროპათოლოგიას, დიაბეტს, მათ გამომწვევ მიზეზებს, თავადვე იზომავდა წნევას და ენის მოკიდებით შთაბეჭდილებებს უზიარებდა თავისიანებს.

— როგორ არის ბერო? — ჰკითხეს ბუაძის თანამშრომლებმა პირველი საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმს, უცხოური სვიტერის, ტენისის ბურთების (ანდა რასაც იშოვნიდა და ხელს გააყოლებდა) გამოსატანად რომ ჩავიდა სპორტდარბაზში.

— არა უშავს რა, ცოტა წნევა გლახაობს...

წნევაც „გლახაობდა" და სხვა უბედურებაც ჭირდა, როგორც ჩანდა, ბერო ბუაძეს. ბიულეტენს იგრძელებდა, სამსახურში ვერ ახერხებდა გასვლას. წილს არ კარგავდა, მაგრამ მთავარ საშოვნელში ვერ იდგამდა ფეხს; მის ასაღებს სხვა იღებდა, ამას განიცდიდა, უფრო და უფრო ებმოდა ენა. სამკურნალო ხარჯი ცალკე გადიოდა, თუმც გაღარიბებას ჯერ არ უჩიოდა. ცოლი, თინაია დამწვარს რომ ეძახდნენ, წუწუნებდა მხოლოდ. აღარაფერი გვაქვსო, ამტკიცებდა. ისედაც ქვანვია ნამეტანი მომჭირნე გახდა. ბაზრიდან მომავალს ნაცნობმა ავტობუსში ბილეთი აუღო. გადახდილია, ქალბატონო თინა, თქვენი ბილეთის ფულიო, დაიძახა წინიდან და ჩავიდა. ქალბატონი თინაც წინ გაჩოჩდა, მგზავრებში გაიკვლია გზა ენერგიულად, მძღოლის კაბინას მიადგა, საკუთარი ბილეთი გამოაჩინა, დამიბრუნეთო ითხოვა, ამ ბილეთის საღირალიო. შემხვედრი ტრანსპორტით გაჭედილ გზას მიცეცებულმა შოფერმა ნათქვამი გაიგონა, მაგრამ ვერ გაიგო.

— ნაცნობმა მიყიდა ბილეთი, მე კი ნაყიდი მქონდა...
— მერე რა გინდა?!
— წაიღეთ ეს ბილეთი და დამიბრუნეთ ათი კაპიკი.
— შენ, ქალო, თავი ხომ არ გტკივა! — განერვიულდა დასიცხული მძღოლი, ისე მკვეთრად მოუხვია, ავტობუსი კინაღამ გადააბრუნა. თინამ ტუჩი აიბზუა, მძიმე ხელჩანთა ასწია, მოურიდებლად მისწი-მოსწია მგზავრები და პირველსავე გაჩერებაზე ჩავიდა.

„თინაია დამწვარი!", გაიფიქრა მეზობელმა, ამ სცენას რომ შეასწრო თვალი და თინამ რომ ვერ შენიშნა. „ძაღლი არ ჭამს მაგათ სახლში ფულს!"

ქალაქში, სადაც ბერო ბუაძე ცხოვრობდა, ჩამოვიდა, უფრო სწორად ჩამოიყვანეს, ცნობილი ნევროპათოლოგი უიმედო სნეულის გადასარჩენად. ნაცნობობით, გადარეკვ-გადმორეკვით, იმავ ოჯახში, სადაც დამბლადაცემული კაცი იწვა, მიიღო პროფესორმა რამდენიმე ავადმყოფი და მათ შორის ბერო ბუაძე.

— რას უჩივით თქვენ?

ასე და ასეა ჩემი საქმეო, წვრილად მოუყვა და გრძლად თქვა. სამედიცინო ტერმინების კორიანტელი დააყენა, საკუთარი ავადმყოფობის გამომწვევი და განმაკურნებელი მიზეზების საკუთარი ვერსიებიც წამოაყენა. საკმაოდ დაბნეული, ხაბნში შესული, თავნაპატიები პროფესორი მიხვდა, რომ ეს მაღალი, თავის დროზე ალბათ საკმაოდ ტანსრული კაცი, ექიმი არ იყო.

— ეს ყველაფერი, პატივცემულო ბერენჯი, თუ უკაცრავად არ ვიყო, საიდან იცით?

— თვითგანვითარებით... რუსულ-ქართულად ყველაფერი წავიკითხე ამ ავადმყოფობის გარშემო...

— სწორად მოქცეულხართ... — წნევის აპარატის არტახი დაახვია მკლვაზე, ფონენდოსკოპის ბოლოები გაიკვეხა ყურში. — სწორად მოქცეულხართ, გამართეთ მკლავი... ასე... კარგი გიქნიათ, რომ წაგიკითხავთ ამ ავადმყოფობის გარშემო ყველაფერი, გაცილებით ჯობდა, არ წაგეკითხათ, მაგრამ აწი რაღას ვიზამთ!..

რაღა უნდა ექნათ.

ორნი ისხდნენ სპორტბაზის საერთო კაბინეტში მეორე დღეს. ვილი ასათიანი გასანანილებელი ტელევიზორების სიას აზუსტებდა. წკიპად იჯდა მაგიდასთან, შნოიანად ჩაცმული, ხმელი და დაკუნთული.

— მერე, შენ რა გგონია, ცას გამოეკერები?.. რამდენ ხანს იცოცხლებ კიდევ, თუ იცი!.. ვარჯიში გიშველის?!

ვილი ასათიანმა სათვალე მოიხსნა, მიაჩერდა ბუაძეს. წვრილ კისერზე ედგა დიდი, წითელი თავი, გაფართოებული თვალებით.

— რას მიყურებ... გასწიე-გამოსწიე, ცოტა იქით, ცოტა აქეთ, შენზე არაა ლაპარაკი მარტო, საერთოდ ვლაპარაკობ, მაგრამ შენ იყავი, თუ გინდა, რამდენ ხანს იცოცხლებ ჩემს მერე... ბოლო ხომ ყველასათვის ერთია...

ბოლო ერთი იყო კი.

ღამით არ ეძინა.

ან აქამდე ყოფნას რა აზრი ჰქონდა... ღირდა ეს სიცოცხლე დარდად, წვალებად, შიშად?.. რა ვიშოვე, რა ჯორკიდებულები დავტოვე... რა დამრჩება? ვირის თავფეხი... რას გამაყოლებენ, რას ჩამატანენ სამარეში? ხვიშტს... რა იქნება, მე რომ არ ვიქნები? ყველაფერი იქნება, ჩემს გარდა. მერე რა? დარჩება ჩემი გვარი, ჩემი სამშობლო... გავიგებ რამეს? ვიგრძნობ რამეს? მტერი არ იქნა! გადმოვხედავ ჩემს დანატოვარ ქვეყანას ზევიდან? არ მოგივიდა სიავე! აღარ ვიქნები და აღარაფერი არ იქნება...

და ამის შემდეგ ბერო ბუაძეს ბევრი აღარ უცოცხლია.

შესაფერისი პატივით დაკრძალეს.

დაიტირეს.

გადაუხადეს ნახევრად სამარხვო ქელეხი.

ხორცის გარდა ყველაფერი გამოიმარაგეს გასვენებამდე. ცოლმა თქვა, კეფალიც უნდა ვიშოვოთო.

„აღარაა, საჭირო, თინა, ორნაირი თევზია: ცოცხალი და ბაჟეში ჩაწყობილი, სათალი ცალკეა კიდევ...“

კეფალი უნდა იყოს აუცილებლადო, დაიჟინა.

რამდენიმე მოხალისე წავიდა ფოთში და ხელცარიელი დაბრუნდა.

კეფალი ვერ ეშოვათ.

1991

ჩიმაროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიყის ქვით მოკირწყლულ რომბა ეზოში აკაციის ერთადერთი ხე ხარობდა. ეზოსკენ სწრაფვით აცდენოდა აკაცია სამსართულიან სახლებს და შემდგარიყო, მეტზე ვეღარ მიდიოდა, სარეცხის თოკებგამობმული არსებობდა, გადაღმა ეზოს და ქუჩის სხვა ჯიშის ხეებს უყურებდა უსიხარულოდ. ზედა სართულების ფანჯრის ჩარჩოებზე დამაგრებული გორგოლაჭებიდან მოჩოჩავდა დაჩონჩილი თოკები. სხვადასხვა მხრიდან უახლოვდებოდნენ აკაციას სველი საცვლები, ზეწრები. ეზოში, რიყის ქვის საფარის მიუხედავად, ბავშვები, ხანდახან მოზრდილებიც ნამდვილი ბურთით თამაშობდნენ ფეხბურთს. ეს წინათ იყო. ეზო, ეგ ახლა რა გასაკვირვალია, მობინადრეთა კერძო ავტომანქანებმა დაისაკუთრეს, საბურთაო კი არა, ფეხისჩასადგმელი ალაგი აღარ დატოვეს და მაინც გადარჩა ძველი ფეხსადგილი ხის კიბის ქვეშ, ონკანი აკაციასთან პატარა აუზით და ერთი მოგრძო მაგიდა შეფიცრული მერხებით. მობინადრეები ხანდახან მაგიდაზე თამაშობდნენ ჭადრაკს, ზედ ავტომანქანის ცხვირთან მიირთმევდნენ სანაძლეოზე წაგებულ პურ-მარილს.

შუშაბანდებად გადაკეთებული აივნებიდან ჩამოდიოდნენ კიბეები ეზოში, რომელიც გვირაბივით გასასვლელით, თაღით და რამდენიმე სადარბაზოთი უკავშირდებოდა ქუჩას.

დროთა ვითარების, დროის ცვალებადობასთან ერთად სხვაფერდებოდა ეზოს განაწესი. ეზო მანქანებად აინტერესებდათ მობინადრეებს, მანქანის დარდით იცქირებოდნენ დროდადრო ეზოში, წყდებოდნენ ხოლმე ტელევიზორებს და ხანდახან, ზაფხულის სიცხეში ქვევითაც ჩამოდიოდნენ, როგორც ადრე მიგახვედრეთ.

იმ აგვისტოს უქმე დღესაც გამოვიდნენ. მაგიდასთან დასხდნენ. ფანჯრებიდან გადმოხედეს დანარჩენებმა, ფანჯრებიდანვე მიესალმნენ ერთმანეთს, ნამეტანი ცხელაო, აღნიშნეს, სხვა სათქმელი რომ ვერ იშოვეს.

მაგიდასთან შეკრებილებმა პოლიტიკაზე, ფეხბურთსა და ბაზრის სიძვირეზე ისაუბრეს. მეცნიერული კომუნიზმის ყოფილმა კათედრის გამგემ, თეთრმა, გაპუტკუნებულმა კაცმა, აქ, ამ ალაგას იშვიათი სანახავი რომ იყო, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე სიტყვა არ დაძრა, ფეხბურთში ჩაერთო და საკმაოდ პროგრესული, თანაც პრინციპული დებულებები წამოაყენა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების აუცილებლობაზე. ამან კი ცოტა არ იყოს, დააბნია მისი მსოფლმხედველობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მეზობლები.

ფეხბურთზე, მისაღებ გამოცდებზე, სიძვირეზე, რასაკვირველია, პოლიტიკაზე, როცა მინელდა საუბარი, სასურსათო მაღაზიის გამხდარმა მუშა ალიკამ, სატინის გრძელი, სამუშაო ხალათი რომ ეცვა იქაც, აბა, ვინ იტყვისო, იკითხა, ვინ დაწერა პირველი ოპერაო.

— ფალიაშვილმა! — იმწამსვე უპასუხა ერთმა სულსწრაფმა ახალგაზრდამ, „მალბოროს“ წითელი კოლოფი და იმავე ფირმის გაზის კვესი რომ ედო წინ.

ფეხიფეხზე გადადებულმა გამხდარმა და შავმა ალიკამ, თავი გააქნია, ყოვლის უარმყოფელი უარის ნიშნად და ფილტვებში ჩატენილი ბოლი ამოაფუტა.

— მელიტონ ბალანჩივაძემ, — დააზუსტა სხვამ.

— არა, ტო, ვააბშჩე ვამბობ, საქართველო არაა შუაში...

— მაშინ სხვა საქმეა! — სერიოზულად ჩაფიქრდა სათვალიანი მეზობელი, მეორადი მუსიკალური განათლება რომ ჰქონდა მიღებული.

დაიწყეს:

ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ჰაიდნი, ვერდი, გუნო, გრიგი, მუსორგსკი, ერთმა შალიაპინი დაასახელა. რა გვარიც პირველად მოადგათ ენაზე, ის გვარი თქვეს ცალ-ცალკე და ერთად. მეცნიერული კომუნიზმის ყოფილმა კანდიდატმა გამგემ არ ამოიღო მხოლოდ ხმა. მუსიკასთან მწყრალად იყო, პირველი ოპერის დაწერა, არც მომდევნოსას, არ იცნობდა, ალიკასი არა სწამდა და თავისი დარდი არ ასვენებდა: შვილი უბარებდა სამედიცინო ინსტიტუტში, წერითი ნაშრომის ნიშანს ელოდა საღამოს და გული ეწურებოდა, დრო რომ ნელა მიჩოჩავდა.

არა, არაო, თავს აქნევდა ალიკა კომპოზიტორების ცვენაზე.

— რა უნდა მაგ არგასაზრდელ ალიკას, რას კითხულობს?! — ბოხი ხმით ჩამოსძახა გულის ასთმით დაავადებულმა, სიგარეტის სტაჟიანმა მწეველმა ქალმა მეორე სართულის შუშაბანდის ღია ფანჯრიდან.

— ვინ დაწერა პირველი ოპერა თუ იციოთ...

— ვაი, გადაშენდა მაგისი თავი და ტანი!

— რატო, დეიდა ფატი!

— აბა, რა იცი შენ ვინ დაწერა პირველი ოპერა?!

— რომ არ ვიცოდე, ხომ არ ვიკითხავდი, დეიდა ფატი.

— არ იკითხავდი არა, შენმა თავის გახეთქვამ! — ქალმა სიგარეტი დააძრო, საუბარში აღარ გარეულა, პირველი ოპერის ავტორის ვინაობითაც აღარ დაინტერესებულა.

პუჩინი, როსინი, ლეონკავალო,

— ჩიმაროზა! — წამოიძახა ვიღაცამ. ამაზე სიცილი ატყდა, მოგონილი გვარი ეგონათ.

— ექვს ბოთლ ღვინოს ვყიდულობ თუ ამოიცნობთ, ჩიმაროზა არა, ტო, რა შუაშია ჩიმაროზა!..

ღვინის ბოთლებით გაძეძგილ სამ ყუთს შემოიდებდა წელზე, მანქანას რომ ცლიდა მაღაზიასთან. ქვედა ყუთს ძროში ჰკიდებდა მარჯვენა ხელს, ზედა ყუთს მარცხენათი იმაგრებდა და წელით და გავით შეჰქონდა ღვინით სავსე ბოთლები შენობაში, რიჯგვინით ყრიდა კუთხეში, ბოთლი არ ტყდებოდა, ყუთი ყუთს არ შორდებოდა: ეგ იყო ალიკა, მაღაზიის შემტანი.

— რა მოიგონა, ამ ჩემის კომპოზიტორმა! — შუბლი შეიჭმუხნა ერთმა ნაციხარმა ეზოში და უბანში ძველ ბიჭად ცნობილმა სლავამ და მუსიკის მასწავლებელი ვარვარა იაკობოვნაც გამოვიდა სახლიდან. ხის კიბეზე ქუსლების კაკუნი შეანელა და შედგა, ამ კრებას არ ელოდა, ეზოდანაც იშვიათად გადიოდა ხოლმე.

— ვარვარა იაკობოვნა, ერთი წუთით... ვარვარა იაკობოვნა, ვინ დაწერა პირველი ოპერა? — დაიძახა ქუსლჩათელილ ბოტასებში ფეხგარგულმა ტანსრულმა ახალგაზრდამ, ვარვარა იაკობოვნასთან სხვაზე მეტად გაშინაურებულმა.

— პირველი ოპერა?.. — ნოტები ჰქონდა მაღალ მკერდზე მიხუტებული. ტექნიკუმში მიიჩქაროდა მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად და საპროტექციოდ ხომ არ გამაჩერესო, იფიქრა თავდაპირველად, — ვის აინტერესებს?

— ალიკას.

მკაცრ სახეზე გადაურბინა ღიმილმა, მკერდი არ გარხევია მხოლოდ.

— ტებე ტოჟე, სლავიკ?

— ი მნე ტოჟე, ისე რა! — შერცხვა სლავას.

ქალმა ქართული იცოდა, რუსულად ლაპარაკობდა და თავს ებრაელად, როცა ეგ საჭირო იყო, ასაღებდა. მამა ჰყავდა სომეხი, სახელად აკოფი და არა იაკობი, დედა საეჭვო ქართველი და ქმარყოფილი — ბერძენი. მკერდსავსე და

ბეჭფართო ქვევით, ქვევით წვრილდებოდა, მაღალი ფეხებიც კი კოჭებთან ორ ლარადღა უთხელდებოდა. ბევრს მოსწონდა, ზოგიერთს თვალიც კი რჩებოდა და ვარვარაც არ უჩიოდა საკუთარ აღნაგობას, მჭიდროდ იკრავდა პატარა ზურგ-მის ლიფით მკერდს, ძუძუები უფუვდებოდა გულისპირთან. უხერხულობას არ გრძნობდა ამის გამო, მაგრამ ზოგიერთ თაყვანისმცემლისა თუ ახუნტრუცებული მამაკაცის გემოვნებისაც არ სჯეროდა. მისი ღირსებაც ეგ იყო და უბედურებაც.

— პირველი ოპერა როგორ გითხრა, ალიკ, შენ რა გულისხმობ პირველ ოპერაში?

— პირველს რა...

— ჩიმაროზაო, ამან თქვა!

— რა შუაშია ჩიმაროზა?!

— არა, ტო, ჩიმაროზა არა!

— ნაძლევი გვაქვს, ვარვარა იაკობოვნა, პურ-მარილის ამბავია, წააგებს ალიკა კისრულობს, მოიგებს — ალიკა...

— რა კარგია!.. ალიკ, მომილოცავს! რაც შეეხება ოპერას, ეგრე არ არის, როგორც თქვენ აყენებთ საკითხს, კაკ ვი რასუჟდაიტე, ტაკ ნელზია... კი არ ადგნენ და პირდაპირ კი არ დაწერეს ოპერა... თანდათანობით იქმნებოდა, იხვეწებოდა ოპერის ფორმები, ტაკ შტო, ალიკ, ნე პრავ ვ სამომ პასტანოვკე ვაპროსა...

ალიკამ ამოიოხრა, ფეხზე გადადებული ფეხი შეათამაშა და ძირს დაიხედა. ვარვარა იაკოვლევნა თუ აკოფოვნა მიხვდა, მისმა პასუხმა დამსწრე და მონაწილე საზოგადოების ცნობისმოყვარეობა რომ ვერ დააკმაყოფილა, მეტიც, მსმენელი, ფანჯრებიდან მაცქერალთა ჩათვლით, ალიკას სასარგებლოდ შეაფიქრიანა. ამაზე აღარ უდარდია, ეჩქარებოდა და წავიდა, ფეხსაცმლის ქუსლების კაკუნით, სუნამოს მძლავრი სურნელის ფრქვევით გავიდა ეზოდან.

— თქვი, შე ჩემისა (შეგინება უნდოდა ნაციხარს), მე გიყიდი ექვს ბოთლს, რას დაგვაწამალე ამ სიცხეში...

— ექვს ბოთლზე არაა საქმე...

— აბა რაშია?

— ინტერესში რა...

— ალიკ, ვინ დაწერა პირველი ოპერა?

— კანეჩნა ანგლიამ!

-ვახ შენი! — დააფურთხა მეცნიერული კომუნიზმის წარმომადგენელმა, წამოდგა, წელსაც თუ ვერ მოვეწყვეთ, თავი გვექნება მოსაკლავიო, გაიფიქრა და სადარბაზოში გავიდა. სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ. ექვსი ბოთლიც აღარავის გახსენებია. ღვინიანი ბოთლებით გაძეძგილი ყუთების თრევით წელატკივებული ალიკა მარტო დარჩა. მესამე სართულის ერთ-ერთი ფანჯრის ჩარჩოს ჭოჭონაქი აჭრიალდა, საღამოს სარეცხი გამოჩნდა. ნიფხავი წამოვიდა წინ, თეთრი ზეწრებიც გამოცურდნენ შემდეგ და აკაციის მარტოხისაკენ წავიდნენ.

1990

სიუზანა მაკდონალდი

ქ. ქუთაისის საოპერო თეატრში გაიმართა ამერიკელი პიანისტი ქალის სიუზანა მაკდონალდის ორი საფორტეპიანო კონცერტი. დაუკრა: ბახის, შუბერტის, ბუმანის, დებიუსის და პროკოფიევის ნაწარმოებები.

საზოგადოებამ მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე სახელდახელოდ გამოკრული აფიშებით შეიტყო კონცერტის ამბავი. თავად პიანისტი კი წინადღით ჩამოფრინდა კოპიტნარში (შეერთებული შტატები — მოსკოვი — კოპიტნარი) და თანმხლებ ქალთან (მეგობარი იყო თუ მოახლე ვერავინ გაარკვია) და მრავალრიცხოვან დამხვდურთან ერთად მოადგა ქალაქის სასტუმროს.

ჩამოვიდა ამერიკელი მუსიკოსი.

ქალაქი უჩვეულო მოვლენის მოწმე უნდა გამხდარიყო, მაგრამ მუსიკალური საზოგადოება, ფეხის ხმის ამყოლი მოქალაქენიც ერთგვარი მთვლემარებით შეხვდნენ ამ ფაქტს, თუმც საოპერო თეატრის დარბაზი პირველ კონცერტზე, მეორეზეც, მთლიანად გაივსო. პიანისტი მოწვეული იყო საქართველოს ფილარმონიის მიერ და კონცერტები იმართებოდა მაინცადამაინც ქუთაისში; ამერიკიდან ჩამოსული პერსონა ამერიკაშივე ბრუნდებოდა თბილისის (უკვე კერძო პირის სტატუსით) გავლით. ორი კონცერტი მხოლოდ ქუთაისს. გაუგებარი იყო, რით დაიმსახურა ეგ პატივი ამდაგვარი სიურპრიზებით გაუნებივრებელმა ქალაქმა. ზოგიერთმა იჭვით და უნდობლობით მიაქცია ამას ყურადღება, ბევრმა შემთხვევითობას მიაწერა ყველაფერი. ხდებაო, თქვეს, ფაქტი მაინც ძნელად და მცდარად ახსნეს.

არადა, გათამაშდა მარტივი კომბინაცია, რომლითაც კულისებს ამოფარებული გმირების გარდა, არავინ დაინტერესებულა; გარიგება მოხდა მოსკოვში, ამერიკელი მიკრომილიონერის მეუღლის, სიუზანა მაკდონალდის დაუსწრებლად და შეუთანხმებლად. სიუზანას მილიონერი ქმარი (შეიძლება მისი ფინანსური რეიტინგი გაზვიადებული იყო) საშობაო საჩუქარივით უწყობდა დიდგვაროვანი, ბრიტანული წარმომავლობის ცოლს ამდაგვარ გასტროლებს, მაგრამ იმჟამად იმ კაცს არ გამოუჩენია ინიციატივა. დაინტერესებული პირი, ვთქვათ, კლარა მახათაძე, საქართველოდან მოქმედებდა. საქართველოში მოწვეული სიუზანა მაკდონალდი შესაშური მიღებისა და პატივისცემის შემდეგ, რაშიც მოსკოვს ეჭვი არ ეპარებოდა, მასპინძლის (კლარა მახათაძის) ოჯახს, უფრო სწორად, მახათაძეების მუსიკოს შვილს გამოუგზავნიდა (დასაძრახისს ამაში ვერაფერს ვხედავთ) ვიზას და ჩვენი (სიუზანაზე უკეთესი და მეტი არა) პიანისტი სამაგიერო გასტროლს გამართავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეგრე იყო ჩაფიქრებული და ეგრეც გამოვიდა, მაგრამ ამაზე (რამდენიმე ხლართია კიდევ გასახსნელი) სიტყვას აღარ დავასველებთ. მკითხველისათვის ეგ არც კი უნდა იყოს საინტერესო.

კონცერტები, უნდა ითქვას, თავდაპირველად დაიგეგმა თბილისში, მაგრამ მოსალოდნელი სკანდალის გამო (ისევ „მოსკონცერტის" რეკომენდაციით) გადატანილ იქნა პერიფერიაში, უფრო კონკრეტულად, პროვინციაში, ბუს რომ დიდი თავი ჰქონდა იმ პრინციპით, ზედმეტი რეკლამისა და წინასწარი აჟიოტაჟის გარეშე.

ცხელი ქარ-ნიავი ტრიალებდა აეროდრომზე. სულს ძლივს ითქვამდნენ ჩრდილშიც კი დამხვდურები. სამზერიდან შორს, მწვანეზე გაჩერებული თეთრი თვითმფრინავი ჩანდა. რიგრიგობით, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოლაგდნენ პატარ-პატარა (შორიდან ასე ჩანდა) მგზავრები და დიდი, თეთრი თვითმფრინავის ჩრდილში შეგროვდნენ, დაელოდნენ ერთმანეთს, შემდეგ ჯოგად და გაჩქარებით წამოვიდნენ. ამერიკელი სტუ-

მარი, კინაღამ ერთი თავით რომ აცდენოდა დანარჩენებს, შორიდანვე ამოიცნეს, ჩამოსულაო, გაეხარდათ და სიხარული გაოცებით შეეცვალათ სულ მალე. სიუზანა მაკდონალდს ბეწვის ქურქი ეცვა. წინადღით ნამთვრალებ, პირგამომშრალ მუსიკანტ-ბენ მინისტრატორს, ცივ ლუდს რომ ნატრობდა დილიდან, გული კინაღამ წაუგდა ამ დანახვაზე. მსუქან, სახედაჭორფლილ, სათვალიან ქალსაც, სიუზანას რომ მოჰყვებოდა, დაბამბული შარვალი ეცვა, მაგრამ მხრებმოშიშვლებული მოდიოდა და ზედა მოსაცმელი მკლავზე ჰქონდა გადაფენილი. სიუზანას კი, როგორც გითხარით, ეცვა შავად დახალული, თეთრი ბეწვის ქურქი.

— ასე ცხელა სულ თქვენთან? — იკითხა სიუზანამ, როცა დამხვდურებმა სათითოოდ, ღირსეული მდუმარებით ჩამოართვეს ხელი.

— აინტერესებს, ასე ცხელა თუ არა აქ ყოველთვის? — გადმოაქართულა ენაჩლიფინა თარჯიმანმა და ისე დაელოდა პასუხს, თითქოს საქართველოში არ იყო თავადაც ნამყოფი.

— ცხელა კი აგვისტოში, ზამთარში ცივა კიდეც, გვაქვს შემთხვევები... — განმარტა ადმინისტრატორმა.

ზაფხულში ცხელა და ზამთარში ცივაო, მოკლედ გადათარგმნა თარჯიმანმა.

— უთხარით, გაიხადოს, გადავირიე კაცი! — თქვა ადმინისტრატორმა და სტუმარს მიაჩერდა ღიმილით, თითქოს ისევ ტემპერატურის ცვალებადობაზე ლაპარაკობდა.

— შეიძლება არა?! — მიხვდა რა თქვა მელოტმა, მზერაგაქცეულმა საკმაოდ სიმპათიურმა კაცმა და ძვირფასი ბეწვის ქურქი ჩამოუცურდა თეთრ მკლავებზე, სიფრიფანა ზედანელში დარჩა, მარგალიტის ყელსაბამმა და ბრჭყვიალა, როგორც შემდეგ გაარკვიეს, იაფფასიანმა საყურეებმა გაუნათა მოღიმარი სახე. ჩემი კომპანიონიაო, თქვა თანმხლებ ქალზე, ქურქი რომ გადააწოდა, ღია მწვანე თვალებით მოათვალიერა იქაურობა, მზეს მოარიდა სახე მზეთუნახავივით. რატომ ეცვა ბეწვის ქურქი ამ მშვენიერ ქალს აგვისტოში, სად ეგონა, რომ მოდიოდა, გაუგებარი დარჩა.

სწრაფად მიიარ-მოიარა სასტუმროს სამოთახიანი ნომერი, როცა დიდი ჩემოდნები შემოულაგეს ჰოლში. შეამოწმა აბაზანა, ტუალეტი და ჩაფიქრდა. უთხარი მაგათო, მიმართა თარჯიმანს, თუ შეიძლება უფრო ძვირადღირებულ სასტუმროში გადამიყვანონო. დამხვდურმა და ფაქტობრივმა მასპინძელმა კლარა მახათაძემ (გვარსახელი, ხვდებით, შეცვლილია), შვილის ამერიკაში გადასროლას რომ აპირებდა, უაზროდ გაიღიმა. ადგილობრივი დეპუტაციის წარმომადგენლებმა კი ერთმანეთს გადაულაპარაკ-გადმოულაპარაკეს და თქვეს: ამაზე ძვირფასი სასტუმრო ქალაქში არა გვაქვს და ძვირიც ეს არის და იაფიც, რადგან საპატიო სტუმარი უფასოდ იცხოვრებსო. ამ განცხადებამ „საპატიო სტუმარი" საგონებელში ჩააგდო. წესი აქვთ აქ ამნაირიო, დაუმატა თარჯიმანმა შეფიქრიანებული სტუმრის დანახვაზე და მასპინძლებს, სიუზანას ენა რომ არ ესმოდათ, გადახედა, ხომ კარგად მივუგეო. ეს უცნაური წესი სხვებზეც ვრცელდებოდა თუ არა, აინტერესებდა სიუზანას, მაგრამ აღარაფერს ამბობდა, მარტო აპირებდა დარჩენას და დამხვდურების გასვლას ელოდა.

სამთავრობო ლუქსი დაგვიწუნა, თეატრზე რაღას იტყვისო, შეფიქრიანდნენ მასპინძლები, მაგრამ სიუზანას თეატრი მოეწონა; მართალია, სცენა ცარიელ საწყობს მიამსგავსა, დარბაზი თავლას, სუნზე მიხვდა, სად უნდა ყოფილიყო ფეხსადგილი, მაგრამ თეატრი განგებ გაღარიბებული ეგონა და არქიტექტურულმა სისადავემ, რაც მის გამოსვლას მღელვარებას ჩამოაკლებდა, დაამშვიდა. გამოეთხოვა საოპერო ხელოვნების მესვეურთ და ფეხით გამობრუნდა სასტუმროსაკენ. კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა ამჯერზე. სასტუმროს რომ დაუახლოვდა, კისრები დაეღრიცათ გამვლელებს, სასტუმროს შენობის სვეტებთან დაბანაკებულ უპერსპექტივო მოდარაჯეებს.

— ვინაა, ბიჭო, ეს ქალი, ცოტა ხნის წინ აქედან იქით წავიდა, ახლა იქიდან აქეთ მოდის! — იკითხა ერთმა გაღაჟღაჟებულმა, უკისრო კაცმა.

სასტუმროს რესტორანში ასაუზმეს. ბევრი საჭმელი მოიტანეს და დატოვეს სუფრაზე, სუფრიდან აიყვანეს ბაგრატის ტაძარზე, სადაც საგანგებოდ გამოძახებულმა გიდმა წაიკითხა ტაძრისა და სუვერენული სახელმწიფოს ისტორია. სიუზანამ თარჯიმანს ჰკითხა, ერთი ამიხსენით, რატომ არ გვახდევინებენ საჭმელსა და სასტუმროში ფულს, წინასწარ შეთანხმებაში რატომ არაფერი არაა ამის შესახებ ნათქვამიო. წესია ჩვენთან ასეთიო, გაუმეორა თარჯიმანმა. სიუზანა ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა და შეუმჩნევლად დაამთქნარა, პირზე აიფარა წამსვე ხელი და გაიცინა ბოდიშის ნიშნად, ვახშამზე კი გაუგებარი სადღეგრძელოები რომ გაიწელა, ძილი მოერია.

კონცერტმა უსიხარულოდ ჩაიარა მეორე დღეს. მეორე განყოფილებაში მუსიკალური სკოლებისა და ტექნიკუმების მასწავლებლებმა ოხვრა დაიწყეს, ამას რიგითმა მაყურებელმაც მიაქცია ყურადღება, თუმც ჩოჩქოლი არ ამტყდარა, წესრიგი არ დარღვეულა. სიუზანა ხშირად ჭმუხნიდა წარბებს, შეწუხებული, ხანდახან სასონარკვეთილიც ჩანდა; ალაგ ეშლებოდა, ალაგ ავიწყდებოდა აშკარად. კონცერტის შემდეგ გამართულ ვახშამზე შეფიქრიანებული ჩანდა, არ იღებდა ხმას, სხვისიც არ ეყურებოდა. მოულოდნელად, ჩვენი სუფრის განაწესის მიხედვით, უნებართვოდ ადგა და წავიდა. დარჩენილებმა, სტუმრის წასვლის შემდეგ რომ მოილხინეს, უტაქტობა გადაღლას, ნერვიულ დაძაბულობას გადააბრალეს, რაც სიმართლისაგან არ იყო შორს.

მეორე დღეს ხალისიანი, სულ სხვანაირად ჩაცმული, სახეაფერადებული გამოეცხადა მზიან ქალაქს, გამვლელ-გამომვლელის მზერა გაიყოლა კვლავინდებურად. დღესო, დააგზაკვალიანეს, ვნახავთ სამონასტრო კომპლექსს ქალაქგარეთ და რამდენიმე კარსტულ გამოქვაბულს, ასევე ქალაქგარეთ ერთდროულადო. სიუზანამ გაიცინა, ახალმოვლენილ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელივით გამოწყობილ გიდს (ადგილობრივი დეპუტატი გიდი ეგონა) დააკვირდა, მისი ენერგიული და თავდაჯერებული ლაპარაკი მოეწონა. სასტუმროს ღირებულება და ფული არ უხსენებია, მაგრამ რატომ მიწყობთ ამნაირ შეხვედრასო, დაინტერესდა. წესია ასეთიო, ადრინდელივით უპასუხეს, სტუმართმოყვარე ერი ვართ ჩვენო, დაუმატა „გიდმა“ (ადგილობრივმა დეპუტატმა). „კომპანიონმა“ ქალმა, საუბარში რომ არ ერთვებოდა არასოდეს, ამ სიტყვებზე ჭორფლიანი ნაოჭები შეყარა უპეებთან, რაზე მოიყვანა გული ვერ გაიგეს.

მეორე კონცერტი პირველზე უღიმღამოდ ჩათავდა და მეორე ვახშამიც დროზე ადრე მიატოვა სიუზანამ, სადღეგრძელოების ჩამოცლას აღარ დაელოდა.

მესამე დღეს ასაფრენად ჩაცმული გამოჩნდა, უგუნებობა აღარ ეტყობოდა, მწვანე თვალები უცინოდა, სახეც ჰქონდა გაცისკროვნებული. რა ვქნათ, დღეს რა ვუყოთო, გაიმართა ხანმოკლე თათბირი, გადახედეს ტრადიციულ პროგრამებს და წაიყვანეს ვანში, ვანის ნაქალაქარზე. პროფესორი ლორთქიფანიძე არ დაუხვდათ და ახსნა-განმარტება ითავა ადგილობრივმა მღვდელმა, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა იქ და ინგლისურის მასწავლებელმა — დოცენტმა ქალმა, ბოლო დღეს რომ მიუერთდა ექსპედიციას. მღვდელი ძველქართულით, დოცენტი ახალი ინგლისურით შეუდგნენ ნატვირთი მოვალეობის აღსრულებას. გრამატიკითა და წიგნებით ნასწავლი ინგლისურით გააოცა დოცენტმა ქალმა გარეშემო მყოფნი, მხოლოდ ამერიკელებს ვერ გააგებინა ვერაფერი. სიუზანა ვერ არკვევდა, რა ენაზე ელაპარაკებოდა ინგლისურის დოცენტი, მაგრამ ნათქვამს გუმანით ხვდებოდა, ზოგადი აზრი გამოჰქონდა რამდენიმე წინადადებიდან. მღვდელი ლაპარაკობდა არგონავტებზე, მედეაზე, აიეტზე, კოლხურ-ბერძნულ კულტურაზე მღვდლურად.

— არ აინტერესებს, მამაო, არ აინტერესებს, მამაო... — ღიღინებდა მუსიკათ-ადმინისტრატორი, მაგრამ მღვდელს აღარაფერი ეყურებოდა.

სიუზანას „კომპანიონი", მსუქანი, ჭორფლიანი ქალი, თვითმფრინავიდან ჩამოსულ ყოლილი, თბილი შარვალი რომ ეცვა, ჩვეულებრივ ქვებს ათვალიერებდა ინტერესით; რიყის ქვებს, სხვაგანაც რომ ბევრი ეყარა, აკვირდებოდა, მუდამ წახრილს დიდი უკანალი ჰქონდა მიშვერილი, საზოგადოებისაკენ, ქვებს სინჯავდა ხელით და ფრთხილად დებდა შემაღლებულ ალაგას.

ELIBRARY.GEO

დავიღალეო, თქვა სახეაწითლებულმა, ოდნავ ფეხაკოჭლებულმა სიუზანამ და შეჩერდა, მეტზე ველარ წამოვალო, განაცხადა. იქაურმა გოგონამ (პროგრამით იყო ისიც გათვალისწინებული) ახალი დაკრეფილი ლეღვი მოიტანა. დაბრჭყალული ლეღვები კოხტად ეწყო კვახის ფოთოლჩაფენილ პატარა კალათში. სიუზანამ ცისფერთვალა გოგონას გადაუსვა თავზე ხელი და ერთი ლეღვი შეჭამა. მანქანებიც მოაყენეს გალავანთან. აიშალნენ, მიატოვეს პირზე სიტყვაშემშრალი, დაღონებული მღვდელი, მანქანებში ჩასხდნენ და გადავიდნენ სხვა რაიონში, სადაც შემოუერთდათ ადგილობრივი პრეფექტი ასაბიით. დოცენტმა ქალმა უთხრა სიუზანას, ახლა ჩვენ შევივლით სახლ-მუზეუმში, სადაც ქართველი სერვანტესი დაიბადაო. სერვანტესი რამდენჯერმე გაიმეორა და თავზარი დაეცა, როცა მიხვდა, რომ ეს გვარი სიუზანას პირველად ესმოდა. დონ კიხოტი არ გაუგონია? მიუბრუნდა თარჯიმანს თავის ლინგვისტურ შესაძლებლობებში უკვე გვარიანად შეეჭვებული. სიუზანას დონ კიხოტი გაგონილი ჰქონდა და მრავალჯერ ენახა მინკუსის ბალეტად, სერვანტესი არ იცოდა. ამ ლაპარაკში მანქანების კორტეჟი ასცდა ქართველი სერვანტესის სახლისაკენ მიმავალ გზაშარას და ღია ჭიშკრით შეგრიალდა რესტორნის ეზოში. საღამოს ბანკეტია ქუთაისშიო, აუხსნეს პრეფექტს.

— საღამომდე რა გააძლებინებს, კლავთ მშიერს?! — გაუკვირდა პრეფექტს და კიბეზე გამოგებებულ სქელ ახალგაზრდას შინაურულად, სტუმრების დასანახავად, აგდებულად ჰკითხა:

— რა გაქვთ, ბიჭო?!

— ყველაფერი.

კარგია, როცა ყველაფერი გაქვს, რაც მთავარია, სტუმართან არ შერცხვები.

დაყარეს ყველაფერი სუფრაზე. თქვეს წინა დღით ნათქვამი ყველა სადღეგრძელო. ახლა ეს მიირთვი, ახლა ეს გადაიღეო, შეუძახეს სიუზანას აქეთ-იქიდან.

თამადა-პრეფექტი თანდათან შედიოდა ეშხში, თავისივე მჭევრმეტყველებით ტკბებოდა და სიუზანას მისამართით ნატყორცნი ქათინაურების სიტყვასიტყვით თარგმნას მოითხოვდა. მონდომებით უთარგმნიდნენ, მაგრამ სიუზანას არ უხაროდა, პირიქით, თანდათან უნაღვლიანდებოდა სახე, რაღაც აწუხებდა აშკარად. თარჯიმანს სთხოვა გამომყევიო, ცოტა ხნის შემდეგ. ადგნენ, გავიდნენ და მალევე შემობრუნდნენ. რა მოხდაო, ცნობისმოყვარე მზერით მიაჩერდნენ თარჯიმანს.

— არ შევიდა არაფრით საჭირო ოთახში... — ხმადაბლა თქვა თარჯიმანმა და სტუმარი რომ არ მიმხვდარიყო რაზე იყო ლაპარაკი, ტუალეტი არ ახსენა. — აქ ვერ შევალო, ცუდად გახდა იქაურობის დანახვაზე.

— არა უშავს! — წამოიძახა თამადამ და ხმამაღლა გაიცინა.

„რა გაეხარდა?" გაიფიქრა დაბნეულმა, გვარიანად გადაღლილმა თარჯიმანმა.

სტუმარი ისევ წუხდა. არ იმჩნევდა და ემჩნეოდა.

— რა ვუყოთ ახლა ამას! — შეფიქრიანდა, როგორც იქნა, პრეფექტი.

— რაცხა მოიფიქრე შენებურად! — შეუძახა შეთამამებულმა თანამშრომელმა.

— ჩაისვი მაშინ მანქანაში და შეიყვანე მანაგაძის კაბინეტში, რა ხანია ფეხი არ დაუდგამს არავის იქ.

— იმ სიშორეს წავიყვანო, კაკიევიჩ? — გაკვირდა რაიკომის ყოფილი ინსტრუქტორი, იმჟამად საკრებულოს წევრი — ბიძინა.

— იმ სიშორეს კი!

მანქანაში მოთავსდნენ: სიუზანა, სიუზანას „კომპანიონი" თარჯიმანი და ბიძინა, — ყოფილი ინსტრუქტორი. ნახევარი საათის შემდეგ მიადგნენ რაიკომის შენობას. ბიძინას დანახვაზე ყარაულმა, კარგა ხნის შემდეგ რომ გამოძვრა საიდანღაც, იჭვიანი მზერით გააღო შუშის მძიმე კარი.

— პორფილიჩის კაბინეტის გასაღები მომეცი!

— კი ბატონო, — უპასუხა და ვერაფრით ვერ გაიგო, რატომ შეჰყავდა ბიძინას მანაგაძის გაუქმებულ კაბინეტში უცხო ქალები; სამი ქალი რატომ ახლდა ერთს და ერთი რატომ მიუძღოდა სამს?

— ფეხსადგილი უნდათ, — მიუხვდა, რასაც ფიქრობდა. — წყალი ხომაა?!

— უნდა იყოს, ბენოვიჩ.

— ვის ოჯახში ვიყავით? — იკითხა რაიკომიდან გამოსულმა შვებანაქნარმა სიუზანამ, მანქანაში რომ ჩაჯდა. რაიკომი იყოო, ერთაზროვნად აუხსნა თარჯიმანმა. სიუზანამ რაიკომი არ იცოდა, სხვა რამეზე ფიქრობდა და ბედსვეს დამორჩილებული მიექანებოდა სუფრისაკენ. სუფრა კი გადახალისებული დაუხვდა. სიურპრიზმა გუნება გამოუკეთა ცოტა ხნით. ხილი, შამპანური და შემწვარი კვახის კაკალი გამოეწყოთ. წერეთლის მწვადიაო, აუხსნეს. წერეთლის მწვადი სხვაზე მეტად მოეწონა, მაგრამ დასვენება ინატრა. მართალს ამბობს, ჯობია ავიშალოთ, ხვალ თბილისში მივემგზავრებით, თანაც ქუთაისში დიდი ბანკეტი გველოდებაო, შენიშნა ჭამით მუცელატკივებულმა, მდიდრულად, მაგრამ გემოვნებით ჩაცმულმა კლარამ, ვისაც სიუზანას თბილისში ჩაყვანა და ადრე ჩაფიქრებული კომბინაციის განხორციელება ევალებოდა. საყურეების რხევით წამოიმართა, სუფრის წევრებს გადაავლო ღიმილით თვალი. რამდენიმე აუცილებელი სადღეგრძელო დამრჩა, ბანკეტი მოიცდისო, შეაჩერა თამადამ.

— დაბრძანდით, ქალბატონო კლარა, ძალიან გთხოვთ!

ბანკეტის ხსენებაზე დაკარგა ფერი სიუზანამ. მე ვერ დავესწრები ბანკეტსო, განაცხადა. არ შეიძლებაო, დაარწმუნეს, ქალაქის ნაღები საზოგადოება გელოდებათო.

— ერთი საღამოც და მორჩა... — შინაურულად უთხრა თარჯიმანმა.

თბილისი?

თბილისი რით იყო ქუთაისზე ნაკლები? უკეთესს თუ არა, უარეს პატივს არ მიაგებდნენ საპატიო სტუმარს.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო!

სიუზანამ იფიქრა, იფიქრა და თარჯიმანს უთხრა:

— ხომ არ იცით, რა უნდათ ჩემგან?

გამხდარ, გადაღლილ თარჯიმანს მიიჩნევდა ყველაზე ახლობლად.

— ტირის! — მიხვდა სუფრის ერთ-ერთი რიგითი წევრი.

არ ტიროდა. ღია მწვანედ გაკრიალებული თვალებიდან ბატისტის ცხვირსახოცით იმშრალებდა ცრემლს. მლაშე წვეთები არ უნდოდა დარჩენოდა უპეებზე.

რა გატირებდა, სიუზანა!

ჩვენი წესები არ იცოდი!

სიუზანა, სიუზანა!..

1991

დენი

ელექტროდენი გამოირთო ბოკვერაძეების უბანში. ატეხეს ყაყანი და რეკვა ბოკვერაძეებმა პრეფექტურაში — შუქი აღარა გვაქვსო; აღარცა შუქი, აღარცა გათბობა. მოპარული, აღურიცხველი ელექტრონით თბებოდნენ და დარჩნენ ახალი გაზაფხულის წვიმიან-ნესტიან დღეებში უდენოდ, უტელევიზოროდ. ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფოდა ვითომო (აღდგომა მოახლოებული იყო), წინწილა გოჭის ფასი გახდა, გოჭი ცხვრისაო და ასე შემდეგ. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა კი მეურნეობის მოშლისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის დემონტაჟის შედეგი კი არა, როგორც ბოკვერაძეებს მოეჩვენათ, საკაბელო სისტემის მექანიკური დაზიანების ბრალი აღმოჩნდა. საკანალიზაციო სამსახურის მუშაკებმა ცოტა ხნით ადრე მათდამი დაქვემდებარებული საკანალიზაციო კვანძის აღდგენისას დააზიანეს ელგაყვანილობა: ერთი გააკეთეს და მეორე წაახდინეს, როგორც მოსალოდნელი იყო. რეკვის, ჩივილის, დამისამართებული მუქარის შემდეგ, შეამოწმეს ეჭვმიტანილი ჭა და ჭიდან ჭამდე გაჭრეს ბულდოზერით თხრილი. გაოცებული მობინადრეების თვალწინ წყობიდან და მოდიდან გასული ხელსაწყოთი დააფიქსირეს დაზიანება. გამოსაცვლელი აღმოჩნდა კაბელის რომელიღაც წვერი. ამას სჭირდებოდა მოხელე და ახალი კაბელიც, რომელიც ბოლო-ბოლო მოათრიეს საიდანღაც.

და მოვიდა მონტიორიც, გვარად ტურაბელიძე. ამასობაში დაღამდა. გადაკეტეს სამანქანო გზა, დადგეს, ზევით-ქვევით, ამკრძალავი ნიშნები და ტურაბელიძე, გინებით რომ ჩავიდა თხრილში, კარგა ხანი უკან აღარ ამობრუნებულა. წამოვიდა თქორწვიმა.

მე ჩემი იღბალი რა ვთქვიო, ტურაბელიძე ბურდღუნებდა.

— დამთავრდა სამუშაო, წადი რა სახლში, შე ჩემისა, შევრჩი დომინოს და არ შემომტენეს, ბავშვის დაბადების დღე ჰქონდა თანაც ჯემალიას და იქ არ წავედი, არ დავლევ-თქვა, ნავთი დამელია, არ მერჩია!..

კისერდაგრძელებული უბნელები, ფრთხილად რომ იხედებოდნენ თხრილში, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ტურაბელიძე კიდევ უფრო არ გავანერვიულოთო, ანიშნებდნენ ერთმანეთს.

— ჩვენც ხალხი ვართ, მასე კი არაა საქმე! — ჩასძახა იმუბნელმა ტროლეიბუსის მძღოლმა, ერთმა ბოკვერაძეთაგანმა.

— მაგაში არაა საქმე! — ამოხედა ტალახში ამოსვრილმა ტურაბელიძემ; თხრილის თავზე დაკიდებული ფართოყბიანი თავი ეცნაურა, ვისი იყო, ვერ გაიხსენა.

რკინის ჭიშკარი გააღო მამიამ, ავტომანქანა გაჩხირა ჭიშკარში და შუქფარებით გაანათა თხრილი, წვიმითა და აყალოთი დამბალი ტურაბელიძე.

— მაგარია! — ტურაბელიძეზე ანიშნა მეტრაქტორემ უბნელებს.

— არ ეტყობა! — შენიშნა ვილაცამ.

— მორჩება თუ არა, წავაყრი მიწას და მოვასწორებ აქაურობას, მოძრაობაც აღდგება, — თქვა მეტრაქტორემ და შემდეგ აღარც ამოუღია ხმა.

— ადრეა თანაც... — საათს დახედა, თუმც ციფერბლატიც არ დაუნახავს, ტროლეიბუსის მძღოლმა.

— რვა დაიწყო... — დააზუსტა კარგა ხნის შემდეგ მეორემ, რამდენიმე ასანთის ღერი რომ მიახარჯა ამ საქმეს.

ამკრძალავ ნიშნებს აუქცია გვერდი და ზედ თხრილზე მოაგდო მანქანა აქაურმა კაცმა.

— სად მოდიხარ ამ ლაფში, ხომ ხედავ არაა გზა! — უსაყვედურა ვიღაცამ სიბნელეში.

— ვინაა?

— ცედრიკია.

— მოსულა მშვიდობის მაძიებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანიდან გადმოვიდა ტანმორჩილი, მაგრამ სხარტი, შავგვრემანი, წარბებაქაჩული ცედრიკი. რა არი, რა ხდებაო, იკითხა დიდსაყელოიანი ტყავის კურტაკის ჯიბეებში ხელჩაყოფილმა. იგი ნასვამი აღმოჩნდა და ეს არავის გაჰკვირვებია.

— ამათი გადამკიდე სახლში ველარ შევსულვარ სწორი გზით, რავა ხარ, ბონდოია უბედურო?

— რავა ვიქნები ამ მთავრობის ხელში! — მოისაწყლა თავი ბონდოიამ.

— ვინაა? — ტურაბელიძისაკენ მოიქნია ნიკაპი და ცალი წარბი დასწია ცედრიკიმ.

— არი რა!

— რა ჩემ ფეხებს მიკეთებს!

არ გინდაო, ანიშნეს, ერთმა ტუჩზე მიიდო თითი. რა ხდებაო, გადაირია ცედრიკი, სიტუაციაში ვერ გაერკვა, ტურაბელიძეც არ მოუვიდა თვალში და რამდენიმე ცინიკური მოსაზრება გამოთქვა ელექტროენერგიის მესვეურთა და ზოგიერთის აქ გამომგზავნის მისამართით.

— წადი, ბიძია, მიხედე შენ საქმეს... — ჩაილაპარაკა ტურაბელიძემ.

— რა ბრძანეთ?!

ტურაბელიძემ წაიყრუა, არაფერი არ მიბრძანებიაო.

— მე იქნება დისერტაცია მაქვს დასაწერი და ველარ უნდა დავწერო?.. — დამსწრე საზოგადოებას მიუბრუნდა ცედრიკი, — სიბნელეში, უფრო სწორად ამათ ხელში, დაწერ დისერტაციას?!

— ერთი შენი დისერტაცია და შენი კეთილებიც!.. — იფეთქა ქვევიდან ტურაბელიძემ.

— ვის აგინებ, მე მართლა შენი გამომგზავნის და გამომცემლის!.... წიხლი მოიქნია და ცალ ფეხზე შებორძიკებული კინაღამ გულაღმა დავარდა მინაყრილზე. თხრილში ჩარჩენილმა ტურაბელიძემ რკინის კეტს დაავლო ხელი და ამოფოფხება დააპირა. ამაზე ცედრიკი გადაირია და სულ ტლინკები ჰყარა ტალახში, დროზე გაქაჩეს, ტურაბელიძეც აღარ ამოუშვეს, თუმცა ყვირილი, გინება და გაწევ-გამოწევა კარგა ხანი ვერ აღკვეთეს.

— მივაბრიდავ, გელაპარაკებით! — მანქანისკენ მიიწევდა ცედრიკი, აყალოზე ფეხი უსხლტებოდა, არ იქცეოდა, მაგრამ ხან ერთი ფეხი ჰქონდა ზევით აშვერილი, ხან — მეორე. იარაღის ამოღებას აპირებდა, როგორც ჩანდა, ვინ დაანებებდა.

განზრახული გადაათქმევინეს, თუმცა კარგა ხანი ვერ დააწყნარეს.

— დაისვამთ ვიღაცას თავზე, თქვენც კაი ფრუქტები ხართ! — მოტორი ჩართო, ღრიალითა და საბურავების ფხოკიალით დაიხია მანქანა, წავიდა და მეორე მხრიდან მოადგა თხრილს, როცა აღარავინ ელოდა. ეს მოხდა მოგვიანებით.

ბოკვერაძეები ტურაბელიძეს აწყნარებდნენ მანამდე. შენი ბრალიცაა, ნასვამ კაცს არ უნდა აჰყოლოდიო, საყვედურიც შეაპარა ტროლეიბუსის მძღოლმა.

— ის კაი ხასიათზეა და ერთი მე მკითხოს... — ხმას უდაბლებდა ტურაბელიძე, თუმცა პოზიციების დათმობას არ აპირებდა. — მაგი დისერტაციას წერს და მე ტალახში ვარ ამოსვრილი, ცოლ-შვილმა არ იცის სადა ვარ, თანაც ჯემალიას ბავშვის დაბადების დღე იყო, არ დავლევ, მე ვიფიქრე... მე ჩემი ილბალი, დისერტაცია მინდოდა აქანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ბიჭო, ცედრიკია რისი დისერტაციის დამწერია... გვეცი პატივი ბოლომდე და ჩვენ მოგიხდით ბოდიშს...

— ბოდიში მიშველის, ბოდიშით მოვა დენი?!

— ხალხი ვართ ჩვენც...

ამ ლაპარაკში ცედრიკიაც გამოჩნდა, პარკით რაღაც მოჰქონდა, შავგვრემან სახეზე ღიმილი უკრთოდა, საჩხუბრად რომ არ იყო მობრუნებული, ეტყობოდა, მაგრამ მაინც შეჩქვიფდნენ: რა ეშმაკს მოათრევდა და რა ედო გუნებაში, ვინ გაიგებდა, შეფიქრიანდნენ და ცედრიკი დაუბრკოლებლად მიადგა თხრილს, მინაყრილზე შედგა.

— ამოდი ზევით ცოტა ხნით! — მანქანის ფარების შუქზე უელავდა კბილები.

— ცოტა ხნით კი არა, სულ უნდა ამოვიდე აწი! — უპასუხა ტურაბელიძემ და მაშინღა იცნო, რომელი ხარო, იკითხა ყასიდად, ცოტა შეხაფაცებულმა.

— დისერტაცია ვარ, ამოდი, ცოტა წეიხემსე.

— მოვრჩები ბარემ!

ცედრიკს ერთი ლიტრი არაყი და ცხელი ხაჭაპურები ჰქონდა მოტანილი. სახლში დაუხვდა მისთვის გაუთვალისწინებელი მიზეზით დაცხობილი, თორემ ასე სახელდახელოდ ვინ გამოახაჭაპურებდა. წელში გამოყვანილი ჭიქა ამოაძრო ჯიბიდან, ტურაბელიძე რომ ამოვიდა და ლიტრიან ბოთლს პლასტმასის სახურავი მოაძრო ტკაპანით.

— შეთბი, ბიძია, ცოტა თვარა გალიგვდები აქანე!

ტურაბელიძემ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ამა და ამ ნომერზე დამირეკეო, მეზობელს უთხრა.

— დიდხანს რეკე და გიპასუხებს ბოლოს მორიგე, ჩართე მეოთხეში-თქვა უთხარი.

მანქანის პატრონი შინ შევიდა, ტურაბელიძემ ჯაჭვმოდებული საღვინე ჭიქა ჩამოართვა ცედრიკს.

— სიტკბო მოგცეთ, სიმწარე გაშოროთ, კაი აღდგომას დაგასწროთ! — დალია, დაიღრიჯა. ნახევარი ხაჭაპური ჩაიტენა პირში და მეტრაქტორეს ანიშნა, მოდიო.

ერთი სახარება. ორი სახარება. სამი სახარება. ოთხი სახარება. დაიცალა ლიტრიანი, დენიც მოვიდა, გაშუქდა ქუჩა, გაბდღვიალდა უბანი. აყვირდნენ ბოკვერაძეები, გოგოუები, ეძგვერაძეები. ერთმა ბოკვერაძემ სანადირო თოფი გამოიტანა აივანზე და ძეძგვა.

— გამგონის ჩონჩორიკი გამსროლის პირში! — დაიძახა ვიღაცამ.

— რა თქვა ამ კრეტინმა! — იცინოდა ცედრიკი, დისერტაცია საიდან გამახსენდაო ამაზეც ირეოდა. მეტრაქტორე და მონტიორი ტრაქტორის კაბინიდან კოცნიდნენ ტროლეიბუსის მძღოლს, დიდი ყბები რომ ჰქონდა. იგი სახელდახელოდ აკრეფილ ნაშალ ფულს უტენიდა ტურაბელიძეს ჯიბეში. არავითარ შემთხვევაშიო, თავს იკლავდა ტურაბელიძე და ჯიბეს, თითქოს მისი არ იყო, არ ხურავდა. მანქანის პატრონი, ანთებული ფარებით რომ ანათებდა დენის მობრძანებამდე არენას, ცედრიკის ეპატიჟებოდა, შემოდი, გაფიცებ ყველაფერს, ბუხართან დავლიოთ წვრილი ჭიქებით მე და შენო.

ბოკვერაძეები ტელევიზორებს აგრიალებდნენ და აღარ ყვიროდნენ.

ტელევიზორებთან ისხდნენ გოგოუები, ეძგვერაძეებიც და შემოდიოდა ოჯახებში სითბო ელექტრონისა, ტელევიზორში ჩანდა ქვეყანა მრავალი ფერითა.

1990

რუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე რუა.

რუა თუ მდინარე?

იგი ჩამოედინება ჭომაში და ჩადის რიონში.

ქალაში, სადაც რუა უერთდება რიონს, მსოფლიოში ყველაზე პატარა თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე პატარა და მწირი ბოტანიკური ბაღია.

რუას მარჯვენა ნაპირიდან ბაგრატის ტაძრის ციტადელის გალავანი ჩანს.

რუაზე ძველი, ერთთაღიანი ქვის ხიდი ძევს. ახლოა გორები. შორს კავკასიონია.

ჭომა.

მიკროგარემო. ნახევრად სუბტროპიკული ჰავა. ეზოიანი სახლები. ძელქვები. ტრიფოლიატის ღობეები. ეზოს მოლზე პალმა და ხურმა, — ტრიფოლიატის ღობეზე ამაღლებული არცთუ ძვირფასი ჯიშის თითო პალმა თითო ეზოში.

ბოტანიკურ ბაღში საქვოია. საქვოიას გარდა, ხარობს რამდენიმე ლამაზი ხე. ხეები გზიდან არ ჩანან, გარე-გარე მოსიარულე ადამიანი ვერ ხედავს.

— ... აქ ქალები ავადდებიან ქალური ავადმყოფობით, საშვილოსნოს ყელის და თვით საშვილოსნოს სიმსივნით... მრავალი გარდაიცვალა...

— საიდან იცით, ქალბატონო, ასეთი მშვენიერი ქართული...

— ქმარი ქართველი მყავს და შვილებიც ქართველები მყვანან, თავისთავად ცხადია, მე თავად ბალტიელი გახლავარ... აქ კი ორმოცი წელია ვმსახურობ... საშვილოსნოს ყელის დაავადება ფაქტია, თქვენ ამას დაწერთ? არ დაწეროთ, ძალიან გთხოვთ... ჩვენ არ ვამხელთ... ამ მონაკვეთში, ეტყობა, რადიაცია ან მაგნიტური ველია, ანდა მიწაში დევს რაღაც გამომასხივებელი... ჯერ ამით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა, არადა, ავადმყოფობა ფაქტია და მისი არსებობა უტყუარია. ეს საქვოიაა. მსოფლიოს ხეთა დედოფალი... საბჭოთა სახელმწიფოში კი ამოდენა ეგზემპლარი, სილამაზეზე აღარაფერს ვამბობ, არსადაა... ამაზე უნდა დაიწეროს... აი, ამ რესტორანზე უნდა დაიწეროს... შეიძლებოდა აქ რესტორნის ჩადგმა?.. სადღაც ხომ უნდა არსებობდეს სუფთა და წმინდა ადგილი... რესტორანმა დაანაგვიანა რუა, მისი გაღმა და გამოღმა ნაპირი... სანაგვედ აქცია ეს კუთხე... რა უნდოდა აქ რესტორანს... აქ უნდა ყოფილიყო სუფთა რუა!

რესტორანში, წმინდა რუას კალაპოტი რომ სანაგვედ აქცია, იქეიფეს ბიჭოიამ, შოთაიამ, ოთარიამ, ბუდუიამ (ძუნძგლი) და სხვებმაც, მაგრამ ჩაბნელებული, ყარაულისამარა დარჩენილი რესტორნიდან ყველაზე ბოლოს გამოვიდნენ: ბუდუია (ძუნძგლი), ოთარია, შოთაია, ბიჭოია და ჩასხდნენ მანქანაში. საჭესთან მოკალათებულმა შოთაიამ ვერ მოარგო ბუდეს გასაღები. იწვალა, ფურთხებით და გინებით გააკვეხა საკლიტეში და მოტორი მაინც ვერ აამუშავა. მოწოლა უნდაო, თქვა. გადავიდნენ ოთხივენი, მიაშარდეს მანქანის ოთხსავე ბორბალს. გააგორეს შემდეგ და გაჩხირეს შუა გზაზე. დაეჯახათ თვითმცლელი, რომლის მძღოლიც გატიალებული მთვრალი აღმოჩნდა. ალაგობრივ დაილუპა ორი, ორი არც დაშავებულა. საავადმყოფოში აღმოჩნდნენ მკვდრებიც და ცოცხლებიც. გამაგებინეთ რა გვჭირსო, ღრიალებდა საავადმყოფოში ბუდუია (ძუნძგლი). მორიგე ექთანი მილიციაში რეკავდა მერამდენედ. მილიცია არ ჩანდა.

— გამაგებინეთ, ცოცხლები არიან თუ არა!

— თქვენ უნდა გაზრდოდით თქვენს დედას?.. — ღია კარიდან უყურებდა აღგზნებულ ჭირისუფლებს, ბუდუიას და ბიჭოიას, ექთანი ზიზღით და ყურმილს არ უშვებდა ხელს. რძისფრად განათებული ტალანიდან მორიგე ექიმი გამოვიდა კოჭლობით.

— ცოცხლები არიან კი არა, ერთს თავი არა აქვს! — უთხრა ბუდუიას (ძუნძგლის).

— რომელს?

— მე რა ვიცი, რომელი რომელია!.. — გაშეშებულ ფეხს დაეყრდნო [illegible] მთელი ტანით, ამაღლებული შეტრიალდა და რძისფრად განათებულ [illegible] უჩინარდა.

— თავი ნახეთ და მოიტანეთ, ჯობია. — ურჩია ბიჭოიას და ბუდუიას ნამძინარევმა, ცოტა ხნის წინ დედ-მამა ნაგინებმა დარაჯმა.

ენაჩავარდნილები გაიძურწნენ, ჩასხდნენ კუდმონგრეულ ავტომანქანაში და ცალი ფრთის ამაზრზენი ფხოკიალით დაბრუნდნენ ადგილზე. ძელქვების ხეივანში ღამე იდგა. მთვარე ანათებდა და ძელქვების ფოთლებში ვერ ჩამოდიოდა. მფეთქავი შფოთვით წაიძინეს მანქანაშივე, დილაბნელში გაიღვიძეს ერთდროულად. კვლავ ბნელოდა, მაგრამ გათენებასაც აღარაფერი აკლდა. ნიავი უბერავდა. თბილი დილის ფერი ედებოდა ასფალტს, ძელქვის ხეებს. ტრიფოლიატის ღობესთან შავად დაფერილი ღორი გაილანდა. დრუნჩით რაღაცას აგორებდა ღობესთან.

— ა, ბიჭო, ოთარიას თავი! — დაიძახა მანქანიდან გადმოსულმა ბუდუიამ (ძუნძგლიმ), ღორის ნადავლს რომ დააკვირდა. ნაღდად ოთარია იყო. ბიჭოიამ თმაში იტაცა ორივე ხელი. შავად დაფერილმა ღორმა ოთარიას თავი დატოვა და უმაყოფილოდ გაეცალა იქაურობას.

— ვახ შენი, შენი დედა მოვტ-ან, შენი დედა მოვტ-ან! — ერთს და იმავეს იმეორებდა ბუდუია.

ოთარიას თავი პატარა ჩანდა უტანოდ. ტანი ადიდებდა თავს? ტრიფოლიატს ყვითელი, მრგვალი ნაყოფი ება. ღობე თუ ლიმონს იბამდა, ბუდუიამ აქამდე არ იცოდა. ტრიფოლიატი სამყურა ლიმონს ნიშნავს. ნაყოფი ტრიფოლიატისა (სამყურა ლიმონის) პატარაა და მკვრივი. ასფალტზე გორება და ფეხით თამაშიც შეიძლება.

— ვახ, შენი დედა მოვტ-ან, შენი დედა მოვტ-ან... გაზეთი არა გაქვს?

— რად გინდა გაზეთი? — არწყევდა და იხრჩობოდა კუდმონგრეულ მანქანასთან ბიჭოია.

— გავხვევ ოთარიას თავს, არ წავიღოთ?

თვითმცლელი, რომელიც მთვრალებს დაეჯახა, ვერ იპოვეს; მძღოლი რომ იჯდა საჭესთან, ვისიც მხოლოდ სახელი, გვარი და სახლის მისამართი შეიტყვეს, ვერ ნახეს. კარგი ბიჭები არიან, ამნაირი რამ არც კი უნდა დამართოდათო, თქვა რაიონის მილიციის განყოფილების გამგე ქვლივიძემ. ბუდუიას (ძუნძგლის) ტოპრაკში გამოკრული ანაშა შეუგდეს მანქანაში, დაიჭირეს და უკვე მერამდენედ, გაასამართლეს ნარკოტიკული ნივთიერების (გასაღება არ დაუმტკიცდა) ხმარებისათვის და მალე გამოუშვეს.

ტრიფოლიატის (სამყურა ლიმონის) ყვითელი ნაყოფით ბურთი გვითამაშია ასფალტზე. იგი მკვრივია, დარტყმას უძლებს.

ახლა მაისია და გლიცინიები ყვავის ქალაქში. დილის მზისფერი გლიცინიები მოსდებია უსურვაზად ქალაქის ძველ ეზო-ყორეს და გალავნებს. ბოტანიკურ ბაღში საშვილოსნოდასნებოვანებული ქალები მუშაობენ, დიდი, მომწვანო ბუზების ზუზუნში სათბურებიდან გამოაქვთ ორქიდეები, პიონები, გლედიჩიები, ახლად აფუებულ მიწაში რგავენ ყვავილების ჩითილებს და დგას იმ ბაღში უცხო საქვოია, ლამაზი, დიდი და უბერებელი.

1991 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიო

გაასრულა ბავშვობა სკოლაში.

ისევ სკოლა.

შემდეგ:

ინსტიტუტი. ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრებით დაიწყო წინსვლა. სახლიდან გამოსულმა იცოდა, რომ მიაღწევდა იქამდე, სადაც არ მიდიოდა.

დიდი სპორტულ ჩანთით გადმოვიდა ჭიშკარზე ერთხელ. გაუჩერა ნაცნობმა მანქანა ჭიშკართანვე და უთხრა: აქეთ თუ მოდიხარ, ჩაჯექიო. იქით არ მიდიოდა და თავი ამოჰყო სხვა მხარეს. ქალაქს არგაშორებული ავტო შეასკდა რკინის ბოძს. მუხრუჭების საზარელი ხრჭიალი ესმოდა დიდხანს. ბობრ სახეზე, საფეთქლიდან ნიკაპამდე, დარჩა იარა. იგი ორად უყოფდა პროფილს და გაბზარული სახე დაჰქონდა იმის შემდეგ. თვალი მალე შეაჩვია სარკეში სიბზარეს, დაიჯერა და ვერ იწამა სიმშვენე იმისი.

— გიო, იცი, გიხდება!..

— ამბობენ...

დილაადრიან გამოდიოდა ამის შემდეგ შინიდან, არ იცოდა, სად მიდიოდა. გზა იყო, გზის ბოლო არ ჩანდა.

და მიდიოდა დრო.

ოთხი წლისა დაიკარგა მეზღვაურის ქუდით. კაპიტნის ქუდში შემძვრალი წავიდა, გაჰყვა გზას. სად შეჩერდა, არ ახსოვდა. იგონებდა მხოლოდ გზას ბურუსად. მეზღვაურის ქუდჩამომხობილ ბიჭუნას ხედავდა გზაზე. მოძებნეს. სად მიდიოდიო, ეკითხებოდნენ: არ იცოდა, სად მიდიოდა. დაიხურა კაპიტნის უზარმაზარი ქუდი და წავიდა.

მიდიოდა...

ეჩქარებოდა და სად ეშურებოდა, არ იცოდა. ხან არ იძვროდა და გრძნობდა, სადღაც იყო ასამგზავრებელი. ზოგჯერ ლაპარაკობდა ბევრს, არ იღებდა ხმას ხანდახან — ქალაქის არაოფიციალურ საფიხვნოზეც. საწყენზე არ რეაგირებდა, უმიზეზოდ მოიყვანდა გულს ზოგჯერ, პატარაზე აფეთქდებოდა. მოდაზე არ იცვამდა, თავადვე ამკვიდრებდა მოდაგადასულ მოდას. ხელს რომ აწევდა, ლურჯი კოსტიუმი საყელოდან კალთამდე ეკეცებოდა, გრძლად დაკუნთულ ბეჭებსა და ბეჭებშუა სიცარიელე რჩებოდა.

ერთხელ შეხვდა თეოს.

— თეო, როგორ ხარ?

— კარგად, შენ?

შავად ეცვა. გრძელ კაბაში მოკლე წვივები უჩანდა, მაინც ტანადი ეთქმოდა. ზევით კაბა ევიწროებოდა. მკერდი და გავა ეხვეოდა სივიწროეში.

— თეო, ახლა ვის აძლევ... ხმას?

— არ გრცხვენია, გიო!.. — შავი თვალები გააცურა გუგებში, ვინ გვხედავს, ვინ გვისმენსო. — რა სიტყვებით მელაპარაკები, გიო, თანაც გულგარეთ მეკითხები, ეგეც არ გაინტერესებს... — ჩანთა გახსნა. ხელით აჩხარუნა ჩანთის საგნები, ნაშალი ფული გამოაჩინა, ჩანთიდან ამოღებული პატარა პორტმანე დაიჭირა კბილებით, ჩხრეკა არ გაუწყვეტია.

— იყოს, მეტი არ მინდა.

— კიდევ მაქვს.

— არ მინდა.

— გიო, დაიწყე ვარჯიში?

— კი. ოლიმპიურ რეზერვში ამიყვანეს...- იცინოდა ნახევარი სახით, ჩამქრალი თვალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენჯერ გიშველა ვარჯიშმა, გიო...

— კარგად იყავი.

— წამოგყვე?

— არა.

სპორტდარბაზი შორს დარჩა, ხელთათმანების ოფლიან მხარ-მკლავზე და სახეზე ხათქახუთქი აღარ ესმოდა, ქუჩაშიც აღარ უჩხუბია.

მაისი იყო. ხან მზეში, ხან ჩრდილში მიდიოდა ღობე-ყორე. რამდენიმე ნაცნობ შემოფეთებულ სახეს მიესალმა. ჩაუარა მაღაზიას, საიდანაც გულისამრევი სუნი გამოდიოდა ყოველთვის. ღია კარს გასცდა, საძაგელი სუნი დაიკარგა და ჰაერიც გათხელდა.

— ქალბატონო, გლახათ ვარ!

წარბები შეჰყარა ქალბატონმა: ვის უბედავს ამასაო. სხვა ქალმა შეაშველა ხელი. დიდი ჩანთა მოჰქონდა იმ ქალს მეორე ხელით. მუსიკა ისმოდა სულ ახლოდან, შეიძლება ჩანთიდან. მშენებარე სახლთან იდგა. ქვები, არმატურა და სქელი მავთულები ეყარა. ბორდიურზე დაჯდა. მუსიკა გაძლიერდა. ბაზრის ჩანთაში იდო მაგნიტოფონი? ამ კასეტას ატრიალებდა ორი დღის წინ ჯოჯუას მანქანაში. თან წამოჰყვა და დაბრუნდა ორთავ ყურთან?

— წყალი ხომ არ მოგიტანო? — ახლო ჰქონდა სახე სახესთან მოტანილი. ქალის სუნი იდგა ახლოს და მუსიკაც იქვე იყო.

— გმადლობთ, დეიდა, ახლა აღარ ვარ გლახათ!

ქალი დიდი ჩანთით წავიდა, აქოთებულ სუნს გაჰყვა, მიუახლოვდა მაღაზიას, მუსიკა დარჩა. მაღაზიასთან სამი ბიჭი იდგა. ეწეოდნენ და იდგნენ. სიგარეტი უნდოდა გიოს, მაგრამ მისგან მაღაზიამდე, სიგარეტიან ბიჭებამდე უსასრულოდ გრძელი, დაუმთავრებელი გზა იდო. ჯოჯუას მანქანის ბუჯერში დატოვა ერთი კოლოფი. ჯოჯუას ავტო შეიძლება ზღვამდე იყო ჩასული და მუსიკა მოდიოდა ზღვიდან ან ქალის ჩანთიდან. აღარ უნდოდა ის მუსიკა, იგი მაინც მოდიოდა მასთან. ჩანთიანი ქალი მაღაზიის ბიჭებს ელაპარაკებოდა გიოზე. რა საჭირო იყო ეგ! ვიტრინაში იხედებოდა და არ ავიწყდებოდა გიო. ქალის ხმა მაღაზიიდან კი არ მოდიოდა, მაღაზიასთან რჩებოდა და გიოსთან ახლდებოდა. გაუთავებლად ლაპარაკობდა ჩანთიანი ქალი გიოზე. მაღაზიის ბიჭებს არ ესმოდათ ქალის ხმა, გიოს ესმოდა. ბიჭები ეწეოდნენ, ნელა ირხეოდნენ, შენელებულად მოძრაობდნენ განგებ.

კაპიტნის ქუდით იჯდა სიცარიელეში. ვის დაეკარგაო, ეკითხებოდა ერთი მეორეს გულგარეთ, სად მიდიოდაო, აინტერესებდათ მაინც. სად მიდიოდი, ბიჭო, შენ?!

— მომაწევინე, ჩვენი ძმა! — წამოიყვირა. გამვლელი ბიჭი შეჩერდა. სახე იყო ნახევრად ნაცნობი. აქაური იყო, მაგრამ არაამუბნელი. ერთი ღერი სიგარეტი ამოუძრო და გამოუწოდა.

„მეხერხე ხარ?“

არ გამოართვა. მეხერხეც არ უხსენებია, ჩანდა, რადგან ბიჭი არ გაბრაზებულა. გიო ხელს აფათურებდა ჰაერში, კოლოფიდან მომეციო.

„მოწამლულ ღერს მაძლევს!“

მოწამლული ღერი პატრონმა თავად ჩაიდო პირში და გიოს კოლოფი გამოუწოდა. უკვე გულმოსული იყო.

„... განგებ კარგს მაძლევდა, მოწამლულები კოლოფში დატოვა, არ გინდა მოუწამვლელის არჩევა!.. რაც არი, არი, ბედი ბედია, როგორც ყოველთვის!"

ანთებული სიგარეტი ეჭირა. სიგარეტის მფლობელი წასულიყო. გადასმატროტუარზე ორი ქალი შეხვდა ერთმანეთს. გიოზე დაიწყეს ლაპარაკი. გიოსკენ არ გამოუხედავთ მხოლოდ.

— რა ცოდვაა, არა?! — ამბობდა ზურგშექცეული, ქვედა საცვლის სათავე კაბიდან რომ ილანდებოდა, უვიწროვდებოდა ყველა ამოოხვრაზე.

„რატომა ვარ ცოდვა?"

— რამდენი წლისაა, ნეტავ?

„... არ ჯობდა იკითხონ, რამდენი სართული დარჩა ასაშენებელი ამ სახლისა, ან რამდენი აშენდა, მე ხომ უკან ვერ ვიხედები... რამდენი წლისა ვარ მე? ოცდათოთხმეტი წლის გავსრულდი... ცოტაა ეგ თუ ბევრი?!"

ცოტა იყო, გიო, ძალიან ცოტა.

ერთი ტყვია ედო ნაგანის სატრიალო სატყვიეში. ხელისგულით დააბზრიალა სატყვიე, სასხლეტი დაიცა საფეთქელთან. არ გავარდა. ჭერს დაუმიზნა და იგრიალა. ბათქაში ჩამოიფხვნა ჭერიდან, თეთრად დაიწინწკლა ბილიარდის მაგიდის მწვანე მოლი.

— გიჟია და რა ვქნა! — მოიბოდიშა ვიღაცამ.

რამდენჯერმე გაიმეორა იმ დღის შემდეგ. ლულას მიიბჯენდა საფეთქელთან, სასხლეტს გამოჰკრავდა თითს; ცოტას ეშმაკობდა, სატყვიეში ტყვიას იმახსოვრებდა თვალდაბინდული, მაგრამ ერთი დღე იქნებოდა, მაინც აერეოდა ანგარიში და გასრულდებოდა როგორც ყოველნაირი თამაში.

— რატომ შვრები? — ჰკითხა ძველმა ქურდმა ნინიამ.

„რატომ ვშვრებოდი?!"

— სისულელეა! — განუმარტა ნინიამ.

სწორი იყო. მოსწყინდა კიდეც და იარაღიც გააჩუქა. ახალგაზრდა კაცი მოკლეს შემდეგ იმ „ნაგანით". ხელიდან ხელში გადავიდა შემდეგ „ნაგანი". ბოლოს ვისთან დარჩა, აღარ იცოდა. კაპიტნის ქუდით წავიდა და დაიკარგა. გზას ვერ ხედავდა და მიდიოდა. სურათი დარჩა სიმხურვალეში. მოძებნეს.

„სად მნახეს?"

დამჯდარი წაიქცა ანთებული სიგარეტით. „ფიატი" გაჩერდა საბურავების ფხოკიალით. შუშაჩამოწეული სარკმლიდან თავგამოყოფილმა ბიჭმა დაიძახა:

— გიოა, ბოზიშვილი ვიყო!

მძღოლმა მაგნიტოფონი გამორთო. სამნი გადმოვიდნენ. გაღმა ტროტუარზე მოსაუბრე ორი ქალიც მოტრიალდა. ყველაფერი მიწყნარდა და თავისი სახელი გაიგონა ნეტარ სიჩუმეში.

— გიო, გიო! — ჩასძახოდნენ. ჩანახშირებულ სახეზე ურტყამდნენ ხელს. კარგად იყო და სატანჯველში აბრუნებდნენ; სიბნელიდან სინათლეში, სიმსუბუქიდან ტკივილში გამოჰყავდათ. მეზღვაურის ქუდში შებრუნებულს აღვიძებდნენ.

— ხელმეორედ?

— რაიო?

ვერ გაიგეს.

— საავადმყოფოში? — იკითხა მანქანის პატრონმა გზაში.

— სახლში.

— სახლშიო, თქვა...

— სახლში წაგიყვანოთ გიო, გიო, წაგიყვანოთ სახლში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაქვს შენ? — ჰკითხა ერთმა მეორეს.
— ერთი.
— გავუკეთოთ?.. გიო, გაგიკეთოთ?
— მიმიყვანეთ სახლში, დედაჩემი არ შეაშინოთ!..
— არ შეაშინოთო...
— გიო, ორ წუთში იქა ვართ, ყველაფერი გვაქვს, მთელ საავადმყოფოს დაგასევთ!..

გიო საავადმყოფოსთან ცხოვრობდა.

კოინდარი ხასხასებდა გიოს ეზოში. ლიმონის ხეები ყვავილობდნენ. ლიმონის ყვავილების დამათრობელი თაფლისნაირი სურნელი იდგა.

ხელით შემოჰყავდათ ეზოში მოკლული ნადირივით გრძლად და რბილად დაკეცილი. ახალგაზრდა ექიმები გადმოცვივდნენ საავადმყოფოდან კისრისმტვრევით. ვერ გაიგეს რიარიაში როდის აღმოხდა მთავარი სული.

მაისის ცამოწმენდილ დღეს გაასვენეს. ფერადი ავტომანქანებით იყო გადაჭედილი მისი სახლის მისადგომები. ფერადოვანი ეცვათ ყმაწვილებსაც. ვაჟები ცალე, ქალები — ცალკე. თეოც იყო ლურჯად, სრულად, მსუბუქად.

— თეო, როგორ ხარ?
— კარგად, შენ?
— მაგრად!
— შენ?
— კარგად!
— შენ?
— მაგრად!
— შენ?

აბოლებდნენ. სიგარეტის წითელ-წითელი კოლოფებიც ჰქონდათ. იყო საუბარი, — საქმეც. გლიცინიები ყვაოდნენ მზისფრად. ლიმონის ყვავილების სურნელი იდგა.

1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰგავდა სადღაც მისივე გვარის ბგერებს.
წითელი. მკვრივი. ოვალური.
ჩემმა ძმაკაცმა მოაწყო ავტოინსპექციაში.
უფულოდ, კაცო?!
კაპიკი რო კაპიკია...
აბა მაგ ყოფილა!
დაუმახსოვრეს. დაამადლეს. მართლა მასე კი არაა, ძმაო. აითვალწუნეს. გამოუშვეს. მართალი თუ არა, უდანაშაულო იყო და აღვადგინეთ ცოტა ზევიდან.
ანი მაინც თუ ისწავლი ჭკუას? ისწავლა?
მოძრავი. მოცინარი. ფამილარული. ფათერაკიანიც. სამი შვილის მამა ჩვენით ინარჩუნებდა ქვეითის პოსტს და ჩვენ მზეს ფიცულობდა, ერბო-კვერცხს ინვავდა ხელისგულზეო, ვერ ვიტყოდით, თუმც უმადურობასაც ვერ დასწამებდი. ვარაზის ხევში, თავდალმართში ჩაგვისტვინა შუადღისას. არ გააჩერო-მეთქი, გავაფრთხილე სომეხი მძღოლი. როგორ... დაიბნა შოფერი-პროფესიონალი, მანქანით რომ არ-ჩენდა, ეტყობოდა, ოჯახს. .. მორჩილად მიაყენა „21" ტროტუართან, საბუთები გაამზადა, თუმნიანი დააძრო, ჩადო მართვის წიგნაკში და ნ ვ თ ძ-მაც შემოყო სარკმელში თავი.
— ვახ, — თქვა, — თქვენა ხართ?! — კარი გამოაღო, მძღოლი მისწია, სავარძელზე ჩამოუჯდა.
— ათიანზე ტუზივით არ დაგვეცი! — უთხრა ანტონის ძემ.
— ჩემი ფეხით ხომ, სად მიდიხართ, ანტონიჩ?
— ბუდაპეშტში...
— საზღვარგარეთ ხომ?.. — ხავსს მოეჭიდა.
— რესტორანში...
— ადრეა, ჯერ, ანტონიჩ!..
— შენთვისაა ადრე...
— ჩემთვის გვიანიცაა, დააჭირა მზემ და იკლო მუშაობამ, ფვარა თქვენ რავა გადაგეყრებოდით... ერთმა გულმა მითხრა — არ გააჩეროო...
— მოხურე მაგ კარი, გაოფლილი ხარ და არ დაგგრილოს ორპირ ქარში!
— ცხელა ისე... — ქუდი მოიხადა, — საფუძვლიანად აპირებთ?
— არც ისე, მაყუთი გვაქვს ცოტა, პახმელიაზე თუ გამოვალთ...
— ერთმა გულმა მითხრა, არ გააჩერო, ვიყავი ჩეროში, არ დამაყენა გამჩენმა... — ჯიბეში ჰქონდა უკვე ხელი ჩაყოფილი, — შენც რას დააფუილებ ამ ნავთის უთოს, ვერ გაჩერდები შენს ბაზართან!
— პატივი ვეცი, უფროსო, ამნაირ ხალხს ვარს ვეტყოდი?!..
— გაიაროს, ქე ვიფიქრე, რას აჩერებ, სად გაგექცევა... — გაკეცილი ფული ამოიღო და იორამს გაუწოდა, — გამომართვი. გაფიცებთ ყველაფერს, არ დაიკლოთ არაფერი.
— ანტონისძეს...
— გამომართვი, ანტონიჩ, მიდით და მეც მალე გეახლებით...
— მტერი არაა მეტი, შენ აქაურობის მიმტოვებელი ხარ!
— ზარალს ხომ უნდა ანაზღაურება, ვინ გაგაჩერებს, თუ არ იმუშავე... ვიფიქრე, ჩაუფსტვენ-თქვა, რაღა თქვენ გადაგაწყდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაიდევი, ბიჭო, მაგ ფული ჯიბეში! — შეუწყრა იორამი, ანტონისძეზე რომ მიადენა სულ ცოტა ხნის წინ.

— დავხევ და გადავყრი!

— რას გადაყრი, საბჭოთა ფულია ჯერ ისევ, დაგვიჭერენ...

ვაკის პარკში გავჩერდით, ნიგვზების ჩრდილში.

— ა, შე ფრანგო, ხუთი მანეთი! — ერთი კუპიურა ამოაკლო ნ ვ თ ძ-ს ფულს ანტონისძემ.

— თქვენგან ფულს არ ავიღებ, — იხუა გამოცდილმა მძღოლმა.

— ეეე?!

— ორმოცი წელია რულში ვარ, რა... პირველად ვნახე, კლიენტმა რო ინსპექტორს ფული წაართვა, კოლხოზნი ბაზართან ვდგები, შურა მიკითხეთ, როცა გაგეხარდეთ, თქვენი ვარ, რა!

— შენც კაი ფრუქტი იქნები, იმისი არ იყოს.

ისევ გაათავისუფლეს ჩვენი ინსპექტორი.

ერთ დღეს მითხრეს: მძიმე ავადააო. რა დაემართა — მე ვიფიქრე. იგეთი ჯიჯგვი. წითელი!

შემხვდა გამომცემლობის ვესტიბიულში მოწყენილი, თვალებში სხივჩამქრალი, ცოტა წითელი. როგორა ხარ-მეთქი. ახლა არა მიშავსო, მძიმედ ვიყავ, ორი ინფარქტი გადავიტანეო.

— ინფარქტი, კაცო?

გაზაფხულობით მემართება, როგორც დავაკვირდი, გაზაფხულის ავადმყოფობა ყოფილა.

წითელა ბატონებივით მოეხადა ორჯერ. წითელი ვაშლი ჭიანი აღმოჩნდა. მესამე გაზაფხულის დადგომამდე შინაგან ჯარში აღმოჩნდა. ორი კვირის შემდეგ მოკლეს რუსთაველის პროსპექტის ომში. პირველი ტყვია მოხვდა მუცელში; იცნო თურმე ვინც ესროლა, სახელი დაუძახა, რა მიქენიო. კინოკამერამ შემოინახა გათეთრებული სახე. წახრილმა, მუცელს ხელებჩაფრენილმა თქვა: სამი ტყვია მომხვდა თუ სამი შვილი მრჩებაო (ხმა კარგად არ ისმის); საავადმყოფოს ჭიშკართან მოკვდა სასწრაფოს მანქანაში პირდაღმა დაწოლილი, საკაციდან თავგადმოწეული, ფართოდ გაღებულ თვალებში შიშ-გაოცებულ მზერაჩაყინული.

ტაქსის მძღოლი ცხოვრობდა მეზობლად. დღე და ღამე ჰქონოდა გასწორებული, მანქანიდან არ გადმოდიოდა. რამ გადარია, ასე რამ გაახარბა-მეთქი, გული მოვიყვანე ერთხელ. მიყოლებით გაჩენილი ორი ბიჭი ტყუპს უგავდა. ახალგახედნილი მოზვრებივით თავწაგდებულები, ჩანთებამოიღლიავებულები, სახეატკრციალებულნი ბრუნდებოდნენ ყინვიანში სკოლიდან. იმათი მამა მოკლესო, თითქოს სხვათაშორის მითხრა ერთმა.

— ვინა, კაცო, ბორია?

როგორ, რანაირად. აღარ კი ჩანდა. სად? აფხაზეთში ხომ არ წავიდა-მეთქი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე. სად, ბიჭო?

საბურთალოზე, 87 მანეთის გულისათვის.

საკუთარ „ფიატში" ჩაეკლათ ახალგაზრდებს ახალშეღამებულს.

ეს რა ხდება! „მოზვრები" წარმომესახნენ, გული შემეკუმშა. ვინ მიუტანს ბიჭებს ყოველ საღამოს დაკუჭულ ფულებს, როგორ დაიზრდებიან უბორიოდ, უმამოდ?!

ტყვია-წამლის სუნი დგას. ქვემეხები ქუხან. სროლის ხმაა. იფანტება წამლის ნისლი, დრო მიდის, ბიჭები დაბღვერილნი იზრდებიან.

და ჩვენ სისხლისაგან ვიცლებით!

მახსენდება, არ მავიწყდება წითური ნ ვ თ ძ. ნაბოლარა ვაჟი ჰგავს თურმე. მოწეული თურაშაული ვაშლივით ჰქონია ლოყები.

„... ვინლა ასწავლის შენს პატარას ღმერთების პატივს, ვინლა ასწავლის ბრძოლა-დისა და ისრის ხმარებას!..“

1992 წელი. იანვარი. თბილისი.

ხიბარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიბარო ერთ-ერთი მეომარი ტომია დედამიწაზე.

ებრძოდნენ ესპანელ კონკისტადორებსაც, მაგრამ ბედს ვერ შეეურჩნენ და ტყიდანაც აღარ გამოსულან მას შემდეგ. ამაზონის აუზის ყვითელი მდინარეების კაპილარებში გაიბლანდნენ, სადაც ბინადრობენ დღემდე.

იქ არიან.

ტყიდან ტყე ჩანს, წყლიდან — წყალი. წინ უსიერია. მსუყე მწვანე ფარდებია ჩამოშვებული, ფარდებს იქით ფარდები და მოცათავანებული კიმკიმელია ზევით. შეშლილი მხატვრის დახატული დეკორაციები ჰგონებია დილანათელზე ამაზონის ფორვატერში მაქშინალი ორჩხომელის ფიცარნაგზე გამოსულ მგზავრს. ორთავ ნაპირია დახატული. ორი სიხარული ელის ამ ტყეში მოხვედრილ ადამიანს: სიხარული შესვლისა, სიხარული გამოსვლისა, მწვანე სამარის დატოვებისა.

ბილიკგაქცეული, მხარნაცვალი ადამიანიშვილი ჭკუიდან გადასული გამოუყვანიათ მახრჩობელა ტყიდან და ამისთვის მოგზაურობის კეთილად დასრულება დაურქმევიათ. უკაილოს დედოფალ, ზურმუხტფოთლება ნიია პანდას რტოებისაგან შებოჭილს, ჭიანჭველების კოჰორტებს გადარჩენილს, ასპიტებს, ობობებს, ცეცეს გარიდებულს თავი ისევ მწვანე სასაფლაოსაკენ წაულია, ტყის დატოვების სიხარულს, ტყის ხელახლა შეყრის ნოსტალგია შენაცვლებია. ხე ხეს ეფერება, ხე ხეს გუდავს. ერთმანეთს ეხვევიან და ახრჩობენ ლიანები, ეპიფიტები, ორქიდეები. შაბში, ლიხში, ჭანჭყობში ჩაბუდებული ხაშმის, ტალამპის, ვარდ-ქოქოსის, ლეშის და ბანანის მოტკბო, გამაბრუებელი სურნელი ადის. ცა კაშკაშებს, მზე ანათებს მთელი წელი, ცხრა თვის გამოკლებით. ცხრა თვე კი წვიმს. წვიმს ირიბულად, წყალი ასხამს გვერდიდან და არა ზევიდან.

ომი რომ ომია, ისიც აღარაა და სხედან ხიბაროები მოღვერილნი, ნისლში მზერაგატანებულნი. ხედვა მათი ვერტიკალურია: ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით აუდ-ჩამოუდით სველი თვალები. მათი მსოფლმხედველობაც ვერტიკალურია, შხვართა პალმა ასაიას შვერილზეა დაყენებული; სინანულიც შვეულია, ცოდვების მონანიება არ იციან. სხედან ბურში, სველი შეშის ბოლში ცრემლდადენილნი. ფხეკენ და ასუფთავებენ მტრის თავებს, ერთდღიანი ომის, მრავალკვირიანი ცრემლის დენის სეზონზე. ფხეკენ და ტირიან ნედლი შეშის კვამლს კიდევ ვერშეჩვეულნი.

ადამიანის მუშტისტოლა თავებს ყიდიან შემდეგ მუქთად. ყიდიან, ყიდულობენ სუვენირებად, მაკიაჟებად ამერიკელი, ევროპელი კოლექციონერები, კერძო და სახელმწიფო მუზეუმების მესვეურები, არაუტილიტარული ნივთების მოყვარულ-მაგროვებელნი. ვაჭრობა კი რამდენიმე მეწვრილმანე კორპორაციისა და კომპანიის მონოპოლიაა. ხიბაროებმა ვაჭრობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ იციან; ხიბაროებმა მტრის, მეზობლების თავების დაპატარავება, დაჩამიჩება, იერნაკვთების და გამომეტყველების შენარჩუნება იციან. მკლავი უჭრით საამისოდ, — გონებაცა. ცხელ თავებს აგორ-აკოტრიალებენ მარჯვედ შხამიან მცენარეთა სქელ ტყლაპზე; აშრობენ, ბოლში ახმობენ; პალმის თხელი ბოჭკოს სააბრეშუმე ძაფით უკერავენ (ამას უკვე რელიგიური მოსაზრებით) ტუჩებს კოხტად და ასე შემდეგ.

გამხმარი თავების მომკის ამინდის დადგომისთანავე მრავლდებიან თეთრკანიანები უკაილოში. მეზობელი ტომების ბელადებს (თითქმის უსასყიდლოდ) ურიგებენ იარაღს, ტყვია-წამალს. ახლა კი გიტირებთ დედ-მამის სულს, იქადნებიან

აღგზნებულნი, ინით სახემოხატული მეზობელი ტომების მეომრები და ხიბარეებისაკენ მიიწევენ; ერთკვირიან, დღეჩაგდებულ ომში გადაერევიან დედის სულის სატირებლად, იმჯერზე, ყოველ და ყოველნაირ ჯერზე, იმარჯვებენ ხიბაროები, რომლებიც ზუსტად ომის დაწყების წინ მარაგდებიან უკეთესი, უმჯობესი და მეტი იარაღით. ბევრი ხიბაროს დამაწყევარს, უფრო ბევრი მამაც ხიბაროს თავდაცვის მიზნით; და, დაახლოებით ამდაგვარი შეფარდებით, ცვივიან თავები აქეთ და იქით ირიბული წვიმების დაწყებამდე, მდინარეების თავაწყვეტამდე. სხვა ტომისანი თავებს არ ახმობენ, არ იციან და არც სწავლობენ, ეზიზღებათ კიდეც ეს ხელობა, თორემ იარაღი თანაბრად გადაუნაწილდებოდათ, თავების წარმოებაც აყვავდებოდა, თუმცალა (ყველაფერი გასათვალისწინებელია) „ოდეს ტურფა გაიაფდეს" პრინციპიც შევიდოდა ძალაში, თავების დევალვაცია მოხდებოდა და ესეც რომ არა, სისასტიკესაც ხომ აქვს საზღვარი, ბოლოს და ბოლოს, ტყვია-წამლის რაოდენობაზე, თავების არაოფიციალურ ლიცენზიაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული. ეს დედამიწა ჩალით კი არ არის დახურულიო!

... იარაღი გვეკუთვნის კიდევაო, რომ გაიძახით, რა ჩემი ფეხები გეკუთვნით, რა მოგვაბარეთ, რა გვთხოვეთ, ჩვენ აქ სამშვიდობო მისიით ვართ მოვლინებულნი, მეომარ მხარეთა დაშორიშორებამდე, მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან მტრის ძალების გაყვანამდე იარაღს ვერ მიიღებთ, თავებს გაუფრთხილდით, თავებს! ეს თქვენ, ეს იმას. 100 ხელის ქვემეხი თქვენ, 120 ხელის ქვემეხი იმას, 100 საგლახაო ტანკი თქვენ, 120 იმგენს. ასს ვწერთ და ოცს ვინახავთ.

გაუფრთხილდით თავებს!

სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის გამგებელმა ბატონმა ტერ-პრიმაშევსკიმ დაწნულ ყუთში გადათვალა თავები და ერთზე შეაჩერა მახვილი მზერა.

— აი, ეს არ გვიფუთავდა დამკილულ კატამარანზე ჩალის ყუთებს, რა ერქვა?

— დონ მიგელი. — შეახსენა ქვემოპოლიელითის განყოფილების გამგის მოადგილემ ბატონმა ვარდენნესიანმა. — ეგაა კი... როგორც ჩანს, გული მოაყვანია თავისიანებს.

— ჟალ! — შარიშურით შეახვია ფოლგაში ბიისტოლად დარჩენილი.

— ნამდვილია?! — იკითხა გაოცებულმა გენერალმა გორჩაკოვმა, ფოლგაშემოცლილი რომ გალანდა საკუთარ საწერ მაგიდაზე. ჭაღარა, სახედაღარული მიაჩერდა ზიზღით და ხელიც გაარიდა, თითზე კბენის შეეშინდა თითქოს.

— ხელოვნების ნიმუშია... — განუმარტა ვარდენნესიანმა, — თუმცა, უნდა სიმართლე ითქვას, ნამდვილია. დამზადების საიდუმლო საუკუნეების სილრმიდან მოედინება და ხიბაროების საკუთრებას წარმოადგენს... პრეპარირების ამ დონეზე ცივილიზაცია ჯერ არ მისულა, თანამედროვე მეცნიერებამ გამოყენებული წამლების ნახევარიც ვერ დაადგინა...

— ინტერესნო! — თქვა სახენაოჭლარშეყრილმა. — მერე რა, თავი კაკ თავი, თავი არ მინახავს?!

— დაპატარავებაშია, ნიკალაი ვასილიჩ, საქმე!..

— ეგ არი კი, ამ გამხმარ თავად გინდათ ამ დოკუმენტის განაღდება?! — რესპუბლიკის გერბ-ბეჭდიან ქაღალდს დახედა.

— ამას იმასთან კავშირი არა აქვს, ეს ისე, ნიკოლაი ვასილიჩ, რაც გვერგება... — აუხსნა მაისურაშვილმა.

— რა თხის ყვერები გერგებათ... მოგეცით, რაც შეგვეძლო, მოგეცით, როგორც ყნგ-ს წევრს... გვერგება, მომაბარეთ რამე, რა გერგებათ?.. სწორად მოფსმაც არ იცით!

— არ არის ᲧᲜᲑ -ს წევრი, იყო და გავიდა, უფრო სწორად და იმასაც ამლევთ, არანაკლები რაოდენობით, სხვათა შორის...

— პარიტეტული განაწილების მომხრე ვართ. ხმებს გვივრცელებენ, თითქოს არასტაბილური მდგომარეობისათვის ვიბრძვით ლურჯ ზღვაზე, ომი გვაქვს-თქოს პალმებში, მანდარინის ბაღებში, ლაჩინის დერეფანში, პერეკოპში, სივაშში! პირიქითაა, არ გჯერა?!

— როგორ არა.

— ერთმანეთს ხოცავთ, ყიდით, თქვენ არიეთ ყველაფერი, ცეცხლი ეკიდება გემს, ვიწვით, პალუნდრა! ჩაგახრჩობთ წათხეში! ჩვენა გვაქვს თანამედროვე იარაღი, უთანამედროვე, ზეთანამედროვე, იდიტე ვი ვსე ᲧᲜᲑ ნა ხუ-ღ!

ამაზონზე წვიმებია. წვიმს ირიბულად. ლბება და შრება აფუებული ნეშომპალა. წყლის გამჭვირვალე აბალაბუდებია გადაჭიმული ხეებზე. ყვითელი წყლები გადმოდიან კალაპოტებიდან. იწყება წყლისა და ტყის ომი.

— ბარანკო!

წყალი ძირს უთხრის კბოდეებს. ფესვგაშიშვლებული ტყე დგას ფუღურო ფლატეზე, ხორკლიანი წყალი ბანს ხეთა შიშველ ძარღვებს, ელვა ანათებს, ცისფერწითლად დაკლაკნილი ხაზები კვეთენ ერთმანეთს.

— ბარანკო!

ზვავდება მიწა და უზარმაზარი ხეები ეხეთქება წყალს, ატივტივებულ მორებს. ხეთატეხის ხმა აყრუებს ტყეს, შიშს და ძრწოლას თესავს ტყეში.

— ბარანკო, ბარანკო! — მოთქვამენ ბუები.

და გადაიკარებს. მთელი წელი, ცხრა თვის გარდა, მზე იქნება. მზე ოქროსფერებს ჩააფენს წყალყვითელაში. აფეთქდებიან ბუტკოები შამბში. დაიწყება სროლა, ფთილა-ფთილად დაეკიდება წამლის ქულები შავზღვისპირეთს... ისვრიან სილაჟვარდეში.

უსაქმოდ დარჩენილი ხიბაროები შრებიან დალეშტრილ მინდვრებთან ერთად. მსუბუქ ბურში ატარებენ მზერას, იხედებიან ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით. მწვანე ფარდებს იქით მწვანე ფარდებია. ათასნაირფერებიანი, მოფარფატე პეპლებია მიხატული გარხეულ კრეტსაბმელებზე. ყვავიან ხეს აყოლებული ეპიფიტები, ორქიდეები, ფიკუსები. ლიანები ახრჩობენ და ეფერებიან ხეებს. კაშკაშებენ ყვავილები წვეროკანებზე ალისფრად, თოვლისფრად, სისხლისფრად.

1993 წ.

ბ-0-157

საგანგებო კომისიის დასკვნა თვითმფრინავ ბ-0-157-ს კატასტროფის თარიღზე.

ოფიციალური ტექსტი გამოქვეყნებულია.

საგანგებო კომისიაში შევიდნენ: მთავრობის, პროკურატურის, პარლამენტის, ტრანსპორტის სამინისტროსა და ხარკოვის საავიაციო აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს წარმომადგენლები.

რესპუბლიკის საავიაციო კორპორაციის კუთვნილმა სამგზავრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა ბ-0-157 კომერციული რეისის დროს, აფრენიდან 28 წუთის შემდეგ, მიწიდან 400 მეტრზე, დაკარგა მართვა და ჩამოვარდა თბილისის გარეუბანში, ყოფილი ჩკალოვის, ამჟამად ძაგნიძე და ჩხიკვაძის დასახლებაში. დაიღუპნენ: ეკიპაჟი (მთლიანად), მგზავრების უმრავლესობა, ზემოთ ხსენებული დასახლების ზოგიერთი მაცხოვრებელი და რამდენიმე გამვლელი.

კომისიის წევრთა მიერ მოპოვებული ძიების მასალების, გადარჩენილ მგზავრთა, საჰაერო ფლოტის მოსამსახურეთა გამოკითხვის, ხარკოვის საავიაციო აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დასკვნებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა:

სატვირთო-სამგზავრო ლაინერის ბ-0-157-ს ეკიპაჟის მეთაური პირველი კატეგორიის მფრინავი, ადრე სამჯერ ნასამართლევი, საქართველოს დამსახურებული პილოტი შახარზიანი, ცენტრალური ბილიკიდან აფრინდა 17 საათსა და 38 წუთზე, 10 წუთის შემდეგ შეწყდა კავშირი სადისპეტჩერო პულტთან და განახლდა 18 საათზე, 12 წუთის შემდეგ ეკიპაჟის მეთაურმა, განსვენებულმა შახარზიანმა, მიზეზის დაუსახელებლად, მოითხოვა უკან დაბრუნება. როგორც ირკვევა, იგი ტრიალებდა დედაქალაქის სამხრეთით (ეს კარგად უნდა სცოდნოდა სადისპეტჩერო სამსახურს) და თავდაპირველი კურსი აღებული ჰქონდა არა მინერალური წყლებისაკენ, სადაც საბორტო ვარაუდით უნდა გაფრენილიყო, არამედ პირუკუ.

ეკიპაჟის ექვსი წევრისა და საბილეთო სალაროში გაფორმებული 21 მგზავრის გარდა, ყველა ვარაუდით, თვითმფრინავში იჯდა 200-დან 228-მდე ადამიანი საბაჟო წარმომადგენლების, სამხედრო ფორმირებათა წევრების, რუსეთის ჯარების, ახალქალაქის გარნიზონის მესანგრეთა ათეულის ჩათვლით. დაღუპულია გამოჩენილი მესანგრე, ავღანეთ-საბჭოთა კავშირის გმირი, ლეიტენანტი შინშინი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ არ მიიღო სამძიმარი, განაცხადა, რომ რუსეთისა და ესენXyს არმიის ჯარისკაცები თვითმფრინავში არ იმყოფებოდნენ, ლეიტენანტი შინშინი კი პეტერბურგის საზღვაო-სამედიცინო აკადემიის ჰოსპიტალში იტარებს მკურნალობის სრულ კურსსაო. თვითმხილველთა ჩვენებით, საქართველოს დამსახურებული რადისტის გალინა — მიშჩ-ვას (მიშჩ-ვას გვამი მაჯების ინიციალებით გ. მ. სვირინგებით, "ნაკოლკით" იქნა ამოცნობილი) თავდაპირველი სარაციო საუბრით დადგენილია: მესანგრეები, დიდი დავისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ რომ აუშვეს ტრაპზე, მოათავსეს ლაინერის ბოლო ნაკვეთურში, რომელიც კუდთან ერთად მოძვრა ძირითად ნაწილს, ჩამოვარდა რა ძაგნიძე და ჩხიკვაძის (ყოფილი ჩკალოვის) დასახლების განაკიდეს, დაანგრია ნავთობბაზის ადმინისტრაციული შენობა და გააჩინა ხანძარი, რომელიც დღემდე ლიკვიდირებული არ არის.

სალონში მოთავსდნენ ადგილობრივი საჯარისო ფორმირების „კავალერიის" შეიარაღებული ჯგუფები, რომლებთაც სატაბელო ავტომატურ იარაღებთან

ერთად მიჰქონდათ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და დაზგის ორი ტყვიამფრქვევი სამამულო (საბჭოთა კავშირის) წარმოებისა. გოგი ოქროჩალაღაჯიშვილმა კომისიას განუცხადა, მებრძოლები ჩემი არაოფიციალური ნებართვით, უბრალოდ მიემგზავრებოდნენ მათხოჯში (ხონი) ძმაკაცის მამის დაკრძალვაზე, მაგრამ ჩასხდნენ თუ არა თვითმფრინავში, არ ვიცი; დაღუპულთა გვამების დაკრძალვიდანა თვე-ნახევრის შემდეგაც, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ხონიდან არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა მიღებული. სალონში, აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, საქართველოს დამსახურებულმა ბორტმექანიკოსმა, მეტსახელად „რამკამ" აღმოაჩინა ავტომანქანის მოტორი საქარხნო ნომრით #000056. შემოწმებისას გაირკვა: მოტორი #000056 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანიდან (რაფი) იყო ამოღებული. რაფი კი, რომელიც კვლავ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ბალანსზე იმყოფებოდა, აზერბაიჯანიდან ეზიდებოდა გაზეთ „საქართველოს ნახირის" მატრიცებს, ცხადია, სხვა მოტორით.

წინასწარი მონაცემებით, თვითმფრინავი ბ-0-157 იმთავითვე არ პასუხობდა საავიაციო-სანავიგაციო ნორმებს და საწვავის სისტემის უწესრიგობის გამო, შიგადაშიგ გამოდიოდა მწყობრიდან. სხვადასხვა დროს გაუჩერდა სხვადასხვა მოტორი და პილოტმა რამდენჯერმე ერთი ძრავით დასვა მინდორზეო. ეს არ უნდა შეეფარდებოდეს სინამდვილეს, რადგან, ხარკოვის საავიაციო აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დასკვნით, თვითმფრინავ ბ-0-157-ის ერთი, გინდაც ორი ძრავით მუხიანის აეროსამსახურში დასმა პრაქტიკულად შეუძლებელია და ეკიპაჟის წევრთა საზრიანობა და მამაცობა, რაზეც პროტოკოლში ყურადღებაა გამახვილებული, არაფერ შუაშია. სიჩქარის მაჩვენებელი, იგი დაუზიანებლად იპოვეს ძაგნიძე და ჩხიკვაძის, ყოფილი ჩკალოვის, დასახლებაში, 270 კილომეტრის ნიშნულზეა გაჩერებული (ზღვრული ნორმა 260), რაც ოთხივე მოტორის, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მონაკვეთზე, ნორმალური მუშაობის მაუწყებელია.

გასულ წელს, სათანადო დოკუმენტაციითა და საბუღალტრო აღრიცხვით, საწვავის მოწოდების სისტემა გაასწორა საფრენი მომსახურების ავტომექანიკური საამქროს ბრიგადამ, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ამ სისტემაზე: ფიუზელაჟის კორპუსი რამდენსამე ალაგას გახვრეტილია აკს-ის სისტემის ტყვიებით, რაც წინა რეისის დროს მომხდარი უმნიშვნელო ინციდენტის შედეგია და კატასტროფის (სათანადოდ იქნა ჭუჭრუტანები დაკალული) მიზეზად არ გამოდგება.

სამგზავრო თვითმფრინავის საატრანსპორტოდ გადაკეთებისას საკონსტრუქტორო ბიუროსა და მთავარი კონსტრუქტორის ნებართვის გარეშე და რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ სამონტაჟო ბრიგადამ გ. ი. მანულიანის ხელმძღვანელობით სამგზავრო სალონში, ნაცვლად 19 სავარძლისა, მოხსნა 145 სავარძელი, რითაც დაირღვა წონასწორობის ცენტრი და თვითმფრინავმა საცდელი აფრენის პირველსავე ეტაპზე გადაუარა საფრენ ბილიკს, ცალი ბორბალი წამოსდო სასიგნალო სვეტს და ორიენტაციადაკარგულმა მინდორ-მინდორ იფხოკიალა ვირის ხევამდე. ამის შემდეგ, სალონში, გრაფიკული ნახაზის გარეშე, დამატებით ჩამონტაჟდა მხოლოდ 20 სავარძელი, რითაც სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა კუდში (შედეგი იხილეთ ზემოთ). ავიოკონსტრუქტორთა მოთხოვნას, სავარძლების კვლავ დამატების თაობაზე, პასუხი არ მოჰყოლია. კატასტროფის ადგილზე კი აღნიშნული სავარძლების ნარჩენებთან ერთად, დაუზიანებლად იპოვეს 1927 წლის ფრანგული მოდელის, მფრინავ ვოდოპიანოვის გადაკეთებული, შემდეგში ვოდოპიანოვ-ბურჟეს სახელით ცნობილი მბრუნავი სავარძელი. საიდან აღმოჩნდა იგი ბ-0-157-

ზე, კომისიამ, კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, აეროფლოტის ხელმძღვანელობისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო.

სავარძლების დემონტაჟის, ნაწილობრივი მონტაჟისა, ნაკვეთურების გადატვირთვის, ყოვლად გაუმართლებელი, ეკონომიკური და მორალური თვალსაზრისით, საძინებელი სალონის გამართვის შედეგად, ადგილობრივმა ხელოსნებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული, თვითმფრინავის „ქართული მოდელი", რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.

გაზიდვის ქვესამსახურის უფროსის, „კავალერიის" წევრის ტარიელ წინაწყენაშვილის ჩვენებით, ფირმა „ლუკას" წარმომადგენელმა გააფორმა და იარაღის მუქარით თვითმფრინავში ჩატვირთა 27 ტონა პირობითი ტვირთი, წინასწარშეთანხმებული 18 ტონა ჩაის ნაცვლად. შეიძინა 21 სამგზავრო ბილეთი წარმოდგენილი პასპორტების მიხედვით, მაგრამ ჟურნალში რეგისტრირებული გვარები არ დაემთხვა გვამების პირადობის დამადასტურებელ საბუთებს; მგზავრები, რომელთა სახელებზედაც ბილეთებია გაცემული, თუ არ ჩავთვლით, ადრევე უგზო-უკვლოდ დაკარგულ ორ მოქალაქეს, ცოცხლები აღმოჩნდნენ, თუმცაღა, დაღუპულთა ვინაობაზე ვერავითარი ცნობები ვერ მოგვაწოდეს.

მგზავრებმა, იარაღებმა, გაურკვეველი დანიშნულების საგნებმა, ფირმა „ლუკას" კომერციულმა ტვირთმა (ჩაის ყუთებში გადადნობილი სპილენძის სადენები აღმოჩნდა) შვიდჯერ გადააჭარბა ტვირთზიდვის საკრეისერო ნორმას. მიუხედავად ამისა, თვითმფრინავი მოსწყდა მიწას, დაეუფლა სიმაღლეს და იქვე იცვალა კურსი; საბორტო-სანავიგაციო სისტემაში უწესრიგობის სიგნალები კი ეკიპაჟს არ გადმოუცია. მაშ, რა მიზეზით მოითხოვეს დაბრუნება, ვინ გასცა დაფრენის ბრძანება? ძმაკაცის მამის დაკრძალვაზე გამგზავრებულ „კავალერიის" შეიარაღებული ფორმირების ბიჭებთან შეხვედრა სუბიექტური, უფრო კი, ობიექტური მიზეზით არ მოხერხდა, ვაზიანენერგოს რაიონში დისლოცირებულმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას არდამორჩილებულმა, სპეცდანიშნულების (პ. ვ. ო. უ.) ნაწილის წარმომადგენლებმა ჩვენებაზე უარი განაცხადეს. შავმა ყუთებმა მოლოდინი არ გაამართლა. ერთი დამწვარი, მეორე, რომელიც, სტამბოლის ბაზარზე აღმოაჩინეს, მთლიანად გაძარცული აღმოჩნდა.

თვითმფრინავ ბ-0-157 სვლაგეზს, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ინტერპოლი, კერძოდ, ნარკოტიკების გამსაღებლებთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციის განყოფილებაც ადევნებდა თვალს. მაგრამ მათი მონაცემები დასკვნების გარეშე გამოქვეყნდა პრესაში, სადაც ახალი არაფერია თქმული. დაღუპულ მგზავრთა, მშვიდობიან მოსახლეთა და გამვლელთა — სრული რაოდენობის დადგენა ქვეყანაში არსებული ურთულესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო, შეუძლებელია. დანგრეულია ათობით სახლი, სამეურნეო და ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობანი, წახდენილია ნათესები, მიწის სავარგულები. დაღვრილია დიდი რაოდენობის, რთული შემადგენლობის ტოქსიკური, სავარაუდოა, ფსიქო-პარალიტიკური, ბლანტი სითხე. იგი შეერია გრუნტს, შეიძლება გაჟონა გრუნტის წყლებში. როგორ იმოქმედებს ეკოსისტემაზე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე, არავინ იცის. შესაძლებელი იქნება თუ არა, იმ რაიონში ცხოვრება, ამას შემდგომი კვლევა-ძიება და გაზაფხული დაადასტურებს.

გაეროს საგანგებო დამკვირვებელმა სერ პატრიკ-დუგლასმა ქალაქ თბილისის რამდენიმე სამშობიარო სახლი მოინახულა. პალატებში ნახა სილარიბე, სიცივე, უხალისობა. უმეტესწილად, გოგონები იბადებიანო, — აუხსნეს. მეომარ ქვეყნე-

ბში პირიქით ხდება ხოლმეო, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს გაოცებულმა სერ პატრიკ-დუგლასმა. ერთ სკოლაში საგანგებოდ შერჩეული პატარები მაჩვენესო, იფიქრა, როცა სხვაგან უკეთესები აღმოაჩინა, ამნაირი კარგი ბავშვები ფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მინახავსო, დაასკვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათოვდა. ტრანსპორტი დადგა და ხალხი ქუჩებში გამოვიდა.

ასეთი მაღლები, ასეთი ლამაზები!

გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა გაეროს წარმომადგენელი მოკლე კაბებში გამოწყობილ, შავწინდებიან გოგონებს სითეთრეში.

და კვლავ თოვდა, აფხაზეთში დაღუპული ჭაბუკი დაკრძალეს ბექობ სასაფლაოზე. საკუთარი ღირსებით დათრგუნვილი საზოგადოება იდგა თოვაში. დუმდნენ მარტივად, მსუბუქად ჩაცმულნი. თოფები ესროლეს ჩამომხობილ ცას ახალგაზრდა მეომრებმა. სროლას თოვლის შრიალი შეენაცვლა.

„ჩემზე მაღალი იყო!" — გაიფიქრა მამამ. ტყავის პალტოს ჯიბიდან სათვალე ამოიღო, აცახცახებული ხელით მოირგო შეთოვლილ სახეზე, ღია სამარესთან გაშხვართულ შვილს დააკვირდა, შეტრიალდა, გრძელი ნაბიჯებით გავიდა...

დილით აღარ თოვდა. ქათქათებდა სასაფლაო. ჯერ არ გაეკვალათ მამებს ბილიკები შვილების სამარეებისაკენ. შეციებული ქალაქი ჩანდა ქვევით თეთრად.

და იყო დუმილი სუდარაწაფარებული ქალაქისა.

1993 წ.

ატროპოსი
(Acherontia atropos)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოხელა დედას ჰყავდა ერთი ქალიშვილი სახელად ალა. დედა მუშაობდა თბილისის ახალი რაიონის წიგნის მაღაზიის ხელისმომწერთა განყოფილებაში; არ გაურბოდა საზოგადოებრივ-პროფკავშირულ, პარტიულ და სხვა სამსახურებს, ბოლო დროს საარჩევნო კომისიების მუშაობაში იღებდა მონაწილეობას და ქმარგაყრილი ქალის ქალურ უფლებებსაც (მისი მსოფლმხედველობით) კანონიერად იყენებდა; ალა კი იზრდებოდა ბებიებთან: ღვიძლ ბებიასა და ბებიდასთან. ქალები ცხოვრობდნენ სამოთახიან სტანდარტულ ბინაში, რომლის სამხრეთი ფანჯრები მთაწმინდის კალთებს უყურებდა საბაგირო გზის მონაკვეთში. ბებიები ქსოვდნენ. ფანჯრიდან გასცქეროდნენ მთაწმინდის ფერდობებს, წელიწადის დროის ბრუნვასთან ერთად რომ იცვლიდნენ ფერებს. ლარნაკებში, ვაზებში ეწყოთ მინდვრის ყვავილები, თრიმლის წითელფოთლებიანი რტოები. ქსოვდნენ. ელოდნენ სტუმრებს, იშვიათად რომ გამოჩნდებოდნენ. სტუმრებთანაც ქსოვდნენ ჩაის შემდეგ. ქსოვდნენ. ვერ აუდიოდნენ საქსოვს. არ ჩქარობდნენ. ზედმეტს არ ეხარბებოდნენ. შვილიშვილის ცხოვრებას ადევნებდნენ თვალს; ალას ამხანაგებზე, ალას სწავლაზე, ალას მომავალზე მსჯელობდნენ. ერთი ამბობდა, მე თუ გავთხოვდი, რა სიხარული ვნახეო; რომ ვერ გავთხოვდი, იმიტომ წამივიდა ჩემი ცხოვრება კარგადო, ნანობდა მეორეც.

ალამ რუსული სკოლა დაამთავრა და ქართულ უნივერსიტეტში შეიტანა საბუთები. მოეწყო ქართულ ფაკულტეტზე. ალა ამაყობდა ქართული გვარით. უყვარდა, უფრო სწორად, უხაროდა, რომ ჰყავდა მამა, რომელიც მისაღები გამოცდების დროს მოიახლოვა. მამა იყო ლამაზი, მხიარულიც, მამაკაცური; თუთუნით შეზავებული მამისნაირი სუნი ჰქონდა. ბავშვობაში მას ეს არ უგრძვნია.

მამამ ვერ მოასწრო პირველი შვილის შეყვარება. ეს სიხარული ჩაუშხამა პირველი ცოლის გაკიდეგანებამ. ალას შვილობა ვერ დაიჯერა. სხვისგან ჩასახული ეგონა. გაუცნობიერებლად უყვარდა კიდეც, მაგრამ შვილად ვერ წამობდა. გოგონა კი იზრდებოდა, თვალნათლივ ემსგავსებოდა მშობლებს. სკოლის დამთავრებისას შავგვრემან მამას ჰგავდა უკვე წითელი და ჭორფლიანი. დედა გვიან ბრუნდებოდა შინ, ადრე დაძინებულ ქალიშვილს ეფერებოდა, წითელ თმაში უყრიდა გრძელ, ბეჭდიან თითებს. მერე იყო და თავად ელოდა გასტუდენტებულს. დედის მოლოდინი უძილო და შფოთიანი იყო. შალმოხურული, ფანჯრის მინებს მიციებული ბებიები არ წვებოდნენ. დედა რომ ტელეფონს აწვალებდა, ნახევრად ბნელ ქუჩას, მანქანებით გაჭედილ საერთო ეზოს ჩასცქეროდნენ, მანქანის გაჩერების ხმაზე უფართოვდებოდათ თვალები. ლიფტის ხრიალზე კრთოდნენ. და მოდიოდა ალა ნარბენი, აწითლებული, ავარვარებულიც კი, კარის გაღებისთანავე რომ იწყებდა ტყუილისა და მართლის ერთნაირად ფქვას.

მამამ ალას უმაღლესში მოწყობაზე გამოიღო ხელი. ივარგა ბავშვმა, მამის ნაცნობ-მეგობრებმაც ივარგეს. მხოლოდ ქართულ წერაში გადაიხადა დიდი თანხა, ბუნებრივია, ქრთამის სახით. ფული ჰქონდა და არ დანანებია; რა იყო ფული მამაშვილობის აღმოცენებასთან შედარებით: ხელახლა დაებადა უფროსი ქალიშვილი, რომელიც ბოლომდე მაინც ვერ გაითავისა.

ალა უნივერსიტეტში დაუმეგობრდა თანაკურსელს, თეას. სიახლოვე განუყრელ მეგობრობაში გადაიზარდა. ლექციებზე ერთად ისხდნენ, ერთმანეთს არ შორდებოდნენ ლექციების შემდეგ. ფაკულტეტზე, კურსზედაც გამორჩეულ ალას ჰყა-

ვდა ბევრი თაყვანისმცემელი. თეა დობილთან იჩაგრებოდა, მაგრამ ტანმორჩილს, გამხდარს, თამამს ეშხი და მომხიბვლელობა არ აკლდა. პირველ კურსზევე ერთდროულად შეუყვარდათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ახალგაზრდა ლექტორი, რომელმაც დამამთავრებელი კურსის სტუდენტი შეაცდინა. შეცდენილი შეირთეთ თუ შეართვევინეს და მომდევნო წელს და — ქორწინებიდან ორი თვის თავზე შეეძინათ გოგონა, რომელსაც ცალ ფეხზე ექვსი თითი დაჰყვა.

დობილებმა ცრემლი ღვარეს უიღბლო სიყვარულის გამო ლექტორის დაქორწინების შემდეგ (რამდენად წრფელი იყო მათი, განსაკუთრებით ალას გატაცება, ძნელი სათქმელია) და დაწვეს დღიურები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რომ შეუვსიათ ახალგაზრდა ლექტორისაგან გულდამწვარ თაყვანისმცემლებს.

ზაფხულის სესიებზე თეას ზუგდიდიდან ჩამოუვიდა, როგორც თავად განაცხადა, ბიძაშვილი და როგორც შემდეგ გამოირკვა, ძალიან შორებელი ნათესავი „ოცდაოთხით". რამდენჯერმე, გამოცდასა და გამოცდას შუა, გაასეირნა დობილები სტუმარმა მანქანით ქალაქგარეთ. ერთ დღეს მოიყვანა მეგობარი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. ბიცოლაშვილიაო, გააცნო გოგონებს, რომლებთაც იქვე აერიათ, დაავიწყდათ, მეგობარი იყო თუ ბიცოლაშვილი. მანქანაში ჩასხდნენ და ბიძაშვილ-ბიცოლაშვილის პატიჟის მიუხედავად (ქალაქგარეთ გავიაროთო) გოგონებმა შინ წასვლა გადაწყვიტეს საგამოცდო სესიების მომიზეზებით. თეა ჩავიდა ტელევიზიის შენობასთან საქმიან პაემანზე. იგი უნდა შეხვედროდა ვინმე ალენს, რომლის გვარი არ იცოდა. ალა ავტომანქანაში დარჩა და იმ ღამით შინ არ დაბრუნებულა. ატყდა რეკვა. დაიწყო ძებნა. შუაღამით წამოაგდეს საწოლიდან თეა, რომელსაც ნაქირავებ ბინაში ტელეფონი არ ჰქონდა. თეამ, ალენთან შესახვედრად რომ გადავიდა, ალას დაკარგვის ამბავი არ იცოდა. მე ჩავედიო ტელევიზიის შენობასთან, სადაც პაემანი მქონდა ალენთანო. რაღაც მიზეზით, უფრო სწორად, უმიზეზოდ, ალენი პაემანზე არ გამოცხადდა და თეამ მიაკითხა შინ მინასწავლები მისამართით. ალენი იქაც არ დაუხვდა. არავითარი ალენი ამ სახლში არ ცხოვრობსო უთხრეს. ტელევიზიის ოპერატორმა კოტემ, რომელიც დაუსწრებლად სწავლობდა უნივერსიტეტში და დობილები შეთვალთვალებული ჰყოლია, თეა სწორედ იმ დღეს დაინახა ტელევიზიის პარმაღის შუშის კართან, მაღალ ბიჭთან ერთად. ბიჭი იყო თვალშისაცემად მაღალიო, გაიმეორა, მოგვიანებით თქვა: არაა გამორიცხული, რომ ისინი სრულიად შემთხვევით მოხვდნენ გვერდიგვერდ და ერთმანეთს არც იცნობდნენო. თეამ იუარა: იმ დღეს მაღალი მამაკაცი საერთოდ არ შემიმჩნევია, თორემ აუცილებლად დამამახსოვრდებოდა, რადგან სიმაღლის შური მჭირს, ამ ნაკლით დაკომპლექსებული ვარო. შემდეგ გაახსენდა: წინა დღით გაცნობილმა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა, ალას ახლობლად რომ ასაღებდა თავს, ტელეფონის ნომერი შესთავაზა: ჩაიწერეო, სთხოვა რამდენჯერმე. არ ჩაიწერა. ზეპირად მახსოვსო, წამოიძახა, როცა ბიჭმა თავი მოაბეზრა. თეა ნანობდა, რომ არ დაიმახსოვრა ტელეფონის ნომრები, რომლითაც მაინცდამაინც არავინ დაინტერესებულა. მეორე დღეს მანქანის და არა სხვისი ტელეფონის, — ნომრების მიხედვით მოძებნეს ზუგდიდელი ახალგაზრდა და რომ არ დაეფრთხოთ, მოსთხოვეს ავტომანქანის მართვის მოწმობა და ტექნიკური პასპორტი. მანქანაო, განმარტა, გადაფორმებულია დედაჩემზე, მაგრამ აღრიცხვაზეა აყვანილი თბილისში მამაჩემის ადრინდელი მისამართის მიხედვითო. საბუთებიც ინახება მამასთან, რომელიც ამჟამად იმალებაო. ახალგაზრდა გამომძიებელი სხვას რომ აბნევდა და თვითონ დაიბნა, წონასწორობიდან გამოვიდა და სად არის ესა და ეს პიროვნებაო, ჰკითხა ჯიქურ.

— ალა?! — გაიოცა ბიჭმა. — სად იქნება ალა?!

... თეა ჩავიდა ტელევიზიასთან, ქუჩაში, ეზოდან ჩამომავალ კიბესთან, ელოდა მაღალი ბიჭი, ეცვა თეთრი კოსტიუმი, შეიძლება იყო დეპუტატი, შეიძლება სპორტის ოსტატი, იქნებოდა ოცდაორი წლის... მეორე ჩვენება ამნაირი იყო: ალა ჩავიდა სპორტის სასახლესთან, დავრჩით ჩვენ მარტო. ჩემი ბიცოლაშვილი და მე. რატომ ჩაუშვი მაგენიო, ეწყინა ბიცოლაშვილს. იგი ჩავიდა გეპეისთან, გიორგი საკაძის ძეგლი რომაა... გოგონებს არ იცნობდა, მეორეს არც მე ვიცნობდი, პირველად ვნახე...

„ოცდაოთხის" პატრონმა მეტი ველარაფერი გაიხსენა. დაიკითხა თანამგზავრი: იგი მართლაც სტუდენტი და რაც უცნაურია, „ბიცოლაშვილი" აღმოჩნდა, საშუალო სკოლა არ ჰქონია დამთავრებული და უკვე რამდენჯერმე ყოფილა ნასამართლები მომდევნო დაკითხვაზე კატეგორიულად განაცხადა: „ვაბშჩე" არ ვიცი არაფერი, იმ მანქანაში შემთხვევით მოვხვდიო. დააკავეს და სამი დღის შემდეგ, ნაცნობ-ნათესავების ჩარევითა და მეცადინეობით და მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო, გამოუშვეს. ალა ვერ ნახეს მეორე დღეს, ვერც მესამე დღეს. გათენდა მეოთხე დღე და მოხდა საინტერესო: თეას ძილში გაახსენდა ტელეფონის ნომერი, თეას ახლობელმა რომ დაამახსოვრა და გონებიდან ამოუვარდა შემდეგ. ამ აღმოჩენით გახარებული სახლის პატრონის, სადაც ბინა ჰქონდა დაქირავებული, ქალიშვილთან სვეტა გვილავასთან ერთად ფეხით ჩავიდა პროფკავშირების სასახლემდე და ტელეფონ-ავტომატით სვეტა გვილავას თანდასწრებით აკრიფა დამახსოვრებული ნომრები. ყურმილი აიღო ალამ და ხმაშეცვლილმა ელაპარაკა. არ შეეშინდეს დედას, მალე დავბრუნდები შინო. სად ხარო, სულმოუთქმელად ჰკითხა დობილმა. ძალიან ახლო შენგანო. გელაპარაკები და ფანჯრიდან გიყურებო, ტელეფონ-ავტომატიდან რეკავ, გვერდით გიდგას სვეტა გვილავა, რომელსაც მწიფე ქლიავისფერი კაბა-შარვალი აცვიაო. თეამ ტელეფონის ყურმილი მიიტანა სვეტა გვილავას ყურთან. გვილავამ, როგორც შემდეგ ახსნა, გაიგონა ალას ხმა, მაგრამ ალა იყო თუ არა, დარწმუნებით ვერ თქვა.

საიდან, რა წერტილიდან შეიძლებოდა მეორე ხაზზე მყოფ აბონენტს დაენახა და დაწვრილებით აღეწერა ჩაცმულობა პროფკავშირთა სასახლის ტელეფონ-ავტომატის ქოლგის ქვეშ გაჩერებული გოგონებისა? გადაამოწმეს ახლომდებარე საცხოვრებელი სახლებისა და მრავალსართულიანი დაწესებულებების ზედა სართულები, დაჰკითხეს დაწესებულებების თანამშრომლები და მობინადრეები. ძიებამ (არაფერ სიკეთეს აქედან რომ არ გამოელოდნენ) ნაყოფი არ გამოიღო. ტელეფონის ნომრები კი, რომლებიც თეამ ძილში წამოაბოდა, სხვა რაიონის, კერძოდ, კულტურის სამინისტროს საერთო განყოფილების საკუთრება აღმოჩნდა. მაღალჭერიან, ვეებერთელა ოთახში შვიდი მაგიდა იდგა და საერთო განყოფილების შვიდი მაგიდის შვიდი პატრონი არც ალას იცნობდა, არც სვეტას, არც თეას, არც ამ ისტორიას. მხოლოდ იმ დღეს, საღამოთი გახდა ქალაქისა და რესპუბლიკის საზოგადოებისათვის ცნობილი მომხდარი ამბავი.

გამოაცხადეს:

სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ამა და ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გოგონა (გვარი, სახელი, მამის სახელი და ასე შემდეგ). არის საშუალოზე მაღალი, მკერდსავსე, აქვს ცეცხლისფერი თმა, ოდნავ დაჭორფლილი სახის კანი. ლურჯი, ზღვისფერში გადასული თვალები. ყელზე ჰკიდია ვერცხლის ყელსაბამი მარჯნის მძივით. თუ ვინმემ რაიმე იცის დაკარგულის ასავალ-დასავალის შესახებ დარეკოს მილიციაში ან ბინაში (ტელეფონის ნომრები).

ალას გვამი იპოვეს განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს ხუდადოვის ტყეში, ნეშომპალასა და ხმელ ფოთლებში შეხვეული. იგი აღმოაჩინა ელექტრომექანიკური ქარხნის ზეინკალმა ვინმე ნევზოროვმა, რომელიც (მისივე განმარტებით) არყის გადამალულ ბოთლს ეძებდა. მასვე აღმოაჩნდა ჯიბეში ალას მარჯნისძვირფასი ვერცხლის ყელსაბამი. ნევზოროვი შემთხვევით დაიჭირა და უმიზეზოდ გაჩხრიკა სხვა უბნის (სიგარეტის საშოვნელად გადავედი იმ რაიონშიო) რწმუნებულმა ფიცხელაურმა. გვამს ეტყობოდა ძალადობის აშკარა ნიშნები. შემოხეული ჰქონდა ტანსაცმელი, საცვლები. მომხდარი იყო Flos virgineus-ის დეფლორაცია. არც ცივი იარაღის, არც ბლაგვი საგნის დარტყმის კვალი არ აჩნდა. ფილტვებისა და გულის პათანატომიური ზედაპირული ანალიზით გარდაცვლილი იყო სულის შეხუთვით, გაგუდვით. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სამძებრო განყოფილებისა და პროკურატურის მუშაკები. ამოცნობაზე, მიცვალებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა და მაინც, გამოიძახეს ალას მამა და თეა. არაფერი შეატყობინეს თავდაპირველად დედას და ბებიებს. ამ სახით, თუ ეს აუცილებელი არაა, დედას გვამი არ ვაჩვენოთო, ითხოვა შეძრწუნებულმა მამამ, თუმცა ეს უკვე მისი საქმე იყო და არა ძიების. შინ რომ ბრუნდებოდა, მანქანა დააჯახა გაჩერებულ, ძველ „მოსკვიჩს". ინვალიდი მძღოლი მანქანაში ჩაკეცილი ყოფილა და საპარიკმახეროში შესულ ცოლს უთვალთვალებდა თურმე. შენი ოჯახი დაიქცაო, ძლივს გადმოათრია მეორე ფეხი, რა მიქენი ეს, როგორ დამლუპეო. დაჯახების ხმაზე მოცვივდნენ მოქალაქენი, გაამტყუნეს, რასაკვირველია, დამჯახებელი. შვილი მისვენია მკვდარიო, ვერ იმართლა თავი. ეს განცხადება ეფექტს მოახდენდა ბრბოზე და კაცს ეგ არ უნდოდა. თანაც შვილები ნამდვილად და არანამდვილად ჰყავდა დაყოფილი და მიცვალებული (არანამდვილი) ახსენებდა ნამდვილთ (იმათაც ხიფათი ელოდა, ეგონა) მისი სიცოცხლის საშფოთარს და საწუხარს. ყაყანში და გარიგებაში ინვალიდს გადაავიწყდა ცოლი, რომელიც შინ დაუხვდა და დღესო უთხრა, ფეხი არ გამიდგამს სახლიდანო.

მიცვალებული თუთიის თავდაგმანული სარკოფაგით მოასვენეს, გახსნა არ იქნებაო, თქვეს და გახევებულ დედას პროტესტი არ გაუცხადებია. გაშტერებული იჯდა მთელი დღე, მთელი ღამე; რა ხდებოდა, რა ტრიალებდა მის თავს ვერ ხვდებოდა, ან ვერ გრძნობდა. მოჭირისუფლო ადამიანები, გულისამაჩუყებელ ფაქტორებს რომ ეძებდნენ, ამ ფაქტს სხვადასხვანაირად, კარგად და ცუდად, ხსნიდნენ. იყო მითქმა-მოთქმა არა მარტო იქ: უმაღლეს სასწავლებლებში, დაწესებულებებში, ზემდგომ სახელმწიფოებრივ ორგანოებში სხვაგან და სხვაგან. ძიება მუშაობას განაგრძობდა, გადიოდა გვერდზე, თანდათან შორდებოდა საქმეს, ფაქტებს და სინამდვილეს, თუმც დაკითხვები, დაპატიმრება-განთავისუფლებები არ წყდებოდა. უნივერსიტეტის ამხანაგებმა ფულის შეგროვება დაიწყეს. ვიღაცამ თქვა, დედა მაგისი არაა ქართველი და უფრო უარესიცო, რატომ უნდა დარჩეს ფული საქართველოსი იმ ხალხის წარმომადგენელს, ვისთანაც გამწვავებული ურთიერთობა გვაქვსო. ფულის აკრეფას პოლიტიკური სარჩული ამოუდეს და შეწყვიტეს.

ბოლოსწინა პანაშვიდზე ტელეფონმა დარეკა, ვიღაც ქალმა ალას დედა (ჩანდა, სახელიც არ იცოდა) იკითხა. ქალბატონოო, ხმას დაუწია ჰოლში ოჯახის ახლობელმა მამაკაცმა, თქვენ არ იცით აქ რა ამბავია?

— რომ ვიცი, იმიტომ ვრეკავ, აიღოს ყურმილი! — უსიამო ხმით მოითხოვდა ქალი და ვინაობას არ ამხელდა. ახლობელი უხერხულობას ვერ ფარავდა, სად წაეღო არ იცოდა ყურმილი. გადაეცითო მაშინ, ალას დედასთან დალაპარაკება რომ ვერ მოახერხა, სათქმელი სხვას უთხრა, რატომ აფერისტობს, სხვის მკვდარს რატომ ტირის, ხომ ძალიან კარგად იცის, მაგისი ქალიშვილი რომ ცოცხალიაო.

— ვინ ბრძანდებით თქვენ?!

ქალის ხმა შეწყდა. ხაზიც გაითიშა. წყვეტილი სიგნალები წამოვიდნენ შორეთიდან, შეიძლება სხვა ქალაქიდანაც კი. გაოცებულმა ახლობელმა იქაურებს გადახედა, ხომ არაფერი გაიგონესო. არ გავამხელო, ჩაითქვა, მაგრამ ვეღარ მოისვენა და თქვა. ასე დარეკეს, ასე მითხრეს, სისულელეა ყველაფერი და ნუ გავახმაურებთო (გახმაურებული იყო უკვე). დედის ყურამდე მივიდა ბოლოს ეგ ხმა. იყუჩა. იფიქრა დედამ და ახადეთ თავი სარკოფაგსო, მოითხოვა. უშალეს, არ დაიშალა. ახადეს შიშით. გვამი კიდევ უფრო წამხდარი ეგონათ და პირიქით აღმოჩნდა. დედის თვალწინ გადააცალეს სუდარა მიცვალებულს. მისი ნაშობი ინვა წითელი თმით, გასპეტაკებული. სახის ნაკვთებიც დალაგებოდა, ახალ მიძინებულს ჰგავდა. იმ ღამით მიხუჭა თვალი დედამ და შეშფოთებულმა გაიღვიძა ნაშუაღამევს. ქალიშვილი ეზმანა: თეთრი კაბით გამასვენეო, სთხოვა. დედა საფეთქლებს ისრესდა, გამოცხადების მთელი სურათის აღდგენა უნდოდა. ვეღარ იხსენებდა, რომელ თეთრ კაბას ითხოვდა მისი ასული. იქნებ საქორწინო სამოსლით, არასოდეს რომ არ უნატრია, სურდა სამარადისო სამყოფელში გადასახლება. ხომ არ მოიგუნება მოსწავლის თეთრწინსაფრიანი ლურჯი ფორმის კაბა, ისე რომ შვენოდა სკოლის დამთავრებისას, ყველა მონაფე-ქალიშვილისაგან გამორჩეულს. არც ერთი, არც მეორე. თეთრი კაბა, ჩვეულებრივი თეთრი კაბა. შეუკერეს და ჩააცვეს თეთრი კაბა, წითელ ყვავილებს რომ ამოეფინა კუბოში გასვენების დღეს. დედა თავთით უჯდა, კაბას ხელს უსვამდა, ახალ შეკერილს ნაოჭებს უსწორებდა, მომსვლელ-გამსვლელს ვერ ხედავდა.

ცხელოდა ამწვანებულ სასაფლაოზეც კი. სამარეში ჩაასვენეს სიჩუმეში. დედამ კუბოს დახედა, შავებში გახვეული, თავაწეული, ცრემლგადმოუდინებელი გამობრუნდა. დადუმებული ხალხი ორად გაიყო. გზას უთმობდნენ და თვალს არ აშორებდნენ მაღალს, ლამაზს, უკვე ქალობადაკარგულს.

ფეხებდასიებული, სხვის გასვენებაში მოსული შავოსანი დედაკაცები ისხდნენ სხვის სამარეზე, დედის დანახვაზე წამოდგნენ მობრეცილი სახეებით.

შემოდგომა მოვიდა.

დაწითლდნენ თრიმლის ხეები მთაწმინდაზე.

ბებრები აღარ ქსოვდნენ, აღარ ლაპარაკობდნენ. ბებია დაყრუვდა, ბებიდას კიდევ უფრო დაუქვეითდა თვალისჩინი. დედა სამსახურში გავიდა. ოთახებში სიმარტოვე, ბალზამისა და დამჭკნარი მინდვრის ყვავილების სუნი დარჩა.

და კვლავ ნახა ქალიშვილი დედამ ძილში: საფლავზე მოდი, დიდი პეპელა მოფრინდება ჩემი სული იქნებაო.

მივიდა. არყის ხის მორებით შემორაგულ საფლავზე დაალაგა ყვავილები და დაჯდა მერხზე ყვავილებთან. სიჩუმეში, სიუკაცრიელეში გაბმული ტირილი შემოვიდა შორიდან, ტირილი ჩიტების ჟივჟივმა შეცვალა. დუმილის ხმები ბატონობდნენ სასაფლაოზე. ხის კენწეროებს არხევდა ნელი ნიავი, თითო-ოროლა ჯერ კიდევ ნედლი, მაგრამ ყვითელი ფოთოლი წყდებოდა ტოტებს, საფლავებზე ცვიოდა.

მოფრინდა პეპელა მკვდართავა. ფარფატით შემოუარა სამარეს და წრიპინი დაიწყო. ჩიტი ფხაჭნიდა მინას ჭვანგებით. დედას არც ამნაირი პეპელა ენახა, არც ამნაირი, ჩიტის ჭვანგების მინაზე ფხაჭნის, ხმა სმენოდა პეპელასაგან. ყვითელშავად შეფერილს შავ-ყვითელი თავის ქალა ეხატა მუცელზე. იფარფატა მკვდართავამ და მკერდზე დააჯდა ფრთების რნევით. წრიპინი შეწყვიტა. კიდევ რამდენჯერმე ააფრო ფრთა და დედის ძუძუზე მოკალათდა.

დედა არ ინძრეოდა, მშვიდად, ზომიერად სუნთქავდა. მკვდართავაც არ ატოკებდა ფრთებს. მზე ესვენებოდა, ყვითელი ქვიშის დრო მიექანებოდა თავდალმა, ყვითელ სხივებში ეხვეოდა ქალ-პეპელა.

სასაფლაოს ქალი გამოვიდა ვიწრო ბილიკით, ღვიის ბუჩქები გამოარღვია, ვედრო გაარახუნა რკინის მესერზე. დედა გამოფხიზლდა, პეპელა გაფრინდა.

ექვსი საათი მჯდარა გაუნძრევლად და გაბრუჟებული ფეხები არ დაემორჩილა. სასაფლაოს ქალმა ვედრო და ცოცხი დადო, დედა წამოაყენა, ფეხის გადადგმაში უშველა. აქაურობას ვასუფთავებ უთქვენოდ, ახლა ამ ყვავილებს წყალში ჩავაწყობო. დედამ მადლობა უთხრა და წავიდა, პეპელას ამბავი არ უთქვამს.

ამ ამბიდან ორი კვირის თავზე საფლავზე გასვლა გადაწყვიტეს ბებიებმა. იყიდეს მინდვრის ყვავილები და ტაქსს დაუწყეს ლოდინი ალას დედასთან ერთად. ყველაფერი გამოვრთე და ისე გამოვიკეტე თუ არა სახლის კარი? — გაიფიქრა გაჩერებაზე დედამ. იფიქრა, ტაქსიც არ გამოჩნდა და უთო დამრჩა ჩართულიო, დაასკვნა, თუმც არაფერი გაუუთოვებიათ იმ დღეს. უთოსათვის ხელი არ გვიხლია, ჩართული ვით დაგრჩებოდაო, გაიოცეს ბებიებმა, ყვავილები რომ ეჭირათ ხელში. ავალ, ვნახავ მაინცო, გულმა არ უქნა დედას. აბრუნდა. ბინის კარი შეაღო და დამწვრის სუნი ეცა. სუნს გაჰყვა და ალას ოთახში აღმოჩნდა. პირველად შეხედა კედელს, სადაც ალას გადიდებული სურათი ეკიდა, შემდეგ დაადგა თვალი საწოლს, სადაც ალას ტანსაცმელი იყო დალაგებული. საუთოო მაგიდასთან კუთხეში ალა იდგა მოკლე პერანგისამარა. მოლისფერი პერანგი არც უფარავდა ფეხებს და მკერდს. ხელში ეჭირა უთო, ხან დედას უყურებდა, ხან საუთოოზე გაფენილ თეთრ კაბას. სწორედ თეთრ კაბას ასდიოდა დამწვრის სუნი. კაბა დამეწვაო, თქვა დანაღვლიანებულმა, თუმც ტუჩები არ გარხევია. არა უშავს, დედაო, უთხრა, იკივლა და დაკარგა გონება. იგი გულწასული იპოვეს მეზობლებმა, ტაქსის რიგში ფეხზე ჩამომწყდარ ბებიებს რომ შემოჰყვნენ.

მეორე დღეს დედამ გამოიძახა მამა, რამდენიმე ახლო ნათესავი დაიბარა. უნდა გავხსნათო საფლავი. ეგ ნამეტანი იყო. არ იქნება ეგ საქმეო, დაუსაბუთეს. დაუწყეს გადაჯერება, არა გამოვიდა რა. მოიყვანეს ექსტრასენსი ქალი. ამ პიროვნებაზე ზემოქმედებას ვერ მოვახდენო, განაცხადა ექსტრასენსმა. გამოიძახეს ცნობილი პარაფსიქოლოგი რაფო მაჭუტაძე.

— გამარჯობათ!.. — რბილი და ბოხი ხმით შემოვიდა.

დაჯდა. უხმოდ დაათვალიერა ოთახი, უყურა ალას გადიდებულ სურათს.

— და. — თქვა მძიმე პაუზის შემდეგ.

პიჯაკი რომ გაიხადა, ოფლიანი იღლიები გამოუჩნდა და დედამ ნდობა დაკარგა, პირვანდელი შთაბეჭდილება გაუნელდა.

— ... თქვენ თეთრი კაბა გაუუთოებლად ჩააცვით ხომ განსვენებულს?

ქალი მოკლე პასუხებს აძლევდა, მაგრამ რაფოს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს პასუხებიც ეგრძელებოდა, უამპასუხებოდაც ყველაფერი იცოდა.

— ... დავარქვათ ამას დარდი ახალი შეკერილი, გაუუთოებელი კაბისა ანუ უთოს კომპლექსი. იმ დღეს შეიძლება კაბაზე არც ფიქრობდით, მაგრამ თქვენგან გაუთვითცნობიერებლად თქვენს გონებაზე მოქმედებდა ზემოთ ნახსენები კომპლექსი და ცნობიერების გადალმა ინახავდა თანჩაყოლილ დარდს. აქედან წარმოიშვა, როგორც აგიხსენით, უთოს კომპლექსი, დამწვრის სპეციფიკური სუნის თანხლებით. უთომ, რომელიც საერთოდ არ ჩართულა იმ დღეს, შექმნა უთოს ზოგადი მოდელი და ამან გააღიზიანა თქვენი ტვინის რეცეპტორები, გამოიწვია რა დამწვრის სუნის ილუზია და ამას, რასაკვირველია, მოჰყვა ჩვენება, რომელმაც ასე ტრაგიკულად იმოქმედა თქვენს ფსიქიკაზე...

გასაგები იყო ყველაფერი, მაგრამ სამარე უნდა გათხრილიყო. დედა თავისაზე იდგა და არავითარი საწინააღმდეგო არგუმენტაცია არ ჭრიდა.

მეორე დღეს შვიდი კაცის, გარეშესი და შინაურის, თანდასწრებით გათხარეს საფლავი, წვალებით ამოიღეს კუბო, გახსნეს. დამწვარი კაბით იწვა შიცვალებული კუბოში. ჟანგისფრად ეხატა უთო თეთრი კაბის კალთას.

შემდეგ დაზამთრდა.

თოვლმა შეფიფქა მთაწმინდის კალთები, ბაღები, სახურავები, თუმცა თოვლი არ გაჩერებულა.

თბილ ოთახში ისხდნენ დედა და ორი ბებია. ბებიებს ისევ აკლდებოდათ თვალისჩინი და სმენა და ისინი მაინც ქსოვდნენ. ქსოვდნენ და ქსოვდნენ. ზამთარიც ნელა გადიოდა ბრუნვიდან. ოთახებში მკვდრის ყვავილებისა და ბალზამის სუნი იდგა კვლავ. დროდადრო ვიღაცები რეკავდნენ: საქართველოდან გადასახლდით, თქვენს სამშობლოში წადითო. ქალებს არ ჰქონდათ სხვა სამშობლო და სად უნდა წასულიყვნენ არ იცოდნენ. სატელეფონო მუქარები გრძელდებოდა. სასაფლაოზე სასაფლაოს ზამთარი იდგა, მყუდრო და ჩახვეული. შაშვები ჭახჭახებდნენ ხანდახან ღვიის ბუჩქებში, გალავნების სუროს ფოთლებში. დედა სიზმრებს ველარ ხედავდა. საფლავებშუა შავად გამომკრთალი იდგა, დარდობდა. გაზაფხულს ელოდა მაინც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეგლარ ფეიქრიშვილი

ყაჩაღლები

რომანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამონარქიამ მოჭამა ჭირი რუსეთში. რომანოვებმა თითქმის უბრძოლველად, თავდაპირველად უმტკივნეულოდაც დათმეს სამეფო ტახტი; ასევე უმტკივნეულოდ, უფრო კი უდანაკარგოდ, სამაგიეროდ, საკმაოდ ოპერატიულად ჩაიგდეს ძალაუფლება ბოლშევიკებმა. ზამთრის სასახლე „ავრორას" ქვემეხების ზალპის აკომპანემენტზე აიღეს.

და ეს გამარჯვება თამაში აღმოჩნდა საბჭოების მეორე ყრილობის პერიპეტიებთან, დამფუძნებელი კრების შეხლა-შემოხლასთან შედარებით; შავი დღე აყარეს სხვა პარტიათა წარმომადგენლებმა. სწორედ აქ ინვნიეს ბოლშევიკებმა უზურპაციის შედეგი, უსამართლობისა და სიძულვილის პირველი სუსხი. ძალაუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე იგრძნეს თუ არა, ესროლეს მუშათა მანიფესტაციას. დახვრეტილ მუშათა პატივსაცემად გამართულ გრანდიოზულ საპროტესტო-სამგლოვიარო პროცესიას მამა აბრამის ბატკნებივით გაბუსუნებულებმა გააყოლეს თვალი. ჭირისუფალთა მოთქმა და ზარი ღვთის რისხვას მიაწერეს და არა საკუთარ სიგლახეს. მოვლენები არც ამის შემდეგ განვითარებულა მათ სასიკეთოდ. დაღვრილი სისხლის გემომ და გეშმა კი ახალი სისხლის ღვრის იდეამდე მიიყვანა ისინი. ამას ანარქია და ხანგრძლივი, დაპროგრამებული სამოქალაქო ომი მოჰყვა.

ამიერკავკასიამ იოლად იმშობიარა სხვისი რევოლუციით: 14 ნოემბერს, გადატრიალებიდან კვირის თავზე, ამოქმედდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც სულ მალე იმავ რეგიონის სეიმად გადასხვაფერდა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) ჩალაგდნენ. ვითარებათა გამო, მათთვის სრულიად მიუღებელი დამოუკიდებლობის, — საქართველოს დამოუკიდებლობის — ალიც აპარპალდა მათ შემეცნებაში.

არ ეძინათ ბოლშევიკებს, მენშევიკური პროპაგანდით თავგასიებულ ჯარისკაცებს, აგიტატორთაგან შემოტენილ ლოზუნგს — რევოლუციის გაღრმავების შესახებ — რომ იყვნენ შეფარებულნი; ბუნტის, არეულობის, ტერორის კერებს ქმნიდნენ მთელს საქართველოში, კერძოდ — თბილისში, გასაშტერებელი ამბების ინფორმაციის მექაში.

1918 წლის 10 (23) თებერვალს, ბოლშევიკებმა, მობოლშევიკო ელემენტებმა თბილისში, ალექსანდრეს ბაღში გამართეს საპროტესტო მიტინგი მთავრობის წინააღმდეგ. გამოვიდნენ წითელი დროშებით, მარქსის, ენგელსის, ლასალის პორტრეტებით. მენშევიკებმა ესროლეს ბოლშევიკებს, დახვრიტეს მუშები, რომელთაც ეჭირათ მათი წითელი დროშები, მათი მარქსის, ენგელსის და... ლასალის სურათები.

1920 წლის (4 მარტს) 18 თებერვალს ქალაქ ქუთაისში გაიმართა ბოლშევიკთა საზეიმო-სამგლოვიარო პარტკონფერენცია საშა გეგეჭკორის თავკაცობით. კონფერენციამ ალექსანდრეს ბაღის სასაკლაოსთან დაკავშირებით შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა „მშრომელ მოსახლეობას"; მხარდაჭერა თხოვა მრავალმრავალთავიან ორიენტაციაგაურკვეველ ჯარისკაცთა საბჭოებს.

რუს-ოსმალთა ფრონტის რუსული ჯაჭვი დაიშალა. დივიზიებმა პოზიციები დატოვეს. გამოთავისუფლებული ადგილები ოტომანთა არმიებმა დაიკავეს. თვით-

ნებურად მორღვეულმა საჯარისო ნაწილებმა საქართველოს საზღვრებს მოაპირ-დაპირეს. საფრთხე რეალურზე რეალურად ჩამოყალიბდა. აშკარა იყო, ჯერ რუსი დაგაფიათებდა, შემდეგ ოსმალო გადაგიჯლიგინებდა ნაკურტნალ ზურგ ზე. საქა-რთველოში თვლემდნენ, თუმც არ ეძინათ. „მესამასე კილომეტრზე" ყარსის რკი-ნიგზა მიუერთეს ბაქოს მაგისტრალს. ამან ვითარება ვერ შეცვალა. დეზერტირე-ბით გაძეძგილი ჩვიდმეტი შეფიქრიანებული ეშელონი შეჩერდა გადასარბენთან. ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლებმა სვლაგეზის დაუყოვნებლივი აღდგენა და შეცვლა მოითხოვეს.

საქართველოდან მამაცი რკინიგზის კაპიტნის კოტე აფხაზის მეთაურობით, ვითა-რების ალაგობრივ გასარკვევად, ჯავშანმატარებელი გაიგზავნა. სამშვიდობო მისიით აღჭურვილ რკინიგზის კაპიტანს უმაღლესი ხელისუფლებისა და სამხედრო ოპერატი-ული შტაბის საგანგებო და საიდუმლო სარკინიგზო ოპერაციის გეგმა მიჰქონდა თან.

გამთენიისას სადგურ შამქორთან, „პახმელიაზე" გამოსვლამდე, დაინტერე-სდნენ რუსები — სად მივდივართო. თბილისს აცდენოდნენ, უდაბურში იდგნენ. სა-ით გაგვიძღვანა, საით წაგვიყვანაო, კოტე აფხაზზე მიჰქონდათ იერიში.

... ივან სუსანინ, ბლიად!

ვაგონებიდან გადმოცვივდნენ მუქარით და გახსნა კიდეც ცეცხლი ჯავშანომ. შავი განძელები შეიღება სოლდატების წითელი სისხლით. მარტის თოვლ-ქყაპით ალესი-ლი ლიანდაგები დაიფარა გვამებით. დაიღუპა მამაცთაგან მამაცი კომანდირი კოტე აფხაზიც. ეშელონების განადგურების შემდეგ შულავერამდე მოფეხდაფეხებული შე-რეული ნაწილები, კავკასიელებით, მათ შორის, ცხადია, ქართველებით რომ იყვნენ დაკომპლექტებულნი, „ნებაყოფლობით" შემოვიდნენ თბილისში. დაიწყო ნებაყოფ-ლობითი რევოლუციური რბევა, — დიდი „პოგრომი".

ქალაქ ქუთაისში ამ პროცესს სტიქიური ექსპროპრიაცია დაარქვეს. საშა გეგე-ჭკორის პროპბიურომ გაავრცელა ხმა — ჩაგრულს არ ერჩიანო: მაგენი იმგენს (მ-დიდრებს) ართმევენ და ამგენს (ღარიბებს) ურიგებენო. მდიდრებს კი ართმევდნენ, მაგრამ ღარიბებს აძლევდნენ (გეგეჭკორს ცალი ფეხი ხის ჰქონდა) ჩვენს ფეხებს.

31 მარტს ასკერები შევიდნენ ბათუმში.

ჩვენებმა უკან დაიხიეს. ჯარისკაცებმა სახლებს მიაშურეს. იარაღი გადაცვალეს ჭინჭებზე, კონსერვის კოლოფებზე, პაპიროსებზე. მათ არ უნდოდათ იარაღი, არც — ომი, არც ბათუმი, სხვათა შორის; ყარსსა და ოლთისსაც მიჰკვდომოდა პატრონი.

რუსი აღარ იყო. ოსმალო იბრუნებდა სანჯაყებს. ო-ზურ-გეთიც მისი ყოფილა. ნაკლულ-ნაკლული ქართული ლეგიონები თავჩაღუნულნი გამოდიოდნენ რიონ-გაღმა საჯავახოდან. ჩამოხეულნი მოაბოტებდნენ ტალახიან გზებში, დიდი მწუხა-რება არ ეწერათ სახეზე.

და მაინც, იყვნენ პატრიოტები. სამტრედიაში იკრიბებოდნენ ისინი. საქართვე-ლოს ჰყავდა რუსეთიდან გამოქცეული ოფიცრები, გენერლებიც — გადარუსებუ-ლი გვარებით. თბილისსა და ქუთაისში ინახებოდა რამდენიმე ევროპული არმიის სამყოფი იარაღი და ამუნიცია, რაც მთავარია, ჰყავდათ ჯავშანმატარებელი, თა-ნაც ისე არ წვიმდა, როგორც — ქუხდა.

„ქუთაისიდან წამოვიდნენ მოხალისენი,
წინ გრიგოლი მოუძღოდათ, უკან ისენი..."

კორნეტ სიმონიკა ფხაკაძეს, „რასპუტინის სიძეს" შეუგროვეს ადგილობრივი ჯიშის ცხენები და შეუქმნეს მინი-ესკადრონი, რომელმაც არახელსაყრელი ადგი-ლმდებარეობის გამო ვერ იხეირა. შეიარაღდნენ ხაშურის დეპოს მუშაკები, მიმდე-ბარე რეგიონების პედაგოგები, პირველივე გასროლაზე რომ გაბრუნდნენ.

ქუთაისისკენ ბრუნდებოდნენ მოხალისენიც,
წინ გრიგოლი მიუძღოდათ, უკან ისენი...

ამოქმედდა ჯავშანმატარებელი, იმჯერზე უკვე გოგუაძის (გენერალი მაზნიაშვილი რატომღაც გოგვაძედ იხსენიებს) მეთაურობით.

ბიბლიოთეკა

და იყო სროლა. სროლა დღისით ხშირი და გაბმული, ღამით კანტიკუნტი — მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ნერვების გამძენძავი.

გაზაფხული გაზაფხულობდა. ხნავდნენ, თესავდნენ, მიწას არ აცდენდნენ, ქეიფობდნენ.

და ხმა ისმოდა ბალახვანში მრავალი არღნის...

პოეტები გადიოდნენ სახლების სახურავებზე ყვითელ-წითელი (ცალი ტოტი ყვითელი, ცალი წითელი) შარვლებით, კუბოკრული ქუდებით. კითხულობდნენ გაუგებარ ლექსებს. მობინადრეები ქვებს ესროდნენ ქვევიდან, კრამიტების ლაწალუწზე ეჭეჭკებოდათ გული.

ჯავშანმატარებელის მანევრი გურიაში მარცხიანი გამოდგა. მტერმა "ვერაგულად" აუყარა ოჩხამურის ხიდის ლიანდაგები და ორთქმავალი ძალით შევარდა მინაყრილში, ვაგონები გადაფერდდნენ, ბორბლებმა ჰაერში დაიწყეს ცალ ხაზზე ტრიალი, ძლივს გადმოიყვანეს, სროლა რომ დამთავრდა, გულმოცემულმა ჯარისკაცებმა ფეხგაშეშებული გოგვაძე (გოგუაძე) და ხელგამხმარი გენერალი მაზნიაშვილი. მტერი არ ჩანდა და ჯავშანმატარებელიც გაასწორეს, გადამალეს კიდეც სახელდახელოდ გაყვანილი ჩიხით ტყეში და კარგადაც ეუჟეს ასკერები მეორე თუ მესამე დღეს. გამარჯვებამ საომარი განწყობილება ასწია, თუმცა ჩვენთვის მაინცადამაინც აღარავის ეცალა. გარეგანი სიმშვიდე სუფევდა, შინაგანი ბუყბუყებდა. დეზერტირები გვარდიაში ეწერებოდნენ, ან ბოლშევიკებს (ვის რაგვარი ზნე მოუვლიდა) „რევოლუციის გაღრმავებაში" ეხმარებოდნენ, თუმცა ლენინის მოწოდებას — გადავაქციოთ იმპერიალისტური (სამამულო) ომი სამოქალაქო ომადო, რაიც ვრცელ რუსეთში განახორციელეს კიდეც, საქართველოში აღსრულება არ ეწერა.

ჩვენ დავიწყეთ?!

რელიეფური რუკა არის?! აჩვენეთ!

პატარ-პატარა ქალაქებში, დაბებში რევოლუციური აჯანყების ჭიაკოკონები ენთებიან, ქრებიან.

განათება კარგია!

ჩანან: მთები. ხეობები. მდინარეთა კალაპოტების ცისფერი ძაფები, მზით განათებული გუმბათები, სამრეკლოები.

— აი ეს დეზერტირი, აქ არი!

ახალგაზრდა, გამონკეპილი ოფიცერი გამოშორდა წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიის თეთრწინსაფრიან ქალიშვილებს, რევოლვერის ბუდე გაისწორა და იარაღზე ხელდადებული წავიდა.

გავიმეოროთ?!

— წინ არ წამოხვიდე, თვარა გაჩვენებ, ვინცა ვარ!

— დამიხვდი, თუ კაი ბიჭი ხარ!

ტყვიის წამლის კვამლის ბოლქვი ჩანს.

— მართლა მესროლა ამ შობელძაღლმა!

ვარდობისთვე იდგა. მთავარანგელოზების ეკლესიის ეზოში ყვაოდნენ იასამნები. 14 მაისის დილა იდგა. დარჩენილი იყო 12 დღე. იმ მზიან, უქარო საღამოს

ნაჯარისკაცალმა ფარნაოზ მორჩიძემ მაუზერის ტყვიით მოკლა რუსეთის არმიის ოფიცერი ძახველაშვილი.

მყვირალობისას შეეჩეხნენ ერთმანეთს. სამხრეებჩამძვრალი, ხაკის ხალაფრიანი, ტანმორჩილი, ბობრი, თხელი თმა-ულვაშით შებალნული გამომწვევად უყურებდა ხალხს, რომელსაც მისთვის არა დაეშავებინა რა; მოკლა მამაკაცურ მომხიბვლელობაში თვითდაჯერებული, ქალების რისხვა, თანასოფლელი, კადეტთა კორპუსში ბავშვობაში მიბარებული აზნაურიშვილი. უფლების გადანაწილებამ, რევოლუციას რომ მოჰყვება ხოლმე, წოდებათა დაუსაბუთებელმა ქედმაღლობამ, თაობიდან თაობაში დაგროვილმა ბოღმამ დაღუპა მრავალი, — მილიონიდან ორი იმ დღეს.

დიტიკო ძახველაშვილი ლივერით გამოიწიაო, თავი იმართლა მორჩიძემ, სხვა ვერა გაიხსენა თითქოს და ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას დაშორებული ლექსი დაგვიტოვა სამაგიეროდ. ლექსი დებმა შემოინახეს სამახსოვროდ. დავახურე თავსაფარიო, ხაზგასმით აქვს ნათქვამი.

... უსამართლობას რომ ვხედავ, მიტომა მაქვს გული ჭრელი!

პირადიდან ზოგადზე გადასვლის შინაგანი მოთხოვნილებაა.

უსამართლობისათვის ომი. ეს იყო და იქნება მარტივი, თუმცაღა მარადიული თავისმართლების ფორმულა. უკანონობას ებრძოდნენ უკანონობით, ამკვიდრებდნენ სიმართლეს უსამართლობით. წესრიგს უწესრიგობით, ზნეობას უზნეობით.

ყოველნაირი ბრძოლა სამართლიანია ერთისათვის: დაჩაგრული ებრძვის მჩაგვრელს, მჩაგვრელი ჩაგრულს, კარგი გლახას, გლახა კარგს — ღირსებით შემკულს, სინამდვილეში — ჭიანს; ღირსეული გრძნობს და ვერ ხვდება გამოფუტროებული რომაა; ინარჩუნებს უპირატესობას, რომელიც არაფრით დაუმსახურებია.

რევოლუცია შურისძიებაა. კერძო ინტერესები მთლიანდება რაღაც მომენტში, მასა იკვრება და მალევე იშლება, ნაწევრდება, საწყის მდგომარეობას უბრუნდება. არავინ იფიქროს, რომ კლასი კლასის წინააღმდეგ არ იბრძოდა და არ იბრძოლებს კვლავ. ვერც გაასწორებენ, ვერც გასწორდებიან. უკანანი წინ და წინანი უკან, შემდეგ პირიქით.

და დაუსრულებლივ.

უღალატებენ ღმერთს ღმერთის სახელით, ხალხს და მეფეს ხალხის სახელით. შემდეგ იტყვიან: მეფე გვინდაო, მეფე!

ფარნაოზ მორჩაძის ლექსი კი, გიტარაზე დასამღერებლადაც რომ არ გამოდგა, ასე მთავრდება: თოფი, ტყვია და წამალი, ვიცი, ჩვენში დაფასდება.

აკი დაფასდა.

ენკენისთვეა. 1993 წელი. საქართველოს ისტორიის შავბნელი დრო.

*

წმინდა ნინოს ტროპარი:

დედისა ღვთისა მიერ ქვეყანასა ამას ჩვენსა მოვლინებულმან და წმიდათა ხელთა მისთა მიერ ჯვარისა ვაზისა მიმღებელმან, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბე და მიჰგვარე ქართველნი ღმერთსა ჭეშმარიტსა. დედაო, წმინდაო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

*

დეზებდააბედებული, წითელი მამალი შესწირეს წმინდა გიორგის ხატს გოგნიძეებმა. ბერკუტ მამალს ამდენი დედალი, დედლებს ამხელა მამალი არ ენახათ. მაინცადამაინც აფუღულ ვარიებს უყურებდა ქანდარიდან უაზრო იერით. ფეხის ჩასადგმელ

ალაგს ზომავდა ზემოდან უიმედოდ. ერთი ხელისდადება შემოღობილში ბატკნები, თიკნები, ბატები; გასაქათმებულ ოდაში ვარიები, ყვინჩილები, დედლები, მამლები ჰყავდათ გამომწყვდეული და იდგა პეტელი, კრიახი, სკლინტის, ბუნდღის სურნელი...

სანთლები პარპალებდნენ სანთლების ალზე საყდარში. მომლოცველებით ყოფ. გადალილოჭრელებული ეზო მონასტრისა ორწიფობას. იყო ორი ოქტომბერი (ორი წიფობისთვე), მეჩვიდმეტე კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან, დიდმოწამეთა დავით და კონსტანტინეს ხსენების დღე.

— როგორ გაზრდილა ჩვენი სალომეა, როგორ დაქალებულა! — თვალებგაჩერებული უყურებდა მაღალი, პირგრძელი, კრაგებგამაშებიანი, გოლფის მოთამაშის სამოსით.

— რატომ დაგვივიწყე, რატომ დაგვყარე ღვთის ანაბარა, რატომ ჩვენკენ აღარ ამოდიხარ, ბატონო ანაპოდისტე?

— ველარ ვიცლი, ჩემო კოლია, ჩემო ანუსი... კარგია, აქ რომ შეგხვდით. ველარც კი ვიცნობდი უთქვენოდ მშვენიერ სალომეას!

წინ წამოგდებულ ჭელა ნაწნავს ათამაშებს, გუდალა თვალებით უყურებს კაცს, ამ ქათინაურით არც ძალიან დარცხვენილი, არც გაოცებული.

— სალამი, ბატონო ანაპოდისტე!

— სალამი, ჩემო ბატონო.

— დავათვალიერებინებ, თქვენის თანხმობით, ნათლულს მონასტერს!

— არ აგვებნეთ, სალომე, დედა!

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ანაპოდისტე?

— ვართ, ღვთის წყალობით!

— დიდი ხნით?

— ვნახოთ... ვარდენია ხომ კარგად?

— მადლობთ, კარგად. გეახლებათ ამ დღეებში...

— ჩვენი სულელი მამალი! — ამოიოხრა სალომემ.

დროებით საქათმედ გადაკეთებულ ოდასთან შეჩერდნენ.

— მამალი?

— გამარჯობა, ანაპოდისტე, ბიძია!

— გაგიმარჯოს, გენაცვალე, რომლისაა ნეტავი!

ბონდთან იდგნენ ხევზე.

— ... ამ ალაგას, დაახლოებით ამ დროს დაიხრჩო არჩილ ჯორჯაძის ორი და, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსი კლასის ორი მოწაფე...

— ... აქ?! — შეკივლა და უკან დაიხია. თეძოები დაატყუპა, წაიხარა და კაბის კალთა მოიმწყვდია მუხლებშუა. კაცმა შიშველ, ჭორფლიან მკლავზე მოჰკიდა ხელი.

„როგორ ხურს!"

სალომე გაიმართა და კაბა ისევ ასცდა მუხლებს.

— მომჩერებია ვიღაც ქვემოდან.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ანაპოდისტე?

— ვართ ღვთის წყალობით!

— რა ბრძანეთ?

— წყლიდან მიყურებდნენ...

აბრუნდნენ.

მკლავს აშველებდა აღმართში, თუმცა ქალს სიარული არ უჭირდა. ზევით და ზევით იღლიამდე აჰქონდა ხელი, მარცხენა ძუძუს ეხებოდა თითებუკულმა.

— შენ ხომ ნათლია ხარ ჩემი! — შედგა და შეაშტერა შებურცულ ქუთუთოებში შუადღის სინათლეს გარიდებული თვალები.

— ვარ კი, რამდენადმე... — დაიბნა.

ლიფისგულებში მომწყვდეული ძუძუები მიწი-მოწია მძიმედ. მწიფე შინდისფერი თვალები მოაცილა.

მეტი არაფერი უთქვამთ. კაცმა ვერ გაიგო, იხუა თუ ნათელმირონობა დაბახუსტა.

— გამარჯობა, ბატონო ანაპოდისტე.

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო!.. ღმერთს ჩვენ არ ვცნობთ...

— კარგია მერე მაგ?

— საწესჩვეულებო რიტუალებს, დღეობებს, ნათლობებსაც, არ ვკრძალავთ... პირიქითაც... რევოლუცია, ყველაფერთან ერთად, ათავისუფლებს პიროვნებას ხორცის დამთრგუნველი შინაგანაწესებისაგან, ყალბი ზნეობისაგან, თავშეკავების ხუნდებს ხსნის. მოგიწოდებთ სრული თავისუფლებისაკენ, გათავისუფლებთ ტრადიციების ცრუ ქიმერისგან, რას იტყვი, სალომეა...

— არ ვიცი, აქ უნდა ილოცო...

— ჯერათ ამათ რაიმესი?..

— გამარჯობა, ანაპოდისტე ბატონო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს... ნეოფიტებია ესენი, ამათ ხომ ვიცნობ, ნეოფიტებია... მეთანხმები?

— არ ვიცი.

— აბა, რა გაწუხებს?

— როგორ დაიხრჩვნენ დები ამ პატარა წყალში, ცოდვები არ იყვნენ?

— და, ეს არც ისე შორეული ამბავია... დაიხრჩვნენ ხელიხელჩაკიდებულნი, ჩქერებს მიჰქონდა ჭილის ქუდები ცისფერი ბაფთებით... არჩილ ჯორჯაძე თუ იცი ვინ იყო?

— არ ვიცი.

— პუბლიცისტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი...

— თამარ მეფის საფლავი სად არის?

— თამარ მეფის? თამარ მეფის... თამარ მეფე, ისტორიის მიხედვით, აქვე გელათშია დაკრძალული, სამარე არ ჩანს, ჯერჯერობით, გადაკრძალესო, ამასაც ამბობენ, ეს გრძელი ისტორიაა...

სროლით, ყიჟინით, კივილით ეშვებოდნენ გზაწვრილზე, უცნაურ შარაზე. დაფეთებულ ხალხში შემოთოხარიკდნენ, უფსკრულის გადასახედიდან გამოჩნდნენ. ჩამოქვეითდნენ.

მორჩიძეაო, მიაწყდნენ დრუსოს ხრამთან.

სამარის ლოდებზე იდგნენ ქალები, ფეხისცერებზე აწეულნი ატრიალებდნენ შავ-შავ თვალებს, ეძებდნენ აბრაგებს. ორი დასტა ზურნა-დოლი უკრავდა ერთდროულად დრუსოსთან. რკინის მესერში ჩაყოლებული ოთხკუთხა სვეტების ერთ სვეტისთავზე ცეკვავდა მხარიღლიებყაწიმებგადაგდებული, მაუზერებჩამოპორწიალებული მორჩიძე. ღია წაბლისფერთმიანი, სუფთად აპარსული, თხელკანიანი სახის, მოცინარი, ხიოჭი, ფეხს არ აკარებდა სვეტისთავს უფსკრულის პირზე, ქარი და ტყვია გადიოდა საცვეთებს ქვევით. ცას ხევდნენ დოლები და იყო რუზრუზი. მხარზე ყაბალახგადაგდებული, თავგადაპარსული კაცი ესროდა ფეხებში, ბირკვილებშუა, წვივებსა და წვივებს შორის უტარებდა ტყვიებს. მიხა იაშვილიაო, ერთმანეთს ეუბნებოდნენ დამფრთხალნი და უკვე შეთამამებულნიც. მინდორში აღარ იყო ადგილი. მათში იყო აღტაცება როკვისა, სიგიჟე სროლისა, გულშელონებაც. მალევე ამხედრდნენ, წივილ-კივილითა და სროლით გადავარდნენ. გოგო-ბიჭები გაედევნენ ყვირილით. სალომეც გაიქცა სპილენძისფერი ნაწნავების ფრიალით.

— ახლა კი მჯერა საქართველოს გადარჩენისა! — ქუდი მოიხადა ანაპოდისტემ და სალომე ვერსად დაინახა.

გარბოდა ჯაგრცხილების იქით, ჩნდებოდა და ქრებოდა ცეცხლისფერ-ალმური, გოგო-ბიჭებს ასწრებდა, მაგრამ ცხენოსნებს ვერ ეწეოდა.

ისინი ლეჩხუმის აჯანყებაში წავიდნენ. ერთი დაიღუპა ჩასვლისთანავე. ერთი დაეჭრათ მძიმედ. ორი მილიციის მიგზავნილი აღმოჩნდა. დარჩნენ სამნი.

ტყე-ბუჩქნარიანი გორებია. დაწმენდილი წყლები დიან ხრამ-ხევებში. ფერდობს იქით ფერდობია უფრო მუქად ჩამწვანებული.

თენდება, მზე ამოდის. შაშვი ფრთხება პირველსავე სროლაზე. ჭახჭახით ეშვება ჩირგვნარში. გორიდან გორს, სერიდან სერს ესვრიან. ფთილა-ფთილად ამოდის წამლის მოლურჯო კვამლი. ზარბაზნებს ტყვიამფრქვევის კაკანი ენაცვლება.

ჯავშნოსანი მატარებელი მობოლავს წყალწითელას ხეობაში, ქმენით, განძელების კუთვით, ჩინჩხვრის ყრით. გაშეშებულ ფეხს მიაფხოკიალებს ვალიკო გოლიაძე ჯავშანოში. საკომანდო პუნქტიდან დილის ნისლში ამოცრიატებულ, თვალებთან მოსულ წითელკრამიტიან ოდებს ხედავს.

— გაზარდეთ სიგრძე, მოუმატეთ სიხშირეს! — თავად ჯდება სამართავ პულტთან.

— იმას არ დააკარო ხელი იმდღევანდელივით! — აფრთხილებს წამოგდებული მემანქანე.

— ვალიკო ბიძია, ვალიკო ბიძია!.. — გამურული თანაშემწე ყვირის. — ჯაიანი დაჭრეს, საიდან გვესვრიან, ვერ გავიგეთ. ყველა ნახვრეტში ტყვია მოდის. გზა აღარ ჩანს. ვალიკო ბიძია!

საჭვრეტიდან დილა ჩანს. სულ ახლო მოსულა მოწითალო ხიდი.

— ხიდთან ვართ, ვალიკო ბიძია!

— მომაშორეთ ეს უპატრონო! — საავარიო მუხრუჭებს ქაჩავს. თავით ეჯახება დაფას. გაბზარულ მარმარილოს მისჩერებია გაოცებული.

— გავტეხე, გონია... — გასისხლიანებულ თავზე ისობს ხელს. — მე თქვენ დედას მოვ-ყნავ ახლა!

სროლით, ჯაყჯაყით, ტამბურების ხათქახუთქით იხევს ჯავშნოსანი.

— უკან მიდის, ამის გამომშვები ქარხანა... — ბერკეტს აწვალებს. — ცეცხლი წინ, უკან, გვერდებზე!.. — ისევ მუხრუჭდება მატარებელი და თავწაგდებულ გოლიაძეს აწვებიან ზურგიდან.

— დამაჯექით ხომ თავზე?..

— გაიყვანეთ, ხალხი არ ხართ! — უკან იხედება მემანქანე.

— ჯავშნოსანია ესეც, პუტილოვის საფლავი მოვ-ყან! — იფურთხება გოლიაძე.

აღვლეჭილი, ფერდებმიგრეხილი რკინის წითელი ხიდიდან ჩანს უკან მიმავალი ცეცხლისმფრქვეველი. ისვრიან. ბოლი ადის ალაგ-ალაგ გორებს, ფხეკებს.

თენდება.

ნათდება, თავისი ტონი უბრუნდება ყოვლიფერს.

ძაღლი ყეფს და წკმუტუნებს ეზოში. ალაგეზე გადადის კაცი. მიწაზე გაოთხილ მოწკმუტუნე ძაღლს ხმაურის, სოფლის შელვიძების ეშინია თითქოს.

— კაი, კაი, ბომბორა, გაგეხარდა? — პალატისაკენ მიდის კოლია გოგნიძე. გარბის და გამორბის ძაღლი, პალატის კარს პორჭყნის და უკან ბრუნდება. უსისტემოდ შეიარაღებული პატრონი ეზო-გარემოს ათვალიერებს, ბურტყუნით კეტავს ქართის კუტიკარს, საცეხველში დებს კაკვს, მიგდებულ საზეპელას შეაგდებს ხაროს თავზე. — კაი, ძაღლო, გეყოფა!

— კოლია ხარ?! — პალატიდან ისმის შეშინებული ქალის ხმა.

— მე ვარ, გააღე კარი!

შინ შედის.

ხამის პერანგში წამოფეთებული, ნამძინარევი, მზესა და ბუხრის ცეცხლში გარუჯული ქალი ნაცარში შეხვეულ ნაკვერცხლებს უბერავს სულს, ხმელ ნეკერჩხალს ფიჩხს აჭიაკოკონებს, აბრიალებს, ქმარს აკვირდება სარკმლის მკრთალი შუქითა და ცეცხლის ალით განათებულ პალატში.

— ცოცხალი ხარ, შე უბედურ დღეზე გაჩენილო?!

— ხმა! — წალოში მალავს თოფს, ჰილზებს, ხელყუმბარებს.

— ძინავს? — ცოლის საფერხიდან გადმოყრილ ნაწნავებს უყურებს.

— დაჭრილი ხომ არა ხარ, მამა? — ამთქნარებს სალომე, ცეცხლისფერი ნაწნავები ააქვს მუთაქაზე.

— ისევ ისვრიან! — შორეული ბათქის ხმას აყურადებს ცოლი.

— ბოლოსია, დამთავრებას იუწყებიან...

— მორჩით?

— დაგვშალეს...

— აბა, რა ღვთის რისხვა იყო აქამდე, ორი ღამეა ბოსელში ვიძინებთ და ვითენებთ...

— მორჩა. აქეთ აღარავინ წამოვა, მე მგონი... ცოდვა-უბედურების ტრიალი იყო მოწინავეზე, დაადულეს ყველაფერი, ჩვენი შტაბი დანაცრეს... ბესარიონი დაიღუპა, თავხე დაეცა საწყალს.

— რომელი ბესარიონი, ჩვენი, მანდიკაური? მოკლეს, კოლია?.. უი, უი, რა დღე გათენებიათ!..

— გამოდი, ვეუბნებოდი, ოდელიაძის ნალიაში გვქონდა შტაბი... აპარატს ვერ მივატოვებო. დადგა ვილაცამ ჩვენდა ჭირად, ვერც ავამუშავეთ... მე ვერ გავაგებინებ მისიანებს, ამოვა უჩემოდაც ამბავი, თქვენც ნუ ამოიღებთ ხმას!

— ცოცხალია იქნებ?

— მტერი იქნა, ის როა!

— უი, უი! — სახეს იხოკავს ფრთხილად, — რა დღე გათენებიათ საცოდავებს!.. რას ერჩით, რას გერჩიან, ვის ებრძვით?!

— ხმა!

— შენ ხომ არავინ დაგიმარცხებია, შე უბედურო!

— სროლით მეც ვისროდი და მოხვდა თუ არა ვინმეს, არ დამინახია.

— ვისთვის, რისთვის?

— სიმართლისათვის, თანასწორობისათვის, ზოგისთვის მოხდა რევოლუცია და ზოგიერთისათვის არ მოხდა, რატომ უღალატეს აპა მაგენმა მუშების და გლეხების ინტერესებს...

— გაჩერდი, გაჩერდი, უდღეურო, შენ გასწორებულ ქვეყანას, რა ვუთხარი!

— გლეხი კაცის საშველი რო არა ყოფილა და არც იქნება, ეს ქე ვიცი, არ ვიცი გონია, მარა ხო უნდა გაფართხალდე მაინც ხანდახან...

— რა ეშველება უბედური ბესარიონის ოჯახს, ჭადი და ლობიო მაინც არ ქონდათყენ სამათხოვრო, აწი ისიც აღარ ექნებათ... იმის წვრილშვილის პატრონს კაცი წამოაგდებდა კერიიდან?!

— ქე ვუთხარი, ვინცხა იმისი არ იყოს, დარჩითქვა. არ ქნა. ავყევით ერთმანეთს. ლეჩხუმის გლეხობას უჭირსო, როდის არ უჭირდა, ნეტავი მაცოდინა... ზარბაზნები მიაყენეს, ზარბაზანს რა უნდოდა იქინე, ძროხა ვერ გადის ფხეკზე. სადაა ჩემი წულები, ფეხი ვერ გავრგე ვერაფერში, გადაქაჯავთ საღაცა, არაფერი თავის ადგილზე არ დაგხვდება, თუ გარეთ გაყავი თავი!

— ფარნაოზეი და მისიანები იყვნენ თქვენთან... — ტახტიდანაა გადმოზნექილი სალომე. — ა, შენი წულები! — ქუსლწათელილ კონდრებს გადაუყრის, ნამოჯდება, შიშველ მკერდზე საბანაფარებული იზმორება!

— არა. ბერიოულში დააყენეს ჩვენი ბატალიონი... ყაჩაღებთან რა ეშმაკი მინდოდა, საძარცვავ-საგლეჯავად კი არ ვიყავი გადავარდნილი... — ცარიელ დოქს ამოწმებს. — ცივი წყალი შემომიტანეთ, წავდებ ცოტა ხნით თავს, თუ თვალი წამახუჭიეს, თუ არადა დავკრავ ფეხს და გადაუვარდები მეც!

— ძაღლი სახლში არ ვარგოდაო, ისეა შენი საქმე!

— გადეირია ბომბორა, რომ დამინახა, საჭმელს არ აჭმევდით? გვერდები აქვს შემწლეული.

— მაგის დარდი მქონდა სულ!

— ჭაზე ვერ გავალ შიშველი, ძილი შევიბრუნო იქნებ... — საბანშემოხვეული აპირებს გასვლას, ხამისპერანგიან, გამხდარ დედასაც არ აცილებს თვალს. — ხურხარო, საფერხეს არ მიჩერებდი, ვინ ხურდა, გასარკვევია, მოგივიდა გამაგრილებელი...

— შენ არ გაეზარდე დედაშენს, რა მომსპარი ენა გაქვს!

ამთქნარებს საპასუხოდ, კარს აღებს მოუხერხებლად, ბრუნდება, ბეჭზე ჩამოცურებულ საბანს ისწორებს, მუთაქა მიაქვს და გადის.

აივნიდან ჩანს სოფელი. მზე ქვემოდან შენთებია ხეებს, ოდებს, წითელ, დახვეულ შარებს. ჩხართვი გალობს. ნიავი არხევს შიშველ ქალს კრეტსაბმელზე. საბანი ძირს აგდია, აბრეშუმის პერანგიდან ამოყრილი ჭორფლიანი ძუძუები და სპილენძისფერი ნაწნავებია განათებული.

პალატში.

— აღარავის დაანებებს თუ ცოცხალი გადარჩა...

— არ მიხსენო! -ილრიჯება კოლია.

— ბიჭად ბიჭი კი არ დაიწუნება, ხელობა აქვს. პარიკმახერად გაზარდა ხარიტონმა. ჭკვიანია ხარიტონი, ორთვლიანი ბინაცა აქვს შეძენილი ქუთაისში...

— არ თქვა, ქალო!

— თუ შებრუნდა ქვეყანა, პირველი კაცი გახდება, პარიკმახერობას ქეც აღარ იკადრებს, გული ამას მითხრობს...

— არა, ქალო, ჩაკლავენ, ჩააძაღლებენ, მაგათი საქმეც ჭანდრაკულადაა...

— სულ ერთია. ბოლშევიკები შემოჯლიგინდებიან ბოლოს...

— გადოუშენდა პატრონ-მყვარებელი ერთსაც და მეორესაც...

— მერე შე სულელო, რუსეთის ხელმწიფე დაგვანებებს თავს ჩვენ?..

— ელაპარაკე ამას, სადღაა, ქალო, ხელმწიფე!..

— ვინც არი, რა მნიშვნელობა აქვს ვინ იხელმწიფებს... ბოლშევიკები მოიყვანენ თავისიანს, მაგენია თურმე რუსები...

— ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, შენზეა, ჯერ ერთი, რას გავხარ, ნაცრიდან ამოსულივით რომ დამიხვდი... ან ჩაიცვი, ან გაიხადე, ადრეკილს დაღვერავ.

— აქამდე ხო აპობდი საყავრე ხეს, შემოდი! — ქვეშაგებისაკენ ეპატიჟება...

— ბაღანე არ ჩამობრუნდეს... — ამბობს და სიფრთხილე აღარ ეტყობა. ვიღაც ისვრის სულ ახლო, ჭექავს კარაბინი ეზოს ბოლოში.

— ოხ, თქვენი დედა... — ხვანჯარგახსნილი ნიფხვის სათავე უჭირავს ხელით კოლიას. — მე თქვენი დედა!.. წალოში მიძვრება. ფუჩეჩში და ბრელოში ფაჩუნობს.

— მოიცა, გავხედავ, დაიხრჩობი მაქანე. — თმას ისკვნის, თმის სარჭები უჭირავს კბილებით ქალს.

*

სამნი მოჭენაობენ. ადიდებულ რიონთან ქვავნარში აყრევინებენ ნალებს ნაპერწკლებს. გაღმა ბორანია დაბმული. ღრუბლისფერ ჩქერებში იძირება და ღრღუმიდან ამოდის თითქოს. კარაბინს ისვრის მიხა იაშვილი. ჯარგვალიდან ჭოკივით კაცი გამოდის. სახემოჩრდილული იხედება გამოღმა. პირდაღებულ, თოფებმომარჯვებულ მხედრებს ხედავს. გაგვიყვანეო, იმუქრებიან ალბათ. ხმა კი არ ისმის მდინარის ღრიალში. ვერაო, ხელით ანიშნებს მებორნე. წყალი წამიღებს, უკვე თავის თავს ეუბნება და ჯარგვალში ბრუნდება.

— ჩვენ ვართ, ისიდორე ყვერა, შენ გადაგიშენდა ჯილაგი! — ისვრის მიხა იაშვილი კვლავ. — გამოიყვანე ბორანი, ჩვენ ვართ!

— ვინც გინდა ის იყავით! — ნაბადწაფარებულ ტახტზეა წამოგორებული, ცალფეხაშვერილი, ბარცაკალზე თავი აქვს წადებული.

— შალიკიანო, შენი დედა, მამაშენ ჯიჯგვის მიაკვდება ძაღლი საფლავში! — ქვეითდება იარაღში და ტყვია-წამალში გამოკრული მიხა იაშვილი, ყაბალახს იძრობს, პირწმინდად გადაპარსულ, გაოფლილ თავს იმშრალებს ყაბალახის ყურით.

— გამოვწვათ უნდა შიგ წისქვილის ვირთხასავით! — იმუქრება პირტიტველი ბოჩია.

— ამას მიმიხედე შენ! — თოფს და პატრონტაჟს კიდებს უნაგირის ტახტაზე, აღვირს ბოჩიას აჩეჩებს ფარნაოზ მორჩიძე.

— წყალში არ შეხვიდე. არ გაგიწყრეს ღმერთი! — მიხა იაშვილია, ცას რომ დაუცალა რამდენჯერმე კარაბინი.

— ესეც გამომართვი! — ხელყუმბარებს იშორებს. ბორნის ჯინჯიბახზე შემოპორტყდება, წნულა გვარლს ჩამოეკიდება; ხელფეხით თავაღმა მიპორწიალებული მიცოცავს, ცას ხედავს. გაშტერებულნი უყურებენ მისიანები. ცხენები ფრთხვინავენ ჩქონებში. შეშლილ მდინარეს მიაქვს კბოდეების მიწა, ხაბო და კუნძები.

*

ცეცხლი იღველფება კერიაზე ჯარგვალში. ბაქნის რაზებში ჩახიბლხვანჯებული ჯაჭვი ჩხრიალებს. ფიცარზე ფეხის ბრაგუნი ისმის და თვალებგადმოკაკლული შალიკიანი ხედავს უნებართვოდ შემოსულ მშრალ კაცს, გაღმიდან რომ იმუქრებოდა ცოტა ხნის წინ.

— არ ვიცოდი შენ თუ იყავი, ვერ გიცანით, გამიწყრა ღმერთი, არ ვიცოდი, სული ნუ წამიწყდება, არ ვიცოდი! — ხრიალებს და პირში ჩაჩრილ მაუზერის ლულას აფურთხებს. — არ მომკლა, ფარნაოზა, მამაშენის ქორწილში ვარ ნამყოფი!

— თფუი! — მაუზერს ტენის ხის ბუდეში, აწიორებულ მებორნეს მიდენის ბორნისაკენ.

— წაიღო ყვირილამ ამ დილით ოდელიაძეების ბორანი, ამასაც წაიღებს. მოუკვდა გამომცემელი, რანაირად გამოდი, გადმოფრინდი?!

— ახსენი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— ვხსნი, ხომ მიყურებ, რაღა შენ მოგიკლივარ, რაღა წყალს წავუღივარ... დარჩი მაინც, რაღას მომყვები, მეორედ კი არ გაგიმართლებს, რანაირად გამოხვედი!

ხერკალას ჭრიჭინ-ჭრიალით გამოდიან. ყურებდაცქვეტილი ცხენები არიდებენ წყალს სველ თვალებს. ბეჭებზე გადაგდებულ ბაწარს ქაჩავს შალიკიანი გრძელი და ღონიერი მკლავებით. ადიან და ჩამოდიან წყლის ღრიალში ბორნის ნავები. გული ერევა, ეტყობა, ბოჩიას. თვალებმოწკურულ, მოღიმარ ფარნაოზს, ერიდება და ძელჭოკსაც ვერ უშვებს ხელებს.

პურს ჭამენ კერიასთან, ტაბლაზე. კუდაპრეხილი, ჭრელი კატა ეხახუნება ბოჩიას ფეხებზე, ლობიოში ამოწებულ ლუკმას აძალებს ყბებგამობერილი.

— დავილოცოთ, აბა, თქვენი გამარჯვების იყოს! — თხის დაგრეხილი რქიანი სვამს არაყს მებორნე.

— სიტკბო მოგვცეს, სიმწარე გვაშოროს! — სვამს მიხა.

— გამიწყრა გამჩენი, ვერ გიცანით, შემრისხოს წმინდა გიორგიმ თუ ტყუილი გითხრათ... ვერ გიცანით!

— რა ცნობა გინდოდა, ხედავ, მგზავრებია, უჭირთ... შეგიძლია, არ შველი, კაცად არ ვარგიხარ... გაგვიმარჯოს! — სვამს. იღრიჯება. ტუჩებმობრეცილი გადადის ყანწს ბოჩიასთან.

— რატომ მეტყვი, ფარნაოზ, მაგას, აგერაა, ბატონი მიხა. ჩემნაირი მართალი არ დადის ბევრი, ბატონო მიხა!

— ბატონებს ვებრძვით ჩვენ, დაანებე ამ ბატონოს თავი... კაცს არ გაყიდი, მარა არც არაფერში გამოადგები შენის ნებით, უჯიათი კაცი ხარ, მარტოობამ გაგაპირუტყვა!..

— რა ვქნა, არ ამეწყო ცხოვრება... ღმერთმა დაგვიფარა დღეს... ოდელიაძის ბორანი წაიღო თურმე ყვირილამ, რანაირად დაგვატრიალა ჩვენც, არაფრით არ მეგონა, რომ არ აგვაგლიჯავდა... სხვა არაფერი მაქვს და ნუ მიძრახავთ, ჭადია კიდევ ღადარში, ბოჩია, არ სვამ?

— ახლავე! — დიდი ლუკმის გადაყლაპვა უჭირს, ახველებს.

— ალალი, არ დამიმადლებია, ღმერთი ხედავს!

— გაგვიმარჯოს. მე თქვენ აწი აღარ მოგშორდებით... — სვამს. — სახლში მაინც აღარ მიმესვლება, მთავრობამ რომ შემირიგოს, ჩემიანები არ მაპატიებენ... — წულის თასმას აწვალებს ცალი ხელით.

— საკუთარი ბიძა მოკლა! — გამომცდელად მისჩერებია ფარნაოზი მებორნეს და ღიმილს ვერ იკავებს რატომღაც.

— იმე!

— იზამ შენ მაგას?

— ღმერთო, შენ გვიშველე! — პირჯვარს იწერს შალიკიანი.

— დამღუპა სულწაწყმედილმა ბიცოლაჩემმა... — თავწახრილია, წულის თასმის კვანძს ხსნის.

— ბიცოლა შემოეხარჯა! — კმაყოფილებას ვერ ფარავს გაოცებული მებორნის შემხედვარე ფარნაოზი.

— რამ მოაყვანინა იმ ხნის კაცს რუსის ქალი, შემაცდინა, ნამდვილად შემაცდინა, ეშმაკის ნაშობმა. რა ბიცოლა ის იყო... ნამდვილი ბიცოლა, დააყენოს გამჩენმა ნათელი, სადღაა. რუსი იყო და შემაცდინა, მკლავდა საკუთარი ბიძა ალალად, შემოგვისწრო და...

— არ გაცალათ?

— არა.

ერთმანეთს ეხლებიან ფარნაოზი და მიხა სიცილით.

— უბედური იყო მაინც სულწაწყმედილი, ქეც ვიყავი ალბათ მოსაკლავი!

— კატა გყავს, ბიჭო, მაქანე?!

— რა კატა, წულაში ხვინჭა ჩამივარდა! — შეკრთება ბოჩია. ამაზეც იფხრიწებიან.

— რაღაც მეწყინება, არ უნდა ლაპარაკი! — წყნარდება მიხა, თუთუნს გაახვევს და ატყდება კიდეც სროლა...

ისვრიან. ძაგძაგებს ჯარგვალი. ლაწალუწი გააქვს სახურავზე კრამიტებს.

— აქედან! — ყვირის მებორნე. კუტიკარს აღებს მდინარის მხარეს. რიყეზე გარბიან ჩქონებში, ფერდობზე გადადიან გვიმრიანში, ჩერდებიან, ისვრიან და ისევ გა-

რბიან. მდინარის ხმაურში წუიან ტყვიები. ფილთა თოფი უჭირავს მებორნეს, უკან-მოუხედავად მიცოცხავს მაღალი ფეხებით ყველაზე წინ, მისიანებს ასწრებს, ტყვიას ვერ ექცევა, იჩოქებს, დგება, მიკვანჭალებს. სისხლით რწყავს ბილიკს, ორივე ხელით ისვრის და უკუღმა გარბის ფარნაოზი. ხეებს ეფარებიან, უფრო გამიზნულად ისვრიან. უფრო არეულ-დარეულად ესვრიან. სროლა ესმის სოფელს ვახშმობის ჟამს. ძაღლები წკმუტუნებენ და მუცელზე კუდამოდებულნი ყეფენ გაუბედავად. სიწყნარე ისადგურებს ცოტა ხანში. საქონლის სარეკელას რაკუნი იპყრობს ყურთასმენას.

ჯარგვალთან აყაყანდებიან მოულოდნელად. ძაღლები აყეფდებიან სოფელში თამამად, ერთდროულად.

— ცხენები ხომ დავატოვებინეთ, ერთს დავადევი კიდეც ნიშანი! — ეზეკი ჟორჟოლაძის ბოხი ხმაა. ბორან-ჯარგვალს შესევია მილიცია.

— დავწვა უნდა ეს ბორანი!

ბორანთან რა გინდა. — საყვედურობს ანაპოდისტე. — ცხრა სოფელს ემსახურება ეს ბორანი! — კრაგების ჭრაჭუნით დადის.

— შალიკიანის დედას ვატირებ, თუ გადარჩა ცოცხალი!

— ეს ცხენებიც ჩვენი კომისარიატის უნდა იყოს! — კბილებს უმოწმებს ერთ ცხენს ანაპოდისტე ხუნდაძე, სპილოებზე სანადიროდ წამოსულს რომ ჰგავს.

— გაიქცნენ? — კითხულობს ვილაც.

— შორს ვერ წავლიან, ერთი დაჭრილი ყავთ...

— ორი დააწვინეს ჩვენიანი, ეზეკის შემოვევლე, ერთი მძიმედაა, ურმით უნდა გადავიყვანოთ.

— სადაა ასლანიძე?.. ასლანიძე, მორჩი ბუდარს, აქ არაფერია გასაძარცვავი!

— როგორ გეკადრებათ, — აფუებულ ულვაშებს ტკეპნის, — მეფის არმიის უნტეროფიცერი ვიყავი ბრუსილოვის არმიაში...

— ბრუსილოვი არ ვიცი, ურემი იშოვე სადაც გინდა.

ბინდდება. ზარბაზანი ისვრის სადღაც შორს დროდადრო.

ცეცხლი ანთია ეხში წყალწითელას პირს. ხორკლიან ტინებზე ადამიანების ლანდებია. სველი მეთევზე შრება, ქიმზე გაფენილ ბადესაც აშრობს. მიხა თევზს წვავს ბწკალაზე. ფეხშეხვეული შალიკიანი წევს თივაზე. სახვევს ხსნის ბოჩია, აბლაბუდას და ღამურების სკორეს ადებს ჭრილობაზე.

— მოვკვდი. მომძვრა ფეხი! — კვნესის გათანგული შალიკიანი.

— უნდა გაუძლო როგორმე!

ჯიჯგვი კაცია გერონტი რობაქიძე, ხაკის შარვალ-ხალათი აცვია. საიდან გაჩნდა აქ, მეთევზესი არ იყოს, გაუგებარია. წინ ჩამოვარცხნილი თმა, აწკინტული ულვაში აქვს. — ... ლეჩხუმის აჯანყებამ შეასრულა ისტორიული მისია... — ულვაშის ცალ წკინტს ისწორებს. — ორი თვე კონტროლს ვუწევდით მაზრას... — მეორე წკინტს ნაიგრეხს ორი თითით. — არ გვქონდა საჭმელი, სასმელი, საკმარისი იარაღი, გაწყდა კავშირი რუსეთთან, ველარ მოგვამარაგეს საჩვენოდ. ვიშლებით და გადავდივართ არალეგალურ ბრძოლაზე რევოლუციის გაღრმავების მიზნით. ასეთია ბოლშევიკების აზრი, მითითება... უდღეურ მთავრობას მაინც გამოვუთხრით ძირს, დღეს თუ არა ხვალ დავამთხლევებთ სახელმწიფოს, მაგენს არ ვაბოგინებთ, ჩვენთანაა მსოფლიო პროლეტარიატი...

— რა ფეხზე ავდექი მაინც დღეს, რაღა თქვენ გადაგეყარეთ, სოფელში ვაპირებდი ასვლას, ერთმა ფეხმა გამაჩერა და ვრჩები გონია უფეხოდ. ვაი, ჩემო ფეხო და ჩემო თაო, წყალი დამალევინეთ მაინც! — ბორგავს შალიკიანი.

— ამას სიცხეც აქვს, ძმრით უნდა დაზელვა, სად ვიშოვო ძმარი! — ეცოდება ბოჩიას.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, ნუ გეშინია! — ამშვიდებს მიხა.

— არაყი მაქვს ცოტა, — ჯარისკაცის მათარას ანჯღრევს მეთევზე.

სროლის ხმა ისმის ისევ, ისვრიან ზარბაზნებით, ძუნწად. ბათქის შემდეგ ჩაგდებული ბათქია.

— ეს სულელი გოლიაძე ტყუილად ხარჯავს ვაზნებს... — ამბობს მიხა. — მაგის იმედი რომ ექნება მთავრობას, კარგად წაუვა საქმე და წაუვიდა კიდევაც... ჩვენც ფუჭად ავაფეთქეთ ხიდი. მეორეს გააკეთებს იმნეირს აწი ნიკოლოზეი, მეტი არაა მტერი... — მუგუზლით უკიდებს, აბოლებს. — ეტრიხინა წინ და უკან გოლიაძის მატარებელს, რა მოხდებოდა!

— ხიდი რომ აფეთქდა, კარგია, ხიდები კიდევ უნდა ააფეთქოთ, ტელეგრაფის მავთულები უნდა დაგლიჯოთ.

შალიკიანიც შეწყვეტს კვნესას, რა თქვა ამ გერონტი რობაქიძემო, დაინტერესდება.

— ჩვენ გამოვედით ტყიდან და შემოგიერთდით თქვენივე თხოვნით... — აწყვეტინებს ფარნაოზი. — ხალხის სამსახურში ჩავდექით... — თოფზეა დაყუდებული. — გლახათ არ გვიომია, ხედავდით... — ფიქრობს. — ვომობდით... სწორს ვშვებოდით... ასეა... მე ისევ ტყეში გავალ. საიმედო ხალხს შევიგულებ და დავუძახებ, თუ საჭირო გახდება. მომზადებულ და თავგადადებულ ხალხს შევარჩევ. მანამდე ყველამ თავის საქმეს მიხედოს, მიხამ თვითონ იცის, ეს ბიჭი კი პატრონს უნდა ჩავაბარო.

— მე შენ ველარ მოგშორდები! — ძირს იხედება დაღვრემილი ბოჩია.

— ვნახავთ მაგასაც...

— თუ დაწყნარდა ქვეყანა, ცოლ-შვილს მივაკითხავ მეც... — აბოლებს მიხა. ხრინწგარეული ახველებს. — მოვხნავ, მოსავალს მოვიყვან, როცა იქნება... ამდენი ხნის ტყეში გდებამ დამასუსტა, მუხლებში მტეხავს, ჯანი ძველებურად აღარ მომდევს... ამ კაცის ლაპარაკი არ მომეკარა, ვისას ვანგრევთ, ყმაწვილო, თუ იცი... — ახრინწებს ისევ, ზურგშებრუნებული აფურთხებს.

— დავანგრევთ და ავაშენებთ, ასეთია ჩვენი ტაქტიკა, სტრატეგიაც. ამ დროს ბრძოლა არ წყდება, იცვლება მხოლოდ ბრძოლის ხერხები და მეთოდები... გლეხობაში უკმაყოფილება უნდა დავასადგუროთ, სიდუხჭირემ რეალურად უნდა დარიოს ხელი მოსახლეობას, რათა მთავრობას უნდობლობა გამოეცხადოს... ხელი უნდა შევუშალოთ, არ უნდა შემოვატანინოთ აღმასრულებელ კომიტეტებს ნავთი, მარილი, პირველი მოთხოვნილების საგნები, უნდა გავაფუჭოთ გზები, ხიდები, ლიანდაგები უნდა ავყაროთ... ღარიბები უნდა მივუსიოთ მდიდრებს; ხმები უნდა დავყაროთ ახალ საგადასახადო სისტემაზე, ბეგარაზე, სალდათად გაწვევაზე...

— კვეჟოს გიძახოდენ შენ!.. — თოფის ლულას მიადებს ბეჭზე მიხა.

სიჩუმეა. შალიკიანის ხშირი სუნთქვა და მდინარის ხმა ისმის.

— მიხაიაშვილო!.. — ერთად ამბობს გვარს და სახელს. სხვადასხვა მხარეს ერხევიან ულვაშის ბოლოები. — მიძახოდნენ. პარტიული ფსევდონიმი იყო... — ლულას იშორებს დინჯად. — გამიგია, კარგად ისვრისო, ხომ არ გვეცადა სროლა ნიშანში?!

— ეე!.. — თოფს იმწყვდევს ლაჯებში. აღარ ახველებს.

— ვის ხელშია ეს ქვეყანა, ვკვდები და ეს მაინც გამაგებინეთ...

— სადაური კაცი ხარ შენ! — ინტერესდება გერონტი რობაქიძე.

— ლეყერეთელი გახლავარ, მამაჩემი ყავარს ხდიდა, მე ბორანი ავიღე იჯარით და კარგადაც წამივიდა საქმე, ამათ გადამკიდეს!..

— ქვეყანას ამიერკავკასიის წამენშევიკო სეიმი მართავს, მარა მე სროლაზე მქონდა ახლა ლაპარაკი და არა ლეყერეთზე..

— რა სროლა ოუტყდა ამ კაცს! — უკვირს მეთევზეს.

— გადეირიეთ, კაცო, სროლა არ ატეხოთ აქანე!.. — ფხიზლდება სიცხისაგან გათარანებული შალიკიანი, — ისიდორე ყვერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპიროსის კოლოფს დავდებ ოცდახუთ ნაბიჯზე, შორია? — კითხულობს ბაქიძე გერონტი, კვეჟო, შალიკიანის შეშფოთებას არ იზიარებს.

— არაა შორი, ისე ნაბიჯსაც გააჩნია, რა გითხრა იცი, ჯერ აქედან დაიწყე! — ბოჩიასკენ წევს ნიკაპს ღიმილით მიხა.

— ჩემგან?! — მაუზერის მჭიდს ამოწმებს თვალებანთებული.

— შენ გაჩერდი! — ჩუმად ეუბნება ფარნაოზი.

— ჩვენ ხომ არ გვეცადა! — ფარნაოზისაკენ იხედება.

— ნაძლევზე მხოლოდ.

— რაზე დავნაძლევდეთ?

— სიდედრის მაყრობაზე.

ლოყის კუნთთან ერთად უკრთის ულვაში, ფარნაოზის ღიმილი აღიზიანებს აშკარად.

— მიხა ბიძია, ესენი გაჯობებენ შენ?! — გაოცებული ეკითხება ბოჩია.

— კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩება! — ხალათის სახელოთი აპრიალებს ლულას.

საშინელი სროლა ატყდება მოულოდნელად. ჭახაჭუხით ასკდება ტყვია კლდეს. ტინის ნამსხვრევები ცვივა. მოუხერხებელი პოზიციიდან ისვრიან, ეტყობათ.

ნაპირ-ნაპირ, წყალ-წყალ, ჩირგვნარში გარბიან. ლულაგადაჭრილი შაშხანით და მაუზერით ისვრის უკუღმა მორბენალი ფარნაოზი. არც ფორხილობს, არც ეცემა, ზურგზე აქვს თითქოს თვალები. შემობრუნდებიან, დგებიან, ისვრიან და გარბიან დანარჩენები. მეთევზე ზურგზეგადაგდებულ ბადეს არ თმობს, საჯდომზე იტყაპუნებს ფეხისგულებს.

ნაცრისფერ ქვებს ეფარებიან ასკილნარში, სულს ითქვამენ და სროლაც ნელდება.

— სადაა მეთევზე? — ახსენდება ვილაცას.

— დაყვინა. — ეცინება ფარნაოზს.

— დაჭრილი რატომ არ გაგახსენდათ, მივატოვეთ შალიკიანი; მოკლავენ იმ საცოდავს! — წუხს ბოჩია.

— ან მოკლავენ, ან დაარჩენენ... ერთად ნუ შევჯგროვდებით, გავიშალოთ... ის მხარე აკონტროლე შენ, ბინდდება და მეტზე ვერ გამობედავენ. მარა მზად უნდა ვიყოთ.

— გამობედავენ და მაგათი აჯობებს! — ეპასუხება ფარნაოზს მიხა იაშვილი. სხვა ქვასთან გადადის, სათუთუნე ქისას აძრობს, წინასწარ დაჭრილ ქაღალდში ახვევს თამბაქოს. სოფლის ხმები მოდის ჭახათიდან. ბიჭი ეძახის ძაღლს გაღმა ნაპირზე. ბინდის გალობას ამბობს ჩიტი. ჩამავალი მზით წითლდება არე, მეწამული ეფინება ასკილის ყვავილებს.

— გული არაფერზე დაგწყდეს შენ! — ღიმილით მიჩერებია გერონტის ფარნაოზი. — სხვა დროს, ცოტა წაივარჯიშებ კიდეც საღორიაზე, კაუინარში...

— შენ რა ყოფილხარ, კაცო, მესმოდა და არ მეჯერა, უკუღმა მორბენალს წაღმა ვერ დაგეწიე, ბნელშიც იხედებაო, მართალია?!

— ამბობენ კი, შეჩვევაზეა...

— ის მაღალი მებორნე ხომ არ გამცემს...

— არა!

— მაშინ წავედი, რკინიგზის მუშა ვარ ისევ, ღვალაძე პარმენი... — დაჭმუჭნილ ქუდს ირგებს გერონტი რობაქიძე — კვეჟო. — ეს ვაზნები გაინაწილეთ, თოფი ბო-

ჩიას, ეს ამ კაცს მინდა ვუსახსოვრო! — გაზეთილ ბრაუნინგს აძლევს მიხას. ხელით წონის, სახელოთი უპრიალებს ტარს გახარებული და ცოტა გაოცებული მიხა.

— აბა თქვენ იცით, ჩემი კაცი მოგძებნით, ჩემ მისამართსაც ის გაგაგებინებს, ფარნაოზ!

გადაკოცნიან ერთმანეთს.

— ნაწყენი არ ნახვიდე, კაცო!

— არა, მიხაიაშვილო!.. — ერთად ამბობს გვარს და სახელს. — ნაწყენი და უკმაყოფილო ესენი უნდა დავტოვოთ, მაგენის დღეები დათვლილია, აბა! — მუჭშემართული მიდის, ჯაგნარში შეშლიგინდება და ქრება.

*

საქართველო ნაწილია საქართველოსი, ნაწილია მთელისა. ამიერკავკასიის ხელისუფლებამ (კომისარიატი, სეიმი) ხელი უნდა მოაწეროს საბჭოთა რუსეთ-თურქეთის „ბრესტ-ლიტოვსკის" საზავო ხელშეკრულების პროექტს . საქართველოს დელეგაციის სახელით ხელს მოაწერს აკაკი ჩხენკელი და დაადასტურებს, რომ დაიკარგა: ყარსი, ბათუმი, ახალციხე. წილი გააქვს ოსმალეთის ოტომანთა პორტას. ეყოფა? მადა ჭამაში მოდის. ამაზე მეტიც ჩაუყლაპავს. რასაც ჩაუშვებს, მოინელებს კიდეც. იმისი ყოფილა: ოზურგეთიც, აბასთუმანიცა. აბასთუმანზეით ულელტეხილია — რკინის ჯვარი, ულელეტეხილქვემო, პირდაღმა — წითელი მინდორი, უფრო ქვევით — საირმე და ბაღდათი. იქიდან არ ვყარაულობდით იმერეთის სამეფო ზონას?! ეს ჩვენი სანჯაყია, იყოს იმათი ჩვენი ან ჩვენი იმათი. აქ დავსვამთ გამაჰმადიანებულ ბებიით ქართველს, ბებიით ქართულის მცოდნე ბეგს, ფაშას; რასაც ვყარაულობდით, იმას ვუყარაულებთ. საქუთაისო დემოკრატიული სანჯაყი შემორაგულია; გურია-სამეგრელოში (აფხაზეთი და აჭარა ჩვენია) მაჰმადიანი გურიელ-დადიანი გამთავრდება. დალაგდებიან. დაცხრებიან. აიშლებიან და დაერევიან ერთმანეთს დროდადრო, შველას ჩვენ მოგვთხოვენ. ყველაფერი საუკუნეების წინ შედგენილი ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით განვითარდება...

დაქცეული პატარა სომხეთი დიდი არმენიის ფერად სიზმრებს ხედავს და ჯერ საქართველოს გაუსწორდება, შემდეგ აზერბაიჯანთან და ოსმალეთთან გამონახავს, ადრე თუ მალე, საერთო ენას. აზერბაიჯანი, გვალვის წვიმასავით რომ ელოდება თათარს, სომეხ-ქართველს (ერთ შეწვი, მეორე მოხრაკე) შეეფიცება ძმობას.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობაში რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეიქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. დარჩნენ თავისი ძალების ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა..." ჟორდანიამ დაწერა ეს!

ოსმალეთი მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა: იგი ცნობს ამიერკავკასიის ტერიტორიებს ადრინდელ (უმჯობესია, XVII საუკუნის) საზღვრებში. თბილისი ამიერკავკასიის თავისუფალი ქალაქი გახდება. ამას მარტო მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა კი არა, სოციალისტების პროლეტარული ინტერნაციონალური სულისკვეთებანიც განაპირობებენ.

დიდი ოსმალეთის აღდგენის დროა. ბათუმში რუსის ბარაბანის ხმა აღარ ისმის. შენობებზე ნახევარმთვარიანი დროშები ფრიალებენ. წვიმს. თბილი ნისლი დასწოლია ქუჩებს. მკვდარი კატა აგდია ქვაფენილზე... პოლიტიკურ არენაზე გამოდიან გერმანელები. მათი წარმომადგენლები: მაიორი ფონ ლოსოვი და გრაფი შელენბურგი:

საქართველომ დამოუკიდებლობა უნდა გამოაცხადოს, უარი უნდა თქვას ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის ყველა ვალდებულებაზე და აქედან გამომდინარე, ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე. სხვა გზა არ ჩანს კი არა, არ არი!

22 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილების მიღებამდე სხდომა: ნ. ნიკოლაძე, ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი, პ. სურგულაძე.

როგორ გაიგებენ ამ ოპორტუნისტულ-სეპარატიულ აქციას მსოფლიო პროლეტარიატის მკვდარი და ცოცხალი მოინტერნაციონალო ლიდერები?!

— გაგვიგებენ, გაიგებენ!.. ჟღალ წვერს იფოცხავს დიდი ნიკო ნიკოლაძე.

— ან გაგვიგებენ, ძმებო, ან ან ანარა! — ენა ებმის უდროოდ წვერჩამოშვებულ ნოეს.

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდება ხვალ, 26 მაისს!

ეროვნული საბჭო ხმას აძლევდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების პროექტს. ყველანი საკუთარი თავისა და სინდისის წინაშე აგებდნენ პასუხს, ხმას აძლევდნენ ინდივიდუალურად და არა ფრაქციისა და პარტიის სახელით. თანახმანი იყვნენ და რუსეთის თუ რუსული დემოკრატიის ერთ-ერთ ლიდერს გული კინაღამ წაუვიდა. თითქმის გულშეღონებული, ყოველგვარი თეატრალობის გარეშე ფერდაკარგული ჩაესვენა სავარძელში და დაიწყო ლულლული.

რა მოუვიდა ბატონ კაკის? — კითხულობდნენ. ბატონი კაკის გულყრით კი არა, ისტორიული მოვლენით აღელვებული დეპუტატები. კაკის კი ისტერიული და არა ისტორიული კონვულსიები დაეწყო:

— რას სჩადიხართ?! თქვენ ღუპავთ რუსულ დემოკრატიას, თქვენ ღალატობთ ინტერნაციონალიზმს?

კაკი დაწყნარდა და მოულოდნელი წესით აღარაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ დეპუტატმა ჯაფარიძემ, იქამდე ხმა რომ არ ამოუღია, ფეთიანივით იყვირა:

— ნავთი!

ნავთის სუნმა, უფერო და უსუნო სიტყვას რომ წამოჰყვა, ცეცხლის ასოციაცია გამოიწვია, ბევრს ხანძარი ეგონა.

— ნავთი, ნავთი, ნავთი! — თავისას არ იშლიდა დეპუტატი ჯაფარიძე:

... ჩვენ არა გვაქვს ნავთობი, უიმისოდ ვერ ვიცხოვრებთ, ნავთი, ნავთი!

არა გვაქვს, გვექნება. სამაგიეროდ გვქონდა წყალი, ცივი, კამკამა, მინერალებით შეჯერებული.

სოლომონ ზურგიელიძეს ჰკითხეს:

— ბატონო სოლომონ, ნავთი ჯობია თუ წყალი?

— დასალევად წყალი!

*

1918 წლის 26 მაისი. ნაშუადღევის 5 საათი და 10 წუთი. კითხულობენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

დასასრულს:

თავმჯდომარე: თანახმა ხართ, მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? გთხოვთ, ასწიოთ ხელი! ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული!

(ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს! საქართველოს გაუმარჯოს!)

სიტყვა „თავისუფალს" არ ამბობენ.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა (დასაწყისი);

ჟორდანია: ლაპარაკობს ენისმოკიდებით. მივაქციოთ ყურადღება საზგასმულ სიტყვებს:

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულისა და ამავე დროს **ტრაღიკულ** აქტისა. ამ დარბაზში **მოკვდა ერთი სახელმწიფო** და ამ ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც **ერთი მოკვდა** და **მეორე იბადება**, შეუძლებელია ყოფილიყო **ინტერესთა წინააღმდეგობა**.

და თუ ოდესმე **პირველი აღსდგება მკვდრეთით**, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ **იქნება ინტერესთა თანხმობა**... ტაში.

ასე ამრიგად, „ისტორიული და ამავე დროს ტრაღიკული აქტი" შედგა, სულ ცოტა ხანში ის პირველიც (მკვდარი) დიდი ქართველის დიდის ძალისხმევით მკვდრადშობილად აღსდგა და კვლავ მოკვდა. მეორე, რომელიც იბადებოდა და არავის მისი დაბადება არ სურდა, აკვანშივე ჩაკლეს. საქართველოს დროებით დემოკრატიულ რესპუბლიკას, ყველაფერთან ერთად, ეკონომიკურადაც უჭირდა და ნავთიც ჰქონდა, მაგრამ იგი მხოლოდ სამკურნალოდ (დასალევად) თუ ეყოფოდათ.

ბრძენი ყოფილა ის მშობელ-განათლებული სოლომონ ზურგიელაძე, დასალევად წყალი ჯობი-ას, რომ იმეორებდა.

*

შუადღეა. ეზო-ეზო გადმოდიან ყაჩაღები, ყანის ბილიკს მოჰყვებიან.

— ვაი დედა, სამოროდე გამხდარა სიმინდი! — სვლას ანელებს ბეჭზე ყაბალახგადაგდებული მიხა.

დატალახიანებულნი, ჩარკინულნი, დაღლილები იმოკლებენ გზას. ნიავის შრიალია და ინდოურ-ჭუკების ხმაა.

— ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი!..

ჭინჭრის ფხალს კეპავს და საჭუკეს ამბობს დედაკაცი. შორს, მისი ხმა გააქვს და გამოაქვს ნიავ-სიცხეს.

ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი...

ალაგეზე გადმოაბიჯებენ ეზოდან, კალოზე მოდიან.

ჭასთან დგანან. მაღალი ოწინარის ჩრდილი დაცემია ქვის სკამლოგინს. მსხლები შრიალებენ ეზობოლოში. ქვემოთ სოფელი ჩანს.

ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი...

აბრეშუმის ჭია შვარშვალებს ჩელტებზე. ბჟოლიფოთოლს აფენს სალომე ჭიაზე.

— ... არ მოხვიდე ბოხმეჭიავ, არ მოხვიდე ყურბელა, ამათი ჭირი შენ, ამათი სენი შენ, მიწრიელო მიწითა და არა ჩელტითა, ამათი სენი შენ, ამათი ჭირი შენ... ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი, ბოჟი...

მარნის ღია კარიდან წელზევით შიშველ კაცებს ხედავს. წყალს ასხამენ ხის ბადიით ზურგზე და თავკისერზე ერთმანეთს. წინსაფარს იხსნის, თმას ისწორებს. სპილენძის ტაშტის წყალში იხედება.

ბრუნავს სცენა. გადაყანთრული, ორკეპა ოწინარი ჭრიალებს. სიცხეა ჩაწნული სიმწვანეში. ხავსიან მანიკას გადის წყალი.

ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი, ჭუკი-ჭუკი...ჭელა ნაწნავები წამოუყრია წინ საჩეხში.

— ესაა, მიხა ბიძია! — ეჩურჩულება ბოჩია მიხას.

— რას ამბობ! — ქალს აკვირდება თვალწაჭუტული.

ხან ქალს უყურებენ, ხან საქციელმორყეულ ფარნაოზს.

პირსახოცი მოაქვს. მოდის მჩატედ, იელის ყვავილისფერ თვალებგაშტერებული. ბლუზებს იცვამენ, სახეს იმშრალებენ ბოლომოარშიებული, მოწოდებული პირსახოცით.

— უკითხავად შემოვედით, ქალიშვილო, ბოდიშს ქე ვიხდით, მარა რაღა ... !

— პირწმინდად გადაპარსულ თავზე ისობს ხელს, უქუდობასაც უკადრისობს, ნიკოტინგაჟღენთილი ხმით.

— რას ბრძანებთ, ბატონო, როგორა ხარ, ბოჩია!

— ვარ, რავარც მხედავ, რავა არიან ჩემები, ხომ არ იცი?

— როგორ არ ვიცი, კარგად, მამაშენი გეძებს, ბიჭო...

— მეე?!

თანდათან ეღუშება სახე, ფრჩხილების კვნეტას იწყებს.

— ღმერთი ყველაფერს პატიობს ადამიანს, თუ შეინანიებს!..

— მეე?!

თავდაღუნული მოზვერივით მიდის ღობისკენ.

— ბოჩია... — ეძახის სალომე.

დაანებე თავიო, ფარნაოზი ანიშნებს.

— შენებიც კარგად არიან. ყველანი კარგად არიან — ხარიტონი, დედა, ბალნები...

— მარტო ხარ?

— მარტო. დედა მანჭკვალას აგროვებს, მამამ ხარი წაიყვანა მჭედელთან...

— რა შესანიშნავი წყალი ყოფილა, ქალიშვილო, — ყაბალახს ირგებს მიხა. — ზიარებასავითაა, სული ჩავიბრუნეთ სწორეთ...

— აქაური წყალი ნაქებია, ბატონო...

— არ ეტყობა?! აბრეშუმი გიზით ხომ? მშვიდობაში!

— გამოდიან წარბიკანში, მადლობთ.

— დიდი ყაჭობა და ბარაქა, ღმერთო, შენითა ვართ! — პირჯვარს იწერს.

— მადლობთ. შემობრძანდით.

— არა. ჩემები უნდა ვნახო. — უარობს ფარნაოზი.

— შორს აღარ უნდა იყოს ხარიტონის სამოსახლო. კი ვარ ნამყოფი, მარა გზა ვეღარ დავიმხარი ამ გზობაზე, აღმართი გვაქვს კიდევ...

— ამ სერს გადაივლით და თავქვე, ბატონო...

— კარგი ღვინო ჰქონდა, მახსოვს...

— ახლაც კარგი აქვთ, მშვიდობა იყოს, ბატონო, მხოლოდ...

კივილი მოდის შორი კუთხიდან. აყურადებენ.

— საწყალი ბესარიონი მოუკლავთ, მამამ ამოიტანა ამბავი, მარა არ ჯეროდათ, დღეს ამოასვენეს და ახლა შეიცხადეს... ბოჩია დაჭრილი ხომ არაა?

— დაღლილია...

ღობისძირში თვლემს.

— არ დააძინო, თუ კაცი ხარ, დაგეწევით!

ისედაც გაცლას აპირებდა მიხა.

აღმართ შუკაში მიდის ბოჩიასთან ერთად, ორ ხიმეში ჩანან წითლად დამავალ მზეში.

ღობის სარზე უკიდია ფარნაოზს ხელი. ალაგეზე მომდგარ სალომეს ელაპარაკება. არ ემჩნევა ღიმილი, განსაცდელის ჟამსაც რომ არ ჩამოუდის სახიდან.

— შენზე ქონდათ დღესაც ლაპარაკი...

— რაიო?

— ერთმა ერთი თქვა, მეორემ — მეორე.

— ყაჩაღს და ნადირს ქალს ვერ მივცემთო?

— დედამ — კარგი ხელობა ქონდაო, თუ მშვიდობა დადგა და თუ ხელობას დაუბრუნდაო...

— აი, ჩემი ხელობა! — თოფს წევს. — უსამართლო ქვეყანაში მშვიდობიანად ვერ ვიცხოვრებ. მდიდარი და ღარიბი როცა გასწორდება, მოვა ეგ დროც, მაშინ...

— მანამდე უნდა გიცადო?

— მანამდე? — შეფიქრიანებულია. — არა. არ უნდა მიცადო. მტერი იქნა ტყეში გავარდნილი კაცის იმედზე...

შეტირილის ხმაა. შემოაქვს და გააქვს ცხელ ნიავს კივილი.

— ჩემი ხელობაც ტყვილა გახსენებია დედაშენს... ჩვენ ვიბრძვით ჯერ... სანამ არ დავამხობ ამ მთავრობას, ლულას არ გავაციებ.

მოთქვამენ ყრუდ. შემდეგ ისევ კივილი იწყება. ახალ-ახალი მატირლები ემატებათ.

უი, უი, უი, უი, უი, უი, უი, უი... ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, უუუ!.. უი, უი, უი...

ნიავი არხევს ტირილს ბუჩქებში და ხის ტოტებში ქინძავს.

— ამ მთავრობის დამხობამდე შენ მოგკლავენ.

— მადლობთ. მომკლავენ. რას ვიზამთ. მე კი არა, ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ჩემი სიკვდილი არაფერს შეცვლის. ჩემ მაგიერ სხვა იბრძოლებს, იქნება სულ ომი... ადამიანისშვილს ვერ გააჩერებ...

— მე წყალში დახრჩობის მეშინია.

— წყალში? — გაოცებულია. — დასახრჩობი წყალი აქ სადაა?!.

— სანთლებს ვუნთებ ხოლმე დებს...

— ვის დებს?

— და წმინდა ნინოს...

— დაანებე თავი სისულელეებს...

— და შენც გინთებ...

— არ არი საჭირო, ჩემი სანთელი სიტყვაა. უპირობას, ღალატს ვერავის ვაპატიებ, ვერც შენ...

— არ მინდა, რომ შენ მოგკლან ჩემზე ადრე... —უახლოვდება, ფარნაოზი უკან იხევს.

— ჩემი სიკვდილი მოგხსნის ხუნდებს, მაგრამ, — ღობე აღარ უშვებს, — თუ სიტყვისა და პირობის შესრულება არ შეგიძლია, ახლავე გათავისუფლდი... — ღობის ალაგეზე გადადის, ქალს ტოვებს საბიჯგელასთან,თეძოებზე წვდება ალაგეს გრძელი ხიმე.

— სულ განადირდები აწი და აწი! სად წადი?!

— ათასი თვალი გვიყურებს, ხომ გგონია არავინაა, მაინც გვხედავენ... — მობოდიშებასავით გამოუდის. — ვინ რას იტყვის, იცი?!

— მოიწი კიდევ... — ჩურჩულით, მაგრამ გარკვევით: — რაც უნდათ, ის უთქვიათ, არ მეშინია და არც მეცინება შენსავით!

სწორდება, ნაწნავებს იხვევს კეფაზე. ძლიერდება და მოულოდნელად ცხრება შეტირილი. ჭუკების ხმაც იკარგება, აბრეშუმის ჭიის შვარშვალიცა. თავიბიბილო გაჭარხლებული მამალი ინდაური ყვიპყვიპებს.

*

— ფარნაოზეი მოვიდა, ბაბაია, ფარნაოზეი მოვიდა!... — მოკივიან დები ფეხშიშველნი, კოჭებამდე ჩაშვებული ჩითის კაბებით.

— ჩვენი ძმა მოვიდა, ბაბაია!

— რა იყო, ქალო, რამ გადარია ბაღნები! — ვენახიდან ისმის ხარიტონის ხაფი ხმა.

დედა ეფერება სახლუკან, ლაფაროში. ბოჩია და მიხა დგანან შორიახლო. ბავშვები მორბიან მინდორში ჩითის ერთნაირი კაბების ფრიალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოხვედი, შვილო, მოხვედი, ბიჭო, ჩემო გამმწარებელო, გადავარდნილო, განადირებულო... რას ჭამ, რას სვამ, სად გძინავს, რა გახურავს!..

— სტუმრებია, დედა.

— რკინებში ხარ ჩაჭედილი, ხელი ვერ შემივლია, ვინ გდევნის, ვისი ცოდვა არ გაყენებს!..

— დედა!

— ბოდიშს ვიხდი, თვალში სინათლე აღარა მაქვს, ახლავე ჯორკოებს გამოგიტანთ. — ცრემლებს იწმენდს.

— არა უშავს, ბატონო, აქაც კარგად მოვთავსდებით, ჯირკებია აგერ... — ჯირკზე ჯდება მიხა, თუთუნს ახვევს სათუთუნედ გამზადებულ ქაღალდში. დები დგანან შორიახლო თვალებანთებულნი, აქლოშინებულნი.

— სიზმრები არ მასვენებს, მღვრიე წყალი მიგაქანებს, ნაპირ-ნაპირ მოგდევ, ხელს ვერ გაწვდენ, წყალში ვერ შემოვდივარ, ვკივი... ბესარიონი მოუკლავთ საწყალი.

— მოდით! — დებს ეძახის სახეზე ღიმილდაფენილი ფარნაოზი. მკლავებქვეშ შეუსხდებიან, გატრუნულნი დგანან.

— ესენია კაცო? — ხველებით კითხულობს მიხა.

— კატო და ფატი.

— კატო რომელია? ფატო? ფუი, ფატი, კატი, კატო!

გულიანად იცინიან...

— მიხა იაშვილი, მიხაკო დამიძახეთ თუ გინდათ! — წამოუდგებათ. — უფროსი რომელი ხართ:

— ეს.

— მე.

— რატომღაც შენ მეგონე, არა უშავს, ასე დაემართა ბაბუაჩემსაც სიონიძის ნათლობაში...

— მოდით აქ! — ფხიზლდება ფეხზე ჩათვლემილი ბოჩია. — ა, თქვენ! — ფოჩიან კანფეტებს უწვდის. დგანან. უყურებენ ჩამოპორწიალებულ ორ გრძელ კანფეტს.

— გამოართვით! — ძმის ბრძანებაა.

— რავარი თავშენახული კაცი ყოფილა ჩვენი ბოჩიაი. მე რომ არაფერი მაქვს, რა მივცე ამ ბაღნებს...

— შაქარი მაქვს კიდევ ბიცოლასთვის... ეს კანფეტი ორივესია, ერთი ჩემია, ერთი მიხა ბაბუამ მოგიკითხათ.

რიგრიგობით უხდიან ორთავეს მადლობას.

— სამაგიეროდ მე მაქვს თქვენთვის გადანახული უფრო მაგარ-მაგარი კანფეტები, წასვლისას დაგირიგებთ! — ეღიმება ფარნაოზს.

— დროცაა, — კარაბინის სავაზნეს ამოწმებს მიხა. — ყველაფერს და ყველას დრო აქვს, ბაბუაო, ბაბუა ვარ ბიჭო, მე?!

— ამგენისთვის... — თვლემს ბოჩია.

— მართალია, კი უნდა მყავდეს ამხელა შვილიშვილები.

ჯორკოები გამოაქვს დედას.

— რატომ წუხდებოდი, ანა, მე ვერ გამოვიტანდი? — თვალებს ისრესს და ჯორკოებს ართმევს ბოჩია.

— უნდა შევწუხდე, შვილო, შეწუხებისთვის ვართ, ხარიტონიც მოდის, ყველაფერი იქნება მალე...

— მამამ რვეულები გვიყიდა. მეც მიყიდა, კატოსაც უყიდა... — კანფეტ-წუხნის ფატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რვეულები რად გინდათ თუ არაფერი ჩაწერეთ...

— ვწერთ...

— ჰოო. რას წერთ, რას სწავლობთ, რას კითხულობთ, ბოჩია ვარ მე...

ერთდროულად იწყებენ:

— ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ყმაწვილი დაიჭირა და იამა... ეს არა, ეს არა... — ერთმანეთს აჩერებენ და ხელახლა იწყებენ. — გაბმულხარ, ჩიტო, მახეში, გაჩერდი, ნუარ ფრთხიალობ! ჩვენი ხარ, ველარ წაგვიხვალ, დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?..

ხარიტონი მოდის ვენახიდან, ახალგადაცმული ხალათის ღილებს იკრავს მოუხერხებლად დიდი და დააბედებული ხელებით.

— კაი გამარჯობა თქვენი! — ხელს ართმევს სამთავეს. — რას შობი, ბიჭო, შენ, ბოჩია, რავა ხარ, როგორ გიკითხოთ, მიხაკო ბატონო!..

— ... ტრიალ მინდორში, საწყალო, გაგყინავს ცივი ზამთარი და აქ კი ოქროს გალია შენთვის ახლავე მზად არი...

— კარგით, აღარ გინდათ, იმღერეთ თუ მაინცდამაინც... — აჩერებს დებს ფარნაოზი.

— ჯერ ყვავილებს მოვიტანთ. — ჭრელი კაბების ფოფიალით გარბიან.

— მოსავალს როგორი პირი უჩანს, ხარიტონ ბატონო?

— მოსავალზე ადრეა ფიქრი. მარა ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგია, ვენახი ვარგობს ჯერჯერობით, სიმინდს არა უშავს, მშვიდობა იქნებოდეს და ღვთის ნაბოძვარი არ დაილევა. გარჯას არ დავაკლებთ ჩვენც.

— ვაი, ერთი წამომაწვინა!.. — ბოჩიას ხმაა.

— თავი არ წადო, დავიბანთ, გამოფხიზლდები...

— ხომ დავიბანეთ, ფარნაოზ, ჭაზე?.. ფეხიც შემისივდა ნაღრძობი.

— თბილ წყალს გადავივლებთ ტანზე, დედა მერე ოშოშოიას დაგადებს, გეამება.

— მეამება, მეამება წმინდა ღვინის ზიარება... — თვალდახუჭული ღიღინებს. ხმადაბალში მიჰყვებიან.

— ... მეამება, მეამება წმინდა ღვინის ზიარება...

— შეტირილია სამეზობლოში, ბესარიონი მოუკლავთ... — აქეთ-იქით იხედება მასპინძელი.

— ხმა არ გადის, არა უშავს, აქედან არ ვჩანვართ, — დედას სიმღერა ურჩევნია. ხარიტონს ძელბარი და თოხი გამოუმარაგებია...

— ჭურს ხდი, ხარიტონ ბიძია?

— წამო შენ ჩემთან, ბოჩია!

ყვავილწნულები მოაქვთ გოგონებს.

— ეს ვის მოუტანეთ? — უკვირს მიხას.

არ იციან.

— როცა მოვკვდები, დამადევით გულზე, ჯერ ადრეა!

— ამას თმაში გავიკეთებთ...

— ეგ სხვა საქმეა. ერთი ნაკვერცხალი გამომირბენინეთ მანამდე, თქვენს გაზრდა-გახარებას! — თუთუნს ახვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისრისტეხით ეკვეხებიან დები პალატის კუტიკარში, შესვლას არ აცლიან ერთმანეთს. აკვამლებული მუგუზლებით მორბიან იმწამსვე — პაპიროსის გაწყობამდე. საიდან მოუკიდოს აღარ იცის.

— ცეცხლი გაწიეთ, არ აფეთქდეს! — ეღიმება ფარნაოზს.

— ცოტა მომერიდეთ მართლა, რავარი კაი ბაღნებია, თქვენ გაიხარეთ მაინცადამაინც, აქედანაც მოვუკიდებ, იქიდანაც, ე, კარგია, წეიღეთ აწი!

უკანვე შერბიან. ახრჩოლებული მუგუზლები მიაქვთ ხველებით, თვალში ცრემლის დენით.

თოხით ფხვიერ მიწას აცლის ბოჩია ჭურისთავს ბიებქვეშ. ხარიტონი ძელბარს რეცხავს და აყალოს არბილებს. ბოჩია ორშიმოს უმზადებს. სულს უბერავს ძროს. ბურძღენის ნარჩენებს აშორებს.

— რას აყოლიხარ, ბოჩია, შენ მაგათ... — აყალოს ჭრის მოზომილად. — მაგათი საქმე წასულია და შენ მაინც უშველე თავს, ბოვში ხარ სულ, ერთ ცოდვას მეორე არ მიუმატო... — მოჭრილ აყალოს არეკავს, ფხვიერზე წააწვენს, ორგოს ასუფთავებს. — გაეცალე, სანამ გვიან არაა, მაცხოვარი მონანიეთა ღმერთია, შეგინდობს. — ორგოს ხდის ორ ნაწილად. გაკრიალებულ-გაბნკიალებულ, სრავმოუყენებელ ღვინოს დასჩერებია პირჯვრის წერით. — ღმერთო, შენითა და არა ჩვენითა!.. — ბიის ფოთლებიდან ჩამოშვებულ მზის სხივზე ჭვივის ჭუკისფერი ღვინო მოპირთავებულ ჭურში — შენითაა ყოველი სულდგმული, შენი მოპოვებულია საზრდო ჩვენი, საბადებელი, შენ გვიშველე, შენ შეგვეწიე!.. — ორშიმოს ძროთი შეძრავს ღვინოს. ჩხრიალით ეშვება ორშიმოში ზედაშე.

სუფრას აწყობს დედა საჩეხში, ხავსიან ხურდუმთან, მოფარებულ ალაგას. გოგონები დასდევენ დიასახლისს. რიგრიგობით გამოაქვთ ჯამები, კეცებიდან არეკილ ჭადებს აცლიან მიმხმარ ნეშოს პატარა, ვარდისფერი ფრჩხილებით, ქალური მონდომებით. მიხა და ფარნაოზი ლაპარაკობენ:

— საშასეული კარაბინი ხომ გახსოვს? — ეკითხება მიხა.

— რავა არა.

— კონდახი გაებზარა. ჩემი ბრალია, ვაგონის კარს დავკარი, გერას დავუტოვე, გავაკეთებ, არ დავატყობ არაფერსო...

— კარგი თოფია, დამენანებოდა, რომ გაგეცა, თვალი რჩებოდათ ნანიკაშვილებს ზედ. გერასთან ნუ მიხვალ დღეისსწორს...

— ხვალვე ჩავაკითხავ, ანდა დოვუგვიანებ...

— თვითონ არაფრის მაქნისია, მშიშარა და გლახა, მარა აყვანილი ყავთ, უთვალთვალებენ, ვინ გადის და ვინ შემოდის, ვის მიაქვს, ვის მოაქვს, სანდო არაა თვითონაც.

— ვიცი. ვინლაა სანდო. ყოჩაღადაა მამაშენი, არაა ტახივით!

— უცემიათ იმ დღეს ხრესილში, არ შევარჩენ სევერიან მიქაიაძეს მამაჩემის სისხლს, თავპირდახეთქილი დაბრუნებულა, არ მიმხელენ...

— მაგ გაიძვერა სევერიან მიქაიაძე აფრასიონ მერკვილაძესთან იყო გადავარდნილი. ახლა მთავრობას ერთგულებს ვითომ. წამხდარი, დაკარგული, ჩამივარდება კიდევ ხელში!

ღომი შუშს ნაჭაზე ჩამოკიდებულ კარდალაში. ფიქრით მზერანართმეული დედა ზის კარდალასთან. წაფერდებული სუთი სწორდება თავისთავად და ღომი აღარ ფეთქავს.

— რა მოხდა, დი?!

— სუთი გასწორდა, ღმერთო, შენ გვიშველე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანა, ანა! — ისმის ხმა შორიდან.

კაბებს ისწორებს და გადის ლაფეროში.

— ვინ არი? — ეკითხება ხარიტონი.

— შუშანა, მოისპო მაგი, გიდელი დავიტოვე იმ ღამეს... — კივის. — რომელი ხარ?!

— შუშანა ბებია, შუშანა ბებია! — ერთმანეთს ასწრებენ გულამოვარდნილი ბავშვები.

— მე ვარ, ანა, შუშანა! — წაკივლებით იძახის სტუმარიც.

— გაუტანე, გაუტანე!.. — გიდელს ხსნის კადოდან და ენერგიულად იქნევს გიდლიან ხელს. — არ შემოვიდეს აქანე, არ შემოვიდეს!

— ვინ არი? — იარაღს სინჯავს მიხა. — გაგვცემს?

— არა კაცო! — ეცინება ფარნაოზს.

— ბღალავია, ბატონო. არ წაიღო იმ ქალმა ეს გიდელი! — თოკის მიბმულ ღანღვალს აგდებს შიგ.

შავოსანი ქალია, მაღალი. წელზევით აცილებია ხიმეს. ჭიშკარგადაღმა დგას დედოჭრელო ბოძთან, ლურჯ თვალებს აცორიალებს ეზო-კარზე.

— მობრძანდით! — სახემოჩრდილული მოიჩქარის ანა.

— გიდელი დავტოვე იმ დღეს...

— უი, სულ არ გამახსენდა, ბაღნებო, გამოიტანეთ გიდელი, მობრძანდით, შე ქალო, რავა გადაღმა გაჩერებულხარ!

— ბესარიონი მოასვენეს, იცი ალბათ, ანა!

— აპა, აპა, ის უბედური!

— დავივალე, ამ უბანს მე ვეუბნები, შემოსვლით არ შემოვალ, იცი შენ!

გიდელს მოარბენინებენ ყვავილწნულებით თმადამშვენებული გოგონები, ყვავილებით მოჩითულ მოლზე გამორბიან ჩითის გრძელი კაბებით.

— ბღალავია? — არ სჯერა მიხა იაშვილს.

— გველი ყავს ბებერი! — უხსნის ბოჩია.

— ბებერი?

— კარგი, ბიჭო, — უწყრება ფარნაოზი. — გველი კი არა, ეს უნდა მამაჩემს!

— მაგი გადაშენდა, რა ვიცი რა ყავს... დავადევი ნიშანი სანიშნეზე და ქე ვერიდები მასკვან.

— დადაღე?! — თვალები აქვს გაფართოებული მიხას.

— წავკუზე. მარტო რას გავხდებოდი, წამეხმარნენ... მეხრჩობოდნენ ბაღნები ხუნაგით, ოუშვი, მე ვუთხარი, რა შუაში ვარო. აბა ვინაა, მე ვუთხარი, არაო და მივაშიშხინე გავარვარებული ნალი, უკაცრავი პასუხია, უკანალზე.

— ძველი ხარ, ხარიტონ, ძველი! — ყვირის ბოჩია.

— კუდიანია, კაცო?! — ფარნაოზს უყურებს მიხა.

— სოფელია ბნელი, კუდს კი არა, რასაც გინდა იმას გამოგაბამენ!..

— სოფელი ბრძენია, ბაბა! — შვილს საყვედურობს ხარიტონი და ღვინოს ასხამს დინჯად ჯამებში. — მაგ კიკიბერა, მაგი!..

— გოუთხოვარია?

— ვინ ითხოვდა მაგას!

— სტუმრები მყავს, შუშანა, — ბოდიშობს ანა ღობესთან. — რაჭველი მხერხავებია, წაბლის მორები დააჭრევინა ხარიტონმა ადრევე საბოსლედ...

— ვიცი, ანა, რაცხა მხერხავებია... — ღანღვალს ამოწმებს, ახვევს თოკს და ფრთხილად დებს გიდელში. — ჯარი გადმოუსხამთ ორპირის სადგურში მატარებლიდან...

— ჯარს ჩვენთან რა უნდა, შუშანა?

— მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, შენი ქმარია უჯიათი, ყუმი, გაუგებელი, დაუნახავი, თვარა ფარნაოზეისაგან სიკეთის მეტი არა მახსოვს რა, ანა!

მიდის. გაშეშებულ დედას ტოვებს ღობესთან, სიყრუე დგება კვლავ. ბრუნავს ყვავილოვანი მოლი ფერდობზე ვაშლის ხეებით, საადრეო, წითელი ვაშლები ჭვივიან სიმწვანიდან, სიცხე შედის ბალახბულახში, ბუსნოში და გამოთაკარებულ, დაბგალულ მიწაზე სიცხის სხრიალი ეწვნება ჭრიჭინს. მარტოა შუშანა ბოკონებზე შემდგარ უპალატო, ულამფო, ერთთვლიან ოდაში. ბალახი მისულა ალერდად დაბალ აივნამდე, კიბემდე. გრეხა გამხმარი ბალახების გირლიანდები კიდია კედლებზე. ნახორო, ბუჟა, ბუჟა მოხაშირო, ლესპანძო, მაგრატებინო. კაბა მაცვია ზაფრანისფერი, გაწყობილი ჩიტითვალებით. მოშეშდი მოთრიელო, მოგველო მიულაღლაღდი შენიანს, უზანის საწკეპელას გაუსწორდი. ნახორი, ნახორი, ყოლი კაცისა, მოხორი დიდედა-შენთან მოთრიალო, მოხაშირო, ცარიელო, ფუტურო ბრძენო!..

ვის ულოცავ, კიკიბერავ, აჟღავლებულ სიც-ცცხეშში?

*

— ძლიერ აირია ქვეყანა, ჩემო ბატონო, — მძიმე დღეები გვიდგას და უარესს მოველითო. კუდიან ვარსკვლავს მოყვაო ეს. დაინგრა ქვეყნიერება, გადალაგდა უსაფუძვლოდ... არ გასრულდა დიდი ომი... ისევ შფოთი. არ აჩერებთ ადამიანებს მათი დამაწყევარი... ჯარი ჩამოიცალაო ორპირში. ბღალავს რა დაეჯერება, მარა არც წაყრუება ივარგებს... გურნელი კაცია ერთი დეპუტატი, არსენიძე, ეკუცია მოვაო, იმასაც ეთქვა ამ წინეებზე... არ იტყოდა იგი იონქრად!

ილუკმებიან. არ პასუხობენ. ხარიტონიც აღარ იღებს ხმას. სავსე ჯამს დასჩერებია. მოლაპლაპე ღვინის ანარეკლზე თუ კითხულობს ავის მომასწავებელ ნიშნებს...

— ჩვენი მხრიდან თოფი აღარ გავარდება... — ტუჩებს იწმენდს ნიგვზის ნეშოთი ფარნაოზი. — ლეჩხუმის აჯანყებამ შეასრულა ისტორიული როლი, კიდევ უფრო მოურყია მაგენს ძირი. ჯარი თუ მოვა, წავა კიდეც, თუ არა და, ჩვენ მხარეზე დადგებიან, მუშებია და გლეხებია ისინიც, აბა, საბია მესხი და ჯაჯუ კისორელი არ უშვებენ სალდათში შვილებს...

— მორიგდებით ვითომ ერთმანეთში?

— მუშებთან და გლეხებთან გასაყოფი არ გვაქვს, უფროსობას არ დავინდობთ, სისხლიან, უკანონო მთავრობას ჩამოვამხობთ ბოლოს ჭერს თავზე.

— ტყუილი იმედი მომეცა. — გულს ეყრება ხარიტონს. — წადით, ბაბა, რუსეთში, დროებით შეაფარეთ თავი რუსეთს.

— ჩვენ აქ ვართ, აქ ვიქნებით, შემოსულები ჩემს წესს და რიგს დაემორჩილებიან, მაგენს გასაქცევი გზაც არ ექნებათ.

— დათვლილია, ბოლო-ბოლო, მაგთი დღეები, ბატონო ხარიტონ!.. — საუბარში ერთვება მიხა იაშვილი. — შემოვლენ წითლები და ეგ იქნება, ამით გათავდება ყველაფერი, ჯიშიანი ჩანდა მაინც, ქალიშვილობაში ავ თვალს არ დაენახვებოდა, ალბათ!..

—ვინ ბატონო?

—ანნა!—უხსნის ფარნაოზი მამას.

—ფუი, დაწყევლის ეშმაკი, ფუი ეშმაკს!..

— მაინც შემოვლიან წითლები!..

— როის ბატონო, ვინცხა იმის არ იყო?

— ქალიშვილობაში კაი იქნებოდა, წითლები მალე გამოჩნდებიან!

— პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო თუ პირიქით, ისევ ავირეკეთ, ვატყობ. არ დალაგდება ეს ქვეყანა, ტყუილია! ბღალავის გამოჩენაც ავის მომასწავებელია!

— უკეთესი დრო დადგება, ხარიტონ ბიძია, ჩაგრული გაიხარებს! — დიდი ლუკმის ჩაყლაპვა გაუჭირდება და წყალს დაუწყებს ძებნას ბოჩია.

— როდის, ბიძია, თუ აღარ ვიქენი, უკეთესი დრო რად მინდა. შაქარი, არ დამიმადლებია, დოქშია წყალი. იქნება უარესი დრო მოვიდეს. გადამთიელს უკეთესი როდის მოუტანია, წითელს და ყვითელს რა მოქონდა სახარბიელო, თქვენ უკეთესად იცით, მარა სისხლი მოყვება მომსვლელს, უბრალო სისხლი დაიღვრება ისთევლე. გავწამდით, რაღა დაგიმალოთ, ბატონო მიხაკო. აღარ დაგვედგომება აქანე. დღე ერთია და ცხრაჯერ გვაკითხავენ ხანდახან, ეკლებზე ვზივარ ახლაც, პირში ლუკმა არ გადამდის, ბოვშებს, ე, გეიხედეთ, თვალი ჭიშკრისაკენ უჭირავთ, ჩვენ გვყარაულობენ. ადამიანებად აღარ ივარგებენ მაგენი... ისეთი რა დააშავე, ბიჭო, რა მოუნელებელი დაატრიალე, გეძებენ, გეძებენ ნადირივით, სულ შიში, სულ ელდა, მეზობლის დაძახებას ვუფრთხით, ძაღლის დაყეფების გვეშინია...

— თქვენთვის ვწირავთ ჩვენ თავს, თქვენი სიკეთისათვის ვიბრძვით!

— არ გინდათ, ბაბა, ნუ იბრძვით, რაცხა ორი დღის წუთისოფელი აქვს ადამიანს, დააყენეთ უომრად, უბრძოლველად... ჩვენი გვყოფნის...

— უკეთესი არ გინახავთ და იმიტომ, არ გაგიგიათ, რა არი თავისუფლება, არ იცით. მონად მზრდიდით მეც. პარიკმახერად მამზადებდი და არ გამოგივიდა!

— კარგი მინდოდა, შვილო, წიგნი გიყვარდა და თან ისწავლის-თქვა, ვფიქრობდი. აბა, თოხი ვერ დაგაჭერინე, იარაღისაკენ გაგირბოდა თვალი!

— და სამართებელი მომეცი. იმათი სიფათები უნდა მეფხიკა?! ვისი?! ვინც ჩემსას, ჩემს წილს ისაკუთრებდა, სიყვარულს მართმევდა, არაფრის მქონეს ჩემი სახელი მიქონდა; მთვრალ ოფიცერს, აქოთებული გლეხები რომ ახსენა, ყელი კინაღამ გამოვჭერი წვერის პარსვის დროს; ყარდა თვითონ თევზის სუნად და გავუყავი სახე კიდეც ორ ნაწილად. ცოფიანივით მერიდებოდნენ საფიჩხიაზე იმ დღის შემდეგ... მონად არ ვივარგე, არ გამოვდექი!..

— კარგი რა, ფარნაოზ! — წუხს ბოჩია.

აღარ ჭამენ. ერთმანეთს თვალს აღარ უსწორებენ.

— პარიკმახერად მზრდიდნენ!.. — წამოხტება. გადი-გამოდის, ვერ ჩერდება. — გცემეს ხომ იმ დღეს?! მაჩვენე ზურგი, აიტანე?! ვირი ხარ. საქონელი ხარ?! კარგად ვცხოვრობთო, ესაა კარგად ცხოვრება?! სახრით ეცემინე?! დამარილებულ ქედზე გირტყეს? მაჩვენე საკურტნე ზურგი! რატომ არ გაამხილე, რატომ აიტანე?! სევერიან მიქაიაძეს ვანთხევინებ სისხლს. ეზეკი ჟორჟოლაძის სისხლს დავლევ, მაგის დედის და მამის საფლავს მივაოხრებ! სისხლს გადავარწყევ სამარეზე!..

— შემარგე ლუკმა, თუ არა ავდგები და წავალ! — წამოდგომას აპირებს მიხა.

— სად წახვალ, კაცო, რა დროს წასვლაა! — მოულოდნელად წყნარდება. ჯდება. ხმას აღარ იღებს ცოტა ხანი. — დალიეთ? შენ რატომ არ სვამ, გწყენს?!

— მეძინება.

— გეძინება და წადევი ბენძეხზე თავი, ხოჩიჩში ხარ გაზრდილი, აკვანი არ გინახავს, თან დალიე!

— ვსვამ, დავლიე და კიდევ დავლევ! — იყუდებს ჭინჭილას და თავმოძულებულივით წრუპავს.

— ისე, ჩვენი ამდენ ხანს გაჩერებაც არაა სწორი, უნდა გითხრა, ფარნაოზ, იცი-ან, აქა ვართ. ვაკვირდები და კაციშვილი არ გაჭაჭანებულა ამ ბარობაზე ბლალა-ვის, რავარც მითხარით, მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ქალია შუშანა!

— კარგი მოგივიდა შენ! — შუბლშეჭმუხნული ჩაილაპარაკებს ხარიტონი შვი-ლის მისამართით.

— სიჩუმე კი გლახა ნიშანია, დამიჯერე, ცოტა გამეგება ამ საქმის. აბრაგი ხი-ფათს სულ გრძნობს, მაგრამ თავის არიდება ყოველთვის არ შეუძლია...

— ცოტა გრძელი ხომ არ გამოვიდა?!

— არაუშავს, კაცო, შეიჭრება, თქვენ საქმეს მიხედეთ, დაანებეთ იმ ქალს თავი, ყურადღებით!!!

— სოფელს, —განაგრძობს, — ვერ დავენდურები, მიხაკო ჩემო, რაც მართა-ლია, მართალია, მარა ერთი ღვთისპირიდან ამოვარდნილი იუდა ყველგანაა, დღეს აქ ხართ, ხვალ კაცი ვერ მოგძებნით და ცხენს ვერ მოერევიან, უნაგირს დაამტვ-რევენ... ესენიც ხომ ჩემი შვილებია, უმწეონი, რა ქნან ამათმა, ესენი მაინც გადავა-რჩინო.

— არ უნდა მოვსულიყავი... — სიმწრით იღიმება ფარნაოზი. მინდორში გაშეშე-ბულ, დანაღვლიანებულ ბავშვებს უყურებს. — აღარ შეგაწუხებთ დღეის ამას იქით.

— არ თქვა, დედა, არ თქვა, დედა!..

— ჩემ სიცოცხლეში არაფერი დაგემართებოდეს და მერე მომყოლიხარ იმავე დღეს უკან!

— რას ამბობ, ურჯუკო! — მუჭით ემუქრება ცოლი.

— შენი ადგილი იცოდე ჟორჟოლიანის ქალო... აბა, დამტირებელი ქე მყავს, მა-რა დამმარხველი თუ არ დამირჩა, რად მინდა ეს სახლ-კარი, ან ჭური, ან მარანი, წავუკიდებ ცეცხლს, დავანგრევ აქაურობას.

— უი, უი, ჩემს მოსწრებას! — სახეს იხოკავს მალულად დედა.

— ცოცხლად ნუ გამომიტირებ, დედა... — აღარ შფოთავს, ძველებური ღიმი-ლიც დარჩენია სახეზე.

— არ ვტირი, დედა, არ ვტირი, — ცრემლებს იმშრალებს დაუფარავად. — არ ვტირი, ხომ ხედავ არ ვტირი, — თავსაფრის ყურით იწმენდს თვალებს, — არ ვტი-რი, სატირლად მიეცა ჩვენს მტრებს საქმე!

— ღარიბული პურ-მარილი არ დამიწუნოთ, სტუმრებო!

— რავა გეკადრება, ხარიტონ! — შეძახილს მიჰყვება, მხარს უბამს მასპინძელს მიხა.

— ღარიბი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო, ნათქვამია! — ყვირის.

— აპა არა! — ბოჩიაც ყვირის.

— არაფერი გიჭამია, დედა, ცარიელი ღვინო გაწყენს...

— ვჭამე, როგორ არ ვჭამე.

— ქათმის თათვი გადაიღე, ჩემი ხათრით, თქვენც მიირთვით, მეტი არაფერი გვაქვს!

— ჟორჟოლიანის ქალო ანა, დაგვანებე თავი!

სასულე ორკესტრის ხმა მოდის, დაფდაფებისა და საყვირების ხმები მოდიან. სუფრა ჩერდება, ბრუნავს ხიმე მესერი. სხვა მხრიდან ჩანან.

— ბიცოლა, ბიცოლა! — სალომეს ხმაა.

— რომელი ხარ?!

— გახედე, ქალო, აქედან რო პასუხობ.

— მე ვარ, ანა ბიცოლა, სალომე!

— შემოიპატიჟე!

— შენ წამხდარ სუფრას მიხედე, ქალის ტრაკის დადაღვაში ხარ მაგარი! — კარგადაა შექანჯალებული ფარნაოზი. გაჭიმული მიდის, იარაღს ისწორებს, მოლზე მიცურავს საცვეთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედავ, რა მითხრა?!

— მითაიშვილის ჯარი შემოვიდა, სადაა ანა ბიცოლა?! — შორიდან კითხულობს.

— ანა ბიცოლას რა ესაქმება მითაიშვილის ჯართან?!

— წყალი შეაგუებეს, ფარნაოზ, თურმე ცხენებმა ღვაღვანას ღელეში.

— ირბინე?

— წყალი ამოაშრო ღვაღვანაში დასიცხულმა პირუტყვმაო, გეგელა სულელმა მითხრა, სულელი უძახე შენ. მართალი მოიტანა.

— შეგაშინეს?

— ნახე, გული როგორ მიცემს, ხელი არ დამადო! — თავადვე იდებს ვაჟის ხელს. — ფართქალებს?

— ჭიშკარგადაღმა დააყენე ბაღანა? შემოდი გოგო, ასე უნდა! — შორიდან იძახის ანა.

— რავა გველნაკბენივით მომაშორე ეს ხელი, აბრეშუმის ჭია მივატოვე, ანა ბიცოლა!.. გულისპირს იკრავს, ერთ ნაბიჯზე სცილდება ფარნაოზს.

— შემოვიდესო, ხარიტონმა, არ გოუშვათ არაფრითო.

გოგონები გამორბიან მისაგებებლად.

ყვავილწნულის ფატას ახურავენ, ნაწნავებზე ხელს უსობენ ფრთხილად.

— გამოცოცხლდა აქაურობა... — ამბობს მიხა სუფრასთან. — ქეც ვიყავი დაჭიმული აქამდე ლარივით, ახლა ვიქეიფოთ, რას იტყვი, ბოჩია, მაგის დედაც ვატირე! — ჩახლეჩილი ხმით იწყებს, მღერიან.

— დაგუდულად, დაგუდულად! — იძახის და ბანს ამბობს ხარიტონი. — ბესარიონი მოასვენეს, არ გამოვა, დაგუდულად, ო, ოოო, მოდი ბოშო აქ, ბანი გვაკლია, ოო, ო, ოოო...

ბოსლიდან გამოდის ფარნაოზი. საბუდარი მოაქვს მძიმედ, საზეიმოდ.

— აჰა, კანფეტები, რომ დაგპირდით! — მუჭა-მუჭა არიგებს ტყვიებს, მჭიდეებს, სავაზნეებს, ჯიბე-უბეში იჩურთავენ და ფეხზე მღერიან:

სიძემ რა მოგვიტანაო,
სიძემ რა გაგვახარაო.

ჭიშკართან დგანან.

— საკართანო უნდა დაილიოს! — ყვირის ხარიტონი დოქ-ჯამშემართული.

სიძემ რა გაგვახარაო,
სიძემ რა მოგვიტანაო.

— ჩემ სიცოცხლეში არაფერი დაგემართებოდეს და მერე მომყოლიხარ უკან!

— რა კაცია, რა კაცი! — გული უჩვილდება ბოჩიას.

კვახის ფოთლებში შეხვეული საგზალი მოაქვს დედას, გზაში შეჭამეო, ფარნაოზს აჩეჩებს. სიმღერით იგერიებს შვილი.

სიძემ რა მოგვიტანაო,
სიძემ რა გაგვახარაო.

ლაგდებიან. ეწყობიან. შეშდებიან. სალომეა და გოგონები შუაში ფერადი კაბებითა და ყვავილწნულებით.

ტონი მინდა კიდევ?

კარგია, კარგია, ყვავილები დაიმატე, კარგია!

წამი დგება. ყვითლდება. ხუნდება. რჩება.

სიმღერით მიდიან სამნი სერზე, ჩაუთავდაღმაუაღმართებიათ. დავბრუნდებით, ანიშნებს წითელ-ყვითელ ყვავილებში გახვეულ სალომეს ზურგუკუღმა მიმავალი ფარნაოზი, ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში ტკეჩის ჩოჩო დედის საგზლიდან ისვრის, სასულე ორკესტრის ხმას აყოლებს. თოფისწამალი ამობოლქვავს, თავზე მოთ ჩერდება წამით იისფრად, მუსიკაც ადის და იხურება ლურჯი ხავერდებით.

*

დამოუკიდებლობის ეიფორია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იგი არც ჰქონია. ის არ იყო ეიფორია. იყო ძალაუფლების უზენაესობის შეგრძნება და შიში რეალობისა. საქართველო იძირებოდა მოჩვენებით დამოუკიდებლობაში და ჟორდანიას გასაოცებლად, ამ ფაქტს სერიოზულად არ აღიქვამდნენ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ყოფილმა სოციალისტმა ალექსანდრე ეტინ მილერანმა რწმუნებულის პირით შემოუთვალა: გაარკვიე, რა უნდა თქვენგან რუსეთს და მოაგვარე საშინაო (ანარქიას გულისხმობდა) პრობლემებიო. რა უნდოდა რუსეთს? თვითონ არ იცოდა, მაგრამ გასარკვევი იყო, რა მოუნდებოდა, როცა იგი საამისოდ მოიცლიდა.

და როცა მოიცალა, ჟორდანიამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარკვევა დაიწყო ცალმხრივად, ეცადა დაკავშირებოდა ლენინს პირადად, ეკითხა: რა გინდათ? მზად იყო შეთანხმებაზე, მორგებაზე, ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაბარებაზე, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის უნიჭოდ დაწერილი სცენარი დამტკიცებული არ იყო.

როგორ უნდა ეტარებინა გემი ჟორდანია ნოეს ფორვატერში, თუკი, რამდენადმე მაინც, თავისუფლად ცურვის ნებას დართავდნენ. მთავარი იყო, არ დაშორებოდა ნაპირს (რუსეთს) და არ დაეყურა გემი, მგზავრები პირანიების დასაფლეთი არ გაეხადა. ცნობიერად, თუ არაცნობიერად მისმა მთავრობამ აიცილა კავკასიის ომი, რასაც საქართველოს დაღუპვა, ტერიტორიული მთლიანობის სრული დარღვევა, დაშლა-დანაწევრიანება მოჰყვებოდა.

სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს (როგორ და რა გზებით, სხვა ამბავია), არჩევნებში მოაგროვეს ხმების 84 პროცენტი. დამფუძნებელ კრებაში გაინაღდეს 109 მანდატი, სოხუმის ოლქში, ბორჩალოს მაზრაში, ახალქალაქში, ახალციხეში გასაგები მიზეზებით, სვანეთში, თიანეთში, დუშეთში (ნაწილობრივ) დიდთოვლობის გამო არჩევნები არ ჩატარებულა.

და მიდიოდა დრო. ცხოვრობდა ხალხი, ყიოდა მამალი, თენდებოდა. ღამდებოდა. მუშა ელოდა სოციალიზმს, გლეხი ძველ წყობას; ორივენი წესრიგს, რუსულ მმართველობას მისტიროდნენ.

*

ჩვენ დავტოვეთ სოფელი ეგზეკუციის წინ. დავტოვეთ შეტირილი, ხარიტონ მორჩიძის კარ-მიდამო, სალომეა.

ყაჩაღებმა დაიძინეს ტყეში. მიყრილ-მოყრილიყვნენ ნეშომპალაში მოცვის ბუჩქებთან, წიფლებთან ახლო. მიხა იაშვილმა გაიღვიძა ყველაზე ადრე, შეახვია თუთუნი, ამოიღო ქისიდან კვეს-აბედი, წვალებით გააღვივა დანოტივებული აბედი, მოუკიდა, გააბოლა. იჯდა, სვამდა თუთუნს, ახველებდა დაფიქრებული, გაგულისებული.

ფარნაოზმა ნეშომპალასა და არყა სოკოს სუნი იკრა. ყური მიუგდო დილის ტყის შრიალს, გალობას. ვის უნდა ეფხიზლაო, იკითხა თვალის გახელამდე.

— მე! — დაიძახა ბოჩიამ მინიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ სძინებია, ამას, გაიფიქრა მიხა იაშვილმა და მიაჩერდა თავდაღმა ჩამოხობილს.

— ბიცოლაჩემი დამესიზმრა... — ნეშოში იყო დაფლული, სამარიდან ამოილაპარაკა თითქოს. არ გასცინებიათ და ძილის შებრუნება დააპირა.

— არ გამოვა ასე, წავაგებთ თავს... — თქვა მიხამ.

ჩიჩოდან ამოღებული, დედის თავსაფარში გაკრული საგზალი გახსნა ფარნაოზმა. მერე ისევ იცინოდნენ.

— აქედან დავიწყოთ?

— კარგია, წამოჯექი!

— არ წამომდგომოდა თავზე, კარგი იყო...

— ჩემდა ჭირად.

— არ წამომდგომოდა თავზე, ჩემდა ჭირად, ჩემდა წერად ის სულწაწყმედილი, რა იქნებოდა...

— ამ ამბის ამნაირად გაყალიშტურება იქნება, კაცო?!

სადღაც ხელ-პირს იბანდნენ, მიდიოდნენ კორდ-კორდ, შარა-შარა, გზაწვრილით.

— ალალი ბიცოლა?

— სად მოძებნა კაზაკის ქალი იმ სიბერეში...

— ... მამიდა რომ ყოფილიყო, სხვა ამბავი იქნებოდა, მამიდა არ გეპატიებოდა...

ფრუტუნებენ, იხრჩობიან სიცილით, სერიოზულდებიან და ისევ ფრუტუნებენ მიხა და ფარნაოზი.

— რაცხა მეწყინება ისევ, არ უნდა ლაპარაკი, ბეჭიც მითამაშებს...

ამის თქმაა და სროლის ხმა. სხმარტლს შეაცლის პირველი ტყვია თეთრ-მწვანედ დაფორაჯებულ ქერქს. წაიჩოქებენ და ორმხრივ სროლა ატყდება.

ნაბდებში დაგორგლილნი მიგორავენ ხელეხურწალში. გალმიდანაც ისვრიან, როგორც ჩანს. ხელყუმბარები ფეთქდება. კაცი ცალკე მიგორავს, დაგორგლილი ნაბადი ცალკე. უკვე ბინდდება და სროლაც წყდება. სოფელი შინ შედის. ბოლი იწყებს საკვამურებიდან დენას. ცეცხლის ალი გამოკრთება აქა-იქ სამზადი სახლების ღია კარებიდან.

*

მანდიკორ-გურნის საზოგადოების ოდის ეზოში ხალხია. ხარიხაზე მიბმული ცხენები ფთხვინავენ დროდადრო. კისერზე ჩამოკიდებულ თოფრაში აქვს ცხვირი ჩარგული ზოგიერთს. შვრიის ფქვის ხმა ამოდის თოფრიდან; გვარდიელები იცავენ განაწესს. პოსტებზე ენაცვლებიან უწესრიგოდ ერთმანეთს.

საზოგადოების დიდი ოდის აივანზე დგანან: გენერალი მიტო მითაიშვილი, პოლკოვნიკი ბარძიმ ხომაშურიძე, გვარდიისა და მილიციის უმცროსი ოფიცრები ასლანიძე, კორძაია, თავადი ჯაჯუ კისორელი, მღვდელი, მამასახლისი, დიაკვანი, ორიოდე აზნაური და სოფლის ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი.

ეზოში შემოჰყავთ ნაცემი, თავპირდასისხლიანებული გლეხები, ლეჩხუმის აჯანყების მონაწილენი, აჯანყებაში ეჭვმიტანილი პირები.

ხარიტონს მიაგდებენ ქვის კიბესთან გინებით, წიხლების ქნევით.

მზე ჩადის. ქვევით გორა-გორა ჩაფენილი, მწვანე ნაჭრებად აწყობილი, ცისფერ ცაზე მიკრული წითელკრამიტიანი სოფელი ჩანს.

ულვაშებაწკეპილი მითაიშვილი შლის ხელებს ბირკვილთან, გამყინავი ხმით, მკაფიო ინტონაციით, ძლივს შესამჩნევი რუსული აქცენტით იმუქრება:

— ... მთელს ოკრიბაში გამოცხადებულია საგანგებო წესები. ყველა და ყველაფერი დაემორჩილება სამხედრო კომისარიატს. ვერავინ უნებართვოდ ვერ ძევა და ვერ გამოვა ამ მხარეში. ყველას — დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ვინც იარაღს არ გამოაჩენს და არ ჩაგვაბარებს, დავაპატიმრებთ, გადავაგზავნით საგუბერნიო ციხეებში, აჯანყების მონაწილეებს, ბუნტის თავებს, დესტაბილიზაციის მომხრეებს დავსჯით, კანონის ფარგლებში, რასაკვირველია. თუ ამას არ დამჯერდებით, სახლებს ცეცხლს მივცემთ, ხილს და ვენახს აგიჩეხავთ, არ შეგარგებთ მოსავალს. შობა-ახალწელიწადს არ გაგითენებთ; ყაჩაღებს, ყაჩაღების მფარველებს, მშრომელი ხალხის მტრებს არ დავინდობთ, სანიმუშო წესრიგს დავამყარებთ მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობის დახმარებით, ხელიშეწყობით, ერთგულებით... — ტაშს ელოდება — ხრესილში ჩადგა ჩვენი სახალხო მილიცია დამოუკიდებელი მოქმედების უფლებით, გამოცდილი მუშაკის ეზეკი ჟორჟოლაძის მეთაურობით. ოკრიბაში გასატარებელ საგანგებო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა მე — მიტო მითაიშვილს, აგრეთვე: გამოჩენილ გვარდიელს, ბარძიმ ხომაშურიძეს, ჩვენს თანმხლებ ოფიცრებს, ჯარისკაცებს, რესპუბლიკის ერთგულ გუშაგებს. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, სუვერენულ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!

ტაშია. ერთმანეთის მხარდაჭერით აქტიურობენ აივანზე. გალენჩებული დგანან ქვევით. ტაშს უკრავენ ნაძალადევად, თუმც მათ სახეებზე გაოცება-დაბნეულობაა და არა პროტესტი.

თავგადახოტრილი ასისთავი ასლანიძე, წელში მოხრა რომ უჭირს და გაჭიმული დაიარება, ხომაშურიძეს ეჩურჩულება, ხარიტონს ათითებს ნიკაპით.

— წინ გამოვიდეს!

— გამოდი წინ, გამოდი, გამოდი, იდექი! — ყვირის ასლანიძე.

წინ დგას ხარიტონი.

— სადაა, ყაზახო, შენი მოსწრება შვილი? — მითაიშვილი ეკითხება.

— ჩემი, ბატონო?! — ყაბალახს იხსნის, დასისხლიანებული თავპირი უნდა დაანახოს აშკარად.

— შენ გეკითხებიან! — უბღვერს ცალწარბაწეული ასლანიძე.

— არ ვიცი, ბატონო, ჩემი შვილი მე არაფერს მეკითხება, ერთი ტყეში გავარდნილი ნადირია, არ ვიცი სადაა!

— არ იცის... — ხომაშურიძისაკენ იხედება.

— ხმხმხ... — უცნაურ ბგერებს გამოცემს სახეგაქვავებული ხომაშურიძე.

— ასლანიძე, ცხენის ნაშობო, — ხმას დაუწევს და უცბად იცვლის ტონს მითაიშვილი. — თავ-კისერზე ნუ დაამჩნევ ხელს-თქვა!.. — ასლანიძეს არ უყურებს. თითქოს სხვას ელაპარაკებიან.

— კორძაიამ ურტყა, ბატონო! — ჩუმად უხსნის.

— თავ-კისერზე?

— გვერდებშიც ბევრი უბაგუნა.

— კარგი, მოგივლით, გლეხებს ცემენო... — ხომაშურიძეს ეჩურჩულება.

— ხმხმხ...

— მტერი ჩავარდა დეპუტატების ყბაში!

— ა, ბატონო, ა! — თავ-კისერს აჩვენებს, ხვდება ხარიტონი, რაზეცაა ლაპარაკი.

— მამასახლისად რომ იდექი, დააკელი ხელი ვინმეს, წიხლსაც კარგად ხმაურ-ბდი! — ჯაჯუ კისორელი გადმოხრილა აივნიდან ირონიული მზერით.

ერეკენული ბიბლიოთეკა

— ქურდებს და ავაზაკებს ვსჯიდით.

— ავაზაკი და ყაჩაღი გყავს შვილი, შენი გაზრდილი რა იქნება!

— შვილი ჯარში გამინადირეს ბოლშევიკებმა, თუ დასასჯელია, დასაჯეთ, ის დასაჯეთ! — ღრძილებთან დალეკერტებულ სისხლს აფურთხებს.

— შენი სახლი იწვის, ხარიტონ, ბიჭო, გონია! — სახემოჩრდილული გლეხი ეუბ-ნება უკნიდან.

ლურჯი ბოლი ადის და ნაკვერცხლისფერი ალი ლოკავს წითელ დეკორაციას.

— ვაიმე, ნაკვდავო სახლ-კარო! — საკუთარ სახლს ცნობს შორიდან, — დამაქცი-ეთ, დაიქცა თქვენი ოჯახი! — თავში ირტყამს ხელებს, გაქცევას აპირებს. — გამი-შვით, თქვენი რჯული და ჯილაგი, გამიშვით, ურჯულოებო. — რამდენიმე კაცს მია-გდებს გვერდზე, იქაჩება, ვერ აკავებენ. რკინის ზუმბას გადაუჭერს მჭვარტლისფერი სახის გვარდიელი, თოფის ლულას რომ წმენდდა დინჯად მანამდე, წითლად გადაერ-კალება სახე საფეთქლიდან ნიკაპამდე. ჯიკავ-ჯიკავით შეაგდებენ ტვინგათიშულს ბოსელში. სოფლიდან კივილი ამოდის. წითელი ჭიაკოკონა ღუის შორს, ცეცხლი იზრ-დება, იდღაბნება მწვანეზე.ქალები მოთქვამენ. ზარები რეკენ სამრეკლოზე.

*

ოკრიბაში რა გინდოდა, ეზეკი!

— ... ეზეკი ვარ, ეზეკი, მორჩიძე დაგვეცა, პირადი შემადგენლობა გამიიარაღა!

— რამდენი არიან? — ხანგრძლივი ხრიალის შემდეგ ისმის ყურმილიდან.

— სამნი. არ ვიცი. აქ სამნი. ჩემი ბოლო სიტყვებია, კონტროლი დავკარგე... მო-მაშველეთ ჯავშნოსანი, ეზეკი, ხრესილი ვარ, ეზეკი ვარ. გესმით?!.

გადაიფურცლება თეთრად, გრძლად და სადგურია ტყის პირს სვეტებით, რი-კულებით, მერცხლის ბუდეებით, მოჭადრაკებული იატაკით.

— ... სამმა რანაირად გაგაიარაღათ, მე თქვენი გამომწელავი ბებია!.. — აუღე-ლვებლად კითხულობს ყურმილი. — სამი კაცისთვის ჯავშნოსანი მატარებელი გა-მოვუშვათ?!

— რაც გინდათ ის გამოუშვით, გესმით?! ეზეკი ვარ, ხრესილი, ჩემი უკანასკნე-ლი სიტყვებია!

ტელეგრაფის აპარატი იფშვნება სროლის ხმაზე. თვალებგადმოკაკლული ეზე-კი დგას კედელთან აპარატიდან აწყვეტილი ყურმილით. ფოსტის მოხელე გაწო-ლილა მაგიდის ქვეშ მოკლე ტანით, მელოტი თავი უდევს ფიცარზე დაჭყლეტილ სახეზე.

— დააგდე ყურმილი და შებრუნდი კედლისკენ! — მიხას ხმაა.

— ვარ-დენ! — წუღის ჭვინტს უსობს თავზე ფარნაოზი ფოსტის მოხელეს. — ვარდენ, აბრძანდით!

დგება, მაგრამ ვერ იხედება, ხელებაწეული და თავწახრილი დაბრუალობს.

მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს აშრიალებს მაუზრის ლულით ფარნაოზი. ეზე-კის უახლოვდება, ჯიბეებს უსინჯავს მარცხენა ხელით, ნაგანს ამოუძრობს და გადა-უგდებს ბოჩიას, შაშხანები რომ აქვს ამოიღლიავებული. სკამლოგინზე აგდებს თო-ფების კონას, ნაგანს საკეტს უმოწმებს, ბრმად მობორიალე ვარდენს ქაჩავს პიჯაკში.

— ვარდენ, სეიფის გასაღები გვჭირდება! — ფარნაოზია.

თავზეხელებდაწყობილი და თვალდახუჭული დგას სეიფთან.

— ვარდენ, ჩვენ ვართ, გააღე სეიფი, გვაინტერესებს შიგ რაა!

მოკლე ხელებს ჩამოიღებს დიდ თავიდან, ასავსავებს, ფეხებზე უნდა მოეხვიოს თითქოს ფარნაოზს. უკან-უკან იხევს მისდაუნებურად ფარნაოზი, მაუზერის ლულით აჩერებს, წინ წამოსვლის საშუალებას არ აძლევს.

— მაღაროს მუშების ხელფასია, ფარნაოზ, სინდისს გეფიცები!.. — ხელაკანკალებული არგებს კლიტეს საკლიტურს.

— შენი რამდენია?

— ჩემი რაა, თუ ვინმე წამიგდებს ცოტას...

— რატომ გახრჩობდნენ დღეისსწორს?

— გაბოროტებულია ხალხი, რას გაიგებ... მუშების ხელფასია, გადაგზავნა ვერ მოვახერხეთ, ა, ნახე!

სატაბელო იარაღს გამოაძრობს, დაპრესილ ასიგნაციებს აუწევს კუდს ლულით:

— ჩაკეტე. შაური არ დააკლდეს, — ნაგანს ბოჩიას გადაუგდებს ისევ. — ჩემი სახელით არავინ ისარგებლოს, თუ არ გინდათ გატიროთ რუსულად! — სკამლოგინზე დადებულ შაშხანებს გაყრის, ერთ-ერთს საკეტს ამოაცლის და ეზეკის გადაკიდებს თავდალმა ყანწიმით მხარიღლივ.- რა გინდოდა ეზეკი, ოკრიბაში?!

— სიკვდილი! ჩეჩნეთში ვიბრძოდი და ამ გაღლეტილ მხარეში გადმომაგდეს... შვიდი იქაური ნატყვიარი მაზის! — გასიაფანდებული იარაღის მოშორება უნდა, არ ანებებენ.

— დამდევდა და დამიჭირა! — თვალს უკრავს მიხას.

— გაიარაღებულია სუყველა, გნებდებითო თქვეს, სხვა იარაღი არა აქვენ! — აცხადებს ბოჩია.

სამხრეებამძვრალ-აღლეტილი მილიციელები დგანან ნატყვიარ სარკესთან, დარბეულ დარბაზში. ფარნაოზი აკვირდება სათითაოდ მილიციელებს, ეზეკი დაყვება თოკჩაბმულივით საკეტ-სავაზნე გამოცლილი, უკუღმა დაკიდებული რუსული შაშხანით.

— დამდევდა და დამიჭირა, ჩემს ასაყვანად ჩამოვიდა ხაშურიდან, წელიწადნახევარი მოანდომა ამ საქმეს, მარა კარგად დამიჭირა.

— ლეკეთში ვიყავი, შვიდი ნატყვიარი მაზის!

განიარაღებულ მილიციელებს, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება არც კი უცდიათ, არ ეცინებათ, არც ესმით კარგად, რაზეა ლაპარაკი, — ვინ ვის დასდევდა და — რატომ. ქერა, თმათხელი, ტანმორჩილი კაცის ღიმილს და თავდაჯერებულ ქცევას ჩაუგდიათ საგონებელში.

— შენ, ბიჭო, გამოდი წინ!.. — პირტიტველ ყმაწვილს გამოარჩევს მიხა. — დოროთეს ძმა ხომ არა ხარ?

— კი.

— გავს. ტყუპისცალი ხომ არ არის? — ჩაილაპარაკებს ფარნაოზი. — შე ღმერთძაღლო, შენი ძმა ჩვენთან იბრძოდა და შენ მილიციაში იყავი?!

— გამიჭირდა და ჩავეწერე.

— შენც ჩემს დასაჭერად გამოგიშვეს?

— სადგურს არ გავცილებივარ, რკინიგზას ვყარაულობდი.

— გამოდი აქეთ, წადი შენ გურიაში, აქ არ დაგინახო!

— წასასვლელი პირი არა აქვს. აქაა ჩასიძებული! — ხუმრობას აპირებს ამ სიტუაციით შეთამამებული, სახეზე ფერისმჭამელებმოდებული, ზეთიანთვალებიანი მილიციელი.

— შენ გკითხა ვინმემ რამე?!.. — მისჩერებია და თვალში არ მოდის. — გკითხეს რამე?!

— არა. — ვეღარაა ხასიათზე.

— აწიე ხელები! — ხვანჯარს გამოაბდღვნის, ზორტს მიარტყამს ცხვირზე! — გეჭიროს ახლა ხელით შარვალი.

ყურზე გაჩერებულ ხვანჯრის ზორტს ჩამოიგდებს, სახეახურებული, მარცვალ ხელშიდაჭერილი, რაღაცით კმაყოფილიც კი.

— შენ რას გვიყურებ, წადიო, გითხრეს! — მიხა ეუბნება დორეთეს ძმას. — ნუ გეშინიაო, არ გესვრით!

— მე რომ წავიდე, ესენი რას იტყვიან! — ამხანაგებისაკენ იხედება. თვალებმოწკურული ადევნებს ფარნაოზი ამ სცენას თვალს.

— მართალს ამბობს! — ერთვება ლაპარაკში. — ამას ხომ უყურებ! — ეზეკის ათითებს.

— კი! — ცოცხლად პასუხობს შექებით გათამამებული.

— დამდევდა და დამიჭირა, შენც დაიჭერ ახლა რაღაცას, ვატყობ, თუ არ ნახვალ!

— იყოს ცოტა ხანს, პატიოსანი სიტყვა უნდა ჩამოვართვათ მაინც ყველას, დატოვებენ აქაურობას დღესვე, ერთი გაფრთხილება ვიცით ჩვენ მარტო! — გაბზარულ, ნატყვიარ სარკეში ხედავს ფარნაოზი მიხას, საკუთარ თავსაც.

— ეზეკი, გამოიტანე შენი ძვლისტარიანი ბრაუნინგი!

— აქ არა მაქვს!

გაფართოებული თვალები და დიდი თავი შემოდის სარკეში.

— უჯრაში გიდევს ხელმარცხნივ, გამოწიე, ეზეკი, უჯრა, ზემოდან მეორე! — ხალათს გაისწორებს ქამარში. თმასაც გაჰკრავს ხელს წელათრეული, მკვდრისფერდადებული შედის კაბინეტში ეზეკი. ღია კარიდან ხედავენ, როგორ აღებს გასაღებით ზემოდან მეორე უჯრას.

— ამგენს რა ვუყოთ?! — ხმამაღლა კითხულობს ბოჩია.

— შენ იცი!

— შევყაროთ სახალხო მატარებელში და გავუშვათ საიდანაც მოვიდნენ!

— ბიწაძეებმა რომ ყვავი დასაჯეს, თუ გახსოვს? რა ვქნათ, რა ვუყოთო და ქოთანში ჩასვეს, მოუკრეს თავი ქოთანს და დააგორეს კლდიდან. ვარდენ, როდის ჩამოდგება სახალხო?

— გამოსულია ახალდაბიდან! — ჯიბიდან ამოღებულ ოქროსძეწკვიან საათზე იხედება.

— უკრავს? — დაღვრემილი ბოჩია ეკითხება.

— არა, არა... — თვალებს აცეცებს დაფეთებული. — ძველია...

— დროს ხომ აჩვენებს! — გამოართმევს. ხელში ატრიალებს და უკან უბრუნებს გულდაწყვეტილი.

— შენი ნაჩუქარი იქნება, სამახსოვროდ შევინახავ! — ჯიბეში იკვეხებს, გაოცებულ ბოჩიას არიდებს თვალს.

თოფუკულმა გადაკიდებული ეზეკი მოდის ბრაუნინგშემართული. კარაბინის სამიზნეზე დასვამს მიხა შორიდან. ცივად მისჩერებია და არ ისვრის ფარნაოზი. ელის. ლულით ჩამოართმევს იარაღს. კარაბინს დაუშვებს ხასიათწამხდარი მიხა.

— არ გესროლე! — თვალში თვალს უყრის ეზეკი ფარნაოზს.

— ვერ მესროლე!.. — ღიმილით მისჩერებია. — ცოტაჯერ გამიმეტე, მე შენი დედა! — მოულოდნელად იფეთქებს. — ცოტაჯერ მესროლე!.. გითვალე, არ დამეხსენი, გაფრთხილე, არ მომეშვი, რა გინდოდა?!.. ძაღლივით მდიე, საცა შენმა აჯობა, იქ დაგიძვერი; თვარა ჩემი ძვალი და ნაწევარი აღარ იქნებოდა. რამდენი ჩემი

ამყოლის ცოდვა გადევს, ყველა დაღუპულის სახელით გელპარაკები! რა გინდოდა, შენი დედის საფლავი... ახლა გავსწორდეთ, თუ ჩასვრილი არა ხარ!

— ახლა! — შიგანგამოღებულ შაშხანას ახეთქებს იატაკს. — ახლა?! — ... კაშია ჩავარდნილი. მატარებლის ხმა ისმის შორიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ვაგონი იარაღი და ტყვია-წამალი მოყვება შემადგენლობას, ტყიბულიდან ქუთაისში აბრუნებენ! — ყვირის ვარდენი.

ორთქმავალი კივის და ბაქანზე გადიან. ჯგუფ-ჯგუფად, ჩრდილ-ჩრდილად ჩნდებიან, ირხევიან, ვინ ვინაა, ვინ სადაა, ძნელი გასარჩევია.

— არ მესროლო, ცოლ-შვილი მყავს!

— აიღე იარაღი!

— არ მესროლო! — ძვლისტარიანი ბრაუნინგი უგდია ფეხებთან.

ბარძაყთან უჭირავს მაუზერი და დაუმიზნებლად ესვრის რამდენჯერმე გულმუცელში. აწყდება ხმა კედლებს, დუმდება წამით ყველაფერი. ბაქანთან აგდია, ლიანდაგთან ახლო. გულაღმა, ცალი ფეხი უცახცახებს თვალებამოტრიალებულს. მატარებლის დგრიალია. ხალხიც ზრიალებს თითქოს. იარაღაყრილი მილიციელები გარბიან, ჩირგვებში მიშლიგინობენ სადგურგადაღმა. სადგურის შენობის სხვადასხვა კუთხიდან თავგამოყოფილი მგზავრები ენაცვლებიან ერთმანეთს, ჩნდებიან და ქრებიან, სადღაც სხვაგან აცეცებენ თვალებს.

— არ ვესროდი და მესროდა, დედასაც მიტირებდა, სწორი არა ვარ?! — საკუთარ თავს ეჩხუბება თუ სხვას ფარნაოზი, — შენ სად იხედები?! — ზურგშექცევით დამდგარ ბოჩიას ატრიალებს. — არ უნდა მესროლა?!

არ იცის ბოჩიამ.

— ამას დახვრეტა ქვია! — მიხა ეუბნება ყრუდ.

— რა ქვია?! შენ მე ჭკუას ნუ მასწავლი, დახვრეტაც ბევრი მინახავს და დასახვრეტთა სიაშიც ვეწერე. დივერსიული ბატალიონის წევრები თხებივით დამყვებოდნენ ფრონტის ხაზს იქით... მომკლა მე შენმა ჭკუის სწავლებამ!

— შენ რომ თხებივით დაგყვებოდნენ, იმნაირი ოფიცრები პარტიანკებს მირეცხავდნენ ციხეში, არავისში შეგეშალო, იცოდე; ის არ გეგონო, შენ რო ხელს გამოკრავდი ზოგ-ზოგებს!

— ვინ უნდა მეგონო, საერთოდ ვინა ხარ, რა გინდა ჩემთან, ჩემ მხარეში, ან შენ რა გინდოდა ოკრიბაში?!

— ნუ მეუფროსები, თვარა გასწავლი ჭკუას!

— ვის ასწავლი, მე შენი!..

იარაღით მიიწევენ ერთმანეთზე, დასწრებაზე არიან, ბოჩია დგას შუაში, ხან ერთს ეფარება, ხან მეორეს კოჭლობით.

— რას შობით, გადეირიეთ, რას აკეთებთ!.. მამის ტოლი კაცია, არ ქნა, მე მესროლე!

ლიანდაგი კუთავს უკვე. ორთქმავალი კვესავს. გრძელი შუქები გადადიან განძელებზე.

— არ გააჩერებენ, სიგნალია გადაცემული! — თავგატეხილივით ყვირის საიდანლაც ვარდენი, — ჩავკეტე სემაფორი და მაინც არ აჩერებს!

არ ჩერდება მატარებელი.

მატარებლის სახურავზე გარბის ფარნაოზი, ვაგონიდან ვაგონს ახტება. ორთქლი, ადამიანების აჭრილი ხმა და შუქები ამოდის სახურავის თავახდილი სოროებიდან.

— რა ხლინინია სახურავზე, რატომ არ გაჩერდა მატარებელი ხრესილში? — კითხულობს ჰალსტუხიანი, კაფანდარა მგზავრი. — საშა ჩემო, რა ხდება, გამაგებინე!

— გადარეული ვარ მეცა, ბატონო, ვერაფერი ვერ გავარკვიე! — ხელებს შლის კონდუქტორი, ფანარს კიდებს კადოზე და ისევ ტამბურში გადის.

— პატრონი არ ჰყავს ამ ქვეყანას, პატრონი! — ისმის სიმკრთალიდან უკმაყოფილო ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაფანდარა, ბაკებაბურძგნილი, მელოტი თავდახრილი იხედება ღია კუპეში, ვინ ეხმიანება, აინტერესებს.

— მე მაინც ორპირში ჩავდივარ და რა მენაღვლება! — წამოიყივლებს ფეხშიშველი, ჩოხაჩამობებკილი, ახალუხზე საკერებელზე საკერებელდადებული, მწიფე მაყვლისფერწვერულვაშიანი სილუეტი.

— გეგელა, შე ლევანდო, ორპირშიც რო არ გაჩერდეს, რას შობი! — ყვირის ვილაც ბოლო კუთხიდან და ისვრის კიდეც. ქალები კივიან. ერთმანეთს ეფარებიან იმ ახლომახლო.

— ტირია აქანე, საშა ჩემო? — კაფანდარაა.

— მთვრალია, მაგ ჩემი ცოდვით სავსე. — ფანარს ხსნის უკან შემობრუნებული საშა, ფანარაწეული ათვალიერებს სკამლოგინებს, ვაგონის ბოლომდე არ გადის.

— ბუჭუტაა მხეიძე! — ცნობას აწოდებს ვილაც.

— მაგ არ გაეზარდა მის დედას! — ქალის ხმაა.

— ისე აირია ქვეყანა, ჩემო ბატონო, რომ დედა შვილს ვეღარ აიყვანს აწი და აწი! — კათედრაზე დაყენებულ დიქციას უგავს მეტყველება პენსნეიან მამაკაცს. — მატარებელს კი არა, ქვეყანას აღარა ჰყავს გამკითხავი... ეს არისო დემოკრატია, ჰმუ!.. ეს ყოფილა დემოკრატია!

ფანჯარასთან მჯდარი, გაზეთში ჩაგულისყურებული პერსონა, ვისი მისამართითაც უნდა იყოს ეს სიტყვები გადმოტყორცნილი, დემოკრატიის ხსენებაზე იშმუშნება, მაგრამ გამოწვევას არ იღებს.

— გვეშველება, ბატონო არსენიძე, რაიმე? — არ ეშვება მეზობელი მგზავრი.

— უსაშველო ჯერ არაფერი გვჭირს, ქალბატონო ტასია!.. — წარბ-ქუთუთოს ისრესს ბნელში კითხვით თვალებდათხრილი.

— ხრესილი გავიარეთ? — ახსენდება ვილაცას.

— ეს ხრესილშია ისევ!

— გავიარეთ?! — შეშფოთება ერევა.

— აპა არა!

— ვინ იყო ეს?!

— პერონზე კაცი ეგდო! — ეუბნება მემანქანის თანაშემწე მემანქანეს.

— რა კაცი ეგდო? მოგელანდა, შიშს დიდი თვალები აქვს! — ხალისიანად უხსნის სამშვიდობოს თავდაგულებული.

— ეგდო, ერმილიჩ, ნაბადი წააფარა ვილაცამ, რაცხა უბედურება ხდებოდა, არ უნდა ლაპარაკი, კიდო კაი, რო არ გააჩერე!

— რა ვქენი მე, თუ მიხვდი?

— რა ქენი?

— ჯერ შევანელე, შთაბეჭდილება შევქენი, ვითომ ვაჩერებ სასტავს, ამიტომ შევანელე...

— მაგი ისედაც ხო უნდა გექნა, აბა სადგურში რანაირად შეგრიალდებოდი?

— სწორი კითხვა მომეცი, მაგაში მართალი ბათმანი ხარ, მარა შემეძლო არ შემენელებია, ბრძანებაც საიმისო მქონდა... შევანელე, ვითომ ვაჩერებ, ვუკვირდები და ოვუჩქარე, მიყარონ აწი კაკალი!...

— ჭკვიანი ხარ, ერმილიჩ!..

— არც შენ ხარ თლათ ბოთე, იმნაირი შეკითხვა დამისვი ამისწინ, კინალამ დავიბენი.

— მერე იყო და კაცი შემოახტა, ერმილიჩ, მატარებელს, არ მითხრა, ფარნაო-ნაო!.. ნამდვილ შემოახტა ბოლო ვაგონს ობერთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაფიცებ ყველაფერს!

— გეუბნები... — რაღაცის თქმა უნდა კიდევ და ვერ ამბობს. ზმუის თუ ხიხინებს, მემანქანე ვერ გებულობს.

— რა იყო, ბიჭო, ენა ხო არ გადაყლაპე? — გვერდზე აბრუნებს თავს და სარკმელში ჩამოკიდებულ წყლა-მესტებს უყურებს, ტენდერიდან ჯიხურის კაბინაში მოძვრება ვიღაც. გონზე მოსვლამდე და თანაშემწის ენის ამოდგმამდე ხაკის შარვალხალათიანი კაცი ეკვეხება ორთაშუა.

— რატომ არ გააჩერე, მე შენი დედა, დააღე პირი, ჩაგთხარო უნდა, დახურულ სემაფორზე გაიარე?! დააგდე წნევა, თავი თუ არ მოგძულებია, ფარნაოზა ვარ, მორჩიძე!

— არ მოკლა, ფარნაოზ ბიძია, მაგი კაი კაცია!

უკან იხედება გაოცებული, ხმაც ეცნაურება.

ხათქახუთქით ეხლება ძველი ბუფერები ერთმანეთს. ჩემოდნები და თავმოხინძული კალათები ცვივა ზედა თაროებიდან.

— ვიძახი იგივეს. არ გვყავს მთავრობა!

— რა შუაშია მთავრობა! — ნერვები ღალატობს გაზეთიანს.

— რა შუაშია და იმ შუაში... ამნაირ დამოუკიდებლობას და დემოკრატიას რა ვუთხარი! — პენსნეს ირგებს კალათებში და ჩემოდნებში ჩაფლული, გაძეძგილი საკვოიაჟი ეცემა ზურგზე. — მიმიფურთხებია ამნაირი დემოკრატიისათვის!.. ვისია, ამას მოუკვდა პატრონი!

— პატრონთან რა გინდა, ვიღაცა ხარ!

— ყაჩაღები ამოსულან მატარებელში და არ ატეხოთ ახლა პანიკა, — აცხადებს კონდუქტორი საშა, ფანარს კიდევ უფრო მაღლა სწევს, თითქოს მგზავრებს ითვლის — არავინ დამაკლდესო. — ყველამ თავის ჩემოდანს, კალათს და ხურჯინს მიხედოს, არავის არ ძარცვავენ მაგენი!

— გითხარით, უპატრონოა ქვეყანა-თქვა, მოუკვდა პატრონი და ძაღლი მიაკვდა კიდევ ზოგიერთს იქ! — თითს ბზეკს ზევით, საკვოიაჟს იშორებს.

— გადააგდე იარაღი გეხ-ვე-წები! — ქალის ძალათ მინაზებული ხმაა... — გეხვე-წები, ბუჭუტა!

— რას ქვია გადავაგდო! — თვალებს აბრიალებს ეტყობა.

— ყაჩაღები ამოსულან, მომეცი, მე შეგინახავ!..

— იარაღს ეძებენ, სხვას არაფერს.

— გაიგონე, რა თქვა აგრაფინამ? მომეცი, მე შევინახავო!

— რატო თუ არა კი! — გვარიანადაა შეფახაცებული და იხტიბარს არ იტეხს, სასმელიც უნელდება სახეაჟინჟღილებულს, მაღალს, ბოროტებისა და სიავის კვალი რომ არ აზის სახეზე.

— მიეცი, ბუჭუტა, მიეცი! — ეძალებიან სხვა ქალები.

— ა, ბატონო, თუ ასეა! — იარაღს აბარებს ნიშნისმოგებით, — ხმა ღვთისა და ხმა ერისაო...

— მართალია... — ნიფხვის ტოტში იკვეხებს, ვითომ არაფერი, შიშველ ბარძაყთან გაიელვებს და ქრება ნიკელის ტარი. ქალი კაბას ისწორებს და ხელჩანთას იდებს ზემოდან სრულიად დაწყნარებული.

— უკან მივდივართ, მოგივიდათ მშვიდობა!

— კარგია, კარგი!

გეგელა ცეკვავს იმ კუთხეში, სადაც პოლიტიკურ სიტუაციას აფიათებდნენ ცოტა ხნის წინ. დააბედებულ-დაკოჟრილი ფეხებით აშვარშვალებს გაფენილ გაზეთებს. ხაზგასმული გულმოდგინებით უკრავს ტაშს პირში სიგარაგაჩრილი ჰენნეიანი მოქალაქე, ტაშითაც რომ ირონიულ განწყობილებას ქმნის.

*

წყნარი, უქარო დღეა. უგანურ შარაზე მიჭრიალებენ ოკრიბული ურმები, მიაფხოკიალებენ ფრჩხილეებს და დაშაშრულ აყალოზე ტოვებენ მკრთალ ლიანდაგებს. ხიო, ხიოს ძახილით მიუძღვიან მეურმეები მძიმედ დაჭვირთულ სამ ურემს. ფარნაოზი, მიხა და ბოჩია მიჰყვებიან ურმებს ლაპარაკით. იელი და შქერი ყვავის გზისპირებზე, ფხეკებზე, ქანჩახში. ყვიჟირი (ლურჯ-იისფერი) დასდებია ყვავილებს. ფუტკარი ბზუის.

— რას ვუზამთ ამდონ იარაღს? — აინტერესებს ბოჩიას.

— დავარიგებთ გლეხობაში, იარაღს არ გვაძლევთო, ესა აქვთ სულ მიზეზად, უიარაღოდ ხომ არ გამოგვყვებიან მართლა და მართლა.

— მაგათი იმედი გაქვს, კაცო? — ცოტა ხნის შემდეგ კითხულობს მიხა. — მაგათ იმედზე იარა ჩემმა დამაწყევარმა, გაყიდიან ანდა მილიციას ჩააბარებენ, ასე იქნება...

— სანდო ხალხს მივაბარებთ, მასეც არაა საქმე!

— სადაა ეს სანდო ხალხი?

— არიან. დავუძახებთ, გამოგვყვებიან.

— თუ გამარჯვებული გვნახეს, კი, თუ არადა, წიხლსაც კარგად მოგვაყოლებენ!

— ძალა და ორგანიზებულობა უნდა დავანახოთ ამიტომ...

წარბებს ჭმუხნის, ტუჩებს მუწავს, ასე თუა კიო, თავდახრილი მიდის მიხა. დუმან ერთხანს, ურმის ჭრიალს აყოლებენ საფიქრალს.

— ფარნაოზ, ბიწაძეებმა რო ყვავი დასაჯეს, ქოთანში რო ჩასვეს და კლდიდან დააგორეს, გატყდა ქოთანი და გაფრინდა ი ყვავი ხომე?

— ამაზე ფიქრობდი, ბოჩია, მას მერე? — ეღიმება ფარნაოზს.

— გაფრინდა, ბოჩია, გაფრინდა! — ცას უყურებს მიხა.

უბრად მიაბიჯებენ ისევ.

— აწი ესენი, — მეურმეებზე ანიშნებს, — თვალახვეული უნდა ვატაროთ, უნდა ავურიოთ გზა-კვალი...

— თვალგახელილები ძლივს მიდიან, შიშით ისე აქვთ სინათლე დაკარგული, მარა რაცხა უნდა მოვიფიქროთ, მართალი ხარ შენ... იქნებ გავუშვათ და ურმებს ჩვენ წავუძღვეთ...

— შენ როგორც იტყვი!

გაინაბება და გაითიშება ამ ლაპარაკში მიხა, მიაყურებს და შქერ-იელში გადაშლიგინდება მოულოდნელად, ხეობაში ჩაკარგულ პატარა ჭალას დააჩერდება ზერეთიდან.

მთის მდინარეში დგანან მწყემსები. სევერიან მიქაიაძის მილიცია უდგათ. ხვიფლიან ქვაზე ზის ჩრდილში სევერიანი, დოქით ღვინო, ხონჩით ხილი ულაგია.

— სანამდე არ იტყვით, სადაა მორჩიძე, — ატმის კურკას აფურთხებს. — ზეით ვერ ამოხვალთ... სად მალავთ, სად ინახავთ ყაჩაღებს, მითხარით და ამოგიშვებთ, თუ არადა, თფუი, — აფურთხებს. — ჩაგყინავთ ყინტორში, საქონელს სამგლედ დაგიტოვებთ!

მუხლამდე ჩქერში დიდი ხნის დგომით აძიგძიგებული მწყემსი ნაპირზე გასვლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააპირებს და სროლის ხმაზე შებრუნდება უკანვე. ჰაერში ისვრის და იღრიჭება სევერიანი, დოლაბივით მორკალული, ჩარინკინებული კბილები უჩანს დიდი პირიდან.

— არ ვიცი, კაცო, არ ვიცი, თვალით არ მინახავს ის ოჯახდანგრეული ... ლდა საქონელი, ვინლა დაუყრის მაგათ ანი თავს!..

— თქვი! — სახლეჩ, მოწეულ ატამს შმითავს, კანი ცალკე მიდის, კურკა ცალკე ვარდება.

— გამეყინა ფეხები! — იღრინება ერთი, თუთუნისაგან ჩაყვითლებული ულვაშები ეძგიბება.

— რა ბრძანეთ?

— გამეყინა... — ხმას იდაბლებს, წინანდელ წამოყვირილს ეძებს, მე ვიყავი თუ არაო, აინტერესებს...

— მოდი, გაგათბობ, მოიწი! — გრძელ სახრეს უქნევს ასლანიძე შორიდან.

— რას მერჩი, შე ცხენიგაგდებულო!

— ა, შენი დედა!.. — კანჭებზე აწვდენს მაინც.

ახალ კურკას უშვებს სევერიანი მიზანში.

— ა, ბიჭო, კაცი, — კურკამიმწვდარ შალიკიანს ათითებს. — დგას და ხმას არ იღებს. რითაა შენზე ნაკლები?!

— მაგას რა ენაღვლება, წყალშია გაზრდილი და ცალი ფეხი ხისა აქვს, სიამოვნებს კიდეც, მე მგონი, კარგადაა!

— ისე შენი ცოლი და დედა, რავარც მე კარგად არ ვიყვე ახლა!

— აბა ხმას რატომ არ იღებ! — ინტერესდება სევერიანი.

— რას მომცემ, რო ამოვიღო... ახალი ნაოპერაციები ვარ, ფეხი მე რევოლუციას შევწირე, ჯერ არც შემხორცებია ბოლომდე...

— თქვი, სადაა მორჩიძე თუ არა, მიგამტვრევ მეორეს, სანამ პირველი მოგიშუშდება!

— არ დაუბარებია სად ვარო. მე მაბარებს ანგარიშებს მორჩიძე, თუ იცით!

— გაუშვით ეს კაცი, ცალი ფეხით სად გაიქცევა! — პლანტატორის ქუდი ხურავს ამ სიტყვების წარმომთქმელს, ანაპოდისტეს, მოწამეთაში რომ გავიცანით ორწიფობა დღეს. ზერდაგზე ამხედრებული არ ინძრევა, სტოიკურად შესცქეროდა აქამდე ამ სცენებს.

— კარგად ყრიდა ტლინკებს იმ დღეს და მიდევდა ყაჩაღებს, კარგადაც გვესროდა, მე მაგის დედის საფლავი მოვ-ყან, ტაბუხის ტარიც უნდა მივუმტვრიო. ვირიშვილებმა მიატოვეს, ჩვენ მოვუარეთ და ერთი ხეირიანი სიგნალი არ მოუცია მას შემდეგ, ეგდოს აქ ეგ წყლის ვირთხა, მუხლს ქვემოთ აქვს მაინც მოჭრილი, არა უშავს! — შალიკიანს უყურებს და ულვაშას ურტყამს ატმის კურკას, — შენც კაი მოშტაროკი ხარ, ნუ გეშინია!

— შენ სად მოდიხარ?! — ეკითხება ასლანიძე ცისფერთვალება, პირმრგვალ მწყემსს, ანგარიშმიუცემლად რომ გამოდის გაღმა, — არ გესმის?! — ჟვერს ურტყამს კანჭებზე, — მოდი, მოდი!

ქვებზე აბილივებული მოდის მართლაც, სიპზე ფეხაცურებულს ხვდება კისერზე. მორჩილად ბრუნდება, დგას, ძაგძაგებს, ცრემლი მოდის თვალთაგან.

— ეს გლახაკი ყოფილა! — უკვირს სევერიანეს. — რა გატირებს, შე შობელძაღლო, ვარესი რომ მოგეწიოს, რას აპირებ!

— სევერიანე ბნედიანო, აქა ვარ, მაგ ხალხთან რა გინდა?! — ზემოდან იძახის მორჩიძე, ნაბადმოხურული ჩანს შავად, სულხავივით.

— მიდი და ახლა იმას ელაპარაკე! — წამოიძახებს ულვაშა და დგაფა-დგუფით წავა თავდალმა.

— არ იცის სახლი რო გადაუწვეს, თვარა ნახავდით თქვენ სეირს! — ... ვანჭალობს შალიკიანიც, მიათრევს ხის ფეხს, რევოლუციამ რომ უსახსოვრა ... დვილის მაგივრად.

სევერიანე ქვასაა ამოფარებული. სხვებიც საიმედო ადგილებში ჩასაფრებულან. დავიწყნიათ მწყემსები, გალმა-გამოლმა რომ მიმოფანტულან. მუხას ეფარება მხედარიც, თუმცა ცხენის გავა-კუდი ჩანს ერთ მხარეს, თავი და სომბრეროს ფარფლი მეორე მხარეს.

— სევერიანე, დამენახე, რა ვაჟკაცი ხარ!

— ფარნაოზ მორჩიძე, ჩაგვბარდი, სიტყვას გაძლევ, მთავრობასთან გიშუამდგომლებ და ჩამოხრჩობას აგაცილებ, თუ არადა, ტყვიის წერა ხარ!

ტყვია ხვდება ქვას, საიდანაც ხმა ამოვიდა. ქვევიდანაც ისვრიან მოკლე ჯერებით. სიჩუმე ისადგურებს ცოტა ხანში. ტყვიისმისაწევარში არ დამდგარან, როგორც ჩანს.

— ჩემი ცხენია, არ უნდა ლაპარაკი, კუდზე ვცნობ! — თოფს აყუდებს ხეზე ბოჩია და პირზე ხელებმიდებული ყვირის: — ანაპოდისტე, უკანალი გიჩანს, მაგ ცხენზე დაჯდომას ამაზე დამჯდომოდი გერჩია, ცოცხალი მაინც გადარჩებოდი.

— ჩემზე ამბობს? — ქვას აფარებულ სევერიანეს ეკითხება. კიო, თავს უქნევს ოთხად მოკეცილი.

— მაგაზე დაჯდომას იმაზე დამჯდომოდი ჯობდაო... — უმეორებს ასლანიძე სერიოზულად.

— რა ახალგაზრდობა გვეზრდება! — სინანულით აქნევს თავს ანაპოდისტე.

— წადით მაშინ საქართველოდან! — ყვირის სევერიანე, — თქვენც გესაშველებათ და ჩვენც მოვისვენებთ, წადი, ფარნაოზა, მოგვეშვი!

— ჩამომშორდი შენ თვითონ, ნუ წეიხდენ თავს, დამენანები!

მინდორში ობლად დარჩენილი ნიგვზის უღლისფერი დოქი იმსხვრევა.

რუსული შაშხანა უბოლავს მიხას. ფეხზე მდგარს, ყოველნაირი საყრდენის გარეშე უსვრია.

მეურმეები გარბიან სროლის ხმაზე ფხაჭაფხუჭით ძეძვნარში, ერთი სახრეზე ბრუნდება, ხარ-ურემს ტოვებს და შვინდის სახრე მიაქვს, ბარდებში გარბის, თმაგაძენძერებული თავი ამოხტება ხოლმე ბუჩქებიდან. დაუღლული ხარები დგანან მორჩილად წითელ შარაზე. კუდით იგერიებენ ბუზებს ნისლისფერთვალებმამზირალნი.

— მივატოვოთ ჩვენც?! — მაყვლიანში გამოშლიგინდება ბოჩია, ხალათზე მიკრულ ბუძგებს, მაყვლის ეკლიან ყლორტებს იშორებს.

— სად უნდა მივატოვოთ, კაცო, — გზაწვრილით მორბის ფარნაოზი, — შეუძახეთ და გაყევით, ხარებს გზა არ შეეშლებათ, მეურმეებიც გამოძვრებიან ჩირგვნარიდან, ზურგშექცევით გამოგყობითყენ ერთხანობა! — ნაბადს, შაშხანას, ფალასკებს კუდაურმის ძარაზე შეყრის, ორ მაუზერს სავაზნეებს გამოუცვლის. ღვედზე ჩამოპორწიალებულ ხელყუმბარებს მიინაოჭებს ორგვერდზე.

ღელის ორ ტოტს გადაჭრიან კაპნებზე ბორბლების რაკუნით ურმები. ჭალაში მიჭრიალებენ ბამბილოთი შეშავებულ თხმელებქვეშ. ბეჭზე თოფებგადებულნი მიჰყვებიან მიხა და ბოჩია ფრჩხილებით დახაზულ მიწას, თავი სამშვიდობოს დაგულებულად ჩაუთვლიათ.

— ... აბრაგებს კი გვეძახიან მარა, უფროს-უმცროსობის გარჩევის უნარი კი არ დაგვიკარგავს...

— კინაღამ რო დახოცეთ ერთმანეთი იმაზე ამბობ, მიხა ბიძია?

— წავკამათდით, ბიჭო, დედა კი არ გვიგინებია, ძმები წაეკიდებიან ერთიმეორეს ხანდახან. ტყვიით დაჭრილი ბევრი გადარჩენილა, ენით დაკოდილი — არა, ენის იარა არ ხორცდება!

— ანაპოდისტეს რო ჩავძახე, ამაზე დამჯდომოდი გერჩია-თქვა?

— მაგ იყოს, თუ გინდა. რაფრად შეხედავ იმ კაცს უტყეოში?

— ვერ გამომივიდა თლა კარგად, ნამდვილად შემეშალა, მიხა ბიძია, მარა თქვენგან ვსწავლობ...

— სიგლახეს?!

— არა, პირიქით, ამაზე დამჯდომოდი გერჩია-თქვა, არ უნდა მეთქვა, ამის თქმა მინდოდა...

— კარგია, თუ ხვდები!

— რავა ვერ ვხვდები მარა, რეიზე წეიყვანა ჩემი ქვიშორია, ხელისგულით მყავს გაზრდილი, რო მომეკლა, ცხენი კი არა, ანაპოდისტე, ბატონი...

— ბატონი არ გინდა...

— პატივცემული ანაპოდისტე, შეიძლება არც მეჯავრა, ამაზე დამაჯექი-თქვა მაინც არ უნდა მეთქვა, მიხა ბიძია, რავარც მასწავლე, ისე ვისვრი... თუ მაცალეს, ჩახმახს ნელა ვქაჩავ, მარა თოფი რო გავარდება, საქმე დამთავრებული მგონია...

— არა, ბიჭო, ტყვიას თვალი უნდა გააყოლო, უნდა გაყვე თან... მონღოლები რაფერ ისროდენ ისარს მიზანში თუ იცი?.. შვილდისარს ზევით, პირდაპირ კი არ უმიზნებდნენ, შემხედე, ზევიდან ქვევით და ელვად...

სროლის ხმაზე გახტება ბოჩია გვერდზე...

— ფარნაოზია, — აწყნარებს მიხა, — ორჯერ ისროლა მშვიდობაოო გვანიშნებს... ხმა საიდან იყო? უკნიდან ხომ! აგერ დაგვიხვდება ახლა წინ!

— ისე აგიხდა ყოველივე კაი, მიხა ბიძია! — ყურებამდე აქვს აწეული ლაშები ფარნაოზის მოულოდნელი გამოცხადებით გახარებულ ბოჩიას.

*

იატაკია აყრილი ოდა-სახლის ზალაში. კოლია გოგნიძე შაშხანებს აწყობს მენჩზე ფრთხილად, თავშექცევით. იატაკის გრძელ ფიცარს აჭედებს კვლავ, ლურსმანი გაჰყავს ნალურსმანში.

— რატომ დაიტოვე, არ დაგაძალებთო, ხომ გითხრეს, რა ეშმაკად და ოხრობად დაიტოვე... სანამ შენ თოფებს იბარებდი, გოგო კინაღამ წაიყვანეს, გამოსაბდღვნელი შემექნა... მთვარიანში იდგნენ ღობესთან. ვინ დაინახა, ღმერთმა არ იცის...

— გადი, ქალო, თუ არა, გესვრი ამ ხრიკიტარს!

— გესვრიან შენ კარგად. თუ გგონია არ მოგაკითხავენ, არ წამოგაგდებენ კვლავინდებურად კერიიდან, ბესარიონის დღე გელოდება, ამისათვის აყარე პოლი?.. ტყულა არავინ არაფერს მოგცემს, არაფერს დაგიტოვებს...

— ჩახოცავენ მაგათ მალე და ამ თოფებს სვანეთში გავყიდი, საქონელზე გადავცვლი, საიასაღო ხარებს ჩამოვიყვან!...

— ვის ჩახოცავენ, მამა, ვის სიკვდილს ელოდებით?! — სალომე შემოსწრებიათ. ერთმანეთს შეჰყურებენ შეცბუნებულნი, დანაშაულზე წასწრებული მშობლები.

— მე ამ სახლში აღარ მეცხოვრება, ჩემ სიკვდილსაც ნატრობ, მამაჩემო?!

— ნუ სულელობ, გოგო!

— პირველად არ დაგცდა ეს სიტყვები, ისინი ჩვენი სიკეთისათვის წირავენ თავს. მრცხვენია თქვენი შვილობა. ვისკენა ხარ, მამა, შენ, ეშმაკებისაკენ?!

— გაჩერდი, გოგო!

გულმოსული იჯახუნებს გოგო კარს, თავწახრილი ჩარბის კიბეზე, მინდორში მიაფრიალებს თეთრ მანდილს და წითელ ნაწნავებს.

— წამოაჩერჩეტებს რაღაცას და დამაქცევს, მე რომ მიტრიალებ მაგ ბოგრეულ ქალიშვილს უთხარი რაღაცა! — საგონებელში ჩავარდნილი კოლია ზის იატაკზე.

— თავი არ დაიხრჩოს, იცოდე!

— დაიხრჩოს არა ის, კიდევ რას იტყვი!

— თავი არ დაიხრჩოს, კოლია, ამოგთხრი მაგ თვალებს!

— თქვენი დედა ვატირე მე. ამნაირ სიცოცხლეს რა ვუთხარი... სულ ერთია, მაინც მომჭრის თავს, შენი ნაშობი უგლიგარჯის მეშინია, სხვისი კი არა!

*

ზაფრანამოდებულ ბოსტანში დგას სალომე, ყვითელ-მწვანეში ჩანს წითლად, მარცხნივ სიმინდის ყანაა, მარჯვნივ ვენახია მაღლარად. წინ ღარა-კრამიტით დახურული დაბალ ბორჯგებზე შეყენებული ოდაა უბირკვილო აივნით.

— შუშანა! — ყურძენს კუფხლავს თალარიდან, პირში იყრის, აკრახუნებს.

— მოგკლავს, გოგო, ისრიმი! — მაღალი შუშანაა აივანზე.

— მუცელი არ მომიშალოს ერთბაშად!

— ამოდი, გოგო, აქ!

— ფეხი არ დავადგა მეშინია! — ნეშოს აშარიშურებს ზაფრანებში.

— ამოდი აქ, ამოდი!

— შუშანა ბიცოლა, როდის დაკარგე შენ ქალიშვილობა?

— მართლა ბოთე ხარ, გოგო, შენ?..

— იმ კაცმა ხო არ გიგუა... — ახალ ნამცვრევს იყრის პირში... — არ შემხვდა მთელიო... გავიდეს აქ თუა! — ძირს იხედება. — ვასილისკო, ვასილისკო... — ნიავიც არ არხევს ყვითელ-მწვანედ ჩაკეცილ გაუმარგლავ ბალახს. — ლესპანძი, ლესპანძი... კაბა მაცვია ზაფრანისფერი, მოშეშდი, მოთრილო, მოგველო, ნახორი, ნახორი... ვასილისკო, ბუსთავა ბრძენო, ვასილისკო, ფუტურო ბრძენო!.. გავიდეს აქ თუა!

— მოდი, შე მალე გასაზრდელო!

ფრთხილად მოდის:

— ტანი რო დაგბანე დღეისსწორს სოხანეზე, ხო გათვალიერე, სად ხარ დადაღული? რატომ გწამობენ, აბა? ერთი ნაოჭი არ გაჩნდა, ახლა რა ხარ, ადრე რა იქნებოდი!

— ეშხიანი ვიყავი!

გარეშეს ხედავს და აღარაფერს ეკითხება.

— აქა ხარ, ბარჩხალია?

ყმაწვილი დგას აივანთან ჟალტამში. დიდი, ნაღვლიანი თვალები აქვს. ტილოგადაკრული ქოთანი უჭირავს ორივ ხელით. გალუმპულ მუხლებამდე წვდება ბოკონი, უმოაჯირო, ურიკულო აივანი — წელამდე.

— ავი ზნის წამალი მიმაქვს მამაჩემისთვის...

დუმან. ერთმანეთს უყურებენ. ნადუღს წურავს შუშანა საჩეხში. გრეხა-გრეხად კიდია ლარძაყინზე გამხმარი ბალახები, მიმღნარი ყვავილების ასხმულებია ჩამოკონწიალებული წაბლა ფიცრის კედელზე. გვირილას სურნელია.

— მეც კინაღამ დავიჯერე გიორგელასი... არაა, შუშანა ბიცოლამ, მიგონებენო... ფეხი არ დავადგა შიშველი, ვიფიქრე, ცვრიანში, შემეშინდა, ახლაც მეშინია უფეხსაცმელოდ...

— შენ ყველაფრის გეშინია, ბარჩხალია, რანაირი თეთრი ხარ!.. — მკლავზე უსობს ხელისგულს. — ბარჩხალია, ბარჩხალია, რაჩხალია ბუე!.. გახსოვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რავა არა!

— მოდი, გოგო, არ გინდა წაქი?

— არა.

— მაგი არ სვამს, შენ გიყვარს, მიტომა ხარ ჭკუიერი...

სავსე ჯამი მიაქვს ბარჩხალიასათვის.

— დალიე, თბილია...

— არ შემიძლია... გიორგელას ალოკილი მგონია...

— დადგი ეგ ქოთანი.

— მამაჩემი გამიჯავრდება... თუ წამოუარა, დაცოფავს ქალებს, მე ქე მომკლას იქნება... წაქს მაინც ვერ დავლევ, გიორგელას ნასვამი იქნება, ამას ბაბაიას წოუღებ!

— უზმოზე დალიოს, დააწყნარებს!.. — შუშანაა, — დილას და დაწოლისას, გათავდება და კიდო მოდი, არ გოუწყვიტოთ!

— შენ ვინ მოგკლავს ბარჩხალია... ბარჩხალია, ბარჩხალია, რაჩხალია ბუე... — ისევ ეფერება, ორთქლადენილი ჯამი უჭირავს ცალ ხელში... — ასვი მაგ მამაშენს, გაუღე პირი და ძალით ჩაასხი. მზე ჩავა ანი ბარჩხალია, წაიღებს სხივებს და თან წაყვებიან ჩიტები, ყველა თავის ბუდეს დაუბრუნდება... რა აბოროტებთ ადამიანებს?

— არ ვიცი!..

თვალებმოჭუტული უსმენს შუშანა, მისჩერებია სალომეს. მზე კი ჩადის და აწითლებს ზაფრანებს. ჩრდილები იზრდებიან. საქონელიც ბრუნდება. თხის ეჟვანიც წკრიალებს შორს, სუსტად.

*

შემოდგომაა ოკრიბაში.

სიყვითლეს მოუგირგვლია ტყეები. რთველი დაწყებულა. სიმინდია ასაჩალი. გადათიბულ მინდვრებში ზვინებიც დგას.

მანდიკორგურნის კანცელარიაზე სიმშვიდეა. ეზო-გარემო მოუთენთია ნიფობისთვეს გადაშუადღებისას. ხარიხაზე მიბმული ცხენები ფქვავენ შვრიას. თოფრაკს კიდებს ბოლო ცხენს სახელოებდაკოტავებული მილიციელი. ხიშტიანი თოფებია რამდენსამე ალაგას დაჯოჯგინებული. აივანზე მზიყურში თვლემს ულვაშა მილიციელი, წელზე ხმალი კიდია და მუხლებშუა შაშხანა აქვს გამომწყვდეული. შორტებში და წითელ-ყვითელ სვიტერში გამოწყობილ ანაპოდისტეს ცხენი მოჰყავს ავშარით, კადოზე უფსკვნის აღვირს და სხვა ცხენებთან აყენებს გავით, შუბლზე ხელისკვრით.

— ვისია ეს ცხენი? — კითხულობს მომვლელად გამწესებული მილიციელი, — ვისია, კაცო, მე ამას ვერ ვაჭმევ!

ჟოკე ქუდს იხდის ანაპოდისტე და ჯაჯუ კისორელს ესალმება. კისორელს თმანვერგაბურძგნილი გეგელა მოჰყვება მწიფე მაყვლისფერი თვალების ყვრიალით.

— ბატონ ანაპოდისტეს ჩემი უმორჩილესი სალამი, აქეთ, ბატონო ანაპოდისტე?

— არა, პირიქით, ცხენი მოვგვარე პატრონს.

— ვისია, კაცო, — არ ისვენებს მეცხენე მილიციელი. — სადაა ამის პატრონი?

— მოვიყვანე, ხომ არ მიმყავს, მადლობის მაგიერია?!

— მაკლდა მე ცხენები!

— ნათლობა მაქს დღეისსწორს შვილიშვილისა, ვარდენია ჩამომდის! — იუწყება კისორელი.

— რავა ვარო?

— კარგად წოუვიდა საქმე ღვთის მადლით და თქვენის წყალობით, ბატონო! — გაცემული სერმია აბარტყა, ანაპოდისტეს პატივისცემას ვით გადავიხდიო, უნდა დამაფასოთ!

— დამფუძნებელი კრების სხდომები ახლდება და თუ თბილისში არ წავედი ცოტა ადრე — აუცილებლად, ვარდენიას მადლობა უთხარი!

— გვეშველება რამე, ბატონო ანაპოდისტე?

— უსაშველო მტერმა ნუ ქნას, კარგად ბრძანდებოდეთ.

— გენახა უფროსობა... — მაინც ოდისაკენ ეპატიჟება.

— ცოტა ფარაღათად ვარ, — ტანსაცმელზე იხედება. — სხვა დროს შემოვივლი, აბა კარგად!

— კარგად, ჩემო ბატონო!

— ამ კაცს შარვალი არა აქვს? — ეკითხება ბატონს გეგელა.

— მაგ კაცს ჟენევაში აქვს უმაღლესი დამთავრებული...- უკან იხედება, დამცინავ ღიმილს აყოლებს ჟენევის უმაღლესდამთავრებულ ანაპოდისტეს.

— მერე ჟენევაა თუ რაღაცაა, უშარვლოდ დადიან იქინე?

— მოდაა, შე სულელო.

— მოდა?.. აბა შენ რო ხარ, გამოყრონჭილი შალის ჩოხაში და გრძელ ნიფხავში, ახლა რა გიჭირს, კვირკვობისთვეში რო იხრჩობოდი, კარგი იყო?!

— შენც კაი მამზერი ხარ, ნუ გეშინია!

აივანზე ადის. გულზე ხელისდადებით ესალმება ულვაშა მცველს, რომელსაც ღია თვალებით სძინავს თურმე და სალამს არ აბრუნებს. გაწბილებული კისორელი მოღუშული შედის დარბაზში, სადაც მღვდელი, პოლკოვნიკი ხომაშურიძე და გენერალი მითაიშვილი თამაშობენ კარტს.

— ჩემი უმორჩილესი სალამი, ბატონებო!

უყურადღებოდ ესალმებიან ქაღალდში ჩაგულისყურებულნი.

— როგორ გიკითხოთ, ბატონო ჯაჯუ? — კარტს ხვეტავს მითაიშვილი, დანა პირს არ უხსნის ხომაშურიძეს, მღვდელი თავისას დასჩერებია.

— სალამი, მამაო ამბროსი!

— ღვთის საგმობ საქმეს ვშვრები, მართალია... აღარაა ღმერთიო და თუ აღარაა ე, ბატონო, მარქსის სურათები ჩამოგვიკიდა მთავრობამ ხატისა და ხელმწიფე-იმპერატორის პორტრეტების სანუფქოდ... ცოდვილი იყო ადამიანი, ცოდვილად დარჩა... — გაშლილ კარტს ჩითავს უკვე.

ულვაშა მცველი კვნესის. კბილებს აკრიჭინებს ძილში, ფეთიანივით ახელს თვალს, გეგელას მიჩერებია უაზროდ.

— რა, რა გინდა?!

— არაფერი არ მითქვამს.

— მერე მე ვთქვი?.. — ნერწყვს ყლაპავს. ფხიზლდება. ულვაშებს ისწორებს. — რა მოიტანე?

— რა უნდა მომეტანა?

— როგორ რა, მესადილე არა ხარ შენ?!

— მე?

— რა გინდა აბა, მოგზავნილი ხარ?!

— მე?.. ჯაჯუ ბატონს მოვყევი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვის?!

— წყალგაღმა კი არა ვარ, მეყურება!

— რამდენს ბედავ, სად გგონია თავი, ვის მოყევი?

— ჯაჯუ კისორელს.

— შევიდა? ვიცი. შენ აქ, ის იქ. არა უშავს, მე მივეცი ნება. არ უნდა მექნა. არ შემოუშვა არავინო, ვერ დავინახე, რა გადაურჩება მაგენს... შენ არ ამოიღო ხმა. დაჯექი იქ!

— აქ?

— ცოტა უკან, გვერდზე, სტოპ! მზე არ დამიფარო, თვარა ვერ გამასწრებ!

ფულგაცლილი მღვდელი იწერს პირჯვარს ოთახში.

— წავიწყმიდე სული, მარა უფალი სულგრძელია, ისე ხომ კარგად, ბატონო?

— ნელთბილად, თქვენი კარგად ყოფნით, ვარდენია ჩამომდის, შვილიშვილი უნდა გამინათლო, ყველამ უნდა დამაფასოთ დღეისსწორს...

— სხვაფრივ ხომ მშვიდობაა?.. — ბანკს ხვეტავს მითაიშვილი. — ხალხი ხომ კმაყოფილია?

— ხალხს ვერც მოფხან და ვერც უკბენ, ჩემო ბატონო, თოფისკვამლის სუნი ტრიალებს მაინც... აღარ დამედგომება საჩემოში, მამის სული ნუ წამიწყდება, მორჩიძე გამიხდა გამგებელი. ჩემი მიწები დაარიგა. საზიარო არ ვიცი მეო, ვინც შრომობს, მიწაც იმისიაო, ჩუმად მიხდიან მეოთხედს, მორჩიძემ არ გაიგოსო, ეშინიათ... ესაა საქმე, ახლა რა მიჭირს, თქვენ რო აიყრებით, გლეხობაც გადელდება, რა გვეშველება არ ვიცი!

— ჩვენ აქედან არ წავალთ, ძალიანაც უნდა ზოგიერთს, მაგრამ არ წავალთ, გადაავადეს საგანგებო წესები და თუ წავედით, გლახად წავალთ. ყაჩაღების ბუდეებს გადავწვავთ, ღამის გასათევს არ დავუტოვებ არც სტუმარს, არც მასპინძელს. ასე იქნება ეს და ნახავთ მალე, არ გვეხმარებით, ხელს არ გვიწვდით, გეშინიათ, საკუთარ ტყავს უფრთხილდებით მხოლოდ, გვტოვებ მამაო?

— შენი ვალიც მიმყვება და საიქიოს გადაგიხდი! — პირჯვარს იწერს, ბუტბუტით გადის, გეგელას აპყრობს მზერას აივანზე, — რავა ხარ, ღვთის გლახაკო?

— დამჩაგრა უფალმა, ამბროსი, რას მერჩოდა, ბოთედ რომ გამაჩინა?

— ძვირი არ თქვა, ღვთის საგმობი სიტყვა არ თქვა!

ანაფორააკეცილი ჩადის კიბეზე.

— თქვენი ხო არაა, მამაო, ეს ცხენი? — ეკითხება ეზოში მილიციელი.

— ჩემი? — მუშტრის თვალით ათვალიერებს მოჭიხვინე ულაყს. — ვისი ხარ ქვიშორია!.. გაჩერდი, დრუუ!.. ჭაკის სუნი იკრა ამ სამგლემ, ამას ვეღარ გააჩერებ აწი!

— ანაპოდისტემ დატოვა, მოაკითხავს პატრონიო.

— ანაპოდისტე კაის რას დატოვებდა. ზარანდია არა ხარ შენ?

— ზარანდია ვარ, მამაო, აზნაურიშვილობაზე იყო წამოყენებული ბაბუაჩემი ხალამპრე და მაშინ ეირია მაინდამაინც ქვეყანა, ბედია ყველაფერი, თუ არა ცხენებს უნდა ვბანდე მე, ბედია ეს...

— ძვირი არ თქვა, ღვთის ძვირი არ თქვა!

დასაპალნებული გლეხები გადმოდიან ალაგეზე წვალებით.

— სალამი, მამაო! — ესალმება ბეჭზე ჩაფშემოდგმული კოლია გოგნიძე; ბერიკაცთან ერთად მოდის. თეთრი ფაფარი ადევს მხრებზე ხურჯინიან, ხელკალათიან ყოჩაღ მოხუცებულს. აივანზე ადიან მძიმედ.

— ჩემთან ევლოგია ემძიმებოდათ... — თვალს აყოლებს მამაო ამბროსი. — ა, შეხედე, დაჭვირთულნი მოვიდნენ.

— ძალა აღმართს ხნავს, მამაო, — სამუნველს იმარჯვებს მკლავებდაკაბინებული ზარანდია, აზნაურიშვილობას რომ მისტირის, — საიდან მომიყვანეს ეს ავჯილღა, დამიჭამს ცხენებს!

ჯორზე ამხედრებული მღვდელი წამოეწევა ჩინდრიკით ორღობეში შიმავალ ანაპოდისტეს. სალამ-ქალამის შემდეგ ჩამოქვეითდება: საკმაოდ მარჯვედ გადმოიღებს უნაგირიდან ზომიერად მომრგვალებულ ღიპს.

— ბრძანდებოდე, მამაო, ჩემი ქვეითობა უფრო კადნიერია და მე თუ მერიდებით და ამისათვის წუხდებით, ნამეტნივად შევწუხდები, თქვენ ნუ მომიკვდებით...

— რა შეწუხებაზეა ლაპარაკი, ბატონო, მუხლებს ქარს ამოვაღებინებ, მთელი დღე ვზი ისედაც, პირუტყვიც მადლიერია ჩემი საქციელით, დავმძიმდი, ბატონო, დედამიწა მიზიდავს ძალუმად ცოდვილს, აღარაა ღმერთიო და თუ აღარაა და ეიშვა ხალხმა, ღვთის საგმობს ჩავდივარ მე თავად, მარა ღმერთი მოწყალეა, მონანულთა მფარველია, გვეშველება რაიმე, ბატონო ანაპოდისტე...

— უსაშველო ნუ ქნას ღმერთმა!

— თქვენც ღმერთის იმედად ხართ?..

— რელიგიის თავისუფლებას ვემხრობით, რწმენა ხელშეუხებელია... ჩვენ სოციალური თანასწორობისათვის ვიბრძვით, ზეციურ მირაჟებს არ დავდევთ...

— კაი დაგემართოთ, მარა ეს მიწიერიც რომ ვერ მოვაგვარეთ...

— გვაცალოთ უნდა, მიწის რეფორმებით ვიწყებთ, ჩვენი დევიზია^ მიწა მიწის მუშას... საადგილმამულო რეფორმა ძალაშია. მარტო ქუთაისის გუბერნიაში, ჩვენი ჩათვლით, 12 კომისია მუშაობს. 5 მამული ჩაიბარა ხელისუფლებამ მაზრაში, ღვანკითში ბაგრატიონების მამულები გადმოგვეცა, ზუგდიდ-სენაკში — მინგრელსკისა...

— ჩვენთან, ბატონო?

— ჩვენი მხარე მცირემიწიანია, ტყეს უჭირავს დიდი ნაწილი...

— იჩეხება, მაგრამ ყაჩაღებს ყოფნით...

— მართალი ბრძანდებით და მიუხედავად ამისა, მე პირადად წინააღმდეგი ვიყავი და ვარ ტყის გაჩეხვის კი არა, ეგზეკუციის ჩამოყენებისა...

— ღმერთი შეგეწევა მაგ საქმეში, სისხლი დაიღვრება, ბატონო, თუ დროზე არ ისაშველეთ, თოფის წამლის სუნი დგას, არადა ხალხი თვინიერია, თუ კუდზე ფეხი არ დაადგი, ხმას არ ამოიღებს, რადგანაც მშვიდია. ეს ჩემი მერანიც მორჩილია, ლურჯი თვალები ქე გოურბის სიმწვანისაკენ, გორებიც გლუვია, დიდი ხანი კი არაა, რაც აქეთ გამომამწესეს, მარა ფრიად შევეთვისე აქაურობას. მივალთ სადგომში, ჩემო მერანო, და დაგიყრი ნედლ ბაბათიებს, ოშოშოასაც დაგადებ, ზურგი გადაუყვლიფა, ბატონო, ხემ... — უნაგირს ამოწმებს, გახეულ საპირე ტყავში ჰყოფს თითს და თან ლაპარაკობს... — მიწა მიწის მუშასაო, ქე ბრძანეთ, თუ არ მომეყურა. ესე იგი მიწა — მშრომელს თუ სახელმწიფოს, მშრომელის სასარგებლოდ?..

— უფრო უკანასკნელი...

— კაი დაგემართოთ, ამასაც არა უშავს, ერთი სატყუარაა, მეორე ვირის ცხვირთან დაკიდებული ბალახი, მარა ჩვენთან ამ მოჩვენებით კეთილდღეობის სიოც არ უბერავს. მეშლება ალბათ...

— ვმუშაობთ, ჯერ უნდა აიზომოს, აიწონოს ყოველივე...

— აქაურ მებატონეებსაც გაამიწებენ, ბატონო ანაპოდისტე?..

— ცხადია, მაგრამ სადღაა ბატონო?.. ჯაჯუ კისორელს ჩამოსართმევი აღარაფერი დარჩა, მამამისმა ამირინდომ, თქვენ აქაური არა ხართ, მაგრამ გადმოცემით გეცოდინებათ, სადაო მიწების გამოძალვას გადააყოლა თავი... კრა ძილში ვიღაცამ თოფი და ამოართვა მთავარი სული, გააციმბირეს რამდენიმე, ჩემის ვარა-

უდით, სრულიად უდანაშაულო გლეხი და მორჩა... ცოდვიანი კაცი იყო, ჯაჯუს მა-მაზეა ლაპარაკი, დედა კარგი ყავდა — სევდია...

— თავად ჯაჯუც სვეუსვეო კაცი ყოფილა, ფეხმძიმე ცოლი შემოაკვდა თურმე ეჭვიანობის ნიადაგზე...

— ნამდვილად ეგრე იყო, ვარდენის დედა, მეორე ცოლი, ჭლექით მიიცვალა, გნახავთ ნათლობაზე, უეჭველია, მამაო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მე კი გადავუხვევ აგერ.....

— არც მე ვარ შორს, მარა ჩემი მერანი გამაქროლებს, გაჩერდი შე სამგლე, მაინდამაინც ახლა არ აყარა ტლინკები, ნუ მომჭერი თავი, შე ვირის ნაშიერო, აბა კარგად, ბატონო, ღვთის ძვირი არ ვთქვათ, ღმერთი მოწყალეა...

*

— გეგელა, ჩამომადგმევინე ჩაფი!

— ღვინოა? — ყნოსავს. კალათზე რჩება მაინც თვალი, — აქედან მოდის კაი სუნი!

— გაწიე ნიჩვი და მიდგი კუთხეში.

ბეჭზე დაფენილ სველ ჩვარს წურავს კოლია გოგნიძე, თეთრ თმა-წვერს იბიბინებს, სახესაც ინიავებს ფაფანაკით ბერიკაცი.

— თქვენი დღე იყო ხომ? — კითხულობს მცველი.

— იყო. დეიქცეს ის დღე.

— საიდანა ხარ?

— ძუყნურიდან.

— შენ?

— შუყერიდან. — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ პასუხობს.

— მორჩიძე იქნები, არ გაამხილო მაინც.

— გოგნიძე ვარ.

— მეზობელი ხომ ხარ. მაგენი დაიწვა ცეცხლში. მაინც ქე დაწვავენ!

— ამას ისეთი კაი ქალიშვილი ყავს, იმ დღეს კაბა ოუფრიალა ქარმა და ყველაფერი დოვუნახე.

ხმალს ააძრობს საპასუხოდ ქარქაშიდან მცველი. უკან-უკან იხევს გეგელა, ხურჯინს სინჯავს მახვილით, კალათს ბუნიკით ამოწმებს.

— გადი, შე მათხოვარო! — გეგელას აგდებს კოლია.

— ამაში რა არი? — ძღვენი აინტერესებს მცველს.

— დედალია მრგვლად მოხარშული, ცხელი ჭადები და ხაჭაპურები.

— ამაში? — პირმოხინძულ ხურჯინის თვლებს დასჩერებია.

— გოჭია შემწვარი, ხმელ გვიმრაში შევფუთნე, კვახია და ტარო მოხარშული...

— ძველი ხარ, ბებერო!

— ხადილი ამნაირი ვიცოდით ძველადაც, ბატონყმობა რო გადავარდა, კაი ხანი ძველი ჩვევა ვერ მოვიშალეთ...

— ამას რა ფერი ადევს? — ჩაფს არყევს.

— წითელი ღვინოა.

— მღუპავ.

— რა იყო, შე კაი დედმამიშვილო, რავა შეიცხადე?!

— სადილზე თეთრი, ვახშმად წითელიო, ასეთია თქმულება, კიდევ წითელი რომ ჩამოიტანონ, ნასამხრევს რაღა ვქნა!..

— მუცელს აატკივებს წითელი?

— წახვალ ახლა შუყერში და სანამ არ დამჯდარან, გამოცვლი!

— შენ ხო კაი ჭკუაზე ხარ, სული ძლივს ამოვიყოლე აქამდე!

— წადი, გეუბნები, თვარა აქანე ამბავი ატყდება მტრისას, რაც მიხაკოს დაყმა-რთა სიონიძეს, ის დაგემართება შენც!

— მიხაკო სიონიძეს მიაკვდება ძაღლი საფლავში, რა საზიარო მაქვს მიხაკო სიონიძესთან.

— შენ გეძახიან, გონია, გეგელა არ ხარ, მოშორდი მაგ კალათს!

ჯაჯუ კისორელის ხმა გამოდის.

— უუ!

— რა გაკივლებს, შე არ დასარჩენო, შედი!

— განიე ხმალი.

— ხმალი რას უშლის.

გაძენძერებული თავია ღრეჭოში შემოყოფილი.

— ესაა! — მითაიშვილს და ხომაშურიძეს ეუბნება კისორელი. — შემოდი!

დაფეთებული დგას, ევიწროება იქაურობა.

კარტის შეკვრას ასწორებს გრძელი თათებით ახალგაზრდა გენერალი და გეგელას ათვალიერებს.

— თქვი, სად ნახე ფარნაოზეი და მისი აფხანიკები! — ჯაჯუს ბრძანებაა.

— სარბიელი გორაზე.

— ვინ და ვინ, მოყევი წვრილად.

— თხები მოვუდენე ქართაში...

— ჩემზე ამბობს. — ეხმარება კისორელი.

— გადათვალა და ერთი მაკე თხა ვეღარ მოიძია. ამან მითხრა, მოძებნე რაფრაც გინდა და მოიყვანე, თვარა დავამაკებ დედაშენსო...

— რაიო? — გამოცოცხლდება მითაიშვილი.

— ყური არ დაუგდოთ.

— აბა რაზე მოიყვანე.

— ბოთეა, ბატონო!

— ბოთე ვიყო თუ გინდა, დედა მაინც არ მყავს.

— რასაც გეკითხებიან, ის თქვი. — ღიმილს ვერ იკავებს გენერალი.

— თხები მივუდენე, მაკე თხა დამაკლდა, ან მოიყვანე ანდა დედაშენსო...

— დაანებე ამ დედაშენს თავი!

— მაინც მკვდარია და...

— აღარ აყენებთ საფლავში, მერე, მერე? — კარტს ჭრის უკვე ყურადღებადაფანტული მითაიშვილი. ხომაშურიძე სხვაგანაა, წაგებას ანგარიშობს, ეტყობა, გუნებაში.

— მერეთ, გადავვარდი წკვარამში, რუჭუ, რუჭუ, ჩხრანჭი!.. ვიკიკინე და გამაგონა. ვქაჩე რქებით, არ წამომყვა, იყოს, მე ვიფიქრე, მოიგებს ამეღამ. მერე მთვარე ამოვიდა, ვიღაცამ მიკივლა, რომელი ხარო. თხაა მაკეთ, მე ვუთხარი. ამოდიო და ავედი. ტაროს წვავდნენ ღადარში. ერთს ქე ეძინა.

— ვინ და ვინ იყვნენ?

— ფარნაოზი, მიხა იაშვილი, ნიკანდროს ბიჭი, ბოჩიაი, დიდი ქოჩორი აქვს. ეს მამცა საჭყეპელაი... — შარვლის უბიდან საჭყეპელას (ხელთოფას), ჯიბიდან მუჭ კურკანტელს იღებს. — ეს ტყვიებია, რამხელა ხმა აქვს მერე იცი ამას? თუ გინდა წყალს ამოვსრუტავ და მივუშვებ, რუჭუ, რუჭუ, ჩხრანჭი!

— კარგი. სად დატოვე?

— თხა?

— თხა კი არა, ვინც ჩამოთვალე, კიდევ იყო ვიღაც?

— ერთს ეძინა, — სარბიელზე, — საჭყეპელას ამოწმებს.

— აქვე ტრიალებენ, ბატონებო, არ შორდებიან აქაურობას, სარბიელზე, — შორს! — ხელებს შლის კისორელი.

— ზარანდია! — ყვირის მითაიშვილი.

ჩოჩქოლი და გადაძახილია აივანზე. კურკანტელით დატენილი საჭყეპელა გაუვარდება გეგელას. საყელოში სტაცებს ხელს უცნაურ ტკაცანზე დამფრთხალი ჩაფიქრებული ხომაშურიძე.

— გამოდი შენი, რა ისროლა ამნაირი უბედური!

— გამივარდა.

— მოგიკვდა პატრონ-მყვარებელი, გადი გარეთ!

სახელოებდაკაპიწებული ზარანდიაც შემოდის სამუნველით.

— სად იყიდე ეს კარტი? — ცხვირთან მიუტანს შეკვრას.

— საწირეში, საწირეს სადგურში, არ ვარგა?! — ყნოსავს ყოველშემთხვევისათვის.

— ნახე, რა სწერია. მითაიშვილო, უკანასკნელად გაფრთხილებ, აიყარე და წადი ოკრიბიდან, თუ არადა, შენ ცოლს შავები შეუკერე. ფარნაოზ მორჩიძე. მე უნდა ავიყარო თურმე მთელი კორპუსით. მე მაფრთხილებს. აგყრი და წაგიყვან მოუსავლელში. ზარანდია, სადაა ვირის ნაშობი ასლანიძე?! — კარტს ათვალიერებს, კიდევ ხომ არაფერი აწერიაო, აჭრის და აყრის.

წითელ კარტში გადის.

აივანზე მიბრაგუნობს.

— აქ რა ხდება?! — გაფოცხილულვაშიან მორიგეს მისჩერებია.

— სადილი მოიტანეს, ღვინოც, მხოლოდ... — ყოყმანობს, — ღვინოა წითელი.

— სადილად თეთრი ვთქვით, ხომ გადმოგცეს ბრძანება. თვეში ერთხელ გინევთ სარჩოს გაღება ჩვენი სისხლის საფასურად და ამასაც არ აკეთებთ, ბატონი აღარა გყავთ, ბეგარას არ იხდით, სახელმწიფოს არ ემსახურებით, ესეც აღარ გინდათ მოიტანოთ, ჩვენ უნდა დაგიცვათ თქვენ?! ასლანიძე, გაამზადე ასეული ათ წუთში, თვარა შეგაძვრენ ვირის ნაწყლში, გზაზე ეს დაგვაყენებს.

— ეს ბოთეა, ბატონო, მე გაგიძღვებით ერთხანობა! — ჯაჯუ იდებს თავს.

— ეს ბოთეა, ის ნამეტანი ჭკვიანია, რომელია ნორმალური ამ საზოგადოებაში!

— ერთი ცხენიცაა მარქაფში, ანაპოდისტემ დატოვა, რატომ, ვერ გავიგე! — კიბიდან ბრუნდება ზარანდია, სამურველი შერჩენია ხელში.

ჭიხვინი, ყვირილი და გადაძახილია ეზოში. დედას აგინებენ ერთმანეთს, სალაშქროდ ემზადებიან.

— შენ საიდან მოდიხარ? — კოლია გოგნიძეს უყურებს, იარაღს ისხამს, სამხრეს აიღლივე ღვედებს იკრავს.

— შუყერიდან. — ენა ებმის კოლიას.

— გადავწვავ შუყერს, შუა სოფელში გუთანს გავატარებ, ეკალსა და ღიჭში ამოგხუთავთ, ჭყიმს და ყინტორს მოგანატრებთ საჭმელად!.. სადილზე თეთრი უნდა მოგეტანათ, ვახშამზე წითელი, არ იცოდით? იცოდით, მარა თქვენი გინდა გაიტანოთ, თავზე უნდა დაგასხათ წესით!

— რატომ კადრულობთ, ბატონო! — გაშტერებულია ბერიკაცი.

— იმიტომ, რომ, — უკან ბრუნდება. — წესრიგი არ იცით, მარტო თქვენზე არაა ლაპარაკი, მთელმა საქართველომ აიშვა, მონის ფსიქოლოგია აღმოაჩნდა ხალხს. რუსის ჩექმის გარეშე არ შეგიძლიათ ცხოვრება!

— გადაირია ჩემი მტერი! რუსი რა სანატრელია!

— ისე, ერთი თხისკენაც უნდა ითქვას, ბატონო, ნამეტანი შეგვანუხეს ყაჩაღებმა, ვიყავით ჩვენთვის, არც რუსი გვაწუხებდა მაინცადამაინც... ისე, ჩვენ[illegible]ლი არც მაშინ იყო, არც ახლაა...

ბიბლიოთეკა

— მართალი ხარ, ბებერო, ამაზე უარესი დრო არ გინახავს?..

— ყოფილა, მარა მე არ შევსწრებივარ, აწი იქნება უარესიო, ეს რააო, ასე ეთქვათ მონამეთაში! ღმერთო, შენ გვიშველე.

ბრიგინით ჩადის. ცხენების ფთხვინვაზე, ფლოქვების თქარუნზე ცარიელდება ავანსცენა.

— ეს ღვინო დასაქცევია. — ასკვნის მცველი.

— ჭკუაზე აფრაკად ხო არა ხარ შენ! — იღრიჯება კოლია.

— მე დავლევ, ჯობია! — გეგელაა.

— წავიღებ უკან, მამაჩემსა აქვს ცხონება!

— წაიღებ და შენი აჯობებს! — ზალის კარს აღებს თავით. — გამგელებული მობრუნდებიან მაგენი... — ჩაფს მიაჩაქჩაქებს.

ეზო დაცარიელებულია. თივის ბულულებს დააცორიალებს ნიავი. კარის მცველი აბინავებს კალათს და ხურჯინს, ტარის მომლოდინე გლეხებს ელაპარაკება.

სხვადასხვა მხრიდან შემოდიან ყაჩაღები.

კიბეზე ამორბის მიხა. ოთახიდან გამოსული მცველი კედელზე მიყუდებულ თოფს წვდება.

— მიხა ვარ, იაშვილი, თოფს უშვი ხელი!

— ბაგრატიონ-მუხრანსკი იყავი თუ გინდა! — ტყვია ეჭედება ნაბლის ფიცრის კედელში. თოფისაკენ გაწეულ მარჯვენას დაჰყურებს მცველი, ხომ არ მომხვდაო. — სადაა ბანალდამწვარი ზარანდია, ჭიშკარზე ვინ იდგა!

— ხელი არ გაატოკოს არავინ! — მორჩიძის ხმაა. ჰაერში ისვრის მიყოლებით. ნაბდიდან გამოშვერილი მაუზერებით მოდის. ბოჩია ბოსლის ყარაულს ანიარაღებს. მიხა კარის მცველს ხსნის ხმალს, ქამარს, ჯიბეებს და შარვლის უბეს უსინჯავს.

— ავსტრიის ომი მოვიარე და ამნაირი არაფერი დამმართია!

ბოსლის კარს ამტვრევს წიხლით ბოჩია. რიკ-საგდული არ შორდება ცალ ანჯამზე ჩამოკონწიალებულ კარს. საჯდომით ეჯახება და გააქვს ლაწანით ჩარჩოიანბაზოიანად. რამდენიმე გლეხი გამოდის თვალების ჭუტვით.

— თავისუფლები ხართ, თქვენი ბუნდღა არ ვნახო აქ!

არ იძვრიან. მზის სინათლისაგან თვალნატკენნი იფარებენ თვალებზე ხელებს.

— რაზე ითრევენ ფეხებს? — უკვირს ფარნაოზს.

— რას ელოდები, კაცო, შენ, გამოდი აქეთ!

— წავალ, ისევ დამიჭერენ, სიკვდილს არ დავეძებ, ოჯახს დამიქცევენ... თქვენ დღესა ხართ აქ, ხვალ ქარი ვერ მოგძებნით!

— მაინც წადით... — ფიქრობს ფარნაოზი. — წავალთ და ჩაჯექით ვირის აბანოში, თქვენის ნებით, შენ ვინ გცემა?

— რას გაიგებ, ყველა გირტყამს, ვისაც არ ეზარება! — ყვრიმალებს და ქუთუთ-უპეებს ისინჯავს.

— ხართ თავშეშვერილი, ზურგწაკუზული, მეტი გეკუთვნით...

— იარაღი არა გვაქვს... — უგულოდ ამბობს შედარებით ახალგაზრდა.

— იარაღის დამჭერს არ გავხარ შენ, იარაღს მოგცემ, მარა გაყიდი... თქვენ, ბატონო? — კოლიას არაფერს ეკითხება.

— ჩვენ მესადილეები ვართ... — ფაფანაკს იხდის მორჩილად.

— ამ ხნის კაცს არ გყავს არავინ? ვის უზიდავ, რატომ უზიდავ... მორჩილებაში გალიე ალბათ ცხოვრება და შენი მესმის, წაიღეთ მაინც, რაც მოგიტანიათ.

— მაგის წამღები მე აღარა ვარ, შვილო. რავარც მიცხოვრია, ისე ვიცხოვრებ. თუ მაცოცხლეს ერთი ხანობა. ნამგზავრი ხართ, გეშიებათ, შეირგეთ, მე ერთი ქილით დაგლოცავთ, თუ კადნიერებაში არ ჩამომერთმევა.

— ნება შენია, ბაბუა!

— გამოვიტანო? — მზადაა გეგელა.

— რა უნდა გამოიტანო, გეგელა ღორის გაკეთებულო, რას მიცინი ყველის ვაჭარივით, ამოვალ მოგივლი!

— აქანე გამჩერებელი აღარა ვარ! — წასვლას აპირებს. მიხა იჭერს ჩოხის საყელოთი.

— ამისთვის ვიბრძვით ჩვენ!

— ჩემთვის? — ნამეტანი გაოცებულია.

— გეგელა, რა დამიშავებია? — კითხულობს ფარნაოზი.

— ხო მაჭამე წუხელი ტაროი...

— გაჭამე, გასვი, გაგათბე, დაგაძინე და დამასმინე?!

— ჯაჯუმ შემაცდინა, ბატონმა.

— რომელმა ბატონმა, ქართაში რომ გამწყვდევდა თხებთან?!

— მირტყამდა, როცა მოუარდა.

— მერე?

— მერე ამის ქალიშვილი ხო მოგწონს შენ, კოლიასი?

— ელაპარაკე ახლა ამას! — უკან იხედება ფარნაოზი.

— რატომ არ უნდა მელაპარაკო, რევოლუცია ჩემთვისაც ქე მოხდა...

— რა გიშველა მერე, რომ მოხდა, მაინც ჩვენი კანონებით უნდა გაგასამართლოთ.

— სად გაქვთ თქვენ კანონები, ხალხს ხოცავთ!

— ნუ ფსლუკუნებ, არც ისეთი სულელი ხარ, როგორც გონიათ!

— მნახა მე ექიმმა და მოთავებულიაო, ასე თქვა ჩემზე.

— ბეითალს გაასინჯეს, მართალია... — ეხმარება კოლია გოგნიძე.

— მერე, საქონლის ექიმმა, შენ გგონია, არაფერი არ იცის! — თვალებს უბრიალებს კოლიას.

— შენი სიბოთავე დადასტურებულია, მაგაზე ნულა ინერვიულებ, ეს ერთი, მეორე: — განაგრძობს ფარნაოზი: — სარბიელის გორაზე გვნახე შენ თუ წიფლიგვერდას სერზე?

ფიქრობს. ცხვირს იმშრალებს ქსიტინით, ცრემლს სახელოთი იწმენდს, იხსენებს.

— ნახე, როგორ ნაყვარება თავი, სად გვნახე?!

— წიფლიგვერდას სერზე.

— რატომ გააგზავნე მერე ის კაი ხალხი სარბიელზე?

ისევ ფიქრობს, აღარ ქსიტინებს, ნესტოებზე ისობს ჩოხის გადმოხვეულ სახელოს.

— შემეშალა, სარბიელის გორაზე ამბერკია ვირისალაძის ნაბუშარი შემხვდა, ჯარიდან გამოპარულიყო.

— მაგან გადაგარჩინა, შე უბედურო!.. — თავის კანტურით მისჩერებია ცოტა ხანი ფარნაოზი.

— საქონლის ექიმმა არაფერი არ იცისო, ხო თქვა, თავის ქალიშვილს მიხედოს, არ ურჩევნია!

— რა ჭირს, შე მართლა ბოთე, მისახედავი, მე შენკენ, შენ ეშმაკებისაკენ?
— რო დაფშტიალობს აღმა-დაღმა, გაათხოვე!
— არა. მაინც უნდა გავასამართლოთ, ეს არ გავს თლად სულელს!
— მერე რას მომისჯით?
— წინასწარ ვინ გეტყვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრას აწყობენ. ამასობაში აივანზე, მეზობლის ქალებსაც მოაქვთ მოსაკითხი. შეშინებულნი დებენ, მადლობაზე იშმუშნებიან, რავა გეკადრებათო და მალევე ტოვებენ იქაურობას.

— ამოიყვანე, ბოჩია, ვინც დარჩა, გარეულიც და შინაურიც, მშიერი არავინ დარჩეს, მე ამას მოვუვლი! — იბარებს ფარნაოზი და ოთახში შედის.

— ღვინოს ჩამოვასხამ მაშინ მე! — ითხოვს გეგელა.

— გადმოაბრუნე ხელები, რა გაქვს ქაჩაჩში, აუ, ქინძი დაეთესება თავისუფლად! — შეიცხადებს ბოჩია.

— ღვინის ჩამოსხმის თავი გაქვს შენ?! — ეკითხება მიხა, შაშხანა ამოიღლიავებული ახვევს თუთუნს, მხიარულებაში არ იღებს მონაწილეობას.

გენერლის მაზარით გამოდის ზალიდან ფარნაოზი.

— ე! — გეგელას ანიშნებს მიხა.

მითაიშვილის მაზარა წამოუსხამს, მითაიშვილის სათადარიგო ქუდი ახურავს უკულმა.

კითხულობს:

— საქმე ეხება თავად ჯაჯუ კისორელის ყოფილი მოჯამაგირის გეგელა თავშავიანიძის დანაშაულს. გასულ ღამეს, ამა წლის წიფობი-თვეს ბრალდებულმა გეგელა თავშავიანიძემ წიფლიგვერდას სერზე, მაკე თხის ძებნაში შეამჩნია ცეცხლს შეფიცხებული ოთხი პირი, მიიღო რა მათგან სითბო, საკვები — ჭყინტი ტარო, შემწვარი კვახი, ნაბლი, მეორე დღესვე, ესე იგი, იმავე წლის წიფობისთვეში კარგად გამოძინებულმა დაასმინა მასპინძლები, ჩამოუტანა არასწორი ცნობა მთავრობას, წიფლიგვერდა აურია სარბიელში და ასე და ამრიგად, ყველაფერთან ერთად ბრალად ედება მთავრობის ერთგული გვარდიელების, კერძოდ: მითაიშვილის, ხომაშურიძის, ასლანიძის, კორძაიას, ზარანდიას, იგი ამჟამად აქ გახლავთ სამურველით ხელში, და სხვათა და ძმათა მათთა მოტყუება. დეზინფორმაცია, ცუცხვათ-გურნა-მანდიკორის საზოგადოების დიდი ოდის, დამსჯელი ექსპედიციის შტაბ-ბინის დაფიათება, აჯანყების მეთაურების, ბუნტის თავების მხარდაჭერა შეუგნებლად. ცნობთ თუ არა გეგელა სულეიმანიძე თავშავიანიძევ თავს დამნაშავედ?

— ნაწილობრივ! — კარნახობს მიხა.

— ნაწილობრივ. — იმეორებს გეგელა.

— რა ეკუთვნის გამცემს, მოღალატეს, უმადურს, ვირის მადლის მქნელს, შენ თვითონ გვიპასუხე!

— ავადმყოფია, ბატონო, მაგი, მთელი ოკრიბა დაემოწმება, ჩემო ბატონო... — ესარჩლება ბერიკაცი, გვიმრაში შეხვეული შემწვარი გოჭი რომ მოიტანა ცხლად და ამ სასამართლოს არასერიოზულობა ვერ დაიჯერა.

— ცნობა აქვს?

— ცნობა?

— რა ეკუთვნის, ბაბუა, მითხარი, დავიჯერებ!

— რა ეკუთვნის? — კარგად არ ესმის და ხვდება, რას ეკითხებიან.

— მე ვიტყვი, რაც ეკუთვნის... — ბოლო ნაფაზს ურტყამს მიხა, თითებზე მიმწვარ ნამწვს იშორებს. — ჩვენ ვიცით, რაც ეკუთვნის, ჩვენი კანონები ურყევია და სასტიკი... — ფიქრობს. — ამას არ ეხება!

საბოლოოა. განაჩენს დაფიქრება სჭირდება, მაგრამ გადასინჯვას არ ექვემდებარება.

— იცეკვოს მაშინ! — უკან იხევს ფარნაოზი. მითაიშვილის მაზარას აცმევს, მითაიშვილისავე ქუდს ახურავს სწორად.

— რაღაი ამდონი სიკეთე მიყავით, დამალევიეთ და ვიცეკვებ.

— ბებია გიჭყავა, მასე მეც ვიცეკვებ! — გული მოდის ბოჩიას, მითაიშვილის მაზარაზეც წყდება, ეტყობა, გული.

ტაბლას უსხედან: ყაჩაღები, მილიციელები, გლეხები. ფეხზე იღმურძლება გენერლად გამოწყობილი გეგელა, ცალ ხელში ნაგვეხა ჭადი უჭირავს, ცალში ქათმის ბუძენძლო, ქინძავს ბასრი კბილებით.

— ოცდაექვსიანია! — არღანს ეფერება ბოჩია.

— გადაატრიალე, მაგის დედაც ვატირე, დრო გვაქვს კიდევ ცოტა აქ და იქაც! — ზევით, ცისქვეშეთში! — ყვირის მიხა.

საცეკვაოს ახვევს არღანი. გეგელა ცეკვავს, ხტის ბაწრით დაბმული ნადირივით, მოსირმული მაზარის კალთების ფრიალით. აქეზებენ, ტაშს უკრავენ ყიჟინით. გაბმული მრავალჟამიერი ეფინება ოკრიბის შეოქროსფერებულ სერებს, სერებში ჩაყუჟულ სოფლებს. სიმღერას სახალისო სროლა, სროლას სიმღერა, დღეს ღამე ენაცვლება.

ფეხით მიდიან უგზოზე და გზეთზე, ტყეში გამავალ საურმე შარაზე თენდება.

*

მამაჩემო, რად გინდოდა ან ეგ სახლი, ან ეგ ეზო.

— ყველაზე უფრო, იცი, ვინ მენატრება?

— ვინ, ბოჩია?

— ბებიაჩემი.

— თუ ბიცოლა.

იცინიან ჩუმად, მკლავზე ხელს უჭერენ ერთმანეთს ფარნაოზი და მიხა.

— დედა რო მოკვდა, ბებია საფერხეში მიწვენდა, ოთხი კლასის დამთავრებამდე ფეხებში ვეწექი...

აღარ იცინიან.

— ... რო მომკლან, მამაჩემი სახლიდან გამასვენებს?

— ჰაიტ! — დასჭყივლებს მიხა იაშვილი. — რა სალაპარაკოა, ბიჭო, ეს?! — სულ სხვა ხმით: — ისე, აბრაგი ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს, მამაშენს კი თვალები ამოულამდა თურმე შენს ლოდინში, არ თქვა მეორედ მაგნაირი...

— ძმა მოვუკალი და რანაირად შევხედავ...

— ხდება, ყველაფერი ხდება, ძმა ძმას კლავს შემთხვევით... როგორც კი ჩაწყნარდება აქაურობა, ჩემი ხელით ჩაგაბარებ ოჯახს... — ფარნაოზი ამბობს.

— ყველაფერი როა. — განაგრძობს ბოჩია. — ზევით ცაა, ქვევით მიწაა, მეც რო ვარ, ესაა, რომ ველარ შევხედავ ველარაფერს, გული მეწურება წინასწარ... დედაჩემს თუ ვიცნობ, ნეტავი, იქ.. მახსოვს და მგონია, აღარ მახსოვს, რა ვიცი, მაინც... დედაჩემის გვერდით გამიჭერით სამარე... მოგვყვება, ის ოხერი. — ნუგეში არ უნდა და სხვა რამეზე გადააქვს ყურადღება.

— მაინც მოდის ხომ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან იხედებიან სამთავენი:

— რა ვუყოთ?

გეგელა მოსდევთ გენერლის ქუდითა და მაზარით. ხან გამოჩნდება, ხან დაბნელება ბურდებში წითლად.

— რა უნდა, მაგ ჩემი ცოდვით სავსეს? — კითხულობს დაღლილი ფარნაოზი.

— თქვენთან უნდა გადმოვარდე მეცაო, საჭყეპელა მოაქვს... — მიწას დასჩერებია ბოჩია...

— გავბითურდით! — ეცინება მიხას.

— მოვიშოროთ რამენაირად.

— ახლა მაგის ცოდვაც არ დამადებინოთ, სხვისიც მეყოფა! — უკან აღარ იხედება მიხა.

— გეგელა, დაბრუნდი, შორს მივდივართ! — ქვებს ესვრის ბოჩია...

გეგელა ეფარება ხეს. არ იძვრის, არ ფაჩუნობს, წითლად მოსირმული მაზარის კალთა და ცალი სამხრე უჩანს. შორიახლო ვარდება, ყურთან გაუჭუილებს, ერთი ქვა.

მიდიან. ეკარგებათ თვალთაგან. შლიგინი ესმით ბუჩქებიდან ცოტა ხანში. არაა საშველი.

ტყეს ბუჩქნარი ენაცვლება, ბუჩქებიც მეჩხერდება, მოწითალო ფხეკები ჩნდება, ჩოჩიალა ურემია მიტოვებული, მთიბავს ხარები ჰყავს ალბათ გადენილი იალაღზე, უუღლო დაკოჩილი, გოგორათვლებიანი, ფრჩხილებიანი ურემია. შეათვალიერებს მუშტრის თვალით და შემოაბრუნებს ფარნაოზი ჯამბარით.

— დავეშვი ახლა ამით.

— ძლივს ამოვათავეთ ეს აღმართი.

— ქვევიდან გეგელა ამომიყვანს! — ურემს ეზმანება.

— მოგკლავს პატრონი! — აფრთხილებს მიხა.

— ბოჩია, მომაწექი და შემოახტი მერე, თუ გინდა!

— გადაირია ჩემი მტერი! — კბოდეზე ჯდება მიხა, თუთუნის ქისას იღებს, კვესისა და კაჟის ჩხაკუნი ისმის.

ხელნებზე ხელებჩაჭიდებული, ქილიშებზე ფეხებმიმაგრებული ზის ფარნაოზი ნაბდით, იარაღით. ბოჩია ანვება, აგორებს, ყვირის, ახტება, ლაფათინზე ცუცქდება ფარნაოზის ზურგს უკან. ჭრიალ-ფხოკიალით მიგორავს ურემი არა ურმის სიჩქარით, ემატება სიჩქარე და უხვევს სხვა მხარეს, შარას აღარ მიჰყვება, ბრეკზე აგორებული ჩერდება ტყის თავთან. გეგელა ამოიფხრიწება შქერის ბურდიდან, კისრისტეხით გარბის ურმისკენ, ეპორწიალება და აჩერებს.

მიხა ახველებს, ხედავს:

გეგელა მოათრევს ურემს მარტო წელისწყვეტით. ხელიხელგადახვეული ფარნაოზი და ბოჩია მოჰყვებიან ურემს ღიღინით. მიხასთან ითქვამენ სულს.

— ახლა გეგელა მოგვაწვება და უფრო სწრაფად დავეშვებით, მთავარია, იქით არ შევუხვიოთ ისთევლე! — აცხადებს ფარნაოზი.

— მე თუ გაგასწარით, არ გაგიკვირდეთ!

— აღარ გინდათ, რა დალიეთ ამნაირი, გეგელა, გენერალი ხარ თუ მეურმე, გამაგებიე, გაღმა გამოღმა ხრეითი, დელია, ახლა კაია ქეიფი, დელია, ეხ, ჩემო მამულო! — სახეს უშვერს ნიავს ფეხზე წამომდგარი მიხა. — ყვერაა გამოვარდნილი, ცალი გოგორა მორყეული, მოძვრება, გადაირევა პატრონი, დაანებეთ თავი! — უშლის, არ იშლიან.

— განვებით! — ყვირის გეგელა.

— მიაწექი შენ ყველს!

— უშვი ხელი, ყენთე!

— რუჭუ-რუჭუ, ჩხრანჭი!

ფხოკიალით, ყვირილით ეშვებიან. გეგელა მისდევს ურემს გენერლის მაზარით. მიხა აფრიალებს ყაბალახს ბრეკზე. რაღაცას ანიშნებს მრბოლელებს, მაგრამ მის კენ არ იხედებიან. ბორცვთან წვება და ისვრის. ისვრიან, წუილ-წუილით მოდიან ტყვიები აყირავებულ ურემთან, კოხის მტვერი ადის წითელ მიწას ახლომახლო. მიხა ისვრის. ფარნაოზიც ისვრის. გადაბრუნებულ ურემთან წევს ბოჩია ცისკენ გახელილი თვალებით. აღარ ისვრიან. მდევარი თავს შველის. სიჩუმე ისადგურებს.

— მე მაინც მოვეკალი! — გეგელას ხმაა. გასისხლიანებულ სახეზე უსობს ხელს ბოჩიას.

ფარნაოზი ურემთან არ მიდის. რა მოხდაო, მიხა ყვირის ზემოდან.

— დავილუპეთ, გონია.! — ფარნაოზის ხმაა.

— ნიკანდროს ბიჭი მოკლეს, ბოჩიაი!

მიხა მორბის, ბუჩქებს ახტება.

— დაჭრილია? — გულამოვარდნილი კითხულობს.

— თვალები აქვს გაღებული და ვერ მიყურებს, ამას აწი რაღა გააცოცხლებს!

ყაბალახგადაძრობილი უახლოვდება მიხა. თვალებს უხუჭავს, შუბლიდან მკერდამდე ჩააყოლებს ხელისგულს.

— ჩემი სიკვდილი ჯობდა ბევრად. — ასკვნის გეგელა. — აქედან დევეფარე, იქიდან მოხვდა!

*

მტრედისფერი საყდარია გორაზე, ცაცხვებში. მზე ჩადის. ყვითლდება არე. სოფელია მიხატული მოლისფრად გარჩეულ კრეტსაბმელზე. ხმაური ამოდის. ძაღლის ყეფა, მამლის ყივილი, ბავშვის ტირილი, დების სიმღერაა გადაწნული შრიალად.

სამარის ძველ, ხვიფლიან ქვაზე მწუხარე ქალია ამოკვეთილი. გვერდით ახალი გაჭრილი სამარე და ამოხორავებული ნედლი, წითელი მიწაა.

— ნათელში ამყოფე, უფალო, — პირჯვარს იწერს მიხა. — ჩემი მოსახვედრი ტყვია შენ მოგხვდა, ბიძია, და მაინც ნუ დაგვენდურები, ყველაფერი ღვთის განგებითაა. ჩვენი ბოლოც ეგაა, იქ გნახავთ! — ცაში ისვრის და გადის.

— არ გამთენებოდეს, ბოჩია, თუ შენ მკვლელებს მზე დავანახო, გტოვებთ დედაშენთან, კარგა იყავი! — ძირს იხედება, ზევით ისვრის.

მიღნობილი ნეშოს შარიშურით ცარიელდება იქაურობა. სანთელივით ხე გამოჩნდება. ხეზე ბოჩიაა გაკრული. თავჩამოგდებული დაჰყურებს ღია სამარეს. ნადირი ვერ შეწვდება, ჭირისუფალი იოლად მოიძევს.

ნეშოს შრიალი მატულობს, ლანდი ლანდს ეწევა. საყდრის ეზო ცუდად და უსისტემოდ შეიარაღებული მილიციელებით ივსება. ხმაურითა და ლაპარაკით დადიან.

ბინდდება. მთვარე ამოდის.

— აქ არავინაა! — ისმის ხმა სასაფლაოს ბოლოდან.

— კარგად მიიარ-მოიარეთ!

— საიდან იყო ის სროლა აბა, ორჯერ ისროლეს!

— აქედან მოგვესმა აშკარად! — ჭამს ერთი.

უკეთესად შეიარაღებული ათმეთაური გამოჩნდება.

— ჩიხაბერიძე მოდის, ეს გაარკვევს ყველაფერს!

— რას ბურტყუნობ, ბიჭო, შენ?!

— ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკეთ, ასლანიჩ, საყდარი დაკეტილია, წყლიანი ვაშლი ვნახე ქვევით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ზეით იყავი?

— იქით არ ავსულვართ, შემოვუარე...

— სად მიაგენი მაგ ვაშლს ამ სიბნელეში?

— გალავანთანაა ბოლოში, ასლანიჩ!.. — ნაღინჯარს აგდებს, ხელისგულით ამ შრალებს ტუჩებს.

— დაზაულია, ასლანიჩ, ხე, ტოტებს ძლივს იმაგრებს! — უცნაურად მოსიარულე მილიციელი გამოდის ასპარეზზე, მაღალყელიანი წაღიდან ლანჩა აქვს ძაღლის ენასავით გადმოგდებული, ჯერ ლანჩას დებს მიწაზე, შემდეგ ტერფს ასწორებს გადაბიჯებამდე.

— ვაშლს მოეშვით, ვაშლი ვაშლია, საყდარში შედით! — ბრძანებს ათისთავი ჩიხაბერიძე.

საყდრის კარი შიგნიდან იღება ჭრიალით. მღვდელი და დიაკვანი გამოდიან. მილიციელებისაკენ მოაბიჯებენ პირდაპირ.

— ამათ დანახვაზე ყველები უნდა მოიფხანო! — ნათქვამის დემონსტრირებას ახდენს ერთი მილიციელი.

— სალამი, მამაო! — თავაზიანია ჩიხაბერიძე.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, შვილო, რაზე შეწუხებულხართ?

— სროლა იყო აქ!

— ნუ ლაპარაკობ, შენ გაიგონე, ძმაო?

არაო, თავს აყანყალებს უარის ნიშნად ანაფორის ჩაბალახში სახედაკარგული დიაკვანი.

— ყაჩაღები მომრავლებულან, მამაო, თქვენკენ, მორჩილაძეაო...

— მორჩიძე.

— მორჩიძე. შეწუხდა ისედაც შეწუხებული ქვეყანა, ვინ ოხერია ეს მორჩიძე?

— არის ერთი, დაწყევლის გამჩენელი, რა გასაჩენი ის იყო!

— საყდარს ნუ დაკეტავ, მამაო, ჩვენ ჩვენი მოვალეობა უნდა აღვასრულოთ... სწორს არ ვამბობ?.. ტყვიას მივაჭედებ შუბლში თუ ვინმე გყავს დამალული, გინდა გეწყინოს, გინდა არა!

— დასწრებაზეა, ჩემო შვილო, ყველაფერი; ყველამ თავისი უნდა ეცადოს, შედით, ნახეთ, ეშმაკს არ ძინავს, იგი სულ ფხიზლობს!

შედით, შედითო, ლაპარაკის დამთავრებამდე ანიშნებს ხელქვეითებს ჩიხაბერიძე, ერთმანეთის მიყოლებით შედიან. ბოლო შეყოვნდება მხოლოდ. რამდენჯერმე გადაიწერს პირჯვარს და ლოცვასაც წამოიწყებს უხმოდ, ეტყობა. ხელისკვრით შეაგდებს საყდარში და დიდი ურდულით გადაკეტავს მძიმე კარს მოთმინებადაკარგული დიაკვანი.

— დააგდე იარაღი! — მაუზერს უმიზნებს ანაფორიდან მღვდელი ჩიხაბერიძეს.

— რა გინდა, კაცო, ვინა ხარ?! — თოფი უვარდება, უკან-უკან იხევს ბარბაცით.

— დაყარე ყველაფერი, თვარა გესვრი, ფარნაოზი ვარ, მორჩიძე.

— რა გინდა ვილაცა ხარ, არ გედეირიო, ვყრი, რა გინდა?

— აწიე ხელები, თავზე დაილაგე, შებრუნდი!

საყდრის კარს ეჯაჯგურებიან შიგნიდან.

ყვირიან.

ამტვრევენ კონდახის პირით.

— იარაღი გადმოყარეთ! — სარკმლის ქვეშ დგას მიხა, ხმელი, წელში გამართული, თავგადაპარსული, ანაფორის ჩაბალახგადაგდებული. — მიხა იაშვილი ვარ, გადმოყარეთ და წადით, თქვენთან ხელი არა გვაქვს... ცოტა ხანი გიცდით, ბომბს შემოგიგდებთ მერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი პირობაა.

ჩოჩქოლია. ბჭობენ კიდეც. ერთი იგინება მუქარით მაინც.

— ერთ ბომბს დავწვავ, თქვენი ხათრით! — ჰპირდებათ მიხა. საკეტს ხსნის ბელყუმბარას და ისვრის შორს ბარდებში. საშინელი გრიალი აყრუებს იქაურობას. წითელი ვაშლები მოხრიალებენ ხიდან. წითლად იფარება ხავსიანი ხის ძირები, მინდორი გალავანგადაღმა.

იარაღი ცვივა საყდრის სარკმლიდან. განიარაღებული მილიციელებიც გამოდიან.

— ქვევით და უკანმოუხედავად სირბილით, შენ არ გაინძრე! — ბრძანებას იძლევა და ჩიხაბერიძეს არ უშვებს ფარნაოზი.

დაწინწილაკებულნი გარბიან თავქვე მილიციელები. რამდენიმეს თავი აქვს დაღუნული, ტყვიას ემალება თითქოს.

მიხა იარაღს ახარისხებს უკმაყოფილოდ.

— თფუი, მოგიკვდა გამომცემელი, ხელში არ აიღება არც ერთი, შიგ შევიტანმაინც, საკურთხეველზე დავალაგებ.

— მე რაღას დამიტოვეთ, ხომ ჩაგაბარეთ იარაღი?! — თვალები აქვს გამდოცვენაზე ჩიხაბერიძეს.

— შენ ვერ წახვალ, იმიტომ, რომ ძმა მომიკალი, მარჯვენა ბეჭი მომატეხე, ამისი ლულა ცხელია კიდევ! — ხელით სინჯავს ფარნაოზი ჩიხაბერიძის შაშხანას. მიხას რაღაცას ანიშნებს და მიდის.

ხელს დაჰკრავს გალავანს და მსუბუქად გადაევლება ანაფორის ფრიალით.

— ღმერთი გწამს? — ეკითხება მიხა ჩიხაბერიძეს.

— ღმერთი? რაზე მეკითხები, შე კაი კაცო, რას მიპირებ, პირდაპირ მითხარი, ღმერთი მწამს, თუ არი, ქე მწამს!

— ილოცე, თუ გინდა!

— მერე?.. ვილოცებ და მომკლავ, ტყვიას მესვრი ანაფორაჩაცმული, სულს ნეიწყმიდავ, ჩემი წვრილშვილის ცოდვას ეიკიდებ?

— ღმერთი გაგვსჯის ბოლოს. იქ მივალთ ყველა მტყუანი და მართალი. მკვლელი ხარ შენც და მოკვდები, არც მე დამტოვებენ ხეზე! — ლულით აუწევს ნიკაპს. მთვარის ბლონდში გახვეულ ხეზე მიბმულ მიცვალებულს აჩვენებს.

— არა, არა... ნამდვილია?.. მე არა, მე არაფერ შუაში არა ვარ!..

— აწიე თავი!

არ წევს. ხე ჩანს. თეთრად, მკვდარი ხისფრად. ნამდვილს და არანამდვილს ეფინება სათამაშო მთვარის სიყვითლე.

— მე ჯერ არავინ არ მომიკლავს... — ხეზე აკრულ მკვდარს გრძნობს. — არა, მე არა... მოხალისედ წამოვედი, ჯერ არ მისვრია, ადრე კი. ახლა არა. ოთხი შვილი გავაჩინე ავადმყოფმა. ღამე არ მძინავს, ექვსი წელია არ დამიძინია, რაც ჯარიდან გამომიშვეს, ღამით თვალი არ დამიხუჭია, ყარაულობაც მომწყინდა... მე არა ვარ მაგის მქნელი. მამაჩემის ხარებია ნიშა და წიქარა, ოთხი შვილი მყავს... ვილამ მოხნას და მობაროს ჩემს მაგივრად, რატომ გამაჩინე მამაჩემო! — თვალს ხუჭავს, აღებს, მკვდარს ხედავს.

— წადი, მომშორდი!

— წავიდე? — არ ჯერა. — თუ მატყუილებ, პირდაპირ მესროლე, მირჩევნია...

— წადი, სანამდე არ გადამიფიქრებია!

გარბის. კისერმოღრეცილი იხედება უკან. ეცემა. დგება, ისევ გარბის. თეთრი ხე და მკვდარი მიჰყვება.

ჰაერში ისვრის მიხა.

ამის შემდეგ დუმდება იქაურობა. კიდევ უფრო ყვითლდება სასაფლაო. თავდაღმართში მიდიან. მთვარიან შარაში მიაბიჯებენ.

— რა ქენი? — ეკითხება ფარნაოზი.

— მოვკალი. — ყრუდ პასუხობს მიხა.

აღარაფერს ამბობენ. უფრო და უფრო უჩქარებენ ფეხს, ხიმე-ხიმედ გადადიან ლანდებად.

*

ნავთის ლამპებითაა განათებული დიდი აივანი, მეპურმარილეების ჟღრიალია. ჩოხის ქილებიანი, წვერულვაშიანი თავებია ბირკვილზე გადმოწყობილი. ლანდები დაბორიალებენ ხის კედელზე, ირმის შუბლზე და ბორჯღალზე იმტვრევიან. ლანდების პატრონები ტრიალებენ სველი დოქებითა და ხელადებით, გადი-გამოდიან სავსე და ცარიელი ხონჩებით.

ზალაში დიდ სარკესთან ბატის ფრთით იკრავს ჯაჯუ კისორელი ახალუხის ღილკილოებს.

ღმერთო, შეიწყალე თავადი ამირინდო ჩ. ყ. წარვლენილი ვიქენ ორგულთა ზედა და თოფითა მიერ მოვიკალ ორ-მეოც და ათისა წლისა განმლეველ-მან დავუტოვე საწუთრო ესე და საყვარელი მეულლე თვისი სევდია. და დავეფალ ვიწროსა სამარესა ჩ. ღ... (აღარ იკითხება).

— ვარდენიასთან ვარ ალავერდი! — ყვირის თამადა და უზარმაზარი ყანწი რკალავს სუფრას სიგრძეში.

— იახშიოლ! — ოსტატურად იჭერს ვარდენი და ღვინის შხეფს იშორებს ხელსახოცით.

— რა დროს ყანწია ჯერ, ბატონო!

— არ ვავსებთ ბოლომდე, ჩემსავით შესვით!

— მე ვერ გეახლებით, ბატონო, კოსტა, სტუმრებია ჯერ კიდევ მოსასვლელი!

— დამკარგავ, ვარდენ ბატონო, იცოდე!

— მერე მე სად შემიძლია, ბატონო კოსტა, თქვენოდენი! — ყანწს ავსებინებს უკვე მერიქიფეს. — გამიჭირდება დალევა!

— ჩაიდგამს მუცელში ღვინიან-ყანწიანად, ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ საცოდავებმა!.. — წუხს სუფრის ერთი რიგითი წევრი: — ჩვენ რა გვეშველება, ივანე, ჩვენ?

— გვეშველება-არ გვეშველება არ ვიცი, მარა რავარც პატარძალს არ აცდება ქორწილის ღამეს, შენ რო იცი ის, ისე ამ ყანწს ვერ ავიცილებთ ჩვენ!

— გთხოვთ!

— გადღეგრძელებთ, საყვარელო რაინდებო, რესპუბლიკის უშიშარო გუშაგებო! — ხმას უმაღლებს თანდათან მუცელამოტრიალებული ვარდენი. — ჩვენო ბარძიმ, ჩვენო მიტო!

მღვდელი და დიაკვანი შემოჩინდრიკდებიან ეზოში ცხენით და ჯორით (როგორცაა წესი).

— აქეთ მამაო, აქეთ მობრძანდით! — ეპატიჟებიან ეზოდანვე. გზას უთმობენ ორთავეს, ცხენს და ჯორს უბამენ მარგილზე.

— მობრძანდით, მობრძანდით... — აივანზეც წუხდებიან. — მიიწ-მოიწიეთ პატარაზე, ორი ადგილი გაათავისუფლეთ!

— ბატონ ჯაჯუს თხოვეთ, თუ შეიძლება!

— მოითმინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ დაბრძანდით.

— საიდანღაც მეცნობით?! — მღვდელს მისჩერებია მითაიშვილი.

— ყველა მიცნობს ამ მხარეში...

— გასაგებია... — მაგიდაზე ათამაშებს თითებს შეფიქრიანებულ-

— ვინ არიან?

— რა ვიცი, კაცო, ხო ხედავ შენ თვითონ.

— აქაურებია?

— აპა არა! — შორიდან პასუხობენ.

— დაწყნარდით თქვენ თუ შეიძლება, თქვენ განაგრძეთ, შესვით თქვენ შემოსასწრები!

— არ დამიმთავრებია სადღეგრძელო, რა ხდება, გამაგებინეთ?!

— აცალეთ, ბატონ ვარდენს დააცალეთ!

— მამა, გამოხედე სტუმრებს!

— მოვდივარ. — ქამარ-ხანჯალი უჭირავს ხელში.

სარკესთან შავ ჩოხაში და წითელ ახალუხში გამოწყობილი, ვერცხლით მოსევადებული ქამრით წელში გაწყვეტილი უნახავი მამის ამირინდოს პირქუშ პორტრეტს უყურებს...

— მეწყალვი, ბედუბედოო დედაო სევდიავ, ეს ჩემი უკანასკნელი ქეიფია, ღმერთი განგვსჯის, როცა ყველა იქ დავიყრით თავს!

აპარპალებული ლამპების შუქზე ზრიალებს აივანი.

— მიხედე სასულიერო იერარქიას!

— მიხედული ვართ, ბატონო, — მორიდებული ჩანს დიაკვანი, — ნუ მოგვაქცევთ ყურადღებას, ყრია ყველაფერი ღვთის მადლით.

— კი ყრია, ივან, მარა არ ჭამენ, მარტო სვამენ...

— ამოუვათ ყელში ეს შვლაპი და ამ ჩემ იმასაც ჩააყოლებენ მერე.

— კოსტა ბატონო, გადაჯექი თუ არა, გადამცდება ღვინო სასუნთქავში, ეს სიცილიც მაწყინარია, შენ ნუ მომიკვდები!

— ხომ არ აკურთხებდით სუფრას...

— ცოტა გვიანია...

— კაი დროს გაგახსენდათ!

— ერთი წუთით! ბატონი ჯაჯუ ლაპარაკობს!

— თქვენ რომ არ შემოსულიყავით ჩვენს მხარეში ბატონო მიტო, ბატონო ბარძიმ, რავა წევიდოდა ჩვენი საქმე, კაცმა არ იცის... ოკრიბის საშველი რო არ იქნებოდა, ამას არ უნდა ბევრი ჭიჭინი... გვადროვეთ თუ შეიძლება, სიჩუმეს გთხოვთ... თქვენი შიშით, პირი ქვისკენ მიქნია, ცაში ფრინველს ვერ გადაუფრენია, მიწაში ბოხმეჭია ვერ გამძვრალა, უნებართვოდ, რასაკვირველია, სასახელო რაინდებო...

— არ ვლირსვართ, ბატონო ჯაჯუ, არ ვლირსვართ!

— არია სუფრა დასაწყისშივე ამ ყანწმა.

— არ უნდა გამოეტანათ.

— შეცდომა იყო, ბატონო, უდავოდ.

— გვადროვეთ, თუ შეიძლებოდეს.

— დაბრძანდით, ბატონო მიტო, ბატონო ბარძიმ.

— როგორ გეკადრებათ.

— ერთი ხომ ჩააძაღლეთ დღეს...

გააჟრიალებს სუფრას, ერთმანეთს უყურებენ.

— დანარჩენებსაც ეს დღე ელით! — არც თუ დიდი რიხით და თავის გამოჩენის სურვილით ამბობს მითაიშვილი.

— დანარჩენებსაცო, სწორი ბრძანეთ, მაგის იმედი გვაქვს სწორეთ... რატომ ალუქით თქვენ, რატომ არაფერს არ მიირთმევთ... — მღვდელზე და დიაკვანზე უჩერდება ყურადღება. — ვინ ამბობს მიდიანო, თუ მიდიოდით, უკაცრავი პასუხია, რაღას მოდიოდით.

— ეგენი რომ მოდიოდნენ, იგინი მიდიოდნენ! — ხასიათზეა მოსული სუფრა.

ანაფორის სახელოებიდან ისვრიან. მითაიშვილი და ხომაშურიძე იკეცებიან სუფრასთან. სუფრის თეთრ საფარს ბლუჯავს სისხლიანი ხელით ჯაჯუ კისორელი. ტყვიით იმსხვრევა ლამპის შუშები. წივილ-კივილში ბნელდება. შავად მიფრიალებენ ძირს მღვდლები. გაკრეფილ ვენახში გარბიან ჩრდილებად, ხმელი ხარდნების ლაწა-ლუწით. ეზოდანაც ესვრიან ნაგვიანებად. ანთებული სანთლები გამოაქვს ქალს ზალიდან.

— მოუკლავთ მამაჩემი, ესენიც მოუკლავთ, დაგაკლეს თავზე მთავრობის კაცებს, მამაჩემო! — ყვირის შეშლილი ვარდენია. — დასაწვავია ეს სახლიც, რამ ჩამომიყვანა აქანე, სისხლში ცურავს სუყველა, სისხლი გვარწყევინეს, მამაია! რამ ჩამომაყვანია ბაღანა, დაწყევლილი ყოფილა ჩვენი გვარი და ჯილაგი! დაიქცეს ეს სახლი, რათა არ ეცხოვროს ავ სულს, ეს სოფელიც დაიქცეს, ეს ქვეყანაცა! — ლამპებს ამტვრევს, ნავთს აქცევს.

— რას შობი ვარდენია, შე წაწყმედილო!

ცეცხლის ალი ედება სუფრას, ზალის ფარდებს ლოკავს.

ცხენები ფრთხვინავენ და ჭიხვინებენ თავზარდამცემად.

— შეკარით აქაურობა, კაცი არ შევიდეს და არ გამოვიდეს! — ასლანიძის ბრძანებაა.

— რა შეკარიო, რას ამბობს, იწვება ყველაფერი!

ჭერში ასულა ალი. ფანჯრები სკდება ბათქაბუთქით. გაჩირაღდნებულია სოფელი.

*

დიდი სახლი და დიდი ეზო ჰქონდა ოკრიბაში აზნაურ ესები მესხს. მამის დატოვებული ქონება და მეფის პენსია ყოფნიდა მეფის გადაყუდებამდე მუხაესტატისა და ოლთისის გმირს. დაქვრივდა. მოერია ავი ზნე, მოეწია რევოლუცია და უგემურად გაგრძელდა მისი ყოფა. დრო და ხასიათი უკეთესი ცხოვრების საშუალებას არ ანიჭებდა. ჰყავდა ერთი ვაჟი, წამალი რომ წაიღო შუშანასაგან და ოთხი გაუთხოვარი ქალიშვილი. უმრწემესს თუ გასათხოვარი ერქვა, უფროსს გაუთხოვარი შეეფერებოდა უეჭველად. ყველაფრით უკმაყოფილო აგინებდა სოციალდემოკრატებს, მათ ლიდერს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, საიდან მოვიდნენ ყაჩაღები ხელისუფლებაშიო, ცოფს ყრიდა. არავითარ ლოგიკას მისი გულისწყრომა არ ემორჩილებოდა, მაგრამ ხანდახან არ ტყუოდა. ნიკოლოზ მეორის სურათი არ ჩამოუხსნია. იგი ეკიდა ზალაში ოვალურ, ვარაყიანი ფოტოსურათებით მოგირგლულ სარკესთან. აფურთხებდა დილა-საღამოს, რატომ ჩამოგაგდესო.

ნოე, შენი დედა!.. არც ნოე აკლებდა ხელს.

ასე თენდებოდა და იწყებოდა ახალი დღე ესებისათვის: რა დროს შევესწარო, ოხრავდა ბუხართან ნავახშმევს, იმისი არ იყოს (გრიგოლ ორბელიანს გულისხმობდა), იგი და ცალქალამანიძე ერთი გახადეს, გაათანაბრეს (ზოგიერთს პირიქით

ეგონა) ყოველი კაცი, ერთ თარგზე გადაჭრეს ადამიანებიო... არ იცოდა, გასაგებია, მაგრამ ვერ გრძნობდა, ის მთავრობა რომ სანატრელი გაუხდებოდა მის ნაშიერს. ბოლშევიკები დაუთავებდნენ ხელს დაქცეულ ოჯახს. შეშლილ სახლიდან წაიღებდა ნარშავა, შვია, ბალბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის სითბოა ჩაბუდებული იმ მხარისათვის უჩვეულო, ნახევრად სუბტროპიკული მცენარეებით დაფარულ, ხიმე-ტრიფოლიატით შემორაგვულ ეზოში. ჭუკების ხმაა. კინაღამ სააღლუმედ გამონყობილ ესების სძინავს აივანზე, სკამზე, ხვრინვაჩაგდებით.

ხიბლიხვანჯარას თამაშობენ სანთიობო ოთახში სალომე და ბარჩხალია. მარგალიტების აცმა გადადის ნაირფიგურებად ხელიდან ხელებზე. ჩამოქნილი თითები აქვს ვაჟს. ქალისას და ვაჟისას ვერ გაარჩევ უხელოდ.

— დედის მარგალიტებია, ან ყელზე უნდა გეკიდოს, ან უნდა ითამაშო, თვარა მოკვდება მარგალიტი, მოიწყინეს ისედაც, ატყობ, სალომე?

— ქალივით ყოფილა... უკულმა უყრი არათითს, ბარჩხალია!..

— ასე?

— მაგრე!

— ასე?

— არა, ბიჭო, ისე!

— მოფოუფურხეფებეფელიფი ხაფარ, ბაფარჩხაფალიფიაფა!

— აფადრეფე კაფარგაფად ვთაფამაფაშოფობდიფით.

— აფადრეფე კიფი!

კაცის ლანდი წვება ეზოდან კარში შემოჭრილ ოთხკუთხედ მზეში. ნატიფ თითებზე უშეშდება დედის ყელსაბამი ბარჩხალიას. ნაბდიანი ფარნაოზი დგას შუა კარში, გაოცებული სალომეს გაფართოებულ თვალებში ჩანს.

— მოფოვიფიდაფა მხეფეციფი! ჩეფემიფი მახანტალია...

— რაფა უნფუდაფა?

— შეფენ ნუფუ გეფეშიფინიფიაფა!

— გადი, ჩემ ენაზე მინდა ველაპარაკო ამ ქალს! — ბარჩხალიას ეუბნებიან გასაგებ დიალექტზე.

— გაფადიფი, გაფადიფი!

— ეფეს ხოფომ ჩეფემიფი საფახლიფიაფა!

— გაფადიფი! — ფარნაოზია. უშვებს და შუა კარში მდგარი გზას არ ათავისფლებს, — გაფადიფი!

— ვერ გადის, ეშინია შენი!

გვერდზე დგება, ნაბადსაც იშორებს. ბევრი იარაღისა და ცარიელი კარის შემხედვარე გარბის, გაკრეფილ ვენახში ცვითავს თავს, სანთიობო ოთახში სალომესთან ტოვებს დაუპატიჟებელ სტუმარს.

— რა გინდა!.. ერთი ძუძუ გვაქვს ჩვენ ნაწოვი... ბარჩხალია ჩემი ძმობილია. შენ ყველას კლავ!

ხმას არ იღებს ფარნაოზი. ისევ იქ დგას, სადაც დადგა.

— შენ გგონია, არ ვიცი, რატომ მოკალი დიტიკო ძახველაშვილი?!. შენ ყველას დახოცავ, ბარჩხალიასაც მოკლავ და მისი ცოდვა არ მოგასვენებს!

სილას გაულაწუნებს მოწყვეტით და მოულოდნელად.

ლოყაზე ხელის ტკაცანი დააფრთხობს აივანზე ესების.

— ო, ო, ო, ო! — თვალებს ახელს დაფეთებული, ეზოში გაჩერებულ, თავგადაპარსულ ყაჩაღს ხედავს.

— ჰაატ! — ჭყივის. ხმალს აძრობს ქარქაშიდან, კიბეზე ეშვება და დაუპატიჟებელი სტუმრისკენ მიიწევს.

— გადი, კაცო, ვინა ხარ!.. — უკან-უკან იხევს მიხა იაშვილი, — განიე, კაცო, ხმალი, გიჟია ეს ოხერი!

— ჰაა! — ყვირის ესები და ხმალდახმალ მიყვება. შაშხანაჩაბღუჯული მიხა ტრიფოლიატის ბურდებში ტოვებს ნაბადს. გამეტებით უქნევს ხმალს ესები და მარგილში ჩაჭედავს.

— ვინაა, კაცო, ეს! — გონზე ვერ მოსულა მიხა, ნაბადს გამოძენძავს ბურდოდან და უკმაყოფილოდ მიდის.

ხმალს ეჯაჯგურება, ხმლის ამოძრობა უნდა მარგილიდან ესების.

— კლავენ მამაიას! — კრჩხიალებენ დები უკვე აივანზე, კიბეზე ჩამოდიან კაბების ფიფიალით და ჩხავილით:

— კლავენ მამაიას!

— რატომ გამლახე? — ეკითხება სალომე ფარნაოზს. ვარდისფრად უელავს ცალი ლოყა, ტკივილი არ აწუხებს, ესების ომიც არ შეუფასებია. ეზოში დგას, სახემოღრეცილ ფარნაოზს არ აშორებს თვალს.

— უი, უი, უი! — თმას იშლის უფროსი და.

— უი, უი, უი, უი!.. — მოძახილით მიჰყვებიან დები.

— უი და არგადარჩენა არც ერთის! — წყარო-საცივის ყორე-სათავეს მიდგომია მიხა.

— მინადორა! — ფარნაოზის ხმაა.

მონუსხულივით ჩუმდებიან.

— მამაშენმა დაანებოს მილიციებში წანწალს თავი თვარა, აგერ დამიფიცებია, შენი კივილი შეწვდება ცის თავანს!

— უი, უი, უი, უი!

— არ გადარჩენა არც ერთის! — მიხას ხმაა წყაროდან, ეკლნარში გამოწენილ ნაბადს ლანდავს.

ხელს წაავლებს ფარნაოზი სარს და მსუბუქად გადაევლება ხიმე-ტრიფოლიატას, ხელისგულზე დარჩენილ ძველი სარის მჭვარტლისფერ ნაფხვენს გაუბერავს სულს შარაზე.

— მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, თუ ვყოფილვარ ესები! — ხმალს ვერ აძრობს და ლულისთავმოღნიოშებული უზარმაზარი თოფი გამოაქვს ოთახიდან. — მე თქვენ გაყურებიებთ! — ლულას გადაადებს აივნის დასტანდაზს.

— არ ესროლო, მამაია, მაგას ტყვია არ ეკარება და უარესს მოგვწევს! — აგრაფინა ეძახის ქვევიდან.

— თუ არ ეკარება, ახლა ნახავთ! აგონ, პლი! — თავისთავს კომანდრობს და ისვრის. ტყვია მსხლის ხეს ხვდება კორძში.

— მოაწია, ხედავ, აქამდე! — თითით სინჯავს ხავსმოდებულ მსხლის ხეს გაოცებული მიხა. — ნახე, გაურტყამს, მეორე არ მოგვაყოლოს!

— ნახევარი საათი ჭირდება იმ თოფის ხელახლა დატენვას... — ამშვიდებს ფარნაოზი, ნატყვიარ ხეს არ უყურებს.

აბოლებული ჯაზაირის ლულას აციებს აივანზე შორი გზისკენ მზერამიწიწინებული ესები.

*

— მე ჩავედი კოსორეთში 1990 წლის შემოდგომაზე — ნოემბრის 19-ს. 7 ნოემბერი აღარ გვიზეიმია და იდგა კომუნისტური უშვიდნოემბრობის პირველი წელი.

თბილი, უქარო დღე იყო. ისევ ის რბილი, უკვე შეჟანგისფერებული მწვანე გორები, წითელკრამიტიანი აქა-იქ შემორჩენილი ხეხილს შეფარებული ოდები.

სოფლსაბჭომდე, უფრო დავუკონკრეტე — კანტორამდე ადი, დამელოდა ... ვუთხარი მძღოლს არც მთლად მორიდებულ ყმაწვილს, რომელსაც ჩემი ... არულის აუცილებლობა არ დაუნახავს, თუმც არაფერი გაჰკვირვებია.

საურმე გზა, ადრე საბარგო მანქანებიც კი დადიოდნენ, დავიწროებული მეჩვენა. მაყვალი და იელი ჩამოსულიყო უფრო ქვევით, ხრამის მხარეც ჩაერეცხა ალაგ-ალაგ ნიაღვარს. საღამოვდებოდა. საძოვრებიდან მობრუნებული საქონლის სარაკელას რაკუნი ისმოდა.

ძველი წისქვილის სათავეზე ძველი ბელღარი ვეღარ დავინახე. აღარ იყო კლდეში ჩათხრილი კოდი, აღარც წისქვილი, კოდის შტვირიდან ჭავლი აღარ სცემდა არქის ბორბლებს, ღელე კი სადღაც ქვევით, ხევში ჩხრიალებდა. დიდი იზაბელა, რომლის მხვილი ღერძი საქანელობდა ერთ დროს საჩვენოდ, ძირს ეგდო დიდი თხმელის ქვეშ მიღნოშილი. ფიქალოდ გაწყობილ მორკალულ ფხეკზე ჩიტითავა ნაყოფით გადაყავისფერებული ძველი ხურმა იდგა ძველებურად. შაშვები დაიწყებდნენ ფრთხიალს დეკემბერში ხურმის მყიფე ტოტებში წყალში ყინვისჩაგდებისათანავე...

აღარ იყო ბატონის ნასახლარი, ვიღაცას როგორც დავადგინე, გაბადაძეს, გამოუმწვარი, ნახევრად თავმოფშვნილი თეთრი აგურის ორსართულნახევრიანი, უაივნო, ჩახუთული სახლი აეგო.

გადამწვარი ცხრათვალიანი ოდიდან, რომლის ორკედელს მიკეცილ აივანზე მთვრალი მაყარი ცხენით დადიოდა თურმე, ჩემს დროს გადარჩენილი იყო პალატი, რაშიც კოლმეურნეობის თავლა და საკუჭნაო იყო განთავსებული.

სამწყესურიდან მომავალმა, დაღლილმა, ქუსლებდახეთქილმა შევისვენე მის ჩრდილში, ცოტა ხნის შემდეგ ავბობღდი კედელზე და თავი გადავყავი სარკმელში, საიდანაც საკუჭნაოშიც შეიძლებოდა გადაძრომა. გრილ დარბაზში იდგა თაფლის რამდენიმე კასრი და თავქუდიან, დიდ სასწორთან ფერმის ყველი იყო ახორავებული. ვუყურე, ვუყურე ნერწყვისყლაპვით შუადღით, მშიერმა ყველს და მომწყურდა. ცხონებულმა ბებიაჩემმა ევგენიამ, სოფელში ევდგენიას ეძახოდნენ, მითხრა, ბიჭო, რამდენ წყალს სვამ, მარილიანი ხომ არაფერი გიჭამიაო. ბატონის სასახლიდან მოვდივარ, მე ვუთხარი.

სასახლე სადღა იყო! იგი ხომ 70 წლის წინ დანაცარტუტდა, აღარც სასახლე, აღარც — ნასახლარი.

კისორელი ჩვენ არ გაგვიგია. მითხრეს ქალებმა, წყაროსთან, იმჟამად ტყიბულელი გაბადაძის გამოკეტილი სახლის წინ რომ შეგროვდნენ. ხნიერები ჩანდნენ, თუმცა სამოცდაათამდე არც ერთი არ იყო მოყრილი და აღარც იმ დიდი საბატონო სახლის შავბნელი ისტორია ახსოვდათ, ცხადია.

— მაგნაირი გვარი არაა! — მწყემსი აღმოჩნდა. მეგონა, იცინოდა, შემდეგ მივხვდი, ბოლომდე ვერ მუწავდა ლაშებს ცალ კუთხეში.

— შე დაბნელებულო, მიატოვე საქონელი! — ჰკითხა ერთმა, სხვაზე მოურიდებელმა ქალმა.

— კვირეკე უდგას დღეს, მე არა მაქვს დასვენების უფლება?! ხო გადავარდა ბატონყმობა, აღარც თავმჯდომარეა, აღარც კოლექტივი, ეტირათყენ ყოფა! — გაბრაზდა, თუმც მუდმივი ღიმილი არ მოშორდა, კიდევ მეტად მოეღრიცა კისერი. უფლებების გადანაწილება და მოპოვება იყო დაწყებული და მწყემსიც, ხიხვალა ერქვა თურმე, თავის წილს ელოდა; ბატონყმობა ეგონა საბჭოთა წყობილება, რომელიც მისნაირთათვის იყო ზედგამოჭრილი. გვარი კისორელი კი, მას გარდა,ბარე ორს არ

გაეგონა. „... ანცა კუალად სათნო ყოფად არიან, ამათითა თავდებობითა, ესე გარ-
დანყვეტილობისა ფიცი, პირი და თავისგასამტეხლო წიგნი მოგეც მე კისორელმან
ხოსია და ძმამან ჩემმა ბეჟან ფხეიძემ ჩვენთა ყმათა კისორელთა ვირისალიძე ოგი-
ას თავის გაროფისათვის...“

მხეიძეო, აღნიშნეს სწორად. ადრინდელი საბუთებით — ფხეიძე და არა მხეიძე, მაგრამ ამ ელემენტარული ფონეტიკური სახეცვლილება ყურადღების მისაქცევი არაა ჩემს მიერ ამომზეურებულ საკისორეთო სიგელთან შედარებით. მართლაც გვარი იყო თუ სადაურობის (სოფ. კისორეთი) მიმნიშნებელი ცნობა, ვერ გავარკვიე. ერთი ძმა ფხეიძეა, მეორე, კისორელი, თუ როგორაა, დასადგენია, მე კისორელი ვირჩიე, დავტოვე, აღარ შევცვალე, თუმც ამნაირი რთული მანიპულაციები (სხვათა შორის, ჯაჯუც ჩემი მოგონილია) სხვა რეალურ პირთა მიმართ არ გამომიყენებია.

დედაკაცებმა (აქამდე ქალებად ვიხსენიებდი), რომელთაც მხოლოდ ის აინტერესებდათ, თუ რატომ მაინტერესებდა მე ეს ისტორია, ბევრი რამ ყურმოკრულადაც არ იცოდნენ. ყაჩაღებზე მეტი სმენოდათ (ეს ბუნებრივია), ვიდრე მშვიდობიან მაცხოვრებლებზე და იმ ამბების შემსწრის შემსწრეს ძლივს იხსენებდნენ. მწყემსმა, თავის სწორად დაჭერაც (პირდაპირი გაგებით), რომ არ შეეძლო, მეტი მიპასუხა:

— ერთი ეს მიბრძანე, ჩემო ხიხვილა, რატომ გადაწვეს ბატონის ცხრათვალიანი სასახლე და შიგ ხალხი რატომ ამოხოცეს?

— ტყუილა! — ამ ცალფა პასუხმა შემაფიქრიანა.

— თვითონ ის ბატონი, ფხეიძე, მხეიძე როგორი კაცი იყო?

— ნამეტანი კაი!..

— ყაჩაღები?

— კაი!..

— კაი დაგემართოს!

ვარდენიაო, მოგვემატნენ უფრო გათვითცნობიერებულნი, 37 წელს დაიჭირეს, წაიყვანეს, აღარ დაბრუნებულა, ორსის (მომარაგების რაღაც სპეციფიური სახელწოდებაა) გამგე გახლდაო ტყიბულში. ხელისგამმართავი, წარბშეუკრავი კაცი იყოო. ვარდენის ვაჟი კი, სასოფლო სამეურნეო აკადემიის აკადემიკოსი (ესე იგი, ჯაჯუ კისორელის შვილიშვილი) რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილიყო თბილისში, ამან (იმ კაცს შორიდან ვცნობდი) ისტორია მომიახლოვა და კინაღამ გული ამიყარა წერაზე. მეორე დღეს მომძებნა ვინმე მორჩიძემ, მთავარი გმირის შთამომავალმა, მე მგონი, უბრალოდ, მოგვარემ, და მოიტანა ყაჩაღების გადიდებული ფერადი ფოტოსურათები. დედანი სადაა მეთქი? დედანი ვერ გაიგო. ძველი ფოტოები, შეიძლება ჯგუფური პორტრეტიდან ამოჭრილი, ფიგურები გაედიდებინა, მიეხატ-მიეფერადებინა და გადაეღო ხელახლა. ყოვლად წარმოუდგენელი იყო იმაზე მეტად საქმის წახდენა, ანდა როგორც იქაურები იტყოდნენ — გაყალიშტურება.

იმ დღეების შემსწრეც ვნახე მალე სოფელ ბუეთში, დამრავალუამიერებული ბერკაცი, გვარად დარსაძე, მეცნაურა კიდეც. მოწამეთის მონასტრიდან გახსოვარო, ამიხსნა და მომეჩვენა თუ მართლა მემოწამეთა, ვეღარ მივხვდი. იქ გაეტარებინა გრძელი ცხოვრება წყვეტილ- წყვეტილ. იქ ინანიებდა თურმე ცოდვებს, სხვაზე მეტს რომ იბრალებდა. ხან იქაურობის მცველი ყოფილა, ხან მნათე, ხან ადგილის (დამდგარი) სალოსი და რადგანაც მოწამეთა ჩემიც იყო, ის დარსაძე, მახსოვდა თუ არ მახსოვდა, რომ ვერ გავიხსენე, ჩემიანად დავიგულე. მის ჩიფჩიფსაც იოლად შევაგუე ყური. ბატონის სასახლე რომ დაიწვა, საჯარედ ვიყავი გამონყობილიო. ვის ჯარში მიდიოდა, როგორც მივხვდი, იმ დროსაც არ იცოდა, მაგრამ ძველი ამბები (უფრო

ძველი, ვიდრე — ახალი) მშვენივრად ახსოვდა. ხანძარს წყალგალმიდან, ბუეთიდან უყურებდა, ცეცხლს ცის გახსნასავით ხედავდა. ჯერ სროლა გავიგონეთ, შემდეგ წითელი ბურთის ბათქუნი, ცეცხლმა შვიდი სოფელი გააჩირაღდნა ავღანიანა. ბა-ხალი იგი იყო ეშმაკეული, მდგმურები მისი დაკრულულნი. დიდი ქალბატონი ხედავდა, გაანთალოს მისი სული უფალმა, დიდებული და გულმოწყალე ადამიანი გახლდათაო. ცოდვიანი შვილი სევდიასი, ავთვალს არ დაენახვებოდა: აღნაგი, ამპარტავანი, მრისხანე, ვაგლახად ცხენზე, ეს ვერ გავიგე, არ ამხედრდებოდაო.

ბოჩიასა და მე ერთ ძუძუზე გვაქვს კბილი დაჭერილი. ესები მესხის განათლულები ვართ ცალ-ცალკეო. ავზნიან ნათლიიშვილებს სხვადასხვანაირი ხვედრი, მოკლედ და გრძლად გასარბენი წუთისოფელი არგუნეს. მოსაკლავი მე უფრო ვიყავიო (რატომო, — არ უთქვამს), ვიდრე ბოჩიაო. დიდხანს ინანიებდა, როგორც მივხვდით, დარსაძე მოგონილ ცოდვებს მოწამეთაში და ჩვენი შეხვედრიდან წლისთავზე, იმედია, ცოდვებისაგან განწმენდილი, ბუეთიდან მიიბარა უფალმა დაბადებიდან, თუ ანგარიში არ მეშლება, 97 წლისა.

*

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბენია ჩხართიშვილის კაბინეტში საგანგებო თათბირია. მაუდგადაფარებულ ძველ მაგიდას უსხედან სამოქალაქო პირები, სამხედროები ცალკე არიან მოკალათებულნი. სახეგაღაჟღაჟებული გუბერნატორი, წარბებზე თმა რომ აქვს და თავზე წარბები, ახალგაღვიძებულს ჰგავს.

-... როდესაც აჯანყების მიზეზებს განვიხილავდით, მხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ გლეხობა, ნაწილი გლეხობისა, აიყოლიეს დემობილიზებულმა, ნახევრად გადეზერტირებულმა, ბოლშევიკური პროპაგანდით მოწამლულმა ჯარისკაცებმა...

ცხელი ჭიქა შემოაქვს კოჭლობით ხვინგიას, ტილოს საბურავს აცლის ლანგარზე დადებულ მაღალ სასმისს და მაგიდაზე დებს, ტილო და თავდაღმა დამხობილი ლანგარი უკან მიაქვს.

— ... აჯანყება ჩავაქრეთ, მართალია, მაგრამ, მადლობთ, — წრუპავს — ვერ მოვახერხეთ ბოლშევიკური აგიტაციის ლიკვიდაცია...

— გვჯობნიან მაგაში! — ამოილაპარაკებს ერთი მოთათბირე, რომელსაც თითის სისქე და სიფართე ულვაში აქვს ბაგეზე დატოვებული, ღილკილოებიანი გადაშვებული ხალათი აცვია...

— რა ბრძანეთ, ბატონო ვატა? — წრუპავს აუჩქარებლად, თითქოს დროს იგებს.

— გვჯობნიან, მე ვთქვი, პროპაგანდაში.

— მართალი ხართ, ჩაის ხომ არ მიირთმევთ!

— გმადლობთ.

სხვებს უყურებს, მოხალისეებს ვერ ხედავს.

— ცხელ ღვინოს სვამს, — ჩაილაპარაკებს ვატას მეზობელი. — გლინტვეინ!

— და! — ამთქნარებს ვაჭართა გილდიის წარმომადგენელი ხონელიძე.

— მკითხეთ რამე?

— არაფერი, ბატონო ვატა! — უფრო ამთქნარებს.

— ... ასევე ვერ შევძელით... — ჩურჩული უშლის ხელს. — ყოფილი სალდათებისა და აჯანყებაში მონაწილეობამიღებული გლეხების განიარაღება... დიდძალი იარაღია, მოგეხსენებათ, გლეხობაში, ხალხში — საერთოდ. სანამდე იარაღს არ ამოვიღებთ, სიმშვიდეზე ზედმეტი იქნება ლაპარაკი... მართალია კომისარი სულაბერიძე, ჩვენ მოვისმინეთ მისი მოხსენება, ბატონი ვატა ჭიჭინაძეც მართალია...

— რასაკვირველია... — ერთი თითის სისქე და სიგანე ულვაშს იმონმებს შუაზა თითით.

— არა ყოველთვის!.. ყურადღებით ვიყოთ, — წრუპავს. — სწორეთ ამის გამო გაგვაკრიტიკეს მთავრობის საგანგებო სხდომაზე. მადლობაც გვითხრეს აჯანყების ჩახშობისათვის და მთავრობის მხარდაჭერისათვის, სინამდვილეში აქტიური და გადამწყვეტი მონაწილეობისათვის და — წრუპავს — დღევანდელი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამოც გაგვკრეს კბილი, — წრუპავს, — რამდენადმე სამართლიანადაც, უნდა ვაღიაროთ, გვეყოს უნდა ვაუკაცობა... რა გავაკეთეთ, გამოვედით ოკრიბიდან და ყაჩაღებს გადავაბარეთ იქაურობა? ნასალდათარისა და ნაციხარის კონტროლს დავუქვემდებარეთ მაზრა?! იმსხვერპლეს ხომაშურიძე და მითაიშვილი, კისორელი! — მსმენელთა რეაქციას ელოდება, — შესანიშნავი, — ჩაის წრუპავს, — ინტელიგენტი, ასე ვთქვათ...ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას, დიდი ძალა გამოგვაკლდა ხომაშურიძის, მითაიშვილის და სხვათა სახით, მართალია, ძარცვა-გლეჯის მეტი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ შიში შეიქმს სიყვარულსაო, ნათქვამი რომაა, შიში ხომ დათესეს, რა მოიმკეს, კი შევხედეთ, მაგრამ შიში იყო და მორიდება... — ზარის ღილაკს აჭერს თითს. — ახლა სულ აიშვეს, დღისით, მზისით დათარეშობენ გზებ-შარებზე, სოფელ-სოფელ დაძრწიან... — ლანგრით მოდის და კვლავ კოჭლობს ხვინგია, მარჯვნივ ურტყამს მარჯვენა ბეჭს, ცარიელ ჭიქასა და ლანგარს იღებს, ტილოგადაფარებულ სასმისს და ბარათს ტოვებს. — ახლა რა ვქნათ, მივატოვოთ მშვიდობიანი მოსახლეობა, მშრომელი ხალხი?.. — კონვერტს ხსნის. — ორ კაცს დადევდით ამდენი ხანიო, ვიღაც კითხულობდა, მე მგონი, კიტა ხონელიძე, თქვენ იყავით, არა?

თავს აქნევს ამ ყურადღებით ნასიამოვნები ხონელიძე.

— ორსაც დავდევდით და მრავალსაც... — ამრეზით გადახედავს ხონელიძეს, საუბარში ჩაერთვება ბრგე კაცი, სკამის მაღალ საზურგეზე ზურგით მჭიდროდ მიკრული, ოდნავ უკანაც გადაქაჩული გუბერნიის მილიციის კომისარი შალოდია სულაბერიძე. — ახლა ორი, დღესდღეობით, ერთიც შეიძლება დარჩეს, ასეც ვვარაუდობთ, მაგრამ ხვალ ასი გახდება, როგორ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება აქ, რუსეთის ჩვენდამი დამოკიდებულება — იქ! იმის მიხედვით...

— სწორი ხართ, შეიძლება არცა ხართ მთლიანად... — აღარ აცლის ჩხართიშვილი. ცხელ ჭიქას ანახევრებს, თანდათან ეწმინდება სახე და თვალები. — ჩვენ ვიცით, რომ მორჩიძეს კავშირი აქვს ბოლშევიკებთან, მათ ზოგიერთ ლიდერთანაც, ზოგიერთ ჩვენიანთანაც, ესეც გამოაშკარავდება, ყველაფრის გამხელა ჯერჯერობით ნაადრევია, მოვა ამის დროც... წითელი ჯარის ინტერვენციის იმედი აქვთ, რაც მთავარია და არცთუ უსაფუძვლოდ... სარგებლობენ რა ეკონომიკური სიდუხჭირით, პოლიტიკური არასტაბილურობით, გლეხობას უმღვრევენ ტვინს და მოქმედებენ პრაქტიკულად, გვხოცავენ ბოლოს და ბოლოს... ჩვენ ვიღებთ გადამჭრელ და ენერგიულ ზომებს?.. ბრძანეთ... აქ რამდენიმე ამხანაგია კიდევ ჩაწერილი, ყველა ვერ მოასწრებს ალბათ გამოსვლას!...

— ... მე უნდა მოგახსენოთ, — სულაბერიძე იწყებს, — რომ წინააღმდეგი ვიყავ, ეს იცით თქვენ, ოკრიბაში დამსჯელი კორპუსის გაგზავნისა, რა საჭირო იყო გენერლების, მართალია, ყველა გენერალია ახლა ჩემს მეტი, მივლინება. რა გააკეთა ვალიკო გოლიაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა, სინაზე გამობმული ძაღლივით რომ დადიოდა ზერე-ქვერე. ბატონი ვატა ჭიჭინაძე აღშფოთებულია კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებითა და ჩვენი უმოქმედობით, სწორიცაა, მაგრამ თუ იცის, რა სახსრები და რა ძალები გაგვაჩნია ყაჩაღებთან, ბანდიტებთან, ჯიბის ქურდებთან, ხაზინის მძარცველებთან საომრად? იცით? არ

იცით და არც კითხულობთ, გვაბითურებთ მარტო... მხოლოდ თქვენზე არაა ლა-
პარაკი, ბატონო ვატა...

— მე დამანებეთ, თუ შეიძლება, თავი!

— ვის ვდიოთ და რამდენს ვდიოთ, ვიჭერთ, უშვებენ. ვინ უშვებს? იცით ალბათ, ვინც უშვებს, რა ძალებიც მოქმედებენ ჩვენ ზევით, ჩვენს თავზე... ვინ ვის რაზმში, ვინ ვის ფორმირებაში და საძმოშია შეყრილი, კაცი ვერ გაიგებს. ტყეში გავარდნილს მოვუვლით, ადრე თუ გვიან ამოვაგდებთ ბურდებიდან, მაგრამ ამდენ ლეგალურ ყაჩაღს, მკვლელს, გვარდიის ფორმაში გამოწყობილს რა ვუყოთ?! ერთი ფრონტის იარაღია მოსახლეობაში გატანილი... არ მოხერხდა იარაღის, ფეთქებადი მასალის ამოღება, დეკრეტები და რეზოლუციები საქმეს არ შველის... ყველა ერთეული ერთხელ საბედისწეროდ გაისვრის, ათიდან ერთი ასაფეთქებელი აფეთქდება გლა-ხად... მიუხედავად ამისა, ვმუშაობთ, ვწვალობთ, ღამეებს ვათენებთ...

ჩხართიშვილი გახსნილი კონვერტიდან ამოღებულ ბარათს ჩასჩერებია...

— წვერავასაგანაა, — სიჩუმე შეაკრთობს, თავს აწევს, — განაგრძეთ თქვენ!...

— დავამთავრე! — მოკლედ მოჭრის სულაბერიძე.

— განვაგრძოთ, წვერა, წვერავა მოიცდის, — ბარათს ხევს წვრილად, აუჩქარებლად, — ვის უნდა ლაპარაკი?! — სხდომის მონაწილეთ ათვალიერებს...

*

გაძრცვილია ტყე. მოარშიებულია ტყისპირები ჟანგისფრად. შქერის, წყავის, ჭყორის ნეშო პრიალებს მხოლოდ მწვანედ. აქა-იქ შემორჩენილი წითელი ნაყოფი ღუის მოტიტვლებულ რტოზე. უფოთლო ჭკუტა მსხლის ქვეშ ცეცხლი ანთია. გამურული კარდალაა შედგმული.

სარეკელას რაკუნი ისმის ყრუდ. ფერდობზე, თხელ ნისლში მიცურავენ წითელი ძროხები. მიხა და ფარნაოზი თვლემენ ცეცხლთან. ტყაპუჭიანი მწყემსი აყრის ხმელ როკებს კოცონს, კომბლით ქექავს ნალვერდალს და ნეშოში შეხვეულ ჭადს აჩოჩებს, დააბედებული ხელებით ათამაშებს, თითებს უკაკუნებს, ნეშოს აცლის, სულს უბერავს, ნაცარს აფუვლებს.

— ცოტა წყალი მოასხურე! — დოქს ათითებს მთვლემარებიდან გამოსული მიხა.

— არ უნდა. წყალს მოვიტან.

მამლების შორეული ყივილის, ძაღლის ყეფის ექო ამოდის ზანტად.

კარდალიდან ხის კოვზით ამოღებულ მოხარშულ ხორცს და ჭადის ნატეხებს ალაგებს მწყემსი შქერის ფოთლებზე.

— ... რაღაი ჯარი გაიწვიეს, მოისვენებს აქაურობა, წასაღები წაიღეს, მეტი აღარაფერი დარჩა ხალხს; მოსავალს არ უჩანდა გლახა პირი სამაგიეროდ და გაიტანს კაცი რავარცხა იქნება, ამ ზამთარს თავს. ძებნილები მოდილარიენ. ვისაც სახელმწიფო ღალატი არა გაქვთ ჩადენილი, კაცი არ მოგიკლავთ განზრახვითაო, ხელს არ გახლებთაო... გალაქტიონ ოდილაძე დაბრუნდა, იონა დაბრუნდა, ხვადაგიანი გამოჩნდა, სხვებიც... აღარავის კიდებენ ხელს, რაც იყო იყო, იარაღი ჩაგვაბარეთ და იყავითო, ამ იარაღს არავინ აბარებს და ქე არიან... ამბროსიმ ოდა წამოიწყო, შეხურა კიდევაც... — არაყს ასხამს მწყემსი თხის რქაში. — სიტკბო მოგცეთ, სიმწარე გაშოროთ ღმერთმა! — სვამს, ცეცხლში შეაწურავს სისველეს.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბო გვქონებოდეს!

— ღმერთო, შენითა ვართ!

ნაბდებიდან გამოდიან.

სვამენ. ჭამენ. უმადოდ ილუკმებიან. მიხა ახველებს. თუთუნს ახვევს უკვე. ეს მაყოფილოდ მისჩერებია ფარნაოზი. თავადაც ეკარგება ჭამის ხალისი.

— ... ყველა თავის ნასახლარს უბრუნდება, როცა ბინდი წვება, საქონელი ბოსელში შედის, ნადირი ბუნაგს ეძებს, ჩიტი — ბუდეს... — მუგუზლით უკიდებს შეხვეულს.

— შენები, ფარნაოზ, მარანში შესახლდნენ, ნასახლარი გასუფთავდა, ფიცარიც გადარჩენილა ცოტა... მარა ხარიტონს თავის ტკივილები დაეწყო ისთევლე... გაუარს ალბათ და მიხედავს იქაურობას... ყველაფერს ეშველება, თუ მშვიდობა იქნა...

— დინჯად, დამჯდარი ხმით ლაპარაკობს კაცობაში შესული ახალგაზრდა მწყემსი. არაყს ასხამს ხელახლა დოქიდან.

— ბოჩიას სული გაანათლოს ღმერთმა! — ცეცხლზე აწვეთებს მიხა არაყს. — ნათელში გამყოფოს, ბოჩია, გლახად ნუ მოგვიგონებ!

— ყველა დაღუპული ამხანაგის ხსოვნა იყოს... — თვალი ცეცხლზე უშტერდება ფარნაოზს. — ბოჩიას ხსენება და არდავიწყება ჩვენგან...

თხელ ნისლში მოცორიალე წითელი ხარებია გაძრცვილი ტყის წინ.

— ბოჩიას ხსოვნა და არდავიწყება ყოფილიყოს! — გულგარეთ ამბობს მწყემსი. ცარიელ ყანწს ორკაპზე აცობს, მიდის.

შორიდან ისმის:

— მეემშიშვ, მეემშიშვ, მეემშიშვ...

— თოფის ზუმბა გადაუჭირეს მამაჩემს.

— სიბერემდე სიქაჩლეო...

— ჭამე, კაცო, რამე, მოეშვი ამ თუთუნს.

— ამასაა გულს რომ ვაყოლებ!

— რაღაც გაწუხებს უსაშველო!

— დრო მიდის. მთვარე ამოდის, ჩადის, დაილევა, გაივსება, განათლდება, კიდევ და კიდევ... ხეს ფოთოლი დასცვივა, მწვანით შეიმოსება გაზაფხულზე... არაფერი არ მთავრდება, ერთი და იგივე მეორდება.

აბოლებს.

ელოდება ფარნაოზი.

— ... დრო არ ჩერდება, დრო მიდის, მიდის და მივყვებით... ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. ვიბრძვით უკეთესისათვის, სულ ტყუილია. უარესი დადგება.

— ამაზე უარესი რაღა იქნება?

— იქნება, თუკი იყო, იქნება, გამიგია: ჟამიანობის დროსო, სისხლის წვიმების დროსო... ესე იგი, ყოფილა. თუკი ყოფილა, ისევ იქნება. დრო თუ ბრუნავს, იქნება, რაც იყო, ის იქნება...

ნაბდებში ეხვევიან ბოინა ფრინველებად.

მეემშიშვ, მეემშიშვ, მეემშიშვ...

ცივი მზე ჩადის. წითელი მიწა წითლდება უფრო.

— ხალხი სულ თესავდა, სულ ხნავდა, მღეროდა, ტიროდა... გავსწორდეთ უნდაო, გასწორებული არა ვართ, სიკვდილის წინაშე ყველა სწორი ვართ... იმან არ იცის დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, მართალი და მტყუანი...

— დროს არაფერი გააჩერებს, მართალი ხარ და ბრძოლაც არ დამთავრდება, ჩვენს შემდეგ სხვები იბრძოლებენ უკეთესი ცხოვრებისათვის, ჩვენთვის... თავისთვის იბრძვის ყველა სინამდვილეში, სხვის დასაჩაგრავად იბრძვის, შიგანიდან სიმყრალის ამოსანთხევად იბრძვის, არ ვიცი, გგონია, მარა ადამიანს ვერ გააჩერებ, ადამიანი არ მოისვენებს, ამას ვხვდები...

მეემშიშვ... მეემშიშვ... მეემშიშვ...

წითელ აბლაბუდაში გახვეული ქვეყანა მქრქალდება.

— შენ რა გაწუხებს, მიხა, ვიცი, ვგრძნობ... — არაყს ისხამს. — მაურჟოლებს რაღაც ნაირად, ისპანკა არ იყოს. — სვამს. ელოდება. აძიძგინებს, ყანწს ორკაპის ცალ წვერს აცვამს. — შენ სიწყნარის გეშინია, მიხა, სიჩუმემ დაგაფრთხო, მოუთმენლობამ ამიტანა მეც, ჰაერი აღარ მყოფნის, ასე მგონია... — დგება, ნაბადს აგდებს. — უნდა დავშორდეთ ერთმანეთს!

დუმან.

— რატომ?

— ბოჩიას საფლავს გეფიცები, შენი ყურება აღარ შემიძლია. დარდობ. ძილში ყვირი... გულჩვილი გახდი. იმ დღეს საყდართან ჰაერში გაისროლე, მტერი გაუშვი.

მეემშიშვ... მეემშიშვ... მეემშიშვ...

— მიხვდი და არ მითხარი, გულში წყენა ჩაიდევი?

— ვერ დავიჯერე, ახლაც არ მჯერა. ჩვენ დავიღუპებით, მიხა. ის ტყვია ჩემთვის დაიზოგა. მეც რომ სხვისთვის მაგნაირად მესროლა, შენ მოგხვდებოდა!

— ბევრი ცოდვა მადევს, საშინელი სიზმრები არ მაყენებენ!..

— იმ კაცმა, შენ რო გაუშვი, კვალზე გვდია, აწი აღარ მოგვეშვება, მეც მინდა თავის მოტყუება, მტრის დაზოგვა... დაღუპვის ნიშანია ეგ, მიხა, ჩემგან არ გესწავლება. წადი და ერთ-ერთი გადავრჩებით!

დასასრულის ხმებია. გალობენ ძილისპირულს. ზამთრის ყვავილებით თმადაწნული დები მღერიან ზარების ხმაზე, აპრილისფერი წყლიდან ჩანან თვალგახელილნი.

— ტყეში მარტო რა გაგაჩერებს?

— რაც არი, ეგ არი. მარტო ვიქნები, შენ წადი!

— კარგი. — დგება. ნაბადს იგდებს ცალ ბეჭზე, იარაღს ისწორებს, თოფის საკეტს სინჯავს. — წავალ, ჩემი ვენახიც არ გატყიურდეს. ამათ დიდი დღე აღარ უწერიათ. დამიძახებ და გავჩნდები. — ტარგაბზარულ თოფს და ტყვიებს ტოვებს. — იცოდე, მარტო რჩები.

— ჩემს სიტყვას მაინც ვიტყვი!

— ამ დილით ბეჭი მითამაშებდა, ვიცოდი, საწყენი შემხვდებოდა... ჩემთვის ნინათგრძნობას არასოდეს უღალატია. კარგა იყავი!

უკანმოუხედავად გადის. ბინდში, შქერში იკარგება.

ფარნაოზი ნაბადში იკუნტება. ცეცხლთან რჩება შავად...

*

ბუხრის ცეცხლი და ჭრაქი ანათებს გოგნიძეების პალატს. ნაღვერდალზე შემოდგმული ქვაბის მდულარედან აბრეშუმის ძაფი ამოაქვს თითისტარით სალომეს და ცეცხლით აბზიალებულ, დასაძახავი აბრეშუმით სავსე სპილენძის მრგვალ, დიდ ტაშტზე აგროვებს. დიასახლისი ლობიოს არჩევს ტაბლაზე, ხელისგულით ხვეტავს გადარჩეულს და ფიცრიდან ქოთანში ყრის ჩხრიალით. გოდორს რაგვავს კოლია. ლეჟვერზე ამართულ ტაბიკებზე აწნავს თხილის ხისგან დახდილ ტკეჩებს. ცეცხლში გალანძული ნედლი თხილისა და ამომდუღრული აბრეშუმის სუნი დგას პალატში. ძროხა ზმუის ბოსელში. განის კარის ღრიჭედან შემოდის ეს ხმა. ბუხრის ფრთის ფიქალში გაკვეხებულ კვარზე შემოდებული ჭრაქი ხრჩოლავს, გვერდზე გადახრილი ბოლი მიძვრება ბუხარში და საკვამურში იკარგება.

საყვირებისა და ბუკის გაბმული ზრიალი მოსჭრის ყურთასმენას. ორკესტრს სროლის ხმა ენაცვლება, სადღაც ისვრიან. ჩერდებიან. მუსიკა მიაქვს სველ ქარს.

სმენაგაფოლორცებულნი აყურადებენ პალატში ჯერ სროლას, შემდეგ სიჩუმეს.

— რა მოხდა, ვინ ისროდა?! — კითხულობს აღელვებული სალომე.

— ათასი ოხერი დაძრწის იმ ტყეში! — დედამისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავთავიანთ ხელსაქნარებს უბრუნდებიან. ძაღლების საშინელებათა ყეფა-ბა. ნადირზე მიშვებული ხროვა ყეფს. ისევ ისვრიან. ქარს წყვეტილ-წყვეტილ მოაქვს პალატში ყეფა-გნიასი გახელებული ხროვისა. ადამიანიშვილთა შეძახილებიც გამოიჩილება ყეფისაგან.

ელვა ხაზავს იისფრად ზურგის ფარდებს. სახეზე იფარებს ხელებს სალომე ყოველ წამოელვებაზე.

— ღმერთო, შენ უშველე გაჭირვებულს! — პირჯვარს იწერს კოლია.

— მოისპოს ყველა უწმინდური, არ მოშორებოდეს ცეცხლი და გეენია! — დიასიახლისია, — მაძახურა ჩაფრინდა ვიღაცის ერდოში, სიკვდილია იქით, მე ქე გადამიფრიალდა გული!

— სევერიან, ჩამომეხსენ, სევერიან! — სისველით გაჯირჯვლებულმა ქარმა შემოხვეტა ღრიჭედან. სროლა და წამოკივლება სალომესი შეენაცვლა ხმამიყურებას.

— მოკლეს ვიღაც, ღმერთო, შენ გვიშველე! — კოლიაა.

სალომე ბუჯერში გამოდებულ ხატთან ანთებს სანთლებს, ჩუმად ლოცულობს. ავის მოლოდინის სიჩუმე ისადგურებს.

ქარი აღებს კარს და ძაღლის ბეკა თავი ჩნდება ზღურბლთან, სუსხში. ჭრიალით იხურება და კვლავ იღება კარი ქარში.

— ჭრუუ, ჭრუუუ!..

გოდრის სხეტს ამოწმებს კოლია, წვნა უნდა განაგრძოს. ძაღლი ყეფს, კარსაც არ შორდება. კარი კი კვლავ ჭრიალებს, ჭრიალზე იღება, იხურება, კაცი ილანდება შავად, ღამეს მოუძღვება, ჭრიალი, ყეფა-წკმუტუნი მოჰყვება გალიჟღულნაბდიანს.

— მშვიდობა აქაურობას! — ხმადაბლა ამბობს.

— მობრძანდი, ფარნაოზ! — ეპატიჟება ნირწამხდარი მასპინძელი.

სამხელზე დახვეულ აბრეშუმის წმინდა ძაფს დებს სალომე ჯორკოზე, სველ ხელებს იმშრალებს, გუდალა, მწყრომარე თვალებს არ აცილებს ჭენჭყში ამოზუნზღლულ, წვერგაუპარსავ, დაპატარავებულს. არც ავს ამბობს, არც კარგს.

— წყალთოვაა? — გარეთ იხედება გაოცებული კოლია.

— მთაში კი, წყლები მოდიდებულია...

— მომეცი ნაბადი! — ეუბნება სალომე, — ცეცხლს შეუზარი, დედა!

იარაღში ჩაჭედილი ჯდება ცეცხლთან, ნათხოვარი ღიმილით ათვალიერებს დაუპატიჟებელი სტუმრის ხილვით შეცბუნებულ დამხვდურთ. მოცელილივით იკეცება ნაბადი ბუხართან. ხმელი ხიმე შემოაქვს კოლიას. ძაღლი ვერ ბედავს შემოყოლას. წკმუტუნებს. დიდ ქვაბს ნაჭაზე, პატარას საკინძალზე კიდებს დიასახლისი. ცეცხლი იწყებს ბარბალს. ტკაცატკუცით იწვის ხმელი ნაბლი და ხარდანი.

— შენი სახლი ყველაზე საიმედოდ მივიჩნიე, კოლია! — დიასახლისს მისჩერებია.

— ჩემი პატივია, ფარნაოზ! — გვარიანადაა შეფიქრიანებული კოლია.

— ახლავე ვახშამი იქნება, ბატონო! — თვალს არიდებს ანუსი.

— ვახშამი არ მინდა. გადასაგდებია ეგ ნაბადი, მოეშვი!.. — წულიდან წყალი ეღვრება ნაცარში. — ბაღის ვაშლის არაყი იცი, შენ, კოლია, ის თუ მომარჩენს, იქნებ ძაგძაგმაც გამიაროს.

— სულ სველია, ძაფი არა აქვს მშრალი... — თავისთვის ლაპარაკობს სალომე. — უნდა გაიძროს ყოლიფერი.

— ზეზეულად შევშრები, წყალ-წყალ კვალს ვერ იღებენ... როგორ არიან ჩემები, ხომ არ იცი?

— კარგად, ბავშვები კარგად არიან, ხარიტონს თავის ტკივილები შეუბრუნდა, მაგრამ ექიმს წამალი გამოეწერა და ეთქვა, გაუარსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არაფერს მიმალავ?

— არა. — ცივად ჭრის. — მოცვის ჩაის დავაყენებ.

— ჩემს ეზოში დგანან კიდევ, ვიცი... — ცახცახებს. სალომესთანაა პირისპირ. — პატარებმა რა დააშავეს, ან სხვამ, ან მე, რატომ გამაჩინე, დედაჩემო!..

თვალები უშტერდება სალომეს... ცრემლს ამოიღებს ცოტა ხნის შემდეგ ერთი თვალის უპიდან ცხვირსახოცის ყურით. სუფრის გასაწყობად მოსულ დედას უთმობს ადგილს, დგება, ბრუნდება, თმებს არხევს, საკუთარ თავს უწყრება თითქოს კომოდის თავზე შემოდებულ სარკეში. არაყს დგამს გრაფინით კოლია. ხელს შეავლებს მისდაუნებურად ფარნაოზი, ტაბლაზე ატრიალებს დაფიქრებული. ერთი ფერი ადევს სასმელს და სასმისს. რაღაცას აყურადებს. ფხიზლდება. ასხამს. ისევ ესმის. ჩაკუთხული, არყიანი მინის სქელი სირჩა უშეშდება ხელში.

— სიტკბო მოგცეთ, სიმწარე გაშოროთ! — მოგვიანებით ამბობს, ცახცახით სვამს.

მუხურულა ვაშლს ჭრის მოკლეპირიანი საჩილავი დანით კოლია. ძაღლი უყეფს შორეთს და სადღაც იქვე დაფხაჭურობს.

— შენი სახლი, კოლია, საიმედოდ მივიჩნიე! — ვაშლს ღეჭავს, ლუკმა ყელში არ გადადის, ისევ აყურადებს.

— აბა რა, ფარნაოზ, რაზეა ლაპარაკი! — დაღვრემილი ამბობს.

— მოცვის ჩაის ვამზადებ! — სარკეს შორდება სალომე.

— ჩაი არ მინდა, თავი წავდო უნდა სადმე!

— ზალაში, ზალაში გაუშალე, ბოშო! — ცალ წარბს წევს ზევით კოლია.

— ზევით, სულ ზევით, არის კი რამე?

ქვეშაგებს შლის ტახტზე სალომე, კედელზე ჩამოფენილ ნაირფერ ნოხზე ულვაშიანი კაცის დიდი ფოტო და ხმალ-ხანჯალია მიკიდებული.

— მე აქა ვარ! — ფარნაოზის ხმაა სხვენიდან.

— სად ასულა იმ სახინძავში, ვინ მოგდევს, ნეტავი ვიცოდე! ან ვინ მოვა ამ ყიამეთში, არაფერს გაედო!

ჩელტებზე ვაშლის ჩირია გაფენილი, ხარიხებზე ძროხის შარდსა და ვაშლის ხის ქერქის ნახარშში გავლებული ოქროსფერი აბრეშუმის გამშრალი და გასაშრობი შულოებია გაკიდებული, დაძახული და დართული; წმინდა აბრეშუმის ძაფია ფირფიტებზე დახვეული.

— არ ჩამოხვალ?!

— არა, აქ მირჩევნია და ტახტზეც გაშალე!

— აქ რაღატომ?! — წახრილი დგას ტახტზე ხელებდაბჯენილი. პასუხს ელოდება.

— მუთაქა დადევი სიგრძივ და საბანი წააფარე!

— გავიყინე... — საბანს აფარებს მუთაქას.

— კარგია!

— რაა კარგი, მხედავ მაქედან? — გაოცებულია. ხმა კი აღარ ჩამოდის. — ხომ არაფერში გაებლანდა?

— კარგადა ვარ, აქ მატყლია, ძველი საბნის ნაგლეჯებია... — ბუნაგდება, იარაღს ილაგებს თავსასთუმალთან, კანკალებს. — მერე სულ ზევით, ზევით, ზევით!

გაოცებული უგდებს ყურს საგდულიდან თავამოყოფილი.

— ფეხი ვერ დავადგი სწორად მიწაზე, ჯერ რა ვიცხოვრე, ასე უსახელოდ ნუ დამამთავრებინებ...

ერეკლეული ბიბლიოთეკა

— გლახად ხარ? — თავზე წამოსდგომია.

— არ მომეკარო, სახადი არაფერი მქონდეს!

— მე არ მეშინია სახადის!

— არ მოხვიდე! — უკან-უკან მიჩოჩავს, მატყლში და ბრელოში ეხვევა.

— მაინც უნდა მოვიდე, კვალზე აგდებულო ნადირო! — იხდის წელზევით. საყვავე ლატანს ადებს კაცი ბეჭებს. მეტზე ვეღარ მიჩოჩავს. იკუნტება. — რა უბედური ვიქნებოდი, რომ არ გამოჩენილიყავ!

— არ მოხვიდე! — არ უშვებს.

ჩურჩულით ლაპარაკობს პალატში ცოლ-ქმარი. კარის ჭრიალი და ქარი წეწავს მათ ხმებს.

— აბა, სად უნდა წასულიყო, მითხარი, სად უნდა წასულიყო! — თავს იმართლებს თუ სტუმრის საქციელს ინონებს. — მითხარი, შე ქალო!

— სიკვდილში და მოუსვლელში და წავა კიდეც მალე.

— ხმა ჩაიწყვიტე, ბალანამ არ გაიგოს, თავს ჩამოიხრჩობს, მეტი აღარავინ შემარჩინა მომწყვლელმა სენმა, მაგას შევჩერებივართ და ვუთრიოთ ბაწარი... ეს ბედი გვარგუნა განგებამ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე...

— ანაპოდისტე, ანაპოდისტე... — ქარს გააქვს ხმა, ზოგს შორს მიაქანებს, იქვე ატრიალებს ზოგს.

— სამი ცოლი ყავს გამოცვლილი, შვილს ვეღარ გააჩენს... მერე ნათელ-მირონობა აღარაა?

— სიტყვიერადაა. მღვდელს ხომ არ უცხია მირონი?

— ხო შემოთვალა თანხმობა, ქალო, ღვდელსაც ჩავაწერინეთ სერაპიონთან ერთად სახელი ანაპოდისტე...

— აღარااო მერე ღმერთი, ვეღარ გაიგე...

— გაჩუმდი, იქნებ არი, რას შობი მერე?

— დაღუპულები ვართ მაინც, რაღაც უნდა... ანაპოდისტ... იღონო... ახლა... თან... გაგვა... დაგვაქცევენ... კოლია...

— გაჩერდი, დედაკაცო, არ შემშალო!..

— რაღაც ახლა, ახლა, კოლია... ახლა გვაქვს დრო!

*

მუხლებზე დგას სალომე, სველ ტილოს წურავს და შუბლზე აფენს ფარნაოზს.

— შენ მახრჩობდი!

გულისპირს იკრავს, შიშველ ძუძუებს ფარავს.

— ნერვიულობ და იმის ბრალია, იმიტომ ვერ ახერხებ. სულ შიში, სულ ტყვიის მოლოდინი... მართლა იწვები, შე საცოდაო, მეგონა, იგონებდი... — ახალ ტილოს ასველებს წყლიან თასში, — მეგონა, მიშორებდი. ეს უკვე გაუშვრია, გავარვარებულია! — გაოცებული სინჯავს ტილოს... ისევ ასველებს. წურავს.

— წვიმს?

— არა. მთვარემ ღრუბლებიც გადაიყარა.

— გალობენ?

— რას შვრებიან?

ქარი თუ სისინებს და სტვენს კრამიტ-ყავარში.

— დაწყნარდი, გაგიარს, სიცხე გაგინელდება, ბობოლი, ბობოლი... ქიებს ვეძახი...

— თუ მოვკვდი, ტანისამოსი დაწვით, საგები დაწვით, ესენიც! — ბოხჩას ისვრის ცალი ხელით. გოგის მუჭას მინარცხებული ბოხჩიდან ცვივიან პარიკები, ჩიბუხები, ოლარები.

ბიბლიოთეკა

— შენ რა მოგკლავს, ქარი ვერ გეწევა, რკინა ვერ გჭრის, ტყვია არ გეკარება. ბობოლი, ბობოლი, დაწყნარდი... სახადი რას გიზამს,ნუ შფოთავ. იქნებ დაგეძინოს, სიცხის და ქალის გეშინია, ბობოლი, ბობოლი, მშიშრები ხართ კაცები, საერთოდ... — ჯორკოს აჩოჩებს მისდაუნებურად, არ ანებებს ფარნაოზი. ხელს უჭერს ფეხს ჯორკოსას.

— გავწევ ამ რკინებს, რა გული გამიხეთქე!

— არა, აქ!

— იყოს, ვინ გართმევს! — ხელყუმბარებს დასცქერის ამრეზით. — დალიე, ბარემ, შეგრილდესო და გაიყინა, მოცვისაა! — შიშველ ბარძაყზე უსწორებს თავს, ასმევს. — ახლა ჩავალ და ცხელ ჩაის ამოგიტანი.

— შენ რომელი ხარ?

— სალომე! — უკან იხედება წასასვლელად გამზადებული, ბისონის ოლარი აქვს აფარებული აბრეშუმის შულოებში გახვეულს. — როგორ მიგატოვო, აღარ ვიცი!

— თოფი, თოფი!

— მანდ გიდევს ყველაფერი, თოფიც.

— ეკლესია...

დახატული ეკლესიაა და ბევრი ბავშვი მიდის თეთრად შემოსილი, სანთლები მოაქვთ ანთებული, მღერიან, ხმა კი არ ისმის.

— ... არ წამოდგე, არ შეიძლება, ეგ დამალე, არ გავარდეს, აქაა ყველაფერი...

— გაწიე აბრეშუმი, ეკლესია აღარ ჩანს!

— აი, — განზე დგება. — ჩანს?

— გაზი გამოუშვეს, სუნთქვა აღარ შეიძლება, გაზით უნდათ ამოგვახრჩონ, მოდის ქაფად, ქარი მოდენის გაზს, მკვდრები ყარან, მკვდრები...

— ფარნაოზ, მე ვარ.

მოულოდნელად:

— ეზოში ვინაა?

— ეზოში? ეზოში არავინ.

— ძაღლი რომელს უყეფს? — თვალები აქვს დახუჭული.

— ძაღლი? — აყურადებს სმენაგამახვილებული. — ჩვენი ძაღლი არ ყეფს, სადღაც შორიდან...

— შორიდან მოვიდნენ.

— გეჩვენება.

— არა, — თვალს ახელს. — რა გინდა აქ?.. შენ არ თქვი, ჩაის ამოგიტანო? ჩაის როცა კრიფავენ ქალები ტყის პირას, მოცვის ჩაის, ჩვენ, მე და მიხა, ბოჩია... ვიმალებით... ქალებს არ შეეშინდეთ-თქვა, ქალები არ დაფრთხნენ-თქვა, სადაა ის უბედურ დღეზე გაჩენილი ბოჩია? ჩვენ ვიმალებით...

— ჩავალ მაშინ, ფარნაოზ, წელან ბოდავდი, აწი კარგად იქნები! — ოფლიან შუბლს უსინჯავს.

— დარჩი, ახლა აქ არიან, შენი ძაღლიც აყეფდება.

— ისევ აგიწია! — ტილოს ეძებს.

— გადი! — ხელით იშორებს. წამოდგომა უნდა, — მაინც მომაგნეს, ღალატის ბოლს გამოყვენ!

— გული დაიყენე საგულეს. ულმორე ღამეა და ფიქრი დაგიმძიმდა. სიცხე ახევს და განუხებს, ბობოლი, ბობოლი... ძაღლი სულ ყეფს, ძაღლს რას უყურებ, ძაღლი ლანდებს, ჩრდილებს უყეფს...

— მთვარე ანათებს?

— ახლა დაბნელდა, ღრუბელი დაეფარა ისევ.

— ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ დამიფარე, დაუძლურებული... — მთვარეს ევედრება. — ჯერ არ გამოხვიდე ღრუბლიდან, სულ ჩემი შემწე და მფარველი იყავი!..

— ვის ელაპარაკები?..

— არ გამწირავს.

ცოფის დორბლს ყრის, ეტყობა, უკვე ძაღლი ეზოში, ფარნაოზი იარაღს ისხამს, თოფის საკეტს ამოწმებს, ვაზნებს ითვლის... ბარბაცით დგება, საყვავე ჭოკს ეყუდება.

— მასპინძელო! — იღრიალებს ვილაც.

— რომელი ხარ? — ხმის კანკალით კითხულობს პალატიდან მასპინძელი.

— სტუმრები ვართ, გამოგვხედე!

— ვინაა? — ჩურჩულებს ანუსი.

— მილიციის უფროსია, სევერიან მიქაიაძე, რატომ მიმიშვი მაგ სულძაღლთან, დავილუპეთ, წმინდად დავილუპეთ, დამლუპე შენ!

— კოლია გოგნიძევ, სტუმრები ვართ!

— სახადიანი ავადმყოფი მიწევს, ბატონო, რომელი ხარ არ ვიცი, მარა ვერ მიგიღებთ, არ მიზრახოთ!

— კოლია, ფეხმონგრეულო, ყაჩაღი წევს შენს სახლში, ვიცით. უთხარი, ცოცხლად ჩაგვბარდეს, სახლი ალყაშია. მაქედან აწი ჩიტი ვეღარ გადმოფრინდება!

— ბატონები მყავს ნასტუმრები, რატომ არ მიჯერებთ, წადი სევერიან მიქაიაძე, შენს გზაზე, ჩემს ოჯახში ცოდვას ნუ დაატრიალებ!

— ცეცხლს გავხსნი და ამოგწვავთ, აქამდეც უნდა ამომეწვით, ჩაგვბარდეს, თუ თქვენი სიკეთე უნდა, ცოტას გაცლით!

უსასრულოდ გრძელდება მოლოდინის წამები სხვენშიც.

სალომე: რანაირადაც შეგიძლია, ისე უშველე თავს!

ფარნაოზი: დაწვავენ სახლს!

სალომე (ფიქრობს): დაწვან!

სროლის ხმა დაფარავს ამ სიტყვასაც.

სროლა შეაფხიზლებს ახალმიძინებულ შობის მომლოდინე სოფელს.

ისვრიან. იწყებენ და მალევე ამთავრებენ. სიჩუმე ისადგურებს.

— ზევიდან ისროდა! — ჩურჩულებს მიწას გართხმული ლანდი ეზოში.

აჭრილი ღრუბლები რიალებენ გაიისფერებულ ცაზე. ღრუბელსა და ღრუბელშუა გამოჩნდება, გამოანათებს, გაქრება მთვარე. შავად გაიფრიალებს და დაეცემა სახლის ყურეში. უთავბოლოდ ესვრიან. დავარდნილსაც ცხრილავენ. შეწყდება სროლა და ლანდი გაიელვებს სახურავიდან მიწამდე, სადღაც, ღობის გადაღმა, ხელეხურნალში ეხეთქება ხორციელად. ისევ ისვრიან და ჩერდებიან. აღარავინ ეპასუხებათ. ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან, წახრილად უახლოვდებიან შავ ნაბადს.

— ჩაძაღლდა გონია!

— არ ინძრევა.

— აქეთ მოიწი, სევერიან, ნუ გეშინია!

— მე მეშინია, შე ცხოველო? — უზარმაზარი ლანდი გამოცალკევდება.

— ნაბადი ყოფილა ცარიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გითხარით მე, თავზე გადამახტა ვილაცა-თქვა, მაყვლიანში გადახლინინდა.
— გაყევით!
— ანი ვინღა დაეწევა.
— იმსიმაღლიდან ვინ გადმოხტებოდა, ამას მოელანდა!
— თვალი მოვკარი და ხმა გავიგონე და...
— ცარიელ ნაბადს ესროდით, თქვე პირუტყვებო?!
მთვარე გაანათებს მშრალ ეზოს: ნალიას, საბძელს, ქართას, ურემს, სევერიანს.
გაინუილებს ტყვია თითქო უმისამართოდ და ნახერხმოყრილ, გაბდღვიალებულ მანეჟზე ჩაიკეცება სევერიანი.
— მომხვდა.
ღამეში ჩურჩულებენ.
— რას ამბობ, შე კაცო?!
— ფეხში ხარ დაჭრილი.
— მუცელში მომარტყა! — უფრო და უფრო იღვენთება.
ხელს აშველებენ, ზღართანით ეცემა მაინც ზურნის ჭყვიტინზე და ბნელდება სულ. მთვარე ემალებათ.
— სევერიანი მოკლეს, სევერიანი მოკლეს! — ყვირიან.
— რა დევივით კაცი წააქცია!..

*

1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომელსაც კომენტატორებმა „სამშვიდობო" დაარქვეს. ტექსტში კი ეს აქტი განსაკუთრებულ ხელშეკრულებადაა მონათლული. იგი მარლთაც განსაკუთრებულია რამდენიმე თვალსაზრითი:
რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახელითა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულიანოვ (ლენინის) და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის რწმუნებით, ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლ. კარახანმა.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით კი — დამფუძნებელი კრების წევრმა, ვინმე გრიგოლ ილარიონის ძემ ურატაძემ, რომელსაც არავითარი რწმუნებანი არ გააჩნდა თავდაპირველად.
ორი ქვეყნის ძალთა უთანასწორობაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ლ. კარახანის ცენზი და თანამდებობა ურატაძის ავტორიტეტს აშკარად სჭარბობდა. განსხვავება მათ იმიჯშორის რუსეთ-საქართველოს ტერიტორიულ ფარდობითობას, თუ გნებავთ, ფართობითობას შეესაბამებოდა... ქართული დელეგაციის დანარჩენი წევრებიც, თუ გასაიდუმლოებული მირსკი-კობახიძის „ავტორიტეტს" (იგი ისევე მოჩვენებასავით გაქრა იმ აქტის შემდეგ პოლიტიკური არენიდან, როგორც გამოჩნდა) გამოვრიცხავდით, ვერ ტოვებდნენ სასურველ და საიმედო შთაბეჭდილებას.მოლაპარაკება დაწყებული იყო, ხელშეკრულების პროექტი — გამზადებული და დოკუმენტზე ხელმოწერას საქართველოს ხელისუფლების დასტური სჭირდებოდა. ეხვეწებოდნენ ურატაძეს, ნდობის ქაღალდის ნაგლეჯი მაინც წარმოადგინეო. კიო, თავს აქნევდა, საბუთი არ ჩანდა.
— რაღაცას გვატყუილებენ!.. — ქართულად აფრთხილებდნენ ერთმანეთს და კარახანს მისჩერებოდნენ ღიმილით.
რატომ მოიქაჩლა რუსმა თავი, რატომ აღიარა გუშინდელი ვასალის სუვერენობა, რატომ მოაწერა ხელი მისთვის, მისი ფსიქოლოგიისათვის (დიდი და პატარას თანასწორობის) მიუღებელ ქარტიას, მრავალთათვის დღემდე გაუგებარია.

ზოგი ფიქრობს, ბარონ ვრანგელის შემოტევამ და პოლონეთთან ომმა მიიყვანა ის იქამდეო, რაც ნაკლებ სარწმუნოა; ზოგიერთის აზრით, საქართველოს ულტიმატუმ-ლების დროებით (1922 წლამდე) თავისუფალ ზონად გამოცხადება, ბოლშევიკურ-რტიის ლეგალიზება, უცხოეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის მოთხოვნა (ეს უფრო უპრიანია) გახდა მიზეზი ყოვლისაო. მიზეზი და ვარაუდი არც მაშინ დაილეოდა, მაგრამ თუ იმდღევანდელი კავკასიის, კერძოდ, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაწითლებას და სერგო ორჯონიკიძის გაფრთხილებას („...“ზავის დადების პირობად უნდა იყოს აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ საქართველოში გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება; ჩვენი ცნობებით, მენშევიკები მზად არიან დათანხმდნენ ამას, ოღონდ ბევრს ივაჭრებენ...“) — თუ გავითვალისწინებდით, კიდევ ბევრი რამ დარჩებოდა გაუგებარი, არა მარტო ურატაძისათვის, — მხოლოდ ამბის გასაგებად — რა უნდათო, რომ გაგზავნეს მოსკოვს.

ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ რამდენიმე თვის წინ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიჭირეს ბოლშევიკი მირსკი, სინამდვილეში — კობახიძე, რომელსაც, მისივე აღიარებით, საქართველოში აჯანყების მოწყობა ჰქონდა დავალებული. ვგრძნობ რა დანაშაულს, საჭიროდ ვრაცხ მონანიებას, ჩემი გამავლობის სამშობლო საქართველოს საკელთიდღეოდ წარმართავსო, თუკი გამათავისუფლებთ, წავალ მოსკოვს, დავუკავშირდები ულიანოვს (ლენინს), სხვა მთავარ ბოლშევიკებს, დავუმტკიცებ მათ, რომ საჭიროა, აუცილებელია საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებაო. გამოუშვეს, რაც მთლად უცნაურია, გაუშვეს, როგორც ჩანს, არამარტო დაპირებების გამო, გააყოლეს ზემოთ მრავალგზის ხსენებული ურატაძე, საღირაშვილი. ჩავიდნენ დედაქალაქს, მიდგნენ-მოდგნენ, დაუკავშირდნენ ლენინს, ტროცკის, სტალინს, ჩართეს ამ საქმეში სუმბათაშვილ-იუჟინი, პროფესორი ღამბარაშვილი, დროებით გაემიგრანტირებული სხვა ქართველები და გააჩალიჩეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ხელშეკრულების მაღალ დონეზე დადება კი არა, მოსკოვში ჩასვლა იყო რთული, დამკავებელი ბევრი ჰყავდათ, გამშვები — ცოტა; ჩავიდნენ, თუმც თავად სერგომ გადაულობა გზა როსტოვში. გასინჯა საბუთები, გამომცდელად მიაჩერდა ორგვაროვან ბოლშევიკს კობახიძე-მირსკის, საბჭოთა მთავრობის საგანგებო ემისარი ვარ და ჩემი გაჩხრეკა-გაკავების უფლება არა გაქვთო, რომ ამტკიცებდა. იგი მართლაც კობახიძე იყო, მხოლოდ არა ის კობახიძე, რომელმაც თბილისში გალახა. კობახიძე კობახიძე იყო მაინც, ორჯონიკიძეს ხელები ექავებოდა, მაგრამ არგუმენტები (კრემლთან დაკავშირება მოასწრო) ქვას ხეთქავდა; დიდი სინანულით გაამგზავრა დელეგაცია და შიფროტელეგრამაც მიაყოლა სტალინთან, ამიხსენით, რას ნიშნავს ყოველივე, რა ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი, როცა მაგათ (ე. ი. მენშევიკებს) გასაბჭოებაზე ვითანხმებდითო. — ნუ ინერვიულებ, საქართველოს დღეები ისედაც დათვლილიაო, — ამშვიდებდა ჯუღაშვილი, — მენშევიკებს, ამ ხელშეკრულების მიხედვით, გათავისუფლებული ამხანაგებიც ეყოფიანო. ამხანაგები, ესე იგი, ბოლშევიკები, იმ ხელშეკრულების თანახმად, მართლაც გამოყარეს თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო ციხეებიდან, მაგრამ მათზე (ბოლშევიკებზე) გამაოგნებელი გაუგებრობა მოახდინა არა ამ ჰუმანურმა-პოლიტიკურმა აქციამ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობამ; ეს რა ჩაიდინესო, ყბამონგრეულნი ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკება ნარნარად მიმდინარეობდა ამასობაში, მხოლოდ ზაქათალას ოლქზე შეექმნათ კამათი: გვეკუთვნის! არ გეკუთვნისთ!

— არ გვეკუთვნის?

— კანეჩნა, გეკუთვნით! — ქართულად უპასუხათ მოულოდნელად კარახანმა. — მხოლოდ ნუ დახოცავთ ერთმანეთს!

— ამან ქართული იცოდა? — იკითხა გაოგნებულმა ურატაძემ, კარახანმა რომ სხდომა დატოვა.

— ვინა, ლიოვამ? — სათვალე გაისწორა მირსკიმ (კობახიძემ), თბილისელი სომეხია, კარახანიანი.

— მე რატომღაც მექსიკელი მეგონა, — ჩაილაპარაკა საღირაშვილმა.

ჟორდანია:

... მოგილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადებას.გადაეცით სოვნარკომს, რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა!

ტელეგრამა გაგზავნა 10 მაისს.

— ხელშეკრულების ამბავი 12 მაისს გახმაურდა პრესაში, ტექსტი კი გამოქვეყნდა უფრო გვიან, როცა, ალბათ, ხალხს „აღტაცების გრძნობა" განელებული ჰქონდა.

უფრო მოგვიანებით („აღტაცებული ხალხი", ბაიბურში რომ არ იყო) დაწერა:

„იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად..."

არ ეძინა სერგოს:

— საქართველოს გარეშე აზერბაიჯანის შენარჩუნება შეუძლებელია! — აფრთხილებდა კრემლს. — ბაქოს ნავთის გარეშე რუსეთი ვერ იარსებებს!

ხშირად ახსენებდა არამარტო ნავთობს, არამედ ნავთს და სოლომონ ზურგიელიძის (დასალევად წყალს რომ ამჯობინებდა) ავტორიტეტი კიდევ უფრო მაღლდებოდა.

ერთი კვირის თავზე ხელშეკრულებაში, ზაქათალის ოლქის ტერიტორიალური საკითხის გამო, ისევ შეიტანეს კორექტივი აზერბაიჯანის სასარგებლოდ და იმ დღიდან რუსეთ-საქართველოს „განსაკუთრებულმა ხელშეკრულებამ" სულისხუთვა დაიწყო, რამაც რუსეთი შეიარაღებული (ამას შემდეგ ვნახავთ) აგრესიამდე მიიყვანა. ნატუსაღარ „ამხანაგებს" ბევრი არაფერი გაუკეთებიათ საქართველოს გასაბჭოებისათვისაც კი; სამშობლოში მათ არ ცნობდნენ და ფეხქვეშ მამულგამოცლილნი სადედინაცვლოში მიიწევდნენ. საქართველოს ფარგლებგარეთ იყვნენ მაგრები, სხვის ზურგს ამოფარებულნი თამამად შეუტევდნენ სადედმამიშვილოს. ამას შემდგომ პოლიტიკური მოვლენები დაადასტურებენ.

*

ყვითელი ნეშოთია დაფარული დახვეული გზები, შიშველ ხეებს დაუპატარავებია ფერდობ-ფერდობ შეფენილი სოფლები. ახლო მისულან ერთმანეთთან წითელკრამიტიანი ოდები. ჩერგილ-ჩერგილ დგანან აჩალული სიმინდები საყანეებში. გადაბერებულ ხეებზე ზვინებია. ზამთრის მზეა ჩაბუდებული სიყვითლეში. ჩიტითავა ხურმა წითლად ჭიატობს ეზობოლოში მიღნობილ, მაყვლიანში ჩამდგარ ხეზე. წკირებს ამტვრევს ხურმის ხეზე გასული სალომე.

— გამარჯობაყ! — გეგელა დგას ეზოგადაღმა. გენერლის გაზინთული ფარაჯა აცივა, ფორმაფერდაკარგული სამხედრო ქუდი ხურავს საბუდარ თავზე.

— ყყხ!

— შენა ხარ, გეგელა ბოთე? — შორს გადის ქალის ხმა სიწყნარეში.

— გადმოვალ ახლა ალაგეზე, — კიდევ ახინებს. — მარა ზევით არ ამოვიხედავ, რო იცოდე შენ!

— ზევით არა გაქვს პირი დაღებული, აბა, ახლა სად იხედები?

— ყხ... აქედან რა უჭირს, რომ ამოვალ და ხის ქვეშ დავდგები, თავს არ ავწევ მაინ, რო არ შეგრცხვეს.

— ვაი გადაშენდი შენ! — კაბას იმოწმებს ცალი ხელით, მუხლისთავებს ატყაპებს. — არ გამიხდა ესეც... — ჩამოსვლას აპირებს.

ხის ქვეშ დგას ფხეკზე ამობღოტებული და სალომეს ელოდება თავდახრილი. ჩიტითავა ხურმის რტოებით ჩამოდის. ხავსზე დატოვებულ ქოშებში უყრის შიშველ ფეხებს.

— შეგიძლია აიხედო!

— აქა ხარ? — იკრიჭება და ზევითაც იხედება ყოველ შემთხვევისათვის.

— რას გვიბრძანებ?!

— ოშოშოია მოგიტანე! — მრავალძარღვას ფოთლებს აწოდებს.

— რად მინდა, გეგელა, ოშოშოია?

— დაადევი კვირისტავზე, მოუხდება.

— ვის? — გუდალა თვალები უვიწროვდება, წკირებაფარებული უყურებს:

— ვის მოუხდება...

— იმას... — ხყზუვხვუხ-იცინისავით — ხო გამოუშვეს ბალშევიკები, რაღას უჯის მაქანა...

— ვინ გამოუშვა ბოლშევიკები, გეგელა?

— მამაჩემის მამამ, მთავრობამ.

— რა იცი შენ, გეგელა!

— თქვეს მატარებელში, ყველაფერი მეყურება მე!

— ამიტომ მოიტანე? — მრავალძარღვას ფოთლებს დასჩერებია.

— ... ხარიტონს თავი უსკდება, იმას ბუერას ფოთლებს მივუტანე, მარა ახალმთავარობაზე უნდა დაკრიფო...

— ეს?

— მაგას არა აქვს არჩევანი...

— და, ეს ყველაფერი კარგი... სად ვნახო მერე მე, გეგელა, ფარნაოზი? — ხურმიან და უხურმო, ხეშეშფოთლებიან რტოებს აწყობს თაიგულად.

— ნახავ. — თეთრი კბილები უელავს შავად გაბურდული თმა-წვერიდან. — რა დუდგვა იყო და სერესკელი იმ ღამეს, ცა იყო გადაჟღივებული შილინგისაგან, რანაირყხ გადმოფრინდაო ყხ...

— მოეჩვენათ, ჩვენსა არავინ ყოფილა იმ ღამეს.

— ყსული რანაირად დაყ-ყვაო ძირო. აგერ დავტოვებ აქანე... — კუნძზე დებს მრავალძარღვას ფოთლებს.

— გეგელა! — გამომცდელად უყურებს ხურმის რტოებიდან ხურმისფერი, მკერდჭორფლიანი. — რავარია?

— მაგი არაა ჯერ დავარგებული, რო დაათოვს, მერეა კაი საჭმელი.

— მოგწონს თუ არა, დავარგება არ მიკითხია, ლამაზია?

— ლამაზი შენა ხარ?

— რას ბრძანებ!

— ასე ამბობს ცა და ქვეყანა.

— ამიტომ ამარიდე თვალი ქვევიდან?

— ხოყყ... — ახიხინებს, იცინის.

— რაინდი ხარ, გეგელა, მაგას ქეც დაგიფასებ!

— ადრე სხვანაირი კაბა გეცვა, რომ აგიფრიალა ქარმა, ყველაფერი გამოგიჩნდა.

— რა გამომიჩნდა, შე მართლა ბოთე, შე ბოთე, რას დაბღოტიალობ მეგოლარე მოზვერივით, შე მატარებელში გაზრდილო, არგასაზრდელო! — თავში ურტყამს ხურმის ტოტებს გამეტებით.

— რუჭუ, რუჭუ ჩხრანჭი! — გარბის თავწახრილი, ზურგში ხვდება ხურმის ტოტები.

ბოსელს ადგას მაღალ ლირსზე აწყობილი საბძელი, კოროლით გადახურული, თივით, ფუჩეჩით, ბრელოთი გამოტენილი. ნაკელის სუნი ამოდის ბოსლის ურდუმიდან.

— საიდან შემოეხეტა ეს სულელი? — ძველ გაზეთს კითხულობს თივაში დაწოლილი, ტკეჩის არტაშანში ფეხგაკრული ფარნაოზი.

— ეს მოგართვა! — მრავალძარღვას ნარჩენებს უდებს ჯორკოზე.

— ძაღლის ყნოსვა აქვს, მაგ ამოსაგდებს... — ფოთლებს ანაწილებს მისდაუნებურად, ნაღმა-უკუღმა ალაგებს ყუნწშექცევით.

— რა თქვა კიდო, თუ გაიგონე?

— მატარებელმა ყველაფერი იცის, გეგელას კი დიდი ყურები აქვს, ბოლშევიკები გამოყარეს ციხეებიდან, ახლა კი არა, კაი ხნის წინ. ის პოლიტიკური ამინისტია მე არ მეხება, — გაზეთს მოისვრის, — თანაც ბოლშევიკი არა ვარ, არაფერი არა ვარ, არაფერი და არარა, ჩემი აკვამლების დროც დამდგარა...

— გედეირია ჩემი მტერი?.. ფეხი არ გაგიშობს ჯერ, თანაც გზები შეკრულია, კაცი ვერ გადის და ვერ შემოდის უნებართვოდ ამ სოფელში. ყველგან გეძებენ, სადაც უნდა გეძებონ იმის გარდა. მამა შობამდე არ ჩამოვა თბილისიდან... — ანაპოდისტე ნათლიას წერილი გამოუგზავნია მაზრის უფროსთან. — თივაში უჯდება მუხლებმოშიშვლებული. გვერდზე იწევს ფარნაოზი, ადგილს უთავისუფლებს. — სად მიჩოჩავ? — ონტკოფას პარკს გამოარჩევს თივიდან მუხლებზე დამდგარი. — შუბლი მაჩვენე?

— არ გასკდება, გამხმარია. ახლა ყური დამიგდე. საშიშია აქ ყოფნა...

— გააჩნია ვისთვის... — მკერდი მიაქვს სახესთან და სროლის ხმაზე კრთება. ძაღლი იწყებს ყეფას ბნედამორეული, იარაღებს მოიწევს ახლო ფარნაოზი.

— ისევ ისინი არიან, შენი მხსნელები! — გულისპირს იკრავს, მუხლებით გააქვს თივა კედლამდე. — მობრძანებულან, დალევა უნდათ, შენი გადამრჩენები!.. — აფრაკად დალაგებულ ნამორებში შუბლმიდებული ლაპარაკობს.

მრავალძარღვას ფოთოლს ფშხალავს ფარნაოზი აუჩქარებლად.

— და-გი-ჭერენ... — მარცვლავს სალომე.

— ან მომკლავენ... — მრავალძარღვას დებს გვერდზე. — და შენ გაგათხოვებენ.

— ვერა. შენ ჩემი მახანტალია ხარ. შენ უნდა შემინირო... შვილს დავიტოვებდი და გადავრჩებოდი, მარა არ შობი, ვისაც რა უნდა, ის ეთქვა... — დგება. წასასვლელად ემზადება. კაბას ისწორებს. ადამკიბეზე ჩადგამს ფეხს, დამავლ მზით გაყვითლებულ ჩარჩოში იდღვიბება.

ცხენოსანი გვარდიელები დგანან ღობესთან შაშხანებით. მოსართავი აქვს მოფოლხებული ერთ მხედარს და ძლივს იმაგრებს თავს უნაგირზე. ხიმეში თავგაყოფილი ძაღლი იკლავს თავს, დორბლი მოდის პირიდან.

— ვერავის გავაგონე და ვისროლე! — დიდულვაშა უნტერ-ოფიცერია, თუთუნისაგან ჩაჟანგული კბილები უჩანს.

— დედა სასაფლაოზე გავიდა და ვერ შეგიპატიჟებთ, გამიგებთ...

— სავსებით... — ცხენს ატოკებს. — ყურადღებით იყავით, ძაღლის იმედად ნუ დარჩებით!

— წადი, მურა, გაჩერდი, წადი!

კუდაძაგრული ტრიალებს შორიახლო, ბრუნდება, ილრინება, ხიმეს ღრიჭოდან აელვებს თეთრ კბილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არავის შეუწუხებიხართ ჩვენი წასვლის შემდეგ?

— არა, სიწყნარე იყო.

— როგორც კი რამე, კვამლის ნიშანი, იცით, ცეცხლს წაუკიდებთ ...

— აუცილებლად.

— კვამლი აუვა თივას... — უმიზეზოდ იცინის. — ამეღამ ისევ ჩვენ ვუართ აქაურობას, ჩვენ და, რასაკვირველია, ბიჭოია მიქაძე.

— თქვენ იმედზე ვართ, გადი, ძაღლო!

უნაგირზე იჭიმება და გვერდზე უცურდება მობოშებული უნაგირი თვალებგადმოკაკლულ ბიჭოიას. გულისპირს უფარებს ხელისგულით ბიჭოიას გაყინულ მზერას სალომე. თავგაშეშებული და მზერაგაშეშებული მიჰყავს ცხენს, ღობისძირა კბოდეზე ახახუნებინებს ცალ ფეხს.

ორღობეში მითოხარიკობენ ხიმე-ხიმე.

— მაგას რავა ვერ მოვიმწყვდევ, ერთხელ იქნება, უგლაოში! — იქადნება ცალ მხარეს გადაბრეცილი ბიჭოია.

— გაგიხვრიტავს კიდეც შუბლს მაგის კურო, შეიძლება იქ ყავს კიდევაც დამწყვდეული ბოსელში, იმას ვეძებ ახლა, თავი მოძულებული კი არა მაქვს!

— როცა ჩააძაღლებენ, მაშინ მივხედავ, მაშინ, მაგას თუ არა შემოვაღლიტე პერანგი... ჯერ ვერა... დაჭერილიც საშიშია, ჩამოხრჩობილს რო დევინახავ, ე, მაშინ ვეტაკები, მერე მკვდარი რა ჩემს ფეხებს მომჭამს... ცხენია ეს, გამაკვეხებს ბურდებში საცაა, მე ამის გამომცემლის დედის...

— ვინც შენ მაგაზე შეგსვა, მე მართლა იმის დედის... — ბოლო სიტყვები ცუდად ისმის. — საერთოდ, ვინ მიგიღო შენ გვარდიაში?!

— მე? — გადავარდნაზეა მისული...

საბძელში აღარავინაა. გაოცებული წენავს თივის ბულულებს სალომე. მღვდლის ანაფორა მოჰყვება ხელში, პარიკები და ნიღბები ცვივა ანაფორიდან. დაგორგლავს და მახალში შეჩურთავს ყველას. იროდიონ ევდოშვილის ლექსების წიგნს დასწვდება, ნახშირით აწერია ყდაზე — მოვალ!

მოწყენილი ფურცლავს წიგნს. სათაურებს აკვირდება ტუჩაბზუებული. გაფხალული მრავალძარღვით ჩანიშნავს გვერდს...

*

კაბინეტში ზის შალოდია სულაბერიძე და უცნაური ყურმილით ელაპარაკება გუბერნატორს ბენია ჩხართიშვილს. ხმა ზევიდან ეშვება ბრინჯაოს მილით და მილითვე (სამგზავრო და სამხედრო გემების საკომუნიკაციო საშუალებებით) ადის ზევითვე.

— ხომ არ წამოხვალ, გაცივდა მკვდარი, მკვდარი კი არა, თევზი. — გუბერნატორია.

— ვიცი, ვიცი, მოვალ თუ მოვახერხე... დაბარებული მყავს რამდენიმე კაცი, ესები მესხს უნდა შემოსვლა?

— ა, ა!.. — ეტყობა ხელებს ასავსავებს. — მომაშორე, გაუშვი! ჩემთან არ შემოიყვანო!

— მე კი გავუშვებ, მაგრამ მაგას მოკლავენ.

— რას დაწანწალებს მერე, დაჯდეს თავის ციხესიმაგრეში...

— იქ მოკლავენ სწორედ...

— ასეა საქმე?

— იქნებ მე თვითონ მომედო შარი და დამეჭირა...

— არა, კაცო, აიძულე, როგორმე მოგვშორდეს!

— კარგი ცნობები მოგვაწოდა ისე... — მარჩიელობს შალოდია. — ის მორჩილ გაბოროტებულია,განსაკუთრებით საშიშია ახლა...

— მერე, დაჭერას უპირებთ კიდევ, არავითარ შემთხვევაში, სასამართლოდან — გაუშვებენ, ან გაიყვანენ ძალით... ლეგენდებში და ზღაპრებში გადავა... — ანად გურდეს უნდა, ჩემი ინსტრუქციაა საჭირო?!

— ვიცით, კაცო.

— გალიგვდა ის წვერა... ჩავრთოთ უნდა მთელი ოკრიბა, ყოველი მეორე კაცი დაამუშაო უნდა...

— გარეთ მიზის რამდენიმე... მოვალ მოკლედ, არ მინდა შეხსენება, კარგი! — მილს აფარებს ხელისგულს.

მკრთალად განათებულ დერეფანში მიაბიჯებს. ცალბეჭჩამოგდებული ევგენი ხვინგია, ლიპიანს გრძელი კისერი და ალესილი სახე აქვს მაინც; გადაშვებულ დიდჯიბეებიან ხალათზე ვერცხლით გაწყობილი ქამარი აქვს შემორტყმული.

კაბინეტის კართან, მისაღებში ფილიპე ბოცერიძეა ატუზული. წელში მოხრილი და მოღიმარი ელოდება სალამს და მოკითხვას.

— რაო, რა ბრძანა, შენმა მოსწრება შვილმა. — ეკითხება კარის სახელურზე ხელგაჩერებული ხვინგია.

— ველაპარაკე, ცოტა აქეთ ვუთხარი, ბევრი იქით...

— კარგი, დაიცადე...

ცხვირწინ ეკეტება კარი ფილიპეს.

გაშტრინკული ესები ზის კუთხეში, რამდენიმე მედალი კიდია უსამხრეთო მუნდირზე.

— კიდევ მაქანეა? — შალოდია ეკითხება ხვინგიას.

— იქინეა.

— ვახ შენი! — ბრინჯაოს მილს დააჭერს ხელისგულს, ტკაცანით ასწევს, თავს დახრის და ჩაბერავს.

მისაღებში ისმის ბერვის ფხუილი:

— მიგატოვეთ, ბატონო ესები, მარა უნდა გვაპატიოთ რამენაირად, იცით, რანაირი მოუსვენარი დროა...

პირდაღებული ესები ჭერს უყურებს. ჭერი განაგრძობს:

— პავლოვიჩმა ვერ მოიცალა, გთხოვა, ნუ წუხდებაო, ავიდეს მანდიკორსო, ჩვენ ამოგაკითხავთ ამ დღეებში, იქაურობასაც მივალაგებთ, აბა დროებით, არ გემშვიდობებით!

— ხმ, ხმ, კხმ! — დაბალ ტონალობაში ამოუშვებს ამ ბგერებს ესები. ჭერი დუმს.

— ხმ, ხმ, კხმ!.. — თავს არ არყევს სავარძლის საზურგეს ზურგარმიდებული.

*

კაბინეტი.

— რა დღეა დღეს, ევგენი?

— ხუთშაბათი.

— ხუთშაბათი. — ფიქრობს შალოდია. — გაატარე ეს ქაღალდები, ამას ბეჭედი უნდა, მგონი, ის გათახსირებული შემოუშვი...

შემოდიო, ანიშნებს ფილიპეს, სხვა კარიდან. ფილიპე მოიკუნტება იმ ნიშანზე.

— დაჯექი! — თავს წევს შალოდია.

ხელებს იფშვნეტს წუღა-მესტებიანი:

— მადლობთ... — სკამს ემარჯვება, ხვინგიას უყურებს.

— შენ თავისუფალი ხარ! — ხვინგია გადის.

შალოდია დგება. დიდ ფანჯარას აახევს ფარდებს. ოთახს და სტუმარს ანათებს.

— რატომ არ ჯდები?

— მე ვიჯდე და თქვენ ფეხზე იდგეთ?!

— დაჯექი. ისე ჯდომა არ გაკლიათ მამა და შვილს. ერთი შედიხართ, მეორე გამოდიხართ... ერთ ხეზე ხართ ჩამოსაკიდებელი ორივე.

— ვნახე, ბატონო, მოკლედ... — არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს ეს მუქარა. ფრთხილად ჯდება, სკამის მენახევრეს ელოდება თითქო.

— თანახმაა თუ არა! — მაგიდას უსობს დიდ მკლავს, იდაყვით ასუფთავებს არენას სულაბერიძე.

— თანახმაა. — თვალებწაჭუტული ადასტურებს.

— ძალიან კარგი!

— ჩემ შვილს, ბატონო, ჩემსავით ვინ იცნობს, ცოტას იქით გაწევს, ცოტას აქეთ გამოწევს, მშობელ მამას არ დაინდობს ფულის გულისათვის.

— ეს კაი ჩვევა აქვს.

— უყვარს. ცოტა აქეთ, ცოტა იქით...

— მერე მე?.. — დგება. ჩექმის ჭრაჭუნით მოჰყვება ბოლთას. — შალოდია სულაბერიძე, სახალხო მილიციის უფროსი, რესპუბლიკის საგანგებო კომისარი უნდა გენდო შენ, ფილიპე ბოცერიძეს?

— თუ არ მენდობოდით, რაზე დამიძახეთ, მე, ბატონო. სწავლა-განათლება არ მივარგა, თვარა მიხვედრა კაი მაქვს, სიტყვის კაცი მქვია. ისე არაა საქმე, ანგარიში ზოგს რომ გონია... ცოტას აქეთ, ცოტას იქით... ვიცით, დავალება ნათელია, რაც მთავარია, პატიოსნად ავასრულებთ.

— რა გზით და რანაირად, არ მაინტერესებს... — ისევ დადის და წელზე ხელებდაწყობილი აჭრაჭუნებს ახალ ჩექმებს. — შედეგი გაამართლებს ხერხს. მხოლოდ... თვალი გამისწორე, თუ ეს ამბავი ადრე თუ გვიან გახმაურდა, ჩვენ ორის გარდა ხომ არ იცის ჯერ არავინ, ინფორმაციამ თუ გაჟონა შესრულებამდე, გინდაც შესრულების შემდეგ... — დიდხანს უყურებს. — დაგიჭერ და დავახვრეტინებ შენს თავს საველე ფორმალობით, საომარი სიტუაციის გათვალისწინებით...

— აუ!.. — აჟრჟოლებს.

— ეგრე იქნება.

— ნუ შემაშინებ... — სახე უშეშდება. — საქმეს არ მოუხდება.

— დავალების შესრულების შემდეგ მიიღებთ ფულს რუსული ასიგნაციებით...

— და სამსახურს.

— სამსახურს აქ, მილიციაში, ნათელია?

— დღესავით. ცოტა აქეთ, ცოტა იქით, არ იზამს?

— რას არ იზამს?

— აქ არ მოვა!

— მამაჩემის მამასთან, ნოშრევან სულაბერიძესთან წასულა, თუ არ მოვა, რა გინდათ?

— შეპირებული თანხის ნაწილი, ასე რომ ვთქვათ, წინასწარ, საქმისთვის, ავანსად...

— აქ არ ვაჭრობენ. რაც დაგპირდი, იმას დასჯერდი. რაც მთავარია, შენს გათახსირებულ შვილს აუხსენი, ციხიდან კი არ ვუშვებ მარტო, სახრჩობელის ყულფს ვხსნი... შეკითხვები გაქვს?

— არა. ცოტა აქეთ, ცოტა იქით...

— თავისუფალი ხარ!

— მადლობთ. — ხელის ჩამორთმევა უნდა დამშვიდობების ნიშნად შალოდია — თათბირის ზარს არაწკუნებს, უკან-უკან მიდის ბოცერიძე ნახევრად გაბნეული ხელით და დიდ კარში ზურგით ეჯახება ხვინგიას. გზას უთმობს, დგას და თვალს აყოლებს გაურკვეველი მზერითა და გამომეტყველებით.

ბეჭედდარტყმულ ქაღალდებს ულაგებს შალოდია სულაბერიძეს მაგიდაზე.

— დაჯექი, რა დღეა დღეს, გკითხე, არა?

— ხუთშაბათი.

— ხუთშაბათი... — იმეორებს დაფიქრებული.

— დარეკეს კიდევ წვერავაო...

— ხოო...

— ესები გავამგზავრე.

— საით?

— მოუსვლელში, მე მგონი!

— ის სად წავიდა, ის გათახსირებული?!

ჭერი ყვირის მისაღებში.

— მეე?! — ტყვიანაკრავივით ტრიალდება ფილიპე ბოცერაძე.

„გამორთეთ ეს ოხერი!" — ხელისგულს ურტყამს, ეტყობა, ბრინჯაოს მილს და მისაღების პირქუში ტალანები დუმდებიან ხელისგულის ტკაცანზე. ბეწვიანი ჟილეტის უბე-ჯიბეებში ჩაიყოფს ხელებს წვერგაუპარსავი, ჭაღარა, კაფანდარა კაცი და ცხვირწვეტიანი წულების ცაცუნით მიდის ფრთხილად. სულაბერიძესა და ხვინგიას, ზეციდან რომ ჩამოესმა მათი ხმა, ტოვებს კაბინეტში.

— დაჯექი, აიღე საწერ-კალამი, გიკარნახებ, ნუ მომჩერებიხარ იელის ნაჭამი თხასავით... — კალენდარში იხედება სულაბერიძე. — ხუთშაბათს, თორმეტ ქრისტეშობას, გუშინ...

— ხუთშაბათი დღესაა...

— გავიგე. დღესაა, მართალი ხარ, მაგრამ ეს ცნობა ძველით გამოქვეყნდება... — თავიდან იწყებს. — გუშინ ხუთშაბათს, საღამოს, რა დაწერე? ხუთშაბათს, საღამოს...

— გუშინ, ხუთშაბათს... — წერს ხვინგია. კალამს აწრიპინებს, იისფერ ასოებს ხატავს ჭვირნიშიან ქაღალდზე.

— ციხიდან გაიქცა...

— გუშინ, საღამოს... — თავის დაწერილს კითხულობს. — დილით ჯობდა...

— რატომ დილით... რა წვერა აქვს ამნაირი, ძვლები დამხვდება, მე რომ მივალ...

— ტუსაღი ციხიდან გარბის ღამე ან დილაუთენია... საღამო ცოტა უხერხულია, შენ თუ გინდა, ნასადილევს დავწერ.

— კაი, ეგრე იყოს, დილაუთენია, მაჩვენე რა დაწერე. კარგია. ხუთშაბათს საღამოს, დილას, როგორც გინდა, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაიქცა, ავაზაკი, ავაზაკი არ ვარგა, ყაჩაღი, არც ყაჩაღი. ყაჩაღი ქართული არაა, რა ჩემი ფეხებია აბა, დანარჩენი ქართული აქვთ ყველაფერი გეგონება... მოკლედ, მოკლე საგაზეთო ინფორმაციაა წარსადგენი. დაწერე და მაჩვენე. მთავარია, რომ გუშინ, უფრო სწორედ დღეს, ციხიდან გაიქცევა, თუ უკვე არ გაქცეულა, მეტად საჭირო, საჭირო რა შუაშია, მეტად საშიში დამნაშავე...

— გვარი, სახელი...

— მაგაზე ჩვენ ვიზრუნებთ, ადგილი დატოვე, დედას ვუტირებ! — დიდი პირი აქვს მომუწული, მაგრამ კბილების ყრუ კრაჭუნი გამოდის მღვიმიდან. — დედას!..

— თითებს აკაკუნებს. — ისე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, დულცე ეტ დეკორუმ ესტ პრო პატრია მორი... 1 რაიო, რა დაგაბარეს?

— წვერაო, ცინცხალი, მოიტანეს კიდევ, ლურჯად გააქვთ ბზიალმარეულები

— თუ არავინ გადამიდგა კიდევ, წინ... აღარა ვარ აქ! — წასასვლელად ემზადება. — კიდევ ვინა?

— აქ?

— არა, იქ! — მხარუკულმა წევს ცერს, — სუფრაზე?

— ერთი უცხოა, ვერ ვიცანი, ჩვენ დაცვაში ვართ...

*

მღერიან:

უბედურად ვიცანიო ლაითიძის დუქანიო,
რაც ვიშოვნე, იქ ჩავუშვი, დავრჩი თავისუფალიო...

რიონზეა გადაყუდებული სასადილოს დაბრეცილი აივანი. ყავრით დახურულ ქოხმახებს, ქვიანეთს ჩაჰყურებს. ლურჯად შეყინული გორა და საყდარი ჩანს მაღლა.

დიდ დარბაზში თუთუნის ბოლი, ყაყანი და მუსიკაა. ვეფხისტყაოსანის ზიჩისეული ილუსტრაციების ასლების ასლებითაა მოხატული კედლები, ნახევრად ღია კუპეების სტოები, კამარები. წელში გაწყვეტილი ჭიქებით სვამენ რესპუბლიკის სადღეგრძელოს.

— ... დემოკრატია არ ნიშნავს ქაოსს!.. — ხითარიშვილია, ქალაქის გამგეობის ხმოსანი.

— მართალი ბრძანდებით სავსებით! — ეთანხმება ანაპოდისტე ხუნდაძე. — თავაშვებული ხალხი აღმოვჩნდით, რაღაა დასაფარავი, მთავრობა ვერ ფლობს შინაგან სიტუაციას; გვარდიას, პარტიული ჯარის პრინციპით რომ შეიქმნა, ვეღარ აკონტროლებს. ჟორდანიას რეგულარული ჯარის შექმნის ეშინიაო, ეს არ შეეფერება მთლიანად სინამდვილეს, მაგრამ არც უამისობაა. მილიცია გახრწნილია, ჯარი არაა, მე არ უნდა ვამბობდე, მარა ასეა, ბანდიტები და ავაზაკები დათარეშობენ, იარაღის ამოღება არ ხერხდება, ჩემო ბატონო... მიუხედავად ამისა და ყველაფრისა, მე ვსვამ თავისუფალი რესპუბლიკის საქართველოს სადღეგრძელოს, გადაგველახოს ეს სიძნელეები, გაუმარჯოს დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოს!

დოლ-გარმონზე მღერის დარბაზში დანიელი, ჭერს ხდის სასადილოს გამყივანი პირველით:

კოჭებამდე წყალში ვდგევარ
თქვენებური ურიაო,
სიყმაწვილის საზანდარი
ჩემთვის დამსხვრეულიაო.
ერთი პეშვი სიყვარული
გულზე მიზის ჯვარადაო,
დაგენაცვლოთ დანიელი
კნიაზების თამადაო...
ჭიჭინაძის ქალი მომწონს
ეძგვერაძის მულიაო,
დანიელა ურიაო
თქვენში ვინ გაურიაო,
დანიელა ურიაო
ჩვენში ვინ გაურიაოო!..

— შეუბერე დანიელა, შე ძველო, მწვანეყვავილას ყურბელავ, ჩამოვდგი დუჟინი, აქა ვარ კაკიევიჩ! — ისვრის, ლამფა-ჭერში აჭედებს მაუზერის ტყვიებს ყბამოქცეული, შავი კაცი.

ერეკენული ბიბლიოთეკა

— კარგი ხარ, ყოყია, შენ დაგიდგა მწვანე კვირა!

— გაჩერდი, არ გაიგონოს.

— დამახტეს აგერ!

ღია კარიდან ეტლი, კოზლაზე მომჯდარი იაგორა მეარღნე და თვლემამორეული ცხენები ჩანან. წითელშალითიან სალონში მათრახამოიღლიავებულ მეეტლეს სძინავს. წასახემსებლად შესული მგზავრების მოლოდინში უკრავს იაგორა.

ნახევრად ბნელ მინაშენში უზარმაზარ კასრთან დგანან მამა და შვილი რაჟდენ და ფილიპე ბოცერიძეები. კასრზე მწნილი, პური, მწვანილი, მოთალი, კვარტიანი ბოთლები და ქამრიანი ჭიქებია დალაგებული. რაჟდენი ჭიქაზე ხელგაშეშებული აყურადებს სროლას, კუნთი უკრთის ლოყაზე, ტუჩთან ახლო. მამას ჰგავს იერით, სიმჭლევით, ახალუხზე ჟილეტმოცმული, კაფანდარა, ხიოჭი, სახესანთლისფერდადებული.

— გაგიმარჯოს მამაჩემო!.. — შეინძრევა, სროლა რომ ჩათავდება. — შენი გაკეთებული ვარ ფაქტიურად!

— დედაშენსაც ნუ დაივიწყებ, ბიჭო!

— დედაჩემის ხსოვნა იყოს! — პურს უწებს ჭიქაში, ყური დარბაზისაკენ აქვს, სროლა აღარაა, მაგრამ სროლის მოლოდინია. მუსიკაც არ ნელდება. დანიელა ახვევს იგივ მელოდიას:

დანიელა ურიაო,
ჩვენში რამ გაურიაო.

— დიდი ამაგი ქონდა შენზე, კაცი იმან გაგხადა! — ოხრავს ფილიპე, ღვინოში დამბალ პურს დებს კასრის ლინგზე ფრთხილად.

— გამხადა კი?.. შემასმინა რამე?!

მეორდება სიმღერა ჭიჭინაძის ქალზე და ეძგვერაძის მულზე. არღნის ხმაც შემოდის დაგუდულად. სროლა აღარ ისმის.

— ნათელში დააყენოს დედაჩემი ღმერთმა, ხსოვნა იყოს! — სვამს, ცალ ლოყას ბერავს.

— შენც იჯამრთელე, ბიჭო, რაჟდენა და იმრავალჟამიერე, ჩვენს წამოწყებულს გაუმარჯოს, ცოტა აქეთ, ცოტა იქით და წინ წავალთ! — ღვინოს ასხამს ჩხრიალით, ზომაზე მაღლა აქვს ბოთლი აწეული.

— მიმიღებს ფარნაოზეი, რავა ფიქრობ?

— მიგიღებს... ცოტა ნდობასაც მოიპოვებ მანამდე... ცოტას აქეთ, ცოტას იქით... ამხანაგები არ იყავით?

— ვიყავით კი, ვირობიას რომ ვთამაშობდით, მას მერე ცხრა ტურამ იკივლა. ახლა მან სახელი იშოვა სახრავის ხარჯზე. ჩემი აღარაფერი მოწონდა ბოლოს. მე ვთვლიდი თუ რამედ!.. ვინ გადაახტა ქუთაისის ციხის გალავანს, მე თუ მაგ?! ციხეში ფეხი არ დაუდგამს... გაჩერდი რა, შენი დედის სამარე! — ლოყაზე ირტყამს გამეტებით მუჭს.

გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ,
რას მარიდებ მაგ შავ თვალებს!..

სიმღერას იწყებს ფილიპე. პირველ-მეორეს ამბობენ მაღალზე, ნემსის ყუნწში აძვრენენ ხმებს.

ორუდილა მრავალჟამიერ...

— ხუ, ხუ... ჩვენი ამინდიც დადგება, ბიჭო, რაჟდენა, საქართველოს გაუმარჯოს, ცოტა აქეთ, ცოტა იქით, საქართველოსაც ეშველება!

— მეტი არაა ჩემი მტერი, ღმერთო, შენ უშველე! — ზევით აპყრობს მზერას. სვამენ. რაჟდენი წინა კბილებით ციცქნის პურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იოლია მერე ეგ საქმე, რავა ფიქრობ შენ?

— იოლი ღომის ჭამაა, შვილო.

— კაცის კვლა არ მიყვარდა მაინცადამაინც არასოდეს!

— მოკალიო, არც არავის უთქვამს... უნდა დააჭერინო, ანდა, ამათ ასე ურჩევნიათ, უნდა გაასაღებინო!

— ეს უარესი! — ლოყა ებერება და ეკუმშება.

— როგორც აჯობებს, ისე გააკეთე, შვილო!

— ასეა! — ყური კარისკენ აქვს, ვილაც ისევ ისვრის, ამხნევებენ ყვირილით. — შეიშალა ქვეყანა, ეს საქმეა! — გამხმარ თითებს უკაკუნებს ცარიელ კასრს გვერდიდან.

— რას იზამ, უარესს უნდა ელოდო!

— დალიე ბოლომდე!

— აღარ ჩამატოვებინო წვეთი!

— ჩამოცალე, კაცო, ჩამოცალე, დაგავიწყდა, რა მიქენი იმ დღეს?!

— რა გიქენი? — ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს წრუპავს, მარილში ამოწებულ, თითზე სქლად დახვეულ პრასის ფოთოლს ახრამუნებს, ხელებს ასავსავებს ამის შემხედვარე რაჟდენი.

— რა იყო, ბიჭო! — ლუკმა ადგება, ახველებს.

— რაც შენ ნეხვი გაქვს ნაჭამი, — ზურგზე ურტყამს ხელს. — კბილები რაფრად შეგრჩა?

— შემრჩა. ახლა ამ მთავრობას გაუმარჯოს, კარგი მთავრობა გვყავს...

— მაგენი მანახა ნიორწყალში ჩაწყობილი ერთ დღეს...

— ხალხისთვის იღვწიან, სულაბერიძეს ჩინ-მედლები ჭირდება და ნარი ჩვენ უნდა გვაგლეჯინოს... ჩვენც ვერ ვხვდებით, ეგონოთ, რა გვენაღვლება... ფულს მოგვცემენ...

— მიმიფურთხებია.

— შემოგირიგებენ, თუ არადა, ჩაგკლავენ ნანიკაშვილივით, მაგათთანა ვერაგ ხალხს ვერ ნახავ, არ დაიჯერო მაგი. ჩათრევას ჩაყოლა ჯობია, იცოდე, მილიციაში ჩაგწერენ. სანამდე უნდა იწანწალო აბა?! დაფასებული გახდები მასკვან, ჩვენ მტრებს მთავრობის სახელით გავუსწორდებით... ტარანი თვლითაა, წონით კი არაა, ცოტა აქეთ, ცოტა იქით, ყველაფერი იქნება... მთავარია, არ აჩქარდე, ბიჭო, რაჟდენა, ხელობას სისუფთავე, საქმეს ოსტატი უყვარს!

— დამახვიე პრასის ფოთოლივით, მარა შენმა აჯობოს... ერთი არ გამოვიდეს ეს საქმე და მერე მე ვიცი, ჯავრს შენზე ვიყრი, მაინც არც ერთი კბილი არ მივარგა...

— მერე ჩემი რა ბრალია?

— ვიტამინებს მაკლებდით, უყუათო საჭმელმა მომირყია!

— მეტის ღირსი ვართ!

დოლ-გარმონის ხმა შემოვარდება. დახლიდარი მოდის მიხრიგლულ ფიცრულში ოცობოცოდ, დანიელას გამყინავი პირველი მოაცილებს.

— სხვას ხო არაფერს ინებებთ? — ვიწრო და განიერი შუბლი, დაჭყეტილი თვალები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდი, ჯერ ერთი ჭიქა დაგვილიე, დაგვლოცე, ცოტა აქეთ, ცოტა იქით...
— დალევით ვერ დავლევ, ფილიპე...
— რატომ? — ლოყაზე აქვს ხელი აფარებული რაჟდენს.
— საქმეა, ვმუშაობ, დალოცვით დაგლოცავთ!..
— ჩვენ უსაქმოდ ვართ?
— მაგი არ მიკადრებია, ღმერთმა გაძლიეროთ, წაღმა გატაროთ! — ჭიქას ცლის, თავდაღმა დებს კასრზე, არ მიდის. კითხვის ნიშნით უყურებს ფილიპე.
— ვინ არიანო, ყოყიამ, ვინ იმღერაო?
— მედროგეები არიან-თქვა, უთხარი!
— რო რამე იყოსო...
— გადი, გაიხურე კარი, შენი! — წამოიყვირებს რაჟდენი.
უკან მოუხედავად გახრიგინდება დახლიდარი.
— შემოდი ისევ! — მიაძახებს ფილიპე.
მჭიდროდ იხურავს ზურგს უკან კარს, უკან მომბრუნებელს აღარ ჰგავს.
— შენ, ბიჭო, — შვილს მისჩერებია, — ნერვებმა ხომ არ გიმტყუნა, სიგლახის ნიშანია მაგი.
— გადი თუ არა, მიგაყოლებ შენც!
— რას მიმაყოლებ, ბიჭო, მამა ვარ შენი, სხვა თუ არაფერი... შენი გაკეთებული ვარ სანახევროდო, თვითონ არ მითხარი... აწი და აწი მეტი სერიოზულობა დაგვჭირდება, მთავრობას ჩვენი იმედი აქვს, ხვდები შენ!.. ცოტა აქეთ, ცოტა იქით და...
— ცოტა აქეთ და ცოტა იქით არ ვიცი მე, გახურებულ კეცს და ტილოში გამოკრულ ცხელ მარილს რომ მადებდით ლოყაზე, არ მახსოვს გგონია... რატომ მირაქოვთან არ მიმიყვანდით!.. მაწამებდით, მკლავდით, ჯანმრთელ კბილებს მაძრობდით ჭიანის მაგივრად, ამას გაპატიებთ?!
— გასუნელდი, ბიჭო, შენ?!
— ასე იყო ეს! — ამოთეთრებულ თვალებს ატრიალებს.
— ხედავ, რა გაიხსენა!
— აბა რა გეგონა. ყველას სამაგიეროს გადაგიხდით... შენ შეიწირე დედაჩემი, არ შეგარჩენ, მის ცოდვას არ მოგაშორებ, არავის არაფერს არ ვაპატიებ, გაჩერდი რა! — მუჭით აშინებს კბილს.
ფილიპე იწყებს:

გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ,
რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
ხომ იცი რომ შენ ჩემს გარდა,
სხვა ვერავინ შეგიყვარებს...
ორუდილავ მრავალჟამიერ...
ჭიჭინაძის ქალი მომწონს...

— დახურე კარი, შენი დედა...
— არ გაუშვათ ყოყია, მოიწევს რაღაცას!
— დაახურდავებენ ყოყიას!
— დემოკრატიულ საქართველოს ვაშა!
— ყოყიას გაუმარჯოს!

ორუდილა მრავალჟამიერ...
ეძგვერაძის მულიაო...

— დაკეტეთ, თქვენი!
— ქარი აღებს, ბიჭო...

ორუდილა... ორუდილა მრავალჟამიერ...
დანიელა ურიაო!..
— ჩამოდი ლხინო!..
ყიყოია, შენ დაგენაცვლე, მაინცადამაინც!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

... იმ დღეს ბომბი ესროლეს შალოდია სულაბერიძის ეტლს და სოფელ ლაშეში მოკლეს ესები მესხი. პირში ჰქონდა ტყვია გარტყმული, სარბიელის ფერდზე ეგდო 67 წლის კაცი, თათრის ომში ნაჩხუბარი, ოლთისის გმირი. ბოლომდე ვერ შეიგრძნო თავისუფლების იდეა, ვერ გაიგო დამოუკიდებლობის გემო. დამოუკიდებელი საქართველო ვერ წარმოედგინათ საქართველოში, მაგრამ საქართველო უკვე ეძებდა დამოუკიდებლობას. იგი მოდიოდა, რადგან ეძებდნენ ძებნილის სახით. რუსული რევოლუციური დემოკრატიის ლიდერები ჩხეიძე და წერეთელი გადაეშვნენ დამოუკიდებლობის ძიებაში. ინტერნაციონალში ჩაყურყუმელავებულნი იჭერდნენ ღლავს და იცოდნენ, იგი არც სხვა წყლებში იყო. ბოლო-ბოლო დენიკინმაც კი აღაიარა მოკლე თვეში საქართველოს სუვერენიტეტი. მას უკვე სამხრეთის საზღვრისაკენ მიარბენინებდნენ გაბერილი შარვლით და ყველაფერზე ხელი ჰქონდა აწეული.

ქრისტეშობისთვე შემოვიდა. წამოთოვა. პაპყმა თოვლმა გადაათეთრა ანტორია. შავით გაწყობილი კუბო გამოიტანეს ეზოში. დადეს თეთრზე. შავოსანმა ქალიშვილებმა დაიწყეს ზუზუნი გაბმულად, მშვიდად. სამძიმარზე ამოვიდნენ სოფლებიდან ჯგუფებად თავშიშველი მამაკაცები, თმაგაშლილი ქალები. უკუღმა დაურახტეს ნათხოვარი ცხენი. ბალიშებზე დაბნეულ წმინდა გიორგის ჯვრებს დაეცა თხელი ღრუბლიდან გამოჭვივული ათინათი.

სულაბერიძე ამოვიდა დაცვით და იმ ეტლით, რომელსაც რესორებში დაუცლიან ქუხნაში აწყობილ ხელბომბებს.

მთავრობის წარმომადგენლებიც გამოცხადდნენ ტალახიანი კრაგებით, ჟოკე ქუდებით. ავტომობილი დაეტოვებინათ ლაშიღელეში. ტყავის ქურთუკიანი, შეციებული მძღოლი რიგრიგობით აპიპინებინებდა ბავშვებს პარპრიზთან დამაგრებულ შავ ოყნას.

ბაქოში რუსის ჯარი დადგა. საქართველომ სამშვიდობო-სამეზობლო ხელშეკრულება გაინაღდა და რუსეთის იურისდიქცია აღიარა აზერბაიჯანზე. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა თვით აზერბაიჯანელი ხალხის ნებააო, გამოაცხადა ნოე ჟორდანიამ, როცა აზერბაიჯანმა რუსულ-საბჭოური უღელი მოირგო; კონსტანტინე კანდელაკი და ფილიპე გოგიჩაიშვილი ევროპაში კალმასობდნენ, სარჩოს (პურს), თავის ქვეყნიდან გასაბოძარს, სხვაგან ეძებდნენ.

*

მშრალი ამინდები დაიჭირა კვლავ. ცივი ქარები ზუზუნებენ გაფიჩხულ ტოტებში. საკვამურებიდან ამოსული ლურჯი ბოლი ირხევა, იწვართება და წვება ყავარზე. ვახშმობა გადასულია. სერისკუდის დროა. კოპიტის კუნძები იწვის ბუხარში. ცეცხლი გუზგუზებს გოგნიძეების პალატში. კოლია და ანაპოდისტე ხუნდაძე მაჭარს სვამენ წვრილი ჭიქებით. შემწვარი კვახი, მოხარშული კვეჟო ტარო, თხილი, წაბლი ალაგია ტაბლაზე.

— ... თავი სიზმარში მგონია, ანაპოდისტე ჩემო, უბედურება დამატყდა, სიკვდილს და აწიოკებას გადავურჩი რაღაცნაირად, დაპატიმრებას ავცდი შენი წყალობით, დროზე რომ თბილისში არ გადმოვვარდნილიყავი, შენი ავტორიტეტი, გა-

მავლობა რო არ წამომყოლოდა, ციხეში დამალპობდნენ უეჭველად; გაჭრა ნათელმირონობამ, შენი სიკეთით ვარ და ნათლული მინდა გიდღეგრძელო!

— აღარაა ღმერთი და ხატიო, გჯერა შენ კოლია, ნათელმირონობა? — გამომცდელად ეკითხება ცოლი.

— იმე!

— ვინღა უყურებს მერე მაგას!.. — ქსოვს და სმენა აქვს გამახვილებული.

— ნუ ცოდავ, ქალო!

— ჩვენ, სოციალისტები, ათეისტები, უღმერთოები თქვენებურად, არ უარვყოფთ ტრადიციებს, რელიგიის, უფრო კი, რწმენის, სიტყვის და სინდისის თავისუფლებას ვქადაგებთ... გაუმარჯოს სალომეას, პატარა სალომეას, როგორ სწრაფად გავიდა დრო!

— ეს ერთიღა შემარჩინა განგებამ! — თვალები უჟუჟუნებს მაჭრისაგან შეფუცხუნებულს, ქალიშვილით გაამაყებულს.

— თბილისში უნდა წავიყვანოთ, ვასწავლოთ.

— უსწავლელი ადამიანი ცოდვაა. დრო მოდის იმნაირი, რო, დეიჩაგრება, ვხვდები, მარა უამისობა ნამეტურ გამიჭირდება, ანაპოდისტე ჩემო.

— თბილისში არის დიდი მდინარე? მე წყლის მეშინია...

— საშიში სხვა რამეა უფრო, მდინარეც არი, რასაკვირველია, მტკვარი, რას კითხულობ სალომე?

წიგნს აწოდებს.

— ეროდიონ ევდოშვილი, — მარცვლავს ანაპოდისტე. — ო, ვიცნობდი, სხვათა შორის.

— მკვდარია?

— მოკვდა კი.

— ცოცხალი პოეტებიც ხომ არიან, სირბილაძე, გვეტაძე იყვნენ ჩვენს სკოლაში...

— ჩვენებურებია, მართალი ხარ... — წიგნს უბრუნებს, ნახშირით აწერია ყდას — მოვალ.

— ჩვენც უნდა გავერიდოთ აქაურობას, ანაპოდისტე ჩემო, აღარ დამედგომება, გვეშველება ბატონო, რამე?

— უსაშველო ნუ ქნას ღმერთმა... კანონს მივიღებთ ამ დღეებში იარაღის აკრძალვის თაობაზე... ქურდებს, ავაზაკებს, ყაჩაღებს, დეზერტირებს ავლაგმავთ, თუ დაგვაცალეს. ბოლოდროინდელი მონაცემებით შემცირდა კიდეც ავაზაკობა, როგორც პოეტი იტყოდა — გზებზე დაცემა გზირისა.

— თქვენ აგაშენებთ ღმერთი!

— ანარქიას მოეღება ბოლო ერთხელ და სამუდამოდ. საგარეო პოლიტიკით იყო აქამდე მთავრობა დაკავებული, აწი შიგნითაც მივხედავთ ქვეყანას... ევროპამ გვიცნო, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაც მთავარია, ინფლაცია შეჩერდა, მართალია, კვერცხი ქათმისა, რასაკვირველია, ერთი მილიონი ღირს, მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა. ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფომ, მაგალითად, გადალახა ეს მომენტი, ეტაპი... ჩვენ უფრო სწრაფად ამოვყვინთავთ, თუ დაგვაცალეს. რაც მეტია დაწოლა, მეტია ამომგდები ძალა. წყალი ავიღოთ. რაღაა, მარა მარტო წყალი გვაცხოვრებს, რომ გავყიდოთ.

— წყალი, კაცო, ნუ ლაპარაკობ! — გადარეულია კოლია...

— აბა, სხვაზე აღარაფერს ვამბობ: მარგანეცი, ნავთი, ღვინო.

— ჭადის ფქვილი, ლობიო, ჩვენ მაგას ვყიდით.

— ჭადი და ლობიო, — ყოყმანობს. — ისეთი არაფერი, ადგილობრივი მნიშვ-

ნელობის სტრატეგიული ერთეულებია. მარგანეცი სხვაა... საექსპორტოა მარგანეცი, სხვა და სხვა... ეკონომიკა უნდა აღორძინდეს. ეკონომიკა შეინახავს ჯარს. ჯარი სიძლიერის ნიშანია. გავაფართოებთ რესპუბლიკის საზღვრებს ისტორიული, ძირძველი ქართული ოლქების ხარჯზე, დარიალიდან, უფრო სწორად, დარუბანდიდან. აქაა დაახლოებით დარუბანდი. — ნაცარში ხაზავს. — დარუბანდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ტუაფსემდე, იქით კიდევ, ეს პირველი ეტაპი იქნება მხოლოდ. აფხაზეთის სამთავროს გავაუქმებთ, ავაღორძინებთ ტრაპიზონის სამეფოს ვასალური, ჩვენდამი დაქვემდებარებული სტატუსით, აქაა ტრაპიზონი, აქეთ მთებია, კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხებია, აქ ქრისტიანობას განვამტკიცებთ, ავაღორძინებთ, უფრო სწორად, და ფიცით შემოვიმტკიცებთ ამგენს, ბუფერული ზონა რომ შეიქმნას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით. ახლა დააკვირდი, სად იქნება დიდი გარეწრის საზღვრები... — ჯოხით ხაზავს, ბუხარი აღარ უშვებს გარეწრეზე, — ამას, ამას გავცდებით...

— ბუხარს?

— ამ შემთხვევაში, ბუხარს და გავალთ...

— თამარ მეფის საფლავი სადაა? — ბუხრის ფიტონზე დებს ძარღვებად დარჩენილი ფოთლით ჩანიშნულ წიგნს.

— თამარ მეფის? — ნაცარს თავს ანებებს. — ზუსტად არაა ცნობილი. ამჟამინდელი მონაცემები მწირია. მემატიანისა და ჟამთააღმწერელის ცნობებით კი გელათშია დამარხული.

— არა!

— არა?

— ხვამლის კლდეშია.

— შენ რა იცი, სალომეა?

— ვხედავ. ჩამავალი მზე რომ შეენთება, ოქროს კუბო გაილანდება პირველ მაისს: ოქროს კუბო კიდია ჯაჭვებით, მხოლოდ ხელს ვერ მოკიდებ, ხელი არ ევლება... მე გავყვები დამავალი მზის სხივებს და თვალდახუჭული მივადგები... — მიდის, დახატულ სხივებში შედის...

— ჰოპ!

— ჰოპ!

ნაბდებში გახვეულები შემოხტებიან.

ამ ხმაზე შეჰკივლებს და ახელს თვალს: ფარნაოზი და რაჟდენია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ანგარიშმიუცემლად ეპატიჟებიან დაბნეული მასპინძლები.

დგანან. არ იძვრიან.

— ჩვენი ოჯახის ნათელ-მირონია, მიწათმომწყობი კომისარიატის მოხელე, დეპუტატი ანაპოდისტე ხუნდაძე.

გადაიძრობენ ნაბდებს და მთიულურის რამდენიმე ილეთს ჩაახვევენ ადგილზე.

მსუბუქად და მშრალადაა გამოწყობილი. თხელი, ღია ნაბლისფერი თმა და წვერი უბზიალებს, ღიმილი ახლავს, იარაღიც აღარ ეზედმეტება.

— სამი, ოთხი!..

იქვე დატრიალდებიან, ალაგობრივ, მკვახე დოლის ხმაზე.

შეთავაზებულ ჯორკოებზე სხდებიან.

კუთხეში აყუდებს წაქცეულ ნაბდებს კოლია. დიასახლისი ტაბლას ასუფთავებს თავწაკუზული.

— ჩემი ახალი ამხანაგია, რაჟდენ ბოცერიძე!

ბენვიანი, ტყავის ჟილეტი აცვია ქაშმირის ხალათზე. ღვედზე მაუზერი, ჯიბეზე საათის ოქროს ძენკვი კიდია. დგება და მოღვერილი ართმევს ყველას ხელს, ძალით იმძიმებს თითქოს სხეულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაჟდენი, რაჟდენი, რაჟდენი.

— დიდი სუფრა გაგვიშალე, ქალო, ზალაში, ზევით! — ბრძანებას არა ჰგავს მაინცადამაინც მასპინძლის ხმის ტონი.

— არაა, კოლია, საჭირო, აქაც კარგად გეახლებით, თუ რამე გაქვს; თავპატიჟსაც აღარ გავიდებთ, შორი გზა გვაქვს გამოვლილი, ნაწილი არ ჩაგვსვლია პირში... — ანაპოდისტეს უყურებს.

— საიდანღაც მეცნობით... — იხსენებს ანაპოდისტე.

— ადვილი შესაძლებელია.

— სადღაც შევხვედრივართ... რა ხელობის ხალხი ბრძანდებით, თუ უკაცრავად არ ვიყო?

ღიმილით მისჩერებია და არ პასუხობს.

— ყარაულები ვართ. — აცხადებს რაჟდენი მოულოდნელად.

— რას ყარაულობთ? — რაჟდენს უბრუნდება დაბნეული.

— ხიდებს.

ღრმა პაუზის შემდეგ:

— კიდევ?

— რკინიგზებს, შარაგზებს, ისე გზებს, ცოტას აქეთ, ცოტას იქით...

— აჰა... — გვარიანად შეფიქრიანებულია. — პიკეტზე ხართ?

— დიახ, კი, თითქმის... — ვერ ხვდება, რას ეკითხებიან. — თქვენ თავად, ბატონო...

— ანაპოდისტე... — ეხმარება კოლია.

— ბატონო ანაპოდისტ, თბილისიდან ჩამობრძანდით?

— ასე ვთქვათ.

— პატივცემულო ანაპოდისტ, სტუმრად თუ რაიმეს წასაღებად?

— წასაღებად?.. სახელმწიფო მიწები და სავარგულები უნდა ავზომო. მიწებს ვერ წავიღებ თან...

— ნამეტანი კაი, პატივცემულო ანაპოდისტ. — ე-ს აკლებს სიტყვას ბოლოში, თვალებსაც ვერ აჩერებს. სწრაფად გადააქვს მზერა სალომესაგან სხვაზე, სხვისაგან სალომეზე. ფარნაოზს ღიმილი არ შორდება. ზის, ძირს იხედება.

სწრაფად აწყობს ტაბლას დიასახლისი: ლობიოს ინჯრებს დებს ჯამებით, მწვანილს, მჟავეს, ყველს, ლორს ამატებს; კეცებიდან არეკილ ჭადებს აშორებს ნეშოს და ხამხას ნამეტანი თავგამოდებით.

ახალამოღებულ ღვინოს მოაცუხცუხებს კოლია მობრეცილი ფეხებით.

— ბუდრააშ, ბუდრააშ! — კრუხს მიდენის სალომე. — ბუდრააშ, ბუდრააშ, კრუხო, წადი საბუდარში!..

საინჩხვე კრუხი ნაწყენია, იმუქრება, ფრთებს მიაფხოკიალებს, ულოგიკოდ ატრიალებს თავს და განის კართან მისული ბრუნდება, ტაბლისკენ მოდის.

— ბუდრააშ, ბუდრააშ!

ღვინით სავსე ჭიქას უცვლის ფარნაოზი მასპინძელს. თავისას კოლიას გადაუდგამს, კოლიასას მიიჩოჩებს თავად.

— გააციებ კვერცხებს, კრუხო! — ხელს დასტაცებს მოულოდნელად და აკანკალებული გაჰყავს განის კარით სააბრეშუმეში.

ლობიოს ჯამში ამოიწებს ჭადის ნატეხს ფარნაოზი და კოლიას მიაწოდებს.

— მიირთვით! — ერთმანეთს მისჩერებიან უბრად.

სხვისი ჯამის ლუკმას გაღეჭავს ბოლოს შეცბუნებული მასპინძელი, ნელა ჩადის ყანყრატოში, რიგრიგობით იკეცება, იხურება და იღება ხორხის რგოლები. ღვინით სავსე მეორე ჭიქასაც გაუჩოჩებს თითის კვრით, ესეც დალიეო. სვამს, უხმოდ ცლის სხვის ჭიქებს მასპინძელი. ელიან. უყურებენ. რაღაც უცნობი რიტუალის მონაწილეობენ ანაპოდისტეს თავი. ჭადს გატეხავს მოულოდნელად ფარნაოზი! რაჟდენი პირჯვარს გადაიწერს. გამალებით დაიწყებენ ჭამას; თავდახრილი ილუკმებიან. არ ლაპარაკობენ.

— უკაცრავად, რა თქვით თქვენ, რას ვყარაულობთო? — ლაპარაკის ხასიათზე მოდის ანაპოდისტე.

— ხიდებს. — თითებს ისველებს ჭიქაში ჩარჩენილი ღვინით, ტუჩებს იწმენდს. — შარაგზებს, ისე გზებს, ბოგირებს, ბონდებს, ვაშლის ბაღებს, მეწლე ვაშლისას, ცოტას აქეთ, ცოტას იქით.

— საქართველოს სადღეგრძელოს ვსვამდით თქვენს მოსვლამდე.

— ნამეტანი კაი!

— გთხოვთ!

ფარნაოზს უყურებს რაჟდენი.

— გაუმარჯოს საქართველოს! — სვამს ფარნაოზი.

— საქართველოს გაუმარჯოს! — სვამს რაჟდენი.

მაინც უკმაყოფილოა ანაპოდისტე, რაღაც არ მოსწონს, რაღაცას ვერ იხსენებს.

— რას ვყარაულობთო?..

— ხიდებს.

— სადღაც შევხვედრივართ... — ფარნაოზის მისამართითაა.

— ალბათ.

— სალომეც მობრძანდა... — ჭიქებს ავსებს. — ჩასვი კრუხი, სალომე, საბუდარში?

— ჩავსვი კრუხი.

— აი აქ დაბრძანდით.

მორჩილად ჯდება ანაპოდისტე ნათლიის გვერდით, ფარნაოზს უყურებს მოურიდებლად.

— დამოუკიდებელი საქართველოს, დემოკრატიული რესპუბლიკის სადღეგრძელო იყო!

— ცარიელი სიტყვებია ეგ, ჩემო ბატონო.

— რა ბრძანეთ?

— სიტყვები. — ილიმება. — საიდან მოხვედით ხელისუფლებაში, ხალხის წინამძღვრობა ვინ ჩაგაბარათ?..

— ხალხმა, არჩევნებმა! — თვალები აქვს გაოცებისაგან გაფართოებული, საუბრის ამნაირ შემოტრიალებას არ ელოდა.

— არჩევნებმა, — მაგიდაზე აკაკუნებს თითებს ნერვებისმომშლელად. — შეყარეს ხალხი ცხვრებივით საარჩევნო სადგომებში, გეგელას, გეგელა სულელს მიაცემინეს ხმა... თქვენი იურისდიქცია არ ვრცელდება ნახევარ საქართველოში: აფხაზეთში, აჭარაში, ოსეთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ყარსში, ართვინში, სხვაში... სხვის რევოლუციაში ამოტივტივდით გამხმარი ნეხვივით. თანასწორობისათვის ბრძოლაში გაწყდა ხალხი და რა მიიღო სამაგიეროდ. მშრომელის, ბოგანოს დროც დადგებოდა, ეგონათ, არ დადგა. თქვენ თანასწორობის იდეას ულალატეთ. სამი წელი გასრულდება, რა გააკეთეთ? დაამშიეთ ხალხი, ქვეყანა მაინც ჭრელი დატოვეთ... ქურდების, მფლანგველების, მძარცველების სახელმწიფო შექმენით! წოდებრივი იერარქია დატოვეთ, თავაწეული დადის კიდევ და ზევიდან დამცინავად გვიყურებს მამა-პაპის აჭრილი, დასიფილისებული სისხლით გაამაყებული სიცარიელე... ესაა თქვენი სოციალური რევოლუცია?!

— თქვენ ვის ელაპარაკებით, თუ იცით?!

— ან თქვენ?

თვალით, ხელებით, ჩახველებით ანიშნებენ — ცოლი და ქმარი — გაჩერდით და ანაპოდისტეს ყურადღებას ვერ იმსახურებენ. თვალებწალულული, ოდნავ თავგაგადაგდებული სალომეც არ იღებს ხმას, ფარნაოზს არ აცილებს მზერას.

— ... ეროვნული გვარდია იპარავს, ართმევს, მაგათ ნაძარცვს ვარიგებ მე, ტყე იჩეხება...

— დასამალავი აღარ რჩება... — ერთვება რაჟდენი.

— ნადგურდება ბუნება. ზნე ეცემა. იყიდება სამართალი, კაცობა, სინდის-ნამუსი... რად გინდათ დამოუკიდებლობა, საქართველო თუ აღარ იქნება. მე თქვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას ვებრძვი და ვერ დავლევ ამ ჭიქას! — ცეცხლში ასხამს ღვინოს, ტკაცანს აუყენებს სასმელი მუგუზლებს. ჭიქას დადებს. სალომეს ანიშნებს, ნუ მომჩერებიხარო.

— რატომ? — ნაწნავებს შეარხევს და იმავ პოზაში რჩება.

— მითხარი რამე?

— არაფერი, ანაპოდისტე ნათლია.

გაშლილთითებიან ხელს იფარებს სახეზე, ვერ ვუძლებ შენს მზერასო, ანიშნებს ირონიული ღიმილით ფარნაოზი სალომეს.

—ვერც მე! — წამოიძახებს რაჟდენი, სიამოვნებით შეუძახებს ღვინოს ბუხარში, ჭიქის ძროს გახედავს ალზე, დოქს დასწვდება და ხელახლა შეუვსებს ყველას.

— მე ვერ შევსვი, თქვენ გაამოთ!

— ვხვდები, ვინაცა ხართ და მაინც არ მეშინია თქვენი, შენ შვილად შემეფერები, — ფარნაოზს მიმართავს, — მესროლო იქნებ!

— ბოდიშს გიხდით.

— მიირთვით, ბატონო, მიირთვით, შესვით... — გამოცოცხლდება ანუსი. — დიდი ხანია აღარ ჩანდით და ცოტა დავიბენით... მიაქციე, კაცო, სტუმრებს ყურადღება, რა გჭირს შენ! — ტარაბუადასხმულ ქმარს ამხნევებს.

— გადაიღეთ, მიირთვით, ღარიბულ პურმარილს ნუ დამინუნებთ, წიხლს ნუ მიკრავთ!

— ყველაფერი კარგია და საკმარისი, რავა გეკადრება! — კბილს იმოწმებს რაჟდენი.

— ჩვენი წასვლის დროც მოვიდა, დაგლოცავთ, წავალთ, თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო სტუმარო. არ უნდა ავყვეთ პატარაზე ერთმანეთს, ცხადია, მარა დროა არეული, აჭრილი. ადამიანი კი ღვთის გაჩენილია, ღვთის სახიერი და სწორიაო, ასე გამიგია და ერთს მეორეზე ბატონობის უფლება არ მინიჭებია, კაცისაგან კაცის დაჩაგვრა არაკადნიერია... — ფეხზე დგას.

— მაგაში გეთანხმებით.

— რატომ ჩქარობ, ფარნაოზ, ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა შენთვის. რა დროსაც არ უნდა მოხვიდე, გამეხარება.

— რა გასახარელი კაცი მე ვარ, შიში და სიკვდილი თან დამყვება... შენი სიმართლით გაგიმარჯოს, კოლია, ყველა თავისი სიმართლით ატაროს გამჩენმა! — თვალებში ჩასჩერებია.

— ამინ, ამინ! — თვალს ვერ უსწორებს.

რაჟდენი ნაბადს ისხამს უხალისოდ, სალომესაკენ აპარებს ვნებიან მზერას.

ფეხშეშლით გამოდის ფარნაოზი. კოჭლობს შეუმჩნევლად. ახრჩოლებული ჭრაქით მიაცილებს ჭიშკრამდე სალომე. ძაღლი მისდევთ. ფეხებზე სუნავს დროდადრო ფარნაოზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩავიტანე წისქვილში მახალი საფქვავით, როგორც დამარიგე. იქაა ანაფორა, ნიღაბი, პარიკი, ტყვიები და ქალის კაბა.

— ქალის კაბა? — გაოცებულია.

— ხარიტონ ბიძიას წამალი გაუთავდა. ერთი გაკეთებაღა დარჩა...

— მიგვაქვს და მოაქვთ, იქ გავითენებთ.

— აუ, რა ულმორე ღამეა — ალაგეზე გადასულა რაჟდენი, კიდევ უფრო ჩაუშავებია ნაბადს სიბნელე იმ ალაგას. ძაღლი ხედავს, ულრენს, გაბმულად, დაბალზე.

— გადი, გადი, მურა, გადი! — აგდებს სალომე. კუდამოძუებული მიდის, ღრენა-ღრენით ბრუნდება, ღობე-ღობე გადი-გამოდის, ადგილებსაც იმკვიდრებს ახლომახლო ცალფეხაწეული.

— ფარნაოზ, სწორი იყავი? — ხმადაბლა ეკითხება.

არ პასუხობს.

— ერჩი ამ სახლს?.. მოგწონს შენი საქციელი?!

კიო, თავს უქნევს და თვალს არიდებს.

— ძალიან?

— მოვალ ისევ.

— არ გაკოცო? — ჩურჩულზე გადადის.

— არა.

— არა? რომ ვერ დაბრუნდე?

— გული ცუდს არ მიგრძნობს ამ ჯერზე.

— სანამ უნდა იარო ღამეში?

— ღამეზე დიდი მეგობარი და მეკავშირე არ მყავს, ღამე...

— ამხანაგები?.. დედა, მამა?..

— ღამე... — მიდის. მოულოდნელად ბრუნდება ჭრაქთან. — და შენ. ერთადერთი სინათლე შენ ხარ მხოლოდ, სხვა არავინ... არ გამატირო!

სიბნელეში ინთქმებიან. ჩქამი არ გამოდის შავი ორლობიდან.

ოდა-სახლს უახლოვდება უკან შებრუნებული, ჭრაქი, დაგრეხილი ბოლი მიჰყვება ირიბულად.

ორი ლანდი მილაპარაკობს უმთვარო შუკაში. ძაღლები ყეფენ აქა-იქ. სძინავს სილუეტებ-კონტურებად დარჩენილ, ცივ ნისლში ჩაძირულ სახლებს, მშვიდობიან მესახლეებს, სოფელს სძინავს.

პირველი ლანდი — რატომ წამოვედით, რატომ წამომაგდე კერიიდან? მაინც რა გოგო ყოლია იმ ოჯახამოგდებულს!

II ლანდი — აბა, ცოტა ფრთხილად.

I ლანდი — მოყვრებია?

II ლანდი — აქ ყველა ჩემი მოყვარეა და ნათესავი, რომელ სახლშიც ჩემთან ერთად ფეხს შედგამ, პურს გატეხავ, ჭიქა ღვინოს აწევ, ჩემ სახლად დაიგულე. რას აკეთებ?

I ლანდი — ფეხში ხვინჭა ჩამივარდა, დაგეწევი.

II ლანდი — გიცდი. წახვალ და წამოვალ. ყოველთვის ჩემს წინ ივლი, ესეც დაიმახსოვრე!

I ლანდი — ეგ რატომ?

II ლანდი — ამნაირი, მურდალი წესი გვაქვს... გავა დრო, სხვანაირად ვივლით. ახლა პირი რკინიგზისკენ ქენი, ხმაზე მიხვდები, სახლს ვერ მივადგები პირდაპირ. — მატარებლის რაკარუკი ისმის დაგუდულად სიბნელეში. უბრად მიდიან. წინ რაჟდენია, როგორც ჩანს, უკან ფარნაოზი.

I ლანდი — რა გოგო ყოლია მართლა! — ნერწყვი აქვს მომდგარი.

II ლანდი — გითხარი, მე მგონი, გაგიმეორო?!

I ლანდი — არა, გასაგებია. ადრეც უნდა მივმხვდარიყავი... (მოულოდნელად) რა გინდა, ბიჭო, ფარნაოზ, ამ დამშეულ, გატყაულ სოფლებში?.. შენი სახელის ბაცაცა ვერ გაჩერებს?! ჩავიდეთ ქალაქში ამელამვე, ერთი ვაჭრის ბუნაგი მაქვს შეგულებული, მილიონის მარტო ოქრო აქვს, დავეცეთ საახალწლოდ, ავიღოთ, კაცურად ვიცხოვროთ!

II ლანდი — მე ჯერ არავინ გამიძარცვავს, ნაძარცვი კი ბევრს დავატოვებინე, არავისთვის არაფერი წამირთმევია იარაღის გარდა...

I ლანდი (ხმამაღლა) — მდიდარს წავართვათ, ღარიბს მივცეთ!.. ცოტა ამას, ცოტა იმას, ცოტა აქეთ, ცოტა იქით...

II ლანდი — არსენობას თავი დაანებე, შენი ადგილი ნახე, თუ შეგიძლია... ამ სოფლებში ჩემიანები სახლობენ... ყველა სახლში, სადაც ჭრაქი კიანთობს, ჩუმი მასპიძნელი ფხიზლობს... ყველგან ლოგინი და ღალატი მელოდება!

I ლანდი (ხმადამჯდარი) — ცხოვრებაა მერე ეგ?

II ლანდი — ეგ არი!

I ლანდი — თუ ეგ არი, ეგ იყოს... სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ, ვახარებ ჩემსა იასა, ჩამკლავენ, გაეხარდება სამარის კარსა ჭიასა... (ყმუის) უუუ!..

*

თოვს, თოვს ხოშკაკლავს, დედაბერი ღორსა კლავს...

და მოთოვა ოკრიბაში, ჩათეთრდა ორი მონასტერი. ჩაიკარგა წყალწითელა. ტყეში ხეებს მოუმრგვალდათ საწილო მიწები ფესვებთან. შეისუდრა სოფლები გაღმაგამოღმა. იისფერი კვამლი ამოვიდა ბუხრებიდან, ფიფქებში აიწვართნენ კვამლები.

დანახშირებული ოდა, ნახევრად ჩამწვარი, თავხეებჩახლეწილი პალატი დაფლულა თოვლში. ისლით, კაროლით დახურული სამზადი, მარანი, ქართა, ბოსელია გადარჩენილი.

წითლად ღებავს და ადნობს თოვლს სისხლი სიგრძეში. ღორს კლავენ და ღორის ჭყვირილი არ ისმის. დანას უსუფთავებს ჯაგარზე რაჟდენი.

ღორს ფუფქავენ, ატანტალებენ, აგვრიჭინებენ; ვერ ხვდება თუ რა სიკეთეს უშვრებიან, აბა, რის ღორია! სამაგიეროდ, ხმას არ იღებს ყელჩაღადრული, ტუჩზე ირონიულ ღიმილდაჩენილი, ფეხებაპლაკული. ფეშტემალაკრული კაცი დატრიალებს. თერთ ხეზე შავი ყვავი ჯდება, დაიჩხავლებს და წამოჰყვება ხმები თოვლიანი სოფლისა. ვიღაც ოდას თოვლავს. თხილის ტოტებს ჭრის რაჟდენი ბერილოში.

ქვაბი კიდია ნაჭაზე, სუთჩათხრილი ღომი შუშდება. გამურული თუნგი და კარდალაა კერიის ღადართან მიდგმული. დედა ცეცხლთანაა. სკამლოგინზე ზის ხილაბანდით თავწაკრული ხარიტონი. ღია კარიდან საჩეხში ნაბდის ქუდთვალებამდე ჩამოწეული ფარნაოზი ჩანს.

— ... როდემდე, შვილო, ფარნაოზ, დავიქეცით, გავუბედურდით... ამ კაცის ყურება აღარ შემიძლია... ეს რა შობა-ახალწელიწადი გაგვითენდა, ფარნაოზ. რა შევცოდეთ, ვინ გავარისხეთ. დამრჩენ გოგოები უპატრონოდ და მაინც შენ მეცოდები, მესიზმრები. სად ხარ, სად გძინავს, რას ჭამ, ვინ გივლის?.. ტყეში ნადირივით შედენილო, როდის დამიბრუნდები... ჩვენს ნასახლარზე თუღა გაზაფხულდება!.. ძეხორციელი აღარ გვეკარება, ხატზე გადაცემულებივით გვერიდებიან... ეს კაცი უწამლოდ აღარ ვარგა. ხმას აღარ იღებს. ზის და ფიქრობს, საფიქრალი და სატკივარი აღარ დაელია, ფიქრობს კი, ესეც აღარ ვიცი, ჩალას თუ დაუყრის ხანდახან საქონელს... ეყურება თუ არა რამე, ველარ ვგებულობ...

გაუკვალავ თოვლში მორბიან რაჟდენი და დაბებკილ ტანსაცმელში და ღაზლებში შეფუთნული დები; ნამდაუწუმ ძვრებათ დიდი ფეხსაცმელები. იცინიან. მოუხერხებლად ესვრიან თოვლის გუნდებს რაჟდენს. იცილებს, გარბის, იქცევა, იცდის, ისევ გარბის თხილის ჯოხებით. საჩეხში შესულს თვალები უშტერდება ნინდებისამარა დარჩენილი გოგონების შემხედვარეს, ცივ ორთქლს უშვებს პირიდან ცივ, მშვიდ ჰაერში.

— ხო, ხო, ხო, რა თოულია... — ბაკუნობს. — აქედან ჩიჩილაკები გაკეთდება, თქვენი მოწონებული. ერთი ფატის, ერთი კატოს, იქით ფქვილი, აქეთ ქატო, ანდა პირიქით, ცოტა აქეთ, ცოტა იქით, ლხინი თქვენ, ჭირი მე, მზე შინაა, ღამე გარეა, დღე გრძელია, ღამე ბნელია, საქმე ძნელია, ტყეში მგელია, დილა დიდია, ჭალადიდია, არაშენდა, გადაშენდა, ვისაც ჩვენთვის გლახა უნდა, ასკი-კუკუ არულად! — კერიას ჩამოუვლის ფეხის ფეხზე წაკვრით. საჩეხში გამოვარდება გოგონების კისკისში, თოვლს ახაპავს ხელით, პირს ისველებს. — შაქარყინულია პირდაპირ, შენ რას იტყვი, შენი სახელი!

— სიპიტო, ბატონო! — ფეშტემალზე იმშრალებს ხელებს სიპიტო, — ღორის მკვლელი.

— ბუშტი ამათ გაუბერე, ყვერები შენ დაიტოვე! — ბასრ დანას აძრობს ღვედზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან, გოგონების გაუთავებელ კისკისზე ელიმება, ჯორკოზე ჯდება, თხილს ხდის, ფეხის ხმა ესმის, ცხვირის ნესტოებს აცმაცუნებს.

— ჩემებია! — ჩუმად ეუბნება კარის ზღურბლს მიყრდნობილი, გახარებული ბავშვების ყურებით გახალისებული ფარნაოზი.

— ვიწყებ თვლას, ეს შენია, ეს იმისია, ანდა პირიქით, შენ რომელი გინდა...

— ეს.

— შენ?

— ეს.

— დაიმახსოვრეთ.

თოვლში მოიკვლევენ გზას სოფლელები, სვეტებიდან ჩანან სიგრძეში. შემოლაგდებიან. ულამფო ჯარგვალში ედებიან ჯორკოებს. ცეცხლი ემატება კერიას. იხდიან, ლაგდებიან. სხდებიან. კედელზე აკრული გოგონებიც აღარ იღებენ ხმას. ნახევარი რაჟდენი თლის თხილის ჯოხებს კარგარეთ, წელში იმართება დროდადრო, ნახევრის ნახევარი რჩება. ხნიერი გლეხი ლაპარაკობს, სოხანე აქვს სველი ფეხებთან:

— ... ღმერთი ნათელმხილველია, ფარნაოზ, სხვამ თუ არა, იმან მაინ ხო იცის, არ დაგვიკარგია ეს ოჯახი, ქე ვუწყობდით შენიანებს გარედან ცოტ-ცოტას ხელს. სიკვდილის შვილები ვართ ყველანი და ამ სიკვდილის ქე გვეშინია მაინც. შეგვაშინეს. ბევრი გვირტყეს, ბევრს დაგვპირდნენ. ახლა რაღაი ჯარი გაიწვიეს, მივხედავთ აქაურობას, ამ სახლსაც გავმართავთ, ასე გვაქვს გადაწყვეტილი... ცოტა მოსაკითხიც ქე მოვიტანეთ, მარა პატიების სათხოვნელად არ მოვსულვართ...

— რა გჭირთ საპატიებელი, ეგ მე ვიკითხო!

— შენთან ვართ, ფარნაოზ, იარაღი მოგვე ოღონდ შენ, დაგვიძახე და გამოგყვებით!.. — გულმოღეღილი, მკერდბალნიანი გლეხი ამბობს.

— შეგრჩა კიდევ ძალა? — ხელით სინჯავს. — ნალს გამართავ კიდევ? მკლავი არ ელუნება ურუს ნარტყამი! — მკლავს და მკერდს უმოწმებს სხვების დასანახავად.

— გამტეხა ჯაფამ მაინც, პატარაც აღარ მეთქმის... შენთან რა სახსენებელი ვარ! — შექებამ შეაწუხა.

— ძველი ხარ, სიპიტოსძევ, ძველი, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. თუმცა შენთან რა უნდა ჯერ სიბერეს. ეს ჩემი ახალი ამხანაგია, რაჟდენ ბოცერიძე!

ჟილეტიდან ოქროსძეწკვამოგდებული დადის მოუმთავრებელი ჩიჩილაკით და ხელს ართმევს ყველას:

— რაჟდენი, რაჟდენი, რაჟდენი... — გოგონებსაც ჩამოართმევს ნელ-ნელი, — ეს შენია, ეს ამისი, ოღონდ ცოტა ხანი დამაცადეთ! — ჯდება და ულვაშებს წრაფით აბურბუშალებს.

შალმოხვეული სალომე მოდის გაკვალულში. სამზადისის ღია კარის არეში იზრდება.

— ხარიტონ ბიძია, რავა ხარ? — გარედანვე იწყებს, ფეხების ბაკუნით. — გამარჯვება თქვენი!.. — ცოტა შეცბუნებულია, ამდენ ხალხს არ ელოდა, როგორც ჩანს.

— მოდი, დედა?.. ამოუღამდა ამ საცოდავს თვალები.

— გზა იყო ჩამოქცეული ოდელიაძეებში... — პალტოს და შალს კიდებს კადოზე. — გაგიკეთო ნემსი, ხარიტონ ბიძია?

თავს უქნევს თვალში სინათლეჩამდგარი, ფეხებსაც ათამაშებს უნიათოდ სკამლოგინქვეშ.

— წყალი ხომ გაქვთ დადგმული... — თუგს სინჯავს. — დულდა?

— კი, დედა.

ერთმანეთზე მიდგმულ ტაბლებზე შლიან პურ-მარილს. ერთმანეთს ეპატიჟებიან ჯორკოების ხრიგინით.

— მობრძანდით, დაბრძანდით, შენ რაღას ელოდები დედა, სამხიოც არ ჩაგიდევს პირში.

— ველოდები, დავჯდები.

— აგერ, ფარნაოზ! — სუფრის თავში უთავისუფლებენ ადგილს.

ხარიტონის შიშველ მკლავს ხილავს ნემსგამზადებული სალომე, ვენას ეძებს, წვალობს.

— სულ დაიკარგა, რაღა ვქნა აღარ ვიცი, მომუჭე ხელი, ხარიტონ ბიძია, ცოტა მაგრად, ემასე!..

ჩიჩილაკებს ანებებს თავს რაჟდენი, ენით ბერავს ლოყას, კბილს იმოწმებს და სალომეს აკვირდება.

— ბაწარი აგდია აგერ, თხის ნაბამი, გადავუჭიროთ! — თოკს ამარყუჟებს, ცალფად კვანძავს, დგება, მორჩილად გამოწვდილ იდაყვზე უჭერს ხარიტონს.

— აბა, სინჯე, ქალიშვილო!

გულისპირი ეხსნება ჩახრილ, ჩანემსგულისყურებულს, შინდისფრად დანინწკლულ მკერდს არიდებს თვალს, თავი გვერდზე აქვს შებრუნებული რაჟდენს. ნელა შეჰყავს სახეშეწუხებულ სალომეს ვენაში ნემსი და წამალი.

— ხომ არ გტკივა, ხარიტონ ბიძია? არა ხომ? მორჩა კიდეც... — არყიან ბამბას უსობს ნანემსარზე გულდაგულ.

თოვლში მოხრაშუნობს ვილაც მძიმედ. დანა უჩერდება თხილში რაჟდენს, თვალებწაჭუტული აყურადებს. გერონტი რობაქიძე ბუქნაობს და იცილებს თოვლს საჩეხში.

— ვინაა?

— კვეჟო! — თავს აღარ აწევს, ნედლ ბურბუშელაში შერგავს ცხვირს.

— გაგიჭირდა მოგნება? — ეკითხება ფარნაოზი.

— მხარი კი მეცვალა ერთ ალაგას, ჩაუჩუმქრავს გზა თოვლს, ღელეც დამშრალი მომეჩვენა. მოვედი მოკლედ მშვიდობით, კაი გამარჯობა თქვენი, მოგილოცავთ შობას, ახალ წელს, ყოლიფერ სიკეთეს, რანაირად დაუნახშირებიათ აქაურობა, დედა, დედა... არაფერია, ჩვენ ვიყოთ კარგად, ხარიტონ ჩემო და დანარჩენს ეშველება! — ყაბალახს და ჯუბას იხდის, არაბუნებრივად დიდ ხელის მტევნებს იფშვნეტს, დრო-

დადრო აპარებს თვალს რაჟდენისაკენ, თავაუღებლად რომ საქმიანობს. ადგილს უთავისუფლებენ ცეცხლის მხარეს, ეპატიჟებიან. — ხელცარიელი მოვედი ამ ბაღნებთან. ეს ვეღარ გავითვალისწინე, ხარიტონს ქე მოვუტანე სამყოფი... — მიკიდებული ჯუბის ჯიბიდან მორფიუმის ამპულების კოლოფებს იღებს, გამირზე ალაგებს. — ამათ რა მივცე, მოგიკვდეთ ჩემი თავი, — თავზე ხელს უსობს ბავშვებს. — ამათ... — ტყვიებს აჩხარუნებს გალიფეს ჯიბეში. — ეს! — მუჭად უყრის პეშვებში დანაღვლიანებულ ბავშვებს, — ცეცხლში არ ჩაყაროთ. ეს კი წამოვიღე ბლომად, აბგაში მაქვს. ცოტა ადრე მივალ, ვიფიქრე, სროლაში გაჯიბრებას მოვასწრებ-თქვა, ოც ნაბიჯში დავდებდი პაპიროსის კოლოფს, მარა დაჯდომილხართ უკვე, ხო ხარ კარგად ხარიტონ ჩემო! — ჯდება. იცინის, ბოლოკს არჩევს ბოლოკებში.

— ვარ, კი — მოგვიანებით იტყვის თვალებაბრჭყვიალებული ხარიტონი, გამირზე შემოდებულ წამალს უყურებს.

ჩიჩილაკებს ლანდავს სინათლეში რაჟდენი.

— დაუძახეთ ახლა იმ კაცს.

— ახლავე, ახლავე, არ მინდა დაძახება!.. ეს კატოს, ეს ფატის, ან პირიქით — ეს ფატის, ეს კატოს, ეს მე, ეს იმას! — ხან ერთს მალავს ზურგს უკან, ხან მეორეს, წაიცეკვებს და სკივრზე შემოდებს ორივეს, ჩაახუჭუჭებს იმ კუთხეს.

— და, — იცნობს გერონტი და ბოლოკს გაატარებს ყბაში ხრაშუნით.

— რით გავაწყოთ, ბატონო! — კითხულობს და.

— არ უნდა გაწყობა, გოზინაყი დაადევი ზემოდან, არ უნდა მეტი არაფერი, შენ ფატი...

— არა, კატო...

— პირიქით მეგონა... ფატი, კატო, გაიზარდეთ, თქვენ მოესწარით მრავალ ბედნიერ და კაი ახალ წელს! — საშობაოს იწყებს. მღერიან. ტონს აძლევს და მიჰყვება გოგონებს რაჟდენი წკრიალ-წკრიალში. გასუსულნი და გაოცებულნი უსმენენ.

— თქვენ რა გქვიათ, ვაუკაცურად! — ყველაზე ხნიერ გლეხს ეკითხება გერონტი, ბოლოკის ჭამას რომ მორჩება.

— მიხაკო, ჩემო ბატონო. — წამოდგომას აპირებს.

— იჯექი, არაა საჭირო, ბატონიც არ გინდა. აღარაა ბატონები, ვინც დარჩა, ჩვენ გადავაშენებთ... მიხაკო ჩემო, რამდენი კბილი გაკლია?

— სადღა მაქვს კბილები! — ქირქილებს.

— იმიტომაა, რომ ღოლნი, შეგატყვე, მდიდრებს ხორცის საკეპი მანქანა აქვენ, ჩააგდებენ ხორცს, გაატარებენ, გაცომავენ, შეწვავენ... ჭამას რალა უნდა მერე და ქეც ჭამენ რბილ კატლეტებს, შენ, ჩემო მიხაკო ძგვლიმავ შამფურზე შემწვარ ცვრიან მწვადს. ქე გიყურებ აგერ... იმას, ესე იგი, მჩაგვრელს აქვს ხორცის საკეპი მანქანა და შენ არა გაქვს...

— მართალია... — ჭამის ხალისი ეკარგება მიხაკოს.

— ... ესაა უთანასწორობა, მეტი კი არაფერი... ჩვენ, ბოლშევიკები, ვამბობთ: მდიდრებს წაართვით და მიეცით მიხაკოს. ეს არაა ლიტონი სიტყვები, ამას გავაკეთებთ, წავართმევთ იმას და მოგცემთ შენ, ყვავს არ ჰქონდაო და ბუს გაჰქონდაო, მარა მაგალითისათვის ვლაპარაკობ...

— მერე მაგ იგივე არ გამოვა, ბატონო? — სხვა გლეხი ერთვება ლაპარაკში.

— რანაირად გამოვა იგივე?

— ის გაღარიბდება და მე გავმდიდრდები, იმას აღარ ექნება, მე მექნება...

— არა. სწორად ვერ გამიგეთ: ჩვენ ვართმევთ მჩაგვრელს და ვაძლევთ ჩაგრულს.

— მერე იმან რა ქნას? — ინტერესდება მჭედელიც, კარგად რომ ვერ გაერკვა ამ დავაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იმან? — დინჯად ახველებს, ყელს ისუფთავებს.
— ასე რომ ვთქვათ, მდიდარმა?
— მოიპოვოს თავისი შრომით.
— ეგ სწორია.
— ნამდვილად სწორია...
— ერთი ხომ არაა ეს კატლეტის მანქანა, წავიდეს, მეორე იყიდოს...
— დავჯდეთ მერე და ვჭამოთ ეს კატლეტები!
— თქვენ რა გქვიათ, რა მაგის პასუხია?
— სიპიტო, ბატონო.
— რამდენი გაკლია?
— რა ბრძანეთ?
— კბილი რამდენი გაკლია?
— კბილი? კბილები ქე მაქვს ღვთის მადლით და უმადობასაც არ ვუჩივი, საჭმელი თუ მექნა...
— კაი დაგემართოს, მარა კატლეტი არ ჯობია ამ ძგვლიმს?
— ზოგს ღვდელი მოწონს, ბატონო, ზოგს ღვდლის ცოლი...
— ასეცაა... — ხასიათი უფუჭდება აგიტატორს.
— ამან დაკლა ეს ღორი, აქნა, კიდეც მოგვართვა! — სიპიტოსათვის გამოიდებს თავს მჭედელი.
— რო გთხოვე, ყვერები თუ წამოიღე?
— საკუთარი კი! — რაჟდენს პასუხობს სიპიტო.
თავშეუკავებლად ხარხარებენ. რაჟდენი ჩაბჟირებულია, გამწლეული მუცელი უჭირავთ ხელით. ხარიტონიც ილიმება უაზროდ, რაზეა ლაპარაკი არ იცის.
— დაიწყე შენ! — წყნარდება ფარნაოზი, ახალგაზრდა, მორიდებულ გლეხს უყურებს, — რაჟდენი გეტყვის პირველს, ჩვენც აქა ვართ.
გლეხი, ჯორკოუკანგაჩოჩებული რომ ზის, ახველებს, კიდევ უფრო იხევს და დაგუდული, ხავერდოვანი ტემბრით იწყებს მრავალჟამიერს. რაჟდენი მიჰყვება; მაღლა და მაღლა მიდიან. ჩაშავებულ თავხეებში ადის, ჩათეთრებულ, ჩათბინებულ მიდამოს ეფინება მრავალ-ჟამი-ეერ!..
— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — აღტაცებულია მჭედელი რაჟდენით.
— აბა, რავარი ძველებური გაიხსენა! — ეხმიანება უკბილო გლეხი, კატლეტებს რომ დაჰპირდა გერონტი რობაქიძე.
— და ეს არი სულ! — ძველებურად ილიმება გვარიანად შეხურებული ფარნაოზი. — თქვენ კიდევ არ იცით, ვინ არი ეს! კარგად დააკვირდით და დაიმახსოვრეთ: ეს კაცი მომკლავს მე!
გამაოგნებელ სიჩუმეს რაჟდენის ისტერიული სიცილი შეყლაპავს, აჰყვებიან, სიცილ-ხარხარია.
— იცინეთ თქვენ, იცინეთ! — ცრემლებს იწმენდს სიცილისაგან მიოსებული ფარნაოზი, — იცინეთ! — თვალგაშტერებულ სალომეზე შეუჩერდება მზერა. ამოჩემებულ სიმღერას იწყებს რაჟდენი:

გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ,
რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
ხომ იცი რომ შენ ჩემს მეტი,
სხვა არავინ შეგიყვარებს...

ფარნაოზი და რაჟდენი ახვევენ ამჯერზე.

... ორუდილა, მრავალ, მრავალ-ჟამიერ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს დას მივუძღვენი! — სალომესაკენ გაიხედავს, ყურადღების შეჩერებას საჭიროდ არ ჩათვლის.

— მადლობთ, — ნაწნავებს აწვალებს ფეხზე დარჩენილი.

სადღეგრძელოებისა და ლაპარაკის ჟამი დგება.

— ... პაპიროსის ცარიელი კოლოფიც წამოვიღე, სავსეც, მოწიეთ, აგერაა, ესეც გაცლილა. — ახალს იღებს ჯიბიდან. — რაღად მინდოდა ეს ცარიელი... დავდებ, ვიფიქრე, ოც ნაბიჯში, მთვარიანშიც შეიძლება, მარა მთვარეც აღარა ჩანს, მგონი, დაღამდა!.. დავდებ, ვიფიქრე, დილით გავეჯიბროთ, ფარნაოზ...

ღიმილით უგდებს ყურს, არ პასუხობს.

— ვის უნდა გაეჯიბრო შენ? — კბილს ისინჯავს ლოყიდან თითით რაჟდენი. — შენ რო ერთს ისვრი, ეს ათს გაარტყამს, ცოტა აქეთ, ცოტა იქით...

— შენ რა იცი, მე რამდენს გავარტყამ ამის ერთ გარტყმაში?! — რაჟდენს უყურებს. პირველად უსწორებენ მზერას ერთმანეთს.

— გიცნობ.

— გინახავს ჩემი სროლა?

— კი. რა სროლა გაქვს ამნაირი!.. მოსახვევიდან რომ უმიზნებ კაცს ორ მეტრში ნახევარი საათი, ამას ეძახი სროლას?.. უკანიდან...

— შენ, რაჟდენ, ხომ იცი, ვინა ხარ, ბაზრის ქურდი! — მაუზერზე იფათურებს ხელს.

— შენ ვინა ხარ?! — მაუზერს ეთამაშება მალულად, დაძაბულია, არ იმჩნევს.

— მე პროლეტარიატის ინტერესებს ვემსახურები. შენთან პურიც არ უნდა გამეტეხა!

— მე შენი პროლეტარიატის, პირი ქვისკენ მიქნია, — ქალებისაკენ იხედება. — დედა ვატირე, შენთან მჯდომიარეს ციხეში შესასვლელი პირი აღარ დამრჩა, გამოდი ერთი გარეთ!

— აბა, აბა!.. — სად გგონიათ თავი! — შუაში ჩასადგომად ემზადება ფარნაოზი. — მომეცით იარაღი!

— მშრომელი ხალხის სახელით გამოგიტანთ განაჩენს, შენი!..

— დააგდე იარაღი! — კატასავით ხტება ადგილიდან რაჟდენი.

ერთმანეთისაკენ მიიწევენ, სუფრებს და პურისმჭამელებს ედებიან. ერთმანეთს ეძებენ და ლეწავენ იქაურობას, ტაბლას აბრუნებენ, ხარიტონს გადააგდებენ ტახტიდან.

ცეცხლში ისვრის ფარნაოზი. ჩინჩხვარი გადის გარე. წითელი პნკიალია თოვლზე. კვამლი ბრუნავს, ერთმანეთს ვეღარ ხედავენ. ახველებენ. ტირიან. გოგონებს აწყნარებს, ეფარება სალომე. დედა იხვეწება, შვილებოო, იძახის. აყირავებულ ხარიტონს ქაჩავს ერთი. სტუმრები წასვლას აპირებენ, მიიძურწებიან. ჭრაქი შემოდის და ნათდება.

— ფეხი არ მოიცვალოს არავინ, აანთეთ ლამპაც!.. სადაც იჯექით, იქ დაჯექით! — ყვირის ფარნაოზი, — ვისაც დალევა არ შეუძლია, დაანებოს თავი სმას, დაალაგეთ იარაღები. დედა, ჩაიბარე!

მორჩილად აწყობენ. ტაბლებს ასწორებენ. ძირს გადაყრილ პურმარილს ეძებენ. ფეხებაშვერილ ტახტსა და კედელ შუა ჩაჭედილ ხარიტონს აძრობენ. ქირქილებს ხარიტონი. რითაა გახარებული, ვინ გაიგებს.

— ბაღნებო, შეწყვიტეთ ტირილი, სატირალი არაფერია. საახალწლო შილინგი იყო, ხომ უნდა გაიგოს მტერ-მოყვარემ ჩვენი აქ ყოფნა. როგორც დაიწყეთ,

ისე გააგრძელეთ, სიპიტოსძევ, შეყევი, როგორც მიყობოდი, მე ამ ქალიშვილს გავაცილებ, მალე გეახლებით!

განიარაღებულები სხედან, მორჩილად, თუმც უნდოდ უცქერიან ერთმანეთს.

— ამდენხანსაც უნდა გამხსენებოდა, დედა, ვის გაუგონია სასმელსაც თი-ფი! — ბოსელში გააქვს კალთით და იღლიით. ძროხა ახრამუნებს ჩალას ბოგა-ზე.

მთვარიანში მიდიან. ქალისა და ვაჟის მუქი სილუეტები მიცურავენ თოვლზე.

— შეგეშინდა?

— იმ ღამის შემდეგ თუ რამე გადამრევდა, რავა ვიფიქრებდი. რატომ მიატო-ვე, არ დაწყვიტონ ერთმანეთი?! — სალომეს ხმაა.

— პირიქით, უნდა გაეცალო ამ დროს... ქალი აღიზიანებთ უფრო, ხვადს ძუ აკარგვინებს თვალის ჩინს... თითოსაც დალევენ და ძმობასაც შეფიცავენ ერთ-მანეთს.

გოგოვ, გოგოვ რას მიყურებ...

— სიმღერის ხმა გამოვა სინათლიდან.

რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს.
ხომ იცი, რომ სხვა ჩემს მეტი
შენ არავინ შეგიყვარებს...

— ... ფარნაოზ, არ მომწონს მე ის კაცი!.. — ჭიშკარგადაღმა არიან.

— რომელი?

— ის, რომელმაც უნდა მოგკლას, არც მეორე...

გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ,
რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს...

— ის კარგი კაცი ჩანდა...

— მიხა? — ფიქრობს. — მიხამ თავს უშველა... — იხსენებს. — მიხას თავი-სუფლება ოჯახია. გვიან მოაგონდა კია. ოჯახი სახელმწიფოა სახელმწიფოში. არეულ ქვეყანაში ოჯახი არ დალაგდება. დაულაგებელში კი ადამიანი თავისუ-ფლებას ვერ ეღირსება. რა არის თავისუფლება? მეგონა, ვიცოდი. თავისუფ-ლება სიკეთეა. სიყვარულია ალბათ. დანარჩენი თამაშია. მე თამაშში ვარ, ამ წრი-დან ველარ გავალ!

ძგლივ თოვლში დგანან. ფეხი ღრმად აღარ ჯდება.

— მერე ასე როგორ უნდა იცხოვრო?

— ესაა ჩემი ცხოვრება. ჩემი ვარსკვლავი ანათებს, არ ბჟუტავს, სამაგიე-როდ, უცბად ჩაქრება...

— რა ნახე ჯერ, რა მოასწარი?

— ბევრი ვერაფერი, მარა უკან მოხედვის მეშინია მაინც. ჩემმა სიმართლემ ხან წალმა მატარა, ხან უკულმა. სიტყვა არ გამიტეხია, არ მიღალატია. ღარიბი და საწყალი, ხათრიანი და მორიდებული მეცოდებოდა... ამან არ იკმარა. ახლა აღარ ვიცი, სად მომეკითხება და როდის. იმქვეყნად?!. როცა ყველა ერთად და-ვიყრით თავს?!

— ღმერთი ყველაფერს გაპატიებს.

— ან მაპატიებს, ან არა...

— მე უშენოდ არ ვიცოცხლებ... — ზერეგამძგლივებული თოვლი უტყდება. მკლავზე ეჭიდება ფარნაოზს. ელექტრონის მთვარისკენ იხედება, ზევით, შე-წუხებული. — ყინავს უკვე, ამდენი კი არ შემიძლია, კიდევ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზევიდან:

— ერთიც, კარგი იყო!

კუბოკრულ შალში იფუთნება:

— ფარნაოზ...

— მოწამეთას ეკლესიაში დაგელოდები.

— რა უნდა მეთქვა კიდევ: ბარჩხალიამ დედის დანატოვარი მარგალიტების ყელსაბამი მაჩუქა... გეწყინა? დავუბრუნე, ფარნაოზ!

— ნაჩუქარს არ აბრუნებენ!..

— შეინახე, ბარჩხალია, მე ვეუბნები, დედის მოსაგონარი სამკაულია, გული კი დამწყდა.

— გული იმასაც დაწყდებოდა, ბარჩხალიას ხომ შენი გახარება სურდა!..

— რა ვიცი, აბა... რატომ დამელოდები, ფარნაოზ?

— რატომ ელოდება ხოლმე ვაჟი ქალს საყდარში... დაგელოდები და მოხვალ!

— როდის?

— როცა შემოგითვლი. როგორცა ხარ, ისე წამოდი, ხელში არაფერი დაიჭირო!..

— საკერავი მანქანა არ წამოვიღო?

— არა. თუ მანამდე მომკლეს, ვითომ არ ვყოფილვარ. წადი. არ გვინდა ტირილი. უკან არ მოიხედო. გხედავ.

მიდის. უკან არ იხედება. სიმღერა მიჰყვება შორიდან.

> გოგოვ, გოგოვ, რას მიყურებ...
> რას მიშტერებ მაგ შავ თვალებს,
> ხომ იცი რომ სხვა ჩემსავით,
> შენ ვერავინ შეგიყვარებს,
> ორუდელა, მრავალჟამიერ...

*

ყინავს მთვარიანში. წასულან სტუმრები. აულაგებელ ტაბლაზე ჯამებია ახორხლილი. სძინავს დედას სიხანეში გაჩენილ შვილებთან. უფროსი შვილის დარდჩაყოლილს სიზმარი არ ასვენებს. კერიასთან დარჩენილი ხარიტონი მუგუზლებს ისვრის ღია კარიდან.

— გადი, გადი, მაძახურა!

ლაფაროში მიკეცილ, კუდქვეშ თავშერგულ ძაღლს გაზმორება ეზარება, იღრინება მასპინძლის ხათრით, ცალი თვალით ხედავს გადაყინულზე აპნკიალებულ ნაპერწკლებს.

— გადი, შე ოხერო, მარჩხიბო, გადი, ქაჯო, მაძახურავ!

— რა იყო, ხარიტონ?! — ძილს ვერ ართმევს თავს ანა.

— ტრაკს მაჩვენებს კუდიანი, ბღალავი, შუშანა, შენი!.. — მუგუზალს ისვრის, — მარჩხიბო, შუშანა!

— ბაღანა ხომ არ მობრუნებულა?! — დედა კითხულობს ძილქუშში.

— გადი, გადი, მაძახურა, ქაჯო, შუშანა!

დადაღული უკანალი აქვს მოშვერილი გარედან მთვარესავით.

— უხ, შენი! — მთვარეს ემუქრება.

*

— ბეჭედი მოგცა? — შუშანაა ნაცარში კერიასთან.

— მომცა.

ცეცხლი ანთია ჯარგვალში. გაჭვარტლული აჯინჯოლი ეშვება თავზიდან. ჭვარტლშია ულამფო ლარტყები. კვამლი ადის ჭვარტლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსაფრის ნასკვს ხსნის და ოქროს ბეჭედს აელვებს ნაკვერჩხლებზე სალომე.

— მომეცი. — სპილენძის თასში აგდებს.

გამხდარი, ჯორკოზე მჯდარიც მაღალი,— ეშხიანია შუშანა.

სპილენძის ფსკერზე იყურება ბეჭედი ფარფატით. თასში წყალი იშლება რგოლებად. გიშრისტარიანი დანით თლის ნახშირს, ბეჭდიან თასში ყრის ტუჩების ცმაცუნით.

— ... შენ მიყვარდი სალომეა მე, თვალს არ გაშორებდი, როცა გეზრდებოდა მკერდი, გემატებოდა სითეთრე და სიწითლე. ყვავილივით ამოხველი ბალახში. მაღლაკელიძის გერი რომ გამოგეკიდა, ცხენიდან გადმოვაგდე, მივაჩერდი და გადმოვარდა, გველს ვაჩერებ თხილის ჯოხით, მარა ჯოხი რა შუაშია, თვალია ყველაფერი. მივაჩერდი, ვაი, შენ გადმოვარდებოდე, დეესობოდე თავით მიწაში-თქვა. ეებორკა ფეხები ნახშირგორელი კაცისაგან ნათხოვარ ცხენს და გაადინა ზღართანი მაღლაკელიძემ...

— შენ გადმოაგდე, შუშანა ბიცოლა?

— მე.

— ის საცოდავი...

— საცოდავი ?! გადათელვას გიპირებდა გახელებული...

— საცოდავი იყო მაშინაც...

— დეიხი ცოტა უკან, ხურხარ ისედაც და ალმა შეგიტკიცა ბარძაყები... გადმოვაგდე შენი გულისათვის, ახლაც სისხლს ანთხევს, ჭლექი არ ეხსნება. აქანე კი შავად იმზირება ბეჭედი, იშლება სიშავე და მაინც კუბო ამოდის. გაწყდი, გაქრი! — შავტარიან დანას უღერებს... — შავი არ გშორდება, რა ვქნა!

— რა უნდა ვქნა, მაინც წავალ მოწამეთაში, მარტოსულო შუშანა!.. — ოხრავს და შუშანაო, იმეორებს ვიღაც.

— შუშანა...

— შუშანაო?

— გარედანაა, რომელი ხარ, შემოდი!.. ვინ მოვიდა ნეტაი ამ ყიამეთში?

ბარჩხალიაა. მაზარაში გახვეული, ქუდჩამოფხატული, გულზე აკრული საქაღალდით.

ბუქი მოჰყვება. ბრელავს. ფიფქების კორიანტელი ჩანს კარს იქით.

— მოდი, ბიჭო, გათბი!

— ეს მოგიტანე! — სალომეს მისჩერებია.

— რა მოიტანე, ბარჩხალია?

— რო მითხარი... — საქაღალდეს აძლევს, თავად ვერ ხსნის დამზრალი, გაიისფერებული ხელებით.

მაზარას ხდის შუშანა, კერიასთან სვამს.

— ქუდიც მომე.

— წმინდა ნინოა, ამოვჭერი. — სალომესაკენ აქვს თავი შებრუნებული.

წმინდა ნინოს ბეჭდურ სურათს დაჩერებია სალომე.

— ეს რაა, ბარჩხალია?

— მაგი მე დავხატე, დამხრჩვალი დებია...

უკულმა ეჭირა თურმე, შეაბრუნებს და წამოიკივლებს:

— გული ამიფართქალდა!.. — გულისცემას აყურადებს.

ცისფერი წყლიდან ჩანან გახელილი თვალებით გულაღმა ამოტრიალებული დები, ცისფერბაფთიანი ჩალის ქუდები მიაქვს წყალს.

— მაჩვენე, გოგო, რაა?

ცოტა ხნის შემდეგ:

— შუშანა ბიცოლა, გინდა გაჩუქებ ნაწნავებს?

— რას მაჩუქებ?

— ნაწნავებს. — ორი ჭელი ნაწნავი უჭირავს მუჭით ყაჭივით — იქ რა წესები აქვთ, აბა მე რა ვიცი, თუ მეტყვიან, შეიჭერიო, შევიჭრი და ხომ არ გადავაგდებ! ჯვარს ვიწერ, ბარჩხალია... გეწყინა?

— არა, გამეხარდა.

— აბა ეს სიხარულის ბრჭყვიალია... — თვალებში უძვრება.

— ეს ჭირხლია, სალომე, გალღვა ცეცხლთან.

— წაქს დაგალევინებთ, ისე არ გაგიშვებთ.

— წაქი არ მინდა, შუშანა... ეს რო მაჩუქე, ბარჩხალია, მე რა გისახსოვრო?..

ბედუბედო გოგო, სვეუსვეო ვაჟი!..

ჯამს ჩასცქერის შუშანა გიშრისტარიანი დიდი დანით.

*

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო, წმინდა გიორგის საყდარი რატომ გატეხეო.

შეფიფქულია ბზა მოწამეთაში. ხავსი ჭიატობს რილოში. თეთრმწვანეშია მოწამეთა-ჭახათას შეფენა. იცის ასე ადრიანმა გაზაფხულმა, ხელმეორედ როცა გადაათოვს გაღივებულ ბუნებას. კვირტების ტყეს, კლდეზე გაგებულ ხავსს, ქვის ხვიფლს ეფინება კიდევ ფიფქები და ნათდება არე გადახრილი მზის სიმქრაქალეში.

— შიგ ვერ შემოვალ, მამაო ამბროზიო...

ბერთა სენაკებია წარაფის ზურგზე აქეთ-იქით ჩარიგებული. წინ საყდარია ღია კარით. საკმეველი მოყვება თბილ ჰაერს, წყალწითელას ხეობაში იპნევა.

— მამა ამბროზიო, მცნობ მე?

— გიცნობ.

ცალწარბაწეული მისჩერებია ნაბდისქუდიანი, ნაბადში გახვეული, იქნებ სხვა ვგონივარო, კიდევ არ სჯერა.

— ამ მხარეში ყველა გიცნობს.

კიდევ ფიქრობს.

მოთმინებით ელოდება თეთრწვერა, თავშიშველი ახალგაზრდა ამბროზიო მამაო.

— ჯვარი უნდა დავიწერო.

ახლა ამბროზიო ფიქრობს.

— რომ არა გწამს?

ფიქრობს.

— სხვისთვის მწამს, კანონიერად მინდა აღსრულდეს...

— მხევალი?

— თანახმაა.

— ვინაა?

— თანახმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს უყურებენ.

— როდის მოხვალთ?

— გათენებამდე. აქ არავინ არ უნდა დაგვიხვდეს.

— შეიძლება.

— რა დღე ჯობს, მამაო?

ასე ამბობს: მამა-ო, მა-მა-ო.

— დღესასწაულები, უქმეები ჯობია.

— დღეები?

— სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათ-კვირა.

— მოვალთ გათენებამდე...

უცდის.

— სამშაბათს, ხუთშაბათს ან შაბათ-კვირას...

— ... კვირა — უქმე — დღესასწაულიც შეიძლება.

ელოდება.

— ხვალ, ზეგ, მაზეგ, ცოტა ადრე, ცოტა გვიან...

ფიქრობენ.

— ვთქვათ, არ მწამს?

— ხომ გინდა, რომ გწამდეს, საკმარისია.

— ჩემთვისაც ღიაა?

— ყველასთვის...

რატომ ილიმება? მამაოს რატომ ამბობს სხვანაირად? ხომ არ დაგვცინის? არა.

— ... ქრისტე მონანულთა ღმერთია. ჩვენგან წასული ჩვენთან მოვა ხელმეორედ, მონანულთათვის მოვა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად...

— მე ბევრი ცოდვა მადევს, ბევრი მომანერეს, თუმცა ბევრიც დამაკლეს, ჩემი მყოფნის მაინც...

— ... რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაითა დასაჯოს სოფელი, არამედ რაითა აცხოვნოს სოფელი მის მიერ...

— ყველას ყველაფერი ეპატიება, მამაო ამბროზიო?

— მონანიეთ. ესრეთ იყო სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმა შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული...

— ეგ კი არ მესმის. მამაო ამბროზიო.

დიდი ყვავი ჯდება ნანგრევებში ამოშოლტილ ხის კენწეროზე, ფრთებს ისწორებს, არაფრის გამო ჩხავის.

— ყვა, ყვა, ყვა...

თვალწაჭუტული უყურებს ყვავს. ნაბადს იხსნის, ბეჭზე თავდაღმა დაკიდებულ ლულაგადაჭრილ შაშხანას ისწორებს, ღვედზე ასხმული ბომბები, ყანიმებით მხარიღლიებ ჩამოპორწიალებული მაუზერები, გადაჯვარედინებული ტყვიებიანი სამასრე მოუჩანს.

არღნის ხმა შემოდის საიდანღაც.

— ყვა, ყვა, ყვა!..

— დახრჩობა! — თავისი ანგარიში აქვს მღვდელს. ეტყობა, ყვავთან.

— ... ცაში უფრო დიდი სიხარულით მიიღებენ ერთ მონანიე ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს...

— მამა ზოსიმე ესროდა ყვავებს?

— ესროდაო კი. ჭამდაო. მტერი ჩავარდა ხალხის ყბაში. არ ჭამდა. მტრედებს კი კლავდა წინილებივით. ამას მეც შევესწარი. მტრედი სამსხვერპლოთა ... ძლება. ყვავებს არა, არც ვჭამთ, არც ვესვრით.

გულმოსული ყვავი, არ ვესვრითო და, მძიმედ ჩაფრინდება ხეობაში, ნაცრისფერ ტინებზე ალივლივებს ჩრდილს. ხის კენწერო ქანაობს უყვავოდ.

— სამჯერ დაგვეცენ მარტო ამ წელს, დავით და კონსტანტინეს ძვლები დაგვიტოვეს მარტო...

— ერთხელ ჩემი სახელით გაძარცვეს აქაურობა. შენ არ გეცოდინება, ახალი ხარ. ჭორფელაძეები აღმოჩნდნენ. იმათ კი ვადინე ცხვირიდან შამარა, მარა ქვეყანას ვერ მოვუარე...

— ქვეყანა დიდია...

— ჩემთვის ნამეტანი უკიდეგანო... მამაო, აღარ გაიმეორო.

— რა, ბატონო?

— რაც მე ორჯერ ჩამომირეკე: ერთ მონანიე ცოდვილს უფრო დიდი სიხარულით მიიღებენო. არ უნდა გამეგო, არცთუ ისე გლახად ყოფილა ჩემი საქმე, და რა ქნას ოთხმოცდაცხრამეტმა მართალმა, მოსანანიებელი რომ გონია, არაფერი მაქვსო. ქვეყანა, მამაო ამბროზიო, ეს თუ გაისიგრძეგანეს, მონანიე ცოდვილებით გაიტენება, თუ გაიგეს იქაც არ დავისჯებით, შურისმაძიებლები დაიბადებიან, დედამიწაზე მონანიე ცოდვილები გამრავლდებიან...

— ისედაც სავსეა მათით... ადამიანს პირველქმნილი შეცდომა არ ასვენებს... იგი დაბადებით ცოდვილია...

ფიქრობენ.

— ვინ ისვრის, მამაო ამბროზიო, უპრაგონოდ?

— არადონა იემენიძე ქეიფობს, შვილიშვილი განათლა, გააქრისტიანა...

— მაგას კი აქვს საქეიფოდ საქმე... შვილი ციხეშია, რძალი მილიციას ჰყავს გადებული, თვითონ ცოლიდასთან ცხოვრობს სიდედრის ნებართვით.

ცოდვილია ადამიანი?

არღნით, სროლით, შეძახილებით მოდიან მისიონერ არადონას მეთაურობით.

— გამთენიისას მელოდე, ამბროსი, იემენიძეს მაინცადამაინც არ გაეხარდება ჩემი დანახვა...

ჯაგნარში გადაუხვევს და ტყეში გაქრება, ხვინჭა ჩაჩხრიალდება სულ ახლო ქარაფზე წყალწითელას ჩასახედავში.

*

მიტოვებული სენაკები ინგრეოდნენ ნელა, კედლები იბზარებოდნენ, ლეღვი ამოდიოდა სახურავმოფრიალებულ სხვენში... ყურის ლოდები ცვიოდნენ დროდადრო უფსკრულში კლდეზე და ხეებზე ხათქახუთქით.

ბოდოკიძე ხავსს აგროვებდა წყალგაღმა. შინდისფერ ჩქერებში ვბანაობდი, მურყვამის წითელ ფესვებს ვებღაუჭებოდი ამოსვლისას.

ცალ ბეჭზე შეუნაგრებული ორი ტომარა ხავსი გამოჰქონდა არწეულ ბონდზე — სტვენითა და ღიღინით — ბოდოკიძეს. მოგეხმარები, ვეუბნები სველი თმის ტკეპნით.

... რამ ჩაგიყვანა იმ მღვრიე და ცივ წყალში, გალიგვებული გაქვს გვერდები, ამას ვერ მოერევი!.. — ეშმაკურად ეღიმება, თვალს არ მისწორებს. მჩატეა. გაბუმბულებული მეჩვენება. მძიმეაო, მატყუილებდა. რა ხარ, ბოდოკიძე!

ვისხედით კედლის ჩრდილში, მიუხედავ-მოფრიალებული იყო საყდარი, ალსავლის დიდი კარიც ჩამოეხსნათ.

— მოდი, დავაწეროთ კედლებს, რომ აქ ვიყავით! — ბოდოკიძის ნინადადებაა.

შიგ-შიგნიდან ვიწყებთ;

ვჯღაბნეთ, ვკაწრეთ. წამოფერდებულ კანკელს მივადექით. ვიყავით მე და ბოდოკიძე იუზა. ამ იუზა ბოდოკიძემ კოვზებიც მოიპარა ბარაბით მიკეტილ ფარდულში წასვლისას. ეს რაღა ჯანდაბის ოხრობად (ხავსი „სავენოკეებში" მიჰქონდა) გინდა-მეთქი.

— გავყიდი ამასაც, ამგენს მაინც არ ჭირდება!

რომ არ სჭირვებოდათ, არც შეინახავდნენ პლატფორმასთან რკინიგზის მუშები. ნაჯახით გაჩორკნილ და მაგიდად შეჭედილ ფიცრებზე ეწყო კოვზები ალუმინისა, ფაჩიკოს გარმონივით რომ იკეცებოდნენ სატარესთან.

მახსოვდა, მაწუხებდა, რომ ვიყავი. ვიყავი. ვიყავი მე კანდელზე, კედელზე, სახვლიკეზე: ვიყავი, ვიყავი...

სტუდენტი ჩამოველ და ნაფჩხილარიც ველარ მოვიძიე. აღარ იყო ჩემი, ბოდოკიძის, ჩვენი, ჩვენნაირთა ფაქსიმილეები განახლებული მონასტრის კედელყურეზე. ბევრი რამ არ გამხარებია იმაზე მეტად ცხოვრებაში. უფალი აცხონებს მეუფე ნაომს!

სიმივით გარხეული ბეწვის ხიდიდან, როცა წყალში დაძირული დების ჩრდილები დავინახე, დამებინდა მზერა და იმ ადგილას აღარ მიცურავია. რატომ არ ჩამოდიხარ, უკვირდათ ქუთაისის კინოფესტივალის გამოკიდეგანებულ მონაწილეთ. ქვევითა სჯობს დევის კლდესთანა, კიდევ უფრო ქვევით და ქვევით. არც ის, მთიდან მოხეთქილი, კლდის ძირი მიყვარდა, მუდამ უმზეო ეხის რბილ წყალში უნასები ბინადრობდნენ ალბათ. თუ რკინიგზით არა — წყალ-წყალ და ქვევით: მეორე სათავე, პირველი სათავე, ძველი ხიდის ნარჩენები, ხიდი „ახალი" ელიფსურთაღოვანი, წყლიდან მშვიდი, საიმედო, ზევიდან გადმოხტომის წინ, მაღალი, მაღალ ფეხებზე ამჩატებული, გუგების გამაფართოებელი.

აღდგომის დილას ხალხი არ შეუშვეს მონასტერში. ამაოდ რეკდა მნათე ზარებს. მრევლი არ ჩანდა. გადაკეტილი იყო გადასახვევი ტრასიდან, — შორი გზა, შარა და ბილიკიც.

არ შეიძლებოდა და მორჩა.

ესო, ის არიო, ჩემზე ; ახსენეს გაზეთი, რომელთანაც არაფერი მქონდა გასაყოფი.

მაშინო, უფროსმა, ნერვიული თვალები მაინც ავტომანქანებისაკენ გაურბოდა, ფეხითაო, ჩუმად და ოფიციალურადო...

სიცარიელე იყო ლიანდაგებს იქით და ახალწამოშხეფილ უგანურ შარაზე, — ნამაკრეფილ ბზარნარში. ცარიელი აღდგომაა შიგნით. უცხოელ კორესპონდენტს, ჩვენსავით რომ შემოეშვათ, ფოტოაპარატი გადაუგდო ნერვებახლართულმა, შავწვერა ბერმა.

— რას შვრები, კაცო! — იყვირა თარჯიმანმა. ტყავის ბუდეში ჩაჭედილი აპარატი, საბეჭე თასმით გამოედო ბლის გაუფოთლავ რტოს. ბერმა ახალგაზრდული ნაბიჯებით აიარა უმოაჯირო, ციცაბო კიბე და ცასა და უფსკრულს შორის გამოკიდებულ სენაკში შეიკეტა. უცხოელი სასწაულით გადარჩენილ ფოტოაპარატს ათვალიერებდა გაოცებული.

— აპა, რას იზამდა. გადარეულია კაცი, — ავ ბერს მოწმინდა ნამუსი ვილაც დარსაძემ, წითელნაჭერ შეყელსახვევებული ცხვარი რომ ჰყავდა ჩაბმული შუა ეზოში — ცაცხვთან.

— აღდგომა დილით, დიდი აღდგომის ნათელი დაშრეტოდეს ამ საქმის ჩამდენს, მონასტერში ხალხი რომ არ შეეშვათ, თუ გაგიგონიათ?! ორწიფობა დღეს, შარშან აქ კაცი მოკლეს, მართალია, მარა ორწიფობა ორწიფობაა და ბრწყინვალე აღდგომა აღდგომაა, პატივცემულო!

— შენ კაცო, ბუეთელი დარსაძე ხარ, ამის შემდეგ რომ შეგხვდი კისორეთს? მაშინ ქეც იყავი ოთხმოცდაათის...

— მეტის, ბატონო, მეტის... მიკვირს და გამკვირვებია როგორ მივაღწიე იქამდე ამათმა მაყურებელმა!.. მე ხო აღარა ვარ და თქვენც აღარ იქნებით, მოწამეთა იდგომება, ამ კონცხს წყალი ვერ წეიღებს...

— არ გამიკვირდა, აბა, ისა ხარ, ამის შემდეგ რომ შეგხვდი?

— მაშინ ქეც ვიყავი 97 წლისა, ახლა ჭარმაგი მეთქმის, ისე რაა, პატივცემულო, წუთისოფელი?.. — წუთია, ერთი გარბენაა!..

*

გენერალმა მაზნიაშვილმა მთავარსარდლის ბრძანებით საჯარისო შენაერთი პოზიციებიდან მოხსნა და ფონიჭალით შემოვიდა თბილისში. დამტკიცებული ბრძანების მიხედვით მიაპირდაპირა ნავთლუღს — დროებითი დისლოკაციის ალაგს. ნავთლუღშივე შემოგვესმაო, თავადვე აღნიშნა, საშინელი აფეთქების ხმაო. ააყირავეს სოღანლუღის ძველი და მკვიდრად ნაგები სარკინიგზო ხიდი, რომელიც მტერს, შემდეგ გამოირკვა, არ სჭირდებოდა. რუსი თბილისში კოჯრის გზითა და კახეთის გზატკეცილით შემოდიოდა, სოღანლუღი კი არ ახსოვდა. კარგად გამოძინებული ქართველთა ლაშქარი მზის ჩასვლამდე მიადგა ფარეხს — რკინიგზის სადგურს, სადაც ბევრი და ლამაზი ავტომობილი იყო გაჩერებული. ვოგზალზე, ბაქანზე რუზრუზებდნენ მგზავრები. მთავრობაც გასაქცევად იყო გამზადებული და საგანგებო მატარებლის გაწყობას ელოდა. გადიოდნენ და გადიოდნენ ერთი მიმართულებით ჩვეულებრივი მატარებლები ხალხით, ჩემოდნებით, ნახევრად საკურორტო-საბაკურიანო განწყობილებით. სადგურში ვნახეო, მოიგონა გენერალმა, პოეტები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და მწერალი ლევან მეტრეველიო. ლ. მეტრეველმა (ამნაირი მწერალი დღეს აღარავის ახსოვს) დატოვა მოგონება იმ დღისა და ტიციანი არ ახსენა. ტიციანმა თავადვე ვერა გაიხსენა რა, რადგან იმ დროს ტფილისში არ ყოფილა და ცხადია, ვოგზალში ვერ შეხვდებოდა გენერალს, რომელსაც ბედკრული დღე პოეტურად, ეს კარგია, პოეტებით დაამახსოვრდა.

თეთრად გაწყობილ რბილ ვაგონში მატარებლის აძვრამდე შემოიტანეს ჩაი კვნიტი შაქრით და ცივი ღვეზელები. ნელ-თბილიაო, არ დაიწუნა მთავრობის ერთმა წევრმა, თუმცაღაო, დასძინა, მცხეთაში გაცილებით უკეთესს აცხობენო. საწინააღმდეგო მოსაზრება არავის გამოუთქვამს, თუმცა ჩურჩულიც ისმოდა. ნოე ჟორდანიამ ჩამოჰკიდა კადოზე პალტო, რომლის ორივე კალთა დაწვდა იატაკს, ამას ყურადღება მიაქცია, თუმც აკეცვა ან გადაადგილება არ უცდია. იყო ვაგონში სითბო, სითეთრე, სისუფთავეც, მიხურული კარის კარბის ქვედა ნახვრეტებიდან ელექტრონის ყვითელი შუქი მოძვრებოდა და მას დაეძინა. გაიღვიძა, როგორც თავად განაცხადა, აღსტაფაში. დაწერა შემდეგ რუსულად. ითარგმნა რამდენიმე ენაზე, ქართულადაც, დაისტამბა მრავალგზის და დარჩა.

აუტეხეს ერთი ამბავი: მთავრობის ხელმძღვანელმა და უმაღლესმა ერისთავმა აღსტაფა არ იცოდა სად იყო და საქართველოს ვით გადაარჩენდაო, იცოდა, რომ გორ არ იცოდა, მაგრამ ამ შეცდომის გასწორება თავად არ უცდია. სხვას თავი არ შეუწუხებია, ქართველების მეტი მაინც ვერავინ მიხვდებაო, შეიძლება, ესეც კი იფიქრა და სწორედ ქართველებმა შეაჩვენეს ამისათვის. რა უნდა მართლაც მცხეთის იქით აღსტაფას? არადა, ეს იყო ლაფსუსი, წმინდა ფსიქოლოგიური შეცდომა, რომლის ანალიზი დიდ დროს არ წაიღებდა, აუცილებელი რომ ყოფილიყო. ესე იგი, დაიძინა, გაიარა მცხეთა და გაეღვიძა აღსტაფაში. მოვეშვათ ახლა ამ აღსტაფას! ეტყობა, ძეგვში გაგეღვიძა ან კასპში, მაგრამ თბილისის დამკარგავს, მცხეთამდე რამ დაგაძინა, შე კაი კაცო!

მეორე დღეს ჩავიდნენ ქუთაისში და თავზარი დასცეს ქალაქის მამებს უეცარი გამოცხადებით და ფანტასტიკური გადაწყვეტილებით: ქუთაისს გამოვაცხადებთ სატახტო ქალაქად და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს გავმართავთ გორი-ხაშური-ჩუმათელეთის ღერძზეო. ქუთაისლებს გადედაქალაქება ვერ მოენელებინათ, როცა სტუმრები აიყარნენ და გადაბანაკდნენ სამტრედიაში, სადაც ბოლშევიკთა არაოფიციალურ წარმომადგენლებთან გამართეს დახურული სხდომა. იგი სამტრედიის შეთანხმებით დაფიქსირდა, მაგრამ ისტორიას არ შემორჩა. თბილისში კი ლენინის საგანგებო დავალებით ჩამოსული იყო აბელ ენუქიძე. იგი შეაყოვნეს თბილისშივე და გამოამგზავრეს საგანგებო დანიშნულების მატარებლის კურიერის ვაგონით, მდივნით და საყვარლით. ენუქიძე რუსეთის მთავრობის სახელით ჟორდანიას საქართველოში დარჩენას და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობას შესთავაზებდა უსაფრთხოების გარანტიით, ზავზეც თუ რაღაც ამდაგვარზეც მოაწერინებდა ხელს უეჭველია, მაგრამ იგი ჟორდანიას კი არა, გაქცეულ ჯარს ვერ მიეწია. ჯარი გზაში დაიშალა. მთავრობა ბათუმიდან ევროპაში გაცურდა.მოვა ვარდი, მოვა ია, მოვა ნოე ჟორდანია...

იგი აღარ მოვიდა, წასვლისასაც არ ჰგავდა მომბრუნებელს. სხვაზე უკეთესად გრძნობდა სიტუაციას, რეალურად აფასებდა მოვლენებს. ყველაფერს არ ამხელდა, მაგრამ ერთადერთი თუ არა, იყო ერთ-ერთთაგანი, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის არ სჯეროდა. იგი მართავდა დროებით მთავრობას კი არა, მის კაბინეტს რომ შეარქვეს, არამედ დროებით დამოუკიდებელ საქართველოს.

ყველა ყველა და ეს ჟორდანია და ის გეგეჭკორი ევგენი სადღა გარბიანო, კითხულობდნენ რუსეთის ქართველი ემისრები; მზად ჰქონდათ ხელშეკრულებების პროექტები, სოციალ-დემოკრატიის ქართველი ბოსების ხელშეუხებლობის გარანტიები. ჟორდანია ვერ მოიხელთეს, ევგენი გეგეჭკორსაც ვერ გამოსდეს კვანტი შარაზე.

ქუთაისში რუსეთსა და საქართველოს შორის — მამია ორახელაშვილი-რუსეთი, გრიგოლ ლორთქიფანიძე-საქართველო — გაფორმდა ყინულზე დაწერილი, ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულება, რომელსაც ულიანოვმა კეთილგონივრული აქტი უწოდა... ჩვენ ჩვენი ვქენით, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, დატოვეს რუსეთის (?) ტერიტორიაო. საქართველოს გაბოლშევიკებას კი მან ოფიციალურად „საბჭოთა გადატრიალება“ უწოდა.

გუბერნიის კომისრის ჩხართიშვილის კაბინეტში თათბირია ისევ. დაორთქლილი ჭიქა უდევს წინ და ცხელ ჩაის სვამს. იქნებ სხვა რამეს, გლენტვეინ!..

ბოლით, სამხედრო და სამოქალაქო პირებითაა გავსებული კაბინეტი. დაძაბული სიტუაციაა, ერთი შეხედვითაც მიხვდება გარედან მაყურებელიც კი. ჩხართიშვილი ინარჩუნებს გარეგნულ სიმშვიდეს; ცდილობს და ახერხებს.

— როგორც მოგახსენეთ, — ჩაის ყლუპ-ყლუპავს. — თბილისი დატოვებულია სტრატეგიული მოსაზრებით. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, დასასრულს, მაგრამ რეალური ვითარება კრიტიკულია, როგორც ხედავთ. რესპუბლიკის ჯარები — ყლუპავს — აკონტროლებენ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს, ემზადებიან რა გადამწყვეტი კონტრდარტყმისათვის, — ყლუპავს — ამაზე მთავარსარდლობის შტაბის წარმომადგენელი მოგახსენებთ. მე კი წინასწარ... — წრუპ-წრუპ — შემიძლია გითხრათ: გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართება... — ხვრეპას თავს ანებებს. დგება, ჩექმების ჭრაჭიჭრუჭით უახლოვდება კედლის რუკას, ჯოხით ხაზავს საქართველოს უღელტეხილებს. — აქ ჩვენ ზურგის, უკაცრავად, ზურგით ვდგავარ, იმედის გარანტიას ვიძლევით, თუკი საფრონტო ქალაქად არ გადავიქცევით, რასაკვირველია, როგორც წუხელის ითქვა...

— თქვენ რაღაცას მალავთ კიდევ! — ადგილიდან იძახის ვატა ჭიჭინაძე.

— ჩვენ აღარაფერი გვაქვს დასამალავი და დასაფარავი, რესპუბლიკის მთავრობა მოგიწოდებთ საბრძოლო მზადყოფნისათვის!.. ქუთაისის ოლქის ჯარების თავმოყრის სავარაუდო ადგილია სადგური ყვირილა. მაშველი კორპუსის დაკომპლექტება მოხდება შიგ ქალაქში...

— სად არის ამჟამად მთავრობა, მთავრობის ხელმძღვანელი? — არ ისვენებს ჭიჭინაძე.

— მთავრობამ იცის თვითონ... — ჯოხს დებს. ჯდება. — ასეთი ვითარებაა დღესდღეობით, სიტუაციები იცვლება, ყველაფერი გეცოდინებათ...

რწევით შემოდის ხვინგია, ტილოგადაფარებული ახალი ჭიქა მოაქვს, ძველს ტილოშივე ახვევს, ბარათს დებს მაგიდაზე და რწევით გადის.

„ამხ. ბენია! რიონის წვერა მზადაა. ძევს ხახალზე და რიონის ხეობის ნიავი აგრილებს. გელოდებით. შენი ჭიჭიკო და წვერა“.

ბარათში იხედება, ლაპარაკსაც განაგრძობს:

— აფხაზეთიდან და ფოთიდან გამოწვეული გენერლების ართმელიძისა და სუმბათაშვილის შენაერთები ხვალ შემოვლენ რიონის სადგურში. რიონის წვერავას ამბავი გითხარით, — რამიშვილის ინფორმაციით — ახალ ჩაის უსინჯავს გემოს. — დღედღეზე მივიღებთ რეალურ... — მაგიდას დასჩერებია, თითქო კითხულობს — დახმარებას საზღვარგარეთიდან. მდგომარეობა ქალაქში ამჟამად სტაბილურია, ახლომახლო რაიონებშიც ვინარჩუნებთ სიმშვიდეს. მთავარია, — ყლუპავს — არ ავირიოთ, არავითარი პანიკა და დეზორგანიზაციის არავითარი მცდელობა არ იქნება. თბილისის დაცემა მოსახლეობას არ სჯერა და არცაა საჭირო... — აჩქარებულად — უნდა მივადუმოთ პროპაგანდისტული კერები, მოქალაქეებმა, აქტივისტებს ევალებათ წამოწყება, თავადვე უნდა გააძევონ მასობრივი შეკრების ადგილებიდან ეჭვმიტანილი პირები, რომლებიც არეულობისა და დესტაბილიზაციისათვის იღვწიან. პასუხისმგებლობა ამ საქმეში ეკისრება კომისარ კვინიხიძეს, მილიციის კომისარ შალოდია სულაბერიძეს არჩილის ძეს...

— ჩვენი მოხალისე აგენტების საშუალებით დადგენილია მსხვილი ბანდის მეთაურის ადგილსამყოფელი. გასაგები მიზეზის გამო — დარბაზს ათვალიე-

რებს — კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ. ჩვენ კი ყველა ღონეს ვიხმართ და დილისათვის ეს ბანდაც ლიკვიდირებული იქნება.

— პირველად არ გვესმის ეგ სიტყვები თქვენგან და ბოლო არ აღმოჩნდეს. დაძრწიან ყაჩაღები ჩვენს გარშემო, როგორც იტყვიან, ვოკრუგ ი ოკოლო და როდის ჩაგვცემენ მახვილს ზურგიდან, კაცმა არ იცის...თქვენ გადმოგეცათ რუსული ფული და ამიტომ ამოძრავდით აგენტურით, ასეც უნდა ყოფილიყო, იმოქმედეთ ენერგიულად!

— შეიძლება დაგტოვოთ!!!

— მოითმინეთ, ცოტა ხნით! — ბარათს დასჩერებია.

„ამხ. ბენია. რიონის წვერა მზადაა. დევს ხახალზე, რიონის ხეობის ნიავი აგრილებს, გელოდებით. შენი ჭიჭიკო და წვერა“.

— ნახეთ, არა, ეს ბარათი? ასეთი ამბავია, ვიცოდი, გეწყინებოდათ!.. — წვრილად ხევს და აუდიტორიას უყურებს შეწუხებული.

— ცოტა უსიამო ამბავი მოვიდა, გარდაცვლილა წვერავა... ბოდიშს მოვიხდი გამომსვლელებთან და თუ ისეთი განსაკუთრებული არაფერი გაქვთ სათქმელი, შევაჯამებდი დღევანდელ, შინაარსიან, მე ვიტყოდი, სასარგებლო თათბირს, თქვენ განაგრძეთ, ბატონო შალოდია, ბოდიშს გიხდით...

— მე დავამთავრე ფაქტობრივად...

— ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი, შეგიძლიათ, გაბრძანდეთ!

ხმაურია უკვე. ვინაა წვერავაო, ერთმანეთს ეკითხებიან.

— წვერავა რიონი, უკაცრავად, როინი, მოითმინეთ, სიწყნარეს გთხოვთ... მართალია ბატონი სულაბერიძე, ნამდვილად მართალია და ეს სიმართლე ყველამ კარგად იცის, სამწუხაროდ, ლაპარაკი კიდევ, საქმეს არ შველის, კარგად მოგეხსენებათ. რა ქნას მართლაც მარტო მილიციამ, სახალხო დაუძახეთ თუ გნებავთ და სახელმწიფო დაარქვით თუ გინდათ... მოსახლეობა მტრულად გვიყურებს უკვე. არა გვაქვს სურსათი, სათბობი, ენერგომატარებლები, ეკონომიკური პროგრამა არა აქვს მთავრობას, რა გითხრათ ამაზე მეტი, ბიუჯეტზე ზედმეტია ლაპარაკი... გვახრჩობს ინფლაცია, გვაქვს ფულის ნიშნები და ფული არა გვაქვს... რა უნდა გავაკეთოთ ცარიელი ჯიბით და შიშველი ხელებით, ამდენ ქურდს, უქნარას, მოლაყბეს, პარტიული ამბიციებით დაავადებულ ხალხს როგორ უნდა მოვუაროთ... მიუხედავად ამისა, უნდა ვიმოქმედოთ, სხვა გზას ვერ ვხედავ და ვერ ხედავთ თქვენ... წვერავას ამბავმაც შემაშფოთა, რიონი ამღვრეულია და ბადეს უფრო მოჰყვება, როინზეა ლაპარაკი, წვერავაზე, რასაკვირველია... რა ხმაურია, არ მესმის, გთხოვთ სიწყნარეს.:

— ...სანამ მთავარბანაკის წარმომადგენელს გულო ჭავჭავაძეს მოვუსმენდეთ, მინდა, გაგაფრთხილოთ: მზად უნდა ვიყოთ ქალაქის ევაკუაციისათვისაც... პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის დაკისრებული აქვს შინაგანი სამსახურის გენერალს კაკი კვირიკაძეს...

— ასეა საქმე? — წამომდგარა ვატა ჭიჭინაძე.

— რა გნებავთ, ბატონო ვატა? — აწითლებულ თავზე ისობს, თითებს.

— ღვთის ანაბარა ვრჩებით?

— ვინ რჩება, მაგიც საკითხავია... ჩვენ ვინაწილებთ, ბატონო ვატა, პასუხისმგებლობას, მოგახსენეთ ამის შესახებ, კიდევ რა უნდა გითხრათ, გადაინახეთ ოქრო... — ჩოჩქოლია. მარტის მზის სხივი აწუხებს ჩხართიშვილს, თავზე ისობს ისევ ხელს. — დიახ, ყოველნაირი ფასეულობანი, ხელოვნების ნიმუშები; ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადააწყვეთ მეტად თუ ნაკლებად ღირებული საქმიანი ქაღალდები, ვადადარია, დაწვით... არ გაუშვათ! — ვატა ჭიჭინაძეს ათითებს.

— მაკავებთ?! — დიდი პორტფელი უჭირავს, კართანაა მისული.

— დაბრძანდით, თუ შეიძლება... კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პასუხისმგებელ პირთა გვარებს: კვინიხიძე, კვირიკაძე, სულკალმახიძე, კვინტრაძე, კვინიტაძე... — ვიღაცას ეძებს კიდევ — და ჩვენ, თქვენ დაბრძანდით!

— არა გაქვს ჩემი გაკავების უფლება, პროტესტს ვაცხადებ, თქვენ მალავთ, წუხელ აქ ტროცკი იყოო ჩამოსული...

— ტროცკი და კაუცკი...

იცინიან თავშეკავებულად.

— სადეპუტატო ხელშეუხებლობის უფლებას ვითხოვ, — ისტერია ერევა. — პროტესტს ვაცხადებ!..

— დაჯექი თუ არა, შენ მაინც მოგივლი! — მაუზერის ხის ბუდეზე იფათურებს ხელს.

— შეიშალა ხალხი! — ოხრავს ვაჭართა გილდიის არატიპიური გვარის წარმომადგენელი — ხონელიძე.

— მოვუსმინოთ მთავარბანაკის შტაბის რწმუნებულს პოლკოვნიკ გულო ჭავჭავაძეს! — მშვიდად აცხადებს და მაუზერის ბუდეს კეტავს რაკუნით.

— თქვენ ნუ გვაშინებთ, იარაღზე ხელის გაკვრას დაანებეთ თავი!

— რა გინდა, არსენა?

— სეიმის, დამფუძნებელი კრების წარმომადგენელი გელაპარაკებით, დეპუტატი, ფილოსოფიის მაგისტრი ვარლამ არსენიძე და არა — არსენა, გაითვალისწინეთ!

— რა გნებავთ, დიდო მაგისტრო?

— ზეწოლას ახდენთ თათბირის მონაწილეებზე, სწორ ინფორმაციას არ გვაწვდით, თქვენი უსაქციელობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება და საერთოდ გვაცუცურაკებ!.. — ხელებს უტრიალებს ცხვირწინ, — მთელმა დემოკრატიულმა საქართველომ იცის, რომ ცხელ ღვინოს სვამთ ჩაის მაგივრად, არაფერი არ იმალება ქვეყანაზე!

— მე ვსვამ ცხელ ღვინოს ჩაის მაგივრად?! — უაღრესად გაოცებულია.

— გლინტვეინ! — იძახის ვიღაც. ამ სიტყვის წარმომთქმელს ეძებს თვალდათვალ და ყველასათვის მოულოდნელად, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავს აჯახებს ცხვირ-პირში დეპუტატ ვარლამ არსენიძეს, — ფილოსოფიის მაგისტრს; კბილებჩამტვრეული იფურთხება და დარეტიანებული დაბრუალობს მაგისტრი; დორბლმორეულ ჩხართიშვილს აკავებენ, არსენიძე გაჰყავთ. ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ დანარჩენებიც სათათბიროს.

— გემი რომ იძირება, ვირთხები გემბანზე არბიან!

ვატა შემობრუნებულა, დაჭმუჭნილ მანდატს ისვრის ღია კარიდან. თავდახრილ, წითელ სამიზნეს ვერ არტყამს.

— ყველა ვირთხა კი არ იძირება, ცურავენ ვითრთხები, მოშტორიკები!

დაკუჭულ მანდატს დაჩერებია.

მცურავი ვირთხაც აღარა ჩანს.

დულცე ეტ დეკორუმ ესტპროპატრია მორი!.. სულაქველიძის ხმაა.

— რას გეტყვი იცი, მოეშვი იმ უბედურ ყაჩაღებს, ცხენებს ნუ გადააყოლებ!

— ნაწლავებამობუყბუყებული დაეტოვე ორპირის ქუჩაზე, ახლაც იქ ყრიან

ჩემი ლურჯები, მწვანე ბუზები ეხვევიან ღია თვალებზე...

— ცხენების დედა ვატირე, ბოლოს და ბოლოს, ცხენი ცხენია მაინც, ადამიანი — ადამიანია!

— მე ხომ მომკლეს, ბომბის ნატეხები ჩარჩა ნეკნებში!

— შენ იცი, კომედია მთავრდება-მეთქი და მეც გამოვიდე თავი... ჭიჭიკომაც გააჭირვა საქმე, რაღა დროის წვერაა, ღვინოც ჩამოუტანიათ...

— წითელი ჯვარისული, ორმოცზეც მეყოფა...

— ეგ ჩვენი საზრუნავია... შურისმაძიებელ კაცს არ ჰგავდი... რჩება ეგ გრძნობა მანდა?!..

— არა. არა, მაგრამ გადაწყვეტილი არ იცვლება. ვინ და ვინ იყო?

— წუხელ? გენერალი ვარდენ წულუკიძე, მამია ორახელაშვილი, ალიოშა სვანიძე, აბელ ენუქიძე საყვარლით, დაცვით, მდივნით, ლენინის რწმუნებით, რამხელაზე გაიქაჩა მაგ ალფონსი... ჩვენგან გრიგოლი, ხელი მოეწერა სიაბანდ დოკუმენტებს...

— გაქცეულ მთავრობას მაინც ვერ ჩაავლეს კუდში ხელი, ჟორდანია აინტერესებდათ, ბათუმს დაგიბრუნებთო ეტყოდნენ, ულიანოვი თქვენთანაა, აბელს პირადი წერილი უდევს პიჯაკის სარჩულში...

— სხვა საქმე არაფერი გაქვს მაქანე?

— სული მიწუხს, ბუყბუყებენ ნაწლავები ორპირის შეღმართზე და ბუზები, მწვანე ბუზები, ბუზები!..

ხვინგია შემოსულა.

— სამოქალაქო პანაშვიდები...

— შენა ხარ? — აწითლებულ თავზე ისობს ხელს.

— ხვალ და ზეგ... დაკრძალვა კვირას, ასე გადაწყდა. დიდძალ სტუმრებს ველით, რომ არ წავუქციოთ ამ ცხელ გულზე თითო ჭიქაო ჭიჭიკომ, წვერა დაუჭერიათ ბლომად...

— ჟორდანიას აუტირებია პორტში მრევლი, მშვიდობით და კიდევ დავბრუნდებიო, რავარც შალოდია დაბრუნდება, ასე დაბრუნდება მაგიც... ღმერთო, შენ გვიშველე!

*

ცივი ღამეა. ჩალურჯებულია წყალწითელა ხეობა სიცივეში. მიღნობილ ასკილის ბუჩქებთან ანთია ცეცხლი. ჯაგრცხილები ჩანან კვაჭილო მინდვრებთან, კლდის ნატეხები და მიწიდან ამოჩრილი ქვები აყუდებულან ფერდობზე ლიანდაგებს იქით. ნაბადში გახვეული რაჟდენი ძილფხიზლობს კოცონთან. ფარნაოზი დადის ბნელში.

— რა იბუტურა იმ კაცმა... — ამოილაპარაკებს მოულოდნელად ცეცხლთან. — მართალია, დევიჯერო, რაც თქვა?!

— არ გძინავს შენ?

— რა სიკვდილი დამაძინებს, კბილი მტკივა!

— თბილისი აუღიათო, თუ მართალია, იმ კვირია აქ იქნებიან... ჩემი ამინდიც ხომ უნდა დადგეს, ჩემი დილაც ხომ უნდა გათენდეს! — მაღლა იხედება აფორიაქებული ფარნაოზი... — ადრეა არიჟვებამდე.

— დაგვტოვა მამაჩემმა მშიერი, ძილში საჭმელს ვხედავდი, არ მეშვება ეს კბილი! — ჯდება მშიერი, კბილატკივებული, შეციებული. — ვკვდები გონია და მამაჩემი ფილიპე კი არა, ვერ მიშველის ეშმაკი... — ყაბალახის ყურს ათბობს,

ლოყაზე იდებს, კვნესის ყრუდ. — მოდის გონია, ლიანდაგები გადმოჭრა ვიღაცამ... — მიწას ადებს ყურს. მეგუშაგე ქვას ეფარება ფარნაოზი. კალათიანი ლანდი გამოცალკევდება უკუნიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაშენია, ქვევით ჩავალ მე, წყარო მეგულება!

— აქეთ წამოდი ცეცხლისაკენ! — მამას ეძახის.

— სადა ხართ, ცეცხლს ვხედავ!

— წამოდი, თუ ხედავ, სად ხარ ამდენ ხანს. ნაშუალამევს ვახშმობა ვის გაუგია!

— სალამი და კაი გამარჯობა! — აქეთ-იქით იხედება. — მარტო ხარ?

— ქვევით ჩავიდა ხელ-პირის დასაბანად.

— მთვარე ანათებდა გვიანობამდე, შუქნათელში ვერ გამოვიდოდი, გზები შეკრულია, ფხიზლობენ. თანაც ათასი ოხერი ჯაშუში და მამაძაღლი დადის, ცოტა აქეთ, — კალათს დებს, ამყარებს მიწაზე. — ცოტა იქით... სადაა?

— ამოვა, წყაროზე ჩავიდა-თქვა, გითხარი — თვალებთან ხელებს უთამაშებს, ზედმეტი არ თქვაო. თავს უქნევს მამა, გასაგებიაო და კალათიდან ვახშმის ამოლაგებას იწყებს.

— ... ყველას თვალი უნდა მოარიდო, ყველას ანგარიში უნდა გაუწიო, ცხელი ჭადებია, შევახვიე და არ გაცივდა, არ გაალიგვოთ ახლა, ეს ქათამია, ყველი, ტარანი. ტარანი თვლითაა, წონით კი არა, ცოტა აქეთ, ცოტა იქით, ხომ ხართ მომჯობინებული. ჭამეთ, სვით, თავი არ დაზოგოთ! — ხელებით ეკითხება, სადაარ, ხელებით პასუხობს, აქვეაო, ენაზე იდებს თითს მუქარით.

— კიდევ რა, წამოვიღე?.. — კალათში აფათურებს ხელს.

— ამოალაგე, ამოალაგე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— ამოლაგებულია, უკან არ წავიღებ არაფერს, ნუ გეშინია!

— გადმოატრიალე აბა კალათი!

— ა, ბიჭო, ცარიელია.

— რა ამბავია ქალაქში?

— ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, არეულობაა.

— რამ არიათ, რა უნდათ, რა დაემართათ, რა ეტაკათ, ვახ შენი, გავწენკვე რაღაც, უუხ, რატომ ვერ ეტევა ადამიანი საკუთარ ტყავში, რატომ არ აჩერებს გამჩენი?!

— ბიჭო, რაუდენა, — ჩურჩულზე გადადის. — დღესვე უნდა აღსრულდეს, გათენებამდე, ბოლო ცდა მოგვცეს, უნდა მორჩეს და დამთავრდეს, გადაგვაყოლებენ, თუ ვერ აღვასრულეთ. აბა ჰე, — ყვირის. — აგერ კალათი, აგერ პურმარილი!.. — ამოტრიალებულ კალათს ფერთხავს, ლეკვერზე უტყაპუნებს ხელს. — გათენებამდე... — ჩურჩულით. — არ დააგვიანო, ბიჭო, რაუდენა!

— რა ვუყო ამ კბილს, ან შენ რა გიყო, რანაირად გამზარდეთ უპატრონოდ, დედაჩემი შენ გადაიყოლე, ადრე ჩააწვინე სამარეში, გაჩერდი რა! — გამეტებით ირტყამს ხელს ლოყაზე.

— თუ გული არ გიშვება, სხვას აცალე, მარა აქედან ფეხი არ უნდა მოიცვალოთ!

— მე ვინ მეკითხება?

— არ წავა, ქალს ელოდება, ისეც შენ დაგრჩება, თუ გამეცადინდები!

— ვინ დამრჩება მე, რა მითხარი?

— ის ქალი... — უკან იხევს.

— ო, შე გაფუჭებულო, მაგ სიგლახეს არ ვიზამ, ვის უბედავ საერთოდ!..

— ისე ვთქვი, კაცო, ნუ ახტები უნაიროდ... დილამდე შეიყოლიე როგორმე, აბა ჰე... — ყვირის. — ჭამეთ, დალიეთ, ყანწი აგერაა, ბოთლზე ჩამოვაცვი, ქათამი აქეთ, ჭადი იქით; ცოტა აქეთ, ცოტა იქით...

— კარგ საქმეში რომ არ გამრევდი, ვიცოდი, მარა რაც არი არი... ბედისწერას ვერ გავექცევით... მე კი არა, ვერავინ ვერ გაექცევა!..

— აბა ჰე, აქაა ყველაფერი, კალათი ცარიელია... სადაა ის კაცი. გალიგვდა ყველაფერი... — ღვინოს ისხამს. — გაგიმარჯოთ, თქვენს საქმეს გაუმარჯოს სამართლიანს, შვილო ფარნაოზ, სადა ხარ, გადღეგრძელებ, გაგიმარჯოთ, მაგრა იყავით, აბა, თქვენ იცით! — სვამს. პალტოს სახელოთი იმშრალებს ტუჩებს და მიდის. ცარიელი კალათით მიშრიალებს ხმელ ბუჩქნარში, მაღლა ადის, უჩინარდება. სიჩუმე ისადგურებს კვლავ იმ ადგილში.

— წავიდა?

— ა, ო, შენ ხარ?.. წავიდა. რანაირად წამომადექი. მოდი, ჭამე. გაცივდა. ცეცხლიც ქრება. ჩაიმუხლე! — სულს უბერავს ღადარს.

ჭამენ უგულოდ. ფარნაოზი ღვინოს აწვეთებს ჭადზე.

— ბოჩიას ხსოვნა იყოს, ყველას ხსენება, ვინც ამ გზაზე დამეღუპა, ყველასი, იმათიც... — ბუტბუტებს. — ნათელში გამყოფოთ!

— ნათელში ყოფილიყვნენ! — ილოცება. სვამს, ჭამის თავი არა აქვს, წინა კბილებით ილოღნება რაჟდენი.

— ჭამე და წაიძინე, თუ გინდა!

— რა დამაძინებს, თავში ჩაქუჩს მირტყამენ!

— ძილში გამოშუშდები, არაყი უნდა მოეტანა, ცივი ღვინო უარესია.

— არც არაყმა მიქნა არაფერი, პირველი ხომ არაა, ყველამ თავისი წილი წაიღო, ამომართვეს მთავარი სული; მუგუზალი უნდა ჩავითხარო პირში, სხვა საშველი არაა... ერთი მითხარი, რა ხდება, ხალხი რამ არია?

— ხალხს თავის მოლოდინი აქვს, მე ჩემი მიჭირს, გათენდება და გაიგებ!

— ისე იქცევი, თითქოს არ მენდობი, შენც ელი, ხალხიც აფორიაქებულია, ამას ქე ვხედავ, რა იქნება, არ ვიცი. რა შეიცვლება?

— მაგასაც ნახავ. განათდეს და დადგეს ხვალე!

— გვიან იქნეს იქნება.

— რა თქვი?

— გამოვიცვალოთ ადგილი! — მოულოდნელად წამოხტება. — დავტოვოთ აქაურობა!

— არა, აქ უნდა ვიყო, აქ ველი!

— ვის, რას?

— ხმას დაუწიე და თუ არ იძინებ, ზედა მხარეს უყურე, მე ქვევით ჩავალ, გზისკენ.

— გაზი არა გაქვს, გაზი?

— რა გაზი? — უკან იხედება. — ნუ ყვირი-თქვა, გითხარი, ჩურჩული გადის წყალგაღმა, ისეთი ღამეა, ისე, ხომ არაფერი გელანდება?!

— გაზი, ხარის ლურსმნის სამჭვალი. დავითხარო უნდა ეს კბილები! — ტყვიას იღებს სავაზნიდან, დანის პირით ხსნის, წამალს იყრის კბილებში.

უყურებს და არაფერს ეუბნება. ბაცდება კიდეც მიდამო.

— ... ცეცხლს წავუკიდებ, დავწვავ, ავაფეთქებ! — ნაბადს მიათრევს ცალი ყურით. თენდება. ნათდება: ჭახათა, მოწამეთა, მონასტერი, ლიანდაგები, მწვანედ მოხატული პატარა ბაქანი, გაფიჩხული გლედიჩიები ბაქანუკან. თოვლის

იისფერი ხორტები გაკრთება ფერდობ-ფერდობ. უფრო ნათდება. ცის კიდე ნითლდება. რიჟრაჟია. კაბაჭრელი კორდიელა დააჩნდება კლდეს. კორდზე ამობნეულ ყვავილს დააჩერდება... ლურჯთვალა იაა. ფრთხილად აჰყავს.

— რა ნახე? — სახეზე ყაბალახაფარებული კითხულობს შორიდან რაჟდენი.

— ია.

— ია?

— გაზაფხული მოსულა! — საკინძეში იმაგრებს იას.

— გაზაფხული კი არა!.. — ყბაზე ყაბალახმიდებული მიათრევს ნაბადს. სულ სხვა მხრიდან ჩნდება უნაბდოდ, უყაბალახოდ.

— ფარნაოზ, ალყაში ვართ, ყოველი მხრიდან გვიახლოვდებიან, გითხარი, დავტოვოთ აქაურობა-თქვა!..

— დაგვნებდით, ალყაში ხართ! — ისმის გარკვევით. სხვადასხვა მხრიდან ხმაურობენ.

— ალყაში ვართ! — შეშლილი სახით იმეორებს...

ნაბადს დააყენებს ფარნაოზი, ცრუ სამიზნეს აკეთებს, თავად ეფარება ქვას.

— ალყაში ვართ!.. — უაზროდ დარბის რაჟდენი.

— ნუ ღრიალებ, ზურგში დამიდექი!

დაუდგება და მაუზერის ყველა ტყვიას დააყრის ბეჭებშუა.

ჩაიჩოქებს, წაიხრება, ნელა უახლოვდება მიწას. ია დიდდება, ლურჯად ფარავს ცივ მიწას.

— მე მოვკალი, მე მოვკალი!.. არ მესროლოთ, მე მოვკალი! — ხელებაწეული გარბის რაჟდენი...

თავდახრილი, დაშვებული იარაღით დგება მიცვალებული, მოზუზუნე ტყვიებში ვარდება კვლავ, ამოტრიალდება ნელა, გულაღმა იშოტება.

— მკვდარია, ნუღარ ესვრით! — ესმის თითქოს ნაცნობი ხმა.

წელში გამართული ლამაზი ოფიცერი დაადგება ღილკილოში იაჩამაგრებულს. სველი ჩექმის ჭვინტით გაუსწორებს სახეს.

— რა ახალგაზრდა ყოფილა, ეს შობელძაღლი!

*

მუყაოს მატარებელი მოჩაქჩაქებს. კვამლს მოაფრიალებს ორთქლმავალი ცივ ჰაერში; ნახევარკუნძულთან ანელებს სვლას, ქვისფერ მდინარეს გამოაჩენს ჩახეთქილ კლდეში. ჯიხურის სარკმლიდან თავგამოყოფილი, გაოცებული მემანქანე მენაპირე გვარდიელებს ხედავს. გაიარე, ნუ ჩერდებიო, ანიშნებენ ენერგიულად. ერთ სწორ ხაზზე სხლტებიან ბორბლები და მატარებელი ტოვებს სველ ლიანდაგებს, გახუნებულ გლედიჩიებს, მწვანე ბაქანს — მოწამეთას. სალომე დგას რედიკულით ხის საფარზე. თეთრი ღაზლი აქვს მოხვეული ლაინის თხელ პალტოზე, ლუში ცხენი ძოვს ბაქანთან და მუქ-ლურჯად ჩანან ყველანი მჩატე ნისლში.

გოგი და მან-გოგი გვარდიელები არიან. დიდი, მძიმე ჩექმების რახარუხით მობრიგინებენ ნისლიდან, განძელებზე გადმოდიან ხიშტიანი ვინტოვკებით — დაბლები, სახეჭორფლიანები.

— საქართველოს რესპუბლიკის სახელით დაკავებული ხართ! — წვრილი ხმით ყვირის მან-გოგი.

უკან-უკან იხევს იელის ყვავილისფერ თვალებში შიშჩაბუდებული. იჭერენ ხის ბაქანს იქით, ბუჩქებისაკენ მიათრევენ, აქცევენ. ბღლარძუნ-ბღლარძუნით მიგორავენ ხემდე სამთავენი.

— გაუკავე ფეხები, შარვალს ვერ ვიხსნი, ამოღებას არ მაცლის! — კივის მან-გოგი.

თოფს აგდებს გოგი, ეხმარება მან-გოგის, ხვანჯრის გახსნას რომ ვერ ახერხებს. ხელისკვრით იშორებს ქალი გოგის, მინდვრის ქვაზე თავგატეხილს ტოვებს; კაბა-პალტო შემოხეული გარბის თავად. მისდევენ. წინ მან-გოგია ვინტოვკით, უკან თავგატეხილი უვინტოვკო — გოგი. დიდი ჩექმებით, ფხოკიალით მორბიან განძელ-განძელ. ბილიკზე, გაფიჩხული ტოტების გასწვრივ მიქრის ქალი, ჩახეული კაბის ფრიალით. ელვა-ელვა კრთებიან უფოთლო, თეთრი ჯაგრცხილები, ბზები. ლუში ცხენი ძოვს ფრთხილად, ყურდაცქვეტილი, არ მიდის.

— ქაჯია, ქალი კი არა, ესროლე, ვერ დავეწევით.

ჩაჩოქილი უმიზნებს გრძელ თოფს მან-გოგი. თავგასისხლიანებულ გოგის ცალი თვალი აქვს წაჭუტული სროლის მოლოდინში.

ბოლი ადის თეთრად თოფის ლულას სიცივეში. ხმა არ კი გამოდის.

— სროლაც არ იცი, მე შენი დედის საფლავი მოვ-ყან!

— მე შენი დედა მოვ-ყან, შარვალი ვერ გამიხსენი!

ერთმანეთს აგინებენ ქართულად — ადგილობრივ დიალექტზე.

შენ მამაჩემო,
დარბაისელო,
ისემც მამკვდარხარ,
ვერ მოისვენო!

იმ დღეისსწორს გამოვიდა ნაქეიფარი რაჟდენი ლაითაძის დუქნიდან იაგორასთან ერთად; არღანზე შემოდებული სავსე ჭიქებით გამოჩნდნენ. ტყავის ჟილეტი და მწვანე ბლუზა ეცვა; ხმაწართმეული მღეროდა გამხმარ, გრძელხელებაწეული. დიდხანს უმიზნებდა „პარაბელუმ-08-ს" ჯაჭვის ხიდის ყურიდან გერონტი რობაქიძე. უმიზნებდა და ერხეოდა სქელი ულვაში ცალ მხარეს. აინტერესებდა, შუბლში მოვახვედრებ თუ არაო. გაარტყა წარბთან.

მიწისთხილისტოლი სიწითლე დააჯდა და წაიქცა იმ მხარეს, საიდანაც ტყვია მოხვდა. კილის შალის ჯუბის უბეში გაიკვეხა გრძელლულიანი „პარაბელუმ-08", გერმანელი უნტერ-ოფიცრები რომ ხმარობდნენ იმ წლებში, შეტრიალდა და ჩქარა წავიდა არქიელის გორისაკენ, ხორხების გზით.

კოლია გოგნიძე მოკლეს ყანაში ფერიცვალების დღეს, სიმინდს რომ ამორობდებდა. მიხა იაშვილმა განაცხადა, არ მომიკლავს, მკვლელობაშიც არ მიმიღია მონაწილეობაო.

მორჩიძის ცხედარი გადაშუადღებულს შეიტანეს ურმით ქალაქში. რკინიგზის ხიდქვეშ რომ გაატარეს, საფიჩხიის ბაქნიდან დაინახა. ხალხი იძახდა, არ არი ეგ მორჩიძე, ორეული მოუკლავთო. მიხამ წულებით იცნო. ყაბალახით პირმობურული გაჰყვა წითელმოზვრებშებმულ ჩოჩიალა ურემს, რომელსაც თავდახრილი, ჟღალჩოხაშელანძღული მეურმე მიუძღოდა. ლაფათინზე დასვენებულ, ტანსახეზე ნაბადწაფარებულ მკვდარს ღია წაბლისფერი თავის კოსრო უყანყალებდა, ქუსლშეჭმული წულიანი ფეხი განზე ჰქონდა გაწეული. მარცხენაზე უცვდებოდა ლანჩა ყოველთვის. გრძელ გადასარბენებზე და მთაში სიარული უჭირდა. წალმა-უკუღმა გარბოდა სამაგიეროდ და ვერც მტერი ეწეოდა, ვერც მოყვარე; ერთნაირად ისროდა მარჯვენა და მარცხენა ხელით ერთდროულადაც კი. ღამეში ხედავდა და არ აცდენდა სამიზნეს. ცხენზე მოუხერხებლად, თუმც ღირსეულად იჯდა. დამცინავი, თითქოს მოგონილი ღიმილი ჰქონდა; გულჩათხრობილი, ახირებული, გაუგებრად ჯინიანიც იყო ხანდახან.

და ვიცოდი, ეგ იყო მაგის ბოლო, ფიქრობდა მიხა. გულისწყვეტას სიფრთხილე ჯაბნიდა. რა ხელისუფლება მართავდა ქვეყანას, ქალაქს, არ იცოდა და ნელ-ნელა რჩებოდა ურემს, გუნდ-გუნდად მიმყოლთ. ახალმა წყობილებამ შემოიარა-გა ცოტა ხანში და სოფელ დღნორისაში ცხოვრების ნება დართო. [illegible] ...რეში ნელა, აუჩქარებლად მოდიოდა საბჭოეთი და მიხა იაშვილიც თვალში არ ეჩხირებოდა ხელისუფლებას. ხნავდა, თესავდა, მკიდა, ამათი ნდობა მაინც არ იქნებაო, ანგარიშობდა და მაინც, თანდათან კარგავდა სიფხიზლეს, ქალაქისაკენ მიუწევდა გული. რაიონის მილიციაში შევიდა. წარსული მოჰკითხეს ცოტა ხნის შემდეგ და დაიმალა. 1924 წლის აჯანყების დაფიათებისას ხელახლა გავიდა ტყეში და მთელი ოთხი წელი ვერ გამოდენეს იქიდან. დროდადრო აკითხავდა დასაწყლულ ოჯახს, ხან ერთ სოფელში გამოჩნდებოდა ულოგიკოდ, ხან — მეორეში. ხანში იყო შესული, მაგრამ შიშის ფეთება ჰქონდა დაუცველად დარჩენილ სოფლსაბჭოს თავმჯდომარეებს, კომკავშირული უჯრედების ხელმძღვანელებს და სხვა წვრილ-წვრილ ნომენკლატურულ პარტიულ სასოფლო მუშაკებს. დასდევდნენ და მისი ისედაც შეზღუდული (ოკრიბა, ლეჩხუმი, ქუთაისის შემოგარენი) არეალი თანდათან ვიწროვდებოდა. კოლექტივიზაციას ეშლებოდა ხელი და ისევ შემოირიგეს: არასაუწყებო დაცვაში ჩაწერეს. ქუთაისში დასახლდა ოჯახით. 1938 წლის ზაფხულში დაიბარეს შინსახკომში. გაერიდა დაბარებისთანავე. მიუყუჩდნენ და ცხელქარიან შუაღამეს, ივლისი იყო, მიაკითხეს „ემადინით". ვერ გაკოჭეს. მეზობლებმა თქვეს, ბუხრიდან აძვრა, საკვამურიდან გაიპარაო. ზოგიერთმა დაიჯერა კიდეც ეს ზღაპარი. იგი ტყეში იყო უკვე. წელიწად-ნახევრის შემდეგ მატარებელში გამოეცხადა ნაცნობებს თმამოშვებული, ჟოკე ქუდითა და პორტფელით. საბარგო სადგურში მუშაობდა ომის დაწყებამდე. საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა თუ არა, მიატოვა რკინიგზა, ფრონტში არ გამიწვევენ, მარა ჯავშანი არ მიშველის, დამიჭერენ ყოველგვარი წინაპირობის გარეშეო. სოფელში ავიდა, მეთვალთვალე რომ იყნოსა, ნაცნობ ტყეებს დაუწყო თვალიერება და დაიკარგა. დივერსანტების გადმოსხმისას (1942-1943 წწ.) გაუძლიერეს დევნა და ერთ დღეს იგი მკვდარი ნახეს სოფელ კურსებთან ახლო, ღელის პირას, დიდი წიფლის ქვეშ, ყვითელ, თბილ ნეშოში მოკუნტული, მთლად გათეთრებული, დაჟღლიმულ ნაბადში და ძონძებში შეფუთული ყაჩაღი — მიხა იაშვილი. ფრთხილად, მორიდებით ააცალეს იარაღი: დაჟანგული ხელყუმბარა, თოფი და მაუზერი. ციხის ექიმმა თქვა, მაღალი სიცხით (ოფლიანობის ნიშნების მიხედვით დაასკვნა), არაა გამორიცხული, ფილტვების ანთებით წაუღია წერილიო.

გერონტი რობაქიძე მოკლა ხახული გიორგელიძემ შორაპანში იმავე წლის (1921 წ.) ზამთარში, ქრისტეშობისთვეს.

ანაპოდისტე ხუნდაძე დახვრიტეს 1924 წელს, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

ხახული გიორგელიძე (გერონტი რობაქიძის მკვლელი) 1938 წელს დაიჭირეს ტროცკისტობაზე და დახვრიტეს იმავე წელს სოღანლუღში.

წითლები რომ შემოვიდნენ ქუთაისში საბოლოოდ, მარტის მიწურული იყო. სიხარულით შეხვდნენ ბოლშევიკებს მოქალაქენი, მთავარანგელოზების ეკლესიის სამრეკლოდან წითელი დროშები გადმოფინეს. ეს რა ხდებაო, გადაირია არქიმანდრიტი ბესარიონ ლორთქიფანიძე.

საფიჩხიაზე ამაღლების ეკლესიის პატარა ეზო-სასაფლაო ადრევე გააბაზრეს, პირდაპირ საფლავის ლოდებზე გამოაწყვეს დახლები და სამიტინგო ალაგიც დატოვეს წინასწარი ჩანაფიქრისა და მოლაპარაკების გარეშე. იმ დღეს, რო-

ცა სამრეკლოზე ფრიალებდნენ დროშები და ქალაქის ბაღში უკრავდა სასულე ორკესტრი, იმ უბნელებმა ამაღლების ეკლესიასთან აცეკვეს გეგელა. გაქცეული მთავრობის ბონები დაულაგეს მიწაზე, პირით თუ აიღებ, შენიაო. ჩამოუარა გეგელამ ნაჩუქარი, ვიწრო ჩოხის რღვევით და პრიწინ-პრიწინით, წაიკუზა, გაჩაჩხა ფეხები, წაიგრძელა კისერი, წაატანა პირი ფულს, ხელსახოცის მაგივრად რომ გაუფინეს და მიაყოლა წიხლი გამეტებით ერთმა ახალგაზრდა სეირის მაყურებელმა. თავით ჩაამხო მტვერში და სილაში გეგელა.

— რას უშობით, კაცო! — გაბრაზდა მედოლე. — რაფრად შეიძლება მაგნაირი, ეს არ ითვლება, თავიდან!

— აღარ მინდა, — ხელისგულებს ისუფთავებდა.

— აღარ გინდა, კაია!

— ა, ბატონო! — ტალახში ჩაკეცა გაუქმებული ასიგნაციები ამ სეირის წამომწყებმა. — აიღებს, მაგისია, გაკეთდება შავი დედალივით!

— აბა ტაში, ზეიმია ისედაც! — დაცხო გამხმარი თითები ცალ მხარეზე გაგლეჯილ დოლს მედოლემ.

მოჯგროვდნენ და მოჯგროვდნენ ფიცხელი დოლის ხმაზე ძელქვებთან, სამარის ლოდებთან ახლო. დაუარა გეგელამ, ყარა ტლინკები ერთ ალაგას, წაიკუზა, დაწვდა კიდეც ფულს და კრა წიხლი საჯდომში იმავემ, თავი შეარგვევინა აყალოში.

— რას შობი, ვინცხა ოხერი ხარ, არ აცლი კაცს?! — უფრო გაჯავრდა მედოლე.

— მარწვალებთ, მე თქვენი დედა, მარწვალებთ?!

— ვინ აწვალებს, კაცო, გიჟია ეს ვიღაცაა!.. ტაში, ყველამ დაუკარით, არ გამოვა ისე არაფერი, ზეიმია, ბოლშევიკები მოვიდენ!

— აღარ მინდა! — მიწას იშორებდა გეგელა.

— ხედავ, რას ამბობს, აღარ მინდაო, აბა ეს ხალხი რაზე მოიყვანე აქ, ზეიმი არ არი, კაცო, ბოლშევიკები მოვიდნენ?!.

— გაორმაგდა ქაღალდი და რუსულ მანეთიანს ვამატებ ზემოდან! — დაიძახა მარკიორმა და ბელტა ვერცხლი დაადო ბონებს მამლად.

— არ მომადგეს უკნიდან არავინ თუ არა, იმის დედას მოვ-ყნავ! — ფულს არ აშორებდა თვალს.

— არ მიეკაროს არავინ!

— არა, კაცო, ვინ არი მიმკარებელი!

ჩამოუარა უგულოდ, დაიხარა და ლაჯებშუა გამოიხედა თავდაღმადამხობილმა, უკან რომ ველარავინ დალანდა, ტლაპოში ჩადებულ ფულს დაუღო პირი; გამოიქცა ის კაცი, ახტა, ჰაერშივე უწიხლა და გააგორა თავფეხიანად.

— კონდრატია, — ტალახს აფურთხებდა გეგელა. — შენს ცოლისდას ჩავეფსკვენი აფუებულ ძუძუებში მაინცადამაინც!

დოლი გაუვარდა მიოსებულ მედოლეს კონდრატიას გაგონებაზე, ისტერიულად იცინოდნენ და კონდრატიამ, არაფერ შუაში რომ არ იყო, აღარ იცოდა, ეცინა, ეტირა თუ პასუხი მოეთხოვა. ცოლისდაო და არა ცოლი და მაინც გაჩუმება ამჯობინა, ყურიდან ყურში გაატარა გაგონილი.

— თავიდან! — ყვიროდა ისევ ვიღაც.

— ისე თქვენი დედა მოვ-ყან, მეტი თქვენ მე ველარ მომატყულოთ! — ცალი თვალით ხედავდა უკვე ლიანგს, ცალი თვალით იარა კაი ხანს დედამიწაზე იმ დღის შემდეგ.

*

ფარნაოზ მორჩიძე საღორიას ტყეში ჩაფლეს ბოლშევიკებმა სახელდახელოდ. პატივი გადაუვადეს და ვეღარ მიაგნეს რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იგი (მა-ვდარი) რაღაცაში დასჭირდათ. მორჩიძის სამარით აღარ დაინტერესებულან მასუკან. იქვე ჰყავდა მენშევიკების მთავრობასაც მიხვრეტილი და მიწაწაყრილი მარდალეიშვილი, ივანოვი, სხვებიც. იქ ხვრეტდნენ კომუნისტები ერთმანეთს და საფლავებს ვეღარ აგნებდნენ. ოცდაერთი წლიდან ორმოცდათოთხმეტამდე ხოცავდნენ და მარხავდნენ უსათაუროდ. იები ამოდიოდნენ ვეებერთელა სამარეზე მაინც გაზაფხულის პირს, თებერვალ-მარტის მზის ათინათზე ჭიატობდნენ იისფრად.

*

1921 წლის ორ ოქტომბერს (ორ წიფობისთვეს) დიდმოწამეთა დავით და კონსტანტინეს ხსენების დღეზე, სულიწმინდის გარდამოსვლიდან მეჩვიდმეტე კვირას ჩავიდა მოწამეთაში ფეხითა და აღთქმით: ხმა არ უნდა ამოეღო, რაც არ უნდა მომხდარიყო. შეწირული ცხვრებით, ქათმებით და მთვრალი მამაკაცებით იყო სავსე იქაურობა. უჩვეულოდ ცხელოდა. იდგა სალომე, არ იღებდა ხმას და ახსენდებოდა ორწიფობა ათასცხრაას თვრამეტი წლისა, ორი დასტა ზურნა-დოლი რომ უკრავდა დრუსოსთან. რკინის მესრის სვეტის თავზე ცეკვავდა ღია წაბლისფერთმიანი, მოცინარი, მხარიღლიებყაწიმებგადმოგდებული, მაუზრებჩამოპორწიალებული. ცეკვავდა უფსკრულზე სროლაში და ზურნის კვრაში და იყო ტაში როკვისა, სიგიჟე სროლისა და გულშეღონებისა. სალომე გარბოდა მარტო, წინ არავინ ჩანდა, უკან არავინ მოჰყვებოდა, ვის ეწეოდა, ვის ასწრებდა, ვის მისდევდა, აღარ ახსოვდა. აპრიალებული ლიანდაგები წიოდნენ საფეთქლებთან მერმე. იდგა და ღრმად სუნთქავდა. ეს იყო სამი წლის წინ, სამი დიდი წელი დაძირულიყო ფოთლისფერ წყალში, სულ ქვევით, გაპობილი კლდის ძირას.

ჩემო მახანტალია!

ტანსაცმლით შევიდა. გაიხადეო, ეძახდნენ საბანაოდ ჩამოსული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრი, ფერად საბანაო კოსტიუმებში გამონყობილი, დარჩეული გოგონები. ესმოდა და არ პასუხობდა. ილიმებოდა და შედიოდა აკვალთული კაბით. რატომ არ იხდისო, მაინც უკვირდათ მოტკრციალე გიმნაზისტკებს. რცხვენოდა და იმიტომ არ იხდიდა. უყურებდა შიშველ ქალიშვილებს და უყვარდა ისინი, ყველანი უყვარდა. ღრმაა მანდო, ვიღაცამ უთხრა, უცნაური ღიმილით უპასუხა, სხვაგან იხედებოდა, სხვაგან ჩადიოდა. იხრჩობაო, მიხვდნენ გვიან. წყალმა ჩაყლაპა მზისფერი ნაწნავებით, აბრეშუმის კაბით. მზის ჩასვლამდე ეძებდნენ. ჭოკებით ხილავდნენ ფსკერს, ქვევით და ქვევით ჩადიოდნენ. ქალი კი იქვე ყოფილიყო ფლატესთან, ფესვებიან კბოდეს ქვეშ. ნახა მანდიკორელმა კაცმა, მყვინთაობას რომ ჩემულობდა და ცოლი ჰყოლოდა ახალი გარდაცვლილი. დაშლილი ნაწნავები მურყნის წითელი ფესვები ეგონა თურმე თავდაპირველად. დაკიდეს თავდაღმა. გააშიშვლეს. ზელვით გაულურჯეს მკლავები და მკერდი, რამდენჯერმე მოეჩვენათ კიდეც, ცოცხლდებაო. ტყუილი იყო. სული არ ბრუნდებოდა, წყლიდან არ ამოდიოდა ჯერ.

სალომე რომ დაკრძალეს, ბარჩხალია ბერად შედგა მონასტერში. თუმცაღა მონასტერი ინგრეოდა. ბოლშევიკები იკრებდნენ ძალას და ეკლესიას უკუღმიდან უყურებდნენ.

— შეძლებ, შვილო, ბერობას? — სამჯერ ჰკითხა წინამძღოლმა ნაომმა.

შეძლო.

თათრებიდან ჩამოტანილი ოქრო დარჩა ხალმით ეზოში ესები მესხსო, ბმა იყო დარხეული. ორჯერ დაეცნენ, გაძარცვეს დიდი სახლი ანტორიაში და ანამეს დები. მეორეჯერ აღარავინ დახვედრიათ შინ და გასაშლელი მაგიდა და გაბზარული კედლის სარკე წაიღეს. ამის შემდეგ მიაკითხეს ბარჩხალიას მონასტერში სულ სხვებმა. გვითხარი, სადა გაქვს ოქრო, თუ არა მოგკლავთო, ნიღბებით დაადგნენ. არა მაქვს, არა გამაჩნია რაო და ერთს სახელი უთხრა, შენ მაინც ხომ იცი, რა მაქვს და რა არაო. მიცანი ხომეო და ამოიდო ფეხქვეშ. დაუზოგავად ურტყეს და მოკლეს. ორი დღე იცოცხლა. ვინ იყო, მითხარიო, ეხვეწებოდა ნაომი, ესმოდა და ხმას არ იღებდა. წინამძღოლს მონასტრის მორჩილზე ჰქონდა ეჭვი: ეჭვი ღრღნიდა და სიმართლის დადგენა უნდოდა. ამოვიდნენ ჩეკადან, სულთმობრძავს დაადგნენ, გქონდა თუ არა მართლა რამე, წაიღეს თუ არაო. ყველას ყველაფერი ვაპატიეო, ამოილაპარაკა, როცა აღარავინ ელოდა. ღვინის ძაბრები ეხურათ, ეგონა, სიმართლის მაძიებელთ. მკვდარი გაჩხრიკეს მაინც და უპოვეს ხის ჯვარი, წითელი თმის კუნწულით გაკრული. ქალისაა, თქვა გამოცდილმა გამომძიებელმა. ეგაა, ეტყობა, მაგის სიმდიდრეო, ხელი ჩაიქნია უფროსმა.

ის იყო.

მოვიდა შემოდგომა კვლავ — სიყვითლით, ფოთლებით, ხავსით, სიოქროვით, და იყვირა ჯონიმ, ყველაფრის მნახველმა, ყველგან ნამყოფმა:

— ფანტასტიკო, ფანტასტიკო!

აპრილო, ზაფხულო, მწვანე სიყვარულო, რას ელი, რაღამ უნდა გაგახაროს!.. გახსოვს, კაცო, მოწამეთა? წყალწითელას სანაპიროს შეშისფერ კლდეებზე გადაყვავილებული ასკილები? მოწამეთა, დაუბრუნებელი წლების სინანული?! გარღვეულ კლდეში მოდის მორკალული კალაპოტით. ხავსისფერი ედება და გუბდება შენს თვალებში წყალი გადაშუადღებულს; ნელა ბრუნდება ნახევარკუნძული ჩამავალი მზისკენ და მიდის კლდის ხომალდი მონასტრით, ცაცხვით, დღეებით...

1992-1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი:

კუდიანი ვარსკვლავი
(პოლიტიკური დეკამერონი) 4

ნოველები
ქ...შვილი 164
მეჭე 166
ექიმი კვინიხიძე 171
ჩიმაროზა 175
სიუზანა მაკდონალდი 178
დენი 183
რუა 186
გიო 188
ავტოინსპექტორი ნვთძ 192
ხიბარო 195
ბ-0-157 198
ატროპოსი 202

ყაჩაღები
(რომანი) 210

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორ-ოპერატორი ქ. საყვარელიძე
ტექ. რედაქტორი ი. ხუციშვილი

შეკვ. № 40

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

კუდიანი ვარსკვლავი

●

ნოველები

●

ყაჩაღები

შპს „მერანი-3“-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის პრ. №42
ტელ.: (+995 32) 92 29 92; (+995 32) 93 53 96
E-mail: merani3@geo.net.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამოჩენილი ქართველი მწერალი, შოთა რუსთაველისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი რეზო ჭეიშვილი დაიბადა 1933 წელს, ქ. ქუთაისში. თითქმის ოცდაათი წელი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" სასცენარო განყოფილების კოლეგიისა და მწერალთა გაერთიანების წევრად. პარალელურად ხელმძღვანელობდა ჟურნალ „განთიადს", რუსთაველის საზოგადოების განყოფილებას, ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატულ თეატრს, გაზეთ „ძოწამეთას" და სხვას. ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანია. რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი" ბოლოდროინდელ ნაწარმოებთა რჩეულია; წიგნში შესულია ორი რომანი და რამდენიმე ნოველა. სრული სახით ისინი პირველად ქვეყნდება.

F 4-971
ეროვნული
ბიბლიოთეკა